

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები

წიგნი IV

თბილისი
1968

შველი ქართული
აგიოგრაფიული
ლიტერატურის შგვლები
IV

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМЕНИ К. КЕКЕЛИДZE

Памятники древнегрузинской агиографической литературы

КНИГА IV

Синаксарные редакции (XI — XVIII вв.)

Тексты к изданию подготовил и исследованием снабдил
Эрико Габидзанивили

под руководством и редакцией И.В. Абуладзе

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ

1968

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
კ. კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები

წიგნი IV
სწინაქსარული რედაქციები (XI—XVIII სს.)

გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო
ენრიკო გაბიძაშვილმა

ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1968

„ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების“ IV ტომში შევიდა სეინაქსარული რედაქციის თხზულებანი. ტექსტები კრიტიკულად არის დადგენილი ყველა ნუსხის გათვალისწინებით.

ტექსტების უმრავლესობა (ძირითადად XVII—XVIII სს.) პირველად ქვეყნდება.

სეინაქსარული აგიოგრაფია ძველი ქართული მწერლობის თითქმის შეუსწავლელი დარგია. ამიტომ საჭიროდ იქნა მიჩნეული ტექსტებს დართოდა გამოკვლევა, რომელიც შეძლებისდაგვარად უპასუხებს სეინაქსარულ ტექსტებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს.

წინასიტყვაობა

ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა სვინაქსარული ცხოვრებანი სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. ნაშრომი მიზნად ისახავს ამ ხარვეზის შევსებას.

სვინაქსარული აგიოგრაფიის ძეგლები ქართულ საეკლესიო მწერლობაში XI საუკუნის I ნახევრიდან ჩნდება. XI—XIV საუკ. ლიტურგიკული კრებულები ნაკლები, ხოლო XVII—XVIII საუკუნეებისა კი გაცილებით მეტი რაოდენობით შეიცავენ დასახელებული ჟანრის თხზულებებს. ნაშრომში განხილულია დღემდე მიკვლეული ყველა სვინაქსარული ცხოვრება.

წიგნის პირველი ნაწილი უჭირავს გამოკვლევას, ხოლო მეორე — ტექსტებს. გამოკვლევაში სვინაქსარული ძეგლები თავიდან ბოლომდე ერთნაირი პრინციპით ვერ დავალაგეთ. II თავში შესული XI—XIV სს. სვინაქსარული ცხოვრებანი დალაგებულია ქრონოლოგიური რიგით. ეს რიგი დარღვეულია მხოლოდ ერთხელ: იერუსალიმის ჭვარის ქართული მონასტრის სხედასხვა დროის მოღვაწეები — პროხოზე (გარდ. 1066 წ.), ლუკა იერუსალიმელი (გარდ. 1273 წ.) და ნიკოლოზ დვალი (გარდ. 1314 წ.) ერთმანეთის შემდეგ განვიხილეთ, რადგან მათი საქმიანობა ერთსა და იმავე კულტურულ-სალიტერატურო კერას უკავშირდება. III თავში მოთავსებული XVII—XVIII სს. სვინაქსარული ძეგლების ასეთივე პრინციპით დალაგება უხერხული შეიქმნა, რადგან ნაწილი XVII—XVIII სს. თარიღდება, ნაწილი კი—XVIII საუკუნით. ამ ძეგლთა უმეტესი ნაწილის უფრო ზუსტი დათარიღება არ ხერხდება. ამიტომ ეს ძეგლები თვით მოღვაწეთა სიძველის მიხედვით დავალაგეთ: ნინო, პეტრე იბერი, შუშანიკი და ა. შ.

XVII—XVIII სს. ძეგლებთან ერთად მოვათავსეთ დავით და კოსტანტინეს XVI საუკუნის ხელნაწერთ (A—508) მოღწეული სვინაქსარული ცხოვრების ერთ-ერთი მცირე ზომის რედაქცია, რადგან

ამ საუკუნის მსგავსი სხვა ძეგლები არ მოგვეპოვება, ხოლო მისი ცალკე გამოყოფა უხერხულად გვეჩვენა.

ნაშრომის ქვეთავების დასათაურება პირობითია: მაგალ., II თავის პირველი ქვეთავი „ექვთიმე მთაწმიდელი“ გულისხმობს: „ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრების უძველეს (XI ს.) რედაქციას“, ხოლო III თავის მე-18 ქვეთავი „ექვთიმე მთაწმიდელი“— „ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრების გვიანდელ (XVIII ს.) რედაქციას“. მსგავსი მდგომარეობა არის სხვა ქვეთავების დასათაურებისას, რაც სათაურის შემოკლებისა და განმეორებათა თავიდან აცილების მიზნით დაგვჭირდა.

I. ზეხავალი

ქრისტიანული სარწმუნოების უძველესი პერიოდიდანვე ეკლესიის მოღვაწეთა ხსენების დღესასწაული ღვთისმსახურების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. ღვთისმსახურებაში აგიოგრაფიული ელემენტის დამკვიდრებასა და მისი ფორმების განვითარებას თავისი ისტორია აქვს, რომლის შესწავლა ღვთისმსახურების ჩასახვისა და მისი ევოლუციის გათვალისწინებით არის შესაძლებელი.

ახალი სარწმუნოების წარმოშობამ განაპირობა რიტუალის შესრულების ახალი ფორმების ძიება. ქრისტიანული ღვთისმსახურება მისი თავდაპირველი შესრულების ელემენტარული ფორმებით თვით ამ რელიგიის წარმოშობის დროინდელია. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ღვთისმსახურების წესისა და „განგების“ (რომელიც მოგვიანოდ ტიპიკონის სახელით დამკვიდრდა) პირველი სტრიქონები სწორედ მაშინაა დაწერილი და შემდეგ ხანგრძლივი ძიებისა და სრულყოფის შედეგად მხოლოდ XVI საუკუნეში მიიღო თავისი ჩამოყალიბებული სახე¹.

კარგად არის ცნობილი ის ფაქტი, რომ უძველესი ქრისტიანული ღვთისმსახურება დიდად არის დავალებული ძველი ებრაული სარწმუნოებისაგან. თვით ე. წ. მოციქულები, რომელთაც ქრისტიანული ღვთისმსახურების პირველი დაუწერელი კანონების შემოღება მიეწერებათ, ებრაელები იყვნენ. მართალია, მათი სარწმუნოება უკვე აღარ იყო ებრაული, მაგრამ ის არ შეიძლება შორს წასულიყო იმდროინდელი ებრაული ღვთისმსახურების ფორმებისაგან. ქრისტეს აღდგომის სასწაულმა ალაფრთოვანა მისი მოწაფეები და მოციქულები, რაც გამოიხატა იმაში, რომ ისინი „იყვნენ მარადის ტაძარსა მას შინა და აკურთხევდეს ღმერთსა“ (ლუკა, 24, 53). ყოველივე ეს შესაძლებელი იქნებოდა ებრაული ღვთისმსახურების

¹ Мансветов И., Церковный Устав, его образование и судьба в греческой и русской церкви, Москва, 1885, стр. 1.

ფორმებით და რიტუალით, რამაც დიდი გავლენა იქონია ქრისტიანული ღვთისმსახურების შემდგომ განვითარებაზე³.

ქრისტიანული ღვთისმსახურების შესრულების რიტუალი განვითარების უადრეს ეტაპზე, რომელსაც „მოციქულთა პერიოდსაც“ (I საუკუნე) უწოდებენ⁴, უადრესად მარტივი იყო. ძირითად ელემენტს შეადგენდა მოციქულთა თხრობა ქრისტეს ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ, რაც შემდეგ წერილობითი სახით საბარებასა და თვით მოციქულთა ეპისტოლეებში ჩამოყალიბდა კიდევ⁵. უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიჭირეს აგრეთვე ლოცვებმა. ძნელი გასარკვევია, თუ რა ფორმისა და შინაარსის იქნებოდნენ ისინი, მაგრამ დაახლოებით მაინც შეიძლება გაირკვეს, რომ მათ უმთავრეს ნაწილს ფსალმუნი და ებრაელთა ღვთისმსახურებაში გამოყენებული ლოცვები შეადგენდა⁶. ეკვვარეშეა, რომ ქრისტიანული ჰიმნოგრაფიის განვითარებამდე ფსალმუნის ხვედრითი წონა ძალზე დიდი იყო და თითქმის მთლიანად ავსებდა უძველეს ღვთისმსახურებას⁶.

ამ პერიოდში (ე. ი. I ს.) ღვთისმსახურება ოთხი ძირითადი ელემენტისაგან შედგებოდა: ლოცვა, გალობა, საღმრთო წერილის კითხვა და ქადაგებანი, რომელთა არსებობა კარგად ჩანს პავლე მოციქულის ეპისტოლეთა მიხედვით (ტიმოთეს მიმართ I. 1,2; ეფესელთა მიმართ 5,19; კოლასელთა მიმართ 3,16; თესალონიკელთა მიმართ I. 5, 27; კოლასელთა მიმართ 4, 16; ებრაელთა მიმართ 13,7; აგრეთვე ლუკა 1, 1 და სხვ.).

„მოციქულთა საუკუნემ“ საფუძველი ჩაუყარა არა მარტო ყოველდღიური ღვთისმსახურების ჩამოყალიბებას, არამედ ქრისტიანულ საეკლესიო წელსაც. თავდაპირველად ერთი დღის ღვთისმსახურება თითქმის არ განსხვავდებოდა მეორე დღისაგან, მაგრამ შემდეგი წლის ზოგიერთმა დღემ, განსაკუთრებით კი კვირამ, ის პრიორიტეტი მოიპოვა, რომ მასთან დაკავშირებულ იქნა ქრისტეს ცხოვრების ზოგიერთი მომენტი, უპირველეს ყოვლისა კი აღდგომა. ამან ხელი შეუწყო კვირა დღის გამოყოფას სხვა უბრალო დღეებისაგან.

³ Скабазланович М., Толковый типикон, Киев, 1910, вып. I, стр. 3.

⁴ იქვე გვ. 1.

⁵ იქვე გვ. 18.

⁶ Meyer H., Kritisch exegetisches Handbuch über die Apostelgeschichte, 7 Aufl. Gött., 1888, s. 92.

⁶ Лисицын М., Первоначальный славянско-русский типикон, СПб, 1911, стр. 5.

ამ გარემოებამ კი გამოიწვია კვირა დღის განსაკუთრებული ადსაშენა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანულ საეკლესიო წესს.

დროთა განმავლობაში საეკლესიო-ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული დღეები თანდათანობით მომრავლდა. სახარებასთან დაკავშირებულ დღეებს შემდეგ (II ს.) შეემატა მოწამეთა „დაბადების“ დღეები (დაბადების დღედ იწოდებოდა მათი მოწამებრივი აღსასრულის დღე), რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

II საუკუნის პირველი ნახევარი ახლოს დგას მოციქულთა პერიოდის ღვთისმსახურებასთან, თუმცა თანდათანობით შეინიშნება მტკიცე ნორმების დადგენა, რაც ძირითადად III ს. კანონიკურ ძეგლებში ჩამოყალიბდა². II საუკუნე ჩვენ უფრო იმიტომ გვაინტერესებს, რომ აქედან გვაქვს მოწამეთა ხსენების დღეების აღნიშვნის უტყუარი ცნობები.

ქრისტიანეთა დევნის პერიოდში მრავალმა მოწამუნებ თავისი ცხოვრების ბოლო მოწამებრივ აღსასრულში პოვა, რამაც მათი წმინდანად აღიარება გამოიწვია. მოწამეთა ცხოვრებისა და შემადრწუნებელი აღსასრულის ირგვლივ მრავალფეროვანი საეკლესიო ლიტერატურა შეიქმნა და აგიოგრაფიული მწერლობის ხელით დამკვიდრდა. აგიოგრაფიული ლიტერატურის საწყისები იმ „მოწამეთა აქტებში“ უნდა ვეძიოთ, ქრისტიანეთა გასამართლებისა და დასჯის პროცესში რომ დგებოდა სასამართლოს მდივნების მიერ. ასეთი „აქტების“ გარდა ცნობილია ამა თუ იმ მოწამის აღსასრულის აღწერა თვითმხილველის მიერ. მსგავსი აღწერები შემდეგ ამ მოწამის ხსენების დღეს იკითხებოდა კიდევ.

უძველესი ცნობები გვაფიქრებინებენ, რომ მოწამეთა შესახებ ასეთი ჩანაწერების, ანუ „წამების“ შედგენას თავიდანვე ლიტურგიკული ლანიშნულება ჰქონდა და მისი შედგენის უმთავრესი საჭიროება ღვთისმსახურებაზე წაკითხვის მოთხოვნილებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

მოწამეთა დღის აღნიშვნის შესახებ უეჭველი ცნობები უკვე II საუკუნიდან მოგვეპოვება, მაგრამ მათი შესრულების შესაძლებლობა კიდევ უფრო ადრე, I საუკუნეშიაც არის სავარაუდებელი. ჯერ კიდევ პავლე მოციქულმა უანდერძა პალესტინელ ქრისტიანებს: „მოიხსენიეთ წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ ღმრთისათა და ჰხედვედით გამოსლვასა მას

² Скабазлапович М., დასახლ. ნაშრობ., გვ. 45—46.

ცხოვრებისასა მათსა, და ჰბაძვედით სარწმუნობასა მათსა“ (ებრ. XIII. 7). ამ ეპისტოლის დაწერამდე ასეთები იყვნენ არქიდიაკონი სტეფანე პირველმოწამე, წმ. მოციქული იაკობ ზნებელესი და იაკობი, ძმა უფლისა.

პირველი ცნობა, სადაც ეპემიუტანლად არის ლაპარაკი მოწამეთა დღესასწაულის შესახებ, შემოგვინახა წმ. ეგნატის (გარდ. 107, ან 115 წ.) მოწამებრივმა აქტებმა, სადაც ნათქვამია: „გაუბარეთ რა რამდენიმე დღე მის კუბოსთან (საღლაეთან) ჰიმნების გალობით, ქრისტიანებმა დააწესეს, შემდეგაც გალობათ ჭება შეეასხათ მის ენებას და ცხოვრებას და მისი მოგონების დროს ვადილოთ ქრისტე ღმერთი“⁹.

ეესები კესარიელს მოაქვს სმირნელთა ეკლესიის ეპისტოლე ფილომენელთა ეკლესიის (მც. აზია) მიმართ წმ. პოლიკარპეს (გარდაიცვალა 167 წ.) მოწამებრივი აღსასრულის გამო. მასში ნათქვამია, რომ ებრაელთა რჩევით პროკონსულმა დაწვა პოლიკარპეს გვამი, რათა ის ქრისტიანეთა თაყვანისცემის საგანი არ გახდარიყო, მაგრამ „ჩვენ შევკრიბეთ მისი ძვლები და დაგვრძალეთ ისინი სთანადო ადგილას... როგორც კი შესაძლებელი იქნება, ჩვენ იქ შევიკრიბებით სიხარულითა და მხიარულებით და ღმერთი ნებას დაგვრთავს, რათა ვიდღესასწაულოთ დღე მისი მოწამებრივი დაბადებისა (γενέθλιον)¹⁰. შემდეგი საუკუნეები (III—IV) უფრო მეტ მასალას იძლევიან ასეთი დღეების აღნიშვნის შესახებ. ტერტულიანი (გარდ. 211 წ.) აღნიშნავს: „ჩვენ ეზეიმობთ წმინდანთა პატივსაცემად“¹¹. კართაგენის ეპისკოპოსი კვიპრიანე (გარდ. 258 წ.) წერს თავის სამწყსოს აღმსარებლების შესახებ: „აღნიშნეთ მათი გარდაცვალების დღეები, რათა ჩვენ გვქონდეს შესაძლებლობა ვიდღესასწაულოთ მათი ხსოვნა მოწამეთა ხსენებებთან ერთად“¹¹. ეს ცნობა ორმხრივია საინტერესო: ჭერ ერთი, ჩანს, რომ კართაგენის ეკლესიას

⁹ Ruinarli Th., Acta martyrum sincera et selecta, I, 1802. 47; 48.

¹⁰ Евсевий Кесарийский, Церковная История, IV, 13. საინტერესოა შეხედულება მოწამის აღსასრულის დაბადების დღედ გამოცხადებაზე ასეთი შეხედულება იყო მიზნი იმისა, რომ საეკლესიო წელი შემდეგაც არ შეიცავდა წმინდანთა დაბადების დღეებს, გარდა ქრისტესა, ღმერთისშობლისა და ოუანე ნათლისმცემლისა და ეს დაბადების დღეებიც, თვით ქრისტესიც კი, დღესასწაულის დღეებად მოგვიანებით იქნა აღიარებული (Скабалапович М., დასახ. ნაშრ., გვ. 68, აგრ. Luft, Liturgik, I, Mainz, 1884, 115).

¹¹ Сергий, Полный Мesiсцеслов Востока, I, Владимир, 1901, стр. 9.

¹¹ იქვე.

ამ დროს უკვე ჰქონია მოწამეთა სახელების შემცველი კალენდრები, რომელთა მიხედვით, ალბათ, სრულდებოდა კიდევ მათი ხსოვნის დღესასწაულები. მეორე მხრივ, ამ დროისათვის დღესასწაულების რიგს ემატება ეკლესიის ზოგიერთ იმ მოღვაწეთა ხსენების დღე, რომელთა ცხოვრება ბუნებრივი სიკვდილით დასრულდა. მათი ხსენების დღის დაწესება გაცილებით გვიან მოხდა, ვიდრე მოწამეებისა. უნდა ითქვას, რომ მოწამეთა ხსენების დღე საუფლო დღეების შემდეგ ყველაზე უძველესია ეკლესიის სადღესასწაულო დღეთა შორის. ისინი წინ უსწრებენ თვით მოციქულთა დღეებსაც კი. ეკლესიის წინამძღვართა და მამათა ხსენების დღის დაწესება შედარებით გვიანდელია; სწორედ ამ ხსენებათა შემოღების თადარიგთანაა დაკავშირებული ზემოთ მოყვანილი ცნობაც, ე. ი. III საუკუნეში ამ უკანასკნელთა ხსენების დღის დამკვიდრებაც ფაქტია.

მოწამეთა დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით შემონახულია III—IV საუკუნეების მრავალი ცნობა, რომელთაგან განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი ოფიციალური დოკუმენტი, როგორცაა ლანგრის საეკლესიო კრების (340 წლ. ახლო) დადგენილება: „უკუეთუ ვინმე განლაღებული ცნობად მიზეზად იტუმიოს და კრებანი მოწამეთანი სძაგდენ, ანუ მათ შინა ქმნილნი ჟამის-წირვანი და საკსენებელნი მათნი, შეჩუენებულ იყვენ“ (ლანგრის კრების მე-20 კანონი — A 76,50) და სხვა. მოტანილი ცნობები საეკლესიო არ ხდის მოწამეთა ხსენების დღის არსებობას II საუკუნიდან, რასაც მომდევნო საუკუნეებში, რა თქმა უნდა, უფრო მეტი ინტენსიობითა და მრავალფეროვნებით დღესასწაულობდნენ. ნათლად არ ჩანს, თუ როგორ სრულდებოდა ეს დღესასწაულები უადრეს პერიოდში, ხოლო მოგვიანებით, არა უგვიანეს IV საუკუნისა, უკვე მოგვეპოვება ცნობები მოწამეთა ხსენების დღეებში მათი „წამების“ წაკითხვისა ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს. წმინდანთა წაპების „აქტების“ ღვთისმსახურების დროს კითხვის ტრადიცია, რომელიც, საფიქრებელია, II—III საუკუნეებიდან დაიწყო, IV და მომდევნო საუკუნეებში უკვე გავრცელებულ, დაკანონებულ სახეს იღებს. ავგუსტინე მრავალჯის აღნიშნავს ღვთისმსახურებაში ასეთი საკითხავების შესახებ: „წამება, რომელიც დღეს ჩვენ წაგვიკითხეს...“ და ა. შ¹², ან კიდევ: „როდესაც კითხულობენ ვრცელ წამებას, ან რომელიმე გრძელ საკითხავს, ვისაც არ შეუძლია ფეხზე მდგარ-

მა გაძლოს, შეუძლია დაჭდეს წყნარად და მშვიდად და ყურადღებით მოისმინოს, რაც იკითხება¹³.

კართაგენის საეკლესიო კრებამ 397 წ. დაადგინა: ... „ხოლო ჭერ-არს აღმოკითხვა აღუაწლთა და ვნებათა მოწამეთაჲსა, რაჲჲამს წლითი-წლად საცსენებელნი მათნი აღესრულებოდინ“¹⁴.

ამრიგად, მოწამეთა ცხოვრებების წაკითხვა ქრისტიანული ღვთისმსახურების შესრულების დროს თუ II საუკუნიდან, შესაძლებელია, უფრო კერძო ხასიათს ატარებდა, IV ს. უკვე მიიღო დაკონონებული სახე და მაშინდელი არც თუ მდიდარი ღვთისმსახურების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. იმ პერიოდში ასეთი დღეების აღნიშვნა მოწამეთა მხოლოდ „მარტილობების“ წაკითხვით ამოიწურებოდა, რადგან ჭერ კიდევ არ იყო განვითარებული ჰიმნოგრაფიული „ელემენტი და „წამებებს“ არ ახლდა მითითებები ტროპარების, კონდაკებისა და სხვათა წაკითხვაზე. საეკლესიო არ უნდა იყოს, რომ მოწამეთა ხსენების დღესასწაულებს თავიდან ვიწრო აღგილობრივი საეკლესიო ხასიათი ეკნებოდა. შემდეგ, როდესაც ზოგიერთმა მოწამემ განსაკვიფრებელი აღსასრულით დიდი პოპულარობა მოიპოვა არა მარტო მეზობელ ეკლესიებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, საფუძველი ჩაეყარა გამოჩენილი მოწამეების ხსენების საერთო ქრისტიანული დღესასწაულების შემოღებას. ასეთია მაგ., სტეფანე პირველმოწამე, ეგნატი ღმრთისმეტყველი, პოლიკარპე სმირნელი და სხვა. მათი ხსენების დღეები უკვე II საუკუნეში ახლოს იყო იმასთან, რომ საერთო ქრისტიანულ დღესასწაულებად ქცეულიყო. როგორც უკვე ვთქვით, მოწამეთა ხსენების დღეები საეკლესიო წლის უძველესი სახსენებელი დღეებია საუფლო დღესასწაულების შემდეგ და წინ უსწრებენ მოციქულთა ხსენების დღეებსაც, მაგრამ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის დღესასწაულებად მოწამეთა დღეებზე აღრე მაინც მოწამე მოციქულთა დღეები გახდნენ. ახალი სარწმუნოების სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ და ქრისტიანეთა დევნის შეწყვეტამ კიდევ უფრო გააძლიერა მოწამეთა დღესასწაულების აღნიშვნა. ამას თავის მხრივ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ქრისტიანებს დაცული ჰქონდათ მრავალი მო-

¹³ Bingham I., Originum sive antiquitatum ecclesiasticarum, liber XIV, 1754, p. 86.

¹⁴ კართაგენის კრების 46-ე კანონი—A-76, 90 v.

წამის „წმიდა ნაწილები“ და საფლავი¹³, იცოდნენ მათი წამების დროც. ყველა ქრისტიანულ ეკლესიას ჰქონდა შედგენილი ამ მოწამეთა გრძელი სიები, სადაც ნაჩვენებია იყო ამა თუ იმ მოწამის მოწამებრივი აღსასრულის დღე. მოწამეთა „აღსრულების“ დროისა და ადგილის შესახებ ცნობების ძირითადი ნაწილი შემონახული იყო იმ „აქტებში“¹⁶, რომლებიც დგებოდა ქრისტიანების სიკვდილით დასჯის დროს. ადგილობრივმა ეკლესიებმა სწორედ ამ ცნობათა და თვითმხილველი ქრისტიანების მიერ ჩანაწერების საფუძველზე შეადგინეს კალენდარი, სადაც წლის თვეების მიხედვით იყო აღნიშნული მოწამეთა წამების დღეები და ადგილები.

ასეთი კალენდრები თავდაპირველად დგებოდა წარმართულ კალენდრებთან ერთად. უფრო სწორად, წარმართული კალენდრები შეიცავდა ქრისტიანულ დღესასწაულებსაც. ასეთია, მაგალითად, ე. წ. ფილოკოლუს კალენდარი¹⁷. ეს ტიპიური წარმართული კალენდარია 354 წლისა, მაგრამ მასთან შეერთებულია 12 რომაელი პაპის სია მათი დასაფლავების დღის მითითებით. აქვეა სია 22 რომაელი (304 წლამდე) და რამდენიმე არარომაელი მოწამისა (კვიპრელი და სხვ.). მოწამეთა გარდა არის ორი ხსენება მოციქულთა, ქრისტეს დაბადების დღე და ა. შ.

ასევე ნახევრად წარმართულია სილვიუს პტოლომეუსის კალენდარი, რომელიც შეიცავს როგორც წარმართულ (მონების დღესასწაული, კეისრების დაბადების დღეები, სენატის სხდომები და სხვ.), ისე ქრისტიანულ დღესასწაულებსაც (გამოცხადება ქრისტესი, ჯვარცმა, აღდგომა, შობა და მოწამეთა ხსენების დღეები)¹⁸.

წმინდა ქრისტიანული კალენდრებიდან უძველესია სირიული კალენდარი, შედგენილი 370—400 წწ. ეს კალენდარი შეიცავს თითქმის მხოლოდ აღმოსავლეთის მოწამეების ხსენებებს, რომელთა უმეტესი ნაწილი აღარ გვხვდება შემდეგდროინდელ აღმოსავლურ კალენდრებში. 180 მოწამეთა ხსენების დღიდან გვიანდლელებში მხოლოდ 45 ხსენებალა არის შემორჩენილი. ამასთანავე აღსანიშნავია,

¹³ ქრისტიანეთა ღვინის პერიოდში რომაელთა კანონთ: სიკვდილით დასჯილის გვაში ეძღოდა მსურველს (Kellner H., Heortalogie oder das Kirchenjahr und die Heiligenfeste in ihrer geschichtlichen Entwicklung, 1901, 131).

¹⁶ ამ „აქტების“ ასლების მიღება მსურველს შეეძლო გარკვეული საფასურით (Ruinarti Th., Acta martyrum, II, 1803, 46; 47).

¹⁷ Сергий, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 40.

¹⁸ Kellner H., დასახელებულ ნაშრომი, გვ. 196; Скабалаинович М., დასახ. ნაშრომი, გვ. 308.

რომ გვიანდელმა კალენდრებმა შემოინახეს იმ მოწამეთა ხსენებანი, რომლებიც სირიული კალენდრის პერიოდს ეკუთვნიან, მაგრამ სირიულ კალენდარში მათი ხსენება არ არის. ეს გარემოება ადასტურებს, რომ IV საუკუნეში უკვე არსებობდა მოწამეთა არა ერთი და ორი კალენდარი, რომლებიც ზოგჯერ ისე ვრცელი იყო, რომ შეიცავდა მრავალ ხსენებას წელიწადის ყველა დღეზე¹⁹.

ასეთივეა კართაგენის კალენდარი შემდეგი სათაურით: „აქ თავმოყრილია წმინდანთა წამებანი, რომელთა ხსენებას ყოველწლიურად დღესასწაულობს კართაგენის ეკლესია“²⁰. ყველაზე გვიანდელი ხსენების დღე VI ს. დასაწყისს ეკუთვნის. სულ მითითებულია 80 დღე, რომელიც მოწამეთა ხსენებას შეიცავს, თუმცა ეს კალენდარი იწყება 13 აპრილით და წყდება 16 თებერვალზე. წმინდანთა სახელებს ახლავს ტიტულიც: „მოწამე“, „წმიდა მოწამე“, „მოციქული“ და ა. შ.

საეკლესიო კალენდარი თანდათანობით გამდიდრდა ახალი დღესასწაულებით, უპირველეს ყოვლისა, მოწამეთა დღესასწაულებზე აღრე მასში ის საუფლო დღესასწაულები გაჩნდა, როგორცაა ჯვარცმა, აღდგომა, გამოცხადება, ხოლო უფრო გვიან ქრისტესთან, ღვთისმშობელთან და იოანე ნათლისმცემელთან დაკავშირებული სხვა დღესასწაულები. ერთ-ერთ უპირველეს დღესასწაულთა რიცხვს განეკუთვნება მოციქულთა, როგორც ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებულთა დღესასწაულები. მალე კალენდარში აღინიშნა ეკლესიის „მამათა“ გარდაცვალების ხსენებებიც, რაც კარგად ჩანს კართაგენის ეპისკოპოსის კვიპრიანეს (გარდ. 258 წ.) ზემოაღნიშნული ეპისტოლიდან, მაგრამ მათი დღესასწაულები იწოდება სხვა ტერმინით — „ხსენება“ ან „მიცვალება“ წინააღმდეგ მოწამეთა ხსენების დღეებისა „წამება“. სოზომენის ცნობით, თითოეული დამოუკიდებელი ეკლესია აღნიშნავდა თავის მოწამეთა დღესასწაულებს და ეკლესიის მამათა ხსენებებს²¹. უფრო მოგვიანებით ქრისტიანეთა დევნის შეწყვეტასა და მოწამეთა რიცხვის შემცირებასთან ერთად გამოჩნდნენ ახალი მოღვაწეები მეუღლებოე ბერ-მონაზონთა სახით, რომელთა განსაცვიფრებელმა საქმეებმა ბევრი მათგანის სიკვდილის-

¹⁹ IV ს. მოღვაწე ამასიელი ეპისკოპოსი ასტერიოსი ამბობს: „არ არის წელიწადის არც ერთი დღე მოწამეთა ხსენების გარეშე დარჩენილი. და თუ რომელიმე მოწამეთა მოყვარულ მოჩირობებს მათი წამების ყველა დღე იდღესასწაულოს, მისთვის არც ერთი დღე წელიწადისა არ იჭრება არა საღესასწაულო“ (Сергий, I, 10).

²⁰ გამოცემულია ბოლანდისტების მიერ: Acta Sanctorum, Novemb., II, LXX.

²¹ Созомен, Церковная история, I, 3.

თანავე გამოიწვია მათი წმინდანთა რიგებში ჩარიცხვა. ამასთანავე ძველი აღთქმის წმინდანთა „ნაწილების“ მიკვლევამ და მათ მიერ ჩადენილმა „სასწაულებმა“ გამოიწვია მოგონება მათი ღვაწლისა. ამრიგად, კალენდრები თანდათან იკვებოდა და მრავალფეროვან მასალას იძენდა²². კალენდარზე დიდი გავლენა იქონია აგრეთვე წმინდა ადგილობრივმა ქრისტიანულმა დღესასწაულებმა და ისტორიულმა მოვლენებმა (მაგ. კონსტანტინეპოლური კალენდრები და სხვ.).

კალენდრები იკვებება ანგელოზთა დღესასწაულებითაც. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე დიდმა კონსტანტინეპოლის მახლობლად ააშენა მიქელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი. ანგელოზთა თაყვანისცემამ ზოგიერთ ადგილას (ფრიგია, პისიდია და სხვ.) ისეთი ფართო და გადაჭარბებული ხასიათი მიიღო, რომ გამოიწვია ლაოდიკიის კრების დადგენილების 35-ე მუხლი: „ვითარმედ არა უნმს ქრისტეანეთა დატევებაჲ ღმრთისა ეკლესიისაჲ და წარსლვაჲ და ანგელოზთა სახელის დებაჲ და შესაკრებელისა ქმნაჲ, რომელ-ესე განგდებულ არს“²³.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენამდე მოღწეული უძველესი კალენდრები (IV—VI სს.), რომელთაგან ზოგი წარმართულ კალენდრებთანაა შეერთებული (ფილოკოლუს, სილ. პტოლომეუსის), ხოლო ზოგი კი მხოლოდ ქრისტიანული დღესასწაულების შემცველია (კართაგენის, გოთურის, რომაული მარტიროლოგები და სხვა), დასავლეთის ტიპისაა. ამდროინდელი წმინდა ბერძნული კალენდრები არ შენახულა (აღმოსავლური ტიპის უძველესი კალენდარია სირიული—411-412 წ. სირიულ ენაზე), თუმცა ამ პერიოდში მათი არსებობა სავარაუდებელია. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბერძნული კალენდრები ღვთისმსახურებაში საკითხავად გამოყენებულ სახარებასა და სამოციქულოებზეა დართული. არქიმანდრიტი სერგი კალენდრების შესახებ თავის სპეციალურ შრომაში აღნიშნავს, რომ სახარებასა და სამოციქულოებზე დართული კალენდრები პაგიოლოგიის სხვა ძეგლებთან შედარებით უძველესია. ასეთი კალენდრები წმინდა აღმოსავლური—კონსტანტინეპოლური—წარმოშობისა არიან. რომლებიც ზოგჯერ იერუსალიმურ გავლენასაც გვიჩვენებენ. სერგის დაკვირვებით სახარება-სამოციქულოებზე დართული კალენდრები განსხვავდებიან არა მარტო ერთმანეთისაგან, არამედ ყველა იმ კალენდ-

²² Сергий, Полн. Месян. Востока, I, Владимир, 1901, стр. 12. უნდა აღინიშნოს, რომ პირველად კალენდარში დამკვიდრდა „მაკაბელთა“ და „ჩხვლთა“ დღესასწაულები, აგრეთვე წინასწარმეტყველები.

²³ ლაოდიკიის კრების 35-ე კანონი A-76, 58v.

რისაგან, რომელსაც შეიცავს სვინაქსრები, თვენები და ტიპიკონები. ასე რომ, ძნელია მოიძებნოს ორი ისეთი კალენდარიც კი, სასებით რომ ემთხვეოდეს ერთმანეთს. თვით მოკლე კალენდრებიც კი, რომლებიც შეიცავენ უმთავრეს დღესასწაულებს, იგივეობას არ გვიჩვენებენ. აქვე ავტორის შენიშვნით, მომაკალი კვლევა-ძიება კიდევ გამოავლენს ისეთ კალენდრებს, რომლებიც მოგვცემენ ცნობებს უცნობი მოწამეებისა და წმინდანების არსებობის შესახებ. სვინაქსართა შემდგენლებს, რომელთაც მდიდარი მასალა აქვთ ამოკრებილი ძველი კალენდრებიდან, მაინც მთლიანად ვერ გამოუყენებიათ სამოციქულოებსა და სახარებებზე დართული უძველესი კალენდრებში შესული ყველა მოწამის შესახები ცნობები²⁴.

ასეთი ტიპის ბერძნული კალენდრებიდან უძველესია შულცის მიერ გამოცემული XI ს. ხელნაწერთ მოღწეული კალენდარი, რომელიც პრადის ბიბლიოთეკაშია დაცული. მასში ცოტა რაოდენობითაა წარმოდგენილი წმინდანების ხსენების დღეები, სულ 93 დღე, და ყველაზე გვიანდელია მელიტინელი ეპისკოპოსის დომეტიანეს ხსენება (გარდ. 601 წ.). სერგი განიხილავს 20-ზე მეტ უძველეს კალენდარს, რომლებიც სახარება-სამოციქულოზეა დართული. რამ გამოიწვია კალენდრების შეერთება ახალი აღთქმის წიგნებთან? ქრისტიანული ეკლესიის პირველმა დღესასწაულებმა, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ უმთავრესად ქრისტეს, აგრეთვე ღვთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემლის ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებთან, გამოიწვია საღმრთო წერილიდან (სახარება, მოციქულთა ეპისტოლეები) ამ დღესასწაულებზე წასაკითხავად შესაფერისი ადგილების შერჩევა. ასეთი საკითხავები გაუჩნდა ღვთისმსახურებაში შემოსულ მოწამეთა ხსენების დღეებსაც. ასეთი საკითხავების შერჩევის სისტემაში გამოიწვია ე. წ. „სარჩევების“ შედგენა, რომლებიც უჩვენებდნენ, საღმრთო წერილის ესა თუ ის ადგილი რომელ დღეს და რა დღესასწაულთან დაკავშირებით უნდა წაკითხულიყო. ეს სარჩევები, რომელთაც კალენდარული ფორმა ჰქონდათ, ერთვოდა ღვთისმსახურებაში საკითხავად გამოყენებულ სახარებასა და მოციქულთა ეპისტოლეებს²⁵. საინტერესოა, რომ ასეთი სარჩევები ატარებდნენ „მენელოგის“, „სვინაქსარის“ ან კიდევ „კანონარის“ სახელს. შინაარსობლივად ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავ-

²⁴ Сергий, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—90.

²⁵ Красносельцев II, Типик церкви св. Софии в Константинополе (IX в), Одесса, 1892, стр. 18.

დებოდნენ და უღარიბდნენ იმ კალენდრებს, რომლებიც დასავლეთში „მარტიროლოგიების“ სახელწოდებით იყო ცნობილი. აქედან ცხადია, რომ სვინაქსრის სახელწოდებით ყოველთვის არ იწოდებოდა ის, რასაც დღეს „სვინაქსარი“ (მოკლე ცხოვრების შემოკვლილი კრებული) ვუწოდებთ. „სვინაქსარად“ თავდაპირველად იწოდებოდა ღვთისმსახურებაში გამოყენებული სახარება-სამოციქულოებზე დართული კალენდრები, რომლებიც მხოლოდ წმინდანთა სახელებს შეიცავდა და განაწილებული იყო თვის დღეებში მათი ხსენების მიხედვით. ვაცილებით გვიან, როდესაც ჩამოყალიბდა და შედარებით დასრულებული სახე მიეცა საეკლესიო ტიპიკონებს, მასში შევიდა „სვინაქსარის“ სახელით ცნობილი კალენდარიც, რომელიც წმინდანთა კალენდრული დღეების გარდა, შეიცავდა სხვა ლიტურგიკულ მითითებებს და განაგებდა ღვთისმსახურების რიტუალს მთელი წლის განმავლობაში. ამ კალენდარმა შეინარჩუნა თავისი სახელწოდება „სვინაქსარი“ და ტიპიკონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად გადაიქცა, ხოლო ტიპიკონის განვითარებასთან ერთად და ისტორიულ-აგიოგრაფიული მასალის შეთვისების შედეგად ახალი ფორმა მიიღო. სიტყვა „სვინაქსარი“ ნიშნავს კრებულს, შეკრებას და მიუთითებს, რომ ქრისტიანები დიდ ღვთისმსახურებებზე, და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოწამეების ხსენების დღეებში მათ სადიდებლად იკრიბებოდნენ ტაძარში (ეკლესიაში). სწორედ ეს დღეები იყო აღნიშნული სახარება-სამოციქულოს ე. წ. „მაჩვენებლებში“ (ან „სარჩევებში“) ხოლო შემდეგ კი, როგორც ვთქვით, „სვინაქსარის“ სახელწოდების ქვეშ იგულისხმებოდა ტიპიკონის ის ნაწილი, სადაც მოცემულია წმინდანთა და მოწამეთა და საერთოდ ქრისტიანული ღვთისმსახურების კალენდარი, გავრცობილი მათი ბიოგრაფიული, თუ ისტორიული ცნობებით და ლიტურგიკული მითითებებით (მითითებანი ტროპარებზე, კონდაკებზე, ლიტანიებზე და სხვ.).

სახარება-სამოციქულოებზე დართული უძველესი კალენდრებიდან ყველაზე ადრინდელია: მორიჩელის მიერ 1788 წლის ხელნაწერის მიხედვით გამოცემული კალენდარი (μεναχίγειον τῆς Θείης τῆς Ἐκκλησίας ἱεραρχίας τῆς Ἐκκλησίας τῆς Ἐκκλησίας)²⁶, ზემოაღნიშნული შულცის გამოცემული კალენდარი, ანუ სვინაქსარი (συναξάριον ἐκχρηστικὸν ἀπὸ μυστῆ; σεβαστικῶν μυστῆ; ἀγιοστατου)²⁷ და სინას ბიბ-

²⁶ Красносельцев М., დაახ. ნაშრ., გვ. 20.

²⁷ Aug. Schulz, De menologiis duobus codicum graecorum bibliothecae reginae Parisiensis, Bonnae, 1823.

ლითუიის კანონარი, რომელიც გამოსცა ანტონიმ 1874 წ.²⁹ მაგ. მორიჩელის მიერ გამოცემული „მენოლოგია“ შეიცავს სულ 143 ხსენების დღეს მთელი წლის განმავლობაში და ყოველ ხსენებასთან მითითებულია საკითხავების დასაწყისი და დასასრული სახარებიდან და მოციქულთა ეპისტოლეებიდან, ხოლო ზოგიერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულის დღეს (ხარება, გამოცხადება, ღვთისმშობლის მიძინება, შობა, ოქროპირის ხსენება) დამატებით მოცემულია ლიტურგიკული მითითებანიც³⁰.

შედარებით გვიანდელი პერიოდისაა მართლმადიდებლური ეკლესიის ის წიგნი—ტიპიკონი, რომელიც შეიცავს ღვთისმსახურების შესრულების წესებსა და თანამიმდევრობას; მათგან ზოგიერთმა შემოინახა ამასთანავე „სუნაქსრის“ გავრცობილი კრებულები, როგორც მისი ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. საეკლესიო ტიპიკონი დასრულებული სახით, როგორც ყოველდღიური, შეიღვეულია და მთელი წლის ღვთისმსახურების შესრულების წესების რეგულატორი, იმ პერიოდში ჩამოყალიბდა, როცა ღვთისმსახურების ზემოაღნიშნულმა ძირითადმა ნაწილებმა გამოკვეთილი, მყარი სახე მიიღეს³⁰.

ტიპიკონმა დღიდან ჩასახვისა დასრულებული სახის მიღებამდე განვითარების გრძელი და რთული გზა განელო. მის დამუშავებასა და ჩამოყალიბებაში წვლილი მიუძღვის სხვადასხვა ეპოქისა და თაობის მრავალ ცნობილსა და კიდევ უფრო მეტ უცნობ საეკლესიო თუ საერო მოღვაწეს.

ტიპიკონის ისტორიის შესწავლამ პროფ. ნ. კრასნოსელცევი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მისი წარმოშობის საფუძველი იყო ღვთისმსახურებაში საკითხავად გამოყენებული ახალი აღთქმის წიგნებზე დართული ზემოაღნიშნული „სარჩევები“, რომლებიც დროთა განმავლობაში სხვადასხვა გარემოში რთულდებოდა კიდევ უფრო მეტი ლიტურგიკული მითითებებით ამა თუ იმ საეკლესიო წირვისა, თუ რიტუალის შესრულების შესახებ. ასე უნდა ჩაპყროდა საფუძველი პირველდაწყებით ტიპიკონს, რომელიც შემდეგ სამრევლო და სამონასტრო ეკლესიების ღვთისმსახურების განვითარებასთან დაკავშირებით თანდათან იკრებდა მასალას. ამას დაემატა ქტიტორთა

²⁹ Дрепний канонарь синайский, Тр. Киевской Дух. Ак. V. VI. 1874.

³⁰ Красносельцев Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

³⁰ Мансветов Н., დასახ. ნაშრომი, გვ. 1.

მიერ დაარსებული მონასტრებისათვის მიცემული წესებიც, რომლებიც ძირითადად დისციპლინარულ მითითებებს შეიცავდნენ. ამ წესებმა ტიპიკონებში აღდილი პოვეს მისი განვითარების ადრეულ ეტაპზევე. აქვე უნდა აღინიშნოს ის შევსებაც, რომელიც ტიპიკონმა მიიღო ევქოლოგიონიდან, თვეებიდან და ღვთისმსახურების სხვა წიგნებიდან²¹. ამ მასალის გამოყენების შედეგად გამოიკვეთა ტიპიკონის ადრინდელი ტიპი, რომელიც უკვე ახლოს იყო ზოგად საეკლესიო დანიშნულების ტიპიკონის იმ ტიპთან, რომელიც უფრო გვიან ჩამოყალიბდა (XI—XII სს.).

საეკვო არ არის და არც საკვირველი, რომ ღვთისმსახურების პირველი ნაბიჯები იერუსალიმში გადაიდგა, რადგან სწორედ იერუსალიმი იყო ქრისტიანული სარწმუნოების აღმოცენების ადგილი.

იერუსალიმში, ქრისტეს საფლავის ტაძარში შემუშავებული ღვთისმსახურების პრაქტიკა დიდი ხნის განმავლობაში მართადა მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურებას (საინტერესოა აღინიშნოს, რომ იერუსალიმის ეს „განჩინება“ ანუ „კანონი“ ქართულმა წყაროებმაც შემოგვინახა IX ს. ხელნაწერში. მაგრამ, როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, ის ნათარგმნი უნდა იყოს VIII ს. პირველ ნახევარში, ხოლო მისი ძირითადი ფენა VII საუკუნეს განეკუთვნება)²².

იერუსალიმის ეკლესიური ჰეგემონიის მზე მალე ჩაესვენა. ამის ძირითადი მიზეზი მაჰმადიანთა გამუდმებული შემოსევების შედეგად იერუსალიმის დაქცევა იყო. 614 წ. ივნისში იერუსალიმი სპარსთა მეფემ ხოსრომ დაიპყრო და მორწმუნეთა მთელი არმია — 90000 კაცზე მეტი — მოსპო. სპარსელებმა მიწასთან გაასწორეს იერუსალიმისა და მისი მიდამოების ეკლესიები და ტაძრები, გაძარცული და დარბეული იქნა აღდგომისა და ქრისტეს საფლავის სიმდიდრით განთქმული ეკლესიები. ამას დაემატა ხალიფა ომარის მიერ 637 წელს იერუსალიმის ხელმეორედ დამბობა. მის მიერვე 639—640 წლებში დარბეულ იქნა აღმოსავლეთის სხვა საპატრიარქოებიც. მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და ამაღლდა აღმოსავლეთის სხვა პატრიარქებზე. თუკი კონსტან-

²¹ Мансветов И., დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

²² К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь..., 1911; მისივე, ციტირებული, V, გვ. 246—47.



ტინოპოლის საპატრიარქო VII საუკუნემდე თითქმის მთლიანად დამოკიდებული იყო იერუსალიმის „ქრისტეს საფლავზე“ შემუშავებულ „იერუსალიმის კანონზე“²³, VII საუკუნიდან სწორედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო გახდა მართლმადიდებლური სამყაროს უძლიერესი ცენტრი, რომელმაც თანდათანობით გაავრცელა თავისი გავლენა აღმოსავლეთის სხვა ეკლესიებზე. წმ. სოფიის დიდი ეკლესიის (532—538 წ.) და მის ახლომახლო სხვა მნიშვნელოვანი ტაძრებისა და ეკლესიების აშენებამ, პატრიარქის სიახლოვემ იმპერატორის კართან და ღვთისმსახურების მდიდრულად შესრულებამ ხელი შეუწყო დიდი ეკლესიის (ე. ი. წმ. სოფიის) ტიპიკონის განვითარებას და მისი მოქმედების სფეროს სულ უფრო და უფრო გავრცელებას. შემდგომმა ისტორიულმა მოვლენებმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის წესდების გავლენის გაძლიერებას. 1009 წ. ხალიფა ალ-ჰაკიმმა მთლიანად დაანგრია ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ტაძრები, სადაც ჯერ კიდევ ტრადიციით შემონახული იყო იერუსალიმის ღვთისმსახურების მდიდრული პრაქტიკა. ამდენმა ნგრევამ, ბუნებრივია, გამოიწვია იერუსალიმის მდიდრული ღვთისმსახურების გაქრობა, ხოლო VII საუკუნიდან დაწყებული კონსტანტინოპოლის წესდების განვითარებას კიდევ უფრო მეტი გასაქანი მიეცა. აღნიშნული დროიდან დიდი ეკლესიის ტიპიკონის განვითარება საკუთრივ კონსტანტინოპოლის ნიადაგზე ხდება. აქ ის სხვადასხვა გარემოებათა გავლენით გამდიდრდა ახალი მასალით (როგორცაა ადგილობრივი ისტორიული მოვლენები და დღესასწაულები: ბარბაროსთა შემოსევა, ახალი ტაძრების კურთხევა, იმპერატორთა და პატრიარქთა ხსენებანი, მიწისძვრები და ა. შ.²⁴). აღსანიშნავია, რომ კონსტანტინეპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონმა გავლენა იქონია სამონასტრო ტიპიკონებზედაც. ღვთისმსახურების განგება და წმინდანთა ხსენების დღესასწაულები ძირითადად კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტიპიკონის ზეგავლენით დგებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ ეკლესია-მონასტრების ტიპიკონებშიც, რომლებსაც სამონასტრო ცხოვრების პირობების შესაბამისად დამატებით მონაზონთა ცხოვრებისა და

²³ ეს გავლენა ღვთისმსახურების წესის შესრულების გარდა ძლიერად იკრძნობოდა „წმიდა“ ადგილთა სახელწოდებაშიც, რომლებიც კონსტანტინეპოლში აღმოცენდა იერუსალიმის „წმიდა“ ადგილთა სახელწოდებების მიბაძვით. ასეთივე მდგომარეობა გვქონდა იერუსალიმის „კანონის“ მკითხის საპატრიარქო ტაძარში გამოყენებისას (ე. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 246—247).

²⁴ М И С И Л И И М., დასახ. ნაშრომი, გვ. 3—8.

მოდვეწობის დისციპლინარული ნაწილიც ჰქონდა. ეს გავლენა კარგად ჩანს IX—X საუკუნეებში ჩამოყალიბებულ სტუდიელთა მონასტრის ტიპიკონის ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებში (ე. წ. „მოკლე მონაზაზები“—*Ἐπιτομή*) და მის წმინდანთა ხსენების კალენდარშიც. თუმცა სტუდიელთა მონასტრის ტიპიკონმა ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით ახალი მასალაც დაუმატა ტიპიკონის როგორც კალენდარულ, ისე ლიტურგიულ ნაწილსაც³⁵.

ქრისტეს საფლავისა და კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონები საპატრიარქო, ე. ი. სამრევლო ეკლესიათა ტიპიკონების ტიპებს განეკუთვნებიან. გარდა ასეთი ტიპიკონებისა, ღვთისმსახურებაში ცნობილია სამონასტრო ტიპიკონები. სამონასტრო ტიპიკონების ჩამოყალიბება დაკავშირებულია ბერ-მონაზვნობის წარმოშობასთან. სამონასტრო ცხოვრების სპეციფიკამ თავის მხრივ გამოიწვია ისეთი წესებისა და კანონების შემოღება, რომელთა გათვალისწინება სამრევლო ეკლესიებისათვის საჭირო არ იყო. უმთავრესად ეს შეეხებოდა სამონასტრო ცხოვრების დისციპლინარულ მხარეს, რომელსაც უნდა განესაზღვრა ბერ-მონაზონთა მოღვეწობის, ყოველდღიური ცხოვრების ყოველგვარი წვრილმანიც კი, აგრეთვე ღვთისმსახურების შესრულების სამონასტრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური რიტუალი. ასეთი ტიპიკონებიდან ცნობილია ზემოაღნიშნული თეოდორე სტუდიელის მონასტრის ტიპიკონი კონსტანტინოპოლში და საბა განწმედილისა — პალესტინაში.

სტუდიელთა მონასტრის ტიპიკონი, რომლის წარმოშობა ამ მონასტრის წინამძღვრის თეოდორე სტუდიელის სახელთანაა დაკავშირებული. სინამდვილეში კი მისი ანდერძისა და სტუდიელთა მონასტრის პრაქტიკის საფუძველზე გაცილებით გვიან შეიქმნა, გავრცელდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში, ათონის მთაზე, სადაც მან ათანასეს ლავრაში დამკვიდრებულ ღვთისმსახურების პრაქტიკასთან შერწყმით ახალი სახე მიიღო, შეივსო ახალი, ადგილობრივი პირობებით გასათვალისწინებელი მასალით, რაც უპირველეს ყოვლისა, დისციპლინარულ ნაწილს ეხებოდა³⁶. ათანასეს ლავრიდან სტუდიელთა მონასტრის ტიპიკონი გავრცელდა ათონის სხვა მო-

³⁵ Сергий II, დასახ. ნაშრომი, გვ. 204—205.

³⁶ П. Успенский II, История Афона, ч. III, Киев, 1877, стр. 151; Мансветов И., დასახ. ნაშრომი, გვ. 223.



ნასტრებშიც²⁷. როგორც აღვნიშნეთ, სტუდიელთა მონასტრის ღვთისმსახურების პრაქტიკაზე დიდი გავლენა მოახდინა კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის ეკლესიის ტიპიკონმაც, ისევე როგორც პალესტინაში საბა განწმედილის ტიპიკონზე ქრისტეს საფლავის ტაძარში დაუტლმა ღვთისმსახურების პრაქტიკამ. ეს გავლენა ღვთისმსახურების შესრულების რიტუალთან ერთად ვრცელდებოდა წმინდანთა ხსენების დღეებზედაც, თუმცა სტუდიელთა მონასტრის წმინდანების ხსენებანიც თავის მხრივ შევიდა დიდი ეკლესიის „სუნაქსარში“, გაცილებით მცირე რაოდენობით, ვიდრე შესაძლებელია ყოფილიყო სტუდიელთა მონასტრის კალენდარში, ან მოსახსენებელ ალაპებში²⁸.

ავიოლოგიური მასალის მხრივ მნიშვნელოვანია მხოლოდ დიდი ეკლესიის, ე. ი. კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის ტიპიკონები, რადგან წმინდანთა მოკლე ბიოგრაფიული და ისტორიული ცნობების შემცველი ყველა სრული სვინაქსარული კრებული კონსტანტინოპოლურია. ასეთი ტიპიკონების ნუსხები ჯერჯერობით რამდენიმეა ცნობილი. ამათგან უძველესია პატმოსის ბიბლიოთეკის IX—X საუკუნეების № 266 ხელნაწერი. ეს ტიპიკონი სხვადასხვა წყაროებიდან შედგენილი ჩანს. სხვათა შორის, ხშირად ერთი და იგივე წმინდანი განმეორებულია ერთსა და იმავე დღეს; შემდგენელს იგი სხვა წმინდანად მიუჩნევია, რადგან წყაროში ეს სახელი დამახინჯებული ყოფილა²⁹. ასეთი შემთხვევები მრავლად შეიძლება მოიძებნოს გიორგი მთაწმიდლის „დიდი სუნაქსარშიც“, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ვარაუდს, რომ „დიდი სუნაქსარის“ ავიოლოგიური ნაწილის წყარო პატმოსის ხელნაწერის ტიპის ერთ-ერთი ნუსხა უნდა იყოს. ამ ტიპიკონში ყველაზე გვიანდელად კონსტანტინოპოლელი პატრიარქის ეგნატის ხსენება (გარდა. 877—878წ. 23 IX) და ვულის ეკლესიის კურთხევა (20 V 894 წ. ახლო ხანებში) მიაჩნიათ³⁰.

პატმოსის ბიბლიოთეკის ტიპიკონი გამოირჩევა წმინდანთა ხსენებების სიუხვით, საშუალოდ 5—7 ხსენება ერთ დღეს; თუმცა სვინაქსარული ცხოვრება ახლავს მხოლოდ ერთი ან ორი წმინდანის

²⁷ გ. მთაწმიდლის „დიდი სუნაქსარის“ დისკოლონარული ნაწილის უმეტესი სტატიები, გადამუშავებული სახით, სწორედ ათანასეს Διακρίσις-დან უნდა იყოს აღებული (К. Кекелидзе, Литургические памятники..., 1907, стр. 483).

²⁸ Сергий II, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 204.

²⁹ იქვე, გვ. 28.

³⁰ იქვე, გვ. 140—141.



სახელს, დანარჩენებისა მხოლოდ სადაურობა და ზოგჯერ ადგილია მითითებული. ამ სვინაქსაროს სხვა ცნობილ სრულ სვინაქსარებსა და გავრცობილ კალენდრებს შორის საშუალო ადგილი უჭირავს.

კონსტანტინოპოლის პატმოსის ბიბლიოთეკის ტიპიკონს დროის ერთი მონაკვეთის პროდუქტად არ მიიჩნევენ. როგორც სერგი ფიქრობს, მასში შესაძლებელია გამოიყოს ფენები, რაც ადასტურებს, რომ ეს ტიპიკონი საუკუნეების მანძილზე იცეზბოდა. მაგ., ამ ტიპიკონში 16/XII დადებულია მოწამე ეკეხას სხენება, რომელსაც აქვს ასეთი შენიშვნა: „იწამა ჩვენ დროს პალესტინაში, ირინე და კონსტანტინე მეფეების დროს“-ო⁴¹ (780—797). საფიქრებელია, რომ ასეთი ღორმით სახსენებელი მექანიკურად უნდა იყოს გადმოტანილი გადამწერის მიერ. თავისთავად ეს ადგილი ამტკიცებს, რომ ასეთი გავრცობილი სვინაქსარული კრებული, როგორც ტიპიკონის ნემადგენელი ნაწილი, უკვე VIII ს. მეორე ნახევრისათვის ჩამოყალიბებულ სახეს ატარებდა.

აღნიშნული სვინაქსარის საფუძველი მოწამეთა სხენებების შემცველი უძველესი სვინაქსარ-კალენდარია, რომელიც თანდათანობით გავრცელდა და შეივსო მომდევნო დროის დღესასწაულებით⁴².

ასეთივე ტიპის სრული სვინაქსარია იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის № 40 ხელნაწერი, რომელიც შეიცავს კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის ტიპიკონის პატმოსის ხელნაწერთან შედარებით უფრო სრულყოფილ და განვითარების უფრო მაღალ დონეზე მდგარ ახალ ნუსხას. ეს ტიპიკონი და მასში შემავალი გავრცობილი სვინაქსარი შედგენილია ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის დაეალებით X საუკუნის შუა წლებში⁴³. ამ ტიპიკონის შედგენას უმთავრესად აგვიოგრაფიული მიზანი ჰქონდა, როგორც ეს შემდგენელის ანდერძიდან ჩანს; იმპერატორს მისთვის დაუვალებია ყველა იმ წმინდანის ცხოვრების მოკლე მიმოხილვის შედგენა, რომელთა ხსოვნას ეკლესია აღნიშნავს. მან ხელი მოჰკიდა ამ ძნელ საქმეს და არსებული შრომების საფუძველზე შეადგინა მოკლე ცხოვრებანი, სადაც ნაჩვენებია — ვინ იყვნენ ისინი, როდის ცხოვრობდნენ, ვის დროს და როგორ ეწამნენ. შემდგენელი აღნი-

⁴¹ С е р г и й, დასახლ. ნაშრომი, I, გვ. 140.

⁴² იქვე, გვ. 140—141.

⁴³ В а с а н დ о პ у л о - К е რ ა მ ე ვ ს ი თ 945—50 წ. («Визант. временник», 1896 г., III, вып. 3, стр. 89 II 435); ბელიაევი თ 950—956 წ («Визант. прера», III—IV, 1896, стр. 437).

შნავს, რომ იგი არ ცდილა ენაწყლიანობა გამოეჩინა, არამედ უნდოდა სიმართლე მოეთხრო⁴⁴.

სვინაქსარული ნაწილის მიხედვით, კონსტანტინე იპერატორის დაეალებით შედგენილი ტიპიკონი კონსტანტინოპოლის ტიპიკონის განვითარების ახალ საფეხურს წარმოადგენს. ტიპიკონის ეს ნაწილი პატმოსის ნუსხასთან შედარებით იერუსალიმის ნუსხაში საფუძვლიანადაა გადამუშავებული და გავრცობილი. აქ მოთავსებულია იმ წმინდანების სვინაქსარული ცხოვრებანი, რომელთა შესახებ პატმოსის ხელნაწერში და სხვა სვინაქსარებში ხსენებაც არ არის, ან კიდევ მხოლოდ ხსენებანია ბიოგრაფიის გარეშე (მაგ., 23/X, 9/I, 14/I, 12/III და ა. შ.). პატმოსთან შედარებით იერუსალიმური ნუსხა ხშირად გავრცობილია ახალი ფაქტებით. იგი ზოგჯერ სრულად იყენებს პატმოსის ნუსხის მასალას (13/VIII), ხშირად კი თავიდან ბოლომდე სარწმუნო ფაქტებზე დაყრდნობით ახლებურად გამოგვეცხმს ამა თუ იმ წმინდანის ცხოვრების ეპიზოდს⁴⁵.

კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონის ამ ორი ნუსხის დაწერილებითი განხილვა იმიტომ დაგვეკირდა, რომ წარმოგვედგინა სვინაქსარული ნაწილის განვითარება-შეცვლების ის გზა, რომლითაც სვინაქსარულ ცხოვრებათა ევოლუცია წარიმართა. კერძოდ, კონსტანტინოპოლის ტიპიკონზე საგანგებოდ შეჩერება უნდა გავამართლოთ იმით, რომ ქართულმა ეკლესიამ სწორედ ამ ტიპიკონით წარმართა თავისი ღვთისმსახურება X—XII ს-ში. ქართულ ღვთისმსახურებაში სვინაქსარულ ცხოვრებათა დანერგვა კონსტანტინოპოლის სვინაქსარში მოთავსებულ მოკლე ცხოვრებათა ყალიბზე მიმდინარეობდა თითქმის XVIII საუკუნემდეც კი. მართალია, გიორგი მთაწმიდლის „დიდი სვინაქსარის“ წყაროების მიგნება მომავალი ძიების საქმეა, მაგრამ, საფიქრებელია, რომ მისი აგიოლოგიური ნაწილი კონსტანტინოპოლის ტიპიკონის იმ ნუსხიდან უნდა იყოს გადმოღებული, რომელიც პატმოსის ხელნაწერზე გვიანდელია, მაგრამ იერუსალიმურ ნუსხაზე აღრინდელი და მათ შორის საშუალო ადგილი უჭირავს. ამ ვარაუდის საფუძველი აღნიშნული სამი ნუსხის (პატმოსის, იერუსალიმურისა და „დიდი სვინაქსარის“) ზოგიერთი დღის ხსენებაში ჩანს, რაც ცალკე კვლევის საგანია.

⁴⁴ Беляев Д., Новый список др. Устава конст-ских церквей, «Визант. врем.», III—IV, 1896 г., стр. 438—439.

⁴⁵ Дмитриевский А., Новые данные для истории типикона Великой церкви конст-ской, «Тр. Киевской Дух. Акад.», 1902, 12, стр. 519.

გარდა განხილული სვინაქსარებისა, ცნობილია სვინაქსართა სხვა ნუსხებიც, მაგრამ ქართული სვინაქსარული მასალის მათთან სიახლოვე არ არის მოსალოდნელი⁴⁶, ამიტომ მათზე აღარ შევიჩრდებით (ბასილის მენოლოგია X ს., პეტრუს ტიპიკონი XI ს., გალექსილი სვინაქსარი XI ს. და მხოლოდ სლავურში შემორჩენილი ბასილის მენოლოგიის სახესხვაობა XI ს. ბოლო და XII ს. დასაწყისი და სხვა).

მოკლედ რომ გავითვალისწინოთ ის, რაც ზემოთ ითქვა, ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურებაში აგიოგრაფიული ნაწილის ჩასახვისა და გადმოცემის ფორმების განვითარების სურათი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

1. ქრისტიანული სარწმუნოების აღმოცენების პერიოდში ღვთისმსახურება იმდენად პრიმიტიული იყო, რომ მხოლოდ ფსალმუნის, ლოცვების, ქადაგებისა და საღმრთო წერილის კითხვით ამოიწურებოდა. იგი ჯერ კიდევ არ შეიცავდა აგიოგრაფიულ მასალას, რამდენადაც ეს მასალა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო.

2. მეორე საუკუნიდან იწყება მოწამეთა ხსენების დღის დამკვიდრება და სავარაუდებელია მათი ცხოვრების კითხვა ამ დღესასწაულების აღნიშვნის დროს.

3. III—IV საუკუნეებში მოწამეთა ცხოვრებების წაკითხვა ეკლესიებში ღვთისმსახურების აუცილებელი და სავალდებულო ნაწილია (კართ. კრებ. კანონი 48).

4. საუფლო და მოწამეთა დღეების დღესასწაულების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით შეიქმნა ე. წ. სვინაქსარ-კალენდრები, რომლებიც უჩვენებდნენ საღმრთო წერილიდან და მოწამეთა აქტებიდან რა მასალა როდის უნდა წაკითხულიყო.

5. მომდევნო საუკუნეებში (V—VIII) ახალი და ძველი აღთქმის წიგნებთან დაკავშირებული საეკლესიო დღესასწაულებისა და აგრეთვე ახალ მოწამეთა და წმინდანთა დღესასწაულების რიცხვის ზრდამ ასეთი კალენდრების თანდათანობით შევსება და გავრცობა გამოიწვია. ხსენებანიც წმინდანთა მხოლოდ სახელის აღნიშვნიდან გაფართოვდა მათი ცხოვრების უმთავრესი ფაქტების მოკლედ გადმოცემამდე (წამების დრო, ადგილი და სხვა). ამ დროის კალენდრების უმრავლესობა მრავალ ლიტურგიულ მითითებასაც შეიცავს.

6. საეკლესიო ტიპიკონების ჩამოყალიბებისა და განვითარების გარკვეულ ეტაპზე ასეთი სვინაქსარ-კალენდარი, „სვინაქსარის“ სა-

⁴⁶ აგიოგრაფიულ მასალის მხრივ ზოგჯერ ჩანს იგივეობა ბასილს მენოლოგიასა და „დღდ სვინაქსარს“ შორის, რაც მათ მიერ საერთო წყაროს გამოყენებას უნდა მიეწეროს.



ხელწოდებით ტიპიკონის შემადგენლობაში შევიდა, როგორც ღვთის მსახურების მარეგულირებელი მთელი წლის მანძილზე:

* 7. VIII საუკუნიდან ტიპიკონის სვინაქსარული ნაწილი ახალ ფორმას იღებს. რამდენიმე ტიპიკონის „სვინაქსარი“ (ძირითადად კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიისა) შეიცავს ზოგიერთი მოწაპის, თუ წმინდანის მოკლე, ზოგჯერ მოზრდილ ცხოვრებას, ე. წ. სვინაქსარულ ცხოვრებას, რომელიც წმინდანის უმთავრეს ბიოგრაფიულ ცნობებს გადმოგვცემს და აგიოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით არის შედგენილი (ასეთებია პატმოსის ბიბლიოთეკის № 266, იერუსალიმის საპატრ. ბიბლიოთეკის № 40, დრეზდენის ბიბლ. ხელნაწერი № 104, ბასილის მენოლოგია და სხვა). ამ მოკლე ცხოვრებებმა, ვფიქრობთ, ნაწილობრივ შეცვალეს ღვთისმსახურებაში ზოგიერთი ვრცელი „ცხოვრების“ წაკითხვის საკიროება.

8. სვინაქსარულ ცხოვრებათა შემდგომი დამუშავებისა და სრულყოფის ტენდენცია კარგად ივარძობა IX—X საუკუნეების ტიპიკონების მიხედვით (იერუსალ. № 40, ბასილის მენოლოგია), რომლებშიც ჩანს იმის ცდა, რომ „სვინაქსარში“ შესულ ყველა წმინდანს ჰქონდეს ასეთი სვინაქსარული ცხოვრება და თანაც ის, რაც შეიძლება ვრცელი და აღრინდელ მსგავს კრებულებთან შედარებით მეტი ცნობების შემცველი იყოს.

ქართული ღვთისმსახურების ჩასახვა და შემდგომი განვითარება სულ სხვა პირობებში მიმდინარეობდა, ვიდრე ბერძნულსა. IV საუკუნეში, როგორც ცნობილია, ბერძნული ღვთისმსახურება ძირითადად ჩამოყალიბებულია, ამდენად ქართულ სინამდვილეში საკირო აღარ იყო ღვთისმსახურების განვითარების იმ ელემენტარული საფეხურების გავლა, რასაც ბერძნულში ვხედავთ; ქართულმა ეკლესიამ ღვთისმსახურების მზამზარეული ფორმები მიიღო და მისი უპირველესი საზრუნავი ამ ფორმების გადმოქართულება გახდა.

ქართული ლიტურგიკული მწერლობა ჩაისახა პალესტინის IV—V საუკუნეების იმ მონასტრებში (ხარიტონისა და საბა განწმენდილის ლავრები), რომლებშიც ამ დროისათვის ქართველთა მოღვაწეობის ფაქტი ექვს არ იწვევს. ამდენად, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ქართულად ღვთისმსახურების პირველი წიგნები ითარგმნა იმ ენიდან, რომელზედაც შეიქმნა ქრისტიანული მწერლობის პირველი

ძეგლები, ე. ი. ბერძნული ენიდან, თუმცა სირიულიდან თარგმნის შესაძლებლობაც არ არის გამორიცხული⁴⁷.

აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ქართულად ღვთისმსახურება ქრისტიანობის შემოღებისთანავე ვერ შესრულდებოდა, რადგან მანამდე საჭირო იქნებოდა ლიტურგიკული წესების გადმოქართულება და საეკლესიო პირების მომზადება. ამიტომ ქრისტიანობის შემოღებიდან ერთი საუკუნე მოსამზადებელ პერიოდად უნდა ვივარაუდოთ. ასე რომ ქართული ღვთისმსახურების დასაწყისი V ს. ნახევრიდან უნდა ვიანგარიშოთ⁴⁸. თავდაპირველადვე ქართული ღვთისმსახურების შესრულების დროს ბერძნულის მსგავსად იკითხებოდა საღმრთო წერილი, ფსალმუნი, ლოცვები, ქადაგებანი და მოწამეთა აქტები. მართლაც, „შუშანიკის წამება“ გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ V ს. მეორე ნახევარში ქართულად არსებობდა სახარება, საკმე მოციქულთა და მოწამეთა წიგნები⁴⁹. საბა განწმენდილის ანდერძი (532 წ.) გვამცნობს, რომ მის ლავრაში მოღვაწე ქართველებს უფლება ჰქონდათ ქართულად შეესრულებინათ ეპანობა, სამხრობა და წაეკითხათ სახარება და სამოციქულო⁵⁰. VI საუკუნის გასულს, კირიონ კათალიკოსის დროს, როგორც ეს ქართველ-სომეხთა ეკლესიის მეთაურთა მიმოწერიდან ჩანს, საქართველოს ეკლესიის 35 ეპარქიაში ღვთისმსახურება ქართულად სრულდებოდა, ცურტავში — სომეხურადაც⁵¹.

ქართულ საეკლესიო მწერლობაში ნაციონალურ მოღვაწეთა „მარტილობების“ წარმოშობა-შექმნას, უნდა ვიფიქროთ, თავიდანვე ლიტურგიკული დანიშნულებაც ჰქონდა. მართალია, ასეთი თხზულებები მოწამეთა უკვდავსაყოფად და დამპყრობელთა ძალმომრეობის უძნელეს პერიოდში ეროვნული იდეებისა და ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების სააგიტაციოდ იწერებოდა, მაგრამ მა-

⁴⁷ К. Кекелидзе, Литургические памятники..., 1908, стр. XI—XII.

⁴⁸ კ. კეკელიძე, ქართულ ლიტურგ. ისტორია. I, 1941, გვ. 527.

⁴⁹ იაკობ ცურტაველი, წამება შუშანიკის, ილ. აბულაძის გამოცემა, 1938, გვ. 17.

⁵⁰ თუმცა დიმიტრიევსკი ფიქრობს, რომ „იბერების“ ნაცულად თავდაპირველად ტექსტში უნდა ყოფილიყო, ἁγιῶν, რაც შემდეგ შეგნებულად უნდა გადაესწორებინათ ბერძნების სომხებისადმი ანტიპატური დამოკიდებულების გამო (Путешествие по Востоку и его научное значение, 1890, стр. 18). საერთოდ კი ავტორი არ უარყოფს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ აზრს, რომ უკვე V ს. პალესტინაში ქართველებს ჰქონდათ დამოუკიდებელი მონასტრები.

⁵¹ К. Кекелидзе, Литургические памятники..., 1903, стр. X.

თი წაკითხვა მორწმუნეთათვის მხოლოდ ქრისტიანეთა შეკრებებზე, ე. ი. ღვთისმსახურების შესრულების დროს იყო შესაძლებელი, რაც თავისთავად მიუთითებს აგიოგრაფიის ამ ნაწილის თავდაპირველადვე ლიტურგიკულ დანიშნულებაზე. მართლაც, „წამება-ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ ძველ ქართულ ძეგლებს, რომ არაფერი ვთქვათ მოგვიანო ხანის თხზულებებზე, სათაურშივე მითითებული აქვთ დღე, რომელიც დადებულია ამ წმინდანის სახსენებლად და გული-სმობს ღვთისმსახურებაზე აღნიშნული თხზულების წაკითხვას.

ქართველ მოღვაწეთა და სხვა ნაციონალური ქრისტიანული უძველესი დღესასწაულების დაწესების შესახებ ქართულმა წყაროებმა ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა შემოგვინახა. ამ ცნობათა მიხედვით ჩანს, რომ ასეთი ხსენებები V—VI სს. მოძრავი ქრისტიანული დღესასწაულების დღეებში იღებოდა. მაგალითად, შუშანიკის ხსენება მისი გარდაცვალებისთანავე დაიღო ხუთშაბათს: „და დღე ხუთშაბათი იყო, რომელსა განეაწესეთ საქსენებელი წმიდისა შუშანიკისი“⁵²; მირიანის დროს „დააწესეს დღესასწაული ძღვევით შემოსლისა ჭუარისაჲ აღვებისა ზატიკისა ზატიკსა, დღესა კვრიაკესა“⁵³; „მარტკლიისა უკუანა — დღესა ოთხშაბათსა“⁵⁴; „პირველსა ხუთშაბათსა შემდგომად ამალლებისა — დავით გარეჯელისა“⁵⁵; „პირველსა ოთხშაბათსა შემდგომად ამალლებისა — დოდო გარეჯელისა“⁵⁶; „კვრიაკესა მესამესა ზატიკთა — მცხეთის ჭუარისაჲ“⁵⁷; „კორციელისა პარასკევსა“⁵⁸ და „გ ზატიკსა, დღესა შაბათსა — წმიდისა ნინოჲსი“⁵⁹; „ყველიერისა ხუთშაბათსა — შიოჲსი“⁶⁰ და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილ წმინდანთაგან, როგორც ვხედავთ, არც ერთი არ არის VI საუკუნეზე გვიანდელი მოღვაწე; დღესასწაულებიც VI ს. ადრე დაწესებული ჩანს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს,

⁵² „წამებაჲ შუშანიკისი“, ილ. აბულაძის გამოცემა, 1938, გვ. 46.

⁵³ ო. Жордания, Описание... II, стр. 795; აგრეთვე იოვანე-ზოსიმეს კალენდარი, გვ. 25.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ საქართველოს სამოთხე, გვ. 265.

⁵⁶ იქვე, გვ. 292.

⁵⁷ იოვანე ზოსიმეს კალენდარი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 225.

⁵⁸ Sin.—5, 28v (მინაწერი ტექსტის ხელოთ); Ier.—42, 78v; Sin.—9; Sin.—17.

⁵⁹ პარიზის ლეკტონარი, Ri. VIII № 3 (III), 301v. (ე. კეკელიძე ამ ხსენებას უჩვენებს იოვანე-ზოსიმეს კალენდარში, რაც შეცდომაა. ქართ. ლიტ. ისტ., 1951, გვ. 109).

⁶⁰ H—1349, 1r.

რომ V—VI საუკუნეებში წმინდანთა ხსენება იღებოდა მხოლოდ შვიდეულის დღეებში, მოძრავ დღესასწაულებზე, რაც თავისთავად მიუთითებს, რომ ამ დროისათვის ნაციონალურ წმინდანთა დღესასწაულების დაწესების კალენდარული სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის. რადგან სამარხვო დღესასწაულთა სისტემა უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე საეკლესიო წლის დღესასწაულთა კალენდრის მიხედვით აღნიშვნა⁶¹, შვიდეულის დღეებში დაწესებული წმინდანთა დღესასწაულები უფრო არქაულია, ვიდრე კალენდარული ხსენების დღეები. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მოგვიანო ხანის ლიტურგიკულ ძეგლებში ყველა დასახვლებულ მოღვაწეს კალენდარული ხსენების დღე მოეპოვება, მაგ., შუშანიკს—17 ოქტომბერი⁶², დავით გარეჯელს—28 მაისი (იშვიათად), დოდო გარეჯელს—27 მაისი (იშვიათად), ნინოს—14 იანვარი, შიო მღვიმელს—9 მაისი. ხსენების დღეთა უძველესი სახით აღნიშვნა მხოლოდ სირიელ მამებს—დავით გარეჯელს, შიო მღვიმელს და დოდო გარეჯელს შემორჩათ, ისიც პარალელურად, ხოლო შუშანიკის, ნინოს და აბიბოს დღესასწაულები მხოლოდ ხსენების კალენდარული სისტემით დამკვიდრდა. ქართული ეკლესიის უძველეს წმინდანთა—რაქდენ პირველმოწამის, ევსტათი მცხეთელისა და ცხრა კოლაელთა ხსენების დღეები თავდაპირველად მოძრავ დღესასწაულებზე დაიდებოდა, თუმცა მათი ცხოვრებანი და უძველესი ლიტურგიკული ძეგლები ამის შესახებ არას გვამცნობენ, ხოლო მოგვიანო ხანის ძეგლებში (მაგ., A—97/ XI ს.) მათი ხსენება უკვე წელიწადის კალენდარულ დღეებშია დადებული.

VIII—IX საუკუნეების ძეგლებში წმინდანთა დღესასწაულები უკვე თავის დღეებშია წარმოდგენილი. მაგ. აბოს ხსენება დაწესდა ნათლისღების მეორე დღეს, 7 იანვარს; IX—X საუკუნეებში შექმნილი ძეგლი „ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“ წმინდანის ხსენების დღედ უკვე წლის კალენდარულ დღეს—29 ოქტომბერს მიუთითებს: „ხოლო განვაწესეთ საჯსენებელი წმიდისა ამის გალობითა და შესხმითა სულიერითა და ლამის თევითა დღესასწაულობითა ოკდონბერსა ოცდაცხრაჲსა...“⁶³. ხსენებათა კალენდარზე გადასვლა ქართულ სინამდვი-

⁶¹ Н. Мансветов, Церковный Устав, Москва, 1885, стр. 45, 58.

⁶² ძირითადად, თორემ გვხვდება მისი ხსენება სხვა დღეებშიც: 2 ოქტომბერს—A—111, 48r, 1703—15 წ., A—152, 46r, 1742 წ.; Q—627, 356r, XVIII ს.; ცენტრ. არქ. № 488, XVIII ს. 21 აგვისტოს A—97—300 v, XI ს. არშიაზე ტექსტ. ხელით; A—1486, 197v, 1765 წ. 1 სოფებერს—Q—662, XVII ს.

⁶³ ძველი ქართული ლიტურგიკის კრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, 1946, გვ. 97.

ლეში VII—VIII საუკუნეებიდან უნდა დაწყებულიყო. თუმცა, ძველი სისტემა, ალბათ, პირველ ხანებში მაინც, პარალელურად განაგრძობდა არსებობას, ხოლო შემდეგ თანდათან გამოიღვენა. ზოგიერთმა დღესასწაულმა კი პარალელურად ბოლომდე შეინარჩუნა აღნიშვნის თავდაპირველი სახე (დავით გარეჯელი, დოდო გარეჯელი, შიო მღვიმელი და სხვა ქრისტიანული დღესასწაულები).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ მოღვაწეთა ხსენების დღეს ლეთისმსახურებაზე თავიდანვე მათ „წამებებს“ და „ცხოვრებებს“ კითხულობდნენ. ამის შესახებ ზოგიერთი „ცხოვრების“ ტექსტიც მეტყველებს, რომელშიც ხშირია მსმენელ-მორწმუნეებისადმი ასეთი მიმართვები: „მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი...“ (წამება აბოჲსი, ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ., I, გვ. 56), „საყუარელნო, ნუ გეწყინებინ სმენად სიტყუათა ამათ...“ (იქვე, გვ. 57), „მიიღეთ ჩემგან სანატრელი ესე სმენაჲ წმიდისა მოწამისა“ (იქვე, გვ. 63), „აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“ (იქვე, 1,34), „საყუარელნო...“ მიმართვა მსმენელებისადმი (კოსტანტი კახის წამება—ქრესტ. გვ. 74), „იხილეთ, რასა ვიტყვ, მორწმუნენო, ანუ რაჲ არს დღეს მიზეზი სიტყვსა ჩემისა და თქუენისა აქა შემოკრებისა“ (რადენის წამება, ქრესტ., I, გვ. 241), „ესე ნეტარისა ნინოჲს ცხოვრებაჲ შეუწყობელად და განბნეულად... აღრეულად ეწერა... ამისთჳს საეკლესიო მკითხველთათჳს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათჳს უკმარ და ვერ საცნაურ...“ (არსენ ბერი, ცხოვრებაჲ წმ. ნინოჲსი, საეკლ. მუხ. გამოცემა, № 10, გვ. 51—52) და სხვა მრავალი. მოტანილი მაგალითები ნათლად მეტყველებენ ამა თუ იმ მოღვაწის სრული ცხოვრების ლეთისმსახურების დროს წაკითხვის საჭიროებაზე.

მართალია, ნაციონალური წმინდანების „წამება“-„ცხოვრებანი“ ქართულ ეკლესიას არც თუ ისე დიდი რაოდენობით ჰქონდა, მაგრამ ვრცელი ცხოვრების ლეთისმსახურებაზე წაკითხვის პრაქტიკამ, როგორც ჩანს, მაინც გადასინჯვა მოითხოვა, რადგან ის დღეები, რომლებშიც წმინდანის „ცხოვრება“ იკითხებოდა, დროთა განმავლობაში გადაიტვირთა ნაციონალური, ზოგადქრისტიანული და მსოფლიო ეკლესიის წმინდანთა დღესასწაულებით. ამას უნდა გამოეწერა წმინდანთა ხსენების დღეებში წასაკითხი მასალის შემოკლების პრაქტიკული საჭიროება. მართლაც, არის საკმაო საფუძველი ვითქვით, რომ ლეთისმსახურებაში ზოგიერთი დიდი ზომის ცხოვრება ამავე მოღვაწის შემოკლებულმა ცხოვრებამ შეცვალა.

ასეთ შემოკლებულ ცხოვრებებს შეიძლება სვინაქსარული ტიპის ცხოვრებანი ვუწოდოთ⁶⁴, რადგან ჩვეულებრივ სვინაქსარულ ცხოვრებებთან შედარებით შემოკლებული ცხოვრებანი გაცილებით ვრცელია და არცერთ ლიტურგიკული ხასიათის კრებულში (ე. ი. სვინაქსარში, ან სადღესასწაულოში) არ არის შესული. ასეთი სვინაქსარული ტიპის ცხოვრებებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ: შუშანიკის წამების 940 წ. სომხურიდან ნათარგმნი შემოკლებული ცხოვრება⁶⁵, იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელისა და აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებათა მოკლე რედაქციები; ილარიონ ქართველის, არჩილ მეფის⁶⁶, ნინოს, პეტრე იბერიის ცხოვრებათა მოკლე ვარიანტები. აღნიშნულ ცხოვრებებს საფუძვლად ვრცელი რედაქციის ტექსტები უდევს. უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე თითოეული მოღვაწის ცხოვრების სვინაქსარული რედაქციის განხილვისას შევიჩრდებით. მაგრამ საინტერესოა ის გარემოება, რომ ჩამოთვლილ „ცხოვრებათა“ მოკლე რედაქციების უმეტესობა არ სცილდება X—XI საუკუნეების ფარგლებს, ე. ი. წინ უსწრებს ქართულ ეკლესიაში სვინაქსარული ცხოვრების ჟანრის დამკვიდრებას, აქედან გამომდინარე გიორგი მთაწმიდლის მიერ „დიდი სვინაქსარის“ თარგმნას. მხოლოდ ნინოსა (XIII ს.) და პეტრე იბერიელის ცხოვრებათა მოკლე ვარიანტებია შექმნილი ცოტა მოგვიანებით, ალბათ, ტრადიციის გავლენით.

VI—IX საუკუნეების დანარჩენ მოღვაწეებს „სვინაქსარის“ საქართველოში გავრცელებამდე არ გააჩნიათ ცხოვრების მოკლე რედაქციები და თვით მათი სვინაქსარული ცხოვრებანიც, გარდა უმცირესი გამოჩაყლისისა (აბოს—XIV ს., დავით და კონსტანტინესი—XIII—XIV სს.), ჩვენ მხოლოდ XVIII საუკუნიდან მოგვეპოვება (ევსტათი მცხეთელის, გობრონის, კოსტანტი კახისა), ან კიდევ სრულებით არ შენახულა ჩვენამდე (გრიგოლ ხანქთელის, სერაპიონ

⁶⁴ აქად. ს. ქანაშია (შრომები, ტ. II, გვ. 258. სქოლიო) ასურულ ბამათა მოკლე ცხოვრებებს სვინაქსარული მიდრეკილებების ცხოვრებებს უწოდებს, ხოლო პროვ. ილ. აბულაძე—ერთგვარ სვინაქსარულ რედაქციას (ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების ძველი წიგნები, გვ. XVI).

⁶⁵ რომლის დედანს აქად. კ. კეკელიძე სვინაქსარულს უწოდებს (ქართ. ლტერ. ისტ., I, გვ. 110, სქოლიო).

⁶⁶ არჩილ მეფის დღესასწაულის უძველესი კულტა (იოანე ზოსიმეს კალენდრით 15 იანვარს) ექვს ბაღებს, რომ არსებობდა მისი ცხოვრებაც, რომლის შემოკლებული საჩე უნდა იყოს არჩილის „ქართლის ცხოვრებისეული“ მოკლე ნუსხა.

ზარზმელის, ცხრა ძმა კოლაელთა). როგორღა აეხსნათ ეს ფაქტი? ნუთუ მათი ხსენების დღეებში არ იყო საჭიროება ისეთივე ტიპის შემოკლებული ცხოვრებანი წაკითხულიყო, როგორც ეს ილარიონ ქართველის, ასურელ მოღვაწეთა და სხვათა შესახებ აღნიშნეთ? გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია, მხოლოდ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კოსტანტი კახის, გობრონისა და ცხრა ძმა კოლაელთა წამებანი არ მოითხოვდნენ შემოკლებული ცხოვრებების შედგენას, რადგან მათი ცხოვრების ტექსტები არაფრით არ აღემატება მოკლე ტიპის ცხოვრებებს, უფრო მეტიც, ზოგიერთთან შედარებით ისინი მცირენიცი კი არიან. რაც შეეხება ევსტათი მცხეთელის, დავით და კონსტანტინეს, გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებებს, ისინი ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ შემონახულან. მათ, როგორც ცნობილია, გადამკეთებელ-მეტაფრასტის ხელში გაუვლიათ და, ამდენად, ძნელია მათ კიმენურ რედაქციებზე მსჯელობა. მაგალითად, დავით და კოსტანტინეს XII ს. შექმნილი ცხოვრების არც თუ ვრცელი ზომის მეტაფრასტული რედაქცია, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული⁶⁷, შექმნილია ამ მოწამეთა ღვაწლის შემცველი ძველადვე არსებული თხზულების საფუძველზე, და, საფიქრებელია, გაცილებით მოკლე იყო მეტაფრასტულთან შედარებით. ამიტომ მისი ლიტურგიკული დანიშნულებით გამოყენება სავსებით შესაძლებელი იქნებოდა. მსგავსი შემთხვევები მოსალოდნელია იმ ცხოვრებებთან დაკავშირებით, რომლებმაც ჩვენამდე მხოლოდ მოკვიანო მეტაფრასტული რედაქციებით მოაღწიეს.

ჩვენ შევეცადეთ ძველ ნაციონალურ მოღვაწეთა შემოკლებული ცხოვრების არსებობის, თუ არ არსებობის ფაქტებისათვის თავისებური გამართლება გვეპოვა, მაგრამ როგორღა აეხსნათ, რომ X—XII სს-ში აბო თბილელისა და ნინოს ცხოვრებათა ვრცელი რედაქციების გვერდით არა გვაქვს მათი მოკლე ცხოვრებანი, მით უმეტეს, რომ ვრცელი რედაქციები საკმაოდ დიდი მოცულობისანი არიან. ვფიქრობთ, რომ ნინოს ხსენების დღეს მის ვრცელ ცხოვრებას კითხულობდნენ, მას შემდეგაც კი, როდესაც „დიდი სჯანქსარის“ გავლენით შედგა ქართველი წმინდანების სვინაქსარული ცხოვრებანი და მათ შორის, წმ. ნინოსიც. ჩვენი აზრით, ამას ადასტურებს Sin.—4(XI ს.) ხელნაწერის წმ. ნინოს დღის „განგება“, რომელშიც მოკლე სვინაქსარული ცხოვრების შემდეგ 14/1 მითითებულია: „იკითხნ ორჯერ ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი“⁶⁸. ჩვენი

⁶⁷ ქ. ქეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 503.

⁶⁸ sin—4, გვ. 100.

აზრით. აქ ნინოს ვრცელი ცხოვრება იგულისხმება და არა სვინაქსარული. აქედან გამომდინარე, ნინოს შემოკლებული ცხოვრების შედგენის საჭიროების საკითხი თავდაპირველად X—XI საუკუნეებში ქართული ეკლესიისათვის არ მდგარა, ხოლო XII—XIII სს. შეიქმნა კიდევ მისი ცხოვრების მოკლე რედაქცია⁶⁹, რომელსაც მხოლოდ ლიტურგიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

იგივე შეიძლება ითქვას აბოს შესახებაც. ამ თხზულების კომპოზიცია კარგად უპასუხებს ღვთისმსახურებაზე წასაკითხი ცხოვრების ყველა მოთხოვნას. თხზულების შესავალს, რომელიც ქრისტიანული საარწმუნოების განმტკიცებასა და ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას ისახავს, შეიძლება ითქვას, რომ პოპილუტიკური ფორმა აქვს: მეორე და მესამე თავი აბოს ცხოვრებისა და წამების ფაქტებს გადმოგვცემს, მეოთხე თავი კი ჰიმნოგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ X საუკუნისათვის, როდესაც ჩვენ მიერ აღნიშნული სვინაქსარული ტიპის ლიტურგიკული ცხოვრებანი წარმოიშვა, აბოს წამება მაინც ვრცელი ფორმით იკითხებოდა; მისგან შემოკლებული ცხოვრება არ შეუდგენიათ. შემოკლებული ცხოვრების ნაცვლად, ალბათ, გამოყენებული იყო „აბოს წამების“ მესამე თავი. რომელსაც ცალკე სათაური აქვს: „წამებაჲ წმიდისა პაბოლასი“. ამ ექვსის სასარგებლოდ ლაპარაკობს ცნობილი X ს. სინას ხელნაწერი (Sin.—11), რომელშიც ეს ძეგლი ზანდუკისა და პირველი თავის გარეშეა წარმოდგენილი⁷⁰, და აგრეთვე შედარებით მოგვიანო დროის რამდენიმე აგიოგრაფიული კრებული, რომლებშიც სხვა ქართველ და მათელი ეკლესიის მოღვაწეთა ვრცელ ცხოვრებებთან ერთად შესულა აბოს წამების მხოლოდ მესამე თავი⁷¹. მართალია, XIII—XVIII სს. ხელნაწერებზე დაყრდნობით ასეთი ვარაუდის დაშვება გაუმართლებელიც შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ. საფიქრებელია, რომ ამ კრებულებში შესული ცხოვრებანი გაცილებით ძველი დედნებიდანაა აღებული. „აბოს წამების“ მხოლოდ მესამე თავის შეტანა ამ კრებულების შემდგენელთა ინიციატივა არ უნდა იყოს — იგი ისეთი ძველი კრებულიდან უნდა

⁶⁹ ძვ. ქართული ლიტ. ქრესტომათია, გვ. 216—231. ქ. ცხადაძე, უცნო, ბი ავტორის „ნინოს ცხოვრება“, საიუბილეო კრებული კორნელი კეკელიძეს-1959, გვ. 401.

⁷⁰ G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai, Louvain, 1956, 41.

⁷¹ A—70, XIII ს.; S—3269, 1720-იანი წლ.; A—643, XVIII ს.

იყოს გადმოღებული, რომელიც „აბოს წამების“ მხოლოდ ამ ნაწილს შეიცავდა. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს იგივე სანას ხელნაწერი და A—70. „აბოს წამების“ ეს თავი სრულიად დასრულებული თხზულების სახეს ატარებს: მას აქვს ცალკე სათაური და შესავალი, რომელშიც ავტორი მიმართავს მსმენელ ქრისტიანებს: „რომელნი ხართ ქრისტეს მოყუარენი და მარტვლთ-მოყვარენი, მიიღეთ ჩემგან სანატრელი ესე სმენად წმიდისა მოწამისა და ქრისტეს მოღუაწისაჲ, რომელი სიმკნითა და დიდებითა გვრგვნოსან იქმნა ქრისტეს მიერ!“⁷². თხრობა აბოს წამების შესახებ წინა თავებისაგან დამოუკიდებლადაც დასრულებულ იერს ატარებს. ზემოაღნიშნული მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ღვთისმსახურებაზე ამ ნაწილს შეეძლო აბოს შემოკლებული ცხოვრების მაგივრობა გაეწია, თუკი აბოს დღესასწაულის დღეს მისი შემოკლებული ტიპის ცხოვრების წაკითხვა აუცილებელი იყო.

ამრიგად, ქართულ ღვთისმსახურებაზე წმინდანთა სრული ცხოვრების წაკითხვის პრაქტიკა, რომელიც, საფიქრებელია, IX—X საუკუნეებამდე გრძელდებოდა, შეცვალა ამავე სრულ ცხოვრებათა საფუძველზე შედგენილმა შემოკლებულმა, სვინაქსარული ტიპის ცხოვრებებმა, რაც ეკლესიის პრაქტიკული საჭიროების, დროის ეკონომიის მიზნით უნდა გაკეთებულიყო. ასეთი ტიპის ცხოვრებების შექმნის ქრონოლოგიური საზღვრები X—XI საუკუნეებით უნდა შემოიფარგლოს, ხოლო მათი გამოყენება „დიდი სვნაქსარის“ თარგმნისა და ამასთან დაკავშირებით ღვთისმსახურებაში კიდევ უფრო მოკლე სვინაქსარული ცხოვრებების დამკვიდრების შემდეგაც, მათ პარალელურად, არ არის პოულობადელი (მაგ. ნინოსა და პეტრე იბერიის მოკლე ცხოვრებები).

გიორგი მთაწმიდლის მიერ „დიდი სვნაქსარის“ თარგმნით, ჩვენი აზრით, იწყება ქართული ეკლესიის ღვთისმსახურებაში აგიოგრაფიული მასალის ახალი ფორმით წარმოდგენის მორიგი ეტაპი. იმ მიზეზით, რომ ექვთიმეს მიერ კონსტანტინოპოლური ტიპიკონის შემოკლებული თარგმანი იმდროინდელ ლიტურგიკულ საჭიროებას ვეღარ აკმაყოფილებდა, გიორგი მთაწმიდელმა დეკანოზობის დროს თარგმნა ამავე ტიპიკონის შედარებით სრული რედაქცია, რომელსაც ექვთიმეს ნაშრომთან შეპირისპირებით „დიდი სვნაქსარი“ უწოდა. გიორგი მთაწმიდლის შრომა, როგორც ეს უკვე აღნიშნულია, არ წარმოადგენს ერთი რომელიმე გარკვეული ძეგლის თარგ-

⁷² ძველი ქართული ლიტერატ. ქრესტომათია, I, გვ. 63.

მანს: მის სხვადასხვა ნაწილებს სხვადასხვა წყარო უნდა მოეპოვე-
ბოდეს. საესებით ბუნებრივი ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელმა თა-
ვის ნათარგმნ ძეგლში დისციპლინარულ ნაწილზედაც იზრუნა, რად-
გან ყოველი მონასტრისათვის აუცილებელი ეს ნაწილი მის ძირი-
თად წყაროს — კონსტანტინოპოლის წმ. სოფიის დიდი ეკლესიის
ტიპიკონის ნუსხებს, როგორც საპატრიარქო-სამრევლო ეკლესიის
წესდების წიგნს, არ გააჩნდა. „დიდი სუნაქსრის“ დისციპლინარული
ნაწილი ათანასე ათონელის ლავრისათვის შემუშავებული ტიპიკო-
ნის — *Διατάχασα* — გადმოკეთება უნდა იყოს⁷³. თავის მხრივ,
ათანასე ათონელს ეს ტიპიკონი სტუდიელთა მონასტრის ტიპიკო-
ნიდან — *Ἐπιτομή* („მოკლე მონახაზები“) გადმოუკეთებია⁷⁴.
„დიდი სუნაქსრის“ სამარხოვო ნაწილიც სტუდიელთა მონასტრის
ტიპიკონიდან ჩანს ადებულა, ხოლო სვინაქსარული ნაწილი კი —
კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონის ერთ-ერთი ნუსხი-
დან, როგორც ამას აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს⁷⁵. ამრიგად, გიორგი
მთაწმიდლის „დიდი სუნაქსარი“ შექმნილი ჩანს სტუდიელთა მო-
ნასტრისა და კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიის ტიპიკონების სა-
ფუძველზე. საკითხავია, რატომ სტუდიელთა მონასტრის ტიპიკო-
ნებიდან არ აიღო მან სვინაქსარული ნაწილიც? ეს მხოლოდ იმ გა-
რემოებით შეიძლება აიხსნას, რომ სტუდიელთა მონასტრის ტიპი-
კონები სვინაქსარულ ნაწილში კალენდრის მოცულობას არ გას-
ცილებიან⁷⁶, ხოლო დიდი ეკლესიის ტიპიკონების სვინაქსარული
ნაწილი წმინდანთა ბიოგრაფიულ მასალას — სვინაქსარულ ცხოვ-
რებებსაც შეიცავდნენ. ამემად „დიდი სუნაქსრის“ სწორედ ეს აგიო-
ლოგიური ნაწილი გვინტერესებს, რადგან თარგმნის პროცესში და
უფრო მოგვიანებითაც მასში ქართული აგიოგრაფიული მასალა
შევქცა.

ბერძნულიდან ნათარგმნ „დიდ სუნაქსარში“, მართალია, თავი-
დანვე შევიდა ნაციონალური აგიოგრაფიული მასალა, მაგრამ მცი-
რე რაოდენობით (13 შიასს ექვთიმეს სვინაქ. ცხოვრება, 14/VI
იოანე ათონელის ხსენება). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ ძეგლის
შემდგენდროინდელი ნუსხებიც XVII—XVIII ს-მდე არ გამოირჩე-
ვიან ქართული მასალის სიუხვით.

⁷³ К. Кекелидзе, Литург. памятники..., стр. 487—497.

⁷⁴ И. Мансветов, Церков. Устав..., стр. 223.

⁷⁵ К. Кекелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 497—502.

⁷⁶ И. Мансветов, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგი მთაწმიდელმა „დიდ სვანაქსარში“ თარგმნისთანავე შეიტანა ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც მასში შესულ ყველა მოღვაწის სვინაქსარულ ცხოვრებაზე გაცილებით ვრცელია. ქვემოთ ჩვენ დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი ამ თხზულების შესახებ და ამიტომ აქ აღარ შევჩერდებით.

„დიდი სვანაქსარის“ სხვადასხვა სამწერლო კერებში გადაწერამ მის სხვადასხვა ნუსხებში ადგილობრივი ქართული ელემენტის გაჩენა გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ მთარგმნელის მითითებების მიუხედავად (მაგ., A—97, 312 ფ.) უკვე XI საუკუნიდანვე ჩნდება გადაწერლების და ადგილობრივი ეკლესიების „მამათა“ სანქციით ქართველ მოღვაწეთა არა მარტო ხსენებანი, არამედ სვინაქსარული ცხოვრებანიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ჯვარის მონასტრის № 24—25 „სვანაქსარი“, რომელიც სპეციალურად არის გადაწერილი ჯვარის მონასტრის პირველი მშენებლის, პროხორეს (12/II) სვინაქსარული ცხოვრებისა და აღაძის (17/I) შესატანად. „დიდი სვანაქსარის მეორე ნუსხა, რომელიც ნინოს სულ მოკლე სვინაქსარულ ცხოვრებას (14/I) შეიცავს, გადაწერილია სინას მთაზე XI საუკ. II ნახევარში (Sin.—4).

XI საუკუნეშივე არის სავარაუდებელი ილარიონ ქართველის ჯერ ხსენებისა და შემდეგ სვინაქსარული ცხოვრების შეტანა „დიდ სვანაქსარში“, თუმცა ჯერჯერობით მისი სვინაქსარული ცხოვრების შემცველი ჩვენამდე მოღწეული „დიდი სვანაქსარის“ ნუსხებიდან უძველესი XII საუკუნისაა (A—222, A—626). ჩვენი აზრით. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ ილარიონის ხსენება და საგალობელი ჯერ კიდევ გიორგი მთაწმიდელმა შეიტანა „თუენში“. „თუენის“ ქართული მასალა, გარდა ილარიონ ქართველისა და ექვთიმე მთაწმიდლის საგალობლებისა, იადგარებიდან არის აღებული. ილარიონისა და ექვთიმეს საგალობლების „თუენში“ საკუთარი ინიციატივით შეტანა გვიჩვენებს, რომ გიორგი მთაწმიდელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ორი მოღვაწის როლს ქართული ეკლესიის ცხოვრებაში. „დიდი სვანაქსარის“ XI საუკუნის ნუსხებში სწორედ „თუენში“ ხსენებისა და საგალობლის შეტანის საფუძველზე უნდა გაჩენილიყო ილარიონის ხსენება. XI საუკუნის მიწურულისათვის მისი სვინაქსარული ცხოვრების გაჩენა ამავე ძეგლის ნუსხებში შესაძლებლად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ უკვე უნდა არსებულიყო ილარიონის სვინაქსარული ტიპის შემოკლებული ცხოვრება, რომლის კიდევ უფრო შემოკლებას

წარმოადგენს „დიდ სუნაქსარში“ შესული ცხოვრება. ილარიონის ხსენებისა და ცხოვრების სვინაქსარში შეტანას მტკიცე საფუძველი ჰქონდა იმ მხრივაც, რომ იგი მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანად ითვლებოდა.

აი ის ქართული აგიოგრაფიული მასალა, რომელიც „დიდ სუნაქსარში“ შევიდა მისი თარგმნის მომენტიდან XI საუკუნის ბოლომდე. როგორც ვნახეთ, ქართული მასალის „დიდ სუნაქსარში“ შეტანაში წვლილი მიუძღვის საზღვარგარეთის რამდენიმე ქართულ სამწერლო კერას (ათონი, ჭვარის მონასტერი, სინას მთა). შემდეგ „სუნაქსარის“ ნუსხების სხვადასხვა ადგილებში გადაწერასთან დაკავშირებით, მასში ქართველ მოღვაწეთა ხსენებების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა XI ს-ის A—97 „სუნაქსარი“, რომლის აშეიბზე ტექსტის ხელითვე მიწერილია ქართველ წმინდანთა ხსენებანი სვინაქსარული ცხოვრების გარეშე, რადგან, როგორც ჩანს, ამ ძეგლის გადაწერას ვერ გაუბედავს ხსენებათა ძირითად ტექსტში შეტანა (საერთოდ გ. მთაწმიდლის ანდერძი კრძალავდა ასეთი დამატებების შეტანას). პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ ეს ხსენებები ამოღებული უნდა იყოს ე. წ. „კლარჯული სუნაქსარიდან“. გაურკვეველია, რა იგულისხმება „კლარჯულ სუნაქსარში“: კლარჯეთში გადაწერილი „სუნაქსარი“ თუ კლარჯეთში შედგენილი ქართული ლიტურგიკული წიგნი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტი უფრო მარტივად შეიძლება აიხსნას. XI საუკუნეში საეპკო არ უნდა იყოს ქართული ეკლესიის წმინდანთა ხსენებათა კალენდრის არსებობა, უფრო სწორად კალენდრისა, რომელიც მსოფლიო ეკლესიის წმინდანთა და დღესასწაულთა გვერდით შეიცავდა ქართველ მოღვაწეთა ხსენებებს. სწორედ ასეთი კალენდრის მიხედვით უნდა იყოს შეტანილი ზემოაღნიშნული ხსენებებიც A—97 „სუნაქსარის“ აშეიბზე.

საინტერესოა, აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „სუნაქსარის“ აშეიბზე მიწერილი ხსენებანი სწორად ამ ხელნაწერიდან გადაწერილი ძეგლების ძირითად ტექსტში შედიოდა და ამ გზით ღებულობდა სანქციას. მაგალითისათვის იხილეთ A—97 ხელნაწერი გამოგვადგება; A—97 „სუნაქსარის“ აშეიბზე, როგორც აღვნიშნეთ, მიწერილია ზოგიერთი ქართველი მოღვაწის ხსენება. აღსანიშნავია, რომ ეს ხსენებანი მოგვიანო ლიტურგიკულ კრებულებში (სადღესასწაულოები, სვინაქსარები, გულანები და ა. შ.), სიტყვასიტყვით არის გადატანილი ძირითად ტექსტში. მაგ.: „ამასვე დღესა (12/XI) წმიდისა მღვდელ-მოწამისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაჲ, რომელი იწამა

ცეცხლის მსახურთა მიერ ქართლს“ (56r), ზუსტად ასეთი ფორმულირებთ არის ეს ხსენება შესული A—111 გულანში (1703—15 წ.), ოღონდ 13/XI დღეს (107r, I წიგნი). სხვათა შორის აბიბოს ნეკრესელის ეს ხსენება ყველაზე ადრინდელია A—77 სვინაქსარს ხსენების შემდეგ. „ამასვე დღესა (18/V) წმ. მოწამეთა ორთა ძმათა დავით და ტირიჭანიბი, რომელნი იყენეს სომხითთ და ეწამნეს ტაოს“ (221r) — სიტყვა-სიტყვით მეორდება XVII—XVIII საუკუნის ძეგლებში (უფრო ადრინდელი არ შემონახულა): A—111 გულანი (1703—15 წ. — 23v, IV წიგნი), II—970(401r); ზოგიერთი ძეგლი კი უმატებს: „...ორთა ძმათა ქართველთა (ცენტრ. არქ. 488, A—515, S—67 და სხვ.). ამასვე დღესა წმიდისა მოწამისა კოსტანტი კახისაჲ. ესე იყო ქართველი აზნაური დიდებული და იწამა სარკინოზთა მიერ სპარსეთს“ (54v). ზუსტად ასეა განმეორებული A—111-ში (100r, I წ.). არ უნდა იყოს საეჭვო, რომ მოგვიანო ხანის ლიტურგიკულ კრებულებში კოსტანტი კახის ხსენების ტექსტი A—97-დან, ან მისგან მომდინარე ხელნაწერიდან უნდა იყოს გადმოდებული, ოღონდ მკირეოდენი განახვევებით: „ამასვე დღესა წმიდისა მოწამისა დიდებულისა კოსტანტი კახისაჲ, რომელი იყო ნათესავით ქართველი და იწამა სარკინოზთა მიერ სპარსეთს“ (A—569, XII—XIII სს. 56r; S—43—XVII—XVIII სს. 48r; S—2569, 1755 წ., 94r), ოღონდ არა 10/XI, როგორც ეს A—97-ში და A—111-შია, არამედ 12/XI. შუშანიკის ხსენება A—97-ში 21 აგვისტოს დღესაა შეტანილი: „ამასვე დღესა წმიდისა მოწამისა შუშანიკისი, რომელი იწამა ქართლს ქმრისა მისისა ვარსქენისგან“ (500v). ასევეა განმეორებული ეს ხსენება, იმავე დღეს A—1486 სვინაქსარში (1765 წ. 197v). სხვა ძეგლებში მისი ხსენება ან 17/X, ან 2/X გვხვდება. ევსტათი მცხეთელის A—97-ზეული ხსენება (29/VII—280v) ზუსტად მეორდება ქუთაისის ეთნოგრაფ. მუზეუმის — 42 (XVII—XVIII სს.) სადღესასწაულოს ძირითად ტექსტში: „ამასვე დღესა წმ. მოწამისა ევსტათი მცხეთელისა, რომელი იყო ნათესავით სპარსი და იწამა ტფილისს ცეცხლის მსახურთა მიერ“ (29/VII, 308r).

მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება როგორც A—97 ხელნაწერიდან, ასევე სხვა ძეგლებიდანაც; უფრო მეტიც: ალაპები ჩვეულებრივ სვინაქსარის აშიებზე იწერება შესაბამის დღეებში და ძირითად ტექსტში მათი შეტანა ყოველად მოულოდნელია. მიუხედავად ამისა, მსგავსი მაგალითი მაინც მოგვეპოება: პროზორე ქართველის ალაპი 17 იანვრის დღეს ჩაწერილია Jer—24-25 სვი-



ნაქსარში. ამ ხელნაწერიდან გადაწერილ H—1661-ში ეს აღაპ^{ნაქსარში} ვე ამიაზეა გადმოტანილი, ხოლო Q—75 გვიანდელ სვინაქსარში, რომელიც H—1661-დან უნდა იყოს გადაწერილი, პროხორეს აღაპი 17 იანვრის დღის ძირითად ტექსტშია შესული.

ამრიგად. ქართულ წმინდანთა ხსენების დღეებისა და სვინაქსარულ ცხოვრებათა „სვინაქსარის“ ნუსხებში თანდათანობითი მოპრავლება უმთავრესად გამოწვეულია ზემოაღნიშნული მიზეზებით.

გარდა XI საუკუნის „დიდი სვინაქსარების“ ნუსხებისა რამდენიმე ქართული მოღვაწის სვინაქსარული ცხოვრება შემოგვინახა მოკვიანო პერიოდის ხელნაწერებშიც. იერუსალიმის XII—XIII სს. № 80 „დიდი სვინაქსარის“ ამიაზე სხვა მრავალრიცხოვან მინაწერებს შორის არის XIV საუკუნის ხელით მიწერილი აბო თბილელის სვინაქსარული ცხოვრების მცირე ტექსტიც. აბოს ეს სვინაქსარული ცხოვრება უძველესია ჩვენამდე მოღწეულ მის სვინაქსარულ ცხოვრებებს შორის. აღანიშნავია, რომ ეს სვინაქსარული ცხოვრება ჭკერობით ერთადერთი ნუსხითაა ცნობილი. აბო თბილელის სვინაქსარული ცხოვრების განსხვავებული, ასევე პატარა მოცულობის, დანარჩენი რედაქციები გვიანდელია და არ სცილდება X.VII—X.VIII სს. ფარგლებს.

XIV საუკუნეში ცალკეულ ფურცლებზე გადაუწერიათ და XI საუკუნის იერუსალიმის № 24—25 „დიდი სვინაქსარის“ სათანადო ადგილებზე ხსენების დღეების მიხედვით ჩაუკერებიათ იერუსალიმის ჭვარის მონასტრის მოწამეების — ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის სვინაქსარული ცხოვრებანი. მათ სხვა ხელნაწერებში ვეღარ ვხვდებით. XIII—XIV საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერი⁷⁷ შეიცავს დავით და კონსტანტინეს მოზრდილ სვინაქსარულ ცხოვრებას. იგი ორი სხვა ნუსხითაც გვხვდება (XVI ს. ქუთ.—161 და X.VIII ს. Q—105ა გულანი). ამ მოწამეთა სვინაქსარული ცხოვრების დანარჩენი რედაქციებიდან ერთი XVI საუკუნისაა (A—508). ხოლო დანარჩენი სამი XVII—X.VIII საუკუნეების ხელნაწერებშია მოთავსებული.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა „დიდი სვინაქსარის“ ნუსხების ქართული აგიოგრაფიული მასალით თანდათანობით შევსების სურათი ამ ძეგლის თარგმნის მომენტიდან XVI საუკუნემდე, რაც ამ პერიოდში არც თუ ისე ინტენსიურად მიპდინარეობდა.

⁷⁷ პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 4 ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს თისლის ეკლესიის (სამხრეთ საქართველოში) სვინაქსარს.

გარდა გიორგი მთაწმიდლის „დიდი სვანაქარისა“ ქართველ წმინდანთა რამდენიმე შედარებით ადრინდელი სვინაქსარული ცხოვრება ქართული მწერლობის სხვა ძეგლებშიც შემოგვინახეს.

შიო მღვიმელის ერთადერთი, XIII საუკუნის სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი მოთავსებულია არა „დიდი სვანაქარის“ რომელიმე ნუსხაში, არამედ სპეციალურად შიო მღვიმის მონასტრისათვის გადაწერილ პალესტინის საბა განწმედილის ლავრის ტიპიკონის ქართული ნუსხის პირველსავე ფურცელზე. უფრო მოულოდნელია წმ. ნინოს სვინაქსარული ცხოვრების შედარებით ვრცელი რედაქციის ერთადერთი ნუსხის მოთავსება ნინოს სრული ცხოვრების კელიმური რედაქციის ტექსტის ბოლოს (H—600).

გაცილებით მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი ქართველ მოღვაწეთა ხსენების დღეები და სვინაქსარული ცხოვრებანი XVII საუკუნის მიწურულისა და განსაკუთრებით XVIII საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში (სვინაქსარები, გულანები, სადღესასწაულოები და სხვა). სწორედ ამ პერიოდის ღვთაებასახურების ძეგლებმა შემოინახეს იმ წმინდანთა ხსენებანი და სვინაქსარული ცხოვრებანი, რომელთა დღესასწაულების არსებობის შესახებ ადრე პერიოდში მხოლოდ წათხრულ ცხოვრებათა საფუძველზე შეიძლება მსჯელობა, რადგან მათი სვინაქსარული ცხოვრებანი XI—XVI საუკუნის „დიდი სვანაქარის“ ნუსხებში და სადღესასწაულოებში არ მოიპოვება. ამასთანავე, ძირითადად XVIII საუკუნეებში შეიქმნა იმ წმინდანთა სვინაქსარული ცხოვრებების ახალი რედაქციები, რომელთა უძველესი ვარიანტების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ XI—XIII საუკუნეების ლიტურგიკული ძეგლებიდან არის ცნობილი.

იმ ლიტურგიკული კრებულებიდან, რომლებშიც მოცემულია ცდა, თავი მოუყარონ რაც შეიძლება მეტი ნაციონალური წმინდანების დღესასწაულებს, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ყოფ. საეკლ. მუზეუმის A—111, 1703—1715 წწ. გულანი. ამ ძეგლის სვინაქსარულ ნაწილში, რომელიც გიორგი მთაწმიდლის „დიდი სვანაქარის“ ნუსხას წარმოადგენს, მოთავსებულია ქართველ მოღვაწეთა 17 ხსენების დღე სვინაქსარული ცხოვრებების გარეშე და ექვსი მოღვაწის სვინაქსარული ცხოვრება. აღსანიშნავია, რომ ქართველ წმინდანთა უძველესი ხსენებანი ამ ძეგლის ძირითად ტექსტში გადმოსულია A—97 (XI ს.) სვინაქსარის აშვიებზე ტექსტის ხელით მიწერილი ხსენებებიდან, ან A—97-დან მომდინარე სხვა ნუსხიდან. ასეთია 11 ხსენება, რომელთა უმრავლესობა A—97-ის შემდეგ

პირველად A—111-ში გვხვდება და მეორედ უფრო მოგვიანო ხანის ლიტურგიკულ ძეგლებში (აბიბოს ნეკრესელი, შუშანიკი, ეესტათე მცხეთელი. დავით და ტირიქანი). წმინდანთა ზოგიერთი ხსენება ამ ძეგლში საერთოდ პირველად გვხვდება (საჰაკი და იოსები, ანტონ მარტომყოფელი, დავით აღმაშენებელი). სვინაქსარულ ცხოვრებათაგან ცნობილია მხოლოდ ექვთიმე მთაწმიდლის ცხოვრება. დანარჩენებიდან — პეტრე იბერის, გობრონის და ქეთევანის სვინაქსარული ცხოვრებანი პირველად ამ ძეგლშია მოთავსებული. აქვეა შესული ილარიონისა და დავით და კოსტანტინეს მოგვიანო, მანამდე ჩვენთვის უცნობი, სვინაქსარული ცხოვრებების ახალი რედაქციები.

უფრო სისტემატურ ხასიათს ატარებს დომენტი კათალიკოსის ბრძანებით შედგენილი სადღესასწაულო — A—425 (1718 წ.), რომელშიც ქართული ჰაზარაფთულ-აგიოგრაფიული ელემენტი კიდევ უფრო გაზრდილია. როგორც ცნობილია, დომენტი კათალიკოსი იყო პირველი, შედარებით სრული ქართული აგიოგრაფიული კრებულის (A—130, 1703—1713 წწ.) შედგენის ინიციატორი⁷⁸. სწორედ ქართული აგიოგრაფიის დარგში დაწყებულ ინტენსიურ მუშაობას უნდა შეეკმნა იდეა და პრაქტიკული საფუძველი ისეთი სადღესასწაულოს შედგენისა, რომელშიც მსოფლიო ეკლესიის წმინდანთა გვერდით შეძლებისდაგვარი სისრულით შევიდოდა ნაციონალური წმინდანების სადღესასწაულოები და მათი ხსენების დღეების „განგება“. სადღესასწაულო (A—425), რომელიც შეიცავს წმინდანთა სვინაქსარულ ცხოვრებებსა და საგალობლებს, თავიდან ბოლომდე არ გვიჩვენებს ერთნაირ სურათს. როგორც ჩანს, თავიდან განზრახული ყოფილა, შეედგინათ სრული სადღესასწაულო წელიწადის ყველა დღის დღესასწაულის აღნიშვნით, რაც, მართლაც, გატარებულია სექტემბერ-აპრილის თვეების ნაწილში (23 აპრილამდე). აქედან სრულ მასალას შეიცავს მხოლოდ სექტემბერ-იანვრის თვეები, ხოლო თებერვალ-აპრილის თვეების მასალა, ე. ი. სვინაქსარული ცხოვრებანი და საგალობლები, ძალზე შემოკლებულია. ბოლო ოთხი თვე — მაის-აგვისტო გამოკრებილია და შეიცავს მხოლოდ საუფლო და მსოფლიო ეკლესიის წმინდანთა დღესასწაულებს, გამონაკლისია მხოლოდ ანტონ მარტომყოფელის სვინაქსარული ცხოვრება 16 აგვისტოს, უფრო სწორად, მარტყოფის ხატის საკითხავი.

⁷⁸ ე. ლ. მ. ე. ტ. რ. ე. ლ. ი. ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950. გვ. 417.



ეს სადღესასწაულო საინტერესოა იმიტომ, რომ მასში პირველად შეტანილი იმ ქართველ წმინდანთა სვინაქსარული ცხოვრებანი, რომელთა მხოლოდ ბუნებანი იყო ცნობილი ადრეული ლიტურგიული კრებულებიდან. ასეთებია: აბიბოს ნეკრესელის, ანტონ მარტოპოფელის, კოსტანტი კახისა და შუშანიკის პატარა ზომის სვინაქსარული ცხოვრებანი; აგრეთვე ნინოს, აბოს, გობრონის, დავით და კოსტანტინეს, პეტრე იბერის, ქეთევანის სვინაქსარულ ცხოვრებათა ახალი, მანამდე ჩვენთვის უცნობი რედაქციები.

კიდევ უფრო მეტ აგიოგრაფიულ მასალას შეიცავს A—220 სვინაქსარული კრებული, რომელშიც შეტულია თითქმის ყველა ქართველი წმინდანის ცნობილი და უცნობი სვინაქსარული ცხოვრების ნუსხები. უნდა აღინიშნოს, რომ კრებულის ძირითადი წყარო უნდა იყოს A—425 სადღესასწაულოს ერთ-ერთი ნუსხა. რადგან ამ სადღესასწაულოს ყველა სვინაქსარული ცხოვრება ზედმოწვევითი სიზუსტითაა გადაწერილი A—220-ში. გამოჩენის შეადგენს მხოლოდ ილარიონ ქართველის სვინაქსარული ცხოვრება: A—425-ში მოთავსებულია ილარიონის ცხოვრების ის უძველესი სვინაქსარული რედაქცია, რომელიც „დიდ სვინაქსარში“ ჩვენის აზრით, უკვე XI საუკუნის ბოლოს გაჩნდა, მაგრამ A—425 სადღესასწაულოს შემდგენელს თუ გადაწერს აქ სვინაქსარული ცხოვრება იან შეუმოკლებია ადგილ-ადგილ მთლიანი ფრაზებისა და წინადადებების უსისტემო ამოღებით, რომ ტექსტი თითქმის დაუმახინჩებია. როგორც ჩანს, A—220-ის, თუ მისი დედნის შემდგენელს ეს სვინაქსარული ცხოვრება თავის კრებულში აღარ გადაუტანია და სხვა წყაროდან ილარიონის სვინაქსარული ცხოვრების განსხვავებული, უფრო გვიანდელი რედაქცია გამოუყენებია. A—200 სვინაქსარული კრებულის შემდგენელს განუზრახავს A—425 სადღესასწაულოს ხარვეზის შევსება და ჩვენთვის ჭრადრობით უცნობი წყაროებიდან თავის კრებულში შეუტანია იმ ქართველ წმინდანთა სვინაქსარული ცხოვრებანი, რომლებიც დომენტარულ სადღესასწაულოში რაღაც მიზეზების გამო არ შესულა; ასეთებია: ევსტათე მცხეთელის, იოვანე ზედაზნელის, დავით გარეჯელის, დოდო გარეჯელის, შიო მღვიმელის, გიორგი მთაწმიდლისა და ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრებანი. აქედან იოვანე ზედაზნელის, დავით გარეჯელის, ევსტათე მცხეთელის, დოდო გარეჯელისა და გიორგი მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრებანი მხოლოდ ამ კრებულის მიხედვითაა ცნობილი და არც ერთ, არც ადრინდელ და არც გვიანდელ ლიტურგიულ კრებულში არ მოიძებნება. შიო მღვიმელისა და ექვთიმე

მთაწმიდლის ამ კრებულში (A—220) მოთავსებული სვინაქსარტლის⁷⁹ ცხოვრებანი კი ახალი რედაქციისანი არიან და მათი ნუსხები არც ერთ სხვა ლიტურგიკულ ძეგლს არ შემოუნახავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ A—220-ში შესული ეს ახალი აგიოგრაფიული მასალა დაბალი მხატვრული გემოვნებითაა შესრულებული და ხშირად დაუღეკარი ნახელავის შთაბეჭდილებასაც კი ქმნის. ეს სვინაქსარტლი ცხოვრებანი, ანუ როგორც შემდგენელი მათ უწოდებს: „მოკლედ აღწერილი“⁸⁰, „სიტყუა მოკლედ ნათქოში“⁸⁰, „მოკლედ ნათქოში“⁸¹, წარმოადგენენ შესაბამისი ვრცელი ცხოვრების თითქმის მექანიკურ გამოწერებს, რასაც ხშირად გაუგებრობა და აზრის დამახინჯებაც მოსდევს. ამ კრებულში მოთავსებული ზოგიერთი აქამდე უცნობი სვინაქსარტლი ცხოვრების ტექსტის მიხედვით ჩანს, რომ A—220 სვინაქსარტლ კრებულს ეს ტექსტები რომელიღაც წყაროდან გადმოუწერია, რადგან ისეთი მექანიკური ხასიათის შეცდომები, რაც გადაწერის დროს ხშირია, არ იძლევა საშუალებას A—220-ის ეს ახალი აგიოგრაფიული მასალა ამ კრებულის შემდგენლის შემოქმედებად მივიჩნიოთ.

შეიძლება ითქვას, რომ ქართველ წმინდანთა სვინაქსარტლ ცხოვრებათა შექმნის ძირითადი ციკლი განხალღული კრებულებით დამთავრდა, თუმცა ამ კრებულებზე გვიან. მართალია. არა ასეთი კონცენტრირებული სახით, მაგრამ ცალკეულ ხელნაწერებში, მაინც გვხვდება ახალი სვინაქსარტლი ცხოვრებანი — ისე წილკნელისა, როსებ ალავერდელისა, შალვა, ელიზბარ და ბიძინასი. ისინი პირველად ჩნდებიან ქართველ მოღვაწეთა სრული ცხოვრებების შემცველ კრებულებში, რომლებიც პარალელურად ზოგიერთ სვინაქსარტლ ცხოვრებასაც შეიცავენ (S—3269, 1720-იანი წლ. და H—2077, 1736 წ.), ხოლო შემდეგ, სადღესასწაულოებშიაც გადადიან (ლენინგრ. საჯარო ბიბლ. — 222—XVIII ს.⁸² იოვანე ბატონიშვილის კოლექცია). ცალკე, დამოუკიდებელი ხელნაწერების თითო ნუსხით შემოინახა ორი გვიანდელი სვინაქსარტლი ცხოვრება — დავით აღმაშენებლისა (H—274—XVIII ს.) და შიო გარეჯელისა (A—1367, 1686—1700 წწ.). ცალკე უნდა აღინიშნოს ლუარსაბ მეფის სვინაქსარტლი ცხოვრების შესახებ; პირველად ის გვხვდება დომენტი კათალიკოზის ინიციატივით შედგენილ ქართული აგიოგრა-

⁷⁹ A—220, 374 v.

⁸⁰ იქვე, 414 v.

⁸¹ იქვე, 524 r.

⁸² ეს ხელნაწერი კატალოგში შეცდომით XVII ს. არის დათარიღებული.

ფიის იმ კრებულში (A—130, 1704—13 წწ.), რომელშიც ქართველ მოღვაწეთა სრული ცხოვრებებია შესული. აქედან ცხადია, რომ ლუარსაბის ამ ცხოვრებას ვრცელი ცხოვრების შექმნამდე, ლიტურგიკულ დანიშნულებასთან ერთად, ერთადერთი ცხოვრების პრეტენზიაც ჰქონდა. ამრიგად ლუარსაბის ის მოკლე ცხოვრება, რომელსაც ჩვენ მალე ლიტურგიკულ კრებულებშიც ვპოულობთ⁸³, 1713 წელზე ადრე უნდა იყოს დაწერილი.

ასეთია თვალის ერთი გადავლებით ის აგიოგრაფიული მასალა, რომელიც ლიტურგიკულ კრებულებში შევიდა XI—XIII საუკუნეების მანძილზე.

ქართველ წმინდანთა მიკვლეული სვინაქსარული ცხოვრებანი და ხსენებანი არა მარტო „დიდი ჯვანქსარის“ ნუსხებსა და სადღესასწაულოებშია შესული. ზოგიერთი მოღვაწის სვინაქსარულ ცხოვრებასთან დაკავშირებით ჩვენ გაკვირვებთ ალვინშნეთ, რომ ხანდახან ასეთი მასალა გვხვდება წმინდა აგიოგრაფიულ კრებულებშიც. მაგ., ნინო მოციქულის სვინაქსარული ცხოვრების ერთ-ერთი რედაქციის ერთადერთი ნუსხა მოთავსებულია ვრცელი ცხოვრების ბოლოს. ეს ხელნაწერი (H—600) სვინაქსარულ ცხოვრებასთან ერთად შეიცავს ნინოს ხსენების დღის მთლიან „განგებას“ საგალობლებითურთ. აგიოგრაფიულ კრებულებში ხშირია ქეთევან დედოფლის, ლუარსაბ მეფის, იოსებ ალავერდელის, ისე წილკნელის, ბიძინა, შალვა და ელიზბარის სვინაქსარულ ცხოვრებათა მოთავსება. ეს გარეშობა ადვილად ასახსნელია: ლაურსაბის, ისე წილკნელისა და ბიძინა, შალვა და ელიზბარის სრული ცხოვრებანი დაიწერა ბესარიონ კათალიკოსის მიერ XVIII ს. I ნახევარში, ხოლო მანამდე მათი სვინაქსარული ცხოვრებანი, რომლებიც შედარებით ადრე არიან შექმნილი (არა უგვიანეს XVIII ს. დასაწყისისა), სრული ცხოვრების მაგივრობას ასრულებდნენ: ამიტომ შეჰქონდათ ისინი აგიოგრაფიულ კრებულებში. ლიტურგიკული კრებულების პარალელურად. იოსებ ალავერდელის ვრცელი ცხოვრება კი საერთოდ არ დაწერილა და ამდენად, მისმა მოკლე ცხოვრებამ იკისრა სვინაქსარული და სრული ცხოვრების როლი. უფრო სხვაგვარად დგას ქეთევანის სვინაქსარული ცხოვრების საკითხი; არ არის ეჭვი, რომ მისი ვრცელი ცხოვრება წინ უსწრებს სვინაქსარულის შექმნას, რადგან სვინაქსარული იმომეგბს მას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გრიგოლ დოდორაძემ დაწერა არა მარტო ქეთევანის ვრცელი ცხოვრება, არამედ ქეთევანის დღის

⁸³ A—379 (1714—16 წწ.), 139r.

„განგების“ მთელი ციკლი, რომელშიც შედიოდა ქეთევანის სვინაქსარული ცხოვრება და საგალობლები. ეს მასალა თავმოყრილი იყო ერთი თხზულების ფარგლებში. გრიგოლ ხუცეს-მონაზონმა რომ ქეთევანის საგალობლები შექმნა, ამას ადასტურებს ანტონი კათალიკოსის წყობილსიტყვაობა (787—788 გვ.); მეორე მხრით, ქეთევანის დოქორქელისეული ვრცელი ცხოვრება და სვინაქსარული ცხოვრება აგიოგრაფიულ კრებულებში თითქმის ყოველთვის ერთად მოთავსებული და სვინაქსარული უთითებს ვრცელზე. როდესაც სვინაქსარული ვრცელი ცხოვრების გარეშეა მოთავსებული, გაუგებარია მისი სიტყვები: „ვითარცა ზემორე საკითხავმან ცხადყოს“, ან „ვითარცა სრული ცხოვრება მოგვიტხრობს“ და ა. შ.

ანტონი მარტომყოფელის ცხოვრების ვრცელი რედაქცია, როგორც ცნობილია, არ არსებობს. მისი ცხოვრება მხოლოდ სვინაქსარული სახითაა შემონახული და ისიც გვიანდელი, არა უადრეს XVII ს. მიწურულისა და XVIII ს. დასაწყისის ნუსხებით. აკად. კ. კეკელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს ცხოვრება ვახტანგ მეფის „მეცნიერ კაცთა“ კომისიამ შექმნა სპეციალურად „ქართლის ცხოვრებაში“ შესატანად⁸⁴. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ეს ცხოვრება შემდეგ სვინაქსარულ კრებულებში გადაუტანიათ და ლიტურგიკული როლიც დაუკისრებიათ.

„დიდი სვინაქსარის“ ნუსხების გარეშეა ცნობილი, როგორც აღვნიშნეთ, შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრების ძველი რედაქცია, თუმცა ეს მაინც ლიტურგიკულ ძეგლში — საბა განწმედილის ლავროს ტიპიკონშია მოთავსებული.

ამრიგად, მართალია, ქართველი წმინდანების სვინაქსარულ ცხოვრებათა უპრავლესობა „დიდი სვინაქსარის“ ადრინდელმა თუ გვიანდელმა ნუსხებმა შემოგვინახა, მაგრამ პარალელურად საკმაოდენობით არიან ისინი შეტანილი სადღესასწაულოებში, გულანებში, აგიოგრაფიულ კრებულებსა და „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ ნუსხაშიც კი.

⁸⁴ აკად. კ. კეკელიძის ვარაუდი ექვს ბადებს. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით დავადასტუროთ, რომ ანტონი მარტომყოფელის ცხოვრება „ქართლის ცხოვრებაში“ გადატანილია აგიოგრაფიული კრებილიდან.

II. XI—XIV საუკუნეების სვინაქსარული ცხოვრებანი

1. ეპითიმა მთაწმიდელი

ათონის სალიტერატურო კერამ ქართული კულტურის ისტორიაში სამართლიანად დაიმკვიდრა ქართული მწერლობისა და განათლების უმნიშვნელოვანესი ცენტრის სახელი. მან, მართლაც, განუმეორებელი როლი შეასრულა ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის განვითარების საქმეში. იგი იქცა იმ შემაერთებელ ხიდად, რომელმაც საქართველო მკიდროდ დაუკავშირა საბერძნეთის უძველესსა და უმდიდრეს კულტურას. ათონის საგანმანათლებლო სკოლა, აკად. კ. კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მუდამ მატარებელი იყო ქართული ეროვნული იდეისა საბერძნეთში, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა ბიზანტიური კულტურის ნაკადი“¹. „ერთი სიტყვით, არც ერთ საგანმანათლებლო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერიის მონასტერს. უიშინოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“².

ათონის ივერიის მონასტრის ასეთი ბრწყინვალე როლი ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში უშუალოდ დაკავშირებულია მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის, ექვთიმე მთაწმიდლის მოღვაწეობასთან, რომლის ლიტერატურული შემოქმედების პროდუქცია შეადგენს იმ უძვირფასეს განძს, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია.

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში „საკმაოდ გარკვეულია მისი დამსახურება ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში, ... ყველაფერი მაინც არ ვიცით ამ

¹ კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. III, გვ. 69.

² მ. ი. ვე. ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, VI, 1937, გვ. 312.

სახელოვანი ადამიანის გარშემო, როგი საკითხებისა მის შესახებ ჯერ კიდევ საკვლევი და საძიებელია³. ამდენად, გასაგებია ექვთიმე მთაწმიდლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წყაროების უდიდესი მნიშვნელობა და მისი ყოველმხრივი შესწავლის აუცილებლობა.

გიორგი მთაწმიდლის ორიგინალური თხზულება — „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“ — არის ის ძირითადი წყარო, რომლითაც ვეცნობით ექვთიმეს ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ძირითად მომენტებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნათლადაა ნაჩვენები ამ თხზულების მნიშვნელობა⁴ და ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების უმეტესი ნაწილის რაობა⁵. გარდა ამ თხზულებისა არსებობს ექვთიმე მთაწმიდლის ცხოვრების მეორე, მოკლე რედაქცია, რომელიც შეტანილია გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილ „დიდ სენაქსარნი“, როგორც ორიგინალური ქართული სვინაქსარული ცხოვრების პირველი ნიმუში⁶. ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების არსებობა დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული ლიტერატურის ისტორიის არც ერთ მკვლევარს არ გაუხდია იგი შესწავლის ობიექტად, მიუხედავად იმისა, რომ მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, როგორც ექვთიმე მთაწმიდლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე გიორგი მთაწმიდლის ლიტერატურული მუშაობის მეთოდების შესასწავლადაც.

ექვთიმე მთაწმიდლის ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია გამოცემულია 1946 წელს ვრცელ რედაქციასთან ერთად ოთხი უძველესი „სენაქსარის“ ნუსხის მიხედვით (A—97, A—193, H—2211, H—1661)⁷. გამოცემის წინასიტყვაობაში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი ამ სვინაქსარული ცხოვრების რაობის შესახებ.

³ მისივე, ეტიუდები. ტ. I, 1956, გვ. 155.

⁴ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად, წ. I, ძველი საისტ. მწერლობა, II გამოცემა, 1926, გვ. 125—137. ქ. ქეკელიძე, ძველი ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 184—194; 231—233.

⁵ ქ. ქეკელიძე, ათონის სალიტერატურო სკოლის ისტორიიდან, თბილისის სახ. უნივერსიტეტი, ტ. VI, გვ. 139—160.

⁶ ვგულისხმობთ მთარგმნელის ხელიდან გამოსულ „დიდი სენაქსარის“ ნუსხას.

⁷ „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“, ვრცელი ცხოვრების ტექსტი გამოსაკვლავად მოამზადა აკად. ივ. ჭავჭავაძის, ხოლო სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი კი—მ. კახაძემ ივ. ჭავჭავაძის დაეალებითა და მითითებითა თანამად.

ექვთიმეს სვინაქსარულ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებად არის შესწავლილი. მხოლოდ აკად. კ. კეკელიძეს აქვს აღნიშნული, ისიც გაცვრით, რომ ექვთიმეს სვინაქსარულ ცხოვრება გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს და შედგენილი უნდა იყოს იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების საფუძველზე.

ჩვენთვის ნათელი არ არის, რა კვლევის შედეგებს ეყრდნობა მკვლევარი ასეთი ვარაუდის დაშვებისას, რადგან მის შრომებში არც ერთი სტრიქონი არა აქვს დათმობილი ამ საკითხის შესწავლას. საფიქრებელია, რომ მან ეს შენიშვნა გააკეთა ტრადიციის ზეგავლენით, რომლის მიხედვითაც რომელიმე მოღვაწის სვინაქსარულ ცხოვრებლს წყარო ამავე მოღვაწის ვრცელი ცხოვრების რედაქციაა⁹; ავტორად გ. მთაწმიდლის დასახელება კი გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ გიორგი, ერთი მხრივ, ავტორია ექვთიმეს ვრცელი ცხოვრებისა და, მეორე მხრივ, ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება მის მიერვეა შეტანილი ბერძნულიდან ნათარგმნ „დიდ სვინაქსარში“.

აკად. კ. კეკელიძის ეს აზრი გაიმეორა სოლ. ყუბანეიშვილმა მის მიერ შედგენილ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია“-ში¹⁰.

ექვთიმეს სვინაქსარულ და ვრცელ ცხოვრებათა ურთიერთობის საკითხს საგანგებოდ შეეხო ვლ. მინაშვილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში (ხელმძღვანელი აკად. კ. კეკელიძე)¹⁰. რადგან ეს ერთადერთი შრომაა, რომელიც უშუალოდ ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხებს, მოვიტანთ ამ ნაშრომის უმთავრეს დებულებებს:

1. „სვინაქსარის ავტორი არის XI საუკ. ქართველი მწერალი: მისი შრომა შედგენილი უნდა იყოს გ. ათონელის გარდაცვალების შემდეგ.

2. ის ფაქტი, რომ „იოვანეს და ექვთიმეს ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქცია შესულია გ. ათონელის „დიდ სვინაქსარში“:

⁹ კ. კეკელიძე აღნიშნავს კიდევ: „ცნობილია, რომ სვინაქსარულ თხზულებათა, ზოგადად, წყარო ყოფილა ვრცელი ცხოვრებანი და წამებანი“, ვტიულები, IV, გვ. 296.

¹⁰ ძვ. ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, ტ. I, 1946, გვ. 177.

¹⁰ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა XXIII სამეცნიერო კონფერენცია (თეზისები), გვ. 149.

ვერ დაამტკიცებს უკანასკნელის ავტორობას. ეს შიკრიე საკითხზე შემდეგ უნდა შეეტანათ „დიდ სვინაქსარში“.

3. სვინაქსარის წყარო უნდა იყოს ათონის მთაზე 1074 წელს გადაწერილი კრებული¹¹.

თეზისებიდან ნათელია, რომ ავტორი იზიარებს აკად. კ. კეკელიძის ვარაუდს ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების ვრცელი ცხოვრებიდან წარმომავლობის შესახებ, მაგრამ წინააღმდეგ ამავე მეცნიერის მოსაზრებისა სვინაქსარული ცხოვრების ავტორად გიორგი ათონელი არ მიაჩნია. სვინაქსარული ცხოვრება მას გიორგი ათონელის გარდაცვალებისა და „ათონის კრებულის“ შედგენის (ე. რ. 1074 წ.) შემდეგ ჰგონია დაწერილი და „დიდ სვინაქსარში“ შეტანილი.

თუ ყველაფერი, რაც კი თქმულა და დაწერილა ამ საინტერესო საკითხის ირგვლივ.

უპირველესი საკითხი, რომელიც გარკვევას მოითხოვს, არის ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარულ და ვრცელ ცხოვრებათა ურთიერთმიმართების საკითხი, რომლის დადგენა, რა თქმა უნდა. შესაძლებლობის ფარგლებში, მოითხოვს მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვასაც.

ამ ცხოვრებათა ტექსტობრივი მასალა იძლევა თუ არა საბაზს, ვილაპარაკოთ მათ ორგანულ კავშირზე? ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ: ექვთიმეს სვინაქსარულისა და ვრცელი ცხოვრების მრავალი საერთო ადგილი, მთლიანი ეპიზოდებისა და წინადადებების სიტყვა-სიტყვით განმეორება უექველს ხდის მათ ურთიერთდამოკიდებულებას. მოვიტანოთ რამდენიმე პარალელი:

სვინაქსარული ცხოვრება

1. „არამედ სხუასა ჟამსა აღძრა ეშმაკმან მებოსტნე მონასტრისაჲ და აზრახა მოკლვაჲ წმიდისაჲ“ (გვ. 60)¹².

ვრცელი ცხოვრება

„კულად სხუასა ჟამსა აღძრა ეშმაკმან მებოსტნე მონასტრისაჲ და აზრახა მასცა მოკლვაჲ წმიდისაჲ მის“ (47, 106)¹³.

¹¹ იქვე.

¹² ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარულისა და ვრცელი ცხოვრების მითითებული ადგილები მოგვეყვას ივ. ჭავჭავაძის გამოცემიდან: „გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთიმესი“, 1946.

¹³ პირველი რიცხვი მიუთითებს გვერდს, მეორე — მუხლს.



2. მოუქდა ვინმე ჰურიამ. სწავლული შჭულსა, და ენება ცილობით სიტყვსა ყოფად მის თანა წესითა ჰურიებრივითა.

ხოლო ნეტარსა მას უძნდა საქმე ესე. არაჲდ ბრძანებითა იოვანესითა იიძულა ზრახვად მის თანა. და ვითარცა იწყო ჰურიამან ცილობად და კითხვად, აღუქსნიდა მას ყოველსა უაღრეს ცნობისა. და იხილა რამ ძლეულებად თვისი, იწყო მზაკუვარმან მან თქუმად სიტყუათა გმობისათა. შეუძნდა ესე სანატრელსა მას და ჰრქუა, ვითარმედ: „ჰურიამო, უკუეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხვედ, განგიმარტემცა, და უკუეთუმცა ჩუენ გუკითხვედ, მიგიგეთმცა... ვინაჲთგან კულა გმობასა მალლისა მიმართ იტყვ, დაიყავნ პირი შენი, რომელი იტყვს სიცრუევსა!“ და მეყსეულად უტყუ იქმნა მგმობარი იგი პირი მისი და ხვალისა დღე სულნი წარჰკდეს“ (გვ. 58).

3. „... ამისთვისცა პოვა საწყალობელი ვინმე. სახითა მონაზონი... და აღლესა იგი მოკლვად წმიდისა. რამეთუ გამოუჩნდა და ჰრქუა: „უკუეთუ მოჰკლა მბრძოლი ჩემი ეფთჳმი, ფრიადი კეთილი ვყო შენ თანა“. ვინაჲცა შეიმზადა დანაკი ფრიად დიდი და ეძიებდა ჟამსა მოკლვად მისა. არაჲდ ცუდ ყო ღმერთმან განზრახვად მისი...“ (გვ. 59).

„... ვინმე ჰურიამ შჭულსმეცნიერი და სწავლული ფრიად და განთქჳელი ცილობასა ზედა, ზუაობითა ჰურიებრივითა მოუქდა მამასა ეფთჳმეს და ენება სიტყუად.

ხოლო ნეტარსა მას უძნდა საქმე ესე, არაჲდ ბრძანებითა იოვანესითა იიძულა ზრახვად მისა. და ვითარცა იწყო ცილობად და კითხვად, აღუქსნიდა მას და განუმარტებდა ყოველსავე უაღრეს ცნობისა. და მზაკუვარმან მან, ვითარცა იხილა ძლეულებად თვისი, იწყო თქუმად სიტყუათა გმობისათა. შეუძნდა ესე სანატრელსა მას და ჰრქუა, ვითარმედ: „უკუეთუმცა სიტყუასა წერილთასა იკითხვედ, განგიმარტემცა და, უკუეთუმცა ჩუენ გუკითხვედ, მიგიგეთმცა. ვინაჲთგან კულა გმობასა მალლისა მიმართ იტყვ, დაიყავნ პირი შენი მგმობარი“. და ვითარცა ესმა, მეყსეულად უტყუ იქმნა და ხვალისა დღე სულნი წარჰკდეს“ (32, 54).

„და პოვა ვინმე საწყალობელი, სახითა მონაზონი, და აღძრა იგი მოკლვად წმიდისა მის; რამეთუ გამოუჩნდა და ჰრქუა მას, ვითარმედ: „უკუეთუ მოჰკლა მბრძოლი ჩემი ეფთჳმი, ფრიადი კეთილი ვყო შენ თანა“. ვინაჲცა შეიმზადა მახვლი და ენება მოკლვად მისი, არაჲდ ცუდ ყო ღმერთმან განზრახვად მისი“ (46, 105).

მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სურათი ახლაც ნათელია; თუკაც, შეიძლება დაიზარდოს ეჭვი, რომ ნაჩვენები ადგილები ეხება ექვთიმეს ცხოვრების ეპიქრობრივ მხარეს და ამდენად ავტორი ერთგვარად შეზღუდულია წყაროს გამოყენებისას თავის ლიტერატურულ გამოვლენას ანგარიში გაუწიოს; ან კიდევ, რომ ეს საერთო ადგილები ორივე ცხოვრებაში, ერთმანეთისაგან დაპოუქიდებლად. ერთი და იგივე წყაროდან პოპინარეობს; ამიტომ უფრო საგულისხმოა ამ ცხოვრებათა ისეთი ადგილების ჩვენება, რომლებიც ექვთიმეს «სათნობათა» შესახებ ზოგადი ხასიათის თხრობას შეიცავს, და საღაც ავტორის დაპოუქიდებელი შემოქმედებითი ფანტაზია უფრო ნათლად უნდა გამოჩნდეს: მაგრამ აქაც იგივე სურათია:

სვინაქსარული ცხოვრება

1. „ყოველთა მათ თანა სათნობათა აქუნდა ესეცა დიდი სათნობაჲ, რომელ თვნიერ მოძღურისა არარას იქმონდა ყოვლადვე, რამეთუ იტყვნ, ვითარმედ: „წინდობაჲ თავისა თვისსაჲ და თვისსა ნებასა დამტყციებაჲ კარი არს წარწყმედისაჲ... ხოლო განკითხვაჲ — წინამძღუარი ცხოვრებისაჲ... ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა ჩუენთა“. და ესე წესი ვიდრე აღსასრულამდე თვისსა დაიმარხა“ (გვ. 60).

2. „ხოლო არნ სამოსლად მისსა ქუეშე კერძო ძაძაჲ და ზედა ძაძისა მის ჯაჰვ მძიმე... რომელიცა ვინ მცნებაჲ გამოიძიოს, პოოს მის მიერ აღსრულებულად“ (გვ. 60—61).

3. „იყო წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳვე სახითა მყუდრო და წრფელ და გონებითა მდაბალ და გუამითა ძლიერ და პასაკითა

ვრცელი ცხოვრება

„ყოველთა მათ სათნობათა თანა აქუნდა ესეცა დიდი სათნობაჲ, რამეთუ თვნიერ განკითხვისა არარას იქმონდა ყოვლადვე, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ: „წინდობაჲ თავისა თვისსაჲ და თვისსა განზრახვასა შედგომაჲ წარწყმედელი არს სულისაჲ, ხოლო განკითხვაჲ, წინამძღუარი არს ცხოვრებისაჲ, ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა ჩუენთა“. და ესე წესი ვიდრე აღსასრულამდე თვისად დაიმარხა“ (46, 107).

„ხოლო არნ სამოსლად მისა ძაძაჲ და ძაძისა მის ზედა ჯაჰვ მძიმე. და რომელიცა ვინ სათნობაჲ გამოიძიოს, მის თანა პოოს მის მიერ აღსრულებულად კეთილად და შუენიერად“ (47, 108).

„იყო წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳვე სახითა მყუდრო და გონებითა წრფელ და მდაბალ და სულითა განათლებულ და წმიდა

ზომიერ და თვნიერ წამებისა წერილთაჲსა არა არაჲს დაამტკიცებდა თავით თვისით, გინა იტყოდა, და ეკლესიას ღგომასა მკნე, რამეთუ ღგან იგი თვნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისა კელ-მოკდობით, ვითარცა სუეტი შეუძრველად და პირი და თუალნი მისნი იყენიან ქუეყანად მიმართ მხედველ.

ხოლო სენაქსა შინა მოღუაწებანი მინი ვინ აღრაცხნეს, რომელნი-იგი ღმერთმან ხოლო მხოლომან უწყნის!“ (გვ. 60).

აღნიშნული საერთო ადგილები უეჭველს ხდის ამ ორი ცხოვრების უშუალო, მკიდრო დაშოკიდებულებაჲს. ამ ურთიერთობის შეფასება კი ორგვარად შეიძლება: ან სვინაქსარული ცხოვრებაა შედგენილი ვრცელიდან ადგილების გამოკრების გზით, ან კადევერცელმა ცხოვრებამ გამოიყენა არსებული სვინაქსარული ცხოვრება ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. სწორედ ამ საკითხის გარკვევაა საინტერესო.

სურათი ნათელი იქნებოდა, რომ ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში შემონახულიყო საჩუქუნო ცნობა „ღიღი სუნაქსარის“ თარგმნისა და „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვმესი“-ს დაწერის ზუსტი ქრონოლოგიის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. საქმე ისაა, რომ გ. მთაწმიდლის ბიოგრაფის — გიორგი ხუცეს-მონაზონის — მოწმობით, მან ორივე შრომა ღეკანოზობაში შეასრულა. ასეთი ზოგადი განცხადების შედეგად საკითხი მთლიანად ნათელი არ არის: „სუნაქსარის“ თარგმნა უსწრებს „ცხოვრების“ დაწერას, თუ პირაქით; თუ ორივე სამუშაო პარალელურადაა შესრულებული.

სანამ აღძრულ საკითხს შეეხებოდეთ, საჭიროა გავარკვიოთ მასთან დაკავშირებული ერთი დეტალი. როდესაც ჩვენ „ღიღი სუნაქსარის“ თარგმნის თარიღზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება „ღიღი სუნაქსარის“ ქართული

და გუამითა ძლიერ... და პასაკითა წესიერ, და თვნიერ წამებითა წერილთაჲთა არა არაჲს დაამტკიცებნ თავით თვისით, გინა იტყვნ. და ეკლესიასა ღგომასა მკნე, რამეთუ ღგან იგი თვნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისა კელ-მოკდობით, ვითარცა სუეტი შეურყეველი. და პირი და თუალნი მისნი იყენიან ქუეყანად მიმართ მხედველ.

ხოლო სენაქსა შინა მოღუაწებათა მისთა აღრაცხვაჲ ვისმცა ძალ-ედვა, რომელნი-იგი ღმერთმან მხოლომან უწყნის!“ (46—47, 108).

ნუსხის განუყრელი ნაწილა, ე. ი. ეს სვინაქსარული ცხოვრება გიორგი ათონელის მიერ ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლის ავტორისუფლ ნუსხაშივე შევიდა. ამრიგად, „დიდი სვნაქსარის“ თარგმნის თარიღი აშკარად სვინაქსარული ცხოვრების შექმნის ქრონოლოგიის დასადაგენად გვინტერესებს. ამის შესახებ მსჯელობა ზედმეტად მოგვეჩვენებოდა, რომ არ გამოთქმულიყო აზრი. თითქოს ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება „დიდ სვნაქსარში“ გიორგი ათონელის გარდაცვალების შემდეგ, უფრო ზუსტად, „ათონის კრებულის“ შექმნის (1074 წ.) შემდეგ უნდა შეეტანათ. ამ აზრის უსაფუძვლობას მრავალი გარემოება ადასტურებს:

1. ჩვენამდე მოაღწია გიორგი ათონელის ნათარგმნმა „დიდი სვნაქსარის“ 50-ზე მეტმა ნუსხამ; როგორც წესი. ყველა მათგანი შეიცავს ექვთიმეს სვინაქსარულ ცხოვრებას. ნუთუ „სვნაქსარის“ არც ერთი ხელნაწერი არ გადარჩა მთარგმნელის ხელიდან გამოსული ნუსხის რედაქციისა, რომელიც, არ შეიძლება ექვთიმეს სვინაქსარულ ცხოვრებას? მით უმეტეს, რომ გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი ძეგლები, და მათ შორის „დიდი სვნაქსარიც“, როგორც ცნობილია, თარგმნისთანავე მრავალ ეგზეგეტიკურად გადაიწერა და გავრცელდა საქართველოში თუ საზღვარგარეთის ქართულ სამწერლობო კერებში.

2. გიორგის მიერ ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების „დიდ სვნაქსარში“ შეტანა ყოველმხრივ გამართლებულია. რომ არაფერი ვთქვათ ექვთიმეს უდიდესი დამსახურების შესახებ ქართული სასულიერო მწერლობისა და კულტურის წინაშე, ის სიცოცხლეშივე წარმოადგენდა ერთ-ერთ უდიდეს ავტორიტეტს არა მარტო ქართველთა სასულიერო წრეებში, არამედ ათონისა და საერთოდ საბერძნეთის სასულიერო პირთა და სახელმწიფო ხელისუფალთა შვილშიც. როგორც გ. ათონელი აღნიშნავს: „რამეთუ არცა პროტი, არცა სხუანი მამასახლისნი თვნიერ მისისა ბრძანებისა აჩარას იქმოდეს და იშვათი დღმ გარდაქდის, რომელსა ათი ანუ ათხუთმეტი მამასახლისი არა მოვიდის მათ წინაშე“¹⁴. განა მისი ავტორიტეტის აღიარება არაა ის ფაქტი, რომ ათანასე ათონელმა თავისი სამეფო დიდი ლავრის „განგება“ მას მიანდო¹⁵ და არა რომელიმე ბერძენს? ამრიგად, ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების შეტანა გიორგი ათონელის მიერ „დიდ სვნაქსარში“ არამცთუ შესაძლებ-

¹⁴ ცხოვრება იოვანესი და ეფთვიესი, 41, 88.

¹⁵ იქვე.

ლი გვგონია, არამედ აუცილებლობითაც კი უნდა იყოს გამოწვეული.

3. „დიდი სვნაქსარის“ ქართულ ნუსხაში იოვანე ათონელის მოსახსენებელი შეტანილია სვინაქსარული ცხოვრების გარეშე. იოვანეს, მიუხედავად დიდი დამსახურებისა ათონის ივერთა მონასტრის დაარსებისა და განმტკიცების საქმეში, ექვთიმესთან შედარებით მაინც ნაკლები დეაწლი ჰიუძღვის ქართული, თუგინდ, ბერძნული ეკლესიის წინაშე. ამასთანავე, საინტერესოა, რომ იოვანეს მოსახსენებელი, რომელიც ქართულმა ეკლესიამ 14 ივნისს დააწესა, ასეთი სახითაა შეტანილი „დიდ სვნაქსარში“: „...ამასვე დღესა მიცვალებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი, ე ფ თ ვ მ ი ს მ ა მ ი ს ა ჲ, ჰეშმარიტისა მის მონაზონისა და ქრისტეს ნების-ყოფელისაჲ, რომელსა პირველ აბულ(ჰ)ერით ერქუა ერის მთავრობასა“¹⁶.

თუ კი ჩვენ საეკვოდ არ მივიჩნევთ იმასაც, რომ იოვანეს მოსახსენებელიც თავიდანვეა შეტანილი „დიდ სვნაქსარში“, მაშინ უდავოა ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების „დიდი სვნაქსარის“ თავდაპირველ ნუსხაში არსებობა, რადგან, როგორც ვნახეთ, იოვანე ათონელის ვინაობა ექვთიმეს ჰეშვებობითაა გადმოცემული, რაც შვილის შეტ პოპულარობაზე მიუთითებს.

4. „ათონის კრებულის“ ექვთიმეს სახსენებელი დღის „განგებაში“ მითითებულია სვინაქსარის საკითხავზე: „განრომასა ზედა წარდგომად და კითხვაჲ სვნაქსარისაგან“¹⁷. ეს ფაქტიც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება ვერ შეიქმნებოდა „ათონის კრებულის“ შედგენის შემდეგ, რადგან ამავე კრებულში მითითებული „კითხვაჲ სვნაქსარისაგან“ სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება, მოთავსებული „სვნაქსარში“ ცამეტი მაისოს დღეს.

5. „დიდი სვნაქსარის“ რამდენიმე ხელნაწერის ჩვენება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება მოიპოვებოდა გ. მთაწმიდლის სიციოცხლში გადაწერილ „სვნაქსარში“. „სვნაქსარის“ შემცველი ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდისა — A—193 თ. ქორდანიაჲ გიორგი ათონელის სიციოცხლში გადაწერილად¹⁸ მიიჩნია,

¹⁶ A—193, 215r; A—97, 239v, H—2211, 277v და სხვა.

¹⁷ ათონის კრებულა, გვ. 109.

¹⁸ Ө. Ж о р д а н и я, Описание рукописей и старопечатных книг Церковного Музея духовенства Грузинской епархии, кн. I, стр. 216.

რასაც იზიარებს აკად. კ. კეკელიძე¹⁹. საერთოდ, განმტკიცდა აზრი, რომ ეს ხელნაწერი უძველესია ჩვენამდე მოღწეულ „სუნაქსართა“ ნუსხებს შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ხელნაწერი შეიცავს ექვთიმეს სვინაქსარულ ცხოვრებას და იოვანე ათონელის ხსენებას.

შავ მთაზე გადაწერილი „სუნაქსარის“ მეორე უძველესი ნუსხა (H—2211), როგორც ელ. მეტრეველმა გაარკვია, იძლევა საფუძველს, რომ ის გიორგი ათონელის სიცოცხლეში გადაწერილად მივიჩნიოთ²⁰. ხელნაწერის გადაწერის იოანე ჭიბისძის ანდერძი²¹ ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს. არც ერთ სხვა „სუნაქსარის“ ნუსხაში არ არის აღნიშნული ის ფაქტი, რომ ეს ძეგლი, რომელიც „ითარგმნა ბერძენთა ენისაგან ქართულად გიორგის მიერ, რაჟეთუ დიდი შრომითა და ხარკებითა... ათარგმნია მოძღუარმან მრამან გიორგი დაყუდებულმან“²². ზოგადი ხაზაათის ცნობა, რომ გიორგი მთაწმიდელმა მთარგმნელობით მუშაობას გიორგი დაყუდებულის იძულებით მოჰკიდა ხელი, გ. მთაწმიდლის ცხოვრებასა²³ და ათონის № 55 ხელნაწერის გიორგი დაყუდებულის ანდერძშიც არის აღნიშნული²⁴. ხოლო „სუნაქსარის“ ანდერძში ამ ზოგადი ცნობის ერთადერთი კონკრეტული დადასტურება გვაქვს.

ამ ხელნაწერისა და შატბერძს 1035 წ. გადაწერილი ხელნაწერის (A—135) ანდერძების შეჭერებისა და ანალიზის საფუძველზე ელ. მეტრეველმა დაადგინა, რომ „სუნაქსარის“ ეს ნუსხა გადაწერილია არა უგვიანეს 1065 წლისა, ე. ი. გ. მთაწმიდლისა და გ. დაყუდებულის სიცოცხლეში. სხვა საბუთებთან ერთად მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ორივე გიორგის ხსენება ყოველგვარი მალაღმარდოვანი ეპითეტების, მათი ღვაწლის, დამსახურების, წმინდანობისა და სულიერი ღირსებების აღნიშვნის გარეშე გვაფიქრებინებს, რომ

¹⁹ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, ტ. IV, გვ. 150.

²⁰ ელ. მეტრეველი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკ. პირველ ნახევარში, ასაქ.სახელმწ. მუზეუმის მოამბე, XX—B, №1059.

²¹ გამოცემულია დასახელებული ნაშრომის დამატებად, გვ. 99—102.

²² იქვე, გვ. 101.

²³ ცხოვრება გიორგი მთაწმიდლისა, გვ. 294.

²⁴ Н. М а р р. Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ტ. I, გვ. 45. კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. მწერ. ისტორია, ტ. I, გვ. 191.

ანდერძი იწერებოდა ორივეს სიცოცხლეში²⁵. მართლაც, ძნელია ამ ხელნაწერის გადაწერის თარიღი უფრო გვიან გადმოვიტანოთ. რადგან იოანე ჭიბისძე, გადამწერი ამ ხელნაწერისა, და დავით ჭიბისძე, სულიერი მამა და ხორციელი ბიძა იოვანესი და მომგებელი ამ ხელნაწერისა, ამავე როლებში (ე. ი. იოვანე გადამწერი, დავითი მომგებელი) გვევლინებიან 30 წლით ადრე, 1035 წ. გადაწერილი ხელნაწერის (A—135) ანდერძშია²⁶.

როგორც ანდერძშია ნათქვამი, „დაინუსხა წმიდაჲ ესე წიგნი... მონაზონთა სიმრავლითა განშუენებულსა რომანა-წმიდას...“²⁷, სადაც გ. მთაწმიდელმა 3 წელი იღვაწა მის ათონზე გაგზავნამდე. საფიქრებელია, რომ გ. მთაწმიდელმა თავისი ნათარგმნი წიგნის ერთი პირველი ეგზეგვლართაგანი, შესაძლებელია, თავისივე ხელით გადაწერილი, რასაც ის რიგ შემთხვევებში აკეთებდა²⁸, გაუგზავნა რომანა-წმიდის მონასტერს. ამ აზრის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს გადამწერის სიტყვები: „მუნ იყო (ე. ი. რომანაწმიდას) დედაჲ უცთოჲელი და მართალი“²⁹, რომელიც „...მოილო მთით წმიდით...“³⁰. ასეა, თუ არა, საეჭვო არ უნდა იყოს ელ. მეტრეველის აზრი, რომ „სვნაქსარის“ ეს ნუსხა, რომელიც ექვთიმეს სვინაქსარულ ცხოვრებას შეიცავს, გიორგი მთაწმიდლის სიცოცხლეშივეა გადაწერილი.

ზემოთქმულის მიხედვით, ნათელი უნდა იყოს, რომ ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება არ შეიძლება „სვნაქსარში“ შეეტანათ გიორგი ათონელის გარდაცვალებისა და ათონის კრებულის შედგენის შემდეგ. იგი „დიდი სვნაქსარის“ პირველსავე ქართულ ნუსხაში შევიდა.

ახლა დაუბრუნდეთ „სვნაქსარის“ თარგმნისა და ექვთიმეს ცხოვრების ვრცელი რედაქციის დაწერის ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხს. გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებიდან ვიცით, რომ „დიდი სვნაქსარი“ არის მისი მთარგმნელობითი და, სა-

²⁵ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

²⁶ გამოცემულია ელ. მეტრეველის მიერ დასახ. ნაშრომის დამატებად, გვ. 102—104.

²⁷ იქვე, გვ. 101.

²⁸ ათონის კრებული, გვ. 310.

²⁹ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

³⁰ იქვე

ფიქრებელია, საერთოდ მისი ლიტერატურული მუშაობის პირველი პროდუქტია.

გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფი გიორგი ხუცეს-მონაზონი, კადმოგვეცემს, რომ გიორგი შეყენებულმა ის სპეციალურად გამოგზავნა ათონის მთაზე ექვთიმეს მიერ დაწყებული საქმიანობის გასაგრძელებლად — საღმრთო წიგნთა სათარგმნელად. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დრო გაეიდა გიორგის მთაწმიდაზე მოსვლიდან, „ეუწყა ნეტარსა მას ბერსა, კოდლუარსა მისსა გიორგის, ვითარმედ წუთ არცა მღვდლობისა პატივი მიუღებოდა და არცა წერილთა თარგმანებად უწყიეს“³¹. გიორგი შეყენებული ძალიან შეწუხებულა და თავისი მოწაფის თედორეს პირით „დიდი მღურვა მოუპცნო არღა აღსრულებისათვის ნებისა მისისა“³². მხოლოდ ამის შემდეგ შესდგომია გიორგი მთაწმიდელი დავალების შესრულებისათვის ზრუნვას და, „ვითარცა ბრძენჴან ხუროთმოძღვარჴან, პირველად კეთილი საფუძველი დადვა, იწყო რაჴ შენებად ღმრთისა ეკლესიასა. და პირველ ყოვლისა, სჯნაქსარი თარგმნა, რამეთუ ესე არს საფუძველი ეკლესიისა. რამეთუ რომელსა ეკლესიასა სჯნაქსარი არა ჰქონდინ, დაღაცათუ ყოველნი წიგნნი ჰქონდინ, თაფლსა სჴამს, ხოლო სიტყბობასა სასა ვერ სცნობს“³³.

„ცხოვრებია“ ამ ადგილიდან ჩანს, რომ გიორგის „პირველ ყოვლისა“ „სჯნაქსარი“ უთარგმნია, ე. ი. თავისი ლიტერატურული პროდუქცია ამ ძეგლის თარგმნით დაუწყია. ეს შრომა, როგორც გიორგის ბიოგრაფი კადმოგვეცემს, რასაც ადასტურებს „სჯნაქსარის“ ნუსხების ავტორისეული თუ გადაწერთა ანდერძებიც. გიორგის დეკანოზობაში შეუსრულებია: „ხოლო ითარგმნა წმიდაჴ ესე წიგნი სჯნაქსარი... მთაწმიდას მონასტერსა ქართველთასა კელითა გიორგი დეკანოზისაჴთა“³⁴.

გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების მოწმობით, ექვთიმეს ვრცელი ცხოვრებაც ამავე პერიოდშია შექმნილი: „რამეთუ პირველითგანვე, ვინაჴთჴან მოვიდა იგი წმიდასა ამას მთასა, ყოელითა მოსწრაფებითა... გამოიკითხა და გამოიძია მოწაფეთაჴან და მეგობართა წმიდისა მამისა ეფთჴმისთა უსხეულოთა მიმსგავსებული... ცხოვრებაჴ და მოქალაქობაჴ მისი და ნეტარისა მამისა მათისა იოვანესი

³¹ ცხოვრებაჴ გიორგი მთაწმიდლისაჴ, ათონის კრებული, 1901, გვ. 297.

³² იქვე.

³³ იქვე.

³⁴ S—1245, გვ. 534 და სხვ.

და სხვათა ცა წმიდათა ბერთაჲ... ესე ყოველნი აღწერით დაგ-
კტევენა... და ესე აღწერა ვიდრე-ლა იყო იგი დეკანოზად³⁵.

როგორც ვხედავთ, ორივე ძეგლზე მუშაობის დაწყება-დასრუ-
ლება ზუსტად ერთი დროის მონაკვეთშია ნაგულისხმევი: ერთის
მხრივ, თუ გიორგიმ „სვინაქსარი“ „პირველ ყოვლისა“ თარგმნა, მეო-
რეს მხრივ. ექვთიმეს „ცხოვრებაზე“ მუშაობას „პირველთაგანვე,
ვინაჲთგან მოვიდა იგი წმიდასა ამას მთასა“, შესდგომია. ძნელი
გასარკვევია, რომელი სამუშაოა შესრულებული გიორგის მიერ უფ-
რო ადრე — „სვინაქსარის“ თარგმნა თუ „ცხოვრების“ დაწერა?
ფიქრობთ, რომ „სვინაქსარის“ თარგმნა წინ უსწრებდნენ „ცხოვრების“
დაწერას. აი რატომ:

1. როგორც აღვნიშნეთ, გიორგი მთაწმიდელმა „პირველ
ყოვლისა“ „სვინაქსარი“ თარგმნა.

2. გიორგი მთაწმიდლის ათონზე წარმოგზავნის ძირითა-
დი მიზანი „საღმართო წიგნთა“ თარგმნა იყო. ამიტომ გასაგებია გიორგი დაუღლებულის გულსტკივილი, როდეს-
აც მან გაიგო, რომ გიორგი მთაწმიდელს „არცაჲ წერილთა თარგმ-
ნაჲ უწყის“. რისთვისაც შავი მთიდან სპეციალურად გამოგზავნი-
ლი მოწათეს პირით „დადი მდურვა მოუძენო მას“ და კვლავ მოა-
გონა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების აუცილებ-
ლობა³⁶.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი გაფრთხილების შემდეგ
გიორგის ჯერ ექვთიმეს ცხოვრება დაეწეროს, ხოლო მთარგმნე-
ლობითი მუშაობა შემდეგ დაეწყოს; პირიქით, მთარგმნელობით
მოღვაწეობაში გამომეღვენებული ლიტერატურული უნარის დანახ-
ვის შედეგად შეეძლოთ ათონის „მამათაჲცა სულიერთა“ დაევალუ-
ბინათ მისთვის ექვთიმეს ცხოვრების დაწერა, როგორც ამას გი-
ორგი მთაწმიდელი თხზულებბს შესავალში ამბობს „... და მამათაჲცა
ჩემთა სულიერთა მარბრძანეს ამისი ქელყოფაჲ“—ო³⁷.

³⁵ ცხოვრება გ. მთაწმიდ., ათონის კრებული, თბ., 1901. გვ. 299.

³⁶ როგორც საერთოდ მთარგმნელობითი მუშაობა, ასევე გიორგის მიერ
პირველ სათარგმნელ ძეგლად „სვინაქსარის“ შერჩევა მისი მოძღვრის მითი-
თებით უნდა მომხდარიყო, ამას ადასტურებს შავ მთაზე გადაწერილი ზემოალ-
ნიშნული „სვინაქსარის“ (H—2211) ანდერძი: „...თარგმნა მოძღუარმან მის
მან გიორგა დაუღლებულმან“. ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ზემოაღნ. ნაშრომი,
გვ. 101.

³⁷ ცხ. იოვანესი და ეფთჳმესი, 1946. გვ. 14. 3.

3. გიორგი მთაწმიდელი ექვთიმეს ცხოვრების შესახებ ცნობების შეგროვებას შესდგომია „პირველთაგანვე, ვინაჲთგან მოვიდა იგი წმიდისა ამაჲს მთასა“. და არა „ცხოვრების“ წერას. როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს, როდესაც „ცხოვრების“ მითითებულ ადგილს ვკითხულობთ, ხოლო „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“ „ესე აღწერა ვიდრეღა იყო დეკანოზად“. გიორგი ხუცეს-მონაზონის ამ სიტყვებს, ჩვენის აზრით, დაზუსტება ესაჭიროება. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ტექსტი ექვთიმეს ვრცელი ცხოვრებისა, რომელიც „ათონის კრებულშია“ (A—558) მოთავსებული, შეიცავს ავტორის შენიშვნას, რომლითაც მთავრდება თხზულება: „მე მამამან გიორგი, მამობასა ჩემსა მოვცულენ ნაწილნი წმიდისა ეფთჳმესნი ნათლის-მცემლის ეკლესიით დიდსა ეკლესიასა ღმრთის-მშობლისასა...“³⁸. გიორგი მთაწმიდლის ამ ანდერძიდან ჩანს, რომ ამ თხზულების დასრულებისას ექვთიმეს „წმ. ნაწილები“ უკვე „მოცელილია“: ხოლო, რადგან ექვთიმეს გადმოსვენების ფაქტი გიორგის წინამძღვრობაშია დადასტურებული, ნათელია, რომ „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“ გიორგი მთაწმიდელს წინამძღვრობაში დაუსრულებია. მაინც წინამძღვრობის რომელ პერიოდში შეიძლება ვივარაუდოთ გიორგის მიერ ამ თხზულებაზე მუშაობის დამთავრება? კითხვაზე შედარებით ზუსტ პასუხს (მართალია, თარიღზე მიუთითებლად) გვაძლევს გიორგი ათონელის ბიოგრაფია: „...ამან ნეტარჲან (ე. ი. გიორგიმ), რაჲღჲს კუერთხა წინამძღვრობისაჲ მიიღო, ყოვლისა პირველად... მოსცულანა ნათლის-მცემლისა ეკლესიით დიდებულსა ამაჲს ეკლესიასა შინა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისასა“³⁹ „წმიდანი ნაწილნი“ ექვთიმესნი-ო. ამის შემდეგ გიორგი ხუცეს-მონაზონი განაგრძობს თხოვას და აღნიშნავს, რომ მალე გიორგიმ „აღმოიყვანნა ნაწილნი წმიდისა მამისა იოვანესი... და შეილსა თვისსა თანა დაკრძალნა“⁴⁰. აქედან გამომდინარე ექვთიმესა და იოვანეს „ნაწილებს“ გადმოსვენება გიორგის მიერ წინამძღვრობის მიღებისთანავე მომხდარა. გიორგი ათონელის ანდერძში, რომელიც ექვთიმეს ვრცელ ცხოვრებას ერთვის და რომლის დასაწყისი ზემოთ მოვიტანეთ, იოვანეს „წმ. ნაწილთა“ „მოცელის“ შესახებ არაფერია ნათქვამი. ხოც არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გიორგის ეს ცნობა მხედველობიდან გა-

³⁸ ათონის კრებული, 1901, გვ. 67—68.

³⁹ იქვე, გვ. 299.

⁴⁰ იქვე, გვ. 301.

მორჩა, ან მისი აღნიშვნა საკვიროდ არ მიიჩნია? უფრო ახლოს ვიქნებით ჰუმანიტეტთან, თუ ვიფიქრებთ, რომ, როდესაც ეს ანდერძი იწერებოდა, იოანეს ნაწილები ჯერ კიდევ გადმოსვენებული არ იყო, თორემ ეს ფაქტი აღუნიშნელი არ დაარჩებოდა, მით უმეტეს, რომ გიორგის თხზულებას ეწოდება „ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი“ და აპდენად ამ ფაქტის აღნიშვნა ისეთივე აუცილებლობით იქნებოდა გამოწვეული, როგორც ექვთიმეს „წმ. ნაწილების“ გადმოსვენების აღნიშვნა. ამრიგად, გიორგი მთაწმიდელს ამ თხზულების წერა დეკანოზობაში დაუწყია, ხოლო დაუსრულებია იგი წინამძღვრობის ბილუბის პირველსავე წლებში, კერძოდ, ექვთიმეს „წმ. ნაწილების“ გადმოსვენების შემდეგ და იოანე ათონელის „წმ. ნაწილების“ მოცელამდე“.

ამრიგად, ამ შავალთის საფუძველზედაც ჩანს, რომ „დიდი სჯნაქსარის“ თარგმნა „ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი“-ს შექმნაზე აღრეა სავარაუდებელი.

4. როგორც ცნობილია, გიორგი მთაწმიდელმა იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში მოთავესებული ექვთიმეს ნათარგმნ თხზულებათა სია გადმოიწერა იოანე ათონელის ანდერძიდან, რომელიც ერთვს ექვთიმეს ნათარგმნი სახარების მათეს თავის თარგმანებას (A—136). ამ ორი სიის შედარება გვიჩვენებს, რომ „ნუსხა სიტყვასიტყვით არის გადმოწერილი“⁴¹. განსხვავებულია მხოლოდ ექვთიმეს თარგმნილი „სჯნაქსარის“ სახელწოდება, რომელსაც იოანეს ნუსხით ეწოდება „სჯნაქსარი ბერძული, რომელ არიან კრებანი“⁴², ხოლო გიორგი მთაწმიდლის ნუსხით კი „სჯნაქსარი საწელიწადო უმცროსი“⁴³. რატომ შეცვალა გიორგიმ ამ თხზულების სახელწოდება თავისებურად? საფიქრებელია, რომ „ცხოვრების“ წერის მომენტში გიორგის უკვე ნათარგმნი ჰქონდა „დიდი სჯნაქსარი“ და, რომ მკითხველს ეს ორი თხზულება ერთი და იგივე ძეგლის ორჯერ თარგმანად არ მოსჩვენებოდა, ექვთიმეს ნაშრომს „უმცროსი“ უწოდა თავისი „დიდი სჯნაქსარის“ საპირისპიროდ, რადგან, როგორც ცნობილია, ექვთიმეს ნათარგმნი ძეგლი, მართლაც, შემოკლებითაა გადმოღებული.

⁴¹ ი. ე. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი. წინასიტყვაობა, გვ. 10.

⁴² იქვე, გვ. 9.

⁴³ იქვე.

5. ექვთიმესა და იოვანეს ცხოვრების დაწერამდე „სჯნაქსარის“ თარგმნის საპარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს „ცხოვრების“ ერთი ადგილი: „და ვითარცა იყო ნეტარი მამამ ჩუენი ეფთჳვე საესე ზეგარდამოძთა მადლითა, ეგრეთვე საღმრთონი წესნი და განგებანი დაესზნეს მონასტერსა თვისსა: პირველად წესნი ეკლესიისანი და განგებანი ყოვლისა წელიწადისანი, ვითარცა წერილ არს დიდსა სჯნაქსარსა, სრულებით და დაუკლებელად“⁴⁴. ექვთიმეს რომ ბერძნული ეკლესიის ლიტურგიული პრაქტიკა ზედმიწევნით სცოდნოდა და მის მიხედვით დაედგინა თავისი მონასტრის „განგება“, არ არის საკვირველი, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ის იცნობდა მაინცდამაინც „დიდი სჯნაქსარის“ ბერძნულ დედანს, რადგან ასეთი სახელწოდების სვინაქსარული კრებული, ზუსტი შესატყვისი გიორგის ნათარგმნი „დიდი სჯნაქსარისა“, არა გვეგონია არსებობდეს ბერძნულად: ასეთ სახელწოდებას მხოლოდ ქართული თარგმანი ატარებს. ამდენად, „დიდი სჯნაქსარის“ მოხსენიება „ცხოვრებაში“ უნდა მიუთითებდეს, რომ ეს ძეგლი უკვე თარგმნილია ქართულად. გიორგი მთაწმიდელმა ექვთიმეს მიერ დასახმული წესები შეადარა და გაააგივა „დიდი სჯნაქსარის“ „განგებასთან“, რათა ხაზი გაესვა ამ წესების სრულყოფისათვის.

ამრიგად, რომ შეეაჯამოთ ის, რაც აღინიშნა ამ ორი ძეგლის შექმნის ქრონოლოგიაზე ერთმანეთთან მიმართებით, შეგვიძლია ვთქვათ:

1. „დიდი სჯნაქსარი“ თარგმნილი უნდა იყოს ექვთიმეს ვრცელი ცხოვრების დაწერამდე.

2. რადგან ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება „დიდი სჯნაქსარში“ თარგმნისთანავე შეტანილი გვეგონია, მისი არსებობა ვრცელი ცხოვრების დაწერამდე დასაშვებია ფაქტია.

3. ზემოთ ნაჩვენები შეხვედრები ამ ორი ცხოვრებისა უნდა ადასტურებდეს, რომ სჯნაქსარული ცხოვრება ვრცელი ცხოვრების ერთ-ერთი წყაროა.

ამ საკითხის გარკვევა მარტოოდენ ზემოაღნიშნული ზოგადი თეორიული ხასიათის დაშვებათა საფუძველზე საკმარისი არ არის. სვინაქსარული და ვრცელი ცხოვრების დამოკიდებულების საკითხი ძირითადად მათი ტექსტობრივი მონაცემების საფუძველზე უნ-

⁴⁴ ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, 33, 58.

და დადგინდეს. მართლაც, ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას საფუძველს უმაგრებს ამ „ცხოვრებათა“ მრავალი ადგილის ჩვენება:

1. პირველ ყოვლისა შევეხოთ ამ ძეგლთა ცნობას ექვთიმეს დასაფლავების ადგილის შესახებ. სვინაქსარული და ვრცელი ცხოვრებიდან ცნობილია, რომ ექვთიმე მოულოდნელად გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში, ხოლო „პატიოსანნი იგი ნაწილნი მისნი აღმოიყვანნეს“ „მთაწმიდასა და დასხნეს ტაძარსა შინა წმიდისა იოანე ნათლის-მცემლისასა, ქართველთა მონასტერსა, ვათ მიერვე აღშენებულსა“⁴⁵. ეს ცნობა ერთნაირი სიზუსტითაა დაცული ორივე ძეგლში. სვინაქსარულში სხვა რაიმე დამატებითი ცნობა არ მოიპოვება, ხოლო ვრცელი ცხოვრების ბოლოს, ავტორის ანდერძში დაცულია ასეთი შენიშვნა: „...მე, მამაჰმან გიორგი. მამობასა ჩემსა მოვცეალენ ნაწილნი წმიდისა ეფთჳქესნი ნათლის-მცემლის ეკლესიით დიდსა ეკლესიასა ღმერთის-მშობელისასა“⁴⁶.

აქედან ნათელია, რომ სვინაქსარული ცხოვრება დაწერილია ექვთიმეს ნაწილების ნათლის-მცემლის ეკლესიიდან გადმოსვენებამდე და ვრცელი ცხოვრების შექმნამდე, რომელშიაც ექვთიმეს გადმოსვენების ფაქტი აღნიშნულია. სვინაქსარული ცხოვრება რომ ვრცელს იცნობდეს. ეჭვი არ არის, გადმოსვენების ფაქტი სვინაქსარულშიაც აღინიშნებოდა, როგორც ეს დადასტურებულია ილარიონ ქართველსა და სხვა წმინდანთა სვინაქსარულ ცხოვრებებში. საერთოდ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წმინდანის დაკრძალვისა და მისი ნაწილების „მოცვლის“ აღნიშვნა სვინაქსარულ ცხოვრებათა ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია.

2. სვინაქსარული ცხოვრება აღნიშნავს ექვთიმეს გარდაცვალების მხოლოდ თვესა და რიცხვს, ხოლო წელს კი არ უჩვენებს: „აღესრულა წმიდაჲ და სამგზის სანატრელი ღმერთშემოსილი მამაჲ ჩუენი ეფთჳქმი თუესა მათსა ი“გ, ქალაქსა შინა სამეუფოსა, წყლულეებითა მით...“⁴⁷ ვრცელ ცხოვრებაში კი დამატებით გარდაცვალების წელიცაა მოცემული: „...აღესრულა სამგზის სანატრელი მამაჲ ჩუენი ეფთჳქმი თუესა მათსა ათცამეტსა, დღესა ორშაბათსა, ინდიკტიონსა ათერთმეტსა, წელთა დასაბამითგან სოფლისაჲთ ექუს

⁴⁵ ცხოვრება იოვანესი და ეფთჳქმესი, 49, 114; სვინაქსარული რედაქცია, გვ. 61.

⁴⁶ იქვე, 54, 119.

⁴⁷ ცხოვრება იოვანესი და ეფთჳქმესი, გვ. 61.

ათას ხუთას ოც და მეთექვსმეტესა წელსა“⁴⁸. სვინაქსარული ცხოვრება რომ ვრცელზე იყოს დამოკიდებული, არა გვგონია, მას ვრცელი ცხოვრების ეს შონაცემები უყურადღებოდ დაეტოვებინოს. პირიქით, ვრცელმა შეავსო სვინაქსარული ცხოვრების არასრული მითითება ექვთიმეს გარდაცვალების თარიღზე.

3. სვინაქსარულის ვრცელ ცხოვრებაზე აღზინდებლობის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს სვინაქსარული ცხოვრების ერთი წინადადება, რომელიც ვრცელი ცხოვრების შესატყვის ადგილას არ მოიპოვება, მიუხედავად იმისა, რომ სვინაქსარულია და ვრცელ ცხოვრებათა ეს ადგილები თითქმის ერთმანეთის ზუსტ განმეორებას იძლევიან:

სვინაქსარული ცხოვრება

ვრცელი ცხოვრება

„ხოლო სენაკსა შინა მოღუაწე-
ბანი მისნი ვინ აღრაცხნეს, რომელნი-
იგი ღმერთმან ზოლო მხოლომან უწყენის!

რამეთუ აქუნდა ესეცა დიდი სათნოებაჲ: დაფარვაჲ სათნოებათა თვისთაჲ და აჰისთვის უმრავლესნი სათნოებანი მისნი აღუწერელად დაშთეს.

ხოლო არნ სამოსლად მისსა ქუეშე კერძო ძაძაჲ და ზედა ძაძისა მის ჭაჭვ შიძიმე“ (გვ. 60).

„ხოლო სენაკსა შინა მოღუაწე-
ებათა მისთა აღრაცხვაჲ ვისმცა ძალ-
ედვა, რომელნი-იგი ღმერთმან მხოლომან უწყენის!

რამეთუ ყოველნივე ფარულად აღესრულებოდეს მის მიერ.

ხოლო არნ სამოსლად მისსა ძაძაჲ და ძაძისა მის ზედა ჭაჭვ შიძიმე“ (47, 108).

როგორც ვხედავთ, სვინაქსარული და ვრცელი ცხოვრების ეს ადგილები თითქმის სიტყვა-პიტყვით იმეორებენ ერთმანეთს, მაგრამ სვინაქსარული ცხოვრება დამატებით შეიცავს ფრაზას: „ამისთვის უმრავლესნი სათნოებანი მისნი აღუწერელად დაშთეს“. შევძლო თუ არა სვინაქსარული ცხოვრების ავტორს, თუ კი მან ეს ცხოვრება ვრცელი ცხოვრების მიხედვით შეადგინა, თავის ნაშრომში შეეტანა ეს ფრაზა მაშინ, როცა მან იცოდა სრულ ცხოვრებაში აღწერილ ექვთიმეს „სათნოებათა“ შესახებ? ვფიქრობთ, რომ — არა. ეს ფრაზა სვინაქსარული ცხოვრების საკუთრებაა. ვრცელი

⁴⁸ იქვე. 49. 114.



ცხოვრების ავტორმა შეგნებულად არ შეიტანა იგი თავის თხზულებაში, რადგან იგი, მართლაც, არაბუნებრივი იქნებოდა მას შემდეგ, რაც დაიწერა ვრცელი ცხოვრება ექვთიმესი, რომელშიც ვრცლადაა მოთხრობილი ექვთიმეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი, „უპრავლესნი სათნოებანი მისნი“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ განხილული ადგილიც სვინაქსარული ცხოვრების ადრინდელობაზე მიუთითებს.

4. ვილაც მონაზვნის მიერ ექვთიმეს სიცოცხლეზე ხელყოფის ეპიზოდი ორივე ცხოვრებაში ერთნაირადაა გადმოცემული, მაგრამ ვრცელი ცხოვრება ერთ წინადადებას უფრო გავრცობილი სახით გადმოგვცემს, რაც დამატებით ახალ შინაარსობლივ დეტალებს გვაძლევს სვინაქსარულ ცხოვრებასთან შედარებით:

სვინაქსარული ცხოვრება

„მბრძოლი იგი წმიდათა და მოშურნე კაცთა ცხოვრებისაჲ ბელიარ, ხედვიდა რაჲ წყაროსა მას უკუდავებისასა, აღმომდინარესა პირით მისით, რომელ არს თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ, განიხერხებოდა და განიკებოდა შურითა ბოროტითა“ (გვ. 59).

ვრცელი ცხოვრება

„მბრძოლი იგი წმიდათა და მოშურნე კაცთა ცხოვრებისაჲ ბელიარ, ხედვიდა რაჲ სულიერთა ამათ წესთა, რომელ დაესხნეს მამასა ჩუენსა ეფთვმეს, და წარმატებასა ძმათასა და თარგმნასა წიგნთა საღმრთოთასა, ფრიად ეღმოდა და განილეოდა შურითა“ (46, 105).

საიდან გაჩნდა ვრცელ ცხოვრებაში ფრაზა: „...სულიერთა ამათ წესთა, რომელ დაესხნენ მამასა ჩუენსა ეფთვმეს, და წარმატებასა ძმათასა?“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ, რადგან ვრცელი ცხოვრების ეს ეპიზოდი უშუალოდ მოსდევს ექვთიმეს მიერ „დასტმულ“ „სულიერთა წესთა“ და „წარმატებასა ძმათასა“ შესახებ ვრცელ თხრობას, ავტორმა ეს ფრაზა წყაროდ გამოყენებული სვინაქსარული ცხოვრების ამ ადგილს იმ მიზნით დაუმატა, რომ თხრობის ერთი მოქმეტიდან მეორეზე გადასვლა ბუნებრივი გაეხადა. მეორე მხრით, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ექვთიმეს მიმართ ბოროტი განზრახვის გამოძწვევი მიზეზი არა მარტო „თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ“ იყო, როგორც ეს სვინაქსარულ ცხოვრებაშია ნათქვამი, არამედ ის მკაცრი „სულიერი“ წესებიც, რომელნი დაესხნეს მამასა ჩუენსა ეფთვმეს“.

5. გვალვის ეპიზოდის აღწერაში სვინაქსარულსა და კრცელ ცხოვრებას შორის ცოტაოდენი უთანხმოება შეიქმნევა.

სვინაქსარულ ცხოვრებაში მოკლედია მოთხრობილი, რომ „იქმნა ოდესმე უწვმროებაჲ ფრიადი მთასა ათონისასა“⁴⁹, მაგრამ ექვთიმეს სასწაულებრივი ლოცვის შედეგად მოვიდა წვიმა და „... ყოველნივე დაილტვენეს სიმძაფრითა მით წვმისათა“⁵⁰.

გიორგი მთაწმიდელს ამ დიდი გვალვის სვინაქსარისეული აღწერა უეფექტოდ მიუჩნევია და, რომ ექვთიმეს მიერ მოხდენილი სასწაულის ცხოველყოფლობა და დიდი ძალა უფრო კარგად ეჩვენებია, გვალვის საშინელების აღწერაში მეტი დრამატიზმი შეუტანია: „იქმნა ოდესმე გულვაჲ ფრიადი და შაისი და იენისი და იელისი და აგვსტოსი უწვმრად გარდავლო და დიდად მისჭირდა ქუეყანასა, ვიდრეღა ფურცელი ხეთა და ვენაკთაჲ გაჭმა და სცვოდა. და დიდსა ურევასა შინა იყენეს კაცნი“⁵¹.

გიორგი განაგრძობს თხრობას და აღნიშნავს, რომ ექვთიმემ ეს სასწაული მოახდინა „ვითარ მოიწია დღესასწაული წმიდისა ელიაჲსი, პირველ დღისა“⁵². აქ გიორგის შეცდომა მოსვლია. ჯერ ერთი, სვინაქსარულში არაფერია ნათქვამი ამ დღესასწაულის შესახებ. აღნიშნულია მხოლოდ, რომ იოვანეს ბრძანებით ექვთიმემ და „ძმათა“ გადაწყვიტეს ასეღა „ლიტანიითა ვიდრე ეგუტერადმდე ელია-წმიდისა“⁵³. ექვთიმე „ვითარცა აღვიდა ელია-წმიდად და იწყო შეწირვად მსტურაპლისა, მეყსეულად გარდამოქდა წვმაჲ ფრიადი“⁵⁴. როგორც ჩანს, გიორგი ათონელს სვინაქსარული ცხოვრების „ელია-წმიდის ეგუტერის“ ხსენება რატომღაც ელია წმიდის დღესასწაულისათვის დაუკავშირებია.

დაეუშვათ, რომ წვიმის მოსვლა სვინაქსარულ ცხოვრებაშიც ელია წმიდის დღესასწაულის დღეს იგულისხმება. მაშინ საფუძველს მოკლებულია გიორგი მთაწმიდლის განცხადება, რომ „მაისი და იენისი და იელისი და აგვსტოსი უწვმრად გარდავლო“-ო⁵⁵, რადგან წვიმა ელიაობის დღესასწაულის პირველ დღეს, ე. ი. 20 ივლისის მოსულა და ამდენად „იელისი და აგვსტოსი უწვმრად“

⁴⁹ ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, სვინაქსარული რედაქცია, გვ. 59

⁵⁰ იქვე. გვ. 59.

⁵¹ ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გვ. 32, 55.

⁵² იქვე.

⁵³ იქვე. გვ. 58.

⁵⁴ იქვე. გვ. 59.

⁵⁵ იქვე. გვ. 32, 55.

ველარ გავილოდა⁵⁶. აქაც კარგად ჩანს ვრცელი ცხოვრების მიერ სვინაქსარული ცხოვრებით სარგებლობისა და მისი გადმოკეთების ფაქტი.

6. ვრცელი ცხოვრება ექვთიმეს პიროვნებისა და მოღვაწეობის დამახასიათებელ სხვა მომენტებთან ერთად აღნიშნავს: „ხოლო არნ სამოსლად მისა ძაძაჲ და ძაძისა მის ზედა ჭაქვ მძიმჳ. და რომელიცა ვინ ჭათნობთაჲ გამოიძიოს, მის თანა პოოს მის მიერ აღარულებულად“...⁵⁷.

სვინაქსარული ცხოვრება, თუკი მას ვრცელიდან მომდინარედ მივიჩნევთ, ამ ადგილს, თუ შემოკლებულად არა, ამავე სახით მაინც გადმოიღებდა, მაგრამ სვინაქსარული ცხოვრება დამატებით შეიცავს ჩართულ წინადადებას, რომელიც ასეთი მომდინარეობის სასარგებლოდ არ უნდა ლაპარაკობდეს: „ხოლო არნ სამოსლად მისსა ქუეშე კერძო ძაძაჲ და ზედა ძაძისა მის ჭაქვ მძიმე და, რაჲთა შემოკლებულად ვთქუა, რომელიცა ვინ მცნებთაჲ გამოიძიოს, პოოს მის მიერ აღსრულებულად“⁵⁸.

ვფიქრობთ, რომ გიორგი მთაწმიდელმა ზედმეტად ჩათვალა ეს წინადადება ვრცელი ცხოვრებისათვის, რადგან თხზულების წინა ფურცლებზე უკვე იყო საუბარი ექვთიმეს მიერ „სათნობათა“ და „მცნებათა“ აღსრულებაზე“. მას უფრო შეეძლო ეთქვა „ვითარცა ვთქვ“ და არა „რაჲთა შემოკლებულად ვთქუა“. სვინაქსარულში ეს ფრაზა ბუნებრივია, რადგან ექვთიმეს პიროვნების შესახებ შესაძლებელი ვრცელი თხრობა ამ წინადადებით შემოკლებულია.

ახლა შევეხოთ იმ ადგილებს, სადაც იგრძნობა ვრცელი ცხოვრების ავტორის ტენდენცია, განაზოგადოს სვინაქსარული ცხოვრების ზოგიერთი კონკრეტული ფაქტი.

1. სვინაქსარული ცხოვრებით „ყოველთა მათ თანა სათნობათა“ რომელნი აქუნდეს წმიდასა მამასა ეფთჳმის, აქუნდა ესეცა

⁵⁶ ექვთიმეს ამ სასწაულს უსპენსკი უკავშირებს იმ დიდ გვალვიანობის პერიოდს, რომელსაც, კედრენის ცნობით, 1026—1027 წლებში ჰქონია ადგილი. (П. Успенский, История Афона, ч. III, стр. II).

ეს თარიღი არ ეთანხმება სვინაქსარული და ვრცელი ცხოვრების ჩვენებას, რადგან მათ მიხედვით ექვთიმემ ეს სასწაული მოახდინა მამის—იოვანე ათონელის ბრძანებით, ხოლო ის კი 1005 წელს გარდაიცვალა, ასე რომ ამ წყაროთა მიხედვით ეს დიდი გვაღვა 1005 წლამდე იგულისხმება.

⁵⁷ ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმისი, 47, 109.

⁵⁸ იქვე, გვ. 60—61.

დიდი სათნოებამ, რომელ თვნიერ მოძღურისა არარას იქმნოდა ყოვლადვე, რამეთუ იტყვნ, ვითარმედ: „მინდობამ თავისა თვისისა და თვისსა ნებასა დამტყიცებამ კარი არს წარწყმედისა და ფსკერი ჯოჯობეთისა, ხოლო განკითხვამ — წინამძღუარი ცხოვრებისა და ბჭე სასუფეველსა, ვითარცა თქუეს წმიდათა მამათა ჩუენთა. და ესე წესი ვიდრე აღსასრულამდე თვისსა დაიბარება“⁵⁹.

ეს ადგილიც თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება ვრცელ ცხოვრებაშიც, მხოლოდ იქ, სადაც სვინაქსარულში გვაქვს: „თვნიერ მოძღურისა არარას იქმნოდა ყოვლადვე“. ვრცელში სიტყვა-„მოძღურისა“ შეცვლილია „განკითხვისა“-თი: „თვნიერ განკითხვისა არარას იქმნოდა ყოვლადვე“⁶⁰. შემთხვევითია თუ არა ეს შენაცვლება? ვრცელი ცხოვრების ჰხვა ადგილებში სვინაქსარული ცხოვრების ლექსიკის ასეთი შეცვლა უმეტეს შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ სტილისტურ ხასიათს ატარებდეს, მაგრამ აქ ეს ოპერაცია შეგნებულად, თითქმის შინაარსის შეცვლის მიზნითაა გაკეთებული: ავტორი ცდილობს ხაზი გაუსვას ექვთიმეს ხელმძღვანელობის დემოკრატიულ პრინციპს; რადგან სამონასტრო საქმეებზე მხოლოდ მოძღვართან ბჭობა, როგორც ეს სვინაქსარულ ცხოვრებაშია, ერთპიროვნულ მმართველობასთან ნაინცდამაინც დაშორებულად არ მოსჩვენებია, გიორგის, მისი აზრით, უფრო შესაფერისი ფორმა „განკითხვისა“ მოუძებნია, რომელიც რამდენიმე პირობით თათბირზე მაინც მიუთითებს.

2. ექვთიმეს ნათარგმნ „წიგნთა სიტყბოებისა“ და საერთოდ მოღვაწეობის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ თხრობა ორივე ცხოვრებაში გადმოცემულია ქართულ საეკლესიო მწერლობაში კარგად ცნობილი მხატვრული შედარებებით და რიტორიული ენაწყლიანობით. ორივე ცხოვრების ეს ადგილები მხატვრული სიტყვის შესანიშნავ მაგალითს იძლევიან და მიუხედავად ფრაზეოლოგიური განსხვავებისა შინაარსობლივად ორგანულ კავშირში იძყოფებიან:

სვინაქსარული ცხოვრება

ვრცელი ცხოვრება

„რამეთუ წყალობაჲან ღმრთისაჲს ალმადგინა ჩუენ ახალი ოქროპირი და მისცა პარსა მისსა

„რამეთუ, ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი. ამის

⁵⁹ ცხოვრება იოანესი და ეფთემესი, გვ. 60.

⁶⁰ -ქვე; 46, 107.

ენაჲ ცეცხლისაჲ და აღძრა თარგმანებად წიგნთა საღმრთოთა და ვითარცა მდინარითა ედემისაჲთა მორწყო ქუეყანაჲ ქართლისაჲ და განანათლნა ეკლესიანი და განავრცელა და განასრულა ნაკლულევანებაჲ ენისა ჩუენისაჲ“ (გვ. 57).

ლირისისა მოღვაწეებითა განსწავლულ იქმნა ყოვლითა სობრძნითა განმანათლებელად და შემავლობელად ეკლესიათა ჩუენთა, რომლისა—იგი ნამუშავევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტყბოებაჲ, ვითარცა ნესტვ ოქროსაჲჲ კმა-მალალი. ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაჲ“

(15, 5).

როგორც ვხედავთ, სვინაქსარული ცხოვრების ამ ნაწყვეტში ხაზგასმულია, რომ ექვთიმემ ნათარგმნი წიგნებით „ვითარცა მდინარითა ედემისაჲთა მორწყო ქუეყანაჲ ქართლისაჲ და ... განასრულა ნაკლულევანებაჲ ენისა ჩუენისა“. ვრცელი ცხოვრების ავტორი, თქმის ეკამათება რა სვინაქსარულში გამოთქმულ აზრს, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტყბოებაჲ“ მოქმენა მთელ ქრისტიანულ სამყაროს, „ყოველსა ქუეყანასა“, ხოლო განსაკუთრებით „არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაჲ“.

ამრიგად, სვინაქსარულ ცხოვრებაში ექვთიმეს მოღვაწეობა მხოლოდ თავისი ქვეყნის წინაშე დამსახურებით არის შემოფარგლული, ვრცელი ცხოვრება კი პატრიოტული სიამაყით აღნიშნავს მისი ღვაწლის ინტერნაციონალურ ხასიათს. მართალია, სვინაქსარული ცხოვრებაც ზოგადად ეხება იმ ფაქტს, რომ ექვთიმემ ქართულიდან თარგმნა ბერძნულად „რაოდენნიჲ წიგნი“, მაგრამ იგი ამის საფუძველზე ბერძნული ეკლესიის წინაშე მისი დამსახურების არაერთარ განზოგადებას არ აკეთებს, როგორც ეს ვრცელ ცხოვრებაშია, სადაც, კიდევ რომ არ იყოს კონკრეტულად ლაპარაკი ექვთიმეს მიერ ქართულიდან ბერძნულად ნათარგმნ „ბალაჰვარზე“ და „აბუჟურაზე“, მაინც იგრძნობა ექვთიმეს მოღვაწეობის უდიდესი მნიშვნელობა საერთოდ ქრისტიანული და, კერძოდ, ბერძნული ეკლესიისათვის.

3. გვალვის ეპიზოდის აღწერას სვინაქსარული ცხოვრება ასე იწყებს: „იქმნა ოდესჲე უწვპროებაჲ ფრიადი მთასა ათონისასა“.

ვრცელ ცხოვრებაში გიორგის „მთაა ათონისასა“, როგორც ჩანს, შეგნებულად გამოუტოვებია, რადგან, მისი აზრით, გვალვა ვრცელდებოდა არა მარტო ათონის მთაზე, არამედ საერთოდ „ქვეყანასა ზედა“, რაც აღნიშნულია კიდევ: „ოქმნა ოდესმე გუაღვაჲ ფრიალი... და დიდად მისქირდა ქუეყანასა“. აქ, როგორც ვხედავთ, სვინაქსარული ცხოვრებით ათონისათვის კერძო მოვლენად მიჩნეული ფაქტი განზოგადებულია და, თუ ქვეყანაში მიწა არ იგულისხმება, ქვეყნის საერთო მოვლენადაა ნაგულისხმევი.

სვინაქსარული ცხოვრება, გარდა ექვთიმეს მოღვაწეობის ზოგადი დახასიათებისა, შეიცავს მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ რამდენიმე კონკრეტულ ეპიზოდს. ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდებს ჩამოვთვლით იმავე რიგით, როგორც ეს სვინაქსარულშია: 1. ექვთიმეს კამათი ურჩისთან და ქრისტეს „მგმობარი“ ურჩის დამუნჯება და სიკვდილი ექვთიმეს ზებუნებრივი სასწაულის შედეგად. 2. წვიმის მოსვლა დიდი გვალვის დროს ექვთიმეს ლოცვის შედეგად. 3. იმპერატორის სურვილი ექვთიმეს „კვპრიის“ მთავარეპისკოპოსად „კელდასხმისა“. 4. ფერისცვალების დღესასწაულზე მომხდარი სასწაული. 5. ექვთიმეს მოკვლის განზრახვა „უღირსი“ მონაზონის მიერ. 6. მონასტრის მებოსტნის მიერ ექვთიმეს მოკვლის ცდა⁶¹.

სვინაქსარულ ცხოვრებაში ყველა ეპიზოდი ერთმანეთის მიყოლებითაა მოთავსებული, ვრცელი ცხოვრება კი შეცვლილ სურათს იძლევა; ჭერ ერთი, ეს ეპიზოდები საერთო ნიშნის მიხედვით გაყოფილია ორ ჯგუფად: 1. ექვთიმეს სასწაულებრივი მოქმედების აღმნიშვნელი⁶²; 2. ექვთიმეს სიცოცხლეზე ხელყოფის ცდები⁶³. ისინი ცხოვრების სხვადასხვა ადგილასაა მოთავსებული; მეორეც, სვინაქსარული ცხოვრების პირველი ოთხი ეპიზოდი ვრცელ ცხოვრებაშიც ერთადაა მოკეპული, მაგრამ განსხვავებული რიგით: 1. ურჩისთან კამათი; 2. გვალვის ეპიზოდი; 3. ფერისცვალების ეპიზოდი; 4. ექვთიმეს მთავარეპისკოპოსად დანიშვნის ცდის ეპიზოდი. როგორც ვხედავთ, სვინაქსარული ცხოვრების მესამე ეპიზოდი ვრცელმა ბოლოში, მეოთხე ადგილზე, გადმოიტანა. ერთი შეხედვით ეს შემთხვევითადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ, საფიქრებელია, რომ გ. მთაწმიდელმა გადაადგილება შეგნებულად გააკეთა. ალვი-

⁶¹ ცხოვრება იოვანესი და ეფთჳესი, გვ. 58—60.

⁶² იქვე, 32, 54—55; 33, 56—57.

⁶³ იქვე, 46, 105—106.

ლი შესამჩნევია, რომ სვინაქსარულისა და ვრცელი ცხოვრების ამ ოთხი ეპიზოდისა და სხვა ექვთიმეს სასწაულებრივ მოქმედებას გადმოგვცემს, ხოლო ერთი კი მისი ბიოგრაფიის რეალურ ფაქტს შეიცავს (მთავარეპისკოპოსად დანიშვნის ცდა). უნდა ვიფიქროთ, გიორგი მთაწმიდელმა სვინაქსარული ცხოვრების ეს ეპიზოდები ვრცელ ცხოვრებაში ამ შინაარსის მიხედვით დაალაგა და ამიტომ ექვთიმეს მთავარეპისკოპოსად განწესების ეპიზოდი, რომელიც სვინაქსარულში „გვალისა“ და „ფერისცვალების“ შორის იყო მოთავსებული, ბოლოს, „ფერისცვალების“ ეპიზოდის შემდეგ გადმოიტანა. ამრიგად, ვრცელ ცხოვრებაში ამ ეპიზოდების განლაგებას მან სისტემატური ხასიათი მისცა.

თუკი დაეუშვებთ, პირიქით, რომ სვინაქსარული ცხოვრება ვრცელი ცხოვრებიდან მომდინარეობს და აზღვენად მან ეს ეპიზოდები ვრცელიდან გადმოიტანა, მაშინ ექვიც არ არის, რომ თანამიმდევრობა ისეთივე დარჩებოდა, როგორც ეს ვრცელ ცხოვრებაშია, რადგან გადაადგილებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. აქაც კარგად ჩანს ამ დაშვების უსაფუძვლობა: გადაადგილების ეს მაგალითიც ვრცელი ცხოვრების სვინაქსარულზე დაამოკიდებულების სასარგებლოდ ლაკარაკობს.

აქვე შევნიშნავთ, რომ ექვთიმეს მოკვლას განზრახვის ორივე ეპიზოდი ვრცელ ცხოვრებაში თითქმის ცხოვრების ბოლოშია გადატანილი. ესეც ავტორის კომპოზიციური ხერხი უნდა იყოს, რათა ექვთიმეს მოღვაწეობის მთლიანი სურათის დახატვის შემდეგ მის სიცოცხლეზე ხელუფლის მთელი სიბოროტე უფრო ნათლად გამოაჩინოს.

მოკლედ შევხვით ვრცელი ცხოვრების ისეთ ადგილებს, რომელთა ასახვა სვინაქსარულ ცხოვრებაში მოსალოდნელი იყო, თუ კი დაეუშვებთ, რომ სვინაქსარული ვრცელი ცხოვრებიდან მომდინარეობს.

აღნიშნული ეპიზოდების გარდა ვრცელი ცხოვრება შეიცავს ლამაზებით სხვა ეპიზოდებსაც. აქედან ახლა გვაინტერესებს ექვთიმეს სასწაულებრივი მოქმედების ამსახველი ორი ეპიზოდი, რაც არ მოაპოვება სვინაქსარულ ცხოვრებაში. ერთი მათგანი ეხება სჯულის საკითხებზე ექვთიმეს კამათს ურიახთან თესალონიკეში და მის გაქრისტიანებას⁶⁴; მეორე კი — ექვთიმეს სიკაბუჯეში ლეთისშობ-

⁶⁴ ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, 32,53.

ლის გამოცხადებას და მის მიძიმე სენისაგან სასწაულებრივ განკურნებას; ამის შემდეგ ექვთიმემ თავისუფლად დაიწყო ლაპარაკი ქართულად, რაც მას აქამდე უჭირდა, რადგან იგი ბავშვობიდანვე ბერძნულს უფრო კარგად დაეუფლა⁶⁵. ვრცელი ცხოვრების აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით ის აზრია გამოთქმული, რომ ექვთიმეს მთარგმნელობითი მოღვაწეობა ღვთისმშობლის ნებასუკვილით იყო ნაჯარნახევი: „და სიყრმითგანვე მადლი ღმრთისაჲ იყო მის ზედა და ღმრთისაგან მიეცა გულისხმის-ყოფაჲ წერილთაჲ და სულისა წმიდისა მადლითა აღიესო, ვითარცა ეუწყა ნეტარსა იოვანეს, მამასა მისსა, გამოცხადებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა“⁶⁶.

საერთოდ ცნობილია, რომ სვინაქსარული ცხოვრება წმინდანის სასწაულმოქმედებას გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე მისი ცხოვრების რეალური ფაქტების ასახვას. ანევე ითქმის ღვთაებრივ სასწაულზე წმინდანის მიმართ, რადგან ეს ნიშნავს, რომ წმინდანის ყოველგვარი მოქმედება ზეციური განგების მატარებელია.

ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ, თუკი სვინაქსარული ცხოვრება ვრცელზეა დამოკიდებული, ეს ეპიზოდები, განსაკუთრებით ღვთისმშობლის გამოცხადების ეპიზოდი, ჩვენი აზრით, მოკლედ მაინც აისახებოდა სვინაქსარულ ცხოვრებაშიც, თუნდაც იმიტომ, რომ ღვთისმშობლის გამოცხადების ეპიზოდი უფრო მეტს იტყოდა ექვთიმეს მოღვაწეობის ზეციური ბუნებებს შესახებ, ვიდრე სვინაქსარული ცხოვრების სხვა რომელიმე ეპიზოდი. უფრო ბუნებრივია, ვეფიქროთ, რომ სვინაქსარულისათვის ამ ეპიზოდების არსებობა ცნობილი არ იყო: ისინი გიორგი მთაწმიდელმა სხვა წყაროებიდან, საფიქრებელია. „კაცთა სარწმუნოთაგან“ გაგონილოს საფუძველზე შეიტანა ვრცელ ცხოვრებაში.

როგორ უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რომ სვინაქსარული ცხოვრების ზოგიერთი ფაქტობრივი დეტალი, თუ ეპიზოდი არა გვაქვს ვრცელ ცხოვრებაში?

1. სვინაქსარული ცხოვრება იწყება ექვთიმეს დაბადების აღგისა და მშობელთა შესახებ ცნობათა გადმოცემით ისევე, როგორც ეს სვინაქსარული ცხოვრების ყალიბისათვისაა დამახასია-

⁶⁵ იქვე. 27—28.

⁶⁶ იქვე.

იუბელი. შემდეგ აღნიშნულია, რომ „ვიდრე ჩჩვლ-ლა იყო იგი იზარ-ღებოდა წილთა დედისა თვისისათა“, ხოლო, როდესაც მამამისმა ცოლ-შვილი დატოვა და მონაზვნად შედგა, „სანატრელი ეფთჳმი წარიყვანა დედისაგან თვისისა პაპაჲმან მისჲმან, კაცჲმან წარჩინებულჲმან და ძლიერჲმან, და ზრდიდა მას ყოვლითა ფუფუნებითა“⁶⁷. როგორც ვხედავთ, აქ, მართალია, ორიოდე სიტყვით, მაგრამ მაინც მოცემულია ცნობა ექვთიმეს ადრეული ბავშვობის შესახებ.

ვრცელ ცხოვრებაში ცნობები ექვთიმეს შესახებ გვხვდება მხოლოდ მისი კონსტანტინეპოლში მძევლად ჩამოყვანის შემდეგ. იქვე აღნიშნულია, რომ ბიზანტიის იმპერატორს მძევლად მოპკეარეს იგი „ცოლის ძმათა მამისა იოვანესთა“⁶⁸. აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ექვთიმეს ზრდიდა ბაბუა, რაც სვინაქსარულ ცხოვრებაში ხაზგასმულია. სვინაქსარული ცხოვრების ეს ცნობა რომ სარწმუნოა, ეს იქიდან ჩანს, რომ ექვთიმე მეფის კარზე ბაბუამ ჩამოიყვანა, რაც გარკვევითაა აღნიშნული სვინაქსარულ ცხოვრებაში და იგულისხმება ვრცელშიაც, რადგან ექვთიმეს ირგვლივ იმპერატორის კარზე გამართულ ცილობაში იოვანეს წინააღმდეგ ექვთიმეს ბაბუა — აბუჰარბი გამოდიოდა და არა ბიძები⁶⁹. ამდენად, ვრცელი ცხოვრების მიერ „ცოლის ძმათა“ დამოწმება აბუნდოვანებს კიდევ აზრს, თუ კი, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება, რომ ექვთიმეს საბერძნეთში ჩამოყვანაში ბაბუასთან ერთად ბიძებიც მონაწილეობდნენ.

2. სვინაქსარულ ცხოვრებას შემოუნახავს ბიზანტიის მეფის ნიკიფორუს (963—969 წწ.) სახელი, რომლის წინაშე „საქმისა რომლისათჳსმე“ მოვიდა ექვთიმეს ბაბუა ექვთიმეთურთ⁷⁰.

ვრცელში აღნიშნულია, რომ „საქმისა რომლისათჳსმე“ ყოფილა მძევლების მიყვანა ბიზანტიის მეფის კარზე, მაგრამ არ არის ნახსენები მეფის სახელი, რომელმაც „ზეჲმონი ქუეყანანი დაჲვიარა კურაპალატს მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან“⁷¹. ხოლო, როდესაც ექვთიმე, სვინაქსარული ცხოვრებით. „წინაშე ნიკიფორე ღმრთის-მსახურისა მეფისა“ მიიყვანეს, ვრცელი აქ უჩვენებს არა ერთ მეფეს: „მე ფ ე ნ ი მეცნიერ ი ყ ვ ნ ე ს აბუ-

⁶⁷ ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმისი, გვ. 56.

⁶⁸ ი ქ ვ ე, 16,10.

⁶⁹ იქვე, 16,11, სვინაქსარული რედაქცია, გვ. 56.

⁷⁰ იქვე, გვ. 56.

⁷¹ იქვე, გვ. 16,10.

პარბისა ...და იოვანესდაცა ფრიადი სიყუარული აჩუენეს მის ზედა და კეთილად მოიკითხეს⁷².

აკად. კ. კეკელიძის აზრით, „ზემონი ქუეყანანი“ დავით კურაპალატისათვის რომანოზ იმპერატორს (961—963 წწ.) უნდა დაეთმო და ამასთან დაკავშირებით მძევლებიც მასვე უნდა გამოეთხოვა, მაგრამ იგი მძევლების კონსტანტინეპოლში ჩამოყვანამდე გარდაცვლილა, ამიტომ ექვთიმეს ბიზანტიოს საპეფო ტახტზე „მეფენი“ დახვედრიან, რომლებშიც რომანოზის მცირეწლოვანი შვილები ბასილი და კონსტანტინე იგულისხმებიან⁷³.

თუ ჩვენ ვრცელი ცხოვრების ამ ადგილს რეალურობის თვალთ შევხედავთ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ბასილისა და კონსტანტინეს, რომელთაგან ბასილი აქ დროს 3 წლის თუ იქნებოდა, ხოლო კონსტანტინე კი უფრო ნაკლებია⁷⁴, შესძლებოდათ იოვანეს „კეთილად“ მოკითხვა და მის მიმართ „სიყუარული“ ჩვენება, ან კიდევ, რომ ისინი „მეცნიერ“ ყოფილიყვნენ აბუპარბისა, როგორც ეს „ცხოვრების“ ამ ადგილასაა ნათქვამი მათი მისამართით. დაუჯერებელია, რომ „ბჭობითა მეფეთაჟთა“-ში ეს მცირეწლოვანი ბავშვები იგულისხმებოდნენ.

მაშ როგორ უნდა აიხსნას გიორგი მთაწმიდლის მიერ „მეფენი“-ს არაერთგზის ხსენება? გადაჭრით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. თუ გიორგი „მეფენში“ ბასილისა და კონსტანტინეს გულისხმობს, მაშინ ამ შემთხვევაში მისთვის მთავარია ფორმალური მხარე, რადგან მან იცის, რომ ისინი ამ დროს იმპერატორის ტიტულის ფაქტობრივი თუ არა, ფორმალური მატარებელნი მანც არიან. შეიძლება, „მეფენ“-ში მათთან ერთად რეგენტებიც — მათი დედა თეოდანია და ნიკიფორე ფოკა — იგულისხმებოდნენ (ნიკიფორე ფოკა, სხვათა შორის, რომანოზის სიკვდილიდან 5 თვის შემდეგ ბიზანტიის ოფიციალური იმპერატორი გახდა)⁷⁵. თუ ეს ასეა, მაშინ ვრცელი ცხოვრების ამ ადგილის შინაარსობლივი მხარე ნაწილობრივ მაინც იქნება გამართლებული.

განსხვავებულ ვითარებას გვიხატავს სვინაქსარული ცხოვრება. აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ ექვთიმე მიიყვანეს „წინაშე ნიკი-

⁷² იქვე.

⁷³ კ. კეკელიძე, ვტიულები ძვ. ქართული ლიტერ. ისტორიიდან, ო. IV, გვ. 92—93.

⁷⁴ П. Успенский, История Афона, ч. III, стр. 73.

⁷⁵ იქვე.

ფორე ღმრთის-მსახურისა მეფისა“. სარწმუნოა თუ არა სვინაქსარული ცხოვრების ჩვენება?

ცნობილია, რომ იმპერატორი რომანოზ უმცროსი 963 წლის 15 მარტს გარდაიცვალა და მცირეწლოვანი ტახტის მემკვიდრეების რეგენტად მათი დედა თეოფანია დაინიშნა. 963 წლის 2 ივლისს ბიზანტიის სახელმწიფოს სრულუფლებიანი მართვა ცნობილ დომესტიკოსს ნიკიფორე ფოკას მიენდო, რომელიც იმავე წლის 16 აგვისტოს ბიზანტიის სამეფო ტახტზე აკურთხეს⁷⁶.

სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით სწორედ ნიკიფორეს გამეფების შემდეგ მიუყვანიათ ექვთიმე ბიზანტიის სამეფო კარზე, რაც სარწმუნო ჩანს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სვინაქსარული ცხოვრება უფრო კარგად ასახავს მდგომარეობის რეალურ მხარეს, ხოლო ვრცელი საკითხს ფორმალურ „მეფეთა“ სასარგებლოდ წყვეტს, და ამიტომ ნიკიფორე მეფის სახელი მიჩქმალულია. ამის შედეგად უნდა იყოს დაშვებული შინაარსობლივი შეუსაბამობა ვრცელ ცხოვრებაში.

3. ბიზანტიის მეფის კარზე გამართული ცილობის შესახებ სვინაქსარული და ვრცელი ცხოვრებები ერთნაირი ფრაზეოლოგიური სისრულით არ მოგვითხრობენ, თუმცა შინაარსობლივად მათ შორის განსხვავება არ არის.

ვრცელი ცხოვრების ერთ წინადადებაში ნათქვამია, რომ იოვანემ „ესრეთ განგებითა საღმრთოათა და ბჭობითა მეფეთათა თჳსი შვილი მიიყვანა და კუალად ულუმბადვე უკუნეიქა“⁷⁷. ამ წინადადებიდან ნათელი არ არის, რაში გამოიხატებოდა „საღმრთო“ განგება, ან ბჭობა „მეფეთა“ რაში მდგომარეობდა. ეს წინადადება რაღაც ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ჩანს, ეს ადგილი ვრცელში სვინაქსარული ცხოვრებიდან უნდა იყოს შემოტანილი, მაგრამ ძალზე შემოკლებული სახით. ამ წინადადების სრულ შინაარსს სვინაქსარული ცხოვრება ასე გადმოგვცემს: „ეუწყა მეფესა და განბჭო ესრეთ: რაათა დადგენ ორივე-იგი (იოვანე და მისი სიმამრი — ე. გ.) და თითოეულმან მოუწოდენ და, რომლისაცა თანა მივიდეს, მანცა მიიყვანოს ყრმაჲ. და ყვეს ბრძანებისაებრ მეფისა. ეჲ საკვრველი დიდებული! რამეთუ რომელი-იგი კნინდა-და არცა უწყოდა, იგი მზრდელსა მას და შეუენიერად შემკობილსა აღირჩია და სრბით მივიდა და შთავარდა წიალთა მამისა თჳსისათა.

⁷⁶ П. Успенский, დასახელებული ნაშრომი, გვ. 73.

⁷⁷ ცხოვრება იოვანესი და ეფთჳესი, 16, 11.

რამეთუ ყოველივე ღმრთისა მიერ განეგებოდა. და ესრეთ ნეტარმან იოვანე, ვითარცა ღმრთისა მიერ ბოძებული, მიიყვანა შეილი თვისი და სახე მონაზონებისაჲ შეჰმოსა⁷⁸.

ახლა, სვინაქსარულ ცხოვრებასთან მიმართებით, ნათელია ვრცელი ცხოვრების წინადადების შინაარსი, რომ „განგებითა საღმრთო-მთა“ ნიშნავს ღვთაებრივ სასწაულს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ექვთიმემ „ალირჩია“ ძონძებით შემოასილი, მისთვის თითქმის უცნობი ადამიანი და მასთან დარჩა. ხოლო „ბჭობითა მეფეთამთა“ კი გულისხმობს მეფის მიერ მოგონილ ხერხს იოვანესა და მის სიჰამრს შორის გამართული ცილობის გადასაჭრელად, რაც ექვთიმეს არჩევანში მდგომარეობდა. აქ კი ნათლად უნდა ჩანდეს ვრცელი ცხოვრების სვინაქსარულზე ღამოკიდებულება, პირიქით დაშვება კი შეუძლებლად გვეჩვენება. მაგრამ გაურკვეველია, რატომ სრულად არ გამოიყენა ვრცელმა ცხოვრებამ ეს ეპიზოდი?

საერთოდ ცნობილია, რომ რომელიმე მოღვაწის სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც შედგენილია ვრცელი ცხოვრების საფუძველზე, გამოკრებილ ხასიათს ატარებს და ამდენად ვრცელი ცხოვრების ადგილები და წინადადებანი მასში შემოკლებულ სახეს იღებს. მაგრამ იშვიათია შემთხვევები, როდესაც სვინაქსარული ცხოვრება ამა თუ იმ მოქმენტთან დაკავშირებით უფრო ვრცელ ფრაზეოლოგიას გვაძლევს, ვიდრე ვრცელი. ასეთ შემთხვევაში ძნელია ლაპარაკი სვინაქსარულის ვრცელიდან მომდინარეობის სასარგებლოდ.

ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარულა ცხოვრება ასეთი შემთხვევების არც თუ ისე ცოტა მაგალითს იძლევა. ზოგიერთ მათგანზე უკვე გვქონდა საუბარი, მაგ., იოვანესა და აბუჰარბს შორის ექვთიმეს-შესახებ გამართული ცილობის ეპიზოდაზე, რაც სვინაქსარულში გაკილებით ვრცელადაა მოთხრობილი, ვიდრე ვრცელში. მოვიტანოთ რამდენიმე სხვა მაგალითიც:

სვინაქსარული ცხოვრება

ვრცელი ცხოვრება

.....პოსტუსკა პოვა საწყალობელი ვინმე, სახითა მონაზონი, რო-

.....და პოვა ვინმე საწყალობელი, სახითა მონაზონი, და აღძ-

მელ შემძლებელ იყო დატევნად ყოველსა ძალსა მისსა; ამისსა გულსა შევიდა და აღლესა იგი მოკლვად წმიდისა“ (გვ. 59).

„...რამეთუ დღესა ერთსა, აღვიდა მამამ ეფთვი მი გოდლად ჟამსა ცისკრისასა, ვიდრე ბნელ-ლა იყო, შეიყვანა წმიდამ იგი სენაკად ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან და თვთ განვიდა მიერ და დაჰკრძალა კარი სენაკისა და შთავიდოდა თვსსა სენაკად სანატრელი იგი მოწაფე [ბ]ერისა (ვარიანტ. „მამისა“) (გვ. 60).

„ვინამცა შეიშადა დანაკი ფრიად დიდი და ეძიებდა ჟამსა მოკლვად მისა. არამედ კუდყო ღმერთმან განზრახვად მისი და წყალობისათვის ნათესავისა ჩუენისა არა უტევა მიახლებად მისა“ (გვ. 59).

„...და აზრახა მოკლვად წმიდისა. ხოლო მან, ვითარცა კელ-ყო და აღიღო მახვლი, რამეთა მცა უხეთქნა, მეყსეულად იქმნა კელი მისი უკმარ, ვითარცა შეშა“ (გვ. 60).

„ხოლო ქალწულებად ესოდენ შეუხებელი და უბიწო დაემარხა, ვითარცა ანგელოზთა შორის მყოფსა და არა ქუეყანასა ზედა სავსესა ცოდვითა“ (გვ. 61).

რა იგი მოკლვად წმიდისა მის“ (46, 105)

„...რამეთუ დღესა ერთსა აღვიდა რამ გოდლად და დაჰკმა კარი მოწაფემან და თვთ შთავიდოდა თვსსა სენაკსა“ (46, 105).

„ვინამცა შეიშადა მახვლი და ენება მოკლვად მისი, არამედ კუდყო ღმერთმან განზრახვად მისი“ (46, 105).

„...და აზრახა მოკლვად წმიდისა მის. და ვითარცა კელ-ყო, მეყსეულად უკმ იქმნა კელი მისი და დაშთა, ვითარცა შეშად განკმელი...“ (46, 106).

„ხოლო სიწმიდე და ქალწულებად შეუხებელი და უბიწო დაემარხა, ვითარცა ანგელოზსა ღმერთისასა და ცათა შინა მყოფსა“ (47, 108)

„ხოლო არნ სამოსლად მისსა კჳეუ შე კერძო ძაძაჲ და ზე- და ძაძისა მის ჯაჳჳ მძიბუ“ (გვ. 61). „ხოლო არნ სამოსლად მისა ძაძაჲ და ძაძისა მის ზედა ჯაჳჳ მძიბუ“ (47, 108).

ეს მაგალითები არ გვგონია, რომ სვინაქსარული ცხოვრების ვრცელზე დამოკიდებულების სასარგებლოდ ლაპარაკობდეს. რატომ დასჭირდებოდა სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელს ვრცელიდან გადმოღებული ამ ადგილების გავრცობა, მით უმეტეს, რომ შინაარსობლივად არაფერი ახალი არ დაუმატებია მისთვის?

პირიქით, აქ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ გიორგი მთაწმიდლის რედაქტორულ მუშაობაზე სვინაქსარული ცხოვრების ამ ადგილების გამოყენებისას.

გიორგის აზრით, სვინაქსარული ცხოვრების ზედმეტი სიტყვებისა და ფრაზების ამოღება თხრობას უფრო საქმიან და ლაკონიურ ხაზზე მიჰყვება. მოტანილ მაგალითებში ეს კარგად ჩანს. ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი მაგალითი: როგორც ვხედავთ სვინაქსარულში შეტია „ქჳეუ შე კერძო“, რაც ვრცელს გამოუტოვებია, რადგან მის გარეშეც ტექსტს შინაარსობლივად, მართლაც, არაფერი არ აკლდება, რადგან ნათელია, რომ თუ ექვთიმე ძაძის ზემოდან ჯაჳჳს ატარებდა, ცხადია ჯაჳჳის ქვეშ ძაძა იქნებოდა.

ეს პრინციპი უნდა იყოს ამოსავალი ყველა მოტანილ მაგალითში. აქაც ცხადი უნდა იყოს ვრცელი ცხოვრების მფორე ულობა ჯვინაქსარულთან მიმართებით.

სვინაქსარული და ვრცელი ცხოვრების საერთო ადგილები ხშირად სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებს გვიჩვენებენ, რაც მხოლოდ სტილისტურ განსხვავებას ქმნის.

სვინაქსარული ცხოვრება

ვრცელი ცხოვრება

„...ბელიარ, ხედვიდა რაჲ წყარო-სა მას უკუდავებისასა... განიხერხებოდა და განიპეობოდა შურითა ბოროტითა“ (გვ. 59).

„...ბელიარ, ხედვიდა რაჲ სუ-ლიერთა ამათ წესთა... ფრიად ელმოდა და განილეოდა შურითა“ (46, 105).

„...და აღლესა იგი მოკლვად წმიდისა“ (იქვე).

„... და აღძრა იგი მოკლვად წმიდისა მის“ (იქვე).

„ვინაჲცა შეიმზადა დანაკი ფრიად დიდი და ეძიებდა ეამსა მოკლვად მისა“ (იქვე).

„...შეემთხვა მას ბორკნეული იგი მონაზონი“ (გვ. 60).

„იქმნა ოდესმე უწყმაროებაჲ ფრიადი“... (გვ. 58).

„ვინაჲცა შეიმზადა მახვილი და ენება მოკლვად მისი“ (იქვე).

„შეემთხვა მას განცოფებული იგი მონაზონი“ (იქვე).

„იქმნა ოდესმე გაულვაჲ ფრიადი“ (32, 55).

აქ გიორგი მთაწმიდლის რედაქტორული ხელი უნდა ჩანდეს. ის სვინაქსარული ცხოვრების ლექსიკას სინონიმებით ალბათ იმიტომ ცვლის, რომ ამ წყაროს სიტყვა-სიტყვით განმეორებას ერიდება, ან სვინაქსარული ცხოვრების მონაცემები არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია და ცდილობს უფრო შესაფერისი გამოთქმებით შეცვალოს იგი. მართლაც, გიორგი მთაწმიდლის ლიტერატურული მუშაობის ეს თავისებურება შეიმჩნევა მის სხვა ორიგინალური ხასიათის თხზულებებშიაც, სადაც, მიუხედავად წყაროს ზუსტი გამოყენებისა, მიმართავს ასეთ ოპერაციებს. მაგალითისათვის ავიღოთ გიორგის იოდასაფის საგალობელი და მისი უშუალო წყარო, იერუსალიმის № 42 ხელნაწერში მოთავსებული ამავე წმინდანის სახელობის საგალობელი⁷⁹. მათი საერთო ადგილების ტექსტობრივი შედარება იმავე სურათს იძლევა, რაც ექვთიმეს სვინაქსარულსა და ვრცელ ცხოვრებაში გვქონდა:

Jer.—42 (წყარო)

„... და ძლიერად წინა-აღუდეგ მეფესა მას საშინელსა აბენესერს, მამასა შენსა, და დასთრგუნე ძალი მისი ძალითა ღმრთისაჲთა ურღუეველითა“ (გვ. 47).

„და აღმოჰფხუენ ტაძარნი კერპთანი და დაამტკიცენ ეკლესიანი“ (გვ. 46).

გიორგის „თუენი“ (H—1710)

... და სიმკნით წინა-განეწყვე, იოდასაფ დიდებულო, მამასა შენსა ზარსა და დასთრგუნე ძალი მისი ძალითა ღმრთისაჲთა ძლიერითა“ (იქვე, პარალელური ტექსტი).

„და დაამტკუნ ტაძარნი კერპთანი და აღჰმართენ ეკლესიანი“ (იქვე).

⁷⁹ გ. მთაწმიდლის „თუენში“ და Jer. — 42 ხელნაწერში მოთავსებული იოდასაფის საგალობლების ურთიერთმიმართება შეისწავლა და ჰირველის მიერ მეორის წყაროდ გამოყენების ფაქტი დაადგინა ც. ჯღაშიაშვილმა, მსაქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. ტ. III, გვ. 32—57. აქვეა გამოცემული იოდასაფის ორივე საგალობელი, რომლის მიხედვითაც ეუთო-თებთ გუბრებს.

„სანთელი ხარ შენ მნთებარე
სასანთლუსა ზედა მალალსა“
(გვ. 46).

„და სრულიად ძალი მათი და-
თრგუნე“ (გვ. 46).

„აჩისთვს ექმენ შშობელ შშო-
ბელსა შენსა, განაბრძნვე
იგი საღმრთოთა მით მეცნოურე-
ბითა“ (გვ. 47).

ამრიგად, ჩატარებული ტექსტობრივი შედარებისა და წყა-
როების ჩვენებათა საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ექვთი-
მეს სვინაქსარული ცხოვრება ვრცელზე აღრეა
დაწერილი. გიორგი მთაწმიდელმა ეს ძეგლი
შეიტანა „დიდი სვნაქსარის“ პირველსავე ქარ-
თულ ნუსხაში და ექვთიმეს ვრცელი ცხოვრე-
ბის შექმნის დროს ერთ-ერთ წყაროდ გამოიყუ-
ნა. მაგრამ ყოველივე ეს არაფერს გვეუბნება სვინაქსარული ცხოვ-
რების დაწერის დროსა და ავტორის ვინაობაზე.

სვინაქსარული ცხოვრების გიორგი მთაწმიდლის ავტორობის
სასარგებლოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერა-
ტურაში გამოთქმულია აზრი (ყ. კეკელიძე, ს. ყუბანეიშვილი),
ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მან სვინაქსარული ცხოვრება თით-
ქოს მისივე შრომის, ექვთიმეს ვრცელი ცხოვრების, საფუძველზე
შეადგინა, რაც, ჩვენი აზრით, გამორიცხულია, რადგან სვინაქსა-
რულის ვრცელზე აღრე არსებობა ფაქტია. ამდენად, გიორგის სვი-
ნაქსარული ცხოვრების ავტორობა მხოლოდ ასეთი სახით შეგვეძ-
ლო წარმოგვედგინა: „სვნაქსარის“ თარგმნის პროცესში, როდესაც
ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების ამ ძეგლში შეტანის საჭიროება
წარმოიშვა, გიორგის შეეძლო ექვთიმეს შესახებ უკვე მისთვის ცნო-
ბილი მასალების მიხედვით შეექმნა ეს მოკლე ცხოვრება; და თუ ამ
ორ ცხოვრებას შორის რაიმე შეუთანხმებლობა არსებობს, ისიც
შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ ვრცელ ცხოვრებაზე შემ-
დგომმა მუშაობამ ავტორს დაანახა, მისი აზრით, სვინაქსარულის
ზოგიერთი ადგილის უზუსტობა და ვრცელ ცხოვრებაში მისი გამო-
სწორების საშუალებაც მიეცა. მაგრამ ეს მხოლოდ დროებით დაშ-
ვებული ვარაუდია: მთელი რიგი გარემოებები გვაფიქრებინებს,
რომ გიორგი მთაწმიდელი არ შეიძლება იყოს
ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების ავტორი.

ამ საკითხის გარკვევისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ელ. მეტრეველის მიერ გამოვლენილ ბასილი ბაგრატის ძის ექვთიმე მთაწმიდლის სახელზე დაწერილ საგალობელს, რომელიც გიორგი მთაწმიდლის მაისის თვის „თუენშია“ შესული⁸⁰. ამ საგალობლის აღმოჩენამდე ცნობილი იყო ბასილი ბაგრატის ძის მხოლოდ პიროვნება, ხოლო მის ორიგინალურ-ლიტერატურულ მოღვაწეობაზე ექვიცი არ არსებობდა.

ბასილი ბაგრატის ძის ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ ქართული წყაროებიდან ცოტა რამაა ცნობილი. გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებიდან ვიცით, რომ, როდესაც პატარა გიორგი ხახულის მონასტერში მოიყვანეს, ბასილი ბაგრატის ძე „მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისა“, როგორც მას გიორგი ხუცეს-მონაზონი უწოდებს, ხახულს იმყოფებოდა. გიორგი „დიდსა მასცა ბასილის ბაგრატის ძესა მოჰგუარეს და წმიდაჲ კურთხევაჲ მისი მიღებად სცეს“⁸¹. ამ ეპიტეტებიდანაც კარგად ჩანს, რომ ბასილი ბაგრატის ძე უთუოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიროვნება იყო იმ დროის ქართულ საეკლესიო კულტურის სამყაროში.

ექვს არ უნდა იწვევდეს ელ. მეტრეველის აზრი, რომ ბასილი ბაგრატის ძე ხახულიდან ათონზე უნდა მისულიყო ექვთიმეს მოღვაწეობის ბოლო წელს თუ არა, მისი გარდაცვალებისთანავე. ამასვე გვაფიქრებინებს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მის მიერ შექმნილი ექვთიმეს საგალობელი, რომელიც თვითმზილველის თუ არა მისი ცხოვრების ძალიან ახლოს მკოდნის მიერ უნდა იყოს დაწერილი⁸². ამრიგად, იმ მრავალრიცხოვანი საგალობლებიდან, რომლებიც ექვთიმეს შესახებ დაწერილა და ჩვენთვისაა ცნობილი, ბასილი ბაგრატის ძის საგალობელი ყველაზე ძველია.

რამდენადაც ექვთიმეს სახელზე დაწერილი საგალობლების უმეტესობა გიორგის თხზულების „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესის“ შემდეგ არიან შექმნილი, გასაკვირიც არ არის, რომ ისინი ამ თხზულებას ეყრდნობიან. სხვა სურათი გვაქვს ბასილი ბაგრატის

⁸⁰ ელ. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში, აქუშინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1952. ამავე ნაშრომშია გამოცემული ბასილი ბაგრატის ძის ექვთიმეს სახელობის საგალობელი. ქვემოთ გვერდებს ეუთითებთ ამ გამოცემის მიხედვით.

⁸¹ ათონის კრებულა, გვ. 289.

⁸² ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

ძის ექვთიმეს საგალობელთან დაკავშირებით, რომლის დაწერაც დიდი ხნით უსწრებს წინ აღნიშნული თხზულების შექმნას.

ბასილი ბაგრატის ძის ექვთიმესადმი მიძღვნილი საგალობელი გამოირჩევა თავისი მხატვრული ღირსებებით, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სიმდიდრე ფაქტიური მასალით, რომლითაც, როგორც ეს აღნიშნული აქვს ელ. მეტრეველს, ენათესავება გიორგი მთაწმიდლის თხზულებას „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი“⁸³, და დაუმატებდით, რომ ექვთიმეს სვინაქსარულ ცხოვრებასაც.

ამ სამი ძეგლის ტექსტობრივი შედარება უეჭველსა ხდის ვარაუდს, რომ ექვთიმეს საგალობელი და ვრცელი ცხოვრება სვინაქსარულ ცხოვრებაზეა დამოკიდებული, რომ სვინაქსარული ცხოვრება არის წყარო, როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის. მოვიტანთ მაგალითებს ამ დებულების დასამტკიცებლად:

საგალობელი

**სვინაქსარული
ცხოვრება**

ვრცელი ცხოვრება

დალაკათუ გე-
ბძანა მეფისა მი-
ერ კვპრიისა მლ-
დელ მოძღურო-
ბაჲ, მშჳდო და
წრფელო, ... არა
თავს-იდევ სიყუა-
რულითა სიმდაბ-
ლისაჲთა“ (გვ.
211).

„უამთა ბასილი მე-
ფისათა აღესრულა
მთავარ-ეპისკოპოსი
კვპრიისაჲ... მეფე-
მან... ჳელ-ყო
დარწმუნებად...
რაჲთამცა იქმ-
ნა მთავარ-ეპის-
კოპოს კვპრი-
სა... ხოლო მშჳდ-
მან მან და
წრფელმან არა
თავს-იდვა ყოვ-
ლადვე, რამეთუ სიმ-
დაბლე სრული მო-
ეპოვა და ამპარტავა-
ნებაჲ მოეკუდინა“
(გვ. 59).

„უამთა ბასილი მეფი-
სათა ოდესმე აღეს-
რულა მთავარეპისკო-
პოსი... და ფრიად აი-
ძულა მეფემან ნეტა-
რსა ეფთჳმეს, რაჲთა
მითუალოს ვანგებაჲ
მისი. ხოლო მან ყო-
ვლადვე არა თავს-იდ-
ვა, რამეთუ ყოვლითა
მოსწრაფებითა ევლ-
ტოდა დიდებასა“
(33,57).

⁸³ იქვე. გვ. 191.

„შესხმანი წმიდანნი განაშუენენ და ცხოვრებანი მათნი აღგვწერენ და ენაჲ ჩუენი ნაკლულევანი განავერცულე, მამაო ეფთჳმი“ (გვ. 212).

„სული შენი წმიდაჲ ჳელთა ღმრთისათა შეჳვედრე“ (გვ. 213).

„არა დაფარნა ღმერთმან შრომანი შენნი. არამედ განაბრწყინვა სასწაულითა, ვითარცა რაჲ მოსე, მთასა ათონას ცეცხლებრ ხილვითა სუეტად ცად აღწევნილად“ (გვ. 211).

„უხილაეთა მათ საჳკურველთა თანა ხილულიცა საჳკურველნი შეგიმოსნიეს: ძაძაჲ იგი ფიცხელი და ჳაჳჳ მძიმე“ (გვ. 112).

„...და განავერცულა ნაკლულევანებაჲ ენისა ჩუენისა“ (გვ. 57).

„ყოელად წმიდაჲ სული თჳსი ჳელთა ღმრთისათა შეჳვედრა“ (გვ. 58).

„ხოლო ნეტარი იგი დგა ვითარცა სუეტო ცეცხლისაჲ მიუდრეკელად“ (გვ. 59).

„რამეთუ აჳუნდა ესეცა დიდი სათნოებაჲ: დაფარვაჲ სათნოებათა თჳსთაჲ... ხოლო არნ სამოსლად მისსა ჳუეშე კერძო ძაძაჲ და ჳედა ძაძისა მის ჳაჳჳ მძიმე“ (გვ. 61).

„განანათლა ჳართველთ ენაჲ და ჳუეყანაჲ“ (15,5)

„და ესრეთ ლოცვასა შინა და მადლობასა ღმრთისასა გარდაიცვალა სამგზის სანატრელი იგი და... ფრიადი მწუხარებაჲ მოიწია ჩუენ ჳედა“ (49,113).

„იხილეს მამაჲ ჩუენი ეფთჳმე ვითარცა ცეცხლი მგზნებარშ“ (33, 56).

„რამეთუ ყოველნივე ფარულად აღესრულებოდის მის მიერ. ხოლო არნ სამოსლად მისა ძაძაჲ და ძაძისა მის ჳედა ჳაჳჳ მძიმე“ (47, 108).

„არცა დასცხერ შრომათაგან და ესრეთ განამრავლე ტალანტი რწმუნებული შენდა და მრავალწილად მიუყარ ღმერთსა“ (გვ. 213).

„რაჟამს მოვიტყნოთ ჩუენ წესიერად ქცევამ და დგომამ შენი, სურვილითა შენითა მრავლითა ცრემლითა აღვივსებით“ (გვ. 211).

„მეორე ოქრობირად გიცნობთ ქართველნი“ (გვ. 211).

„მარჯუენამან ღმრთისამან, ყოვლად ძლიერმან, უქმყოველი ღეონისი, რაჟამს-იგი, აღძრულსა მტრისაგან ენება მოკლვამ შენი, არამედ

„ხოლო მან ნეტარმან არა დამალა ტალანტი მოცემული ღმრთისა მიერ, არამედ მრავალწილად აღაორძინა და... ვიდრე სიკუდილადმდე არა დასცხრა პატიოსანი იგი პირი მისი საღმერთოჲსა მისგან შრომისა“ (გვ. 57).

„და ეკლესიას დგომასა მკნე, რამეთუ დგან იგი თჳნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისა კელ-მოკლობით ვითარცასუეტი შეუძრველად და პირი და თუალნი მისნი იყვნიან ქუეყანად მიმარო მხედველ“ (გვ. 60).

„აღმოდგინა ჩუენ ახალი ოქრობირი“ (გვ. 57).

„არამედ სხუასა ჟამსა აღძრა ეშმაკმან მებოსტნე მონასტრისაჲ და აზრახა მოკლვამ წმიდისაჲ. ხოლო მან, ვითარცა კელყო და აღილო მახ-

... ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უმრავლესნი წიგნი თარგმანნა... და ესრეთ აღაორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი (30,50).

„და ეკლესიას დგომასა მკნე, რამეთუ დგან იგი თჳნიერ კუერთხისა და კედელსა მიყრდნობისა კელ-მოკლობით ვითარცასუეტი შეურყვევლი და პირი და თუალნი მისნი იყვნიან ქუეყანად მიმარო მხედველ“ (47,108).

„ჩუენთა ამათ ჟამთა ახალი ოქრობირი გაჲმოაჩინა“ (28. 48).

„კუალად სხუასა ჟამსა აღძრა ეშმაკმან მებოსტნე მონასტრისაჲ და აზრახა მასცა მოკლვამ წმიდისაჲ მის. და ვითარცა კელყო, მეყსეულად უქმ იქმნა კელი მისი და

შენ ლოცვითა განკურნე, მშჯლო და სახიერო, და უფროხსი სიყუარული მიჰფინე“ (გვ. 212).

ვილი, რაათამცა უხეთქნა, მეყსეულად იქმნა კელი მისი უქმარ, ვითარცა შეშაჲ, ვიდრემდის აღიარა ყოველი, და ლოცვითა წმიდისაჲთა მოილო კურნებაჲ“ (გვ. 60).

დაშთა, ვითარცა შეშაჲ განჭმელი, ვიდრემდის აღიარა ყოველი და ლოცვითა მისითა მიილო კურნებაჲ და ადიდებდა ღმერთსა“ (46,106).

„უფსკრულისა ვეშაპი, წინამძღუარი ბოროტთაჲ, მტერი მოშურნე ვერ თავსიღებდა შენთა სიტყუათა წყლულებასა, ნეტარო, აღძრა მოშურნემან მან სადგური თვისი დაბნელებული, კოწმა, რაათამცა დაადუმა პირი შენი, ღმერთშემოსილო. ძლიერმან მარჯუენამან ღმერთისამან ჩუენისა ცხოვრებისათჳს დაგიცვა და წმიდათა თანა შენთჳს მოკლულნი ადიდნა. უბრალოთა მათ ზედა ორთა მოწაფეთა შენთა ნეტართა სიკუდილი მახვლითა, სასოჲ ცხოვრებისაჲ, აღლესა. რაჲჲმს-იგი ენება მზაკუჲარსა მას სიკუდილი

მბრძოლი იგი წმიდათაჲ და მოშურნე კაცთა ცხოვრებისაჲ ბელიარ, ხედვიდა რაჲ წყაროსა მას უკუდავებისასა, აღმომდინარესა პირით მისით, ... განიხერხებოდა და განიპებოდა შურითა ბოროტითა. ამისთჳსცა პოვა საწყალობელი ვინმე, სახითა მონაზონი, რომელი შემძლებელ იყო დატევენად ყოველსა ძალსა მისსა; ამისსა გულსა შევიდა და აღლესა იგი მოკლვად წმიდისა. ... არამედ ცუდყო ღმერთმან განზრახვაჲ მისი და წყალობისათჳს ნათესავისა ჩუენისა არა უტევა მიახლებად მისა.

მბრძოლი იგი წმიდათაჲ და მოშურნე კაცთა ცხოვრებისაჲ ბელიარ, ხედვიდა რაჲ სულიერთა ამათ წესთა... ფრიად ელმოდა და განილეოდა შურითა.

და პოვა ვინმე საწყალობელი, სახითა მონაზონი, და აღძრა იგი მოკლვად წმიდისა მის.

...არამედ ცუდყო ღმერთმან განზრახვაჲ მისი.

შენი, წმიდაო, მორჩი-
ლსა მისსა თანა
მართლმსაჯულისა ღმ-
რთისაგან მოიქლა“
(გვ. 211).

... და ესრეთ იცი-
ლებოდეს რაჲ,
დაჩხუება დანიკითა
მით ნეტარი იგი
ძმაჲ... და ივლტოდა
რაჲ, კუალად შეემთ-
ხვა მას სხუაჲცა მო-
წაფე ბერისაჲ და
იგიცა დაჩხუება მა-
ხვლითა. და ესრეთ
აღესრულნეს მონანი
იგი ქრისტესნი და
გვრგვნითა მოწამეთა-
ჲთა შემკობილნი
წარვიდეს წინაშე
ღმრთისა. ხოლო ბო-
როტმან მან.. აღი-
არა უკუანაჲსკნელ...
და სატანჯველად სა-
უკუნოდ მიიცივალა“
(გვ. 60).

... განცოფებულმან
მან იჭადა მახვლი
იგი საეშმაკოჲ და
ესრეთ უწყალოდ და-
ჩხუება სანატრელი
იგი ძმაჲ... და ვითარ
იგი ივლტოდა, შეემ-
თხვა მას სხუაჲცა
მოწაფჲ მამისაჲ და
იგიცა დაჩხუება მა-
ხვლითა... და ესრეთ
გვრგვნითა წამებისაჲ-
თა შემკულნი მიიც-
ვალნეს წინაშე ღმრ-
თისა. ხოლო მედგარ-
მან მან აღიარა მტე-
რისამიერი იგი აღძრ-
ვაჲ თჳსი და, ღირ-
სად უკეთურებისა თჳ-
სისა, მწარედ წარჰჳ-
და უბადრუკი იგი
სული მისი“ (46,105).

ნაჩვენები პარალელური ადგილების ფრაზეოლოგიური დამ-
თხვევები და შინაარსობლივი იგივეობა უექველს ხ დ ის ს ა
გ ა ლ ო ბ ლ ის და მოკიდებულებას სვინაქსარულ
ცხოვრებაზე. რაც შეეხება ვრცელ ცხოვრებას, იგი ამ ად-
გილების გადმოცემაში მთლიანად დამოკიდებულია სვინაქსარულ
ცხოვრებაზე და არც ერთ ისეთ მაგალითს არ იძლევა, რაც შეიძ-
ლება იყოს საგალობელში და არ იყოს სვინაქსარულ ცხოვრებაში.

სვინაქსარულსა და ვრცელ ცხოვრებასთან შედარებით საგა-
ლობელმა ორი დამატებითი დეტალიც კი შემოგვინახა.

სვინაქსარული და ვრცელი ცხოვრება შეიცავს ექვთიმეს ცხოვ-
რებიდან ორ ეპიზოდს, სადაც გადმოცემულია ექვთიმეს მოკვლის
ცდა პირველად „მოშურნე კაცთა ცხოვრებისა ბელიარ“-ის მიერ,
ხოლო მეორედ მონასტრის მებოსტნის მიერ. ამ ეპიზოდებში არ
არის მოხსენებული ბოროტმოქმედთა სახელები. საგალობელში კი,
როგორც ეს სვინაქსარული ცხოვრების პარალელურად მოტანილი

ტექსტიდან ჩანს, ექვთიმეს ცხოვრების ამავე ეპიზოდებთან დაკავშირებით აღნიშნულია მათი სახელები: კოზმა და ლეონი.

ძნელი ასახსნელია, რატომ არ არის მოხსენებული ეს სახელები სვინაქსარულსა და ვრცელ ცხოვრებაში. სვინაქსარული ცხოვრების ავტორისათვის ექვთიმეს სიცოცხლეზე ხელმოყოფთა სახელები ცნობილი უნდა ყოფილიყო, რადგან იგი თვითმხილველი თუ არა, ამ ამბების კარგად მცოდნეა. საფიქრებელია, რომ მან ბოროტგანმზრახველთა სახელები შეგნებულად არ შეიტანა სვინაქსარულ ცხოვრებაში, რადგან ლიტურგიკული დანიშნულების ძეგლში, რომელიც ექვთიმეს დღესასწაულზე ეკლესიაში უნდა წაეკითხათ, უწმინდურთა სახელების ხსენება უხერხული იქნებოდა⁸⁴.

საინტერესოა, რომ ექვთიმე მთაწმიდლის ვრცელი ცხოვრებაც არ იხსენიებს მათ სახელებს. საფიქრებელია, რომ გიორგი მთაწმიდლისათვის მათი სახელები ცნობილი არ იყო, რადგან მისი ძირითადი წყარო — სვინაქსარული ცხოვრება მათ არ ახსენებდა; ან, თუკი ექვთიმეს ვრცელი ცხოვრების წერის პროცესში გიორგი მთაწმიდლისათვის ბასილი ბაგრატის ძის საგალობლის არსებობა ცნობილი იყო⁸⁵, ისევე, როგორც სვინაქსარული ცხოვრების ავტორმა, შეგნებულად არ შეიტანა მათი სახელები „ცხოვრებაში“.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ექვთიმე მთაწმიდლის ცხოვრების სვინაქსარულ რედაქციაში ბოროტგანმზრახველთა სახელების მოუხსენებლობა ძირითადად გამოწვეული უნდა იყოს აღნიშნული ცხოვრების ლიტურგიკული დანიშნულებით. მაშ, რატომ აღინიშნა ეს სახელები ბასილი ბაგრატის ძის საგალობელში, რომელსაც ისეთივე ლიტურგიკული დანიშნულება ჰქონდა, როგორც სვინაქსარულ ცხოვრებას, და შევიდა კიდევ ისეთ ლიტურგიკულ კრებულში, რო-

⁸⁴ ჩვენ მიერ გამოთქმულ ვარაუდს მხარს უჭერს ერთი გვიანდელი აგიოგრაფიული ძეგლი — ქუთუაზ დედოფლის „წამების“ ვრცელი რედაქცია, რომლის ავტორი ბოდიშს იხდის, რომ იძულებულია „უსჯულო კაცის“, კონსტანტინე კახთა მფრის სახელი ახსენოს: „არა ვგებოდა, ვინაჲთგან ცხოვრებაჲ და წამებაჲ აღწერეთ დედოფლისაჲ, რაჲთაჲცა ესევეითარი უსჯულო კაცი შემოიხზუნე და ამის მიერ განუგარძნე სიტყუანი ჩემნი, მათსა ცხოვრებასა მცირედ ეპი დრო-ეცე. არამედ რაედენცა მრავლის-ემეტყველებდე უსჯულოასა ამისთვის. ეგრეთცა უმეტესად იდიდოს სახელი მოწამისა ამის“. „ცხოვრება და წამება ქუთუაზ დედოფლისა“. ტრ. რუხაძის გამოცემა, „ლიტ. ძიებანი“, V, გვ. 151.

⁸⁵ ვამბობთ „ვრცელი ცხოვრების წერის პროცესში“, რადგან უფრო გვიან „თუნუნე“ მუშაობის დროს გიორგი უკვე იცნობს ამ საგალობელს და შეაქვს კიდევ მაისის თვის „თუნუნე“, ოღონდ, „სხუა“ საგალობელთა რიგში (H—1710, 66 r—70 v).

გორიცაა გიორგი მთაწმიდლის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი და ნაციონალური საგალობლებით შეესებულებული „თუენი“? გადაჭრით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გვიჭირს, მაგრამ ბასილი ბაგრატიის ძის საგალობელში „უწმიდურთა“ სახელების შეტანას ხომ არ აქვს რაიმე კავშირი იმ გარემოებასთან, რომ ექვთიმესადმი მიძღვნილი ეს საგალობელი, რომელიც გამოირჩევა თავისი მხატვრული ღირსებებით, ფაქტობრივი მასალის სიმღიდრით და აზნათანავე უძველესია ექვთიმეს სახელზე დაწერილ საგალობლებს შორის, შევიდა „თუენის“ „სხუა“ საგალობელთა რიგში და არა ძირითად ნაწილში? ამიტომ ხომ არ შეიზღუდა ამ საგალობლის გავრცელების არე, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ერთადერთი ნუსხითაა ცნობილი? რომ „ათონის კრებულში“ შესულ ექვთიმეს სახელობის მრავალრიცხოვან საგალობლებს შორის არ არის ბასილი ბაგრატიის ძის საგალობელი?

ერთი სიტყვით, სვინაქსარულსა და ვრცელ ცხოვრებებში ბოროტგანმზრახველთა სახელების აღუნიშვნელობა დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს.

სვინაქსარული ცხოვრებისა და საგალობლის ტექსტების შედარების საფუძველზე ჩვენ უკვე დავასკეენით, რომ საგალობლისათვის სვინაქსარული ცხოვრება უნდა იყოს ამოსავალი წყარო, რადგან საგალობლის ფაქტურა მთლიანად სვინაქსარული ცხოვრების ტექსტზეა დამყარებული. ამ არგუმენტაციას მხარს უნდა უჭერდეს ზოგიერთი თეორიული ხასიათის ფაქტიც.

1. უნდა ვიფიქროთ, რომ ექვთიმე მთაწმიდლის „მოსაქსენებელი“, რომელსაც სვინაქსარული ტიპის მოკლე ცხოვრების სახე ეწებოდა, ლიტურგიკული საჭიროებისათვის, მისი დღესასწაულის განგებასთან დაკავშირებით, ექვთიმეს გარდაცვალებისთანავე შეიქმნა.

ასეთ „მოსაქსენებელთა“ შექმნა ამ ეპოქისათვის თითქმის აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული, რადგან ბერძნულ სასულიერო სამყაროსთან სიახლოვე, მის ლიტურგიკულ მასალათა შესწავლა-შეთვისება თავისებურ კვალს ტოვებდა ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაზე. ბერძნული ეკლესიისათვის უკვე IX საუკუნიდან ცნობილია სვინაქსარული ცხოვრების შედგენისა და ღვთისმსახურებაში გამოყენების პრაქტიკა. რა თქმა უნდა, ქართველ ათო-

ნელთათვის იგი ძალიან კარგად იქნებოდა ცნობილი, რადგან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ათონის ბერძნულ მონასტრებთან და, განსაკუთრებით, ათანასე ათონელის დიდ სამეფო ლაერასთან, რომლის მკვიდრნიც წლების განმავლობაში იყვნენ, ხოლო ცოტა გვიან იოვანე და მის შემდეგ ექვთიმე ამ ლაერიან მზრუნველადაც კი ითვლებოდნენ. სხვათა რომ თავი დაეხებოთ, ექვთიმეს მიერ გადმოთარგმნილი „მცირე სვინაქსარი“-თაც ამ პრაქტიკის ცოდნა მშვენივრად დასტურდება. ასეთი ორიგინალური ხასიათის „მოსაქსენებლების“ არსებობა „დიდი სვინაქსარის“ თარგმნამდე თვით იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების მიხედვითაც იგულისხმება.

გიორგი მთაწმიდელს ამ ცხოვრებაში შეტანილი აქვს იოვანე ათონელის ანდერძი, რომელიც სიკვიდილის წინ „წარმოთქვა და აღწერით დაუტევა“ ექვთიმესა და ქართული მონასტრის ყველა „ძმას“. სხვათა შორის, იოვანე ამ ანდერძის ბოლოს ითხოვს: „...და მილოცედიოთ და მ ა კ ს ე ნ ე ბ დ ი თ, საყუარელნო შვილნო და ძმანო ჩემნო, მ ა რ ა დ ი ს, რაათა ყოს ღმერთმან წყალობაჲ საწყალობელისა და ცოდვათა შინა განფრდილისა სულისა ჩემისა თანა და შემინდვნეს ყოველნი ცოდვანი ჩემნი. და ეგრეთვე სულიერსა ძმასა ჩუენსა იოვანე სვანგლოზსა, რამეთუ ფრიადითა სარწმუნოებითა მოვიდა ჩუენდა წმიდასა ძმას მთასა, და სულიერისა მამისა ჩუენისა ა თ ა ნ ა ს ე ს ს ა კ ს ე ნ ე ბ ე ლ ს ა წ ლ ი თ ი-წ ლ ა დ ა ღ ა ს რ უ ლ ე ბ დ ი თ და მ ო ი კ ს ე ნ ე ბ დ ი თ წ მ ი დ ა თ ა ე ა მ ი ს-წ ი რ ვ ა თ ა შ ი ნ ა“⁸⁵.

ანდერძის ამ ადგილიდან ჩანს, რომ თვალსაჩინო მოღვაწეთა „მოსაქსენებლის“ დადება აუცილებელი ტრადიციაა ქართული და საერთოდ მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურების პრაქტიკაში. მოტანილი ადგილით დასტურდება, რომ იოვანე სვანგლოზისა და ათანასე ათონელის „მოსაქსენებლების“ „აღსრულება“ „ეჟამის წირვათა შინა“ უკვე იოვანეს სიცოცხლეშივე სრულდებოდა, ანდერძის მიხედვით კი იოვანე ერთხელ კიდევ მოაგონებს მათ, რომ ეს ტრადიცია შემდეგშიაც გაგრძელდეს და „წლითი-წლად“ აღასრულონ მათი ხსენება. ასევე „მოსაქსენებლის“ დადებას ითხოვს იგი მათგან მისი გარდაცვალების შემდეგ, რაც აუცილებლად შესრულდებოდა, რადგან, ჯერ ერთი, იოვანეს ჯეროვანი დამსახურება ჰქონდა, თუნდაც, მარტო იმით, რომ მან დააარსა, განავრცო და მომავლისათვის საფუძველი გაუმაგრა ქართული საეკ-

⁸⁵ ცხოვრება იოვანესი და ეფთჳესი, 27.42.

ღესიო კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ათონის სამონასტრო კერას. მეორეც, იოვანეს ანდერძი, როგორც მონასტრის წინამძღვრის ანდერძი, აუცილებლად უნდა შესრულებულიყო, როგორც ამას ითვალისწინებს 1046 წ. ათონის მონასტრებისათვის შექმნილი ერთიანი „წესდების“ მერვე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ ყველაფერი სრულდებოდეს, როგორც ეს ძველს წესდებაშია (971 წ.) არის ნათქვამი, წინამძღვრის მიერ დატოვებული ანდერძის მიხედვით-ო⁸⁶.

ზემოთქმულის საფუძველზე ნათელი უნდა იყოს, რომ ექვთიმეს „მოსაჯენებლის“ გარეშე დატოვება ზაიი გარდაცვალებისთანავე შეუძლებელი იქნებოდა.

2. ქართულ საეკლესიო ლიტერატურის ისტორიაში არ მოიპოვება არც ერთი მაგალითი, რომ ამა თუ იმ წმინდანის საგალობელი შექმნილიყოს ამავე წმინდანის ცხოვრების (ვრცელის თუ სვინაქსარულის) დაწერამდე. როგორც წესი, საგალობელი საჭირო მასალას „ცხოვრებიდან“ კრებს.

არ გვგონია, რომ ექვთიმეს ბასილი ბაგრატის ძის საგალობლისა და სვინაქსარული ცხოვრების ურთიერთმიმართებაში რაიმე გამონაკლისთან გვქონდეს საქმე. საეკვო არ უნდა იყოს, ეს საგალობელი ეყრდნობა სვინაქსარულ ცხოვრებას. თუ დაბრკოლებას ქმნის ის გარემოება, რომ საგალობელი სვინაქსარულთან შედარებით უჩვენებს ზოგიერთ ზედმეტ დეტალს (სახელები), ეს მაინც არ გამოდგება იმის საბუთად, რომ შებრუნებული დასკვნა გავაკეთოთ. ანალოგიური მაგალითი სხვაც მოიპოვება: აბოს საგალობელი, დაწერილი იოანე საბანისძის მიერ, შეიცავს ერთ ეპიზოდს ქრისტინის მამადის სჯულზე მიქცევისას, რაც არ არის აბოს ცხოვრებაში, რომელიც ამ საგალობელთან ერთად არის დაწერილი და ეკუთვნის იმავე იოანე საბანისძეს⁸⁷. ამ მაგალითს რომ თავი დავანებოთ, ამის შესაძლებელი გამოშწვევი მიზეზის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი.

ამრიგად, ზემოხსენებულ დაკვირვებათა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქ-

⁸⁶ П. Успенский Я. История Афона, ч. III, стр. 175.

რათქმა უნდა, ზემოაღნიშნულ „მოსაჯენებელში“ ჩვენ ვაკლიხსმობთ სვინაქსარული ხასიათის მოკლე ცხოვრებას და არა ალაპის ტანის მოსახსენებელს, რომელიც იღებოდა შედარებით უმნიშვნელო დამსახურებისათვისაც კი.

⁸⁷ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათა, ტ. I, გვ. 70, 1947.

სართული ცხოვრება ექვთიმეს ვრცელი ცხოვრებისა და ბასილი ბაგრატიის ძის ექვთიმეს საგალობლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

უფრო დამაჭერებელი რომ გახდეს გიორგი მთაწმიდლის მიერ თავისი თხზულებისათვის სვინაქსარული ცხოვრების წყაროდ გამოყენების შესაძლებლობა, მოკლედ შევეხოთ მისი ლიტერატურული მუშაობის იმ მეთოდებს, რაც წყაროებით სარგებლობას შეეხება.

ცნობილია, რომ იოვანეს და ექვთიმეს ცხოვრებაზე მუშაობის დროს გიორგი სარგებლობდა არა მარტო ზეპირი წყაროებით, რომელთაც იგი შეიტყო და ხოლმე „კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხილვნეს და ემსახურა მათდა“⁸⁸, არამედ უმთავრესად იმ წერილობითი წყაროებით, რომელთა კვალი უმეტეს შემთხვევაში კარგად ჩანს თხზულებაში. ეს საკითხი შესწავლილი აქვს აკად. კ. კეკელიძეს; იგი მიუთითებს კიდევ იმ მასალაზე, რომელიც გიორგის თითქმის უცვლელად შეუტანია თავის ნაწარმოებში: 1. იოვანე ათონელის ანდერძი; 2. სახარების მათეს თავის განმარტებაზე დართული იოვანე ათონელის ანდერძის ექვთიმე მთაწმიდლის ნათარგმნ წიგნთა სია; 3. ექვთიმეს „ნუსხა“, რომელშიაც ჩამოთვლილია ის „დიდი საფასენი“, რაც ათონის ქართულმა მონასტერმა „შეწირნა“ ათონის მთის სხვა მონასტრებს; 4. ექსცერპტები ტიბიკონის დისციპლინარული ნაწილისა; 5. ქართველ-ბერძენთა გამწვავებული ურთიერთობის ამსახველი „მოსაქსენებელი“ და სხვა. აგრეთვე, როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, იოვანეს და ექვთიმეს ცხოვრების შესავალს ეტყობა ექვთიმე მთაწმიდლის ნათარგმნი მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების შესავალის აშკარა გავლენა⁸⁹.

წყაროების გამოყენების ასეთმა სიუხვემ კ. კეკელიძეს, შეიძლება ცოტა გადაჭარბებულადაც, ათქმევინა, რომ „გიორგის საქმიანობა ამ თხზულების დაწერისას მდგომარეობდა აღნიშნული წერილობითი მასალებისა და იმ ცნობების, რომელნიც მას მოუთხ-

⁸⁸ ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, 14,4.

⁸⁹ კ. კეკელიძე. ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI, გვ. 139—160.

რეს „კაცთა სარწმუნოთა და სულიერთა მამათა“, სისტემატურად დალაგებაში და ერთიმეორეზე გადაბმაში“⁹⁰.

წყაროების თითქმის უცვლელად გამოყენების ფაქტები შეინიშნება გიორგი მთაწმიდლის სხვა ორიგინალურ თხზულებებშიაც. რომელთაგანაც იოდასათვის გიორგისეულ საგალობელსა და მის წყაროზე ზემოთ გვექონდა საუბარი.

ამავე თვალსაზრისით გვაინტერესებს „დიდ სვანქსარში“ მოთავსებული მაქსიმე აღმსარებლის სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც სრულიად მოულოდნელად ნახევრად თარგმნილი და ნახევრად ქართული წყაროს საფუძველზე შედგენილი ძეგლი აღმოჩნდა.

როგორც აკად. კ. ეკელიძემ გვიჩვენა, თხზულების დასაწყისი წარმოადგენს მაქსიმე აღმსარებლის სვინაქსარული ცხოვრების იმ ბერძნული ტექსტის თარგმანს, რომელიც მოთავსებულია პატროსის ბიბლიოთეკის № 266 IX—X სს. სვინაქსარში, ხოლო დანარჩენი ნაწილი, სიტყვებიდან „ესე ძლიერად წინა-აღუდგებოდა წვალებასა მათსა ბოროტსა“. ექვთიმეს ნათარგმნი მაქ. აღმსარებლის ცხოვრების სათანადო ადგილების გამოკრებით არის შედგენილი⁹¹.

ამ თხზულებათა სათანადო ადგილების შედარებამ გვიჩვენა, რომ ეს წყარო გიორგის ჩვეული სიზუსტით აქვს გადმოღებული. მოვიტანოთ მაგალითები:

**მაქსიმე აღმსარებლის
სვინაქსარული ცხოვრება**

**მაქსიმეს ექვთიმესეული
ვრცელი ცხოვრება**

„... და შემდგომად მცირედისა უამისა გამოიყვანნეს სუხნანი იგი ძმანი ციხეთა მათგან და წარიყვანეს ხუცესი ანასტიოს ციხესა სუანთა სოფლისაჲსა და ვიდრე არღა მიწევნულ იყო ციხესა მას... მივიდა წინაშე უფლისა“ (A—193, 259v).

„მერმე შემდგომად მცირედისა უამისა გამოიყვანნეს სუხნანი იგი ძმანი ციხეთა მათგან და წარიყვანეს ანასტიოს ხუცესი ციხესა სუანთა სოფლისაჲსა... და ვიდრე არღა მიწევნულ იყო ციხესა მას, აღესრულა და მივიდა... სასუფეველსა ცათასა“ (კიპენი. ტ. 1, გვ. 94).

⁹⁰ იქვე, გვ. 141.

⁹¹ კ. ეკელიძე. ეტიუდები ძვ. ქართული ლიტ. ისტორიიდან. ტ. VII, გვ. 14.

„... და წარიყვანეს მაქსიმე განკათული სენთაგან და შეაწყუდიეს ციხესა, რომელსა ეწოდებოდა ჰიმარ, მახლობელად ქუეყანასა ოესეთისასა. და მოწაფე მისი ანასტიოსს შეაყენეს ციხესა აფხაზეთისასა, რომელსა ეწოდების კოტორი, და მეორე მოწაფე მისი ანასტაიოსს შეაყენეს ციხესა სახელით ბუკელუს საზღვართავე ოესეთისათა“ (A—193, 259v).

„ხოლო აღესრულების საქსენებელი მისი ამასცა დღესა და კუალად იანვარსაცა კა, ოდეს იგი დაჰკუეთნეს ენანი და კელნი მათნი, ვითარცა განაწესეს წმიდათა მამათა მეექუსისა კრებინათა“ (A—193, 259v).

როგორც ჩანს, გიორგის ასეთი ოპერაცია უნდა ჩაეტარებინა შემდეგი მოსაზრებით: სვინაქსარული ცხოვრების ბერძნულ ტექსტში მაქსიმეს სამეგრელოში მოყვანისა და ტყვეობის ამსახველი ადგილები გაკვრივითაა ნახსენები. რადგან მისთვის ცნობილი იყო ქართულად თარგმნილი წყარო, რომელიც ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავდა მაქსიმეს საქართველოში ყოფნისა და მისი უკანასკნელი დღეების შესახებ, მან გვერდი აუარა სვინაქსარული ცხოვრების მეორე ნახევრის ჩვენებას და შეცვალა იგი ქართული წყაროდან ამოღებული ცნობებით²².

ამ წყაროს გამოყენებაში ზუსტად გიორგის ლიტერატურული მუშაობისათვის დამახასიათებელ სურათს ვხედავთ. იგი გამოკრებს უმნიშვნელოვანეს ადგილებს მაქსიმეს ვრცელი ცხოვრებიდან, მაგ-

²² როგორც ცნობილია, ექვთიმეს მიერ თარგმნილი მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება განსხვავდება ბერძნულ ენაზე არსებულ მაქსიმეს ცხოვრების 3-ვე რედაქციისაგან და ზოგიერთი ადგილი ექვთიმეს შრომისა ორიგინალური შემოკმელების ნაყოფი უნდა იყოს.

„და ნეტარი იგი და წმიდაა მაქსიმე უძლორებასა შინა დიდსა იყო... წარიყვანეს და შეაწყუდიეს ციხესა, რომელსა ეწოდების ჰიმარ, მახლობელად ქუეყანასა ოესეთისასა, და ძმა ანასტიოსს... შეაყენეს ციხესა აფხაზეთისასა, რომელსა ეწოდების კოტორი, და მეორე ანასტაიოსს... შეაყენეს ციხესა სახელით ბოკელუს საზღვართავე ოესეთისა“ (გვ. 94).

„ხოლო აღესრულების საქსენებელი მისი მას დღესაცა და კუალად აღესრულების თთუესა იანვარსა ოც და ერთსა, ოდეს იგი ტანჯეს და დაჰკუეთნეს წმიდაა იგი ენაა და კელი მისი, რამეთუ ესრეთ განაწესეს წმიდათა მამათა მეექუსისა მის კრებინათა“ (95,14).

რამ გამოყენებული ადგილი თითქმის უცვლელად გადმოაქვს. „თითქმის“ ვამბობთ იმიტომ, რომ აქაც იგრძნობა გიორგის ზემოხსენებული სტილისტური მუშაობის კვალი; მაგ. ვრცელში გვაქვს: „დაკუეთნეს ენანი და კელნი მათნი“, სვინაქსარში კი — „აღმოკუეთნეს ენანი მათნი და დაკუეთნეს კელნი მათნი“. „წარავლინნა ექსორიობად სამეგრელოს“ — „ექსორია ყენეს სამეგრელოს“. „ვიდრე სიკუდილადმდე მეფისა მის“ — „ვიდრე მოკუდა მეფე იგი“. „მოდუაწებითა დიდითა აღასრულა ცხოვრებაჲ თვისი“ — „და სიწმიდით აღასრულა ცხოვრებაჲ თვისი“. „მივიდა სიხარულით სასუფეველსა ცათასა“ — „მივიდა წინაშე უფლისა“ და სხვ. მრ.

ამრიგად. გიორგი მთაწმიდლის მიერ თავის თხზულებაში „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი“ გამოყენებულ წყაროთა რიცხვს, ჩვენი აზრით, უნდა მიემატოს კიდევ ერთი — ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება, რომლითაც გიორგი ზუსტად იმავე პრინციპებით სარგებლობს, როგორც სხვა წყაროების გამოყენებისას:

1. სვინაქსარულის, მისი აზრით, ბუნდოვანი ადგილები გამოუტოვებია, ან თავისებური მოსაზრებით გადაუკეთებია.

2. სვინაქსარულის ზოგიერთი ადგილი მან შეამოკლა, ისე რომ ამას შინაარსის სისრულის გადმოცემაზე კვალი არ დაუმჩნევია.

3. სვინაქსარულ ზოგიერთ კერძო ფაქტს მან უფრო განზოგადებული შინაარსი მისცა.

4. ხშირად მიმართავს სვინაქსარულის სიტყვების სინონიმებით შეცვლის ხერხს, ხანდახან ცვლის წინადადების კონსტრუქციასაც.

5. სვინაქსარულის მიერ ფაქტების ზოგადი აღნიშვნა მან შეავსო კონკრეტული ისტორიული ფაქტებით.

6. სვინაქსარულს დაუმატა ზოგიერთი ისეთი ხასიათის ეპიზოდი, რომლის მსგავსი სვინაქსარულშიც მოიპოვებოდა (თესალონიკეში ურიასთან კამათი), ან ისეთი, რომელსაც ექვთიმეს მოღვაწეობაში ღვთაებრივი ზემოქმედების ნათელი სურათის მოცემა შეეძლო (ღვთისმშობლის გამოცხადების ეპიზოდი).

შესაძლებელია თუ არა, თუნდაც ვარაუდით, მივუთითოთ ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების ავტორის ვინაობაზე? სამწუხაროდ ამის შესახებ რაიმეს თქმა მიახლოებითაც გაჭირდება.

საქმე ისაა, რომ სვინაქსარული ტიპის ცხოვრების ავტორის მიგნება ყოველთვის დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ჯერ ერთი, სვინაქსარული ცხოვრებები მოთავსებულია ღვთისმსახურების ისეთ კრებულებში, როგორცაა „სვინაქსარი“, „გულანი“, „სადღესასწაულო“, რომლებიც არასოდეს არ გვიჩვენებენ სვინაქსარული ცხოვრების შემდგენლის ვინაობას.

მეორეც, ასეთი ცხოვრების შექმნა მთლიანად დაკავშირებულია ლიტურგიკულ პრაქტიკასთან; ძირითადად მისი შედგენა სათანადო ვრცელი ცხოვრების მონაცემების საფუძველზე ხდება, და აზღვრულ სვინაქსარული ცხოვრების ავტორი გამოპყრებელ-რედაქტორის როლში გვევლინება და ნამდვილი ავტორის პრეტენზია არცა აქვს. ალბათ, სხვა მიზეზებიც შეიძლება არსებობდეს ამის ასახსნელად. ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ჩვენამდე მოღწეული არც ერთი ქართველი მოღვაწის სვინაქსარული ცხოვრების, ადრინდელისა თუ გვიანდელის, ავტორის ვინაობა ჩვენთვის ცნობილი არ არის, და თუ ვინმეს დასახელება შეიძლება, მხოლოდ მიახლოებით, ვარაუდით⁹³.

როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად სვინაქსარული ცხოვრება მეორეული, დამოკიდებული ნაწარმოებია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ზოგიერთი სვინაქსარული ცხოვრება ამავე წმინდანის ვრცელ ცხოვრებაზე ადრე შექმნილად მივიჩნიოთ. ჩვენის აზრით, ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება ამის კარგ მაგალითს იძლევა. არის სხვა შემთხვევებიც, რომ რომელიმე მოღვაწის მხოლოდ სვინაქსარული ცხოვრება დაწერილა, ვრცელი კი არც მანამდე არსებულა და არც შემდეგ შექმნილა (პროზორეს, ლუკა იერუსალიმელის და ნიკოლოზ დვალის სვინაქს. ცხოვრებანი), თუმცა აქაც, ალბათ, ტრადიციის ზეგავლენით, ცდილობენ ასეთი მოღვაწის შესახებ დაწერილი ვრცელი ცხოვრება, სვინაქსარულზე ადრე შექმნილი, დაკარგულად ჩათვალონ⁹⁴. რაც არავითარი ნიშნებით, წყაროების არავითარი მონაცემებით არ დასტურდება.

⁹³ გვიანდელი სვინაქსარული ცხოვრებიდან გამოვალის შესადგენს შიო გარეჯელის XVIII ს. სვინაქსარული ცხოვრება, რომლის ავტორი სათაურშივეა მოხსენებული. მაგრამ ამ ცხოვრებას, რომელსაც საგალობლებიც და მთელი დღის განგება ახლავს, უფრო ვრცელი ცხოვრების პრეტენზია აქვს.

⁹⁴ ვ. ვ. ვ. ე. ლ. ძველი ქართ. ლიტ. ისტორია. გვ. 541, 1960; Д. К и п ш и д з е. Жизнь Прохора, Муч. Луки и муч. Николая Двали, «Известия Кавказского Историко-Археологического Института», т. II, 1917—1925 г., стр. 36, 46 (სქოლიოში).

ამრიგად, ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება დაიწერა ვრცელი ცხოვრების შექმნამდე და ექვთიმესადმი მიძღვნილი ყველა საგალობლის შედგენამდე. სვინაქსარული ცხოვრების მასალა შემდეგ აისახა თითქმის ყველა ძეგლში, რაც კი ექვთიმე მთაწმიდლის შესახებ შექმნილა.

ავტორის ვინაობის შესახებ რაიმეს თქმა, მართალია, ძნელია, მაგრამ, ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ბასილი ბაგრატიძის ძე — ექვთიმეს პირველი საგალობლის შემდგენელი — იყოს ამავე დროს ავტორი ექვთიმეს „მოსაქსენებელისა“, რომელმაც ჩვენამდე ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების სახით მოაღწია? ეს ეჭვი შეიძლება წარმოშვას საგალობლისა და სვინაქსარული ცხოვრების ფრაზეოლოგიურ-შინაარსობლივმა მსგავსებამ.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ წმინდანის ხსენების დღის განგებას, რომელიც შეიცავს ამ წმინდანის სვინაქსარულ ცხოვრებასა და საგალობელსაც, ხშირად ერთი პირი ადგენდა. შესაძლებელია, აქაც იგივე მდგომარეობა გვქონდეს, მით უმეტეს, რომ ბასილი ბაგრატიძის ძის საგალობელი სწორედ ექვთიმეს დღის განგებისათვის უნდა იყოს შედგენილი.

ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლებელია, ასეთი დასკვნები გავაკეთოთ:

1. გიორგი მთაწმიდლის „ღიღი სვინაქსარის“ მთარგმნელის ხელიდან გამოსულ ნუსხაში ექვთიმე მთაწმიდლის ცხოვრების სვინაქსარული რედაქციის არსებობა უეჭველი ფაქტია.
2. „ღიღი სვინაქსარი“ გიორგი მთაწმიდლის არა მარტო პირველი ნათარგმნი ძეგლია, არამედ საერთოდ მისი ლიტერატურული შემოქმედების პირველი პროდუქცია.
3. „ღიღი სვინაქსარი“ ნათარგმნია „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“-ს დაწერამდე.
4. გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფის ცნობა, რომ იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრება ავტორმა დეკანოზობაში დაწერა. მოითხოვს კორექტივს: ამ ძეგლის წერა, მართლაც, დეკანოზობაშია დაწყებული, მაგრამ დამთავრება გიორგი მთაწმიდლის წინამძღვრობის პირველ წლებში უნდა გადავიტანოთ ამ ძეგლის ავტორისეული ანდერძის საფუძველზე.
5. წინააღმდეგ ტრადიციულად განმტკიცებული აზრისა ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება ვერ შეიქმნებოდა ვრცელი ცხოვრების საფუძველზე, რადგან სვინაქსარული ცხოვრება ვრცელზე აღრინდელი ჩანს.



6. ამ ცხოვრებათა ტექსტობრემა შედარებამ გვიჩვენა მთელი რიგი ეპიზოდურ-ფრაზეოლოგიური იგივეობა, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ ვრცელმა ცხოვრებამ სვინაქსარული გამოიყენა თავის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ.

7. სვინაქსარული ცხოვრების ავტორი არ შეიძლება იყოს გიორგი მთაწმიდელი, ეს ცხოვრება უფრო ადრე უნდა იყოს შექმნილი.

8. ბასილი ბაგრატის ძის ექვთიმეს სატელზე დაწერილი საგალობელი წყაროდ იყენებს იმავე სვინაქსარულ ცხოვრებას, რასაც ამტკიცებს მათი იდეურ-შინაარსობლივი იგივეობა და ფრაზეოლოგიური შეხვედრის მრავალი მაგალითი.

9. სვინაქსარული ცხოვრება შექმნილი უნდა იყოს ექვთიმე მთაწმიდლის გარდაცვალებისთანავე, რა თქმა უნდა, ათონის ქართველთა მონასტრის ექვთიმეს თანამედროვე პოლევანის მიერ 1028—29 წწ.

10. ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების ავტორად ღიძილება ვივარაუდოთ იგივე ბასილი ბაგრატის ძე (ექვთიმეს პირველი საგალობლი ავტორი), თუმცა ამის დამამტკიცებელი საბუთები ჭერჭერობით არ მოგვეპოვება.

2. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ქართველი მოღვაწეები

ქრისტიანული სამყაროს ცენტრში — იერუსალიმში — ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული სამწერლო კერის, ჯვარის მონასტრის დაარსება დიდი მოვლენა იყო შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულ-საეკლესიო ცხოვრებაში.

საქართველოს ურთიერთობას პალესტინასთან უძველესი ტრადიციები აქვს. ტიმოთე გაბაშვილის ცნობით, ჯვარის მონასტრის ადგილი მოიპოვა ნინოს მიერ იერუსალიმში წარგზავნილმა მირიან ბეფემ. მართალია, ეს გვიანდელი ლეგენდარული ცნობა ჯვარის მონასტრის აშენების პროცესშია შექმნილი⁸⁵, მაგრამ მაინც კარგად ასახავს ამ ურთიერთობის უძველეს ტრადიციებზე მინიშნებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ქართველები V ს-დანვე მონაწილეობდნენ საბა განწმედელის ლავრის დიდ სამო-

⁸⁵ ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. მიმოსლვა, ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს გამოცემა, 1956, გვ. 0215—17.

ნასტრო ცხოვრებაში⁹⁶. ამ ურთოერთობის ნათელი დადასტურებაა აგრეთვე პეტრე იბერიელის მიერ პალესტინაში რამდენიმე ქართული მონასტრისა და სასტუმრო სახლის დაარსება⁹⁷. ქართველების დაინტერესება ამ „წმინდა“ ადგილებით და იქ საკუთარი ეკლესიამონასტრების დაარსება მომდევნო საუკუნეებში კიდევ უფრო მეტი ინტენსიობით წარიმართა. პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიაში ამ ორიენტაციის დაგვირგვინებად მაინც ჯვარის მონასტრის დაარსება უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც „დიდი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის განვითარებაში და ხელი შეუწყო ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟის ზრდას და განმტკიცებას“⁹⁸. კულტურის ამ კერისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოწვეულია იმითაც, რომ ის იყო პალესტინის ყველა ქართული მონასტრისა და ეკლესიის ადმინისტრაციული და სულიერკულტურული ცენტრი⁹⁹.

ამ მნიშვნელოვანი ქართული სამონასტრო კერის ისტორიისათვის ქართულ და უცხოურ წყაროებს არც თუ მდიდარი მასალა შემოუნახავს; ცოტა რამ არის ცნობილი ჯვარის მონასტრის დამაარსებელთა და მისი მოღვაწეების შესახებ. ამდენად, გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყოველგვარ, თუნდაც მეორეხარისხოვან წყაროს ამ მნიშვნელოვანი სამწერლო კერის შესახებ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იერუსალიმის ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარული ცხოვრებანი წარმოადგენენ იმ ძირითად წყაროს, რომლე-

⁹⁶ ვ. ვ. ვ. ლ. ი. ძ. ქართ. ლიტერ. ისტორია, I, გვ. 17—18. თუმცა დ. ი. მ. ი. ტ. რ. ე. ს. კ. ი. (Путешествие по востоку и его научное значение, 1890, 181—182, სკოლიოში) გამოთქვამს აზრს, რომ საბა განწმედილის ანდერძი ნახსენები „იბერების“ ნაცვლად ანდერძის უძველეს ნუსხაში უნდა ყოფილიყო „Αβελόνος“, რადგან საბას ცხოვრებაში ქართველები არ იხსენიებიან, ხოლო სომხების შესახებ ხშირად და დამარწმუნებლად არის ლაპარაკი. გადასწორება უნდა მომხდარიყო მოგვიანებით, IX—X ს. და გამოწვეული უნდა ყოფილიყო ბერძნების სიძულელით სომხებისადმი. საერთოდ ავტორი არ უარყოფს აზრს, რომ უკვე V ს. პალესტინაში ქართველებს ქქონდათ დამოუკიდებელი მონასტრები.

⁹⁷ 1953 წ. პალესტინაში აღმოჩენილი V ს. ქართული წარწერებიც ადასტურებენ პეტრე იბერიელის საღმრთოებლო მოღვაწეობას (ვ. წ. ე. რ. თ. ე. ლ. ი., უძველესი ქართ. წარწერები პალესტინიდან, 1960).

⁹⁸ ე. ლ. მ. ე. ტ. რ. ე. ვ. ე. ლ. ი., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962, გვ. 5.

⁹⁹ Д. К и п ш и д з е. Жизнь Прохора, муч. Луки и муч. Николая Дваи: «Известия Кавказского Историко-Археологического Института», т. II, 1927, стр. 32.

ბიე ნაწილობრივ ავსებენ პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის ხარვეზს.

პროხოზე ქართველის, ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის სვინაქსარულ ცხოვრებათა ტექსტები 1902 წ. პალესტინაში ყოფნის დროს გადმოიწერა ნიკო მარმა იერუსალიმის № 24—25 (ძველი ნუმერაციით № 104), ქართული სამეცნიერო წრეებისათვის მანამდე უცნობი, სვინაქსარული კრებულიდან. ამ ხელნაწერის მიკვლევამდე ცნობილი იყო მხოლოდ პროხოზე ქართველის სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი ჯრუჭის მონასტრის „სვნაქსარის“ (ამჟამად H—1661, 1155 წ.) მიხედვით, რომელიც 1886 წ. გამოაქვეყნა თ. ქორდანიამ¹⁰¹ „ქრონიკების“ მეორე წიგნში. 1927 წ. ნ. მარის გადმონაწერთა მიხედვით ეს ძეგლები გამოსცა დ. ყიფშიძემ (პროხოზეს სვინაქსარული ცხოვრება ორივე ნუსხის მიხედვით)¹⁰².

ნ. მარის მიერ მიკვლეული ხელნაწერი ჩვენთვის ცნობილი გახდა ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკიდან 1955 წ. მიღებული მიკროფილმების საშუალებით. მიკროფილმების მიღების შემდეგ შესაძლებელი გახდა ამ სვინაქსარულ ცხოვრებათა გამოცემის სისწორის შემოწმება და დაშვებული შეცდომების გასწორება. შეცდომები კი საკმაოდ შეინიშნება, განსაკუთრებით ლუკასა და ნიკოლოზის სვინაქსარულ ცხოვრებათა ტექსტების გამოცემებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძველი გამოცემის ყველა შეცდომა განმეორებულია 1946 წლის ს. ყუბანეიშვილის გამოცემაში¹⁰³, თუმცა ამ უკანასკნელს კრიტიკული გამოცემის პრეტენზია ვერ ექნებოდა, რადგან იგი ფაქტიურად დ. ყიფშიძის გამოცემის სასწავლო ქრესტომათიაში გადმობეჭვდას წარმოადგენს.

პ რ ო ხ ო რ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ი

პროხოზე ქართველის სვინაქსარული ცხოვრების მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის და ისტორიოგრაფიისათვის დიდია, რადგან ეს ერთადერთი წყაროა, რომელშიც მთლიანობაშია მოთხრობილი XI საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწის იერუსალიმში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. პროხოზეს შესახებ ძუნწი ცნობები მისი ცხოვრების გარეშეც იყო ცნო-

¹⁰¹ თ. ქორდანიამ, ქრონიკები, II, 1897, გვ. 523—524.

¹⁰² Д. К и п ш и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 58—68.

¹⁰³ ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართ. ლიტ. ქრესტომათია, I, გვ. 215, 253—255.

ბილი. ეს ცნობები გაბნეულია ძველ ქართულ წყაროებში, როგორცაა „ცხოვრებაჲ გიორგი ხუცეს-მონაზონისა“ და იერუსალიმში გადაწერილი სხვადასხვა ხელნაწერთა ანდერძები. ეს წყაროები გაკვრით შეიცავენ ცნობებს, რომ პროხორე იყო მაშენებელი თუ განმაახლებელი ჯვარის მონასტრისა იერუსალიმის მახლობლად, მაგრამ ცნობილი არ იყო მისი ცხოვრების თუნდაც ძირითადი მომენტები, არ იყო ცნობილი მისი ბიოგრაფია¹⁰⁴. ქართველ მოგზაურთა (ტიმოთე) თუ ისტორიკოსთა (თ. ბატონიშვილი, მ. ბროსე და სხვ.) ცნობები, როგორც ბოლოს გამოიჩვენა, ემყარებოდნენ სწორედ პროხორეს ცხოვრების სვინაქსარულ რედაქციას¹⁰⁵.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროხორეს ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია პირველად ცნობილი გახდა თ. ჟორდანიას გამოცემით („ქრონიკები“, II ტ., გვ. 523 - 524), რომელიც ე. წ. ჭრუჭის (ამჟამად ხელნაწ. ინსტ. H—1661, 1155 წ.) სვინაქსარს ემყარებოდა. ამ ცხოვრების უძველესი ნუსხის (XI ს.) შემკველი ხელნაწერი გამოვლინდა 1902 წ. პალესტინის ექსპედიციის შემდეგ. ნიკო მარმა აღმოიჩინა ეს თხზულება და ამ ორი ნუსხის მიხედვით კრიტიკულად გამოსცა დ. ყიფშიძემ. თ. ჟორდანიას გამოცემასთან შედარებით ეს უფრო კრიტიკულია, თანაც ითვალისწინებს ორი ნუსხის მონაცემებს, გასწორებულია რამდენიმე წაკითხვა. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დ. ყიფშიძემ უპირატესობა მისცა ჭრუჭის სვინაქსარის ნუსხას, ხოლო Jer.—24—25 ნუსხა B ლიტერით აღნიშნა, იმ მოტივით, რომ იერუსალიმის ნუსხა შედარებით გვიანდელიაო. რა საფუძველი ჰქონდა დ. ყიფშიძეს ასეთი ვარაუდისათვის? ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად მკვლევარი ასახელებს იმ ფაქტს, რომ იერუსალიმის ხელნაწერის სვინაქსარული ცხოვრება შეიცავს, ყიფშიძის თქმით, „ვეულგარული“ ენით მინაწერს, რომლის ენა განსხვავებულია ძირითადი ტექსტის ენააგან. მზავისი რამ არ არის ჭრუჭის სვინაქსარში. აი ეს მინაწერი: „ხოლო დაეაწესეთ, რამათა იანვარსა იუზ გარდაიკვიდეს საყსენებელსა მისსა, ვინცა წინამძღუარ იყოს ჯუარისა მონასტერსა. ძმათა ტრაპეზსა შეუჯავშინდეს კარგსა და მამასა პროხორის ულოცვიდენ და ხუცესნი ეამსა უწირვიდენ. ეგრე ამისთჳს დაეაწესეთ მუნ, რამეთუ მიცვალებისა მისისა დღმ უფრომსჯერ მარხვათა მიხუდების“ (Jer.—24—25, 152r). მართლაც, 17 იანვრის დღის განგების ამიაზე XI საუკუნის

¹⁰⁴ Л. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

¹⁰⁵ ე. ლ. მებრეჯელი, ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა..., 1957, გვ. 0214.

მრგვლოვანი სინგურით მიწერილია პროხოორეს ალაპი: „ამასვე დღესა ალაპი მამისა პროხოორესი. ვინცა წინაძმლუარ იყოს, გარდაიქდიდეს. ათევდენ ღამესა და კარგსა ტრაპეზსა შეუკაზმვიდეს ძმათა“ (Jer.—24—25, 131r).

ელ. მეტრეველმა გაარკვია, რომ იერუსალიმის ამ ხელნაწერში პროხოორეს ალაპი და სვინაქსარული ცხოვრება ერთდროულადაა შეტანილი¹⁰⁶. მიკროფილმების მიღების შემდეგ საკმათო აღარ ჩანს, რომ Jer.—24—25 ხელნაწერი XI ს. II ნახევრით თარიღდება, აღდენად ის არ შეიძლება 1155 წ. გადაწერილ „ჩრუჭის სვინაქსარზე“ გვიანდელი იყოს. „ჩრუჭის სვინაქსარში“ ამ მინაწერის გარეშე პროხოორეს სვინაქსარული ცხოვრების არსებობა მხოლოდ ერთი მიზეზით შეიძლება აიხსნას: ვადამწერის. გიორგი დოდოსის ანდერძით ცნობილია, რომ ის გადაიწერა ჭვარის მონასტერში, საფიქრებელია, Jer.—24—25 ნუსხიდან. იგი განკუთვნილი ყოფილა ქრისტეს საფლავის ეკლესიისათვის, როგორც ამას ხელნაწერის ძირითადი ტექსტის ხელთ მინაწერი ადასტურებს: „ესე სწინაქსარი აღდგომის საფლავსა არს“ (26 ფ.). ამდენად გასაგებია, რომ პროხოორეს სვინაქსარული ცხოვრების შენიშვნის სახით მინაწერს Jer.—24—25-ში კავშირი ჰქონდა ჭვარის მონასტრის დღესასწაულის განგებაათან და საჭიროებას არ წარმოადგენდა მეორე მონასტრისათვის, რადგან პროხოორეს ალაპის აღნიშვნა სავალდებულო არ იქნებოდა აღდგომის ეკლესიისათვის. აქ საკმარისი იქნებოდა პროხოორეს სვინაქსარული ცხოვრების ზოგადი ნაწილის წაკითხვაც, რაც მართებულად აქვს შენიშნული ელ. მეტრეველს¹⁰⁷.

აღნიშნულ გამოცემათა ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ არ არის დაძებნილი და გამოყენებული პროხოორეს სვინაქსარული ცხოვრების შემკველი ყველა ხელნაწერი, როგორც ადრეული, ისე გვიანდელი. ამ ორი აღნიშნული ნუსხის გარდა ჩვენ მიუვაკლიეთ კიდევ სამ დამატებით ნუსხას, რომლებიც გამოვიყენეთ კიდევ პროხოორეს სვინაქსარული ცხოვრების გამოსაცემად მომზადებული ტექსტისათვის. ეს ნუსხებია: H—886 (XII ს.), Q—105a (XVIII ს. I ნახ.), Q—75 (XIX საუკ. დასაწყ.).

H—886 ხელნაწერი, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით XII საუკუნით არის დათარიღებული, მიუხედავად იმისა, რომ თაბლოლო აკლია და არავითარი ანდერძი არ გააჩნია, ჩანს, რომ გა-

¹⁰⁶ ე. ლ. მეტრეველი. მასალები პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. 1962, გვ. 30.

¹⁰⁷ ე. ლ. მეტრეველი. დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

დაწერილია Jer.—24—25-დან. იგი შეიცავს იმავე ხსენებებს და მასალას, როგორცაც H—1661 და Jer. 24—25 ხელნაწერები. პროზორეს სვინაქსარული ცხოვრების ბოლოს Jer.—24—25-ში დაცული შენიშვნის ნაწილი, რომელიც არ გადასულა H—1661-ში, H—886-ში ნაწილობრივ დაცულია. აქ გამოტოვებულია მხოლოდ ტრაპეზის „შეკაზმვისა“ და „ქამის წირვის“ დეტალები: „ხოლო დავაწესეთ, რაღათა იანვარსა ი¹ზ გარდაიკდიდეს საკსენებელსა მისსა, ვინცა წინამძღუარ იყოს ჭვარისა მონასტერსა. ესე ამისთჳს დავაწესეთ მუნ, რაჲეთუ მიცვალებნა მისისა დღ¹ უფროასჯერ მარხვათა მიხედების“.

როგორც ჩანს, H—886 ხელნაწერის გადამწერს პროზორეს ხსენების დღის შეცვლის ფაქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებია წინააღმდეგ H—1661 ხელნაწერის გადამწერისა, რომელსაც ეს შენიშვნა მთლიანად გამოუტოვებია. სამაგიეროდ H—886-ის გადამწერს საჭიროდ არ მიუჩნევია ტრაპეზის „შეკაზმვის“ და პროზორესთვის „ქამის წირვის“ დეტალების გადმოწერა, რადგან ეს რიტუალი, მართლაც, მხოლოდ ჭვარის მონასტრის „ქმათა“ კრებულს ენებოდა, ხოლო სხვა მონასტრებში მისი აღნიშვნა საჭიროებას არ წარმოადგენდა, ამიტომ გადამწერმაც არ შეიტანა თავის ხელნაწერში.

ამჟამად ცნობილი პროზორეს სვინაქსარული ცხოვრების შემცველი ნუსხები ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ამგვარ სურათს წარმოგვიდგენს: უძველესი, შეიძლება ითქვას, პროზორეს გარდაცვალების უმაღლეს შემქმნილი მისი სვინაქსარული ცხოვრების პირველი ნუსხა შევიდა Jer.—24—25 ხელნაწერში. H—1661 მოპდინარეობს ამ ნუსხიდან, ხოლო მასზე დამოკიდებულია Q—75, რომელიც გადაწერილია, ალბათ, H—1661 ხელნაწერის საქართველოში ჩამოტანის შემდეგ (1806—1812 წ.). იმავე Jer.—24—25-დან მოპდინარეობს H—886, ოღონდ H—1661-ისაგან განსხვავებული რედაქციით, ხოლო ამ ხელნაწერზე არის დამყარებული და, ალბათ, მისგან გადმოწერილი Q—105 ა გულანის სვინაქსარული ნაწილი, რადგან ეს ხელნაწერიც პროზორეს სვინაქსარული ცხოვრების ბოლოს მოთავსებულ შენიშვნას იმავე სახით შეიცავს, როგორც ეს H—886-შია.

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ნათლადაა ნაჩვენები ამ სვინაქსარული ცხოვრების მნიშვნელობა პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის გასათვალისწინებლად. ბევრი რამ პროზორეს პიროვნების შესახებ უკვე



ღავას აღარ იწვევს. მაგ., იყო ის შავთელი (თბილისის ახლოს), თუ შავშეთელი (კლარჯეთში); სწავლობდა ის ბეთანიაში, თუ წყაროსთავში; იყო თუ არა იგი სულიერი მოწაფე არსენ ნინოწმიდელისა. გარდა ამ საკითხების გარკვევითა შესაძლებელი გახდა პროზორეს სამშენებლო საქმიანობის შესახებ (გარდა ჭვარის მონასტრის აშენებისა) დამატებითი დეტალების გათვალისწინება (ქსენადუქის აგება), ჭვარის მონასტრის თავდაპირველი კრებულის რაოდენობა. ცნობილი გახდა ჭვარის მონასტრის პროზორეს მომდევნო წინამძღვრის სახელი, პროზორეს მოღვაწეობა არნონის უდაბნოში და სხვა.

საერთოდ ცნობილია, რომ სვინაქსარული ტიპის ცხოვრება ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხს ყველა იმ კითხვაზე, რაც „ცხოვრების“ ირგვლივ წარმოიშობა. მიზეზი ამისა უმთავრესად სვინაქსარული ცხოვრების სპეციფიკაა. სვინაქსარული ცხოვრება ხშირად გვერდს უვლის, ან ძალიან ზოგადად აღნიშნავს იმ ისტორიულ, თუ წმინდანის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებულ რეალურ ფაქტებს და მეტ ყურადღებას უთმობს სასწაულებსა და ფანტასტიკურ მომენტებს.

პროზორეს სვინაქსარული ცხოვრება ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან მთელი „ცხოვრების“ მანძილზე ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი რაიმე სასწაულის შესახებ, მაგრამ, აგრეთვე, ზოგადად არის ლაპარაკი ისეთ ფაქტებზე, რომელთა დეტალური ცოდნა კარგ სამსახურს გაუწედა პალესტინის ქართული კოლონიის ისტორიის შესწავლას.

პროზორეს სვინაქსარული ცხოვრების შექმნის დროზე პირველად გაამაზვილა ყურადღება დ. ყიფშიძემ. მისი გამოანგარიშებით ამ ბეგლის დაწერის დრო 1066—1155 წწ. უნდა შემოიფარგლოს. პირველი თარიღი პროზორეს გარდაცვალებისაა, რომლის შემდეგაც შეიქმნა მისი სვინაქსარული ცხოვრება, ხოლო მეორე, დ. ყიფშიძის აზრით, იმ ხელნაწერის გადაწერის თარიღი (H—1661), საიდანაც პირველად გახდა ცნობილი პროზორეს სვინაქსარული ცხოვრების არსებობა. დღეს უკვე საკამათო აღარ არის. რომ Jer.—24—25 ხელნაწერი, რომელიც პროზორეს სვინაქსარულ ცხოვრებას შეიცავს, გაცილებით ადრინდელია H—1661-ზე. მართალია, ამ ხელნაწერს გადაწერის თარიღი არ გააჩნია, მაგრამ პალეოგრაფიული ნიშნებით შეუცდომლად შეიძლება მივაკუთვნოთ XI ს. II ნახევარს. ამ ფაქტის გამოყენებით ელ. მეტრეველმა, რომელმაც პირველად შეისწავლა ამ ხელნაწერის მიკროფილმი, პროზორეს სვინაქსარული ცხოვრების დაწერის დროის მონაკვეთი დიდად დაავიწროვა და იგი XI ს.

70-იან—80-იანი წლებით შემოთარგლა. დ. ყიფშიძის შეცდომა გამოწვეული იყო Jer.—24—25 ხელნაწერის მცდარი დათარიღებით, იუმცა მას ამ ხელნაწერზე წარმოდგენა მხოლოდ ნ. მარისაგან მიღებული ცნობების საფუძველზე ექნებოდა.

ჩვენი აზრით, ელ. მეტრეველი მარტოებულად აღნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი გადაწერილია. და ამდენად მასში პროხოორეს სვინაქსარული ცხოვრება შეტანილია პროხოორეს გარდაცვალების უმაღლესე. რომ სვინაქსარის გადაწერას სწორედ სასწრაფო მიზანი ჰქონდა: მასში პროხოორეს სვინაქსარული ცხოვრებისა და აღაპის შეტანა. ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ცხოვრება 1066—70 წწ. დათარიღდეს, რადგან პროხოორეს გარდაცვალებიდან 4 წელი ამ საქმიანობის მოსაგვარებლად სავსებით საკმარისი გვეჩვენება.

საკამათოა საკითხი ამ ძეგლის დაწერის ადგილის შესახებ. დ. ყიფშიძემ აღნიშნა, რომ სვინაქსარულ ცხოვრებაში დაცული ზოგიერთი ნიშნის მიხედვით პროხოორეს სვინაქსარული ცხოვრება ითქმის საქართველოში უნდა იყოს დაწერილი¹⁰⁸. ამ საკითხის გადაჭრისას ის ემყარება პროხოორეს სვინაქსარულ ცხოვრებას: „და ანისა შემდგომად წარვიდა წმიდად ქალაქად იქლმდ“. მისა აზრით „წარვიდა“-ს თქმა შეეძლო მხოლოდ საქართველოში ან საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე რომელიმე ქართული კულტურის კერაში მოღვაწე ავტორს და არა იერუსალიმის მკვიდრს. გამოკვლევის სხვა ადგილას იგი უშვებს ვარაუდს, რომ ავტორად შეიძლება მივიჩნიოთ პროხოორეს ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, რომელიც მას არნონის უდაბნოში გაჰყვა¹⁰⁹. ეს მეორე მოსაზრება ეწინააღმდეგება პირველად გამოთქმულ დაშვებას. დ. ყიფშიძის მეორე აზრს იზიარებს ელ. მეტრეველიც: „ეს მოსაზრება სავსებით რეალური ჩანს, ვინაიდან, როგორც ითქვა, პროხოორეს ცხოვრება მისი გარდაცვალებიდან სულ მალევე დაიწერა. ყველაზე შესაძლებელი ავტორები პროხოორეს ცხოვრებისა კი, მართლაც, მისივე მოწაფეები ჩანან, რომლებმაც პროხოორესთან გაატარეს უკანასკნელი წლები არნონის უდაბნოში“¹¹⁰.

გვკვიც არ არის, რომ პროხოორეს ცხოვრება პალესტინაშია შექმნილი და არა საქართველოში, ამას ადასტურებს, ელ. მეტრეველის მართებული შენიშვნით, ის გარემოებაც, რომ პროხოორეს სვინაქსარული ცხოვრების შემცველი ხელნაწერები მხოლოდ იერუსალიმის

¹⁰⁸ Д. Книшндзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 36.

¹¹⁰ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

გარემოშია შექმნილი (Jer.—24—25, H—1661, H—886). ჰაერამ დასაზუსტებელია, კერძოდ სად შეიქმნა სვინაქსარული ცხოვრება — იერუსალიმის ჭვარის მონასტერში, თუ არნონის უდაბნოში? დასახელებული ავტორები პროხორეს ცხოვრების არნონის უდაბნოში შექმნის შესაძლებლობას უჭერენ მხარს.

ამ საკითხთან ორგანულ კავშირში იმყოფება მეორე ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი: პროხორეს სვინაქსარული ცხოვრება არის ის ერთადერთი დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელიც პროხორეს სიკვდილის შემდეგ დაიწერა, თუ ის მხოლოდ მეორეულია — პროხორეს აწ დაკარგული ვრცელი ცხოვრების მიხედვით შედგენილი?

პროხორეს ვრცელი ცხოვრების არსებობის შესაძლებლობა პირველად დ. ყიფშიძემ დააყენა: «Есть основания предполагать, что существовало пространное житие св. Прохора, сокращение и переделку которого составляет нынешняя синаксарная редакция¹¹¹. შემდეგ იგი მიუთითებს იმ ნიშნებზე, რომლებიც, მძი აზრით, ადასტურებენ ამ დაშვების შესაძლებლობას: «Изложение текста очень сжатое: местами весьма резкие переходы, предполагающие пропуски, напр., ничего не сказано об отношении Прохора к Святогорцам Евоимию и Георгию, о чем известно из других источников: едва ли агиограф пропустил бы без внимания такой важный факт жизни Прохора, как его знакомство с Святогорцами и влияние последних на него. Так что данная характеристика будет относиться не к автору, а сократителю жития Прохора¹¹².

აქედან გამომდინარე დ. ყიფშიძის აზრი პროხორეს ცხოვრების ავტორისა და შექმნის ადგილის შესახებ ეხება ვრცელი ცხოვრების რედაქციას, ხოლო ელ. მეტრეველის პოზიცია ამ შემთხვევაში ნათელი არ არის, რადგან იგი ვრცელი ცხოვრების შესაძლებელი არსებობის შესახებ არაფერს ამბობს.

პროხორეს ვრცელი ცხოვრების არსებობა ჩვენ არარეალურ ფაქტად მიგვაჩნია. ყიფშიძის მიერ წამოყენებული არგუმენტები საკმარისი არ არის ასეთი დაშვებისათვის. ფაქტი სახეზეა, რომ სვინაქსარული ცხოვრების ავტორმა პროხორეს მთაწმიდლებთან ურ-

¹¹¹ Д. К и п ш и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 36 (სქოლიო). ამასვე იხილეთ ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათა, I, გვ. 214.

¹¹² Д. К и п ш и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 36 (სქოლიო).

ოიერობის აღნიშვნა სვინაქსარული ტიპის ცხოვრებაში საჭიროდ არ ჩათვალა, რადგან „ცხოვრების“ სვინაქსარული ხასიათი. შესაძლოა, ამის საშუალებას არ იძლეოდეს. ძნელია ამ მეთოდით პროზორეს ვრცელი ცხოვრების არსებობა დავადასტუროთ და ამ ვრცელ ცხოვრებაში პროზორეს მთაწმიდლებთან ურთიერთობის ვრცელი აღწერა წარმოვიდგინოთ.

პართალია, ჩვენი აზრით, პროზორეს სვინაქსარულ ცხოვრებას პროზორეს ვრცელი ცხოვრების სახით წყარო არ გააჩნია, მაგრამ ის მაინც შედგენილია იმ სვინაქსარულ ცხოვრებათა ყალიბის მიხედვით, რომელთა ნიმუშები მრავლად მოიპოვება იმ „დიდი სვინაქსარის“ ნუსხაში (მათ შორის ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრებაც), სადაც შეიტანეს პროზორეს აღნიშნული ცხოვრებაც.

ყოფშიც არ მიუთითებს პროზორეს სვინაქსარული ცხოვრების იმ ადგილებს, სადაც, მისი სიტყვით, მკვეთრი გადასვლებია, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ტექსტი შეკუმშულადაა გადმოცემული, ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან ამ მცირე მოცულობის თხზულებაში პროზორეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხოლოდ მთავარი მომენტებია აღნიშნული. რა თქმა უნდა, აქ ადგილი ვერ ექნებოდა ენაწყლიანობას და განყენებულ მსჯელობებს, რასაც ვრცელი ცხოვრების რედაქციაში ბუნებრივად ჩავთვლიდით. პროზორეს ვრცელი ცხოვრების არსებობის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ სვინაქსარული ცხოვრების შექმნა პროზორეს გარდაცვალებისთანავე მისი ხსენებისა და მოკლე ცხოვრების „დიდი სვინაქსარში“ შეტანის მიზნით ყოფილა გამოწვეული. ეს ჩანს Jer.—24—25 ხელნაწერიდან: ამას ადასტურებს ამ ხელნაწერის პირველი აღაპი, რომელიც ჯვარის მონასტრის აღმაშენებლისა და პირველი წინამძღვრის საპატივცემულოდ შეიტანეს ამ სვინაქსარში. ამიტომ სვინაქსარული ცხოვრების პირველ რიგში შედგენა ჩვენ უფრო შესაძლებლად გვეჩვენება, ვიდრე ვრცელი ცხოვრების სახელდახელოდ დაწერა და მისგან სვინაქსარული ცხოვრების გამოკრება.

პროზორეს სვინაქსარული ცხოვრების თანმიმდევრობითი, ლოგიკური თხრობა სრულიადაც არ ბადებს ეჭვს, რომ ის გამოკრებით შედგენილი ძეგლია, რაც იგრძნობა, მაგ., ისეთი სვინაქსარული ცხოვრების მიმართ, როგორცაა ილარიონ ქართველის, შიო მღვიპელის, ნინოსა და სხვათა სვინაქსარული ცხოვრებები. იგი უფრო უახლოვდება ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების ტიპს, მაგრამ ბევრად ჩამორჩება მას არა მარტო მოცულობით, არამედ მხატვრუ-

ლი და ენობრივი მონაცემებითაც. ცხადია, რაც ითქვა, ვერ დაამტკიცებს ვრცელი ცხოვრების არსებობის დაუშვებლობას, მაგრამ არც არავითარი ხელშესახები ფაქტი მოიპოვება, რაც მის არსებობას შესაძლებლად გახდიდა. ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრების მაგალითზე ვნახეთ, რომ არ არის აუცილებელი სვინაქსარული ცხოვრება მაინცდამაინც ვრცელი ცხოვრების საფუძველზე დგებოდეს. შეიძლება სვინაქსარული ცხოვრება შეიქმნას ისე, რომ მისი შესაბამისი ვრცელი ცხოვრება ჯერ კიდევ არ იყოს დაწერილი. ან საერთოდ არ არსებობდეს. ასეთი მდგომარეობა უნდა გვექონდეს პროხორესთან დაკავშირებითაც.

პროხორეს სვინაქსარული ცხოვრების შექმნა, ჩვენი აზრით, მხოლოდ ჯვარის მონასტრის მოღვაწეთაგან და მის კედლებშია მოსალოდნელი, მიუხედავად იმისა, რომ პროხორეს იერუსალიმში „წარსლვა“-ზეა ლაპარაკი და არა „მოსლვა“-ზე. ჩვენ გვგონია, რომ ეს ზმნისწინი გადამწვევები არ შეიძლება იყოს. შეიძლება დაიძებნოს მაგალითები, სადაც „წარა“- და „მო“- ზმნისწინი მთხრობელის ადგილსამყოფელს ყოველთვის არ მიუთითებს.

რატომ მაინცდამაინც იერუსალიმის ჯვარის მონასტერშია საგულისხმებელი ამ სვინაქსარული ცხოვრების შექმნა? სვინაქსარული ცხოვრების შექმნა ისეთი საქმეა, მისი შესრულება მხოლოდ ჯვარის მონასტრის წინამძღვრის სანქციითა და „ძმობის“ თანხმობით უნდა მომხდარიყო. არ არის აუცილებელი, რომ პროხორეს სვინაქსარული ცხოვრების შექმნა მაინცდამაინც იმ ორ მოწაფეს მიეაწერათ. რომლებიც მას არნონის უდაბნოში გაჰყვენენ, რადგან პროხორეს ცხოვრების ის ფაქტები, რაც სვინაქსარულ ცხოვრებაშია, ჯვარის მონასტრის ბრავალ მოღვაწეს ეკოდინებოდა, რადგან პროხორეს თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი მათთან გაუტარებია; ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ბოლო პერიოდი პროხორეს ცხოვრებისა ჯვარის მონასტრის მოღვაწეთაგანისათვის ისე კარგად არ იქნებოდა ცნობილი, როგორც ამ ორი მოწაფისათვის, არაა გადამწვევები, რადგან პროხორეს, როგორც ჩანს, არნონის უდაბნოში მხოლოდ 5-ოდე წელი გაუტარებია; მეორეც, ამ უდაბნოში ცხოვრების შესახებ არც სვინაქსარულ ცხოვრებაში არის რაიმე საგულისხმო ნათქვამი: „და ამისა შემდგომად წარვიდა იგი უდაბნოსა არნონს... და შემდგომად მცირედისა ჟამისა შემკობილი სათნოებითა ცხოვრებისა ამისგან განვიდა...“ ამ სიტყვების დაწერა უდაბნოში პროხორეს ცხოვრების შესახებ ჯვარის მონასტრის ყველა მკვიდრს შეეძლო. ის „სვინაქსარი“, რომელშიაც პროხორეს აღაპი და სვინაქ-

სარული ცხოვრება შეტანილი, გადაწერილი უნდა იყოს სპეციალურად მასში პროხორეს სახსენებელი დღის დასაქვიდრებლად. ამდენად სვინაქსარული ცხოვრების შექმნის თადარიგი ქვარის მონასტრის კრებულის ღონისძიება უნდა იყოს, რაც აუცილებლად ამ მონასტრის ძალუბითვე განხორციელდებოდა. რა საჭიროება მოითხოვდა, რომ პროხორეს სვინაქსარული ცხოვრების შექმნა ქვარის მონასტრის მრავალრიცხოვან კრებულს აუცილებლად არნონის უდაბნოში მცხოვრებ პროხორეს მოწათფეთათვის ეთხოვნათ? ვფიქრობთ, რომ ამის საჭიროება არ არსებობდა.

სვინაქსარული ცხოვრების ქვარის მონასტრის კედლებში დაწერის ფაქტს მხარს უჭერს თვით სვინაქსარულ ტექსტში დაცული ზემოთ მოტანილი ცნობა: სვინაქსარული ცხოვრების ბოლოს ნათქვამია: „ხოლო დაეწესეთ, რაჟთა იანვარსა ი^ზ გარდაიქდიდეს საქსენებელსა მისსა ვინცა წინამძღუარ იყოს ჭუარისა მონასტერსა, ძმათა ტრაპეზსა შეუჯახმვიდეს კარგსა და მამასა პროხორეს ულოცვიდენ, და ხუცესნი ეამსა უწირვიდენ“. მოტანილი ადგილიდან ჩანს, რომ პროხორეს დღესასწაულის თადარიგი და მისი ორგანიზაცია მხოლოდ ქვარის მონასტერს უკავშირდება. ამგვარად, სვინაქსარული ცხოვრების ქვარის მონასტერში დაწერის ფაქტი, რომლის ნაწილიც ზემოთ მოტანილი ცნობაა, საკმაოდ არ უნდა იყოს „ძალიან ხელოვნური იქნება აზრი, თუკი ვინმე მოინდომებს ამ ფაქტის ახსნას ისე, თათქოს შესაძლებელი იყოს, სვინაქსარული ცხოვრება არნონის უდაბნოში დაეწერათ, ხოლო ეს ცნობა კი ქვარის მონასტერში მიემატებიათ.

ამათანავე, თუ პატ. მკვლევრები საეკვოდ თელიან ამ ძეგლის ქვარის მონასტერში შექმნის შესაძლებლობას „იერუსალემდ წარვიდა“-ს მსგავსი ფორმების საფუძველზე, მაშინ შეგვიძლია იგივე ეთქვათ ამ ძეგლის არნონის უდაბნოში შექმნის შესახებაც, რადგან ნათქვამია, რომ „წარვიდა იგი უდაბნოსა არნონს“ და არა „მოვიდა“.

ამათანავე სიტყვები „იერუსალემდ წარვიდა“ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ამ სვინაქსარული ძეგლის შემდგენლის პოზიციებიდან. ავტორი, რა თქმა უნდა, ქვარის მონასტრის ქართული ბერი, საქართველოდან იერუსალიმს პროხორეს შემდეგ ჩამოვიდოდა. შესაძლებელია, მან პროხორეს მიმართ „წარვიდა“ თავის თავთან დამოკიდებულებაში აღნიშნა, რადგან იგი პროხორეს წამოსვლის დროს საქართველოში იქნებოდა, ან შეიძლება დაბადებულიც კი არ იყო. ე. ი. შეიძლება ავტორს პროხორეს იერუსალიმს „წამოსვლის“ ფორმა თავის იმ დროისათვის ადგილსამყოფელთან მიმართ-

თებით აქვს აღნიშნული. ეს საერთოდ ტიპიური არ უნდა იყოს, მაგრამ შეიძლება ავტორის სპეციფიკას დაუკავშიროთ.

პროხორეს ბიოგრაფიის სვინაქსარული მასალა შეიძლება მცირე ოდენობით სხვა წყაროებითაც შეივისოს. სვინაქსარულ ცხოვრებაში არაფერია ნათქვამი პროხორეს მშობლების შესახებ, მაგრამ იერუსალიმის ერთ-ერთი ხელნაწერის პროხორისეული ანდერძის მიხედვით ცნობილია მისი მშობლების სახელები — იოვანე და რიანუში: „... ღირს ვიქმენ ჰე გლ^ახკი და ფ^ად ცოდვილო გიორგი-პროხორე სახელად ოდენ მღვდელი, ხოლო საქმით არა ღირსი... სალოცველად სულისა ჩემისა... და მშობელთა ჩემთა სულისათჳს — იოვანესა და რიანუშისა“¹¹³.

სვინაქსარული ცხოვრებით და აგრეთვე ხელნაწერთა ანდერძებით ცნობილია სახელი პროხორეს მოძღვრისა — არსენი, რომელიც მისი სულიერი მოძღვარი ყოფილა კლარჯეთში მოღვაწეობისას, ხოლო მისი მოძღვრის ვინაობას, იერუსალიმში მოღვაწეობის დროს სვინაქსარული ცხოვრება არ ასახელებს. ზემომოტანილი ხელნაწერის ანდერძი ამ ცნობასაც გვაწვდის. იგი თავისი სულიერი მოძღვრის — არსენის შემდეგ ასახელებს ჩვენთვის უცნობ პიროვნებას — იოვანე სინელს: „...სალოცავად სულისა ჩემისა და ღ^ათშემოსილისა წმიდისა მამისა და მოძღვრისა ჩემისა არსენის სულისათჳს, და ღმერთშემოსილისა მოძღვრისა ჩემისა იოვანე სინელისათჳს“¹¹⁴. ვინ არის ეს იოვანე სინელი, სულიერი მამა პროხორესი, ჩვენთვის სხვა წყაროებიდან უცნობია, მაგრამ მისი „სინელობა“ გვიჩვენებს, რომ ის ერთ დროს სინას მთის ქართველი მოღვაწე ყოფილა. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ერთი ისტორიული ფაქტი: საბას ლავრაში უძველესი დროიდან მკვიდრობდნენ ქართველი ბერები, მაგრამ IX—X საუკუნეებში არაბთა ძალმომრეობის გაძლიერებასთან დაკავშირებით ქართული ელემენტი აქედან სინას მთაზე გახიზნულა, სადაც შედარებით მყუდროება სუფევდა. არაბთა რეაქცია ქართული ეკრებისა და ქართველების მიმართ XI ს. დასაწყისიდან თანდათანობით შენელდა და ამით, როგორც ჩანს, საბას ლავრაში ისევ შეიქმნა შედარებით ნორმალური ცხოვრების პირობები. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ პროხორე იერუსალიმში მისვლისას დაემკვიდრა საბას ლავრაში, სადაც ამ დროს ქართველ ბერ-მონაზონთა გარკვეული რაოდენობის არსებობა საეკვო ფაქტი

¹¹³ ნ. მარო, იერუსალ. ხელნაწ. აღწერა, გვ. 86.

¹¹⁴ იქვე.

არ უნდა იყოს¹¹⁵. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იოვანე სინელი, ერთ დროს სინას მთის ქართული მონასტრის მკვიდრი და პალესტინაში პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით საბას ლავრაში დაბრუნებული, პროხორეს სულიერი მოძღვარი გახდა. მართლაც, საბას ლავრაში პროხორეს მოღვაწეობის შესახებ სვინაქსარულ ცხოვრებაში ნათქვამია: „ოდესმე ჰმსახურებნ მ ო ძ ლ უ ა რ ს ა ს უ ლ ი ე რ ს ა და ძმათა“. ეს მოძღვარი იოანე სინელი უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ, როდესაც პროხორემ ჭვარის მონასტერი ააშენა, იმ 80 „ძმათა“ შორის, რომელნიც შეადგენდენ ჭვარის მონასტრის თავდაპირველ კრებულს, სხვებთან ერთად იოვანე სინელიც იყო, რადგან ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს 80 „ძმა“ ძირითადად საბას ლავრის მკვიდრი ქართველები უნდა იყვნენ, რადგან ამ დროისათვის პალესტინაში სხვა მნიშვნელოვანი ქართული კერა. საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ასეთი რაოდენობით ქართველების შეკრება, არ არსებობდა; სხვაგვარად იოვანე სინელის „მოძღვრობის“ ფაქტი ძნელი ასახსნელია, რადგან პროხორეს სინას მთასთან კავშირი არავითარი წყაროებით არ არის ცნობილი.

პროხორეს ცხოვრების თარიღებიდან დადგენილია მხოლოდ მისი გარდაცვალების თარიღი, 1066 წ.¹¹⁶. ელ. პეტრეველი აღნიშნავს, რომ პროხორეს მოძღვრობა ჭვარის მონასტრის წინამძღვრის, გიორგის მოხსენიება 1061 წ. გვხვდება¹¹⁷. სვინაქსარული ცხოვრებიდან ვიცით, რომ პროხორემ, როდესაც მან არნონის უდაბნოში წასვლა გადაწყვიტა: „გამოარჩია მოწაფეთა მისთაგანი ძმაჲ ერთი სახელით გიორგი და დაადგინა იგი მამასახლისად...“¹¹⁸ გიორგი წინამძღვარი თუ უკვე 1061 წ. იხსენიება, მაშინ ფაქტია, რომ პროხორეს მიერ არნონის უდაბნოში „მცირედი ჟამი“, როგორც ეს სვინაქსარულ ცხოვრებაშია აღნიშნული, 5 წელზე ნაკლები არ ყოფილა (1061—1066 წ.).

გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ, როდესაც გიორგი პალესტინას ეწვია, „პროხორე ჭვარის მონასტერს აშენებდა“, ე. ი. 1056 წ., როდესაც გიორგი იერუსალიმში ჩავიდა, ჭვარის

¹¹⁵ ე. ვ. ვ. ე. ლ. ი. ძ. ე. ძელი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 103.

¹¹⁶ Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 37; ე. ვ. ვ. ე. ლ. ი. ძ. დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

¹¹⁷ ე. ლ. პ. ე. ტ. რ. ე. ვ. ე. ლ. ი. ძ. მასალები..., გვ. 36; Sin—59 (უფარელით)

¹¹⁸ Jer.—24—25, 152r.

მონასტერი დამთავრებული ჯერ არ იყო. ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ერთი საბუთი, სადაც ჯვარის მონასტრის მშენებლობის დამთავრება 1042 წლით არის აღნიშნული. ამასთან დაკავშირებით კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს თარიღი ეკუთვნის მონასტრის ძირითადი ტაძრის აშენების დამთავრებას, ხოლო მონასტერი მთლიანად 1056 წ. ჯერ არ იყო დამთავრებული¹¹⁹. სვინაქსარულ ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ პროხორემ: „აღაშენა და განასრულა და შეამკო ეკლესიაჲ ყოვლითა სამკაულითა“. ეს კი ყველაფერი 1061 წლამდე უნდა მომხდარიყო, რადგან ამ წელს პროხორე უკვე აღარ არის ჯვარის მონასტერში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯვარის მონასტრის მშენებლობის დასრულება ცოტა ადრეა სავარაუდებელი, დაახლ. 1057—58 წ., რადგან პროხორე ცოტა ხანს მაინც დარჩებოდა თავის აშენებულ მონასტერში, თუნდაც შინაური წეს-წყობის დასამყარებლად და მონასტრისათვის სულიერი საზრდოს — საღმრთო წიგნთა შემოქაყრებად და საერთოდ მონასტრის სამეურნეო და საზოგადო საქმიანობის დასაწარმოებლად¹²⁰.

ამგვარად, ჯვარის მონასტრის მშენებლობის დასრულება მთლიანად სავარაუდებელია 1057—58 წ. როდისღა დაიწყო ჯვარის მონასტრის მშენებლობა? როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, პროხორეს ამ მონასტრის მშენებლობა დაუწყია ექვთიმე მთაწმიდლის ბრძანებით. თუ ეს ასეა, მაშინ ეს 1028 წელზე გვიან არაა სავარაუდებელი, როდესაც ექვთიმე გარდაიცვალა. კ. კეკელიძის ვარაუდით, ეს საქმიანობა პროხორეს 1025 წ. დაუწყია. ამრიგად, ამ მონასტრის მშენებლობის გრძელი პერიოდი 1025—1058 წ. გრძელდებოდა. სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით, პროხორე, როგორც კი ჩამოვიდა იერუსალიმში, საბას ლავრაში შევიდა „და დაყვნა მას შინა წელნი მრავალნი“, სანამ ჯვარის მონასტრის მშენებლობას შეუდგებოდა. რამდენი წელია საგულისხმო ამ „მრავალ წელში?“ თუ არაონის უდაბნოში „მცირედი ჟამი“ არანაკლებ 5 წელს შეადგენს, საბას ლავრაში მოღვაწეობის „მრავალნი წელნი“ 10—15 წელი მაინც იქნება. აქედან გამომდინარე, პროხორეს იერუსალიმში მოსვლა დაახლოებით 1010—15 წლებით უნდა შემოიფარგლოს.

პროხორემ, როგორც ეს სვინაქსარულ ცხოვრებაშია აღნიშნული, კლარჯეთის მონასტერში გაატარა საეკლესიო მოღვაწეობის პირველი წლები და იქვე გაიარა დიაკვნის, მონაზვნისა და ხუცის საფეხურები. ხოლო ხუცად მისი კურთხევის შემდეგ გაემგზავრა

¹¹⁹ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

¹²⁰ იქვე.

იერუსალიმში. თუ ჩვენ ხუცობისათვის საკმარის ასაკად 25 წელს მივიღებთ, მაშინ მისი დაბადების თარიღი მიახლოებით 985—990 წწ. უნდა განისაზღვროს. თუ ამ თარიღს დაახლოებით მაინც შეუძლია აღნიშნოს რეალური ფაქტი, მაშინ, მართლაც, პროხორე ღრმა მოხუცებულობაში გარდაცვლილა, როგორც სვინაქსარული ცხოვრება გვამცნობს: ჯერ კიდევ არნონის უდაბნოში წასვლამდე „მოუძღურდა გუამი მისი ფრიალისა შრომისა და ხიზერისაგან“, რის შემდეგაც მან არა ნაკლები 5 წლისა იცოცხლა კიდევ. ჩვენი გამოანგარიშებით იგი დაახლოებით 76—81 წლის ასაკში უნდა გარდაცვლილიყო.

პროხორეს სვინაქსარულ ცხოვრებასთან დაკავშირებით შეგვიძლია ჩვენი ვარაუდი ასე ჩამოვყალიბოთ:

1. პროხორეს ცხოვრება მხოლოდ სვინაქსარული ცხოვრების სახით შეიქმნა. მას წინ არ უსწრებდა პროხორეს ვრცელი ცხოვრების რედაქცია.

2. პროხორეს სვინაქსარული ცხოვრება შექმნილია მისი გარდაცვალებიდან უმოკლეს დროში, დაახლ. 1066—70 წწ.

3. Jer.—24—25 „დიდი სვინაქსარი“ სპეციალურადაა გადაწერილი მასში პროხორეს სვინაქსარული ცხოვრებისა და აღაპის შესატანად (ეს ხელნაწერი ამის საფუძველზე უნდა გამხდარიყო საერთოდ საალაპე წიგნად).

4. პროხორეს სვინაქსარული ცხოვრება შექმნილი უნდა იყოს ჯვარის მონასტრის თვითმხილველი ქართველი მოღვაწის მიერ ამავე მონასტრის კედლებში.

5. სვინაქსარულ ცხოვრებაში ნახსენები მოძღვარი („და ოდესმე ჰმსახურებნ მოძღუარსა სულიერსა“), რომელიც პროხორეს საბას ლავრაში მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული, არის იოვანე სინელი, რომელსაც იერუსალიმის ხელნაწერის ერთ-ერთი ფრაგმენტის ანდერძი იხსენიებს და რომელიც საბას ლავრის მოღვაწე ჩანს.

6. პროხორეს ჯვარის მონასტერში შემოკრებილი 80 ბერი ძირითადად საბას ლავრის ყოფილი ქართველი მოღვაწეები უნდა ყოფილიყვნენ.

7. სხვადასხვა წყაროების ცნობათა საფუძველზე, მიახლოებით გამოანგარიშებით, პროხორე უნდა დაბადებულიყო 985—990 წ., 1010—15 წ. წავიდა იერუსალიმში, 1025 წლამდე მოღვაწეობდა საბას ლავრაში, 1025—58 წ. გრძელდებოდა ჯვარის მონასტრის მშენებლობა, 1061 წ. წავიდა არნონის უდაბნოში, ხოლო 1066 წ. გარდაიცვალა დაახ. 76—81 წ. ასაკში.

ლუკა იერუსალიმელი

ლუკა იერუსალიმელის ავინაქსარული ცხოვრების ტექსტი ცნობილი გახდა 1902 წ. ნ. მარის მიერ იერუსალიმის № 24—25 (ძვ. ნომრით 104) ხელნაწერიდან გადმოღებული პირის საშუალებით, რომლის მიხედვითაც იგი 1927 წ. გამოსცა დ. ყიფშიძემ. ეს ლუკას სვინაქსარული ცხოვრების ერთადერთი ნუსხაა. როგორც ჩანს, „დიდი სვნაქსარის“ დასახელებული ნუსხა XIV საუკუნის დასაწყისიდან აღარ გადაწერილა, რადგან ეს ხელნაწერი სააღაპე წიგნად იყო გამოყენებული, ხოლო გადასაწერად, ალბათ, იყენებდნენ ამ დროისათვის უკვე არსებული სვინაქსარის სხვა ნუსხებს, ამიტომ ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარული ცხოვრების ნუსხა ველარ გავრცელებულა.

ყოველივე, რაც კი ჩვენთვის ცნობილი იყო ლუკას შესახებ ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვიდან“, ემყარებოდა სვინაქსარის აღნიშნულ ხელნაწერს. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობები ლუკას შესახებ ემყარება ტიმოთეს ცნობებს და, რაც თეიმურაზთან ზედმეტია, როგორც აღნიშნავს ელ. მეტრეველი, ავტორის ფანტაზიის შედეგი უნდა იყოს¹²¹ (ცნობა ლუკას მთარგმნელობითი მოღვაწეობისა და მის მიერ ბერძნული ენის ცოდნის შესახებ) და არ შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, როგორც ამას დ. ყიფშიძე აღნიშნავს, თითქოს არსებობდეს ტიმოთეს „მიმოსლვის“ ისეთი რედაქცია, საიდანაც თეიმურაზს შეეძლო აეღო ეს ცნობები¹²². ელ. მეტრეველმა დაადგინა, რომ დღემდე ცნობილი ტიმოთეს „მიმოსლვის“ სამი რედაქციიდან ლუკას შესახებ არც ერთი არ იძლევა ერთმანეთისაგან განსხვავებულ რაიმე ახალ ცნობას.

1955 წ. ამერიკიდან მიღებული იერუსალიმის № 24—25 „სვნაქსარის“ მიკროფილმის მიხედვით შესაძლებელი ხდება დ. ყიფშიძისა და მასზე დამყარებული ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემული ლუკას სვინაქსარული ცხოვრების ტექსტების შემოწმება და შესწორება. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ის შეცდომა, რაც დაშვებულია დ. ყიფშიძის გამოცემაში, თითქმის გამონაკლისის გარეშე არის განმეორებული ს. ყუბანეიშვილის მიერ. ჩვენ შევეცდებით ტექსტის სწორი წაკითხვის გვერდით ვაჩვენოთ ამ გამოცემათა შესაბამისი ადგილები:

¹²¹ ელ. მეტრეველი, მასალები, გვ. 32.

¹²² Л. К и ш и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.



Jer.-24—25 ყიფშიძის გამოცემა


ყუბანეიშვილის გამოცემა

კუხაისძე	252r ¹²³	მუხაძე	60,3	მუხაძე	253,I
ენაძე	"	ვინაიძე	60,12	ვინაძე	253,II
გრძნეულობისა	"	გრძნეულებისა	61,20	გრძნეულებისა	253,III
ლუკა (ლ'კა)	"	ლუკაჲ	61,25	ლუკაჲ	"
მეჭადის	252 v	გეჭადის	61,27	გეჭადის	"
სივლტოლასა		სი[ვ]ლტოლასა	61,28	სი[ვ]ლტოლასა	"
არ არის		[მიიყვანა] (სქოლიოში)		[მიიყვანა]	254,III
ერთითა მითა				ერთითა	
ხუევიტა	252v	ასევეა	61,40	ერთითა მიმთხუევიტა	
ხოლო მან		ხოლო ბო-			
ბოროტმან		როტმან	61,43	ხოლო ბოროტმან	
ნაცარსა ნამ-					
წუარსა მისსა		ნაცარსა მისსა	61,45	ნაცარსა მისსა	
ლუკა(ლ'კა)		ლუკაჲ	61,47	ლუკაჲ	
ღმრთის-მშო-		ღმრთისა მშო-		ღმრთისა მშო-	
ბელისაჲთა		ბელისაჲთა	62,3	ბელისაჲთა	

ს. ყუბანეიშვილს გასწორებული აქვს, როგორც ვნახეთ, ტექსტის ერთი ადგილის წაკითხვა. ტექსტის „ერთითა მითა ხუევიტა“ დ. ყიფშიძემ ხელუხლებლად დატოვა თავის გამოცემაში იმ მოტივით, რომ „ხუევეა“ დასავლური დიალექტების ნორმად მიიჩნია, რაც დარტყმის მნიშვნელობით იხმარება. ს. ყუბანეიშვილმა გაასწორა ყიფშიძის გამოცემის ეს ერთადერთი ადგილი, ალბათ, იმ მოტივით, რომ ტექსტის ამოკითხვა საეკვოდ მიიჩნია. მის მიერ შესწორებული ფორმა ასეთია: „ერთითა მიმთხუევიტა“. უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტში ნათლად იკითხება ყიფშიძის გამოცემაში მოცემული ფორმა. ამდენად ზედმეტი ხომ არ არის მისი შესწორება?

¹²³ მითითებულია აღნიშნული ხელნაწერისა და გამოცემათა გვერდები; მეორე ციფრით აღნიშნულია: დ. ყიფშიძის გამოცემაში — სტრიქონები, ს. ყუბანეიშვილის გამოცემაში — მუხლები.

[[კავებში ჩასმული სიტყვები და ასოები აღდგენილია გამომცემელთა მიერ.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლუკას სვინაქსარული ცხოვრება მოთავსებულია იერუსალიმის № 24—25 ხელნაწერში, რომელიც წარმოადგენს გიორგი მთაწმიდლის რედაქციის „დიდ სვინაქსარს“. მაგრამ ეს ხელნაწერი უცილობელი პალეოგრაფიული ნიშნებით XI ს. II ნახევრის ხელნაწერადაა მიჩნეული, ზოლო ლუკა იერუსალიმელი კი XIII საუკუნის იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ქართველი მოღვაწეა. როგორ შევათანხმოთ ეს ორი საპირისპირო მონაცემი? საქმე ისაა, რომ ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარული ცხოვრება, ნიკოლოზ დვალის ასეთივე ტიპის ცხოვრებასთან ერთად, ჩამატებულია ამ ხელნაწერში გაცილებით გვიან, რაც ხელნაწერის უბრალო გადათვალისწინებითაც კი აშკარად ჩანს.

ამის შესახებ შენიშვნა თავის გადმოწერილ ტექსტებზე ჰქონდა ნ. მარს, რაც დ. ყიფშიძემ თავის შრომაშიც აღნიშნა. დ. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ: „Судя по вульгарнои орфографии, список наш очень поздний, не раньше XIII в.“ (გვ. 44), რა თქმა უნდა, XIII ს. ადრინდელი ლუკას სვინაქსარული ცხოვრება ვერაფრით ვერ იქნება, რადგან ლუკა აწამეს 1273 წ., ხოლო მისი სვინაქსარული ცხოვრება ამაზე ადრე ვერ დაიწერებოდა. რა წყაროებით შეიძლება ლუკას წამების თარიღის სისწორის დადგენა? ამ საკითხს პირველად შეეხო დ. ყიფშიძე და სვინაქსარულ ცხოვრებაში მოხსენებულ პირთა საშუალებით, არაბ ისტორიკოსთა შრომებში დაცულ ცნობებთან შეჯერებით დაადგინა, რომ ლუკას წამება მოხდა მამელუკთა სულთნის ბუნდუქდარის მეფობაში (1260—77), რომელსაც ჩვენი ძველი ფუნდუხტის ან ფუნდრუხტანის სახელით მოიხსენებს (განსხვავება გამოწვეულია არაბული სახელწოდების ქართული ტრანსკრიფციით და დამახინჯებით. ასევე შეხ-კიდარ — შეიხ-კიდარი). არაბულ წყაროებში დადასტურებულია, რომ ჩვენი ძველი ფუნდუხტის ან ფუნდრუხტანის სახელით მოიხსენებს (განსხვავება გამოწვეულია არაბული სახელწოდების ქართული ტრანსკრიფციით და დამახინჯებით. ასევე შეხ-კიდარ — შეიხ-კიდარი). არაბულ წყაროებში დადასტურებულია, რომ ჩვენი ძველი ფუნდუხტის ან ფუნდრუხტანის სახელით მოიხსენებს (განსხვავება გამოწვეულია არაბული სახელწოდების ქართული ტრანსკრიფციით და დამახინჯებით. ასევე შეხ-კიდარ — შეიხ-კიდარი) ანუ შეიხ-კიდარი, მართლაც, თანამედროვე იყო სულთან ბუნდუქდარ ბიბარსთა. არაბი ისტორიკოსი იბნ-კებირი (გარდ. 1373 წ.) აღნიშნავს, რომ ეგვიპტის სულთან ზახირის (ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ბუნდუქდარის მრავალსახელიანი ტიტულისა) მეფობაში შეიხ-კიდარმა ქართველებს წაართვა ჯვარის მონასტერი, მაგრამ დაბრუნებულ იქნა ულემის გადაწყვეტილებით¹²⁴.

¹²⁴ В. Тизенгаузен. Заметка Элкалькашанди о грузинах, ЗВО, I, 212; Д. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

ამრიგად, დ. ყიფშიძემ ლუკას წამების თარიღი განსაზღვრა მამელუკთა სულთანის მეფობის წლებით (1260—1277 წწ.). მაგრამ ამ თარიღის დაზუსტება შეიძლება სვინაქსარული ცხოვრებით. ჩანს, რომ ლუკას წამება მომხდარა ქართველებისათვის ჭვარის მონასტრის წართმევის პირველსავე წელს. როდისღა მოხდა ჭვარის მონასტრიდან ქართველი ბერების გამოყრა და მისი მიზგითად გადაქცევა შეიხ-ქიდრის მიერ? ეს საკითხი შესწავლილი აქვს ელ. მეტრეველს ჭვარის მონასტრის აღაპებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი აღაპის (№ 206) საფუძველზე, რომელიც ჭვარის მონასტრის წართმევის 26-ე წელსაა დაწერილი (1299 წ.), ელ. მეტრეველმა დაადგინა, რომ ჭვარის მონასტრიდან ქართველთა გამოძევება მომხდარა 1273 წ., ე. ი. ლუკას წამების თარიღიც იგივე იქნება¹²⁵.

ლუკას სვინაქსარული ცხოვრება დაწერილია იმავე ხელით, რომლითაც ნიკოლოზ დვალის სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც 1314 წ. იწამა. აქედან გამომდინარე, ეს ცხოვრებანი 1314 წელზე ადრე სვინაქსარში ვერ შევიდოდა. ამასთანავე, ამ სვინაქსარში ლუკას გარდაცვალების დღეს აშიაზე მიწერილი აქვს ლუკას აღაპი. როგორც ჭვარის მონასტრის წინამძღვრისა. ჭვარის მონასტრის აღაპებზე მუშაობისას ელ. მეტრეველმა გამოთქვა აზრი, რომ ლუკას აღაპი სვინაქსარში ჩაწერილია ლუკას სვინაქსარულ ცხოვრებაზე ადრე. სხვა აღაპებთან ხელის მსგავსებით ირკვევა, რომ ის სვინაქსარში შეტანილია ჭვარის მონასტრის მამელუკთაგან განთავისუფლების პირველსავე წელს, ე. ი. 1305 წ.¹²⁶ ლუკას აღაპის სვინაქსარში შეტანის მომენტში სვინაქსარული ცხოვრება ჯერ კიდევ არ ჩანს შექმნილი. მისი ნიკოლოზ დვალის სვინაქსარულ ცხოვრებასთან ერთად სვინაქსარში შეტანა გვაუარაუდებინებს, რომ ამ ორი ძეგლის შექმნა დროის ერთ მონაკვეთში უნდა მომხდარიყო. ლუკასა და ნიკოლოზ დვალის წამებები, დაწერილი გვიანდელი ხელით, შემდეგ არის ჩაკონძული ხელნაწერში. თავდაპირველად ორივე ტექსტი დაწერილი ყოფილა ეტრატის ორ გადაბმულ ფურცელზე; 1r—v ეკავა ლუკას წამებას, 1v-ზევე იწყებოდა თავდაპირველად ნიკოლოზ დვალის წამებაც. გადაშწერს თუ დამწერს, როგორც ჩანს, თავიდანვე არ გაუთვალისწინებია, რომ ლუკასა და ნიკოლოზის წამებათა სვინაქსარული ტექსტები მათი წამების დღეებზე უნდა შესულიყო სვინაქსარში და, მაშასადამე, ისინი ერთად ვერ მო-

¹²⁵ ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 41—42.

¹²⁶ იქვე, გვ. 32—33.

თავსდებოდნენ. საკირო გახდა მათი განცალკევება. ამიტომ ნიკოლოზის წამების დასაწყისი გადაწყურს ამოუფხეკია 1V-დან და დასაწყისის ეს რამდენიმე სტრიქონი გადაუტანია 2r-ზე, სადაც გრძელდებოდა ნიკოლოზის წამების ტექსტი. ეს გადატანილი სტრიქონები დაწერილია წერილი ხელით, შემქმნდრობულად 2r-ს ზემო კიდზე. ამ გზით შესაძლებელი გახდა წამებათა ტექსტების განცალკევება და მათი ჩართვა თავთავის ადგილზე.

ხელის მიხედვით ეს ორი ფურცელი XIV ს. შუა წლებზე გვიანდელი არ უნდა იყოს. ელ. მეტრეველი აღნიშნავს: „ვინაიდან ორივე წამება ერთი ხელითაა ერთდროულად დაწერილი, ხოლო სხვა არც ადრეული და არც გვიანდელი ნუსხები ამ ტექსტებისა არ ჩანს, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ორი ფურცელი უშუალოდ ავტორის ხელიდანაა გამოსული. მით უმეტეს, რომ ნიკოლოზის წამების თარიღი (1314 წ.) დიდად არ არის დაშორებული ნიკოლოზის წამების დაწერის თარიღს“¹²⁷.

ამრიგად, ელ. მეტრეველს ორივე ძეგლი XIV ს. ნახევარში ერთი პირის მიერ შექმნილ თხზულებებად მიაჩნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, მართალია, სვინაქსარში შეტანილი ტექსტები შეიძლება XIV ს. ნახევარზე ადრინდელი არ იყოს, მაგრამ ეკვი გვეპარება მათი ავტორის ხელიდან გამოსვლის შესაძლებლობაზე, რის შესახებაც ნიკოლოზ დვალის სვინაქსარულ ცხოვრებასთან დაკავშირებით იღვნიშნავთ. აქ კი შევნიშნავთ, რომ, შესაძლებელია, სწორედ ნიკოლოზ დვალის მოწამებრივმა აღსასრულმა და მისი სვინაქსარული ცხოვრების „სვინაქსარში“ შეტანის განზრახვამ გამოიწვია ლუკას სვინაქსარული ცხოვრების შექმნის საკიროებაც. თუკი ჩვენ ამ შემთხვევაში შორს არ ვართ ქვეშაობრებინაგან, მაშინ მათი სვინაქსარული ცხოვრების შექმნის დრო შეიძლება XIV ს. I მეოთხედის საზღვრებში დავდოთ.

დ. ყიფშიძემ გამოთქვა აზრი, რომ ლუკას სვინაქსარული ცხოვრების ავტორი ლუკას წამების თანამედროვე და თვითმხილველი ბერია, რასაც, მისი აზრით, ადასტურებს გამოთქმები: „იერუსალიმად მოვიდა“, „რაქამს მოვიდა ამა წმიდათა ადგილთა“, „მოვიდა შეხ-კიდრისსა“, მაგრამ იგი სვინაქსარულ ცხოვრებაში აღწერილი ამბების მონაწილე არ არის, რადგან მის თხრობაში გამოირიცხულია მთხრობელი: „მიუდგა“, „აბა შეარჩინა“, „გამოასხნა“ და სხვა. ამიტომ, ასკვნის დ. ყიფშიძე, საფიქრებელია, რომ ამ თხზულების ავ-

¹²⁷ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32—33.

ტორი არ არის ჯვარის მონასტრის ბერი (გვ. 44). რომ იგი ჯვარის მონასტრის მოღვაწე შეიძლება იყოს, დასაშვებად მიაჩნია ელ. მეტრეველს. ფაქტი, რომ ავტორი თხრობის დროს თავს გამოირიცხავს; მან ახსნა იმ გარემოებით, „რომ ის ბევრად უფრო გვიან მოღვაწეობდა და მომხდარი ამბების თვითმხილველი ვერ იქნებოდა“ (მასალები, გვ. 32), რაც უფრო სარწმუნო ჩანს.

ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარულ თხზულებას დიდი მნიშვნელობა აქვს პალესტინის ქართული კოლონიის მრავალი ბუნდოვანი საკითხის გარკვევისათვის. ყიფშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს თხზულება გვიშლის ჯვარის მონასტრის ისტორიის ერთ ტრაგიკულ ფურცელს: ჯვარის მონასტრის მამულუკების მიერ მიტაცებას და მის მიზგითად გადაქცევის ისტორიის დასაწყისს. ამ ფაქტების სისწორეს ადასტურებს მაშინდელი არაბული წყაროებიც. ჯვარის მონასტრის შესახებ არსებული ისტორიული ცნობების გარდა, თხზულებაში დატულია ამ პერიოდში პალესტინაში, კერძოდ, იერუსალიმში, ქალთა ქართული მონასტრის არსებობის ცნობა: ლუკას სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით ლუკას დედა იერუსალიმის დედათა მონასტერში აღკვეცილა. ამასვე ადასტურებს მეორე წყაროც: სალომე ქართველის სვინაქსარული მოსახსენებელი დატულია ამავე სვინაქსარის აშიაზე. ელ. მეტრეველი ფიქრობს, რომ სალომე XIII ს. II ნახევრის მოღვაწეა, რომელიც, რა თქმა უნდა, მოღვაწეობდა იერუსალიმის რომელიღაც ქალთა ქართულ მონასტერში, და ისიც, როგორც ლუკა, მამულუკთა ძალმომრეობის მსხვერპლი შეიძლება გამხდარიყო¹²⁸. ამ წყაროებზე დაყრდნობით უქვეელი ხდება XIII ს.-ში იერუსალიმში ქალთა ქართული მონასტრის არსებობის ფაქტი.

ყიფშიძეს, ისევე როგორც პროზორეს სვინაქსარულ ცხოვრებასთან დაკავშირებით, ლუკას სვინაქსარული ცხოვრების მიმართ გამოთქმული აქვს აზრი, რომ უნდა არსებულებოდა ლუკა იერუსალიმელის ცხოვრების ვრცელი რედაქცია, ხოლო სვინაქსარული ცხოვრება კი მის შემოკლებას წარმოადგენს: «чувствующие в некоторых местах пропуски подсказывают, не бы.то.ли пространной редакции мученичества, сокращение которого мы имеем в наличной синаксарной его редакции».

ამასვე იმეორებს კ. კეკელიძე, თუშცა დაჰამტიკებულ არგუმენ-

¹²⁸ ელ. მეტრეველი, მასალები... გვ. 163.

¹²⁹ Д. Кишндзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 46, სქოლიო.

ტად მხოლოდ „ნაწარმოების ხასიათს“ ასახელებს¹³⁰. ჩვენ გვგონია, რომ შეიქმნა ლუკას მხოლოდ სვინაქსარული ცხოვრება და რომ მას არ უსწრებდა წინ ვრცელი ცხოვრების შექმნა. სვინაქსარული ცხოვრების ჩამოყალიბებული ძებობა, მისი კომპოზიციური მთლიანობა და ფაქტების დასრულებულად გადმოცემის ხასიათი სრულებითაც არ გვაძლევს საშუალებას მივიჩნიოთ იგი ვრცელიდან ადგილების გამოკრებით შედგენილ თხზულებად.

ის, რაც ზემოთ ითქვა ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარული ცხოვრების შესახებ და რაც საერთოდ ცნობილია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენს დასკვნებში ასე შეჯამდება:

1. ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი Jer.—24—25 ხელნაწერში XIV ს. I ნახევარში უნდა იყოს შეტანილი.

2. ეს სვინაქსარული ცხოვრება შექმნილი უნდა იყოს 1314 წ. ჯერძედ XIV ს. I ბოთხედში.

3. სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი ავტორის ხელიდან გაზოსული ნუსხა არ უნდა იყოს, ის ჩვენ გადამწერის მიერ დედნიდან გადმოღებული პირი გვგონია.

4. ლუკას წამება მომხდარა 1273 წ., როდესაც ქართველებისათვის ჯვარის მონასტერი წაურთმევიათ. ხოლო 1270—73 წ. ის ჯვარის მონასტრის წინამძღვარია, რადგან იგი უწამებიან წინამძღვრობის მიღებიდან სამი წლის შემდეგ.

5. ლუკას წამებიდან საკმაო დროის შემდეგ, 1305 წ. ახლო ხანებში, სვინაქსარში პირველად შეუტანიათ მისი ალაპი, ხოლო სვინაქსარული ცხოვრება კი — შედარებით გვიან.

6. ლუკას სვინაქსარული ცხოვრება შექმნილი უნდა იყოს ჯვარის მონასტერში უცნობი ქართველი მოღვაწის მიერ ლუკას წამებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ.

7. სვინაქსარულ ცხოვრებას არ უნდა ჰქონოდა წყარო ვრცელი ცხოვრების სახით, ამიტომ ეს თხზულება ისეთი სვინაქსარული ცხოვრებების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა შექმნა ვრცელი ცხოვრებიდან ადგილების გამოკრების გზით არ მომხდარა; იგი დამოუკიდებელი ფორმისა და შინაარსის ნაწარმოებია ისევე, როგორც ექვთიმე მთაწმიდლის, პროხოზე ქართველის. ნიკოლოზ დვალისა და სხვათა სვინაქსარული ცხოვრებები.

8. ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარული ცხოვრება გამოირჩე-

¹³⁰ ვ. კ ე ე ლ ი ძ ე, ქართ. ლიტერ. ისტორია, I, 1960, გვ. 541.

ვა რეალური ფაქტების სიმდიდრით. სასწაულმოქმედების ამბები მასში მხოლოდ ჩანასახის სახით მოიპოვება.

9. იერუსალიმში, ან მის ახლომახლო XIII ს. არსებულია ქალთა ქართული მონასტერი.

ნიკოლოზ დვალის

ნიკოლოზ დვალის ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია, ისე როგორც ლუკასი, ერთადერთი ნუსხითაა ცნობილი. იგი იერუსალიმის იმავე № 24—25 ხელნაწერშია მოთავსებული. ნიკოლოზ დვალის სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი ამ ხელნაწერის მიკროფილმის ამერიკიდან მიღებამდე (1955 წ.) ცნობილი იყო მხოლოდ დ. ყიფშიძის გამოცემით¹³¹, რომელიც თავის მხრივ ემყარებოდა მარის მიერ 1902 წ. ექსპედიციის დროს ამ ხელნაწერიდან გადმოღებულ პირსა და კომენტარს. ნიკოლოზ დვალის სვინაქსარული ცხოვრება, ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარულ ცხოვრებასთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ხელნაწერში შეტანილია არა უადრეს XIV ს. I მეოთხედისა.

როგორც ვთქვით, იგი გამოცემულია დ. ყიფშიძის მიერ 1927 წ. ამ გამოცემიდან კი გადაბეჭდილია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ „ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათიაში“¹³².

აღვნიშნოთ ამ გამოცემათა შეუსაბამობანი სვინაქსარული ცხოვრების ტექსტთან:

Jer-24—25	ყიფშიძის გამოც.	ყუბანეიშვილის გამოც.
მანდა (მანდა)....	მუნდა 64,10.64,14	მუნდა 254,III
იყოფებოდა	იმყოფებოდა 64,14	იმყოფებოდა "
მთაწმიდასა	მთაწმიდისა 64,16	მთაწმიდისა 255,III
მანდა (მანდა)	მუნდა 64,16	მუნდა
იმყოფებოდა	იყოფებოდა 64,16	იყოფებოდა
წინამორბედისასა	წინამორბე-	წინამორბე-
(წინამორბედისა)	დისსა 64,17	დისსა
და ლოცუასა შინა	და]— 64,16	და]—
რამე საქმე გიც	საქმე]— 64,18	საქმე]—
მანდა (მანდა)	მუნდა 64,19	მუნდა

¹³¹ Л. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—65.

¹³² ძველ ქართულ ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 254—255.

ქრისტე (ქე)	ქრისტ	64,30	ქრისტ	254,V
ქრისტესთჳს	ქრისტსთჳს	64,28	ქრისტსთჳს	254,IV
იგუემა	და იგუემა	64,31	და იგუემა	254,V
უფროასნი საგმობნი სიტყუანი უთხრნა მა- გინებელნი სჯულისა მათისანი	გამოტოვებულია		გამოტოვებულია	
წარმოგზავნა	წარგზავნა	65,37	წარგზავნა	255,V
ქრისტეს[ს]ღმრთეებაჲ	ქრისტე ღმრთეებაჲ	65,43	ქრისტეს[ს] ღმრთეებაჲ	
ნათლითა სავსე	ნათლითა სავსე			
სულნელებითა	და სულნელებითა	65,54	ასევეა	255,VI
უმალეს (უმ ^რ ლეს)	უმალს	65,59	უმალს	
უბრწყინვალეს (უბრწყინვ ^რ ლეს)	უბრწყინვალს	65,59	უბრწყინვალს	
ესრეთ	ესრთ	65,61	ესრთ	
რამეთუ (რ ^რ)	რამთუ	65,61	რამეთუ	

როგორც ცნობილია, დ. ყიფშიძე ნ. მარის მიერ გადმოწერილ ტექსტით ხელმძღვანელობდა. ამდენად, ჩვენთვის გაურკვეველია, ეს დეფექტები ახლავს ნ. მარის პირს, თუ დაშვებულია დ. ყიფშიძის მიერ. როგორც არ უნდა იყოს, დ. ყიფშიძისა და მასზე დამყარებული ს. ყუბანეიშვილის გამოცემა საკმარისად შეიცავენ ტექსტის სწორი წაკითხვიდან სავსებით გაუმართლებელ გადახვევებს.

თავის გამოცემაში დ. ყიფშიძეს „მ^რნდა“ სიტყვის ქარაგმა „მუნდა“-დ გაუხსნია, რაც, როგორც ვნახეთ, განმეორებული აქვს ს. ყუბანეიშვილსაც. დ. ყიფშიძის აზრით, ქარაგმის ასე გახსნა მართებულია, რადგან „მუნდა“ „მუნ“-ის მიმართულებითი ბრუნვაა¹³³. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „მ^რნდა“ უნდა გაიხსნას „მანდა“ საბით, რაც ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივი ფორმა ჩანს, ვიდრე „მუნდა“. ტექსტის მიხედვით „მ^რნდა“ ადგილის გარემოებაა, მაგრამ არავითარი მიმართულებითი ბრუნვის გაგება არა აქვს: „მ^რნდა იყოფებოდა“, „მ^რნდა არს ბერი ქართველი“, „მ^რნდა აღიარა ღმრთეებაჲ“ და სხვ. ეს სიტყვა „მანდა“ ფორმით, ზუსტად ასეთა-

ვე მნიშვნელობით დადასტურებულია ისეთ უძველეს თხზულებაში, როგორცაა „შუშანიის წამება“: „მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: „იაკობ მან და არსა?“¹³⁴.

პირველი ცნობები ნიკოლოზ დვალის შესახებ მოცემული აქვს „მიმოსლვაში“ ტიმოთე გაბაშვილს, რომელსაც, როგორც ირკვევა, იგი ნიკოლოზის სვინაქსარული ცხოვრებიდან აუღია. ტიმოთესაგან ეს ცნობები თეიმურაზ ბატონიშვილს „საქართველოს ისტორიაში“ შეუტანია უფრო გავრცობილი სახით. აქედანვე აქვთ აღებული ცნობები ბროსესა და მურავიოვსაც¹³⁵.

ნიკოლოზის სვინაქსარული ცხოვრება შეიცავს საგულისხმო ცნობებს არა მარტო ნიკოლოზის პიროვნების შესახებ, არამედ მამულუკთა სირია-პალესტინაში ბატონობის პერიოდის შესახებაც, რაც ქრისტიანობის დევნით აღინიშნა. მიუხედავად ქრისტიანეთა და მათ რიცხვში ქართველი ბერების შევიწროებისა, აღმოსავლური და დასავლური წყაროების მიხედვით ქართველები სხვა ქრისტიანული ერების წარმომადგენლებთან შედარებით გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ¹³⁶, რაც, სხვათა შორის, იგრძნობა ნიკოლოზ დვალის სვინაქსარული ცხოვრების მიხედვითაც (ნიკოლოზის მიერ მაჰმადის სჯულის „შეგინების“ რამდენიმე შემთხვევის შემდეგ მისი სამჯერ გამოხსნა „ძმათა“ და „მიტროპოლიტის“ მიერ). თხზულება მნიშვნელოვანია იმ ცნობებითაც, რომ ამ დროს შიმიდინარეობს მთის ერთ-ერთი ტომის — დვალეების ქრისტიანიზაცია და ქართველიზაცია¹³⁷. თვით ნიკოლოზი, რომელიც იყო „ნათესაჲდ დვალი“, „შვილი მორწმუნეთა მშობელთაჲ და მოსავთა წმიდისა ნათლისმცემელისათა“, და თორმეტი წლის ასაკიდან „მონაზონ იქმნა და იყო უდაბნოთა კლარჯეთისათა“, ამ პროცესის კარგი მაგალითია.

სვინაქსარულ ცხოვრებაში აღნიშნული ნიკოლოზის მშობლიური სოფლის „წაჲ“-ს ადგილმდებარეობა გარკვეული არ არის. დ. ყიფშიძე ყოველგვარი ეჭვის გარეშე აღნიშნავს, რომ „წაჲ“ იგივე დღევანდელი წაჲ (თერგის ოლქში, დღევანდელი ჩრ. ოსეთის

¹³⁴ „მარტვლობაჲ შუშანიისი“, ილ. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ი. ს. გამოცემა, 1938, გვ. 24, 30.

¹³⁵ ე. ლ. მ. ე. ტ. რ. ე. ე. ლ. ი. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა..., გვ. 0214.

¹³⁶ Д. Книшндзе, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

¹³⁷ აკად. ვ. კ. ე. ე. ლ. ი. ძ. ე. ს. დვალეები ოსების ერთ-ერთ ტომად მიანიხნია (ქართული ლიტერ., ისტორ., 1, გვ. 516). ე. გ. ა. მ. რ. ე. ლ. ი. კ. მათ ვინაზურ ტომად თელის (Двады и Двалетия в I—XV вв. н. э. 1961, Тбилиси, стр. 145).

ტერიტორიაზე, საქართვ. ჩრდილოეთ საზღვრებთან) არისო¹³⁸, ხოლო კ. კეკელიძე საეკვოდ მიიჩნევს ნიკოლოზის ამ სოფლიდან წარმომავლობას და აღნიშნავს, რომ, რადგან იგი იყო დვალი, ე. ი. დვალეთიდან, ამიტომ ეს სოფელი უფრო ჯავის მიდამოებში უნდა იყოსო. იგი გამოთქვამს ვარაუდს: ხომ არ შენახულა „წაჲ“ დღევანდელი სოფლის „წიარ“ სახელწოდებაშიო¹³⁹.

ამ თხზულებაში აგრეთვე დატულია ცნობა კუნძულ კიპროსზე ქართული მონასტრის არსებობის შესახებ, სადაც ნიკოლოზი გაუგზავნიათ. ამ კუნძულზე ქართული მონასტრის არსებობის ფაქტი დადასტურებულია არა მარტო წერილობით (მარიაშ დედოფლის „ქართ. ცხოვრება“, გვ. 495, ქრონიკები, I, გვ. 128, 130—131; განუახლებია თამარ დედოფალს), არამედ ნივთიერი საბუთებითაც — იმ ეკლესიის ნაშთების მიხედვით, რაც დღესაც შემორჩენილია.

საერთოდ ნიკოლოზ დვალის სვინაქსარულ ცხოვრებაში აღნიშნული ფაქტები სარწმუნოა. დ. ყიფშიძეს შემოწმებული აქვს ძეგლში დატული ისტორიული ხასიათის ცნობები არაბული წყაროების საშუალებით და ასევე, რომ ეს ცნობები სწორია. მაგალითად. სვინაქსარულ ცხოვრებაში ნახსენები დანგიზ თუ დენგის ნამდვილად იგივე პიროვნებაა, რაც სეიფ-ად-დინ თენგიზ მამელუკთა სულთანის ნაცვალი, ემირთა-ემირი სირია-პალესტინაში, რომლის მოღვაწეობას, არაბული წყაროების მიხედვით, 1322—43 წ-ში ჰქონია ადგილი. ჩვენი წყაროს მიხედვით კი მის სირია-პალესტინაში მოღვაწეობას კიდევ ერთი ათეული წელი ემატება (1314—1343 წწ.), რაც უინტერესო არ უნდა იყოს აღმოსავლეთის ისტორიკოსთათვის¹⁴⁰.

ეკვავარეშეა, რომ ნიკოლოზ დვალის სვინაქსარული ცხოვრება 1314 წელზე ადრე არ შეიძლება დაწერილიყო, რადგან ის ამ წელს უწამებიათ: „იწამა ნეტარი ნიკოლოზ თუესა ოკდონბერსა ით დღესა სამშაბათსა, ქორონიკონა ბ“¹⁴¹ (1312+2=1314 წ.). ელ. მეტრეველის აზრით, ეს სვინაქსარული ცხოვრება, ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარული ცხოვრების მსგავსად, XIV ს. ნახევარში უნდა იყოს შექმნილი. „დიდი სვნაქსრის“ ნუსხაში ორივე ძეგლი ერთადაა შეტანილი, რაც ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარულ ცხოვრებასთან დაკავშირებით უკვე ვთქვით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სვი-

¹³⁸ Д. К и ш и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

¹³⁹ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 516.

¹⁴⁰ Д. К и ш и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

¹⁴¹ ძე. ქართ. ლიტერ. კრესტომათია, 1946, გვ. 255, VI.

ნაქსარული ცხოვრება, მსგავსად პროზორე ქართველისა და ლუკა იერუსალიმელის სეინაქსარული ცხოვრებებისა, ჩვენ დამოუცილებელ თხზულებად მიგვაჩნია, ე. ი. ჩვენი აზრით, მის შექმნას საფუძვლად არ უღდევს ნიკოლოზის ცხოვრების ვრცელი რედაქცია; ასეთი „ცხოვრება“ საერთოდ არც არსებულა.

ნიკოლოზ დვალის სეინაქსარული ცხოვრების ავტორად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია იერუსალიმში მოღვაწე უცნობი ქართველი ბერი (დ. ყიფშიძე, ელ. ჰეტრეველი), რაზედაც მიუთითებს გამოთქმები: „მოიწია იერუსალიმად“, „მოვიდა იერუსალიმს“, „ეგულეზოდა იერუსალიმს წარმოგზავნა“, „ეკპრეს წარგზავნა“, „წარიგზავნა... დამასკოდ“ და სხვ. ელ. ჰეტრეველს გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის სეინაქსარული ცხოვრების ტექსტები, რომლებიც აღნიშნული „დიდი სუნაქსრის“ ნუსხაში XIV საუკუნის ნახევარშია შეტანილი, უშუალოდ ავტორის ხელიდან გამოსული ნუსხები უნდა იყოს¹⁴², ხოლო, რადგანაც ორივე სეინაქსარული ცხოვრება ერთი და იგივე ხელითაა დაწერილი, ამიტომ მათ ავტორად ერთი პირია ნაგულისხმევი. შესაძლებელია, რომ ლუკასა და ნიკოლოზის სეინაქსარული ცხოვრებების შექმნის დრო ერთმანეთთან დიდად არ იყოს დაცილებული, როგორც ამას ელ. ჰეტრეველი ფიქრობს, მაგრამ მათი ერთი პირის მიერ დაწერის ვარაუდი ჩვენში ექვს იწვევს. ჩვენი ეჭვი გამომწვეულია ამ ორი თხზულების ზოგიერთი განსხვავებული ენობრივი თავისებურებით. ჯერ ერთი, ეს თხზულებები არ აძედავენებს ახლო ნათესაობას სტილის, ფრაზეოლოგიისა და სტრუქტურის მხრივ. მეორეც, ლუკას წამების ავტორი ხმარობს ისეთ ფორმებს, რაც ნიკოლოზის სეინაქსარული ცხოვრების ტექსტისათვის უცნობია: „ესე... იყო ნათესავთა მათა და მშობელთა მათა პატროსანი და წარჩინებული“. ნიკოლოზის შესახებ იგივეა ნათქვამი, მაგრამ ასეთი ფორმების გამოუყენებლად: „ესე... იყო შვილი მორწმუნეთა და მოსავთა“. ლუკას სეინაქსარული ცხოვრებით: „ესე ნეტარი ლუკა იყო ნათესავით ქართველი“. „ნათესავით“ ნიკოლოზის სეინაქსარულ ცხოვრებაში სხვა ფორმითაა გამოყენებული: „ესე სანატრელი ქრისტეს მოწამე ნიკოლოზი იყო ნათესავად დვალი“.

ნიკოლოზ დვალის სეინაქსარულ ცხოვრებაში ხშირად იხმარე-

¹⁴² ელ. ჰეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართ. კოლონიის ისტორიისათვის, 1962, გვ. 33.

ბა „მანდა“ (მანდა) ფორმა. ასეთი ფორმა უცნობია ლუკას სვინაქსარული ცხოვრებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიურ ადგილას მასაც ჰქონდა შესაძლებლობა ამ ზმნიზედის ხმარებისა. პროზორეს, ლუკასა და ნიკოლოზის სვინაქსარულ ცხოვრებათა საფუძველზე შეგვიძლია ერთი ზოგადი შენიშვნაც გავაკეთოთ, რაც ნაწილობრივ მიუთითებს იმაზე, რომ მათი ავტორები სხვადასხვა პირებია — ეს ძეგლები სხვადასხვა მოცულობით იყენებენ სასწაულების ამბებს: პროზორეს სვინაქსარული ცხოვრებისათვის ეს ელემენტი უცნობია, ლუკას სვინაქსარულ ცხოვრებაში იგი ჩანასახის ფორმით მოიპოვება, ხოლო ნიკოლოზის სვინაქსარულ ცხოვრებაში კი საკმაოდ ვრცელადაა წარმოდგენილი. ეს ფაქტიც ლუკასა და ნიკოლოზის სვინაქსარული ცხოვრებების სხვადასხვა პირის მიერ დაწერაზე მიუთითებს.

ასეთი, არც თუ გადამწყვეტი დეტალები გვაფიქრებინებს, რომ ეს სვინაქსარული ცხოვრებები დაწერილი უნდა იყოს სხვადასხვა ავტორის მიერ. ამრიგად, აღნიშნულ სვინაქსარულ კრებულში მოთავსებული ლუკასა და ნიკოლოზის სვინაქსარული ცხოვრების ტექსტები, ჩვენის აზრით, ავტორის ხელიდან გამოსული ნუსხები კი არ არის, არამედ ამ სვინაქსარული ტექსტების მანამდე არსებული ნუსხების პირი, გადმოწერილი ერთი კაცის მიერ. ნიკოლოზ დვალის სვინაქსარული ცხოვრების შექმნის დრო დიდად დაცილებული არ უნდა იყოს მისი წამების დროს. შიახლოებით მისი შექმნის თარიღი, შეიძლება XIV ს. I მეოთხედით განვსაზღვროთ. ხელის მსგავსების საფუძველზე ამ სვინაქსარული ცხოვრებების გადამწერაჲ ე ფ თ ვ მ ი უნდა დავასახელოთ, რომელსაც ეს ტექსტები სვინაქსარული კრებულის გაცხოველების დროს უნდა გადმოეწერა და სვინაქსარში შეეტანა. სვინაქსარულ ცხოვრებათა ტექსტებს ახასიათებს ქარაგმის ნიშნის უადგილო ხმარება. ხშირად ქარაგმა იხმარება იქ, სადაც სიტყვა დაქარაგმებული არ არის და პირიქით, სიტყვა დაქარაგმებულია, ხოლო ქარაგმის ნიშანი კი არ ჩანს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ასეთი დასკვნები გავაკეთოთ:

1. ნიკოლოზ დვალის სვინაქსარული ცხოვრება მნიშვნელოვანია წყაროა პალესტინის ქართული კერის ისტორიის ზოგიერთი უცნობი საკითხის შესწავლისათვის.

2. სვინაქსარული ცხოვრება შედგენილი უნდა იყოს ჭვარის მონასტრის უცნობი ქართველი მოღვაწის მიერ ნიკოლოზის წამებიდან მოკლე დროში, თვითმხილველის მიერ.

3. ნიკოლოზის სვინაქსარული ცხოვრება ისევე, როგორც სხვა იერუსალიმელ მოღვაწეთა სვინაქსარული ცხოვრებანი, წყაროდ ვერ გამოიყენებდა ცხოვრების ვრცელ რედაქციას, რადგან მისი ვრცელი ცხოვრების არსებობა ძალზე საეჭვოა.

4. ნიკოლოზ დვალის და ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარული ცხოვრებები ერთი ავტორის ნახელავი არ უნდა იყოს.

3. ნინო განმანათლებელი

ნინოს სახელთან დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოს კულტურული ცხოვრების ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მომენტი — ქრისტიანული რელიგიის გავრცელება.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქრისტიანობის გამავრცელებელთა ვინაობის საკითხს უძველესი და მეტად დახლართული ისტორია აქვს. უძველესი ქართული და სომხური წყაროები ერთხმად აღიარებენ, რომ ქართლი გრიგოლ პართელის მოქცეულია; ეს აზრი გამოთქმულია გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების არაბულ ვერსიაში¹⁴³, ასევე იმ მიმოწერაში, რომელიც ეკლესიური ურთიერთობის გამწვავების გამო გაიმართა ქართველ და სომეხ სამღვდლოებს შორის მეექვსე საუკუნის დამლევა და მეშვიდე საუკუნის დასაწყისში¹⁴⁴. ამ ფაქტის სისწორეში ეჭვი არ ეპარებათ არც იმდროინდელ ქართლის კათალიკოსს კირიონს¹⁴⁵ და არც IX ს. ქართული ეკლესიის მამამთავარს, კათალიკოს არსენ დიდს, რომელსაც საპოლემიკო ტრაქტატიც კი დაუწერია სომეხთა წინააღმდეგ, სადაც განმეორებულია გრიგოლის მიერ ქართლის მოქცევის ფაქტი¹⁴⁶. ამასვე ადასტურებს მეთექვსე საუკუნეზე ადრინდელ საღვთისმსახურო წიგნებში მოთავსებული გრიგოლის სახელობის საგალობლებიც¹⁴⁷.

მეორე მხრით, მეოთხე საუკუნის ბიზანტიური წყაროები (გელასი კესარიელი და მასზე დაჰყარებული შემდეგდროინდელი ბიზანტიელი ისტორიკოსები) ქართლის მოქცევას ტყვე ქალს მიაწე-

¹⁴³ Н. М а р р , Крещение армян, грузин, аланов и абхазов св. Григорием, стр. 135—37.

¹⁴⁴ И. Д ж а н а х о в , История церковного разрыва между Грузией и Армениею в начале VII в., Известия Ак. Н., 1908, стр. 517—527.

¹⁴⁵ იქვე, 521—524.

¹⁴⁶ თ. გ ო რ დ ა ნ ი ა , ქრონიკები, I, გვ. 319.

¹⁴⁷ Н. М а р р , დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

რენ¹⁴⁸. სწორედ მას შემდეგ, რაც დაირღვა ქართულ-სომხური ეკლესიური მთლიანობა, ქართველთათვის სათაყილო შექმნილა იმ გარემოება, რომ ქართველებსა და სომხებს ერთი და იგივე განმანათლებელი ჰყოლოდათ. ამიტომ ცოტა მოგვიანებით ქართლის განმანათლებლად ნინო დაუსახელებიათ. როგორც ჩანს, ამ პიროვნებაში ნაგულისხმევია ის ტყვე ქალი, რომელსაც ისტორიული წყაროებით მართლაც მოუქცევია ქართლი, ოღონდ ნინოს კულტის ჩამოყალიბებასთან ერთად ტყვე ქალი უქცევიათ დიდგვაროვანთა შვილად და პატრიარქის დისშვილად, რომელიც იერუსალიმში დაბადებულა, აღზრდილა და კონსტანტინეპოლიდან მოსულა ჩვენში.

ნინოს კულტის საბოლოო ჩამოყალიბება, რაც მისი ცხოვრების შატბერდულ-ჰელიოზურ ცხოვრებაში და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკაშია მოცემული, 882—912 წლებით განისაზღვრება.¹⁴⁹ მანამდე ქართულ წყაროებში ნინოს ხსენების ნიშანწყალიც არა გვაქვს.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით X საუკუნეში შეიქმნა მესამე აზრი. თითქოს ნინოს სამისიონერო მოღვაწეობას წინ უსწრებდა მოციქულთა მოსვლა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქრისტიანობის ქადაგება.

საქართველოში მოციქულთა ქადაგების საჭიროება გამოწვეული იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებთან დაკავშირებით, რადგან საბერძნეთის ეკლესიიდან გამოყოფა შეეძლო მხოლოდ იმ ქვეყნის ეკლესიას, სადაც ქრისტიანობა იქადაგა ქრისტეს 12 მოწაფიდან ერთ-ერთმა მაინც. სწორედ ამ საჭიროებისათვის ქართულსა და ბერძნულ წყაროებში დაიძებნა მასალები, რომელთა მიხედვითაც საქართველო¹⁵⁰ სხვადასხვა მხარეში ქრისტიანობა უქადაგნიათ ანდრია¹⁵¹, სიმონ კანანელა¹⁵², მატათას და ბართლომეს. აკად. ივ. ჯავახიშვილმა გააკრვია, რომ ექვთიმე მთაწმიდლის მიერ ნათარგმნი „მოსაქსენებელი მიმოსლვათათჳს და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი“ («ათონის კრებული». გვ. 29), რომელიც ორი სხვადასხვა წყაროს სინთეზს წარმოადგენს, არის წყარო, საიდანაც გავრცელდა აზრი საქართველოში მოციქულთა ქადაგების შესახებ. ეს მცდარი აზრი აღმოცენებულია ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის არასწორი გაგების შედეგად. ამრიგად, აზრი საქართ-

¹⁴⁸ გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქ. შესახებ, I, გამოსცეს ილ. ჯამსყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა 1961 წ., გვ. 186—194; 201—207. ვ. ვეველიძე, ეტიუდები..., IV, 1957. გვ. 269.

¹⁴⁹ ვ. ვეველიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 569—579.

ველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ სინამდვილეს არ შეე-
უერება¹⁵⁰.

უფრო რეალური ჩანს ქართული და უცხოური წყაროების
მტკიცება, იმის შესახებ რომ აღმოსავლეთ საქართველოს მოქცევა
ერთსა და იმავე დროს გრიგოლ პართელისა და ტყვე ქალის სახელს
უკავშირდება. მაგრამ როგორ შევათანხმოთ ეს ორი, თითქმის ერთ-
მანეთის გამომრიცხავი ცნობა? აკად. კ. კეკელიძემ სპეციალურ
ნარკვევში „ქართლის მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლო-
გიური საკითხები“ (ეტიუდ. IV, გვ. 252—292) გააკვია, რომ გრი-
გოლის სახელი შეიძლება დაუკავშირდეს აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს მხოლოდ იმ ნაწილს, რომელსაც სომხურად გუგარქი ეწოდებ-
ოდა და რომელიც ქრისტემდე II საუკუნიდან ჩვენი წელთაღ-
რიცხვის 349 წ-მდე სომხეთის ადმინისტრაციულ ნაწილს შეად-
გენდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი უდიდესი ნა-
წილის — იბერიის — ტყვე ქალის მიერ მოქცევა, მართლაც, ისტო-
რიული სინამდვილის შემკველი უნდა იყოს. ტყვე ქალი, კეკელი-
ძის ვარაუდით გუგარქის მკვიდრი ქრისტიანი ქართველი ქალი უნდა
ყოფილიყო, რომელიც ტყვედ უნდა ჩავარდნოდათ იბერებს, რომ-
ლებსაც, ალბათ, ხშირად უხდებოდათ შეტაკება სომხეთთან გუ-
გარქის საკითხის გამო. სწორედ ამ ტყვე ქალს უნდა ექადაგნა ქრის-
ტეს სარწმუნოება ქართველებს შორის, რისი ანარეკლი „მოქცევაჲ
ქართლისაჲშიც“ მოიპოვება¹⁵¹. ამ მისიონერი ტყვე ქალის ირგვლივ
შექმნილმა მოგვიანო წყაროებმა იგი საბერძნეთიდან მოვლინებულ
დიდგვაროვან კაპადოკიელად მონათლეს ნინოს სახელით.

უძველესი თხზულება, რომელიც ნინოს შესახებ დაწერი-
ლა და რომელსაც შექმნა ნინოს კულტი, არის „მოქცევაჲ ქართ-
ლისაჲ“-ს შემადგენელი ნაწილი — „ცხოვრებაჲ წმიდისა ნი-
ნოჲსი“. მის შექმნას აკად. კ. კეკელიძე მეცხრე საუკუნის უკა-
ნასკნელი მეოთხედით და X ს. დასაწყისით განსაზღვრავს¹⁵². ნი-

¹⁵⁰ ივ. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვა-
წეობა საქართველოში, თურნ. მოამბე, 1900, VI, გვ. 35—38; კ. კეკელი-
ძე, ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, IV, გვ. 253—259.

¹⁵¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 286—
287.

¹⁵² კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 304.
გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ: Описание..., т. II, стр. 708—
813.

ნოს ცხოვრების ეს ვერსია გახდა ძირითადი წყარო ნინოს შესახებ შექმნილ შემდეგდროინდელ ცხოვრებათათვის. XI ს. მეორე ნახევარში ლეონტი მროველს შეუდგენია ნინოს ცხოვრების ახალი რედაქცია, რომელსაც დიდი პოპულარობა მოუპოვებია. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ანუ ნინოს ცხოვრების შატბერდულ-ქელიშური რედაქციის საფუძველზე XII ს. არსენს შეუქმნია მეტაფრასტული ცხოვრება¹⁵³. ნინოს სამისიონერო საქმიანობასა და ცხოვრებას მისი საქართველოში შემოსვლის შემდეგ ეხება ნიკოლოზ გულაბერიძის თხზულებაც: „საკითხავნი სუეტის-ცხოვლისანი, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“¹⁵⁴, რომელსაც ნინოს ცხოვრების მრავალი ეპიზოდი და დეტალი მროველისეული რედაქციის ცხოვრებიდან აუღია. არსენის მეტაფრასტული ცხოვრების საგრძნობი შემოკლების საფუძველზე XIII ს. უცნობ ავტორს შეუდგენია ნინოს ცხოვრების კიდევ ერთი რედაქცია — შემოკლებული ცხოვრება, რისთვისაც მას გამოუყენებია ნინოს ცხოვრების სხვა, ზემოთ დასახელებული რედაქციებიც. ნინოს ცხოვრების შემოკლებული რედაქცია თავისი შედგენილობისა და ხასიათის მიხედვით განეკუთვნება ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ მოკლე, სვინაქსარული ტიპის ცხოვრებათა რიცხვს. ნინოს ცხოვრების შემოკლებული ვერსია შეისწავლა ქ. ცხადაძემ, რომელიც ასეთ დასკვნებს აკეთებს: „XIII ს. უცნობი ავტორის მიერ გადამუშავებული „ნინოს ცხოვრების“ ტექსტი არის არა უბრალო შემოკლება არსენ ბერისეული მეტაფრასტული რედაქციისა, არამედ იგი დამოუკიდებელი სვინაქსარული რედაქციის მსგავსი მოკლე რედაქციაა“¹⁵⁵. ამ მოკლე ცხოვრების XIII ს. შექმნის ფაქტი

¹⁵³ ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელმა ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ე მ ვააქეთა დასკვნა, რომ წინააღმდეგ სამეც. ლიტ-ში გავრცელებული აზრისა არსენის ძირითადი წყარო არის არა ლეონტი მროველის თხზულება, არამედ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. შრომა გამოქვეყნებულია საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბის XLVI, № 1-ში, 1967 წ. (მროველის თხზულება გამოცემულია ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 72—130, ხოლო არსენისა — ყ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ „ცხოვრება წმიდა ნინოსი“, საქლ. მუზეუმის გამოცემა № 10, 1903).

¹⁵⁴ გამოც. მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს მიერ, „საქ. სამოთხე“, გვ. 69—117.

¹⁵⁵ ც. ყ ე ე ლ ი ძ ი ს საიუბილეო კრებულა, გვ. 401; ეს თხზულება გამოცემულია ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ძე. ქარზ. ლაჭურ. ქრესტ., I, 1946, გვ. 216—31.

ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას დავუშვათ, რომ ქართველ მოღვაწეთა ლიტურგიული დანიშნულების მოკლე ცხოვრებათა შედგენის ტრადიცია სვინაქსარულ ცხოვრებათა წარმოშობის შემდეგაც განაგრძობს არსებობას, რადგან სხვა ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარულ ცხოვრებებთან ერთად ნინოს მოკლე სვინაქსარული ცხოვრება უკვე XI საუკუნეში იყო შექმნილი (Sin —4).

მსგავსად ვრცელი ცხოვრების რედაქციებისა მრავალადა ცნობილი ნინოს ცხოვრების სვინაქსარული რედაქციებიც. ქართულ ლიტურგიულ კრებულებს ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ოთხი რედაქცია შემოუნახავს. უძველესი რედაქციის მოკლე სვინაქსარული ცხოვრების ერთადერთი ნუსხა მოთავსებულია XI საუკუნის Sin—4 ხელნაწერში. როპლის ტექსტი „სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“-ში გამოსცა აკად. ივ. ჯავახიშვილმა (გვ. 166). ეს სვინაქსარული ცხოვრება პერიფრაზულია. თავისუფალი თხრობის ფორმით. სულ რამდენიმე წინადადებით აღნიშნულია ნინოს მოღვაწეობის ძირითადი მომენტი— „დავიწყებული ქუეყანაჲ ქართლისაჲ“-ს მოქცევა. აქვე გაკვირთაა ნათქვამი, რომ მიზეზი ნინოს ქართლში სამისიონერო მოღვაწეობისა „ქართველთა ნათესავი“-ს ღვთისმშობლისადმი წილხედომილობა იყო, რაც ნინოს ცხოვრების რედაქციებიდან არ შეიძლება მომდინარეობდეს¹⁵⁶. ასეთ ზოგად ხაზებში დაწერილი თხზულების რომელიმე წყაროზე დამოკიდებულების საკითხის გარკვევა ძნელია. ნათელი არ არის, ნინოს ვრცელი ცხოვრების ოთხი რედაქციიდან რომელს ეყრდნობა აღნიშნული თხზულება. თუმცა ცხოვრების არსენისეული, შემოკლებული რედაქციები და ნიკ. გულაბერიძის თხზულება გამოირჩეულია, რადგან ისინი სვინაქსარულ ცხოვრებაზე გაცილებით გვიან შეიქმნენ.



ნინოს სვინაქსარული ცხოვრების I რედაქცია საფუძვლად დადება მეორე. XIV საუკ. ხელნაწერთ ცნობილ, შედარებით ვრცელ

¹⁵⁶ წილხედომილობის ფაქტის აღნიშვნა ნინოს „ცხოვრებიდან“ არის გულაბერიძის თხზულებაში, არსენისეულ მეტაფრასტულ ცხოვრებაში და აქედან გადასულა შემოკლებულშიც. ხოლო „მოქცევაჲ“-სა და ლეონტი მროველის რედაქციებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. აქედან დასკვნა, რომ სვინაქსარული ცხოვრების ეს ეპიზოდი არ შეიძლება მომდინარეობდეს ნინოს „ცხოვრები“- რედაქციებიდან, რადგან შემოკლებული და არსენისეული რედაქციები სვინაქსარულ ცხოვრებაზე გვიან შეიქმნენ (არსენისეული XII ს., შემოკლებული, კი XIII-ში, ხოლო სვინაქსარული I—XI ს.). ამდენად ეს დეტალი სხვა წყაროდან ან ზეპირი გადმოცემის მიხედვითაა შეტანილი.



რედაქცია. H—600 ხელნაწერში, რომელიც ნინოს ვრცელ კელი-
შური რედაქციის სახელით ცნობილ ცხოვრებას შეიცავს, ვრცელი
ცხოვრების ბოლოს მოთავსებულია ნინოს სვინაქსარული ცხოვრე-
ბა და საგალობლები. ე. ი. ვრცელი ცხოვრების ტექსტს დართული
აქვს ნინოს დღესასწაულის დღის სრული „განგება“. სვინაქსარული
ცხოვრების ეს რედაქცია მხოლოდ ამ ხელნაწერის ნუსხითაა ცნო-
ბილი. ამ თხზულების აშკარა სვინაქსარული ხასიათის მიუხედავად,
მისი ნუსხა არც ერთ ლიტურგიკულ კრებულში არ შეგვხვედრია.

ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ამ ორი რედაქციის შედარე-
ბიდან ჩანს, რომ XIV საუკუნის ნუსხას ერთიოთხად განუვრცია ნი-
ნოს სვინაქსარული ცხოვრების უძველესი, XI საუკუნის მოკლე
ტექსტი. ამას ადასტურებს მათი ტექსტობრივი მონაცემები. მოვი-
ტანოთ ფრაზეოლოგიური შეხვედრის ადგილები:

I რედაქცია (XI ს.)

„ესე ნეტარი ნინო დაღაცათუ
დედობრივითა ბუნებითა ფრიად
უკანაჲს იყო თავთა მათ მოციქულ-
თაჲსა, არამედ მადლითა და სას-
წაულთა ღმერთმან სწორ მათდა
გამოაჩინა და დავიწყებული ქუე-
ყანაჲ ქართლისაჲ ძლითა სიტყუა-
თა მისთაჲთა და ურიცხუთა სას-
წაულთა აღსრულებითა მოაქცია
და სწავლითა თჳსითა დაამტკიცა,
რომელ მიერითგან და ვიდრე აღ-
სასრულამდე ჰგიეს და ნამუშავე-
ვი თჳსი წმიდასა ღმრთის-მშობე-
ლისა შეჰვედრა“ (Sin.—4, 98r).

II რედაქცია (XIV ს.)

„ხოლო ესე ნეტარი ფრიად
უკანას იყო თავთა მათ მოცი-
ქულთასა, არამედ მადლითა და
სასწაულთა ღმერთმან სწორ
მათდა გამოაჩინა და დავიწყე-
ბული ქუეყანაჲ ქართლისაჲ
ძლითა სიტყუათა მისთაჲთა და
ურიცხუთა სასწაულთა მისთა
ქმნითა მოაქცია; და მოძლუ-
რებითა თჳსითა დაამტკიცა, რო-
მელ მიერითგან ვიდრე აღსას-
რულამდე ჰგიეს შეუძრველად
მართალსა სარწმუნოებასა ზე-
და და ნამუშავევი თჳსი წმიდა-
სა ღმრთის-მშობელსა შეჰვედ-
რა“ (H—600, 41v).

ეს ერთადერთი ასეთი მაგალითი არ არის. მსგავს სურათს სხვა
ადგილებიც გვიჩვენებენ, მაგრამ დამატებითი მაგალითების მოტანა
ზედმეტად მიგვაჩნია. სურათი გარკვეულია; ორივე სვინაქსარულ
ცხოვრებაში თითქმის სიტყვასიტყვით განმეორებულია ერთი და
იგივე. თუ II რედაქციაში მოტანილი მაგალითის დასაწყისში გა-
მოტოვებულია მხოლოდ „დედობრივითა ბუნებითა“, რაც არის I

რედაქციის შესაბამის ადგილას, ეს იმიტომ, რომ II რედაქციაჲ ეს გამოთქმა ცოტა ზემოთ იხპარა „ღედობრივიჲა გუამითა“—ს სახით და შემდგენელი აქ, როგორც ჩანს, განმეორებას მოერიდა. ასეთივე უმნიშვნელო ხასიათისაა შედარებული ადგილების სხვა განსხვავებანიც (აღსრულებითა — ქმნითა, სწავლითა — მოძღურობითა, აგრეთვე II რედაქციის ჩანართი: „შეუძრველად მართალსა სარწმუნოებასა ზედა“).

სვინაქსარული ცხოვრების II რედაქციას წყაროს გავრცობის ორიგინალური მეთოდი აქვს: ის მიჰყვება წყაროს თანმიმდევრობას და მის ზოგად თხრობაში მეტი კონკრეტულობა შეაქვს. მაგ.: I რედაქცია იწყება ასე: „ამასვე დღესა მიცვალებაჲ წმ. ნინო მოციქულისა და ქართველთა განმანათლებელისა, რომელმან ფრიალნი მოლუაწებანი და ურიცხუნი სასწაულნი აღასრულნა“. II რედაქციას „ქართველთა განმანათლებელისა“ გავრცობილი აქვს: „რომელი მოველინა ქუეყანასა ქართლისასა და კერპთა მონებისაგან დაბნელებული ერი განათავისუფლა“, ხოლო დანარჩენი ზუსტად არის განმეორებული. შემდეგ, II რედაქციის სვინაქსარულ ცხოვრებაში ამ ფრაზის ბოლოსა და I რედაქციის მომდევნო ფრაზის დასაწყის ადგილას ჩართულია საკმაოდ მოზრდილი თხრობა, რაც I რედაქციის სვინაქსარული ცხოვრების „ურიცხუნი სასწაულნი“-ს დაკონკრეტებას წარმოადგენს; აქ ჩამოთვლილია ყველა ის ძირითადი სასწაული, რომლებიც ჩვენთვის ვრცელი ცხოვრების რედაქციებიდანაა ცნობილი. ამ სასწაულების აღნიშვნა მათი მხოლოდ დასახელებით ამოიწურება: „და კუალად აღმართება სუეტისა მის ცხოველისა და კუალად მყოულთა მათ შინა რამდენნი კურნებანი აღასრულნა... და შემეუსრნა კერპნი...“ და სხვა.

I რედაქციაში ზემოაღნიშნული საქართველოს ღვთისმშობლის წილხედობილობის ფაქტი II რედაქციაში გაცილებით ვრცელადაა წარმოდგენილი. II რედაქცია ისევე, როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, სიტყვასიტყვით და მთლიანად იღებს თავის წყაროდან (I რედაქცია). ყველაფერს, რაც კი ამ საკითხთან დაკავშირებითაა ნათქვამი, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება; სხვა წყაროებიდან ამოღებული ცნობებით ეს დეტალი საკმაოდ გავრცობილია: „წარმოემართა (ე. ი. ღვთისმშობელი) მისდა ზუედრებულსა მას ნაწილსა და თანა წარიყვანნა იაკობ მღდელთ-მოძღუარი და იოვანე ღმრთისმეტყუელი და დანო იგი, რომელნი მსახურებდეს, და წარვიდა და ვლო გზასა და, ვითარცა მიიწია იოპედ, გამოეცხადა მას უფალი და ჰრქუა, ვითარაჲედ: „არა ჯერ-არს განშორებაჲ შენი იმ-

რუსალიმით, არამედ დაჯედ ქალაქსა შინა, ვითარცა დედოფალი ყოველთა, რამეთუ ნაცვალად ჩემისა შემდგომად შენ იყო მზრუნველ და ნუგეშინა-შეცემელ მათდა, რომელნა სახელისა ჩემისათჳს იღუაწდენ. და ნაწილისა მის შენდა ხუედრებულისათჳს აწ ნუ მკმუნვარე ხარ, სასურველო დედაო, რამეთუ ყოველნივე დაბადებულნი ჩემნი შენდა შევედრებულ არიან და ნათესავისა მისთვის მე ვიზრუნო და არა უგულვებელს ვყო“. ამისთვის დედაკაციაგან ინება მოქცევაჲ მისიქ“ (H—600, 42r).

ნინოს სვინაქსარული ცხოვრების II რედაქცია ამ საკითხში ზოგადად არსენის მეტაფრასტული ცხოვრებიდან ამოდის, მაგრამ გარკვეული დეტალებით წყაროსაგან განსხვავდება და, როგორც ჩანს, დამატებითი წყაროებიც აქვს გამოყენებული. არსენისეულ ნინოს ცხოვრებაში დაწვრილებითაა ლაპარაკი „წილხვდომილების“ შესახებ. ოღონდ ზოგიერთი დეტალი განსხვავებულია. ჯერ აღნიშნულია, რომ „წილხვდომის“ შედეგად იოვანეს ხვდა „კერძოჲ ეფესოჲსაჲ, ქუეყანაჲ აიიისაჲ“, მაგრამ იგი ყოყმანობდა წასვლას. რადგან არ შეეძლო ღვთისმშობლის მარტო დატოვება. ამიტომ ღვთისმშობელმა გამოთქვა სურვილი მასთან ერთად სამისიონერო მოგზაურობაში წასვლისა. „და წარემართა მის თანა სლვად და ქადაგებად და მაგდანელი მარიამ და სხუანი მენელსაცხებელნი მათ თანა“. სამი დღის სიარულის შემდეგ მათ გამოეცხადათ ქრისტე და სთხოვა ღვთისმშობელს იერუსალიმში დაბრუნება¹⁵⁷.

ჩვენ გვგონია, რომ სვინაქსარულმა ცხოვრებამ ისარგებლა არსენისეული ცხოვრების იმ ადგილით. სადაც ლაპარაკია ღვთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემლის ერთად სამისიონერო მიზნებით იერუსალიმიდან წამოსვლაზე, მაგრამ თხრობაში დამატებითი დეტალებიც შეიტანა. მაგ., არსენისეულ მეტაფრასტულ ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მათ ქრისტე გამოეცხადათ სამი დღის სიარულის შემდეგ, სვინაქსარულ ცხოვრებაში კი მითითებულია გეოგრაფიული პუნქტი: „და წარვიდა და ელო გზასა და, ვითარცა მიიწია იოპედ, გამოეცხადა მას უფალი და ჰრქუა“... (H—600, 42r). საიდან გაჩნდა აქ ეს სახელწოდება, რადგან საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებით ეს გეოგრაფიული სახელი არც ერთ წყაროში არ იხსენიება?

ექვკვარეშეა, რომ სვინაქსარული ცხოვრების ავტორს გამოყენებული აქვს აპოკრიფული ძეგლი: „საქმენი და სწავლანი იოვა-

¹⁵⁷ ნინოს ცხოვრების არსენისეული რედაქცია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ც. ქუციანიძემ.

ნტსნი¹⁵⁸, რომელშიაც იოვანე ნათლისმცემელთან დაკავშირებით, როდესაც იგი თავის ხვედრებულ ქვეყანაში ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებისათვის გაემართა, ნათქვამია: „და შთავედით ჩუენ იერუსალმშით იოპედ, რაჲთა შევიდეთ ნავსა და წარვიდეთ კერძოთა ასიაჲსათა“¹⁵⁹. როგორც ჩანს, არსენისეული ნინოს ცხოვრების ზემოთ მოტანილ ეპიზოდს სვინაქსარული ცხოვრების ავტორმა ღვთისმშობლისა და იოვანეს იოპედ ჩასვლის დეტალი დაუმატა ხსენებული აპოკრიფიდან, რომელშიაც ღვთისმშობლის შესახებ ამ ამბებთან დაკავშირებით არაფერი არ არის ნათქვამი.

განსხვავებულია ამ ორი ძეგლის ცნობები ღვთისმშობლის თანამოგზაურთა შესახებაც. მეტაფრასტული ცხოვრებით: „წარემართა მის თანა სლვად და ქადაგებად, და მაგდანელი მარიამ და სხუანი მენელსაცხებელნი მათ თანა“. სვინაქსარული ცხოვრების II რედაქციაშიაც იხსენიებიან „დანი იგი, რომელნი მსახურებდეს“, მაგრამ მათ გარდა სვინაქსარული ცხოვრებით ღვთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემლის თანამოგზაური ყოფილა იაკობ მღვდელთ-მოძღუარი: „წარმოემართა მისდა ხუედრებულსა მას ნაწილსა და თანა- წარიყუანნა იაკობ მღვდელთ-მოძღუარი და იოვანე ღმრთის-მეტყუელი და დანი იგი, რომელნი მსახურებდეს“ (H—600, 42r). ვინ უნდა იყოს ეს იაკობ მღვდელთ-მოძღუარი? ეს არ უნდა იყოს იაკობ მოციქული, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი, რადგან ის ყოველთვის მოიხსენიება როგორც „იაკობ ძმა უფლისა“. შესაძლებელია, სვინაქსარული ცხოვრების ავტორს ანაქრონიზმი მოსვლოდეს და ის იაკობ მღვდელი. რომელიც ნინოს ცხოვრების რედაქციებში ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებით იხსენიება („წარვიდა ნეტარი ესე (ე. ი. ნინო) და თანა წარიყუანა იაკობ მღვდელი და მთავარი იაკონი...“), ღვთისმშობლის თანამგზაურად ექცია, თუმცა ასეთი აღრევა ძნელი დასაჯერებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სვინაქსარული ცხოვრების II რედაქციაში მოტანილი ქრისტეს ვრცელი მიმართვა ღვთისმშობლისადმი, ნინოს ცხოვრების მეტაფრასტული რედაქციის შესაბამისი ადგილის თავისებური გადაკეთება უნდა იყოს.

ამრიგად, ნინოს სვინაქსარული ცხოვრების II რედაქცია ძირითად ქარგად ნინოს სვინაქსარული ცხოვრების უძველეს, მოკლე

¹⁵⁸ ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ. გამოსცა ო. ქუ რ ც ი კ ი ძ ე მ. 1959, გვ. 55—91; აგრეთვე ათონის კრებულთ, 1901, გვ. 111—175 (ექვთიმე მთაწმიდლის რედაქციისა).

¹⁵⁹ იქვე, გვ. 56.

რედაქციას იღებს, ხოლო წყაროში მოცემული შეკუმშული დეტალების გასაერთოებად სხვა წყაროებს იყენებს. ამ რიგის წყაროებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია არსენისეული ნინოს მეტაფრასტული ცხოვრება, საიდანაც აღებულია საქართველოს ღვთისმშობლის წილხედობილობის ეპიზოდი და აპოკრიფული თხზულება — „საქმენი და სწავლანი იოვანტსნი“, საიდანაც უნდა იყოს აღებული გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება „იოპე“ (ანტიოქიის მახლობლად). ამრიგად, ნინოს სეინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია რამდენიმე წყაროს გამოყენების კარგ ნიმუშს იძლევა.

4. ილარიონ ჟართველი

ილარიონ ჟართველის საეკლესიო მოღვაწეობა დაკავშირებულია იმ მნიშვნელოვან პერიოდთან, როდესაც საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, რომელიც მანამდე დაკავშირებული იყო აღმოსავლეთის იერუსალიმის ქრისტიანობასთან, პირი იბრუნა კონსტანტინეპოლისაკენ და ბიზანტიური კულტურის საგანძური თავის დაუშრეტელ წყაროდ გაიხადა.

ილარიონ ჟართველის პოპულარობას ადასტურებს სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ფორმით შედგენილი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემკველ თხზულებათა სიმრავლე, რომელთა უმეტესი ნაწილი დღეს ჩვენთვის კარგად არის ცნობილი.

ჯერ კიდევ ილარიონის თანამედროვე ბერძენ მწერალ ბასილი პროტოასიკრიტსა და მონაზონს იმპერატორის ბასილი I დაეალებით და ილარიონის მოწაფეთა მიერ მოწოდებული ცნობების საფუძველზე ბერძნულ ენაზე შეუდგენია ენკომია, რომელიც მას ილარიონის წმინდა ნაწილების თესალონიკიდან რომანას მონასტერში გადმოსვენების დროს წარმოუთქვამს¹⁶⁰.

ქართულ წყაროებს შემოუნახავს ილარიონ ჟართველის ცხოვრების სამი ვრცელი რედაქცია. მათგან უძველესი, როგორც აკად. კ. კეკელიძემ გაარკვია, ეკუთვნის ექვთიმე მთაწმიდელს, რომელსაც „სარჩულად ბასილი მონაზონის შრომა უძევს“. ამიტომ „ეს ნაშრომი წარმოადგენს ნახევრად ორიგინალურს, ნახევრად ნათარგმნ თხზულებას, სწორედ ისე, როგორც ბევრი სხვა მისი ნაშრომი“¹⁶¹. ეს თხზულება, კ. კეკელიძის ვარაუდით, შედგენილი უნდა იყოს

¹⁶⁰ ათონის კრებული, 1901. გვ. 107; კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 141; ამ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია.

¹⁶¹ კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, 1957, გვ. 144.

991 წ.¹⁶² იგი მოთავსებულია «ათონის კრებულში»¹⁶³ (A—558). ილარიონის ცხოვრების მეორე რედაქცია მეტაფრასტულია. აკად. კ. კეკელიძის დაკვირვებით, ის შედგენილი უნდა იყოს თეოფილე ხუცია-მონაზვნის მიერ ათონური რედაქციის საფუძველზე 1074—1100 წწ.¹⁶⁴ მესამე რედაქცია, რომლის უძველესი ნუსხა XIII ს. ხელნაწერშია შემონახული (Q—726; აგრ. A—518), წარმოადგენს ათონის რედაქციის შემოკლებას¹⁶⁵. თუმცა რამდენიმე დეტალში იგი ცოტათი განსხვავდება კიდევ ათონურისაგან და მეტაფრასტულს უახლოვდება.

გიორგი მთაწმიდლის „დიდი სვნაქსრის“ ზოგიერთმა ნუსხამ შემოგვინახა ილარიონის ცხოვრების კიდევ ერთი რედაქცია — სვინაქსარული ცხოვრება.

ილარიონ ქართველის სვინაქსარული ცხოვრება „დიდი სვნაქსრის“ თავდაპირველ ქართულ ნუსხაში არ შესულა, რადგან ამ ძეგლის უძველესი ნუსხები (XI ს.) ილარიონის სვინაქსარულ ცხოვრებას არ შეიცავს. ილარიონის მხოლოდ ხსენებაა შესული „დიდი სვნაქსრის“ ერთ-ერთ უძველეს ნუსხაში — A—193, რომელიც ტრადიციულად გიორგი მთაწმიდლის სიცოცხლეში გადაწერილად არის მიჩნეული. ამ ფაქტზე დაყრდნობით აკად. კ. კეკელიძე ამბობს, რომ „დიდი სვნაქსარში“ მთარგმნელს შეუტანია ხსენება მხოლოდ ილარიონისა (19 ნოემბერს), ექვთიმე მთაწმიდლისა (13 მაისს) და მისი მამის იოანესი (14 ივნისს), ისიც უბიოგრაფიოდ¹⁶⁶. როგორც ვხედავთ. პატივცემული მეცნიერის აზრით, ილარიონის ხსენების შეტანა „დიდი სვნაქსრის“ უპირველეს, მთარგმნელის ხელიდან გამოსულ ნუსხაშია სავარაუდებელი. ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს „დიდი სვნაქსრის“ რამდენიმე უძველესი ხელნაწერის ჩვენება. თუკი ილარიონის ხსენება თავიდანვე შევიდა „დიდი სვნაქსარში“, მაშინ ამ ხსენებას უნდა შეიცავდეს „სვნაქსრის“ ყველა ხელნაწერი ისევე, როგორც ისინი შეიცავენ ექვთიმეს სვინაქსარულ ცხოვრებასა და იოვანე ათონელის ხსენებას. მაგრამ აქ საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ: „დიდი სვნაქსრის“ XI საუკუნის 5 ხელნაწერიდან, რომლებიც უძველესად ითვლება, მხოლოდ A—193 შე-

¹⁶² კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, 1957, გვ. 42.

¹⁶³ «ათონის კრებული», გვ. 69—108; ამ თხზულებას ჰქვამთ ათონური რედაქციის სახელით მოკისხვნებით.

¹⁶⁴ კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 152, 158.

¹⁶⁵ ძვ. ქართული ლიტერატ. ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, ტ. I, 1946, გვ. 170—177.

¹⁶⁶ კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 150.

იცავს ამ ხსენებას. საკითხავია, რატომ არ გადავიდა ეს ხსენება დანარჩენ ოთხ ხელნაწერში, თუკი მათი დედნები ამ ხსენებას შეიცავდა? ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება თუ საპირისპირო ვარაუდს დაუშვებთ: ილარიონის ხსენება. შეიძლება კიდევ თვით გიორგი მთაწმიდლის მიერ, მაგრამ მაინც მოგვიანებითაა შეტანილი „დიდ სვნაქსარში“¹⁶⁷. მთარგმნელის ხელიდან გამოსულ პირველ ქართულ ნუსხაში ეს სახსენებელი არ შესულა. სწორედ ასეთი დედნიდან უნდა მომდინარეობდეს „დიდი სვნაქსარის“ ის მრავალრიცხოვანი ნუსხები (დაახლოებით 4 ათეულზე მეტი. ამათგან ზემოაღნიშნული ოთხი ხელნაწერი XI საუკუნისა). რომლებიც არ შეიცავენ არამც თუ ილარიონის სვინაქსარულ ცხოვრებას, ხსენების დღესაც კი. საგულისხმოა, რომ „დიდი სვნაქსარის“ ხელნაწერებიდან, რომლებიც დამოუკიდებლად არსებობს, თუ გულანების შემადგენლობაში არიან შესული. მხოლოდ 10 ხელნაწერი შეიცავს ილარიონის ხსენების დღეს სვინაქსარული ცხოვრების გარეშე (A—193, 51r, XI ს.: A—635, 46v, XII—XIII სს.: A—139, 54v, 1535 წ.; A—187, XVII ს. გულანი; A—1582, XVII—XVIII სს., გულანი; A—1474, 1740 წ.; S—1324, 1686 წ.; ქუთ.—77, XV—XVI სს.: ქუთ.—83, XVII ს., გულანი; Q—74, XVII ს.).

ილარიონის სვინაქსარული ცხოვრების შეტანა „დიდი სვნაქსარის“ ნუსხებში უფრო გვიანდელი ფაქტია, ვიდრე მისი ხსენების გაჩენა ამ ძეგლებში. მართალია, თ. ჟორდანიას ფიქრობს, რომ A—626 ხელნაწერი, რომელიც ილარიონის სვინაქსარულ ცხოვრებას შეიცავს, გიორგი მთაწმიდლის სიცოცხლეშია გადაწერილი¹⁶⁸. მაგრამ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით არ შეიძლება იგი XII საუკუნეზე ადრინდელი იყოს. მთარგმნელისეული ანდერძი. რომლის მიხედვითაც მკვლევარმა ასეთი დასკვნა გააკეთა. ძველი დედნიდან არის მექანიკურად გადმოსული.

¹⁶⁷ ილარიონის ხსენების შეტანის დრო შეიძლება დავეუქვითრო „ოუენის“ თარგმნის თარიღს. როდესაც, შესაძლებელია, გიორგი მთაწმიდელს მოევიდა აზრი „ოუენის“ პარალელურად „სვნაქსარშიც“ შეეტანა ილარიონის ხსენება. ამ ვარაუდს აძლიერებს ის, რომ ილარიონის საგალობლის „ოუენში“ შეტანის ინიციატივა მთლიანად გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის, რადგანაც „ოუენის“ წყაროებად გამოყენებულ იდგარებში, საიდანაც ზოგიერთი ქართველი წმინდანის საგალობლები შევიდა „ოუენში“, ილარიონის ხსენება და საგალობელი არ მოიპოვება. ილარიონის ხსენება შეიძლება პირველად გაჩენილიყო „სვნაქსარის“ იმ ნუსხაში, რომელიც გიორგიმ პირველ-თარგმნელისაგან თავისი ხელით შეკრულ. ან მესამედ გადმოიწერა (A—222, 242 r-v, ანდერძი).

¹⁶⁸ H. Ж о р д а н и я, Описание рукописей..., кн. II, стр. 17.

ილარიონის სვინაქსარული ცხოვრების შემცველი უძველესი ხელნაწერებიდან აღსანიშნავია აგრეთვე A—222, XII ს.; A—839, XI—XIII სს. დანარჩენი ნუსხები შედარებით გვიანდელია: Jer.—80, XVI ს.¹⁶⁹; A—426, XVI ს.; ქუთ.—65, XVI ს.; H—936. XVI—XVII სს.; ცენტრ. არქ.—302, 1706 წ.; A—425, 1718 წ. ილარიონის სვინაქსარული ცხოვრების ძველი რედაქციის¹⁷⁰ შემცველი სულ 9 ხელნაწერია ცნობილი.

ამრიგად, ილარიონის სვინაქსარული ცხოვრებებს „დიდი სვინაქსარის“ ნუსხებში გაჩენის პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

1. „დიდი სვინაქსარის“ თავდაპირველ ნუსხაში არც ილარიონის სვინაქსარული ცხოვრება იყო და არც ხსენება.

2. ამ ძეგლის ზოგიერთ ნუსხაში გაჩნდა ილარიონის ხსენება სვინაქსარული ცხოვრების გარეშე. შეიძლება დაუშვათ, რომ ხსენების შეტანის ინიციატორი თვით გიორგი მთაწმიდელია, რომელმაც ეს ოპერაცია იმის შემდეგ გააკეთა, რაც „დიდი სვინაქსარის“ მთარგმნელის ხელიდან გამოსული რედაქციის ნუსხები უკვე გავრცელებული იყო. ჩვენი აზრით, ასეთი ოპერაცია გიორგის „თუნის“ შედგენის შემდეგ უნდა ჩაეტარებია.

3. XI ს. ბოლოს, ან XII ს. დასაწყისში ამ ხსენების საფუძველზე „დიდი სვინაქსარში“ შეიტანეს ილარიონ ქართველის სვინაქსარული ცხოვრება.

ახლა განვიხილოთ თვით სვინაქსარული ცხოვრება და ვაჩვენოთ წყაროები, რომლის მიხედვითაც ეს ძეგლია შედგენილი.

ექვყვარეშეა, რომ ილარიონის სვინაქსარული ცხოვრება შექმნი-

¹⁶⁹ Jer.—80 XII—XIII სს. ხელნაწერია. მაგრამ ილარიონის სვინაქსარული ცხოვრება მასში უფრო გვიანაა შეტანილი. ფურცელი, რომელიც შეიცავს ილარიონის სვინაქსარულ ცხოვრებას, ჩამატებულია 17 ნომბრის დღის შემდეგ, რადგან ამ ხელნაწერში თავის ადგილას, ე. ი. 19 ნომბრის დღისთან მისი ჩამატება არ მოხერხდა ტექნიკური მიზეზების გამო. ამიტომ ყოველად გაუმართლებლად ილარიონის სვინაქსარული ცხოვრება 18 ნომბრითაა აღნიშნული, ხოლო წმ. პლატონის სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც „სვინაქსარის“ ყველა ნუსხაში 18 ნომბრის დღის განგებაში ყოველთვის პირველ ადგილზეა, აქ ილარიონის სვინაქსარული ცხოვრების შემდეგ მოდის და მასში — თან წინააღმდეგობა ილარიონის სვინაქსარული ცხოვრების ხელით გადასწორებულია „ამასვე დღესა“-დ (გვ. 75—76). ილარიონის სვინაქსარული ცხოვრება დაწერილია იმავე ხელით, რომლითაც ამ ხელნაწერის ამოიხე მრავალგზის მიწერილი თეოდორეს (თქეს) ალაპი (გვ. 275). ხელის მიხედვით იგი XIV ს. აღიანიდელი არ უნდა იყოს.

¹⁷⁰ „ძველი რედაქციისა“ იმიტომ, რომ XVII—XVIII ს. შექმნა ილარიონის სვინაქს. ცხოვრებას მეორე, ყიდვე უფრო მოკლე რედაქცია.

ლია ილარიონის ვრცელი ცხოვრების მიხედვით. მაგრამ გასარკვევია, რომელი ცხოვრებაა სვინაქსარულის წყარო — ათონური, მეტაფრასტული თუ ათონურის შემოკლებული რედაქცია.

ამ საკითხს, ილარიონის მეტაფრასტული ცხოვრების დათარიღების საკითხთან დაკავშირებით, შეეხო აკად. კ. კეკელიძე და აღნიშნა, რომ ილარიონის ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია შედგენილია ათონურ და მეტაფრასტულ რედაქციათა საფუძველზე¹⁷¹.

მართლაც, თუკი სამივე ცხოვრებიდან მოვიტანთ პარალელურ ადგილებს, დავინახავთ, რომ, მართალია, სვინაქსარული ცხოვრება ძირითადად ფაქტებს ათონის რედაქციის ცხოვრებისაგან იღებს და ფრაზეოლოგიურადაც მასთან უფრო ახლო დგას, მაგრამ იგი იყენებს მეტაფრასტული ცხოვრების ათონური რედაქციის ცხოვრებისაგან განსხვავებულ ფაქტობრივ მონაცემებსაც:

სვინაქსარული	ათონური	მეტაფრასტული
„ესე იყო ქუეყანით კახეთით შვილი აზნაურთა მდიდართა“ ¹⁷² (A—626, 125 გვ.).	„აღმოსცენდა უკუე ნეტარი ესე ქუეყანით ქართლით საზღვართაგან და კერძოთა კახეთისათა. შვილი აზნაურთა მდიდართა და წარჩინებულთა“ (გვ. 71).	ესე ნათესავი ქართველი... ხოლო იყო... სამთავროსაგან კახეთისა, შშობელთაგან დიდებულთა და წარჩინებულთა გარდასიმდიდრითა გარდასიმდიდრითა. ხოლო მამა მისი მკედართ-მფლობელი იყო და ახოვან ბრძოლათა შინა“ (გვ. 372).
„ისწავლა ყოველივე სწავლა სულიერთა წიგნთა ბერისა ვისგანმე მოლუაწისა“ (იქვე).	„მეცა სწავლად კაცისა ღირსსა და ღმრთის მოყუარესა... იხილა მამამან მისმან სწავლა ყრმისა მის ბერისა მისგან“ (იქვე).	„მეცა სწავლად საღმრთოთა წერილთა მღდელსა ვისმე მოხუცებულსა, ფრიად სათნოებითა შემკულსა“ (გვ. 373).

¹⁷¹ კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 158.

¹⁷² გვერდები მითითებულია: სვინაქსარული ცხოვრებისათვის ძირითადი, A—626 ხელნაწერიდან, ათონურისათვის — „ათონის კრებულის“ მიხედვით (გამოც. 1901წ.), მეტაფრასტულისათვის — შ. სპინინის „საქ. სამოთხის“ მიხედვით (გამოც. 1882წ.), შემოკლებული რედაქციისათვის — ძე. ქართ. ლიტ. კრესტომათის I ტ. მიხედვით (1946 წ.).

ხვინაქსარული

ათონური

მეტაფრასტული

„და ვითარცა იყო იწე
 წლისაჲ წარვიდა გა-
 რე რჩისა უდაბნოსა და
 პოვნა მუნ მრავალნი
 მოლუაწენი წმიდანი
 წამანი და დაემკვდრა
 ქუაბსა მცირესა“.

(იქვე).

„აღდგა და წარვიდა
 უდაბნოსა გარეშე-
 სასა და პოვნა მუნ
 მრავალნი კაცნი მო-
 ლუაწენი და მახლო-
 ბელად მათსა ქუაბი
 ერთი მცირე... და შე-
 ვიდა და დაემკვდრა
 მას შინა, და იყო ჰა-
 საკითა ვითარ ათ-
 ხუთმეტისა წლისაჲ
 პოვა რაჲმე მცირე,
 რომელსა შინა დაემ-
 კვდრა“

(გვ. 72).

„იქმნა რაჲ იგი ათე-
 ქუსმეტის წლის, გა-
 ნეშორა მიერ და მო-
 ლუაწეთა მათ თანა
 მამათა მიიწია, რო-
 მელნი მკვდრ იყვნეს
 უდაბნოსა გარეშე-
 სასა... ამათ თანა
 უკუე მოიწია წმიდა
 ილარიონ და ქუაბი
 პოვა რაჲმე მცირე,
 რომელსა შინა დაემ-
 კვდრა“

(გვ. 374).

„განითქუა რაჲ ღირ-
 სებაჲ მისი. მოვიდა
 ეპისკოპოსი რუისთვი-
 საჲ ხილვად მისა და
 აკურთხა იგი მღღე-
 ლად“ (იქვე).

...განითქუა ჰამბავი
 ღირსებისა მისისაჲ
 ყოველსა ქუეყანასა
 ქართლისასა... ეუწყა
 ეპისკოპოსსა რუი-
 თველსა... აღდგა და
 წარვიდა მოკითხვად
 მისდა... აღდგა წმ.
 იგი ეპისკოპოსი და
 აკურთხა იგი მღღე-
 ლად“ (გვ. 72—73).

„ეპისკოპოზი ვინმე
 მახლობელთაგან სამ-
 თავროთა... მივიდა
 მისა... და განწმიდა
 იგი და აკურთხა... დი-
 აკონად და ხვალისა
 დღე სრულ-ჰყო იგი
 ხუცად“ (გვ. 376).

„დაადგინა მუნ ძმაჲ
 ერთი წინამძღურად
 და წარემართა წმი-
 დად ქალაქად იერუ-
 სალიმად“ (იქვე).

„გამოირჩია ძმათა მა-
 თგან ძმაჲ ერთი, რო-
 მელ იყო... შემძლე-
 ბელ წინამძღრობად
 და მწყესად სულთა;
 წინამ-
 ადგილსა
 თვისსა. წარიყვანა ძმაჲ
 ერთი და წარემართა
 წმიდად ქალაქად ილ-
 რესალიმად“

„გამოირჩია ძმაჲ ერ-
 თი, რომელ სხუათა
 მათ ჰმატლა სიტყუთ
 და საქმით და განგე-
 ბა მონასტრისა არწ-
 მუნა მას. ხოლო იგი
 თავადი ერთისა თანა
 მოწათისა გამოვიდა
 მიერ... და გზასა მას
 იერუსალიმად მიმ-
 ყუანებელსა... შეუდ-
 გა“ (გვ. 376).

(გვ. 74).

სვინაქსარული	ათონური	მეტაფრასტული
„და მისლვასა მისსა მიუტდეს რაჲ ავაზაკნი ბოროტნი და იკადეს მახვლები. რაჲთაჲცა სცეს და მოკლეს წმიდაჲ ილარიონ. განკმეს კელნი მათნი. და იწყეს რაჲ ტირილით ვედრებად მისა, ჟუარი დასწერა და განკურნა იგინი“ (იქვე).	„და სლვასა მას მათსა შინა მიუტდეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა... და იკადეს მახვლები მათი, რაჲთა სცენ მათ; და აღიპყრეს პირველად ცემად წმიდისა ილარიონისა და მეყსეულად განკმეს კელნი მათნი და ვერ შეუძლეს ქუე ჩამოხუმად. მაშინ იწყეს ტირილით ვედრებად მიდასწერა ჟუარი და განკურნა იგინი“ (გვ. 74—75).	„სლვასა მას შინა მოუტდეს არაბნი, რომელნი ავაზაკობად გამოსრულ იყვნეს, იკადეს მახვლი მათი... რაჲთაჲცა სცეს მახვლითა ღირსსა მას... მეყსეულად დაადგრეს კელნი მათნი განკმელად ხოლო მკულელნი იგი... ევდრებოდეს ტირილით. სასწაული ჟუარისაჲ გამოსახა განსა... და დასწერა ჟუაკმელთა მათ მარჯუენთა მათთა ზედა და მეყსეულად განიხსნეს საკრველთაგან“ (გვ. 376—377).

მოტანილი ადგილები ლაპარაკობს სვინაქსარული ცხოვრების ათონური რედაქციის ცხოვრებასთან როგორც ფაქტობრივ, ისე ფრაზეოლოგიურ სიახლოვეზე, მაგრამ ეს სიახლოვე ბოლომდე არ არის გატარებული. სვინაქსარული ცხოვრების ზოგიერთი ფაქტობრივი დეტალი თავის პარალელს მხოლოდ მეტაფრასტულ ცხოვრებაში პოულობს, ხოლო იგივე ადგილი ათონურში ან არ არის, ან კიდევ განსხვავებულია სვინაქსარულისა და მეტაფრასტული ცხოვრებებისაგან:

სვინაქსარული	მეტაფრასტული	ათონური
„წარვიდა იოვანე ნათლისმკცემლისა ქუაბსა, სადა პირველ იყოფებოდა ელია წინა“	„და თვთ უდაბნოთა მათ შთავიდა იორდანისათა და ქუაბსა მას მიემთხვეა, სადა-იგი ელია თეზ-“	„და შიიწია ვიდრე ლავრადმდე დიდისა საბაჲსა და დაყო ყოველთა მათ უდაბნოთა შინა“... (გვ. 75).

სვინაქსარული

მეტაფორასტული

წარმეტყუელი“ ბიტელი პირ-
(გვ. 125). ველ და უკუანამსკ-
ნელ მკვდრი იყო
იოანე წინამორბე-
დი და ნათლის-
მცემელი ქრის-
ტესი“ (გვ. 377).

და დაყო ი“ ზ წე- „ესევითარი უკუე და დაყო ყოველთა
ლი მოლუაწებიითა დი- ლუაწლი მოილუაწა მათ უდაბნოთა შინა
ლითა“ (იქვე). ჭუაბსა მას შინა უც- შვიდი წელი“
ხო რამე და საკვრ- (გვ. 75).
ველი და უაღრეს ბუ-
ნებისაგან კაცთასა
ყამთა ათ შვიდ-
მეტისა წლისა-
თა“ (გვ. 377).

„რამეთუ მომკუდ- „რამეთუ მამა და „რამეთუ აღსრულე-
არ იყვნეს მამაჲ ძმა მისი აღსრულე- ბულ იყვნეს მამაჲ
და ძმაჲ თვისი ბულ იყვნეს“ და ძმანი მისნი...
(გვ. 125). (გვ. 378). (გვ. 78).

„ძე მთავრისაჲ „და დაჯდა ბჭეთა თა- „მოიწია ქალაქად თე-
ნახევარ განკმა- ნა კაცისა... რომელსა სალონიკედ... მკე-
რი განკურნა“ აქუნდა პირველი პა- ვალმან მისმთა-
(გვ. 126). ტივი მთავრობი- ვრისი მან გამო-
სა ქალაქსა მას ილო ძე თვისი ოთ-
შინა და ესუა მას ხისა წლისაჲ ნახევარ
ძე მოწყულელი მიღებული... მეყსეუ-
ე შმაკისაგან და ლად განკურნა
მარჯუნე კერძო ნა- და აღდგა ყოვლი-
ხევარი იგი კორცთა თურთ უვნებელი ფე-
მისთა სრულიად გან- რკთა თვისთა ზედა“
მკმარ იყო... რომელი (გვ. 90).
მკვეალმან ვინმე ერ-
თმან გამოილო სახ-
ლით მას ეამსა... ილო-

ცა წმიდამან... მასვე
ეამსა მ რ თ ე ლ ა დ
გ ა მ ო ა ჩ ი ნ ა“
(გვ. 384—385).

აკად. კ. კეკელიძეს ამ ოთხის გარდა აღნიშნული აქვს კიდევ ორი მაგალითი, რომლის საფუძველზეც ფიქრობს, რომ სვინაქსარული ცხოვრება ამ შემთხვევებში მეტაფრასტულს მისდევს და განსხვავდება ათონური რედაქციის ცხოვრებისაგან¹⁷³. ეს სინამდვილეს მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება:

1. ილარიონის ცხოვრების სამივე რედაქციაში გვაქვს ეპიზოდი ილარიონის მიერ ცამეტი წლის კოკლის განკურნების შესახებ. კ. კეკელიძის მოწმობით, ათონურ რედაქციაში „ცხოვრების“ სხვა რედაქციებისაგან განსხვავებით, კოკლობის ხანგრძლიობა (13 წელი) მოხსენებული არ არის. მაგრამ სინამდვილეში ამ მხრივ ათონური რედაქცია იმავე სურათს გვიჩვენებს, რასაც სვინაქსარული და მეტაფრასტული რედაქციები:

სვინაქსარული	ათონური	მეტაფრასტული
„მკელობელი იგ წლისაჲ განკურნა“ (გვ. 126).	„მაქუს აქა ათცა-ნაფთვან დაეკოჳ-ლდი... და მუნ-თქუესვე განე-მართნეს ფერ-კნი მისნი და ალდგა და შევიდა ე-ნაცსა მას“ (გვ. 88).	„მაკირეებს მე სალ-მობაჲ სასტიკი, რომელმან განაკმნა მეღმან განაკმნა ფერკნი ჩემნი ათცამეტსა ამას წელიწადსა... წაბულად იქმნა“ (გვ. 384).

2. ილარიონის ეპისკოპოსად დანიშვნის ცდის ეპიზოდის შესახებ აკად. კ. კეკელიძე რატომღაც აღნიშნავს, რომ ამ ეპიზოდით სვინაქსარული ცხოვრება მეტაფრასტულს მისდევს და არა ათონურ-სო¹⁷⁴, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების სამივე რედაქციაში ეს ფაქტიც ერთნაირადაა გადმოცემული, უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, სვინაქსარული ცხოვრება ათონურთან უფრო მეტ სიახლოვეს უნდა იჩენდეს:

¹⁷³ კ. კეკელიძე, ეტიულები, ტ. IV, გვ. 151.

¹⁷⁴ იქვე.

სვინაქსარული

ათონური

მეტაფრასტული

<p>„...და ეგულებოდა რაჲ ...და ენება ყოველსა მთავართა ეპისკოპოსად დადგინებაჲ მისი, წარვიდა“... (გვ. 126). იგი ეპისკოპოზ“</p>	<p>ერსა და მთავარ-საცა მის ქუეყანი-სასა, რაჲთამცა ყვეს (გვ. 80).</p>	<p>„იქმნა წამება და გამორჩევა ყოველისა ერისაგან და თვითა ვადთა მათ მკერობელთაგან, რათა საყდარი იგი საეპისკოპოსო დაიპყრას ღიდმან ილარიონ“ (გვ. 379—380).</p>
--	---	---

ასე რომ იმ ექვსი შემთხვევიდან, რომლითაც, კ. კეკელიძის აზრით, სვინაქსარული ცხოვრება მეტაფრასტულს მისდევს¹⁷⁵. ძალაში ჭერჭერობით ოთხი ზემოაღნიშნული ეპიზოდი რჩება.

სვინაქსარულ და მეტაფრასტულ ცხოვრებათა ამ ოთხი შემხვედრი ადგილის საფუძველზედაც თითქოს საექვო არ უნდა იყოს აჯად. კ. კეკელიძის აზრი, რომ სვინაქსარული ცხოვრება ძირითადად ეყრდნობა ათონური რედაქციის ცხოვრებას, ხოლო რამდენიმე ეპიზოდით მეტაფრასტულთანაცა დაკავშირებული. მაგრამ აქ მხედველობაში არ არის მიღებული ილარიონის ცხოვრების შემოკლებული რედაქცია, რომელიც, მართალია, როგორც უკვე აღვნიშნეთ. ათონური რედაქციის ცხოვრების შემოკლებას წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთ დეტალს, შეგნებულად თუ შემთხვევით, მისგან განსხვავებულად გადმოგვცემს.

ილარიონ ქართველის შემოკლებული ცხოვრების რედაქცია, როგორც ვთქვით, მთლიანად დამყარებულია ათონის რედაქციის ცხოვრებაზე. იგი წარმოადგენს ვრცელი ცხოვრების თითქმის ერთი-ოთხად შემოკლებულ ვარიანტს, ოღონდ ათონური რედაქციის ფრაგეოლოგია, მცირე გამოწაკლისის გარდა, თითქმის ზუსტადაა გადმოტანილი. ასე რომ ამ ორი ცხოვრების ზემოაღნიშნულ მიმართებაში ექვსი შეტანა არ შეიძლება.

ჩვენ ვფიქრობთ, შემოკლებული ცხოვრების შემდგენელ-რედაქტორს ეს ცხოვრება წმინდა ლიტურგიკული მოსაზრებით უნდა შეედგინა. ამას ნათლად ადასტურებს ათონურ რედაქციასთან შე-

¹⁷⁵ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

მოკლებული ცხოვრების ტექსტობრივი შედარება: ათონური რედაქციის ცხოვრების ვრცელი შესავალი, რომელიც ილარიონის ცხოვრების დაწერის მიზეზებსა და მიზნებს ეხება, ზოგადი ხასიათის მსჯელობები, ადგილები, რომლებიც უშუალოდ არ ეხება ილარიონის ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებს და ავტორისეულ წილსვლებს შეიცავს, შემოკლებული რედაქციის ცხოვრებაში გამოტოვებულია. შემოკლებული ცხოვრება შედგენილია იმ პრინციპით, რომ თბრობა ილარიონის ცხოვრება-მოღვაწეობაზე გადმოცემული იყოს უშუალოდ მის პიროვნებასთან დაკავშირებული ფაქტების მოკლედ აღნიშვნით, ყოველგვარი გავრცობილი და რიტორიკულ-მხატვრული ფრაზეოლოგიის გარეშე, მაგრამ ისე, რომ არ დაჩჩეს აღუნიშვნელი ათონური რედაქციის არც ერთი ისეთი მცირე დეტალიც კი, რომელსაც ილარიონის პიროვნების შესახებ რაიმეს თქმა შეეძლოს.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითის ჩვენება შეიძლება, მაგრამ ჩვენ ერთი პარალელის მოტანით დავკმაყოფილდებით:

შემოკლებული ცხოვრება

ათონური

„მაშინ აღდგა ეპისკოპოსი იგი და აკურთხა იგი მღდელად და მოიღეს ლოცვა ურთიერთას და წარვიდა ეპისკოპოსი იგი და მიუთხრობდა ყოველსა ერსა სათნოებათა მისთა. და მრავალნი შორით ქუეყანით მოვიდოდეს ხილვად დამოღებად ლოცვისა მისისა. მაშინ გამოირჩია ძმაჲ ერთი და დაადგინა წინამძღურად აღდგილსა თვისსა.

და წარიყვანა ძმაჲ ერთი და წარემართა იგი

„მაშინ აღდგა წმიდა ეპისკოპოსი და აკურთხა იგი მღდელად და აღასრულეს წმიდა იგი საიდუმლო და ეზიარნეს ურთიერთას და წარვიდა ეპისკოპოსი იგი და მიუთხრობდა ყოველსა ერსა სათნოებათა მისთა და, რომელთა ესმოდა, მადლობდეს ღმერთსა, ხოლო მრავალნი შორით ქუეყანით მოვიდოდეს ხილვად მისა და მოღებად ლოცვისა მისისა წმიდისა.

და ამისა შემდგომად, იხილა რაჲ ნეტარმან ილარიონ სიმრავლელ იგი მისა მომავალთა მათ

შემოკლებული ცხოვრება

წმიდად ქალაქად იერუსალიმად“ (გვ. 171).

ათონური

ერთად, შეუძენდა საქმე ესე და იწყო ურვად და ჰასაკსავე სიკვაბუკისასა მოხუცებულებრი სული მოიპოვა, ვითარცა დიდმან მოსე. და შსაჯულ იქმნა შორის სულისა და კორცთა. უსაჯა დაწუნებულსა მას და მოუძღურებულსა, მოაკუდინა ხიმაღლე იგი კორცთაჲ და დაფარა ქვშასა შინა სიმდაბლისასა, ვინაჲ იგი ვერ შეუძლებს აღმოცენებად საძოვარი ვნებათაჲ და მერმე, იხილა რაჲ, ვითარმედ არა დასცხრებიან ძალნი იგი ბნელისანი შფოთის ყოფად ეგვპტესა მას შინა ვნებათასა, დაუტევა ყოველი ფარაოჲსი ფარაოჲსავე თანა მძლავრისა, განეშორა იგი და ამაღლდა მთასა მას სათნოებათასა, ვინაჲ-იგი მწყსიდა გულის სიტყუათა კეთილთა, ვითარცა რაჲ საცხოვართა მწუანვილოვანსა მას ზედა მოლუაწებისასა და ხილულთა ამათ განცდითა უხილავსა მის გულისკმის ყოფად აღიწეოდა, ვინაჲცა ცეცხლი იგი სულისაჲ ეკლო ვნებასა მას შინა კორცთა თვისთასა იხილა მგზებარედ, რომლისაგანცა შეუწუელად დაიწუებოდა.

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. მოუტდა წმიდასა მას სურვილი უცხოებისაჲ და სიძლილი ცუდად დიდებისაჲ და უფროჲს და უპირატეს ამისსა სურვიელ იყო თაყუანის-

ცემად წმიდათა მათ და ცხოველსა-მყოფელთა ადგილთა, ვინაჲ-იგი თავს ისხნა ჩუენთუს ვნებანი კორცითა ამით კაცობრივითა, რომელნი ჩუენგან მიიხუნა სიტყუამან ღმრთისამან უენებელმან და ვითარცა ეგულეზოდა, გამორჩია ძმათა მათგან ძმაჲ ერთი, რომელი იყო უვადრეს ყოველთაჲსა სათნობითა და შემძლებელი წინამძღრობად და მწყსად სულთა ესე და ადგინა წინამძღლურად ადგილსათვისსა და წარიყვანა ძმაჲ ერთი და წარემართა წმიდად ქალაქად იერუსალჴმდ“ (გვ. 73—74).

შემოკლებულ ცხოვრებას აქვს სვინაქსარული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ლიტონი დასაწყისი: „ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ილარიონ იყო ნათესავით ქართველი, ქუეყანით კახეთით, შვილი აზნაურთა მდიდართაჲ“¹⁷⁶. ყველა ცნობილი ქართული სვინაქსარული ცხოვრება ზუსტად ასე იწყება. ხოლო ვრცელი ტიპის ცხოვრებისათვის ასეთი დასაწყისი უჩვეულოც კი არის.

ამრიგად, ჩვენის აზრით, ათონური რედაქციის ასეთი სახით შემოკლება დაკავშირებული უნდა იყოს ილარიონ ქართველის ხსენების დღეს, 19 ნოემბერს, ამ დროისათვის უკვე ღვთისმსახურებაში განმტკიცებული ტრადიციის მიხედვით, მისი მოკლე, სვინაქსარული ტიპის ცხოვრების წაკითხვის საჭიროებასთან.

მართალია, ილარიონის შემოკლებული ცხოვრების შემცველი უძველესი ხელნაწერი XIII საუკუნისაა (Q—762), მაგრამ ის გაცილებით ადრეა შექმნილი და წინ უნდა უსწრებდეს ილარიონის სვინაქსარული ცხოვრების შექმნას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, როდესაც ილარიონის სვინაქსარული ცხოვრების „დიდ სვინაქსარში“ შეტანა გადაწყვიტეს, რადგან ილარიონის შემოკლებული ცხოვრება

¹⁷⁶ ლ. ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. 1. გვ. 170.

ასეთი კრებულისათვის ძალიან ვრცელი იყო, ამ შემოკლებული ცხოვრებისა და სხვა წყაროების საფუძველზე შედგენილი იქნა მასზე გაცილებით მოკლე სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც შევიდა კიდევ „დიდი სვინაქსარის“ ჩვენთვის ცნობილ ნუსხებში. სვინაქსარული ცხოვრება რომ ძირითადად შემოკლებულ ცხოვრებას ეყრდნობა, შევეცდებით ქვემოთ ვაჩვენოთ.

უკვე აღვნიშნეთ, რომ შემოკლებული ცხოვრების რედაქცია წარმოადგენს გამოკრებილი მოკლე ცხოვრების ტიპს, რომელსაც სვინაქსარული ცხოვრების დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ფაქტიურად მასალა და ფრაზეოლოგია შემოკლებულ ცხოვრებას თითქმის მთელი სიზუსტით აქვს აღებული ათონური რედაქციის ცხოვრებიდან. მაგრამ ზოგიერთი დეტალის გადმოცემაში ამ ცხოვრებათა შორის განსხვავება შეიმჩნევა. საგულისხმოა, რომ ამ განსხვავებული დეტალების გადმოცემაში შემოკლებული ცხოვრება ფაქტების აღნიშვნის მხრივ მეტაფრასტულ ცხოვრებას ენათესავება, ხოლო ფრაზეოლოგიურად მაინც ათონური რედაქციის ცხოვრებას ეყრდნობა:

შემოკლებული

ათონური

მეტაფრასტული

„აღდგა და წარვიდა იგი უდაბნოსა გარეჟისასა... და იყო ჰასაკითა ვითარ ათოთხმეტისა წლისა“
(გვ. 171).

„აღდგა და წარვიდა უდაბნოსა გარეჟისასა... და იყო ჰასაკითა ვითარ ათხუთმეტისა წლისა“
(გვ. 72).

„იქმნა რაჲ იგი ათეჟუსმეტისა წლისა, განეშორა... და... მიიწია... უდაბნოსა გარესჟისასა“
(გვ. 374).

„და ვითარ მივიდა, პოვა, რამეთუ აღსრულებულ იყო მამაჲ მისი და ძმაჲ ცა“
(გვ. 171).

„და ვითარცა მოიწია, პოვნა, რამეთუ აღსრულებულ იყვნეს მამაჲ და ძმანი მისნი“
(გვ. 78).

„...მიიწია მამულსა თვისსა და პოვა, რამეთუ მამა და ძმა მისი აღსრულებულ იყვნეს“
(გვ. 378).

„აჰა მკევეალმან მის მთავრისამან გამოიყვანა ძე მთავრისაჲ მის ოთხისა წლისაჲ ნახევარმელებული“
(გვ. 173).

„მკევეალმან მის მთავრისამან გამოიყვანა ძე თვისი ოთხისა წლისაჲ ნახევარმელებული“
(გვ. 90).

„...აქუნდა პირველი პატივი მთავრობისა ქალაქსა მას შინა და ესუა მას ძე მოწყლული ეშმაკისაგან... ნახევარი იგი... განმკმარ იყო“
(გვ. 384).

პირველ მაგალითში განსხვავება შემოკლებულსა და ათონურს შორის შემოკლებული ცხოვრების შემდგენლისა ან ამ ცხოვრების გადამწერის უნებლოე შეცდომის შედეგი უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ამ ადგილის დანარჩენი სიტყვები ორივე ცხოვრებაში აბსოლუტური სიზუსტითაა განმეორებული.

ამას ვერ ვიტყვით მეტაფრასტულის „ათექუსმეტის“ შესახებ, რომლის შეცვლასაც შეგნებული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

მეორე და მესამე მაგალითი გვიჩვენებს, რომ ფრაზეოლოგიურად შემოკლებული ცხოვრების რედაქცია ათონურს მისდევს, ფაქტიური მხარე კი მეტაფრასტულის მსგავსია. ეს სწორედ ის ადგილებია, რომლებითაც, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სვინაქსარული ცხოვრება ათონური რედაქციის ცხოვრებისაგან განსხვავდება და მეტაფრასტულის მსგავს სურათს გვიჩვენებს. ამდენად საჭიროა გაირკვეს: სვინაქსარული ამ ადგილების გადმოცემაში ეყრდნობა მეტაფრასტულს თუ შემოკლებული რედაქციის ცხოვრებას?

სვინაქსარული

შემოკლებული

მეტაფრასტული

„წარვიდა ქუეყანად და ვითარ მივიდა, მიიწია მამულსა თვსა, რამეთუ მომკუ- პოვა, რამეთუ აღსრუ- თვსსა და პოვა, რა- დარ იყვნეს მამაა და ლებულ იყო მამაა მეთუ მამა და ძმა მი- ძმაა თვისი (გვ. 125). მისი და ძმააცა“ სი აღსრულებულ იყ- (გვ. 171). ვნეს“ (გვ. 378).

„ძე მთავრისაა ნახე- „მკვეალმან მის მთა- ...აქუნდა პირველი ვარ-განმკმარი განკუ- ვრისამან გამოიყვანა პატივი მთავრობი- ძე მთავრისაა მის საა... და ესუა ძე მო- ითხისა წლისაა ნახე- წყლული ეშმაკისა- ვარ-მიღებული“ გან...“ (გვ. 384). (გვ. 173).

მიუხედავად იმისა, რომ სამივე ცხოვრება ფაქტების გადმოცემაში განსხვავებას არ იძლევა და ფრაზეოლოგიური მიმართებაც ხელშესახებ მასალას არ გვაძლევს რაიმე სარწმუნო დასკვნის გამოსატანად, მაინც იგრძნობა, რომ სვინაქსარული ცხოვრება შემოკლებულთან უფრო მეტ სიახლოვეს იჩენს.

ამრიგად, საფიქრებელია, რომ ეს ორი ადგილი სვინაქსარულ ცხოვრებას აღებული აქვს არა მეტაფრასტულიდან, არამედ შემოკლებული ცხოვრების რედაქციიდან. ამდენად, ამ ცამეტი შემთხვევიდან, რომლებიც აქად. კ. კეკელიძემ უჩვენა, თითქოს შვიდ შემ-

თხვევაში სვინაქსარული ათონურს მისდევს, ხოლო ექვსში კი მეტაფრასტულსაო¹⁷⁷, ჩვენ ასეთი შესწორება უნდა შევიტანოთ, რომ სვინაქსარული ცხოვრება თერთმეტ შემთხვევაში შემოკლებული რედაქციის ცხოვრებას მისდევს, ხოლო ორ შემთხვევაში კი — მეტაფრასტულს.

ამრიგად, ილარიონის სვინაქსარული ცხოვრება ორი გამონაკლისის გარდა, შემოკლებული ცხოვრების ფაქტებს იმეორებს. სვინაქსარული ცხოვრების ის ადგილი, რომ ილარიონი „წარვიდა ნათლის-მცემლისა ქუაბსა, სადა პირველ იყოფებოდა ელია წინაწარმეტყუელი“¹⁷⁸, მხოლოდ მეტაფრასტულშია დადასტურებული: „და თვთ უდაბნოთა შინა შთავიდა იორდანისათა და ქუაბსა მას მიემთხვა, სადა-იგი ელია თეზბიტელი პირველ და უკანაჲსკნელ მკვდრ იყო იოვანე წინამორბედი და ნათლის-მცემელი ქრისტესი“¹⁷⁹. ათონური რედაქციისა და შემოკლებული ცხოვრებანი ილარიონის იორდანის უდაბნოში მოღვაწეობის ფაქტს აღნიშნავენ მხოლოდ ზოგადად, იოვანე ნათლისმცემლის „ქუაბის“ აღუნიშნებლად¹⁸⁰.

მეორე ეპიზოდი, რომლითაც სვინაქსარული ცხოვრება დამოკიდებულია მეტაფრასტულზე, შეეხება ილარიონის იორდანის უდაბნოში მოღვაწეობის ხანგრძლიობას, რომელიც სვინაქსარულ და მეტაფრასტულ ცხოვრებათა მიხედვით უდრის 17 წელს¹⁸¹, ხოლო, ათონური და შემოკლებულ ცხოვრებათა რედაქციებით — 7-ს¹⁸².

რატომ შეცვალა მეტაფრასტული ცხოვრების ავტორმა წყაროს ჩვენება?

ჩვენი აზრით, მიზეზი ამისა შემდეგი უნდა იყოს. ილარიონის ცხოვრების ათონურ რედაქციაში ნათქვამია, რომ ილარიონი 53 წლის ასაკში გარდაიცვალა¹⁸³. ათონურ ცხოვრებაში ილარიონის ამა თუ იმ ადგილზე მოღვაწეობის ხანგრძლიობის წლები ყოველთვის არ არის მოცემული. მეტაფრასტული ცხოვრების ავტორს განუზრახავს ათონური ცხოვრების ქრონოლოგიის შეესება. ამ მიზნით მას ათონური ცხოვრების წლების აღნიშვნა ზოგან შეუცვლია, ზოგან

¹⁷⁷ ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე. ეტიუდები. ტ. IV. გვ. 151—152.

¹⁷⁸ A—626, 125 გვ.

¹⁷⁹ მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 377.

¹⁸⁰ „ათონის კრებული“, გვ. 75; ძვ. ქართული ლიტ. ქრესტომ., ტ. I. გვ. 171.

¹⁸¹ A—626; გვ. 125. საქართველოს სამოთხე, გვ. 377.

¹⁸² „ათონის კრებული“, გვ. 75; ძვ. ქართ. ლიტერ. ქრესტომათ., ტ. I. გვ. 171.

¹⁸³ „ათონის კრებული“, გვ. 96.

კი ახლად ჩაუმატებია იმე, რომ ამ წლებისა ჯამს საბოლოოდ 53 მო-
ეცა. მას ხაზგასმული აქვს, რომ, როდესაც ილარიონი გარეჯის
უდაბნოში მივიდა, ის თექვსმეტი წლისა იყო და არა თხუთმეტისა,
როგორც ეს ათონური ცხოვრების რედაქციაშია. გარეჯის უდაბნო-
ში იგი „დაადგრა იწროებით ყოველთა ათის წლისა ეამთა მცი-
რესა მას ქუაბსა“¹⁸⁴. ილარიონმა რომ გარეჯაში 10 წელი დაყო, არ
არის აღნიშნული ილარიონის ცხოვრების არც ერთ რედაქციაში,
გარდა მეტაფრასტულისა. რატომ უჩვენებს მეტაფრასტული ცხოვ-
რება მაინცდამაინც ათ წელს? ალბათ, მეტაფრასტული ცხოვრების
ავტორი გამოდის იქედან, რომ ილარიონი გარეჯის უდაბნოში 16
წლის მოვიდა, ხოლო, როდესაც რუსთავის ეპისკოპოსმა მღვდლად
აყურთხა, საეკლესიო წესების თანახმად ამ დროისათვის იგი 25—26
წლის მაინც უნდა ყოფილიყო.

ილარიონის იორდანის უდაბნოში მოღვაწეობის ხანგრძლიობა
ათონურსა და შემოკლებულ ცხოვრებებში 7 წლით არის აღნიშ-
ნული. ეტყობა მეტაფრასტულის ავტორს არაზუსტად მოსჩვენებია
ათონურის მონაცემი, რადგან ილარიონის იორდანის უდაბნომდე
და უდაბნოს შემდეგ მოღვაწეობის წლების ჯამი დაბადებიდან მხო-
ლოდ 36 წელს შეადგენდა, ამიტომ მას 7—17-ად შეუცვლია და სა-
ბოლოოდ მართლაც 53 გამოუყვანია.

მიუხედავად ასეთი ცდისა მეტაფრასტულ ცხოვრებას ზოგიერ-
თი ქრონოლოგიური მომენტი მხედველობიდან გაპოჩინია: იერუ-
სალიმიდან დაბრუნების შემდეგ კონსტანტინოპოლში გამგზავრება-
მდე ილარიონი სამშობლოში რამდენიმე წელს უნდა დარჩენილიყო,
რადგან მან აქ მამათა და დედათა მონასტრები ააგო; ილარიონის
მოგზაურობას გარეჯიდან იერუსალიმს, ულუმბოს მთაზე, კონსტან-
ტინოპოლს, თესალონიკეს, რომს წლების გარკვეული რაოდენობა
დასჭირდებოდა. მეტაფრასტულ ცხოვრებას კი ეს წლები მხედვე-
ლობაში არა აქვს მიღებული¹⁸⁵. ამდენად მეტაფრასტული ცხოვრე-
ბის ქრონოლოგია უმეტესად ავტორის ფანტაზიის ნაყოფი უნდა
იყოს. ასეთი ვრცელი მსჯელობა იმისათვის დაგვიჭირდა, რომ გვეჩ-
ვენებინა: სვინაქსარულ ცხოვრებაში აღნიშნული იორდანის უდაბ-
ნოში ილარიონის მოღვაწეობის „იზ“ (17) წელიწადი არ შეიძლება
ათონური რედაქციის, ან შემოკლებული ცხოვრების „ზ“ (7)-ს შეც-
დომით გადმოღების შედეგი იყოს. სვინაქსარული ცხოვრება, ეპი-

¹⁸⁴ საქართველოს სამოთხე, გვ. 374.

¹⁸⁵ ს. კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ე. ეტიულება, IV, გვ. 153.

ვარეშა, ამ შემთხვევაში წყაროდ მეტაფრასტულ ცხოვრებას იყენებს.

ასევე შეგვიძლია ვთქვათ სვინაქსარულ ცხოვრებაში აღნიშნული ილარიონის იოვანე ნათლისმცემლის „ქუაბში“ დაყუდების ფაქტის შესახებაც: წყარო აქაც მეტაფრასტული ცხოვრებაა.

ამრიგად, ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებია, რომ ილარიონ ქართველის სვინაქსარული ცხოვრება შედგენილია ძირითადად ილარიონის ცხოვრების შემოკლებული რედაქციის საფუძველზე, ხოლო რამდენიმე ფაქტი (ორი) აღებულია მეტაფრასტული ცხოვრებიდან. მაინც რა უშლის ხელს იმ ვარაუდის დაშვებას, რომ სვინაქსარული ცხოვრება შედგენილია არა შემოკლებული ცხოვრების, არამედ ათონური რედაქციის მიხედვით, ხოლო ის, რაც განსხვავებულია ათონური რედაქციის ცხოვრებისაგან და გვაქვს შემოკლებულსა და მეტაფრასტულში, სვინაქსარულს მთლიანად აღებული ჰქონდეს მეტაფრასტული ცხოვრებიდან, როგორც ამას აკად. კ. კეკელიძე ფიქრობს? ამის საწინააღმდეგოდ, ჩვენის აზრით, უნდა ლაპარაკობდეს შემდეგი გარემოება: სვინაქსარული ცხოვრების ის ადგილები, რომლებიც ან ათონური რედაქციის ცხოვრებიდან უნდა იყოს აღებული, ან შემოკლებულიდან, ფრაზეოლოგიურად შემოკლებულ რედაქციასთან უფრო ახლოს დგას ვიდრე ათონურთან:

სვინაქსარული

შემოკლებული

ათონური

„ესე იყო ქუეყანი ით ქახეთით შვილი აზნაურ- თა მდიდართაჲ“ (გვ. 125).	„ესე წმიდაჲ ჩუენი ილარიონ იყო ნა- თესავით ქართველი, ქუეყანით ქახეთ- ით, შვილი აზ- ნაურთა მდი- დართაჲ“ (გვ. 170).	„აღმოსცენ და ჴკუენეტარი ესე ქუ- ქართალით საზღვართაგან და კერძოთა ქახეთი- სათა. შვილი აზნაურ- თა და წარჩინე- ბულთა“ (გვ. 71).
--	---	--

„განითქუა ღირსე- ბაჲ მისი“ (გვ. 125).	„განითქუა ღირსე- ბაჲ მისი მას ქუ- ეყანასა (გვ. 171).	„განითქუა ჰამბა- ვი ღირსებისა მისისაჲ ყოველ- სა მას ქუეყანასა ქარ- თლისასა“ (გვ. 72).
--	--	---

სვინაქსარული	შემოკლებული	ათონური
„მოვიდა ეპისკოპოსი რუისთვისაჲ ხილვად მისა“ (გვ. 125).	„ესმა ეპისკოპოსსა რუისთველსა ღირსებაჲ მისი, აღდგა და მივიდა მოკითხვად მისა“ (გვ. 171).	„ეუწყა ეპისკოპოსსა რუისთველსა სიმრავლე იგი სათნობათა მისთაჲ, აღვისო იგი სულიერითა სურვილითა, აღდგა და წარვიდა მოკითხვად მისდა“ (გვ. 72).
„მოუქდეს რაჲ ავაზაკნი ბოროტნი და იკადეს მახვლები, რაჲთამცა სცეს და მოკლეს წმიდაჲ ილარიონ“ (გვ. 125).	„დაემთხვნეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა იკადეს მახვლები, რაჲთამცა სცეს წმიდასა ილარიონს (გვ. 171).	„მიხუდეს ავაზაკნი ბოროტნი გზას ზედა და მეყუსეულად, ვითარცა მკეცნი მოუქდეს მათ ზედა ჩუელებისაებრ გონებათა მათთაჲსა და იკადეს მახვლები მათი, რაჲთა სცენ მათ“ (გვ. 74—75).
„რამეთუ მომკუდარიყვნეს მამაჲ და ძმაჲ თვისი“ (გვ. 125).	„რამეთუ აღსრულებულ იყო მამაჲ მისი და ძმაჲ ცა“ (გვ. 171).	„რამეთუ აღსრულებულ იყვნეს მამაჲ და ძმანი მისნი“ (გვ. 78).
„და ძე მთავრისაჲ ნახევარგანმკმარი განკურნა“ (გვ. 126).	„მკეველმან მის მთავრისამან გამოიყვანა ძე მთავრისა მისოთხი წლისაჲ, ნახევარ მიღებული... წმ. ილარიონ ჭუარი დასწერა... და მეყსეულად განკურნა“ (გვ. 173).	„მკეველმან მის მთავრისამან გამოიღო ძე თვისოთხი წლისაჲ ნახევარ მიღებული... წმ. ილარიონ... ჭუარი დასწერა... და აღდგა ყრმაჲ იგი ცოცხლებით“ (გვ. 90).

ჩვენ ძირითადად მოვიტანეთ ის ადგილები, რომლებითაც ათონური და შემოკლებული ცხოვრებანი ერთმანეთისაგან ცოტათუ ბევრად განსხვავდებიან, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში სვინაქ-

საჩუქრის პარალელური ადგილები ორივეში ერთნაირადაა წარმოდგენილი, უფრო სწორად: შემოკლებული ცხოვრება ზუსტად, თითქმის სიტყვასიტყვით გამოკრებს წინადადებებს ათონური ცხოვრებიდან და არავითარ, არც აზრობრივ, არც ფრაზეოლოგიურ ისეთ ნიუანსს არ იძლევა, როგორც ზემოთ მოტანილ მაგალითებში გვაქვს. განსხვავებული ადგილების სვინაქსარულთან შეჯერების საფუძველზე ჩანს, რომ სვინაქსარული ცხოვრება უფრო ახლოსაა შემოკლებულთან, ვიდრე ათონურთან. ეს კი გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ სვინაქსარული ცხოვრება შედგენილია ძირითადად ილარიონის ცხოვრების არა ათონური, არამედ შემოკლებული ცხოვრების რედაქციის საფუძველზე. მეორე მხრით, რადგან შემოკლებული ცხოვრება შექმნილია ათონური ცხოვრების მიხედვით, სვინაქსარული ცხოვრების საერთო ადგილები და ფრაზეოლოგია ათონურ რედაქციასთან გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. ვიმეორებთ, რომ იქ, სადაც ათონური რედაქციის ცხოვრება განსხვავდება შემოკლებულისაგან, სვინაქსარული ყოველთვის შემოკლებულ ცხოვრებას უჭერს მხარს (გარდა ზემოაღნიშნული ერთი შემთხვევისა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, უნებლიე შეცდომის შედეგი უნდა იყოს).

ილარიონის სვინაქსარული ცხოვრების ირგვლივ ჩვენ მიერ ჩატარებული დაკვირვებები შემდეგი დასკვნების საფუძველს იძლევა:

1. ილარიონის სვინაქსარული ცხოვრება „დიდი სვნაქსარის“ თავდაპირველ ნუსხებში არ ყოფილა შეტანილი. „სვნაქსარში“ მისი შეტანა XI ს. მიწურულით ან XII ს. დასაწყისით უნდა განისაზღვროს.

2. ილარიონის ხსენება „დიდი სვნაქსარის“ პირველსავე ქართულ ნუსხაში არ უნდა ყოფილიყო შეტანილი, წინააღმდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრისა, რადგან XI ს. „დიდი სვნაქსარის“ ხუთი ნუსხიდან ამ ხსენებას მხოლოდ ერთი (A—193) შეიცავს.

3. ილარიონის ხსენება გიორგი მთაწმიდლის სიცოცხლეშივე, შესაძლებელია, თვით გიორგის მიერაა შეტანილი „სვნაქსარში“, მაგრამ არა პირველსავე ნუსხაში, არამედ მოგვიანებით.

4. სვინაქსარული ცხოვრება შედგენილია არა ათონური რედაქციის ცხოვრების მიხედვით, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში იყო მიჩნეული, არამედ შემოკლებული ცხოვრების საფუძველზე და ორ შემთხვევაში ფაქტიურ მასალას იღებს მეტაფრასტული ცხოვრებიდან.

5. შემოკლებული ცხოვრება სვინაქსარული ტიპისაა და შექმნილი უნდა იყოს ლიტურგიული მიზნით.

6. მეტაფრასტული ცხოვრება წყაროდ იყენებს არა მარტო ათონური რედაქციის ცხოვრებას, არამედ შემოკლებული ცხოვრების ზოგიერთ მონაცემსაც.

7. შემოკლებულ და სვინაქსარულ ცხოვრებათა შექმნა ათონის ქართველთა მონასტერშია სავარაუდებელი. მაგრამ ავტორის ენობის შესახებ არაფერი ვიცით.

5. დავით და კონსტანტინე

დავით და კონსტანტინეს შესახებ ქართულ აგიოგრაფიულ ლიტერატურას ერთი თხზულება შემოუნახავს. აკად. კ. კეკელიძის მოწმობით, ეს მეტაფრასტული თხზულება XII საუკუნეზე აღინდელი არ უნდა იყოს, რადგან მასში გამოყენებულია ჭუნაშერის საისტორიო ნაშრომი და არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ მოთავსებული ერთი ანტიმაჰმადიანურ-პოლემიკური თხზულება¹⁸⁶. მეტაფრასტული თხზულება აღმოცენებული უნდა იყოს დავით და კონსტანტინეს ცხოვრების ძველ რედაქციაზე, რომლის არსებობის კვალი თვით ამ თხზულებაში ჩანს: „ვითარცა გვსწავიეს ესე ძუელთა უწყებათაგან, იყვნეს წმიდანი ესე მოწამენი სანახებოსაგან არგუეთისა“. როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, „ძუელი უწყებანი“ საისტორიო თხზულებას არ უნდა გულისხმობდეს, ვინაიდან დავით და კონსტანტინეს არ იხსენიებს არც ერთი ქართველი არაბთა შემოსევის ისტორიკოსი — არც ჭუნაშერი და არც სუმბატი. მაშასადამე, ავტორს მხედველობაში აქვს ძველი რედაქცია დავით და კონსტანტინეს მარტვილობისა, რომელიც ჩვენამდე არ შენახულა“¹⁸⁷.

დავით და კონსტანტინეს ცხოვრების სვინაქსარული რედაქციების გამოვლინებასა და მათ შესწავლაზე მუშაობისას ჩვენ რამდენადმე იმედი გვქონდა წავწყდომოდით რომელიმე მათგანის მიერ არგვეთის მოწამეთა ცხოვრების ამ უძველესი რედაქციის გამოყენების კვალს.

დავით და კონსტანტინეს ვრცელმა ცხოვრებამ ჩვენამდე თუკი ერთადერთი რედაქციით მოაღწია, სამაგიეროდ ქართულ ლიტურ-

¹⁸⁶ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 497.

¹⁸⁷ იქვე.

გიკულ კრებულებში შემონახულია მათი სვინაქსარული ცხოვრების ხუთი სხვადასხვა რედაქცია. რედაქციების ასეთი სიმრავლე არ აქასიათებს არც ერთ სხვა ქართველი წმინდანის სვინაქსარულ ცხოვრებას. თუკი ჩვენ ვიმსჯელებთ იმ ხელნაწერთა მიხედვით, რომლებიც შეიცავენ ამ მოწამეთა სვინაქსარულ ცხოვრებებს, მათი შექმნის ქრონოლოგია XIII—XVIII სს. უნდა შემოიფარგლოს. აქ ჩვენ შევხებით დავით და კონსტანტინეს სვინაქსარული ცხოვრების უძველეს რედაქციას, ხოლო დანარჩენებზე ლაპარაკი გვექნება XVII—XVIII სს. სვინაქსარულ ცხოვრებათა განხილვის დროს.

დავით და კონსტანტინეს სვინაქსარული ცხოვრების უძველესი რედაქციის ყველაზე ადრინდელი ნუსხა მოთაესებულია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 4 (ძველი ფონდით — 3) ხელნაწერში. ხელნაწერი თისლის მონასტრის (აწყურის მახლობლად, სამცხეში) სვინაქსარია, გადაწერილი ეტრატზე ერთ სვეტად მომსხო ნუსხა-ხეცურით. სვინაქსარი ნაკლულია, დარჩენილია მხოლოდ 87 ფურცელი. აღმწერი — ექ. თაყაიშვილი მას XIII—XIV სს. ათარილებს.

დავით და კონსტანტინეს სვინაქსარული ცხოვრების ამ რედაქციის უძველესი ნუსხა ჩვენთვის ცნობილია პარიზიდან მიღებული მიკროფილმისა და მ. ბროსეს გამოცემის მიხედვით¹⁸⁸ (ის შეტანილია *Eléments de la langue géorgien*-ში, გვ. 268—83). ამ მოწამეთა სვინაქსარული ცხოვრების ამავე რედაქციის მეორე ძველი ნუსხა დატულია ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის № 161, XVI ს. (კვირინიშნების მიხედვით 60—70-იანი წლები) ხელნაწერში. ხოლო უფრო გვიანდელი კი — XVIII ს., Q—105ა გულანში.

სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია სხვებთან შედარებით სინტერესო ჩანს, რადგან გაცილებით მეტია სხვაობა მეტაფრასტული ცხოვრებისაგან. ამ რედაქციის სვინაქსარული ცხოვრება მეტაფრასტულთან ძირითადად მხოლოდ შინაარსობლივ მსგავსებას

¹⁸⁸ მ. ბროსეს მიერ გამოცემული დავით და კონსტანტინეს სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი მ. ებრაღიძეს „კიმენურ“ რედაქციად მიუჩნევია (მ. ებრაღიძე, დავით და კონსტანტინეს მარტვილობის „კიმენური“ რედაქცია, თბილ. სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა მერვე სამეცნიერო კონფერენცია, 1946წ., 13—16 მაისი, თეზისები, გვ. 3, ხელმძღვანელი, აკად. ე. კეკელიძე), რაც არ არის სწორი. არ არის სწორი აგრეთვე მისი დაკვირვება, თითქოს ეს „ცხოვრება“ საფუძვლად დასვებოდეს მეტაფრასტულ „ცხოვრებას“, რადგან ამ მტიციებას მხარს არ უჭერს ამ ძეგლთა ტექსტობრივი მონაცემები.

იჩენს, ზოლო მათი ფრაზეოლოგიური დამთხვევის არც ერთი მაგალითი არ დასტურდება. მაგალითისათვის მოვიტანოთ ისეთი ადგილები, სადაც, ასე ვთქვათ, ყველაზე უფრო ჩანს ამ ცხოვრებათა ტექსტობრივი სიახლოვე:

სვინაქს. ცხოვრ. I რედაქცია
 „ესე უძლეველნი მოწამენი იყვნეს ნათესავით ქართველნი, საზღვართაგან აფხაზეთისათა, სანახებისაგან არგუეთისა. აზნაურნი იყვნეს ტომით და ნათესავნი ერთმანეთისანი“ (13r).

„...ხოლო წმიდათა სიხარულით შეიწყნარეს და გუამთა მათთა განუხრწნელად დამარხვამ ილოცეს და ითხოვეს ღმრთისაგან, რამთა რომელნი შეეხნიან და რომელთა სახელი მათი მოიქსენონ, ყოველთა საღმობათაგან განიკურნნენ“ (14r).

თუკი მოტანილი მაგალითები ამ ორი „ცხოვრების“ სიახლოვის შედარებით კარგი ნიმუშებია, სხვა შემთხვევაში მათ ფრაზეოლოგიურ სიახლოვეზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. უკეთეს შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ სვინაქსარული ცხოვრების მიერ მეტაფრასტულის პერიფრაზულად, თავისუფალი თხრობის ფორმით გადმოკეთებაზე. თუმცა, არ არის გამორიცხული სვინაქსარული ცხოვრების მიერ დავით და კონსტანტინეს წამების შემცველი უცნობი წყაროთი სარგებლობის შესაძლებლობაც. ასეთი ეჭვი შეიძლება დაბადოს სვინაქსარულ ცხოვრებაში დაცულმა არა ერთმა და ორმა დეტალმა, რომლებიც მეტაფრასტული ცხოვრებისთვის უცნობია. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სვინაქსარული ცხოვრება მეტა-

მეტაფრასტული ცხოვრება
 „იყენეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კონსტანტინე ქართველნი, სანახებისაგან არგუეთისა, დიდნი და დიდებულნი ტომებით და მთავარნი ამის ქუეყანისანი და თჳს-ეყვოდეს ურთიერთას“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია, I, გვ. 234—35).

„ხოლო წმიდათა მათ... კმა ყვეს ღმრთისა მიმართ... შეისმინენ ვედრებანი ჩუენნი... შემდგომად წამებისა ჩუენისა დაჰმარხენ გუამნი ჩუენნი განუხრწნელად და დაურღვეველად და, რომელთა ხადონ სახელითა ჩუენითა სახელსა შენსა წმიდასა, მსწრაფლ ეწიენ წყალობამ შენი... და ყვენ ასონი კორცთა ჩუენთანი მკურნალ ყოველთა სენთა და უძღურებათა“ (გვ. 239).

ეკრასტულთან ზოგიერთი ეპიზოდის გადმოცემაში მხოლოდ შინა-
არსობლივ სიახლოვეს იჩენს, ხოლო მათი თხრობის ფრაზეოლოგია
საკმაოდ განსხვავებულია. ეს ეპიზოდებია: ღმრთის მიერ არაბთა¹⁸⁹
მოვლინება ქრისტიანეთა დასასჯელად, მათ „ცოდებათა და უსჯუ-
ლოებათა... სამხილებელად“, დავით და კონსტანტინეს ვინაობა, სა-
ლაურობა და გარეგნული დახასიათება, ქართველთა მიერ არაბების
მეწინავე რაზმის დამარცხება, არაბების ხელმეორედ შემოსევა და
ამ წმინდანთა შეპყრობა, მათი თავდადება ქრისტეს საჩუქროები-
სათვის და მურვან ყრუს ყოველგვარ დაპირებათა უარყოფა, მათი
დახრჩობის განაჩენი და მისი სისრულეში მოყვანა, ღმრთისადმი
მოწამეთა ედრება, რომ მათი გვამები უხრწნელად შეინახოს და
მკურნავი თვისებებით დააჯილდოს, მათი გვამების პოვნა „ნათ-
ლის“ მეშვეობით და ამოყვანა, მათი დამარხვა ეკლესიის „ნარლუ-
ეში“.

როგორც ვხედავთ, სვინაქსარული და მეტაფრასტული ცხოვ-
რებები თავიდან ბოლომდე შინაარსობლივად ერთსა და იმავე სიუ-
ჟეტს გვაძლევენ, ოღონდ მეტაფრასტული გაცილებით ვრცლად,
ხოლო სვინაქსარული მოკლედ, უფრო ზოგად შტრიხებში; მაგრამ
ამ სიუჟეტში გაერთიანებული ეპიზოდების გადმოცემაში სვინაქსა-
რული ცხოვრება მეტაფრასტულთან შედარებით ასეთ დამატებით
დეტალებს გვაძლევს:

1. არგვეთზე არაბთა პირველი შემოსევის მოლოდინში სვინაქ-
სარული ცხოვრებით: „მათ უამთა შინა იქმნა შეკრებაჲ ერისაჲ, რო-
მელნი იყვნეს რიცხვთათას სამას ოცდაათი კაცი,
რომელთა თავნი იყვნეს დავით და კონსტანტინე“. მეტაფრასტულ-
შიაც ნათქვამია, რომ „მაშინ წმიდანი ესე იყვნეს შეკრებილ... და
განძლიერა (ე. ი. დავითმა) გუნდი თვისი“... მაგრამ ამ „გუნდი“-ს
რიცხობრივ შემადგენლობაზე არაფერია ნათქვამი.

2. სვინაქსარული ცხოვრება განაგრძობს თხრობას: „უამსა
მწუხრისასა იქმნა მოსლვაჲ სპარსთა მათ ზედა, რომელნი
იყვნეს ძლიერ და თვთ მბრძოლ წინამსრბოლნი ლაშქართანი
რიცხვთ ცხრაათასი. და განძლიერდა ბრძოლა ვიდრე
ქათმის კმობამდე და დაეცა სპარსთაგანი ათას ორას
ორმეოცდაათი კაცი და, რომელნი დაშთეს, ძლეულნი
წარვიდეს“.

¹⁸⁹ მეტაფრასტულშიც და სვინაქსარულ ცხოვრებაშიც „არაბები“ „სპარ-
სელებად“ იწოდებიან.

მეტაფრასტულ ცხოვრებაში იგივე ამბავია გადმოცემული, მაგრამ უფრო ზოგადად: ...ხოლო აღიძრნეს რაჲ წარმართნი სამცხით და წარმოემართნეს ქუეყანად არგუეთად და წინამსროლონი და რჩეულნი წარმოვიდეს... ხოლო დავით... განაძლიერა გუნდი თვისი... და აოტნეს და განაბნინეს იგინი და ურიცხვ მოსრეს“. მოტანილი ადგილებიდან ცხადად ჩანს, რომ სვინაქსარულ ცხოვრებაში კონკრეტულადაა აღნიშნული არაბთა შემოსევის დრო „უამსა მწუხრისასა“, მათი „წინამსროლი“ რაზმის რიცხობრივი შემადგენლობა — „ცხრა ათასი“, ბრძოლის ხანგრძლიობა — „ქათმის კმობამდე“ და ბრძოლაში დახოცილ არაბ მეომართა რიცხვი — „ათას ორას ორმეოცდა ათი“, რის შესახებაც მეტაფრასტულ ცხოვრებაში ზოგადად არის ნათქვამი — „ურიცხვ მოსრეს“-ო. სვინაქსარული ცხოვრების აღნიშნული დეტალები, როგორც ვნახეთ, მეტაფრასტული ცხოვრებისათვის უცნობია.

3. დავით და კონსტანტინეს დაკრძალვის ადგილად მეტაფრასტულ ცხოვრებაში მითითებულია „წყალწითელი“: „აღიხუნეს წმიდანი გუამნი მათნი და წარმოემართნეს. და ვითარცა განთენა, იპოვნეს... თავსა ზედა კლდისასა. ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან წყალწითელი“. ეს ადგილი მეტაფრასტული ცხოვრების მოწმობით ყოფილა „ციხე ქალაქ და ერ-მრავალ“, მაგრამ ბურჯან ყრუს „აეოკრა და დაეწუა“ და ამიტომაც „უეკაყურ“ გამხდარა. სწორედ აქ „დარღუეულ ეკლესიაში“ დაკრძალნეს გუამნი წმიდათა მოწამეთანი“. ეს ადგილი „უჩინო და დაფარულ“ ყოფილა ბაგრატ მეფის დრომდე, რომელსაც აქ აუშენებია „ტაძარი შუენიერი“, რა თქმა უნდა, დავით და კონსტანტინეს პატივსაცემად და ამ ადგილსაც ამის შემდეგ ეწოდა „მონაქონი“.

სვინაქსარულ ცხოვრებაშიც აღნიშნულია, რომ ამ მოწამეთა გუამები დასხნეს „ნარღუეესა ეკლესიასა“, მაგრამ სახელწოდება ამ ადგილისა არის არა წყალწითელი, არამედ... „ხოლო ადგილსა მას ეწოდების ოთმინი“. ამ სახელწოდების სვინაქსარულ ცხოვრებაში გაჩენის საფუძველი ჩვენთვის ჭერჭერობით უცნობია. შესაძლებელია, ამ სახელწოდებაში ისეთივე წარმოება გვქონდეს, როგორც ოკრიბა, ოფშკვითი, ოფურჩხეთი და სხვა. შინაარსობლივად ეს სახელწოდება შეიძლება მოწამეთა მარტვილობის ადგილს — მოსათენელს, სადაც მათი წამება „დაითმინეს“, დაუუკავშიროთ.

4. სვინაქსარულ ცხოვრებაში დავით და კონსტანტინეს პიროვნებათა დახასიათება უფრო ვრცელია, ვიდრე მეტაფრასტულში:

სვინაქსარული

მეტაფრასტული

„რამეთუ წმიდაჲ და უძლეველი მოწამე დავით იყო ხილვითა ესე-ვითარი: გუამითა სრულ და ახო-ვან, არცა უზომოდ დიდ და არცა სიმცროხთა ნაკლულ, მადლითა სავსე და სრულ ყოვლითა სიკეთითა და დასრულებულ წუერიითა სიკჳმობთა. იყო უკეთე შუენიერ პირითა, გრემან თუალითა. წაბლისფერ წუერიითა, სპეტაკ კორციითა და მცირედ ჩამოზიდულ ცხვირითა, ძლიერ ძალითა და სავსე სარწმუნოებითა და შემკულ ქალწულებითა. და იყო ვითარ ოცდაათრვაშეტ წლისა“

„რამეთუ იყო დავით უზუცესდლითა, ჰაეროვან და სპეტაკ კორციითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და კჳირ წუერიითა“ (გვ. 235).

„ხოლო წმიდაჲ კოსტანტინე იყო შუენიერ გუამითა, მცირე ჰასაკითა, ბრწყინვალე პირითა, გრემან და სისხლოვან თუალითა, თმითა წაბლისფერ, ლეწილ და გრუზ, სიტყუამკუეთერ და სწრაფით მიმცემელ სიტყუასა სიტყუს-მკითხველთა თვსთა, ქცევა შუენიერ და მსწრაფლ და ქალწულებითა მორტყმულ წელნი მისნი და იყო ვითარ ათშვდმეტისა წლისა“ (13r).

„ხოლო კოსტანტი — შუენიერ გუამითა და მოწაბლე თმითა და წუერგამო“ (იქვე).

„მარხვითა განკრძალულ და ურისხველობითა განმკურნებელნი მხედველთა თვსთანი, ყოვლადვე უცხო ქმნილნი ბოროტისა ტყუვილისა და ფიცისაგან ყოვლითურთ. სახენი იყვნეს მეუდაბნოეთანი, ტაბლანი მშვიერთა და გლახაკთანი და შემწენი ობოლთანი“ (იქვე).

„... და ორნივე საჯსე სულითა წმიდითა“ (იქვე).

5. სვინაქსარული ცხოვრების მიერ მითითებული არაბთა შენოსევის თარიღი არ ეთანხმება მეტაფრასტული ცხოვრების თა-

რიღს. სვინაქსარულ ცხოვრებაში ეს მოვლენა ორგვარი ქრონოლოგიითაა გადმოცემული: „მოილაშქრა დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ორას ორმოცდა მესამესა წელსა, ხოლო ქრისტეს ჭუარცუმითგან შვდას სამეოცდა ათხვდმეტსა წელსა“. ეს თარიღები ერთმანეთს, როგორც ვხედავთ, არ ეთანხმებიან: პირველი დათარიღებით ეს მომხდარა (6243—5508) 735 წელს, რაც შორს არ უნდა იყოს სინამდვილისაგან, ხოლო მეორით — $777 + 33 = 810$ წ., რაც ყოველად გაუმართლებელია. ასევე უზუსტობასთან გვაქვს საქმე მეტაფრასტულ ცხოვრებაშიც, თუმცა, აქ არაბთა საქართველოზე გამოლაშქრების თარიღი კი არ არის მოცემული, არამედ დავით და კონსტანტინეს წამებისა: „ხოლო იწამნეს დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ორას ორმოცდა ცხრასა, ხოლო ქრისტეს ჭუარცუმითგან შვდას ოცდა ათსა“. აქაც, პირველი დათარიღებით მათი წამება მომხდარა 741 (6249—5508), ხოლო მეორით — 763 წ. ა.უ ორივე ცხოვრებაში მეორე თარიღები შორს არის სინამდვილისაგან, სამაგიეროდ პირველად მოცემული თარიღები ორივე ცხოვრებაში დიდად არ არის დაცილებული ჭეშმარიტებისაგან, ხოლო ამათგან მაინც სვინაქსარული ცხოვრების თარიღი უფრო ზუსტი უნდა იყოს, რადგან საისტორიო წყაროები მურვან ყრუს ამ ლაშქრობას 736—38 წ. დებენ.

ამრიგად, ჩვენ არ ვიციით რამდენად სანდოა სვინაქსარული ცხოვრების ჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ სვინაქსარული ცხოვრება აწეღავენებს მეტაფრასტულისაგან თითქმის დამოუკიდებელი თხზულების ხასიათს. არ არის გამორიცხული სვინაქსარული ცხოვრების მიერ რომელიმე ჩვენთვის უცნობი წყაროს გამოყენების შესაძლებლობა. ძალაუნებურად გვებადება აზრი: ხომ არ არის განხილული სვინაქსარული ცხოვრების წყარო ის „ძველნი უწყებანი“, რომელიც მეტაფრასტული ცხოვრების ავტორს გამოუყენებია, ხოლო დღეს მისი არსებობის კვალი აღარ ჩანს?

6. შიო მღვიმელი

შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრება, მართალია, „დიდი სვინაქსარის“ არც ერთ ხელნაწერს არ შემოუნახავს¹⁹⁰, მაგრამ მისი

¹⁹⁰ საუბარია შიოს სვინაქსარული ცხოვრების ძვ. ვარიანტზე. მისივე სვინაქსარული ცხოვრების გვიანდელი რედაქციის (XVIII ს.) ერთადერთი ნუსხა, შესულია A—220, 1726წ. სვინაქსარის შემადგენლობაში, რომელზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ.



ერთადერთი XIII ს. ნუსხა მაინც ცნობილია — იგი მოთავსებულია¹⁹¹ შიომღვიმის ცნობილ ტიპიკონში (H—1349). ეს ხელნაწერი წარმოადგენს საბა განწმედილის ლავრის იმ ტიპიკონის ქართულ ნუსხას, რომელმაც XII საუკუნიდან შეცვალა გიორგი მთაწმიდლის „დიდი სუნაქსარი“ და განაგებდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურებას XVIII საუკუნემდე¹⁹¹. H—1349 ხელნაწერი საბას ლავრის ტიპიკონის უძველესი ქართული ნუსხაა. რადგან მის ქართულად თარგმნასა და მის მიხედვით ქართული ღვთისმსახურების რეგულირებას უშუალო კავშირი აქვს შიომღვიმის მონასტერთან, მოკლედ შეეხოთ ამ ტიპიკონის ისტორიის ზოგიერთ საკითხს.

საბას ლავრის ტიპიკონის წარმოშობა დაკავშირებულია კულტურის იმ კერასთან, სადაც, სხვათა შორის, ჩაისახა ქართული ლიტურგიკული მწერლობაც¹⁹². საბა განწმედილმა სიკვდილის წინ (532 წ.) წერილობითი ანდერძი დაუტოვა თავის მემკვიდრეს მელიტეს, რათა მის ლავრაში დადგენილი წესები და ჩვეულებები მომავალშიც შესრულებულიყო¹⁹³. სწორედ ეს წესები და ჩვეულებები, რომელთა ჩამოყალიბებაში საბასთან ერთად ღვაწლი მიუძღოდან საბას მოძღვარს ექვთიმე დიდს, თეოდოსი კინოვარიხს, გერასიმე იორდანელს, ხარიტონ და კირიაკე შეყენებულებს, დაედო საფუძვლად პალესტინური (ე. ი. საბას ლავრის) ტიპიკონის წარმოშობას. ეს წესები წერილობითი სახით ჩამოყალიბებია სოფრომ პატრიარქს, მაგრამ იგი ბარბაროსების ცეცხლის მსხვერპლი გამხდარა. ამის შემდეგ ეს წესები ხელმეორედ დაუწერია იოვანე დამასკელს: ასეთი მითითება აქვს ტიპიკონის სინოდალური ბიბლიოთეკის № 381/369 და რუმინანცევის № 35/491 სავოსტიანოვის კოლექციის XIII ს. ხელნაწერებს. აქვეა მითითება წინამძღვრებისათვის, რომ ეს წესები ზუსტად შესრულდეს¹⁹⁴.

ეს ძირითადად დისციპლინარული ხასიათის წესები დროთა ეითარებაში იესებოდა ლიტურგიკული ხასიათის შენიშვნებით. მას-

¹⁹¹ საბოლოოდ საქართველოში დამკვიდრდა ამ ტიპიკონის მთაწმინდური რედაქცია (К. Кекелидзе, Литург. памятники..., стр. 510).

¹⁹² რასაც აღასტურებს პირველი ნათარგმნი ძეგლების სახელწოდებაც „საბაწმინდური“ К. Кекелидзе, იქვე, გვ. XI).

¹⁹³ А. Дмитриевский, Описание литургич. рукописей, стр. 222—223.

¹⁹⁴ И. Мансветов, Устав Иерусалимский и его суды на Востоке, стр. 8.

ში ადგილი პოვა სხვა ეკლესია-მონასტრების ჩვეულებებმაც, უპირველეს ყოვლისა, საბას ლავრის ტიპიკონზე გაელენა მოახდინა იერუსალიმის ქრისტეს საფლავისა და აღდგომის ეკლესიების ტრადიციებმა, რომლებთანაც საბას ლავრას კავშირი ჰქონდა ლავრის დარსებების დღიდან. ამის შესახებ საბა განწმედილის ცხოვრებაშიც ნათქვამია, რომ იერუსალიმის აღდგომის ტაძრის განახლებისა და ჯვარის აღმართების დღესასწაულებზე იერუსალიმში თავს იყრიდნენ პალესტინის მონასტერთა წინამძღვრები ჯერ კიდევ ექვთიმე დიდისა და საბას დროს. მართლაც, ამ დღესასწაულების აღნიშვნა შესულა კიდევ პალესტინის (ე. ი. საბას ლავრის) ტიპიკონში. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს XI—XII სს. აღორიანებასთან დაკავშირებით საბას ლავრის ტიპიკონში შევიდა წმ. სოფიის დიდი ეკლესიის ზოგიერთი ჩვეულებაც¹⁹⁵.

XI საუკუნეში უკვე ცნობილი ყოფილა ამ ტიპიკონის სრული ჩანაწერები, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია¹⁹⁶. პალესტინური ტიპიკონის დღესდღეობით ცნობილი ნუსხები XII და XIII საუკუნეებისაა¹⁹⁷. სწორედ ამ დროიდან მან დიდი გავრცელება პოვა მთელი აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებში.

საქართველოში საბა განწმედილის ლავრის ტიპიკონის შემოტანა ქართული წყაროების მიხედვით ჯერ კიდევ IX საუკუნეშია დადასტურებული. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ გრიგოლმა: „მას ეამსა იერუსალჴმს წარმავალი ვინმე პოვა მეგობარი თჳსი და მას დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა დაწერაჲ და წარმოცემაჲ“¹⁹⁸. ცხოვრების ეს ადგილი გრიგოლის მარტოოდენ განზრახვაზე რომ არ მიუთითებს, ეს ცხოვრების სხვა ადგილიდან ჩანს: „მაშინ იერუსალჴმით მოიწია კაცი, რომელმან მოართუა საბაწმიდისა განგებაჲ დაწერილი“¹⁹⁹. ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ეამსა განაწესა წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ“²⁰⁰.

¹⁹⁵ იქვე, გვ. 11—12.

¹⁹⁶ იქვე, გვ. 13.

¹⁹⁷ მაგ., ქრისტეს საფლავის ბიბლიოთეკის 1159 წ. თოკარისტე კაპადოკიელის მიერ გადაწერილი ტიპიკონი. უფრო მეტია XIII ს. ნუსხები — იქვე გვ. 21.

¹⁹⁸ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ძვ. ქართ. ლიტ. კრესტომათია, I, გვ. 111.

¹⁹⁹ ამ ცხოვრების გამოცემებში ამ ადგილას შეცდომაა; არის „საბაწმიდის განგებაჲ და წერილი“, უნდა იყოს — „დაწერილი“.

²⁰⁰ იქვე, გვ. 112.

ეჭვი არ არის, რომ უკვე IX საუკუნეში ტაო-კლარჯეთის მონასტრები ღვთისმსახურებას ამ ტიპიკონის მიხედვით ასრულებდნენ²⁰¹. ძნელი სათქმელია, მოიპოვა მან გავრცელება საქართველოს სხვა ეკლესია-მონასტრებში თუ არა. ამის შესახებ წყაროები არაფერს ამბობენ.

საბას ლავრის ტიპიკონის ქართული უძველესი ნუსხა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIII საუკუნის ხელნაწერშია მოთავსებული, მაგრამ იგი XII ს. (1172 წ.) ქართულისავე ნუსხიდან არის გადმოწერილი. ამათ ადასტურებს ჯერ ერთი, ამ ხელნაწერში დაცული თარიღი, რაც მისი დედნიდანაა მექანიკურად გადმოსული: „ქრისტე შეიწყალე ლუკა ჩ^რტს ჩ^რნი (?) ქრონიკონი იყო ტ^რებ (=392+780=1172) წელიწადნი ხ^რკჱ (=6680—5508=1172 წ. 116v). მეორეც, „მართლმადიდებლობის კვირის“ ხსენებებში ბიზანტიის იმპერატორებიდან უკანასკნელად იხსენიება ნიკიფორე III ბოტანიკი (1078—1081), ხოლო პატრიარქებიდან ნიკოლოზ გრამატიკოსი (1084—1111), ანტიოქელი პატრიარქებიდან იოვანე IV (1092—1098). აქედან ნათელია, რომ ამ ტიპიკონის ქართულად თარგმნა XII ს. დასაწყისს უნდა მიეკუთვნოს²⁰². მართლაც, ტიპიკონის ქართული ვარიანტის წარმოშობის ისტორია ამ ვარაუდს აძართლებს. ტიპიკონის ქართულად თარგმნა უშუალოდ დაკავშირებულია შიომღვიმის მონასტერთან. დავით აღმაშენებელმა, რომელმაც აღადგინა შიომღვიმის მონასტერი და ღვთისმშობლის მიძინების სახელზე დიდებული ტაძარი ააშენა, ამ მონასტრისათვის 1123 წ. მიცემულ ანდერძში თავისი მოძღვრის იოვანესა და არსენ ბერის რჩევით, მას საბას ლავრის ის წესები დაუდგინა, რომლებიც მათთვის სვიმონ საკვირველმოქმედის ლავრის ტიპიკონის რედაქ-

²⁰¹ აქად. ვ. ექველიძის, (Литург. памят.ში, გვ. 477) გამოთქმული აქვს აზრი, რომ ხანძთელის ცხოვრების ამ ადგილას იგულისხმება ის იერუსალიმური ტიპიკონი, რომელიც გავრცელებული იყო ჩვენში უძველესი დროიდან X ს. მღვ. ვ. ექველიძის შრომის დაწერის დროს იერუსალიმის ტიპიკონი ჯერ კიდევ არ იყო გამოვლინებული. ის ცნობილი გახდა „იერუსალიმის განჩინების“ სახელით 1911 წ. მეცნიერი Литург. памятники-ში აღნიშნავს, რომ «богослужение грузинской церкви древнейшего времени (до X в.) регулировалась литургич. традициями иерусалимской церкви, или точнее — обителя преп. Санны Освященного. ეს ვარაუდი არ დაადასტურა „იერუსალიმის განჩინებამ“. ამრიგად, გრ. ხანძთელის ცხოვრებას ამ ადგილას მოხსენებული „საბაწმილის განგებაჲ“ ქართული ეკლესიისათვის მანამდე შექმნილი უცნობი კი ყოფილა.

ციით იყო ცნობილი: „მიბრძანა სასომან ჩემმან, ბერმან არსენი, და თვთ სულიერმან ბერმან, მოძღუარმან ჩემმან ი²⁰³, რათამცა წესსა ზედა სვმონ-წმიდისასა დაესხენ მონასტრისა მღვმისა წესნი, რომელი თვთ მათ მიერ აღწერილი ვიხილე ყოვლად შუენიერად“²⁰³. ღავეითის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ეს ტიპიკონი ამ დროს (1123 წ.) უკვე ნათარგმნია, არსენისა და იოვანეს მიერ გადმოწერილი, გამზადებული და მხოლოდ მეფის სანქციას ელოდება მისი პრაქტიკული გამოყენებისათვის.

შიომღვიმის მონასტრისათვის ამ ტიპიკონის შერჩევა უცნაური არ ენდა მოგვეჩვენოს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ 13 ასურელი მამა, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა შიომღვიმელი, საქართველოში სწორედ პალესტინიდან შოვიდნენ, ხოლო სვიმონწმიდის ღავერის რედაქციის ტიპიკონის შერჩევა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ასურელ მოღვაწეთა საქართველოში მოსვლა და მოღვაწეობის პირველი წლები სწორედ სვიმონ მესვეტის სახელს უკავშირდება²⁰⁴. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ აქ. დროს (XI—XII სს.) სვიმონ მესვეტის ღავერაში, ისევე როგორც მთელ მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში მიღებული იყო სწორედ საბა განწმედლის ღავერის ტიპიკონი²⁰⁵, რასაც ადასტურებს ნიკონ შავმთელიც²⁰⁶.

საბას ღავერის ტიპიკონის უძველესი ნუსხა (ზემოთ აღნიშნული H—1349) ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, პირველსავე ფურცელზე შეიცავს შიომღვიმელის სვინაქსარულ ცხოვრებას. შიოს ეს ცხოვრება ტიპიკონის ორგანული ნაწილი არაა, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ტიპიკონის სვინაქსარულ ნაწილში — „სვინაქსარი ათორმეტთა თუეთა წელიწადისათაჲ“, რომელიც ხელნაწერის 22r—76v ფურცლებზეა მოთავსებული და წმინდანთა ხსენების კალენდარს შეიცავს სვინაქსარული ცხოვრებების გარეშე, შიომღვიმელის ხსენება არ არის; ქართველთაგან მხოლოდ წმ. ნინოს ხსენებაა 14 იანვარს.

შიომღვიმელის სვინაქსარული ცხოვრების შემკველი ფურცელი შერყვნილია, მელანი გადალუულია და ტექსტის ზოგიერთი ად-

²⁰³ ღავეთ აღმაშენებლის ანდერძი, თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ისტორ. საბუთები შიომღვ. მონასტრისა, თბ., 1896; გვ. 16.

²⁰⁴ К. К е к е л и д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 509.

²⁰⁵ А. Д м и т р и е в с к и й, Древнейшие патрнаршие Типиконы, Киев, 1907, стр. 212.

²⁰⁶ Н. М а н с в е т о в, Церковный Устав..., Москва, 1885, стр. 177.

გილი ძნელად იკითხება²⁰⁷. ძირითადად ტექსტის ამოკითხვის ამ სიძნელეებთან უნდა იყოს დაკავშირებული ის შეცდომები, რომლებიც ამ სვინაქსარული ცხოვრების ერთადერთმა გამომცემელმა — თ. ჟორდანიამ დაუშვა²⁰⁸. აღსანიშნავია, რომ თ. ჟორდანიას მიერ შეცდომით ამოკითხული ზოგიერთი ადგილი შედარებით გარკვევით იკითხება. რადგან ჩვენ შიოს სვინაქსარული ცხოვრების ეს ტექსტი სხვა სვინაქსარულ ტექსტებთან ერთად გამოსაცემად მოვამზადეთ, აღნიშნავთ ჩვენ მიერ გასწორებულ ამ გამომცემის შეცდომებს:

ხელნაწერშია ²⁰⁹		თ. ჟორდანიას გამომცემაშია ²¹⁰	
კსენებაჲ (კსენებ ^ა)	2,1,2	კსენება	გვ. 70 სტრ. 6
საკვრველთ-მოქმედისა	"	საკვრველ მოქმედისა	იქვე
შიოასი	1,3	შიოსი	სტრ. 7
[ნათესავით] ²¹¹	1,4	[თემთა]	იქვე
ღმრთის-მსახურთა (ღ ^{ის} -მსახურთა)	1,6	ღთის მსახურთა	სტრ. 8
შეი[ლი]	1,8	[შვილთა]	იქვე
სიყრმესავე	1,9	სიყრმესა	სტრ. 9
იოვანესა (ი ^ნ ესა)	1,14	იოვანესა ²¹² —	სტრ. 11
იოვანე (ი ^ნ ე)	1,24	იოვანე]—	სტრ. 14
ქადაგებ[აჲ]	1,29	[და] ღბა	სტრ. 16
რომელთა (რ ^ლ თა)	1,30	რათა	იქვე
ენაჲ	1,30	ენა	იქვე
ხოლო მიიღეს რაჲ	1,32	სძ[ლეს] (?)რთ	სტრ. 17

²⁰⁷ ამ ფურცლის გაცემა ხელნაწერის სხვა ფურცლებთან შედარებით ამ საკითხავისადმი ცხოველი ინტერესით უნდა იყოს გამოწვეული. მსგავსი შემთხვევა აღნიშნული აქვს ე. ე. ე. ე. ლ. ი. ძ. ე. ს. დიდი სვინაქსარისა“ №—193 ნუსხის მიმართ (Памятники..., გვ. 484).

²⁰⁸ თ. ჟორდანიას, ისტორ. საბუთები შო მღვიმის მონასტრისა, თბილისი, 1896, გვ. 70—71.

²⁰⁹ H—1349. პირველი რიცხვი უჩვენებს ფურცელს, მეორე — სვეტს. მესამე — სტრიქონს. აქედან, ფურცლის მითითება ყოველთვის საჭიროდ არ ვცანით.

²¹⁰ გვერდებს ეუთითებთ თ. ჟორდანიას შრომიდან:... საბუთები შო მღვიმის მონასტრისა, თბ., 1896.

²¹¹ [...] ჩასმული სიტყვები და სიტყვის ნაწილები აღდგენილია: პირველ სვეტში ჩვენ მიერ, მეორეში — თ. ჟორდანიას მიერ.

²¹² — ნიშანი უღრის: პირველ სვეტში — ტექსტში არ არის, მეორე სვეტში — თ. ჟორდანიას გამორჩენია.

კათალიკოზისაჲ	1,33	კ'ზისა	იქვე
ნეტარისაჲთა	1,35	[სანატრელისაჲთა]	სტრ. 18
ღიდროოდა	11,3	მღიდროოდა	სტრ. 19
აურაცხელთა	11,16	აურიცხელთა	სტრ. 24
ყ'დ —	11,21	ყ'დ	სტრ. 26
ღმრთისა მიერ	2,1,27	ღთისა მიერ	71,5
ღმრთისა მიერ	11,24	ღთისა მიერ	სტრ. 15
სულნელებაჲ	11,32	სუნელება	სტრ. 19

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გაირკვეს შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრების წყაროს საკითხი. ეს სვინაქსარული ცხოვრება რომ რომელიღაც წყაროს უმთავრესი ეპიზოდებისა და ფაქტების გამონაკრებს წარმოადგენს, ამას მისი კომპოზიციური აღნაგობა და ფრაგმენტული თხრობის ხასიათიც ადასტურებს. შიოს სვინაქსარული ცხოვრების წყარო მის ვრცელ ცხოვრებებშია საძიებელი.

შიოს ცხოვრებამ ჩვენამდე ორი რედაქციით მოაღწია: მოკლე ცხოვრება (X ს.) და მასზე აღმოცენებული ცხოვრების მეტაფრასტული რედაქცია (XII ს.). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ვარაუდი შიოს ცხოვრების მესამე, უძველესი რედაქციის არსებობის შესახებ, რომელიც ჩვენამდე არ შენახულა. ეს ცხოვრება ნაგულისხმევია იოვანე ზედაზნელის ანასეული ქართლის ცხოვრების ბოლოს მოთავსებული ნაკლები ცხოვრების გაგრძელებად²¹³.

შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრების მოკლე რედაქციასთან მიმართების საკითხი მოხსნილია, რადგან სვინაქსარული ცხოვრების ფაქტიური მასალის უმეტესი ნაწილი მოკლე რედაქციაში სრულებით არ მოიპოვება, ხოლო ის, რაც ორივესთვის საერთოა, სვინაქსარულ ცხოვრებას აღებული აქვს არა მოკლე ცხოვრებიდან, არამედ მის საფუძველზე შექმნილი მეტაფრასტული რედაქციიდან. ამრიგად, სვინაქსარული ცხოვრება შედგენილია შიოს მეტაფრასტული ცხოვრების უმთავრესი ეპიზოდების გამოკრების საფუძველზე. სვინაქსარული ცხოვრების თითქმის ყველა დეტალს პარალელი მოეპოვება მეტაფრასტულში. შიოს მოღვაწეობისა და სასწაულების შემკველი ეპიზოდები სვინაქსარულში იმავე თანმიმდევრობითაა მოცემული, როგორც მეტაფრასტულშია, ოღონდ, რა თქმა უნ-

²¹³ ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბილისი, 1958, გვ. XXIV.

და, ძალზე შემოკლებული სახით. მიუხედავად ამ ორი ცხოვრების უქველი ურთიერთმიმართებისა, იშვიათია ისეთი მაგალითები, რომლებიც ამ ცხოვრებათა ფრაზეოლოგიურ თანხედომას გვიჩვენებდნენ, რაც სვინაქსარული ცხოვრების შემდგენლის შეგნებულად შერჩეული ლიტერატურული მუშაობის მეთოდის შედეგი უნდა იყოს: სვინაქსარულის მიერ თავისი წყაროს ადგილებისა და ფრაზების ზუსტად გამეორება მინიმუმამდეა დაყვანილი, იგი თითქმის ყოველთვის იძლევა მეტაფრასტული ცხოვრების შესაბამისი ადგილების ზუსტი შინაარსის შემცველ, ხოლო ფრაზეოლოგიურად ძალიან შემოკლებულ პერიფრაზს. საილუსტრაციოდ ვუჩვენებთ რამდენიმე ისეთ მაგალითს, რომელთა მიხედვით მათ ფრაზეოლოგიურ სიახლოვეზე უფრო მეტად შეიძლება ლაპარაკი, ვიდრე დანარჩენ შემთხვევებში. ამასთანავე მეტაფრასტული ცხოვრების პარალელურ ადგილებს მოვიტანთ მხოლოდ ისეთი სისრულით, რაც საკმარისი იქნება სვინაქსარული ცხოვრების შესაბამისი ადგილის მისგან წარმომავლობის ნათელსაყოფად:

სვინაქსარული ცხოვრება

მეტაფრასტული ცხოვრება

„[ეს] იყო [ნათესავით] ასური ქალაქისაგან ანტიოქიასა, რომელ არს შუა [მდინარისა]ჲ, მშობელთა ღმრთის მსახურთა და მდიდართა შვილი“²¹⁴.

„ესე წმიდაჲ და ღმერთშემოსილი მამაჲ შიო იყო ქუეყანით ასურეთისაჲთ, დიდით მით ღმრთის ქალაქით ანტიოქიასთ, რომელმან მრავალნი ესევეითარნი წმიდანი აღმოაცენა, მშობელთა ღმრთის-მსახურთა და აზნაურთა შვილი, რომელნი იგი მრჩობლ მდიდარ იყვნეს ღმრთის-მსახურებითა და მშობელობით ამის წმიდისაჲთა“²¹⁵.

რომელთა ღმერთმან მისცა ენაჲ ქართულად მეტყუელი“ (იქვე).

„...ვითარ მოეცა იოანესა ენაჲ ქართულად მეტყუელი ყოვლად დაუბრკოლებელი“ (გვ. 82).

²¹⁴ H—1349. 2r. 1.

²¹⁵ ილ. ა. ბ. უ. ლ. ძ. ე., ასურელ მოღვაწე. ცხოვრ. წიგნთა ძველი რედაქციები, თბილისი, 1955, გვ. 70—71; შემდეგაც გვერდებს მიუუთითებთ ამ გამოცემის მიხედვით.

სვინაქსარული ცხოვრება

„ხოლო მიიღეს რაჲ კურთხე-
ვაჲ ევლალი კათალიკოზი-
საჲ განმავალთა მთად
ზედაზნისა...“ (2r, 1).

„ლოცუითა ამის ნეტარისაჲთა გან-
ვლეს მდინარესა არაგუ-
სა კმელად ქამსა გაზა-
ფხულისასა, რამეთუ დიდ-
როოდა მაშინ“ (2r, 11).

„და ღირს იქმნა გამოცხადებასა
ყოვლად წმიდისა ღმრთის-
მშობელისასა და ნათ-
ლის-მცემელისა იოვანე-
სსა აურაცხელთა თანა
ანგელოზთა, რომელთა კრე-
ბული იხილვებოდა ქუე-
ყანით ცადმდე მგალო-
ბელნი გალობასა უც-
ხოსა, რომელთა განაძ-
ლიერეს ნეტარი შიოჲ.“
(2r, 11).

მეტაფრასტული ცხოვრება

„დღესა ერთსა იხილა ნეტარმან
იონანე აღმოსავლეთით კერძო
მთასა ზედა ზედაზნი-
სასა... და ვითარ ვერ დააყენ-
ნა იგინი კათალიკოზ-
მან, მისცა მათ კურთხე-
ვაჲ და წარავლინნა
იგინი“ (გვ. 84—85).

„ხოლო იყო ქამი მაისის-
[თ]თვისა და მდიდროოდა
მდინარე არაგუ... მოიდ-
რიკნა სამგზის მუკლნი აღმოსა-
ვალთ ჳუარი გამოსახა
წყალსა ზედა და... რამე-
თუ სიტყუასა თანა მისსა დად-
გა მდინარე იგი სლუოსაგან, ე-
დრემდის წიადვიდეს იგი-
ნი კმელად“ (გვ. 85).

„...და იხილა ქუაბსა მას კარ-
სა მდგომარე დედაკაცი
ყოვლად დიდებული...
ხოლო ერთი სხუაჲ სახითა მო-
ლუაწეთაჲთა მამაკაცი ყო-
ვლად დიდებული და სი-
მრავლე ფრიადი ერთა-
ზეციისათა, რამეთუ განღე-
ბულ იყო კერძო კლდისა მის,
სადა მკირე იგი ქუაბი და ცად-
მდე იხილვებოდა მწყობ-
ბრი ანგელოზთაჲ, რომელნი
გალობდეს გალობასა
სიწმიდისასა ტკბილ-
ითა რაჲთამე და მიუ-
თხრობელითა კმითა...
დედაკაციმან განაძლი-

სვინაქსარული ცხოვრება

მეტაფრასტული ცხოვრება

„ხოლო გამოაცხადა იგი ღმერთმან ესრეთ, რამეთუ ევაგრი, მთავარი ციხედიდისაჲ, ქვესა მას შინა, რომელსა იყოფებოდა ნეტარი შიო, შევიდა ნადირობად და იხილა მზრდელი მისი სახითა ტრედისა სპეტაკისაჲთა შემავალი მისა, რომელსა პურისა მსგავსი რაჲმე აქუნდა პირსა მისსა“ (2r, 11).

„რომელსა შინა ძლიერად მოღუაწებითა და ბუნებისა კაცთაჲსა უზეშთაესითა მარხვითა ყოველნი ეშმაკისა ბრძოლანი, ვითარცა დედაზარდლისა ქსელნი დაქსნა“ (2r, 11).

ნაჩვენები პარალელური ადგილები და მსგავსი მრავალი სხვა მაგალითი საეჭვოს არ ხდის სვინაქსარული ცხოვრების მიერ წყაროდ მეტაფრასტულის გამოყენების ფაქტს, მაგრამ ამასთანავე გვიჩვენებს, რომ სვინაქსარული ცხოვრების ავტორი ცდილობს შექმნას წყაროსაგან ფრაზეოლოგიურად თითქმის დამოუკიდებ-

ერა იგი და ჰრქუა მას: ესე ვარ მშობელი ქრისტეს ღმერთისაჲ... ხოლო ჩემ თანა მდგომარე ნათლის-მცემელი არს იოანე“ (გვ. 94—95).

„...ამისათვისცა მრავალ ეამ დაფარული ესე საუნჯე გამოაცხადა ღმერთმან სახითა ესე ვითარითა. რამეთუ მას ეამსა იყო ვინმე მამაკაცი საჩინოჲ მთავარი ციხედიდისაჲ სახელით ევაგრე. ესე ღღესა ერთსა გამოვიდოდა... ნადირობად იმიერ მტკურისა, სადა იგი იყოფებოდა სანატრელი შიო... და იხილა ტრედი იგი... რამეთუ მოაქუნდა საზრდელი წმიდისა შიოს მომართ მსგავსად ჩუეულებისა“ (გვ. 98—99).

„...რამეთუ ეშმაკთა და მათ მიმართ ზედა-მოსლვათა, ვითარცა ქსელთა დედაზარდლისათა დაქსნიდა“ (გვ. 78).

ლი, ზედმეტი სიტყვაკაზმულობისაგან განტვირთული ლიტურგიკული დანიშნულების მცირე მოცულობის ძეგლი, რომელიც ამავე დროს თითქმის მთლიანად ამოწურავს ვრცელი წყაროს შინაარსობლივ არსენალს. სვინაქსარული ცხოვრების ერთ წინადადებაში მოცემული დეტალი ხშირად მეტაფრასტული ცხოვრების რამდენიმე გვერდზე მოთავსებული თხრობის მთლიანი შინაარსის გათვალისწინებითაა მიღებული. სვინაქსარული ცხოვრება ერიდება მეტაფრასტულის მსგავსი ადგილების ზედმეტად განმეორებას და ცდილობს სხვადასხვა დროს შექმნილი ორი ერთგვარი სიტუაცია ერთი ფრაზით გადმოგვეცეს; მაგალითად, თუ მეტაფრასტულ ცხოვრებაში დაწერილებითაა ლაპარაკი ევაგრეს მიერ შიოს კვერთხის დახმარებით მტკერის „ქმელად განვლახე“, როდესაც იგი ბერმა სახლში გაგზავნა. ოქაბური საქმეების მოსაგვარებლად, და იგივე სიტუაცია მეორდება, როდესაც იგი შიოსთან ბრუნდება, სვინაქსარული ცხოვრება იმავე ფაქტს ასე გადმოგვეცემს: „რომელ-ესე იქმნა საკვრელებითა ღმრთისა მიერ ო რ გ ზ ი ს განაპო მდინარე ევაგრი და მოვიდა შიოსა“ (2v).

სვინაქსარული ცხოვრება მეტაფრასტულის ზოგიერთ დეტალს შიოს ცხოვრების სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით იყენებს. მაგალითად, მეტაფრასტული ცხოვრების დასაწყისში, რომელიც შიოს ანტიოქიაში მოღვაწეობის პერიოდს ეხება, ნათქვამია: „...რამეთუ ეშმაკთა და მათ მიმართ ზედა-მოსლვათა, ვითარცა ქსელთა დედაზარდლისათა დაქსნიდა“ (გვ. 78). მსგავსი ფრაზა მოეპოვება სვინაქსარულ ცხოვრებასაც: „რომელსა შინა ძლიერად მოღვაწებითა და ბუნებისა კაცთაჲსა უზეშთაესითა მარხვითა ყოველნი ეშმაკისა ბრძოლანი ვითარცა დედაზარდლისა ქსელნი დაქსნა“ (2r), მაგრამ ეს წინადადება შეესატყვისება არა ზემოთ მოტანილი მეტაფრასტული ცხოვრების ადგილს, არამედ იმ ეპიზოდს, სადაც ვრცლადაა მოთხრობილი შიოს საჩკინეს მღვიმეში დამკვიდრების, მისი აქ „ფიცხელი“ მოღვაწეობისა და იმ ურიცხვ განსაცდელთა, მუქარათა და შევიწროებათა შესახებ, „რომელ მოიწეოდეს მის ზედა მრავალ სახედ“ მოვლინებულ „არაწმიდა სულების“ მიერ. უნდა ითქვას, რომ სვინაქსარულმა ცხოვრებამ ამ წინადადებას უფრო შესაფერისი ადგილი მოუძებნა, ვიდრე მას ჰქონდა მეტაფრასტულში.

მართალია, შიოს სვინაქსარული ცხოვრების მეტაფრასტულიდან წარმომავლობის ფაქტი საეკვო არ უნდა იყოს, მაგრამ ეს ორი ცხოვრება ზოგიერთ ნიუანსში განსხვავებას გვაძლევს, ხოლო სვინაქსარული ცხოვრების ზოგიერთი დეტალი მეტაფრასტულსა და

რის მიტევებაზე“ მეტათრასტულ ცხოვრებაში არაფერია ნათქვამი. მოკლე ცხოვრებაც ზუსტად მეტათრასტულის სურათს გვაძლევს. ამდენად, სვინაქსარულის მიერ რაიმე სხვა წყაროს გამოყენებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს დეტალები სვინაქსარული ცხოვრების შემდგენლის ინიციატივას უნდა მივაწეროთ.

3. შიოს მიერ ჩადენილი ერთ-ერთი სასწაული მეტათრასტულ ცხოვრებაში შემდგენიარადაა აღწერილი: „მიიღო ცეცხლი... და იპყრა იგი მარცხენესა ნებისა ზედა კელისა თვისისასა და დაასხა მას ზედა საკუმეველი... და უბრძანა ყოველთა მათ ძმათა, რათა... განაგრძონ ესე ერთი კმობაჲ კირიელისონისაჲ“. ამ სასწაულის აღწერის ბოლოს გაკვირვებაა გამოთქმული „ხოლო ნეტარისა შიომასთჳს რაჲ ვინ თქუას, რაჲმეთუ უმეტეს განგრძობასა ორისა ესამისასა სავსედ მქონებელი კელსა შინა ნაკუერცხალსა ცეცხლისასა მიმოვიდოდა ყოველსა ამას ადგილსა და მოაკ(უ)მევედა“ (გვ. 106—107). აქედან ჩანს, რომ შიოს ნაკუერცხალი 2 საათის განმავლობაში „ეპყრა“, ამ დროში ის ერთი საათიც იგულისხმება, რომელიც ამ სასწაულის დასაწყისშია აღნიშნული. სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელს სასწაულში აღნიშნული საათების რიცხვი ერთმანეთის გაგრძელებად მიუჩნევია და ამ ადგილის მოკლე პერიფრაზაში ამ დროის ჯამი მოუცია: „...და ნებითა შიშუელითა ნაკუერცხალთა მიერ მოტყინარეთა სამ ესე საკუმეველი შეწირა“ (2r, 11).

4. მეტათრასტული ცხოვრება ძალიან ვრცლად აღწერს შიოს განზრახვას, დაეუღლოს ცალკე ქუაბში, რისთვისაც იგი სთხოვს თავის მოძღვარს იოვანესა და კათალიკოსს, დართონ მას თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის უფლება. შემდეგ გადმოცემულია ევაგრუს მონასტრის წინამძღვრად დანიშვნის ამბავი და შიოს ვრცელი „სწავლანი“, რომელნიც მან თავის მოწაფეებსა და მონასტრის კრებულს დაუტოვა.

სვინაქსარულ ცხოვრებაში მეტათრასტულის ამ ვრცელ თხრობას მარტო ერთი წინადადება შეესატყვისება, რომელიც მხოლოდ შიოს მღვიმეში ჩადგომის ფაქტს აღნიშნავს, მაგრამ ამ ერთ წინადადებაშიც ორი ისეთი დეტალია აღნიშნული, რაც არ არის არც მეტათრასტულში და არც ცხოვრებში მოკლე რედაქციაში: „ორმოცდა ხამ წელ მღვმესა უნათოსა ათექუსმეტისა მკარხა შთადგა“ (2v, 11).

შიო მღვიმელი რომ ღრმა მოხუცებულებაში გარდაიცვალა და მანამდე რომ დიდხანს მღვიმეში განმარტოებულ ცხოვრებას ეწე-

ოდა, ეს პეტაფრასტულსა და მოკლე ცხოვრებებშიაც არის აღნიშნული, მაგრამ სვინაქსარული ცხოვრების ცნობა შიოს მღვიმეში მაინცაღამაინც 43 წლის განმავლობაში „დაყუდების“ შესახებ უცნობია შიო მღვიმელის შესახებ არსებული ყველა სხვა წყაროსათვის. ეს ცნობა სვინაქსარული ცხოვრების ავტორის ფანტაზიის ნაყოფი, ან თავისებური, დაახლოებით გამოანგარიშების საფუძველზე მიღებული უნდა იყოს (არ არის გამორიცხული გადმოცემებით სარგებლობის შესაძლებლობაც). სვინაქსარულ ცხოვრებაში მეორე დეტალის გაჩენა უფრო ადვილი ასახსნელი უნდა იყოს. მართალია, იმ მღვიმის (რომელიც შიომ სამყოფლად აირჩია) მოცულობის შესახებ სვინაქსარული ცხოვრების გარდა არსად არაფერი არ გვხვდება, მაგრამ, ალბათ, მისი შემდგენელი ამ მონასტერს კარგად იცნობდა, თავის თვალთ ექნებოდა ნანახი მღვიმე, რომელშიაც გადმოცემით შიო იყო დაყუდებული, და მისი სიდიდის შესახებ ცნობა თავისუფლად შეეძლო ჩაერთო სვინაქსარულ ცხოვრებაში.

5. პეტაფრასტულ ცხოვრებაში შიოს სამოსელთან დაკავშირებით ნათქვამია: „... ძაძა-იგი სამოსელი, რომელ ემოსა, პირველვე მუჯლის თავადმდე და იდაყუთამდე და კუნკულიცა ძაძისავე განცუდა სრულიად და სხუაჲ არა თავს-იდეა მიღებად ახალი და არცა იგი დაკერვად...“ სვინაქსარულში შინაარსით იგივეა აღნიშნული, ოღონდ უფრო კონკრეტულად: „და რომლითა ფლასითა ასურეთით ქართლს მოიწია, მასვე შინა აღესრულა“ (2v, II).

6. პეტაფრასტული ცხოვრებით შიო გარდაცვალების შემდეგ დაღვეს „მასვე მღვმესა“ და იგი „საფლავი და სამარხოჲ სხეულთა მისთა იქმნეს“. ამ საქმეში პეტაფრასტული ცხოვრებით მხოლოდ „ძმების“ მონაწილეობაა აღნიშნული: „...წადიერებით და სურვილით წარგრაგნილი ძმათა მიერ... დაიდვა ყოვლად იგი გუჟამი მისი მასვე მღვმესა შინა“. სვინაქსარული ცხოვრება შიოს დასაფლავების ცერემონიალში კათალიკოს მაქარისა და „სხუათა ებისკოპოზთა“ მონაწილეობას გვიჩვენებს: „შეიმურა კათალიკოზისა მაქარის და სხუათა ღმრთის მიერ უწყებულთა ებისკოპოზთა მადლითა და დაიდვა მასვე მღვმესა შინა“ (2v, II), მაქარი კათალიკოზი მოხსენებელია შიოს პეტაფრასტულ ცხოვრებაში, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, მოესწრო იგი თუ არა შიოს სიკვდილს. ამდენად სვინაქსარული ცხოვრების ამ ფაქტის შემოწმება სხვა წყაროებით არ ხერხდება.

7. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სვინაქსარული ცხოვრების ყველა ეპიზოდზე პეტაფრასტულის შესაბამისი ვრცელი თხრობის ძალზე

შემოკლებულ პერიფრაზს წარმოადგენს, მაგრამ არის ერთი საწინააღმდეგო შემთხვევა: ერთ დეტალში სვინაქსარული ცხოვრების ფრაზეოლოგია მეტაფრასტულიაზე ვრცელია:

სვინაქსარული ცხოვრება

„... და წმიდამან ღმრთის-მშობელმან შთაუღვა პირსა მისსა შესაქმელი რაჲმე უცხოჲ კაცთაგან და პრქუა მას: „ამიერითგან კაცობრივი საზრდელი არღარა გიქმს შენ და უბრძანებიეს ძესა ჩემსა ქრისტესა ღმერთსა, რაჲთა ერთი ანგელოზი მარადის მყოფ იყოს შენ თანა და გზრდიდეს და სცვიდეს ცხოვრებასა შენსა“. და ამაღლდა წმიდაჲ ღმრთის-მშობელი კრებულსა მის თანა. და მიერითგან ნეტარი შიო რაჲ დღე იზრდებოდა ანგელოზისა მიერ საზრდელითა მით, რომელ ღმერთმან უწყის“ (2r).

მეტაფრასტული ცხოვრება

„და მისცა ჳელთა შინა მისთა მსგავსი თოვლისაჲ მცირელი და პრქუა: ...აწ შეჳამე ეგე, რომელ არს ჳელსა შენსა და ამიერითგან რაჲ ჳეცით მოგეცემოდის, მას ჳამდი“ (გვ. 95).

„...შიო ...ზარდა საზრდელისა მოვლინებითა, რამეთუ ტრედისა მიერ დლითი-დღე მოუვლენდის მას საჳიროსა ნუგეშინის-საცემელსა კორცთასა...“

(გვ. 96)-

ამ ადგილის მეტაფრასტულთან შედარებით ვრცლად წარმოადგენა სვინაქსარული ცხოვრების ავტორის საკუთარი ინიციატივა.

მეტაფრასტული ცხოვრების ამ ადგილას არ არის ნათქვამი, რომ მტრედი, რომელიც შიოს „ზრდიდა“, სახეშეცვლილი ანგელოზი იყო, რაც ხაზგასმულია სვინაქსარული ცხოვრების შემდეგ ადგილას: „იხილა ანგელოზი მზრდელი მისი სახითა ტრედისა სპეტაკისაჲთა, შემაველი მისა“ (2r) / მაგრამ ამ შემთხვევაშიაც სვინაქსარული მეტაფრასტულ ცხოვრებას ეყრდნობა. სვინაქსარულ ცხოვრებაში ეს დეტალი მეტაფრასტული ცხოვრების მთლიანი შინაარსის გათვალისწინებითაა შემოტანილი. მართლაც, მეტაფრასტული ცხოვრების იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია შიოს მიერ წყაროს „აღმოცენების“ შესახებ, ნათქვამია, რომ შიოს მზრდელი, რომელიც ადრე მტრედის სახით იყო ცნობილი, ანგელოზი ყოფილა: „...მახლობელად კლდისა მდგომარე იყო ანგელოზი მზრდელი მისი...“ (გვ. 105). მართალია, აქ არ არის ნათქვამი, რომ ეს ანგელოზი იგი-

ვეა, რაც პირველად მოხსენებული მტრედი, მაგრამ სვინაქსარულმა ცხოვრებამ მეტაფრასტულში სხვადასხვა ადგილას მოცემული ეს ორი დეტალი ერთმანეთს დაუკავშირა და აღნიშნა, რომ „ანგელოზი ნზრდელი“ „სახითა ტრედისაჲთა“ იყო მოვლინებული.

ამრიგად, შოი მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრება მეტაფრასტული ცხოვრების მიხედვითაა შედგენილი. მაგრამ ხშირად ის მეტაფრასტული ცხოვრების შესაბამის ადგილებთან მხოლოდ შინაარსობრივ კონტაქტშია, ხოლო ფრაზეოლოგიურად თითქმის დამოუკიდებელი თხრობის ნიმუშებს იძლევა. სვინაქსარული ცხოვრების ზოგიერთი დეტალის მოძებნა მეტაფრასტულში მხოლოდ მისი შინაარსის მთლიანი გათვალისწინებით შეიძლება და არა მარტო შესაბამისი ადგილით. ამასთანავე, როგორც აღვნიშნეთ, სვინაქსარული ცხოვრება ზოგჯერ მცირეოდენ განსხვავებებსაც იძლევა წყაროსთან შედარებით, ხოლო მისი ზოგიერთი დეტალი, როგორც ვნახეთ, არ არის მეტაფრასტულსა და მოკლე ცხოვრებებში. ალბათ, ეს მაგალითები ჰქონდა მხედველობაში შოი მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრების პირველ გამომცემელს თ. ყორდანიას, როდესაც გაკვრით აღნიშნა: „ეს ცხოვრება აქა-იქ ახალს ვარიანტს გვაძლევს შიოს ცხოვრებისას, რამდენადმე განსხვავებულს მისის მეტაფრასისაგან“²¹⁷.

იმისათვის, რომ აღინიშნოს მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია შიოს სვინაქსარული ცხოვრების ამ რედაქციის შექმნა, საჭიროა გავითვალისწინოთ შიოს სრულ ცხოვრებათა ურთიერთმიმართების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში წამოჭრილი საკითხები.

დღეს უკვე საკმაოდ აღარ არის მიჩნეული, რომ ასურელ მოღვაწეთა მოკლე ცხოვრებები ერთი მთლიანი თხზულება უნდა ყოფილიყო, რომელსაც იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრება ეწოდებოდა.

მეორეს მხრივ, გამოითქვა აზრი, რომ ასურელ მოწაფეთა მოკლე ცხოვრებები, მართალია, ერთი თხზულება უნდა იყოს, მაგრამ ის თავისთავადი და უძველესი რედაქცია კი არ არის, არამედ ასეთივე სახელწოდების უფრო ძველი თხზულების გამონაკრები და ამდენად შემოკლებული რედაქციაა. ამ მოკლე ცხოვრებების წყარო არის იოვანე ზედაზნელის ცხოვრების ის რედაქცია, რომლის ერთადერთი სანახევროდ ნაკლები ნუსხა, რომელსაც თავის გაგრძე-

²¹⁷ თ. ყორდანია, ისტორიული საბუთები შოი მღვიმის მონასტრისა, თბილისი, 1896, გვ. 70.

სარულ რედაქციას“ (ილ. აბულაძე). ჩვენ მიერ შემოკლებულ ცხოვრებათა შექმნის დროისა და დანიშნულების შესახებ დაშვებულა ვარაუდის დროს სხვა შემოკლებულ ცხოვრებებთან ერთად მხედველობაში ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების მოკლე წიგნებიც გვქონდა.

ამრიგად, სარწმუნო ჩანს, რომ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების მოკლე წიგნები შედგენილია ლიტურგიკული მიზნებით, მაგრამ თუკი ისინი ერთი თხზულების ნაწილები არიან, მაშინ ამ ერთ თხზულებას, რომელიც ღვთისმსახურებაზე უნდა წაეკითხათ, ხსენების ერთი დღე უნდა შეესაბამებოდეს. ხომ არ შეაძლება ვივარაუდოთ, რომ ეს შემოკლებული ცხოვრება იკითხებოდა იმ დღეს, როდესაც დადებული იყო იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ხსენების დღე. 7 მაისს? ასეთი დღის არსებობა კი დადასტურებულია XII—XIII საუკუნის Jer.—80 სეინაქსრის XIV ს. ბანაწერში და განმეორებულია უფრო გვიანდელ სადღესასწაულოებშიაც. აბასთანავე ასეთი დღის არსებობით ხომ არ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ცალკე ისე წილკნელს. იოსებ ალავერდელის, ანტონი მარტომყოფელის, დავით გარეჯელის, იოვანე ზედაზნელის ხსენებები XVIII საუკუნემდე არ გვხვდება არც ერთ ლიტურგიკულ ძეგლში? დაბრკოლებას ქმნის, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ უძველესი დროიდან ზოგიერთ ასურელ მოღვაწეს — აბიბოს ნეკრესელს, დავით გარეჯელს, შოი მღვიმელს — დამოუკიდებელი ხსენების დღეები უნდა ჰქონოდათ, მეორეც, აბიბოს ნეკრესელისა და შოი მღვიმელის ხსენების დღეები დადასტურებულია XI—XIV საუკუნის ლიტურგიკულ ძეგლებში. როგორც არ უნდა გადაწყდეს ზემოთ წამოკრილი საკითხები, ფაქტია, რომ შიოს მოკლე წიგნს მისი ხსენების დღეს საკითხავის დანიშნულება ჰქონდა. მაშინ ისმის კითხვა: რალა საჭირო იყო შიოს სეინაქსარული ცხოვრების შექმნა?

ჯერ ერთი. „დიდი სვანაქსრის“ XI ს. ქართულად თარგმნამ გამოიწვია მასში შესატანი ლიტურგიკული საჭიროების აგიოლოგიური ძეგლები. უფრო შემოკლებული ფორმით ჩამოყალიბება, მეორეც, შიოს მეტაფრასტულმა ცხოვრებამ, რომელიც ამ მოკლე ცხოვრებაზე აღმოცენდა. წყაროს მონაცემებს უამრავი ფაქტიური და სასწაულების შენცველი მასალა მიუმატა. სწორედ ეს მომენტი უნდა იყოს გადამწყვეტი ჩვენ მიერ განხილული შიოს სეინაქსარული ცხოვრების შექმნისათვის. სეინაქსარული ცხოვრების შემდგენელმა წყაროვ სწორედ მეტაფრასტული ცხოვრება აღიღა, რათა მისი მდიდარი ახალი მასალა, რაც მოკლე წიგნში არ მოიპოვებოდა, ღვთისმსახურებაზე საკითხავ თხზულებაშიაც გადმოეტანა. მართ-

ლაც, როგორც უკვე ვნახეთ, სვინაქსარულ ცხოვრებას ძალზე შეკუმშული ფორმით მეტაფრასტული ცხოვრებიდან აუღია შიოს ცხოვრება-მოღვაწეობის შემცველი თითქმის ყველა ძირითადი დეტალი.

რა დროს უნდა შექმნილიყო ეს სვინაქსარული ცხოვრება? ფაქტია, რომ ის შეიქმნა მეტაფრასტული ცხოვრების შემდეგ. მეტაფრასტული ცხოვრება XII ს. I ნახევრის ძეგლად არის მიჩნეული. ამდენად სვინაქსარული XII—XIII სს. შორის შედგენილი ჩანს. თუ კი აკად. კ. კეკელიძის მიერ გაკვირით გამოთქმული ვარაუდია, რომ ავტორი შეიძლება იყოს შიო მღვიმელის საგალობლების შემდგენელი არსენ ბულმასიმიძე²²¹, სწორია, მაშინ ამ ძეგლას შექმნა XIII ს. II ნახევრით შემოიფარგლება.

7. აბო თბილელი

აბო თბილელის კელტი ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში მტკიცედ დამკვიდრდა VIII საუკუნიდან. ამ წმინდანის პოპულარობას ხელი შეუწყო არა მარტო მისმა პიროვნებამ (ტომით არაბი, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა და ამ სარწმუნოებისათვის ეწამა), არამედ მისი წამების შესახებ იოანე საბინისძის მიერ შექმნილმა ბრწყინვალე აგიოგრაფიულმა თხზულებამ — „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა აბოასის“. ეს თხზულება განუყრელი ნაწილი გახდა ნათარგმნი და ორიგინალური თხზულებების შემცველი ისეთი უძველესი კრებულებისა, რომლებიც „მრავალთავეების“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს თხზულება თითქმის ყველა უძველეს „მრავალთავეშია“ დადასტურებული. ასეთებია: X ს. A—19, A—95, ათონის—57, Sin.—11 და სხვა. მისი დღესასწაულის აღნიშვნაც VIII ს. საეკვო არ უნდა იყოს. აბოა ხსენების დღე თავიდანვე კალენდარული დღის მიხედვით განწესდა 7 იანვარს, თუმცა, მის მოწამებრივ აღსაარულს, როგორც ამას „მარტვლობა“ გვამცნობს, ნათლისღების დღეს — 6 იანვარს ჰქონია ადგილი, მაგრამ მისი დღესასწაულის ერთი დღით გვიან დაწესება იმ საეკლესიო კანონს გამოუწვევია, რომლის მიხედვით საუფლო დღეებში ერიდებოდნენ ხსენების დღეების განწესებას, ალბათ, მოწამის დღესასწაულის საუფლო დღესასწაულით დაჩრდილვის შიშით.

²²¹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 303.

VIII—X სს-ში, მსგავსად ამ პერიოდის სხვა ნაციონალური წმინდანებისა, აბოს ხსენების დღეს აგიოგრაფიული მასალიდან მისი „წამების“ ტექსტი იქნებოდა გამოყენებული. X საუკუნიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩნდება ქართველი წმინდანების ვრცელ ცხოვრებათა საფუძველზე შედგენილი შემოკლებული ცხოვრებები. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ აბოს ცხოვრების მოკლე რედაქცია არ შექმნილა. საფიქრებელია, ასეთი საკითხავის როლში ისევ ვრცელი ცხოვრება გამოდიოდა; თუმცა ჩვენ გვაქვს ექვი, როგორც შესავალში გამოვთქვით, რომ აბოს შემოკლებული ცხოვრების როლს მისი ვრცელი ცხოვრების გარკვეული ნაწილი ასრულებდა. ამ ექვს იწვევს, ჯერ ერთი, სინას № 11 ხელნაწერში (X ს.) მოთავსებული აბოს ცხოვრების ტექსტი, რომელსაც აკლია ზანდუკი და პირველი თავი: „ღმრთის-მსახურებისათჳს შეკრებულთა მათ უწყებაჲ და მარტვლთ-მოყუარეთა მათ სწავლაჲ...“²²² შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ტექსტი, რომელიც ღვთისმსახურებაზე აბოს ხსენების დღეს უნდა წაეკითხათ, სპეციალურად იყო შეკვეცილი. ამ ექვს კიდევ უფრო აძლიერებს A—70, A—643 და S—3269 ხელნაწერები, რომლებშიც სხვა აგიოგრაფიულ თხზულებებთან ერთად მოთავსებულია აბოს „წამების“ მხოლოდ მესამე თავი — „წამებაჲ წმიდისა ჰაბოასის“. ეს ხელნაწერები შედარებით გვიანდელია (თუმცა A—70 XIII საუკ-ისაა) მაგრამ, შესაძლებელია, აბოს ცხოვრების მხოლოდ ეს ნაწილი იყო ამ ხელნაწერების უძველეს დედნებშიც. აბოს ცხოვრების ამ თავს, მართლაც, დამოუკიდებელი ნაწარმოების ფორმა აქვს და სავსებით შესაძლებელი იყო ამ ნაწილის ღვთისმსახურებაზე წაკითხვა აბოს შემოკლებული ცხოვრების შესაცვლელად. მხოლოდ ამ მიზეზით ვხსნით ჩვენ აბოს შემოკლებული ცხოვრების შეუქმნელობის ფაქტს.

აბოს შესახებ სრულყოფილი აგიოგრაფიული თხზულების არსებობამ, ჩვენი აზრით, გამოიწვია აბოს შესახებ ლიტურგიკული საჭიროებისათვის მდიდარი მასალის შეუქმნელობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველსა და ამავე დროს საინტერესო ჰიმნოგრაფიულ მასალას, რომელიც უძველეს პერიოდშივე შექმნილა²²³

²²² ი. ვ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 29—30, Sin.—11, 289v—307r.

²²³ აბოს იმ საგალობლის გარდა, რომელიც მის მარტილობაშია შესული, აღსანიშნავია კილ-ეტრატის (IX ს.) იადგარში მოთავსებული აბოს საგალობელი, რომელსაც იმავე იოანე საბანისძეს აკუთვნებენ (კ. კ ე ე ლ ი ძ ე, აბოს ახალი საგალობელი, „მწვემსი“, № 13—14, 1905, გვ. 3—6).

(VIII—IX ს.). სამაგიეროდ მასალა აბოს შესახებ სვინაქსარულ კრებულებში სუსტადაა წარმოდგენილი. ჩვენამდე მოღწეულ წყაროებში აბოს სვინაქსარულ ცხოვრებას XIV საუკუნემდე ვერ ვხვდებით, ხოლო XIV ს. ნუსხა ისე მცირეა, რომ შეიძლება მას სვინაქსარული ცნობა ვუწოდოთ და არა ცხოვრება. გარდა ამ ნუსხისა. სვინაქსარულმა კრებულებმა და სადღესასწაულოებმა შემოინახეს აბოს სვინაქსარული ცხოვრების კიდევ ორი რედაქცია. რომლებიც მსგავსად პირველისა მოკლენი არიან და ამასთანავე გვიანდელი XV—XVIII სს. ამთგან III რედაქციას მეტი გავრცელება მოუპოვებია; ეს რედაქცია XVIII ს. 5 ნუსხითაა ცნობილი (A—425, A—220, A—515, H—970, A—648). II რედაქცია 3 ნუსხით (A 187, XVII ს.; ცენტ. არქ.—302, 1705—06 წ.; A—1474, 1740 წ.). ხოლო პირველი, ყველაზე ძველი რედაქცია მხოლოდ ერთი XIV ს. ნუსხითაა ცნობილი და ისიც აშიაზე მინაწერის სახითაა ჩვენამდე მოღწეული Jer.—80 XII—XIII სს. ხელნაწერში.

აბოს სვინაქსარული ცხოვრების უძველესი რედაქცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალზე მოკლე, სქემატური ძეგლია. ის მოთავსებულია Jer.—80 (XII—XIII სს.) სვინაქსარის აშიაზე სხვა მრავალრიცხოვან მინაწერებს შორის XIV ს. ხელით. სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი გადალეულია. განსაკუთრებით ბოლო ნაწილი, რის გამოც რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა თითქმის შეუძლებელი ხდება.

რა თქმა უნდა, აბოს შესახებ დაწერილი ყოველგვარი ძეგლი. სვინაქსარული თუ ჰიმნოგრაფიული, მისი ვრცელი ცხოვრების საფუძველზე იქნება შედგენილი, რადგან ამ მოწამის შესახებ სხვა წყაროები ჩვენთვის არაა ცნობილი და, საფიქრებელია. არც არსებულა. მისი მცირე მოცულობა და აშინად პერიფრაზული ხასიათი ვრცელ ცხოვრებასთან ფრაზეოლოგიური მიმართებისათვის თითქმის არაერთარ მასალას არ იძლევა — მათი ურთიერთდამოკიდებულება მხოლოდ შინაარსობლივია. სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია რამდენიმე წინადადებით მოგვითხრობს აბოს ცხოვრების უმთავრეს მოვლენტებს, რომ ის იყო „ბაღდადით და მოვიდა ქართლს“, სადაც მან მიიღო ქრისტიანობა და ამიტომაც „იწამა საკრინოზთა მიერ ტფილის ქალაქსა შინა“. როგორც აღვნიშნეთ, სვინაქსარული ცხოვრების ბოლო წინადადების რამდენიმე სიტყვა არ იკითხება და აშინად მისი შინაარსის სრული სახით გაგება ძნელდება. აქ ლაპარაკია „მრავალთა [გუემათა და] ტანჯათა“-ზე და მისი გვამის

სვინაქ. ცხოვრ. (III) ლეონტი შროვე- „მოქც. ქართლისაჲ“
ლის რედაქცია

„შობელთა მისთა გან- „განყიდეს შობელ- „შობელთა ჩემთა
ყიდეს ყოველნი მონა- თა მისთა ყოველივე, განყიდეს ყოველი, რა-
გები მათა და განუ- რაჲცა აქუნდა, დაჲცა აქუნდა, და წარ-
ყვეს გლახაკთა“. წარყიდეს იერუსა- ვიდეს იერუსალმად“.

(A-1582, 451v). ლიჲად ჲა განუ-
ყვეს გლახაკ-
თა“ (ქართლის
ცხოვრ. 1955, გვ.
76).

ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია აღნიშნავს ნი-
ნოს საქართველოში მისვლის თარიღსაც „დასაბამითგან წელთა ხუ-
თი ათას რვაჲს ორმე[ო]ცდა მეათესა (350 ან 342 წ.) და ამაღ-
ლებისა ქრისტესისა სამას ოცდა მერვესა წელსა“ (328 ე. ი. ქრისტეს
შობიდან 361). ეს თარიღები, როგორც ვხედავთ, არ ეთანხმებიან
არც ერთმანეთს და არც ვრცელი ცხოვრების თარიღებს (კელიშუ-
რით 352 წ., შატბერდულით 352 და 358 წ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართ.
ლიტერ. ისტ. I, გვ. 498), როგორც ვხედავთ, თარიღები აქაც ისე არე-
ულ-დარეულია, როგორც ნინოს ცხოვრების სხვა რედაქციებში.

• • •

ნინოს ცხოვრების სვინაქსარული რედაქციებიდან ყველაზე
ვრცელი. მაგრამ გვიანდელი არის ის რედაქცია, რომელიც A—425
სადღესასწაულოში შეუტანიათ. როგორც სხვა ქართველ მოღვაწე-
თა სვინაქსარულ ცხოვრებათა დიდი ნაწილი, რომლებიც ამ სადღე-
სასწაულოშია შეტანილი, ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ეს რე-
დაქციაც სპეციალურად ამ კრებულისათვის უნდა იყოს შედგენი-
ლი. აქედან ის გადაუტანიათ A—220 სვინაქსარულ კრებულშიც. ამ
სვინაქსარული ცხოვრების მხოლოდ დასახელებული ორი ნუსხა
არის ცნობილი.

სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია ნინოს შესახებ შე-
ქმნილ თხზულებებთან შედარებით არაფერს ახალს და განსხვა-
ვებულს არ იძლევა. მაგრამ საინტერესოა იმით. რომ მისი წყარო
არის ნინოს ცხოვრების არა რომელიმე ვრცელი რედაქცია, არა-
მედ ნიკოლოზ გულაბერიძის (XII ს. II ნახევრ.) თხზულება „საე-
თხაენი სუშტის-ცხოველისანი კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე



ეკლესიისად¹. ეს თხზულება, როგორც ცნობილია, მარტოოდნაა ნოს ბიოგრაფიის გადმოცემის მიზნით არ დაწერილა. ნინოს ცხოვრების ეპიზოდები მოთხრობილია უმთავრეს მიზანთან დაკავშირებით — ახსნილიყო საქართველოში მისიონერად ქალის მოვლინების ეპიზოდი. სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია თხრობას ნინოს მცხეთაში მოსვლიდან იწყებს, ისევე, როგორც მისი წყარო — ნიკოლოზ გულაბერიძის თხზულება, თუმცა წყაროში ორიოდ სიტყვით ნახსენებია ნინოს ჭაეხეთში შემოსვლა. ერთი სიტყვით, არც წყარო და არც მასზე დამყარებული სვინაქსარული ცხოვრება არაფერს არ ამბობენ ნინოს იერუსალიმში ცხოვრების შესახებ. სვინაქსარული ცხოვრება ნინოს ქართლში მოსვლისა და იქ დამკვიდრებული კერპთაყვანისმცემლობის მოკლედ აღწერის შემდეგ გადმოგვცემს ნინოს მიერ კერპების დამსხვრევის ეპიზოდს, რაც თითქმის სიტყვა-სიტყვითაა აღებული ნიკოლოზის თხზულებიდან:

სვინაქსარული ცხოვრება

„და იყვნენ კერპნი არ-
მაზიანი კაცი სპილენძისა და
ტანა ეცუა ჭაქვ ოქროსა და ჩა-
ბალახი მყარი თავსა მისსა.
თუალნი ეყარნეს ერთი ზურმუხ-
ტისა და მეორე ბივრიტი და
ქელთა ეყრა ჳრმალი ბრწყინვა-
ლე და იქცევდა ქელთა შინა
ოჯსთა“ (A—425).

მროველის რედაქცია

„ვითარცა მიხედნა, იხილა რა
ღვა კაცი ერთი სპილენძისა და
ტანა ეცუა ჭაქვ ოქროსა და ჩა-
ბალახი მყარი თავსა მისსა. თუა-
ლნი ეყარნეს ერთი ზურმუხტი-
სა და მეორე ბივრიტი და ქელ-
თა ეყრა ჳრმალი ბრწყინვალე,
ვითარცა ელვა და იქცევდა ხელ-
თა შინა თჳსსა“ (ააქ. სამოთხე,
გვ. 73).

მოტანილი ციტატები განსხვავდებიან მხოლოდ ხაზგასმული ადგილით. წყაროსაგან განსხვავებული ფრაზა სვინაქსარული ცხოვრების აუტორის დანამატია და შემოტანილია წყაროს შესაბამისი ადგილის შემოკლების მიზნით. ამ ერთი ფრაზიდანაც კარგად ჩანს, რომ, რაც კი სვინაქსარულ ცხოვრებაში არქაულია, წყაროდანაა გადმოსული, ხოლო სვინაქსარული ცხოვრებისეულ ფრაზეოლო-

¹ ეს თხზულება ნინოს ცხოვრების დეტალების გადმოცემაში პოლიანად ლეონტი მროველის შრომას ეყრდნობა, რაზედაც, რომ არაფერი ეთქვათ მათ ფრანგოლოგიურ სიახლოვეზე, მიუთითებს თვით ნიკოლოზიც: „რამეთუ ვინ გამოწულილეთ მქციებლობდეს დასაბამსა და ვინაობასა და საღაობასა ნეტარი-
სა მის ნინოსსა, წიგნი იგი ხელად მიიღენ აღწერილი მოწერილობით მოთხრო-
ბისათჳს ქართველთა ცხოვრებისა და მისგან გუწყოს ყოველივე აღმაქე-
ბელად ჩუენისა ნაყლულეანებისა“ (საქართვ. სამოთხე, გვ. 73).



გიაში იგრძნობა მოგვიანო ქართული, რაც ამ თხზულების გვიანდლობაზე მიუთითებს.

სვინაქსარული ცხოვრების აღნიშნული ეპიზოდი, რომელიც თითქმის მთელი სვინაქსარული ცხოვრების ერთ მესამედს შეადგენს, აღებულია ნიკოლოზის თხზულებიდან თითქმის მთელი მოცულობით და ფრაზეოლოგიით, სამაგიეროდ დანარჩენ ნაწილში კი ის ადგილ-ადგილ გამონაკრებს გვაძლევს, შემდეგ კი მოკლე პერიფრაზულად გადადის: ეს უმთავრესად შეეხება ნინოს მიერ ჩავენილი სასწაულების აღწერას, რაც სვინაქსარულ ცხოვრებაში თითქმის მარტოდენ ფაქტის აღნიშვნით ამოიწურება. უფრო ფართოდაა წარმოდგენილი სვინაქსარული ცხოვრების ბოლო ეპიზოდი — მირიან მეფის „მოქცევა“ მზის დაბნელების სასწაულის შედეგად, რაც სვინაქსარულ ცხოვრებას წყაროდან გადმოუღია ადგილების გამოკრებითა და ზოგჯერ თავისუფალი თხრობით. სვინაქსარული ცხოვრების IV რედაქცია ქართლის მოქცევის თარიღებსაც იძლევა: „განაოლდა ყოველი ქუეყანა ქართლისა [და კახეთისა A—220] და საბაპითგან სოფლისა ხუთი ათას რეას ოცდათვრამეტსა (ე. ი. 320 ან 338 წ.) და ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოცდაათორმეტსა“ (A—425, 334r). ისევე, როგორც სხვა წყაროებში (ნინოს ვრცელ და სვინაქსარულ ცხოვრებათა რედაქციებში), ეს თარიღები ერთმანეთთან შეუთანხმებელია.

2. პეტრე იბერიელი

ცნობები V საუკუნის ქართველი მოღვაწის — პეტრე იბერიელის შესახებ შედარებით გვიანდელ ქართულ წყაროებს შემოენახავს. მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ეპიზოდების შემცველი ძირითადი წყარო ვრცელი ცხოვრების ქართული ნუსხაა, რომლის აღმოცენებას XIII საუკუნეში დებენ². საკმე ისაა, რომ მის შესახებ გაცხილებით ძველი თხზულება შემონახულია ასურულ ენაზე³, საიდანაც მომდინარეობს ქართული წყაროებიც. პეტრე ქართველის ცხოვრების ნუსხა მისი მოწათის ზაქარიას მიერ სირიულ ენაზე შექმნილი (V—VI სს.) ძეგლის ქართულ თარგმანად და ნაწილობრივ გადმონაკეთებად არის გამოცხადებული. ცხოვრების ეს რედაქცია ეკუთვნის მაკარი მესხს, როგორც ამას ცხოვრების ანდერძი გვაძ-

¹ Н. Марр, Житие Петра Ивера, „Православный Палестинский Сборник“, т. XVI, Сиб., 1896.

² Petrus der Iberer, Herausgegeben und übersetzt von Richard R a b e, Leipzig, 1895.

244
 2019
 10/10/2019

ცნობს. აკად. ნიკო მარმა მიაკვლია მაკარი მესხის პეტრე იბერიელის ცხოვრების ისეთ ნუსხას, სადაც მეორე პირი ჩარეულა და ამ ძეგლში მცირეოდენი დამატებები შეუტანია. დაუმატებია შესავალი, გამართვის მიზნით წყობა ადგილ-ადგილ შეუცვლია და დაურთავს ანდერჰ-ბოლოსიტყვაობა. საიდანაც ჩვენ ვგებულობთ მისი რედაქტორული საქმიანობის შესახებ. ნიკო მარს ეს შესწორებანი, შეტანილი პავლე დეკანოზის მიერ, XVII საუკუნისად მიაჩნია, რასაც იმეორებს ს. ყუბანეიშვილი. სინამდვილეში პავლე დეკანოზს ეს შესწორებანი და დამატებანი არ შეიძლება XIV—XV ს-ზე გვიან შეეტანა. რადგან XIV XV სს. ხელნაწერში ჩვენ გვაქვს მაკარის რედაქციის ისეთი ცხოვრების ნუსხა, რომელშიაც პავლე დეკანოზის მიერ მითითებული ადგილები ზუსტად ისევეა, როგორც ნიკო მარის მიერ გამოქვეყნებულ პავლე დეკანოზის ანდერჰის შემკველ ტექსტში. თუმცა ამ ანდერჰის გარეშე. ამდენად, თუ მაკარის მიერ იარგნნილი ცხოვრების რედაქციაში პავლემ, მართლაც, შეიტანა ასეთი შესწორებები, მაშინ ჩვენთვის უცნობი ყოფილა მაკარის ვადმოკეთებული პეტრე იბერიელის ცხოვრების რედაქცია. ჩვენამდე მოღწეული ამ ცხოვრების უძველესი ნუსხა პავლეს შენასწორებ ნუსხად უნდა მივიღოთ, რაც არ შეიძლება, რომ გადასცილდეს XV ს. ფარგლებს.

პეტრე იბერიელის ცხოვრების ვრცელი რედაქციის საფუძველზე. გამოკრებისა და ალაგ-ალაგ თხრობის ფორმებში მცირეოდენი ცვლილებების შეტანით, შეუდგენიათ შემოკლებული ცხოვრება. იგი ვრცელ ცხოვრებასთან ერთად გამოსცა ნ. მარმან. შემოკლებული ცხოვრება ვრცელთან შედარებით ერთისამად მცირეა. მოკლე ცხოვრების შედგენის მიზნების შესახებ სამეცნ. ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ის სვინაქსარული ცხოვრებაა: «Краткая редакция представляет извлечение из пространней, сделанное для Синаксаря, почему она помечена в начале календарным указанием «второго декабря», в какой день и чтится память этого святого».

მისი სვინაქსარულობა აღნიშნული აქვს აკად. კ. კეკელიძესაც: «პავლეს რედაქციიდან ვიღაცას ვადმოკეთებია მოკლე სვინაქსარული რედაქცია».

• კ. კეკელიძე, ძვ. ჯარბ. მწერლ. ისტორია, I, 1951, გვ. 314.
 • იქვე.
 • H. M a r p, დასახ. ნაშრომი, გვ. 57—78.
 • იქვე, გვ. XVI.
 • კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 315.

6. მარის მიერ მითითებული საბუთი, სათაურში მითითებული ხსენების კალენდრული დღე, არ არის საკმარისი პეტრეს შემოკლებული ცხოვრების „სვინაქსარულობის“ დასამტკიცებლად, რადგან ასეთი მითითება აქვს თითქმის ყველა მოწამის ვრცელი და მოკლე ცხოვრების რედაქციებს, რის გამოც ყველა მათგანი სვინაქსარულ ცხოვრებად ვერ ჩაითვლება. ამასთანავე, ყოველგვარ შემოკლებულ ცხოვრებასაც ვერ ჩაეთვლით სვინაქსარულად: 1. სვინაქსარული ცხოვრება არ შეიძლება იყოს იმ მოცულობისა, როგორცაა პეტრე იბერიის შემოკლებული ცხოვრება. ასეთი დიდი ზომის სვინაქსარული ცხოვრება არ დასტურდება არა მარტო ქართული წყაროების მიხედვით, არამედ თვით ბერძნულ მწერლობაშიც, სადაც დასაბამი მიეცა სვინაქსარული ცხოვრების ფორმას. გიორგი მთაწმიდლის „დიდ სვინაქსარში“ დადასტურებული ყველაზე დიდი მოცულობის სვინაქსარული ცხოვრება — ექვთიმე მთაწმიდლისა — პეტრე იბერიელის შემოკლებულ ცხოვრებასთან შედარებით სამჯერ პატარაა. 2. სვინაქსარული ცხოვრების სახელწოდებაც გვიჩვენებს, რომ მისი სახელწოდება დაკავშირებულია იმ კრებულთან. რომელიც მას შეიცავს. ე. ი. ამ სახელწოდებას ატარებს „ცხოვრების“ ისეთი მოკლე ვარიანტი, რომელიც შესულია ლიტურგიკულ კრებულში — „სვინაქსარში“ და აქედან შეიძლება გადატანილ იქნეს სადღესასწაულოებში, ხოლო იშვიათად შეიძლება დამოუკიდებელი სახით არსებობდეს, ან აგიოგრაფიულ კრებულშიც შევიდეს. როგორც მოკლედ არ უნდა იყოს აგიოგრაფიული ტექსტი, მისი სვინაქსარულობა არ შეიძლება მარტო სიმოკლით განიხილოდეს, ის უნდა შევიდეს სათანადო ლიტურგიკულ კრებულში, ან წმინდანის ხსენების დღის განგების მასალაში. მაგ. „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა უმეტესობა შეიცავს XVII—XVIII სს. ჩანართებს. ქართველ ნოღვაწეთა მეტნაყლებად მოკლე ცხოვრების ტექსტებს. მიუხედავად ამისა, მათი სვინაქსარულობის შესახებ ვინმეს აზრი არ დაბადებია. ასევე, პეტრე იბერიელის მოკლე ცხოვრების ტექსტი მხოლოდ აგიოგრაფიულ კრებულებში გვხვდება. მისი ლიტურგიკულ კრებულში არსებობის არც ერთი ფაქტი არ დასტურდება. 3. სვინაქსარულ თხზულებას დასაწყისის საკეთარი ფორმა აქვს და თითქმის ყოველთვის იწყება ასე „ესე წმიდაჲ... იყო ქუეყანო... ნათესავით“. და ა. შ. ყოველ შემთხვევაში ისეთი ზოგადი და ვრცელი შესავალი. როგორც ეს პეტრე იბერიელის მოკლე ცხოვრებას აქვს (რაც ვრცელი ცხოვრების შესავლის ზუსტი განმეორებაა) არ შეიძლება ჰქონდეს სვინაქსარულ ცხოვრებას.

ამრიგად, პეტრე იბერიელის შემოკლებულ ცხოვრებას ჩვენ ვერ ვუწოდებთ სვინაქსარულს, როგორც ამას ნ. მარი და მასზე დაყრდნობით კ. კეკელიძე აკეთებენ, ეს ისეთივე ხასიათის შემოკლებული ცხოვრებაა, როგორც ილარიონის, ასურელების, შუშანიკის, ნინოს და სხვ. მოკლე რედაქციის ცხოვრებანი. ამიტომ მის მიმართ შეიძლება გამოვიყენოთ იგივე სახელწოდება — „სვინაქსარული მიდრეკილებისა“, ან „სვინაქსარული ტიპისა“, რომელსაც შემოალნიშნული მოკლე ცხოვრებების მისამართით ხმარობენ.

შეიძლება შემოგვედავონ, რომ პეტრე იბერიელის მოკლე ცხოვრება, ისევე როგორც სხვა ქართველ წმინდანთა მოკლე ცხოვრებები სვინაქსარულია, იმიტომ რომ მათ ღვთისმსახურებაზე საკითხავის დანიშნულება აქვთ. მაშინ სვინაქსარულად უნდა ჩავთვალოთ ვრცელი ცხოვრების რედაქციებიც, რომლებსაც მოკლე და სვინაქსარული ცხოვრებების ჩამოყალიბებამდე ასეთივე დანიშნულება ჰქონდათ, ხოლო მოკლე საკითხავების წარმოშობის შემდეგ პარალელურად ისინიც გამოიყენებოდნენ (გვაქვს წყაროებში უამრავი მითითებანი წმინდანის ვრცელი ცხოვრების ღვთისმსახურებაზე წაკითხვის საკიროებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის უკვე ცნობილია ამ მოღვაწის სვინაქსარული ცხოვრებაც. მაგ. ნინო — Sin.— 4, მხოლოდ ეკლესიის წმინდანები გიორგი მთაწმიდლის „დიდი სვინაქსარის მიხედვით“). ასეთი ვარაუდი არ იქნება მართებული არც ვრცელი და არც მოკლე ცხოვრების მიმართ.

პეტრე იბერიელის ვრცელი და მოკლე ცხოვრების დამოკიდებულება შესწავლილი აქვს ნ. მარს, ამიტომ მათ ურთიერთობაზე, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სვინაქსარული ცხოვრების წყაროების მიგნებისათვის. აღარ შეეჩერდებით და სვინაქსარული ცხოვრების განხილვაზე გადავალთ.

პეტრე იბერიელის სვინაქსარული ცხოვრების ნუსხებს ლიტურგიკულ კრებულებში XVIII საუკუნემდე ვერ ვხვდებით. მისი სვინაქსარული ცხოვრების პირველი ნუსხა მოთავსებულია 1703—1715 წწ. გადაწერილი გულანის (A—111) სვინაქსარულ ნაწილში, მეორე ნუსხა კი — ცენტრალური არქივის 459, 1739 წ. ხელნაწერში. ასევე XVIII ს. მხოლოდ ორი ნუსხით არის ცნობილი პეტრე იბერიელის სვინაქსარული ცხოვრების მეორე, შედარებით გვიანდელი რედაქცია — A—425 (1718 წ.) და A 220 (1726 წ.). აირველი რედაქცია გაცილებით ვრცელია მეორესთან შედარებით.

პეტრე ქართველის სვინაქსარული ცხოვრების შედარებით ვრცელი რედაქცია (ე. ი. 1) განსაკუთრებულ სიახლოვეს იიწნს

ცხოვრების შემოკლებულ რედაქციასთან. ეს ძირითადად ჩანს ფრა-
 ზეოლოგიურად შეშვედრი ადგილებიდან, რომელთა რაოდენობა
 საკმარისად დიდია. მართალია, იგრძნობა სვინაქსარული ცხოვრების
 ამ რედაქციის ნათესაობა პეტრე ქართველის ცხოვრების ვრცელ რე-
 დაქციასთანაც. მაგრამ ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ვრცე-
 ლი ცხოვრება არის წყარო მოკლე ცხოვრებისათვის, ხოლო ძირი-
 თადად მოკლე ცხოვრების საფუძველზე შედგენილია სვინაქსარულ-
 ლი ცხოვრების აღრიხდელი რედაქცია. ამდენად, სვინაქსარული
 ცხოვრების სიახლოვე ვრცელ ცხოვრებასთან მეშვეობით ბასილთს
 ატარებს. ამის დადასტურება მრავალი მაგალითით შეიძლება*:

სვინაქსარული

შემოკლებული

ვრცელი

„იყო ვინმე საკურისი
 სასუენებელთა მე
 ზედა მეფისათა, სასუენებელსა
 კაცი წმიდა და გან-
 შორებული ყოვლისა
 ბოროტისაგან. ესე თა-
 ნა-განმზრახ-ეჟმნა ძე-
 სა მეფისასა მურვან-
 ნოს“.

„იყო საკურისი ვინ-
 სასუენებელთა მე
 ზედა მეფისათა, სასუენებელსა
 კაცი წმიდა და გან-
 შორებული ყოვლისა
 ბოროტისაგან. ესე თა-
 ნა-განმზრახ-ეჟმნა ძე-
 გან ბოროტისა. ესე
 თანაგანმზრახ-ეჟმნა
 ძესა ქართველთა მე-
 ფისასა“ (გვ. 66. 10).

„იყო ვინმე საკური-
 სი სახელით იოანე.
 კაცი წმიდა და განშო-
 რებული ყოვლისა-
 ვან საქმისა ბოროტი-
 სა. ესე იყო თანა-
 გზარახველი ძისა
 ქართველთა მეფისა“
 (გვ. 12. 1).

„ხოლო დამესა
 მას იქმნა ძრვა სა-
 შინელი და ქუხ-
 ილნა სასტიკნი“.

„ხოლო მას და-
 მესა ძრვა იყო
 საშინელი, ელ-
 ვანი და ქუხილ-
 ნი“ (გვ. 67. 11, 14).

„და მას დაესა იყო
 ძრვა დიდი ქალაქ-
 სა მას შინა“
 (გვ. 16. 6).

„და ვითარცა მიიწი-
 ენეს, შეწყნარებულ
 იქმნეს ბინიანოსის ვი-
 სგანზე [და] შეულ-
 იერუსალიმად, შეწყ-
 ენეს და ვითარ-
 ცა მიიწივნეს
 ლეს წმიდა იგი ქალა-
 ქი, დაადგეს და სტი-“

* ვრცელი და შემოკლებული ცხოვრების გვერდები მოთხოვნილია E. მა-
 რის შრომის მიხედვით: «Житие Петра Иера...», Православный Палестин-
 ский Сборник, т. XVI, вып. II, 1896 г.



სვინაქსარული

შემოკლებული

ვრცელი

ლისა მისისა მელანისა-
გან, რომელნი მისრულ
იყვნეს ჰრომიო დიდნი
მთავართაგანნი. დამ-
ტევებელნი სოფლი-
სანი.

ნარეპელ იქმნეს პი-
ნიანოს ვიკანზე და
მეუღლისაგან მისისა
მალენეოს. ესენი კე-
თილნი მეუღლენი იყ-
ვნეს მეფენი რომისა
სამთავროს, დაეტე-
ვეს ღმრთისათვის. მო-
ვიდეს იერუსალიმად
და მონაზონ იქმნეს

(67. 12. 12).

როდეს მყოვარ უამ
მეტრვალედ და მერ-
მე შევიდეს და მოი-
ლოცნეს წმიდანი იგი
ადგილნი... ხოლო იყო
ვინმე მეფე ჰრომიო
მოსრული სახელით
პონიანოზ და სახელი
მეუღლისა მისისა მა-
ლენეოზ“ (გვ. 13.7).

„მაშინ მამასახლისმან
მის მთისა მონასტრი-
სამან წარიყვანნა საფ-
ლავად განმაცხოველე-
ბელისად და აღკუეც-
ნა იგინი და შემოსა სა-
სე მონაზონებისა და
უწოდა აურვანოს[ს]
პეტრე და საკურის[ს]
ნას — იოვანე“.

„მამასახლისმან მის
მთის მონასტრისამან
წარიყვანნა საჟღავ-
სა მას განმაცხოვე-
ლებელსა: აღკუეცნა
და შემოსა სახე მონა-
ზონებისა და უწოდა
პეტრეანოზს პეტრე.
ხოლო საკურისსა
იოვანე“ (67. 13. 1).

„ხოლო მამასახლის-
მან მიითულა იგინი
სიხარულით და წარი-
ყვანნა წმიდასა აღდ-
გომასა და აკურთხნა
მონაზონად სახელსა
მას ზედა უფლისა და
უწოდა მორვანოზს
სახელი პეტრე და სა-
კურისსა იოვანე და
წარიყვანნა მონასტ-
რადე“ (გვ. 14. 19.6).

პარალელური ადგილების ჩვენებით ნათელია: სვინაქსარული ცხოვრება მოკლე ცხოვრების საფუძველზეა შექმნილი. ხოლო ვრცელთან შეხების წერტილები მოკლე ცხოვრების მეშვეობითაა გამოწვეული. სვინაქსარული ცხოვრებისა და მოკლე ცხოვრების საერთო ადგილები გაცილებით დიდი რაოდენობით დასტურდება. სვინაქსარული ცხოვრების ზოგიერთი ადგილი ბადებს ეჭვს, რომ სვინაქსარული ცხოვრების ერთადერთი წყარო მოკლე ცხოვრება არ არის. შედარებით იშვიათად, სვინაქსარული ცხოვრება უნდა იყენებდეს ვრცელ ცხოვრებასაც:

ხვინაქსარული	ვრცელი	შემოკლებული
„ხოლო განთიად აღდგა შიშით და მოვიდა საპყრობილედ და შეუვრდა ფერკთა მათთა და დიდითა პატივითა განუტევნა იგინი და მიერ წარვიდეს იერუსალიმად“.	„ხოლო განთიად აღდგა შეშინებულნი და წარვიდა საპყრობილედ და შეუვრდა ფერკთა მათთა და ითხოვდა შენდობასა და განათავისუფლნა... არამედ წარვიდეს გზასა თვისსა და მივიდოდეს იერუსალიმად“ (გვ. 12.16,11).	„ხოლო აღდგა მასვე ჟამსა მთავარი იგი, მოვიდა საპყრობილედ და შეუვრდა ფერკთა მათთა, ითხოვა შენდობა და განუტევნა“ (გვ. 67.11,9).
„ხოლო ყრმა იგი და საჭურისი მიიწინეს ერთსა ქალაქთაგანსა, შეიპყრნა იგინი მთავარმან მის ქალაქისამან და შესხნა საპყრობილესა“.	„ხოლო ვითარცა მივიწინით როქელსამე ერთსა ქალაქთაგანსა, შეიპყრნა იგინი მთავარმან მის ქალაქისამან და შესხნა საპყრობილესა“ (გვ. 12.16,1).	„და ვითარცა მიიწინეს როქელსამე ქალაქთაგანსა. შეიპყრნა იგინი მთავარმან და შესხნა საპყრობილესა“ (გვ. 67.11,1).
„...შეწუხნა ფრიად და წარავლინა ყოველსა ალაგსა კაცნი“.	„...ფრიად შეწუხნა და ბრძანა მსწრაფლ... ძიება მათი...“ (გვ. 11.14,9).	„...დიდად შეწუხნა და ძიება ყოველგვნი“ (გვ. 66.10,18).
„რამეთუ მამასა ამის წმიდისასა ძილსა შინა ერჳენა ანგელოზი...“	„...ხოლო ვითარცა მირულა, წარმოუდგა მას ანგელოზი (გვ. 4.4,7).“	„...ამას ლოცვასა შინა გამოუჩნდა ანგელოზი“ (გვ. 62.4,7).
„მოვიდეს საფლავსა უფლისასა და ულოცა წმიდამან პეტრე“.	„მაშინ წარიყუანა წმიდამან პეტრე იერუსალიმს საფლავსა უფლისასა და ვითარ აღასრულეს ლოცვა...“ (გვ. 17.24,1).	„მაშინ წარიყვანა წმიდამან პეტრე იერუსალიმს საფლავსა მას განმაცხოველებელსა და ვითარცა ილოცეს“ (გვ. 69.17,6).

ძნელია, ყველა აღნიშნული ფრაზეოლოგიური შეხვედრის მაგალითი შემთხვევითი დამთხვევით ავხსნათ. ჩვენი აზრით, სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელი ძირითადად სარგებლობდა რა მოკლე ცხოვრების რედაქციით, იხედებოდა ვრცელი ცხოვრების ნუსხაშიც. ამრიგად, სვინაქსარული ცხოვრების წყაროდ მოკლე ცხოვრებასთან ერთად ვრცელი ცხოვრების რედაქციაც უნდა გავწავალოთ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სვინაქსარული ცხოვრება ძირითადად მოკლე ცხოვრების რედაქციას ემყარება, ხოლო ვრცელ ცხოვრებასთან მისი ურთიერთობა მხოლოდ ზემოთ მოტანილი რამდენიმე მაგალითით ამოიწურება. სვინაქსარულის მოკლეზე დამოკიდებულება დასტურდება არა მარტო იმ მრავალრიცხოვანი ფრაზეოლოგიურად თანმხვედრი ადგილით, რომელთა ნაწილიც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ, არამედ იმ ადგილებითაც, სადაც სვინაქსარული ცხოვრება გვაძლევს მოკლე ცხოვრების შესაბამისი ადგილების პერიფრაზს:

სვინაქსარული ცხოვრება

„ხოლო ვითარცა იშვა, იქმნა სიხარული ყოველსა სამეფოსა შინა მისსა და უწოდეს სახელად მურვანოს. და აღზარდეს იგი სჯულსა შინა ღმრთისასა მართლითა სარწმუნოებითა“.

„და იქმნა რაჲ ათორმეტისა წლისა, მოსთხოვა იგი მძევლად მეფემან ბერძენთამან მცირემან თეოდოსი მამასა მისსა სპარსთა შინითა, ნუუკუე ქართველნი თანა-

მოკლე ცხოვრება

„და დიდი სიხარული ყვეს მეფემან ყოვლით სამეფოთ მისითურთ ეამსა მას შობისა მისისასა, და ნათელ-სცეს სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა და უწოდეს სახელად მურვანოზ... და ვითარცა მიეცა სასწავლოდ მცირედთა ეამთა, დაისწავა ყოველივე წერილი და გულისკმისყოფით აღმოითქმნენ და იწურათინ დღე და ღამე, რამეთუ ფრთხილ იყო და მახვილ გონებითა და მაღლი ღმრთისა იყო მას ზედა“ (62.4.16).

„ეამთა მცირისა თეოდოსი ბერძენთა მეფისათა იქმნა მტერობაჲ ბერძენთა შორის და სპარსთა და მეფემან თეოდოსი მოშიშმან უკუეთუ, ნუუკუე შეერთ-

სვინაქსარული ცხოვრება

მოკლე ცხოვრება

შეიწე ექმნენო. ხოლო მამამან მისმან წარავლინა კოსტანტინეპოლედ“.

ნენ ქართველნი სპარსთა და იძლინენ ბერძენნი. მისთვისცა მოსახოვა საყუარული ქართველთა მეფესა და უმეტესისა სიპტიკიცისათვს მძევალნიცა სთხოვნა... ყოველი სათსოველი ბერძენთა მეფისა აღასრულა მეფემან ქართველთამან და წარმოუვლინა ძე თვისი მურვანოზ ათორმეტისა წლისა მძევლად ქალაქად კოსტანტინეპოლედ...“ (63.6,1).

ასეთი მაგალითებიც მრავლად მოიძებნება. რის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ სვინაქსარული ცხოვრება სანახევრო პერიფრაზული თხზულებაა.

ზოგჯერ სვინაქსარული ცხოვრება წყაროსთან შედარებით იქნება ვაერცობილ ფრაზეოლოგიასაც.

სვინაქსარული

მოკლე

„მეირითგან ვინ გამოთქუნეს ლუწლნი და შრომანი მათნი. მღვდრობა და მარხვა, მოწყალება და უცხოთა შეწყნარება, რამეთუ მიმოიქცეოდეს მონასტრებსა მას მათ კერძოთასა და აღაშენნეს სახლნი სასტუმრო“ და ა. შ.

„მეირითგან ლუწლნი და შრომანი მათნი ვინმე გამოთქუნეს ადგილ-ადგილ და უფროსლად უდაბნოთა შინა. რამეთუ აღაშენეს სახლი და სასტუმრო“ (გვ. 67. 14.1).

„ხოლო ყრპასა მას სძულდა ცუდი ღაღებაჲ და სოფელი ესე წარმავალი და ენება სივლტოლად და უცხოებად წარსვლად.“

„...რათა განვიღუნ მსახურებად უფლისა და მიერითგან შეიქუნეს წარსლად იერუსალიმად“ (66.10.4).

მოტანილი ადგილები სვინაქსარული ცხოვრების შემდგენლის დანამატია, რადგან არც ვრცელი ცხოვრების საფუძველზე შეიძლება ამ ადგილების სვინაქსარულში გაჩენის მიზეზის ახსნა.

პიუხელავად იმისა, რომ სვინაქსარული ცხოვრება მოკლე ცხოვრების ნაწილობრივ გამოწერებს, ნაწილობრივ პერიფრაზულ, შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს, ზოგიერთი დეტალის გადმოცემაში ამ ორ ცხოვრებას შორის მანაც შეინიშნება განსხვავება:

სვინაქსარული ცხოვრება	ვრცელი	მოკლე
<p>„ხოლო იგი აყენებდა და რისხვით ეტყოდა: „რომელსა იქმ, დააშრობ თავესა შენსა, არცა უწყია, რამეთუ შენ მბოლო უვი მამა-სა შენსა და ყოველი სამეფო ქართველთა შენდა დამოკიდებულ არს?“.“</p>	<p>„ხოლო იგი განრისხდა და ჰრქუა მას: „რო არს ესე, რათა რომბელსა იქმ, დააშრობ თავესა შენსა, დღესასწაულსა ყოველსა არცა უწყია, რამეთუ ველი ქრისტიანენი მხარებენ, ხოლო ჩუენ მონაზონთა გვიყვინაბოდა რია“. და არა მიატოვებდა ვის მას ზეთი, არამედ განიზრახვიდეს სიკუდილსა მისსა, რათამცა განთავისუფლდეს მისგან და ნებასამცა ზედა თვსა იქცოდეს“ (გვ. 8.10).</p>	<p>„ხოლო მან არა უსცნა რა, განიზრახვენ მიათვს, რამეთუ უმძიმდა ესრეთ იწროებით ყოფიდა მისი“ (გვ. 65, 9).</p>

ვრცელი ცხოვრების ეს ადგილი მოკლეში ძალზე შეკვეცილია და წარმოდგენილი, მაგრამ მანაც ხაზგასმულია პეტრეს მსახურის ბოროტი განზრახვა, თუმცა მისი მოკვლის სურვილი მიჩქმალულია: ჩანს, ვრცელი ცხოვრების შემოკლებელს ეს ფაქტი მთლად სარწმუნოდ არ მიუჩნევია. უფრო შორს წასულა სვინაქსარული ცხოვრების ავტორი: მას ძირფესვიანად შეუცვლია პეტრეს ცხოვრებათა ეს ადგილები და მასში სრულიად აბალი შინაარსი ჩაუდევს. სვინაქსარული ცხოვრებით მსახურს არამცთუ პეტრეს სიკვდილი არ განუზრახავს, არამედ მისი რისხვა პეტრეს მიმართ გამოწვეულია იმ საზოგადო ინტერესებით, რომ ქართლის სამეფო უმემკვიდროდ არ დარჩეს, პეტრემ არ უარყოს ამქვეყნიური ცხოვრება.

სვინაქსარული ცხოვრება გვაძლავს: „ესე იყო ნათესავით ქართველი, ძე ქართველთა მეფისა ვარაზ-ბაკურისა, რომელი იყო მეხუთე მეფე მირიანის მეფობითგან“. სვინაქსარული ცხოვრების მოწმობა არ ეთანხმება პეტრეს ვრცელ და მოკლე ცხოვრებათა მო-

ნაცემებს, რომელთა მიხედვით ვარაზ-პაყური „მეოთხე მეფე იყო მირიან მეფითგან“. ეს შეიძლება მექანიკური შეცდომაც იყოს.

ამრიგად, პეტრე ქართველის სვინაქსარული ცხოვრების პირველი რედაქციის ძირითადი წყარო მოკლე ცხოვრებაა. სვინაქსარული ცხოვრების ავტორს წყაროს გამოყენებაში თავიდან ბოლომდე ერთი და იგივე მეთოდი არა აქვს. თუ ხშირად მას თათქმის უცვლელად გადმოაქვს მოკლე ცხოვრების ზოგიერთი ადგილი, მეორე შემთხვევაში გვაძლევს ამავე წყაროს ზოგიერთი ადგილის პერიფრაზს. ზოგჯერ წყაროს ესა თუ ის ადგილი უფრო გავრცობილია ფრაზეოლოგიურად, რაც შინაარსობლივად ახალს არათერს იძლევა. ერთ შემთხვევაში სვინაქსარული ცხოვრების ავტორი ასწორებს ვრცელი და მოკლე ცხოვრების ეპიზოდს და სვინაქსარულში ის განსხვავებული შინაარსითა და ფრაზეოლოგიით გადმოაქვს.

გარდა მოკლე ცხოვრებისა, სვინაქსარული ცხოვრება უნდა სარგებლობდეს პეტრე ქართველის ცხოვრების ვრცელი რედაქციითაც, თუმცა აქედან აღებული მასალა მოკლესთან შედარებით ძალზე მცირეა და სულ ხუთიოდე მაგალითით შემოიფარგლება.

როგორც აღვნიშნეთ, პეტრე იბერიელის სვინაქსარული ცხოვრების ყველაზე ძველი ნუსხა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია 1703—15 წლებისაა. ამ სვინაქსარული ცხოვრების შექმნის დრო, ჩვენის აზრით, არც შეიძლება ძალიან წინ, ადრე პერიოდში გადავიტანოთ. პერიფრაზული ადგილებიდან, რომლებიც არც თუ იშვიათად გვხვდება სვინაქსარული ცხოვრების ამ რედაქციაში, ნათლად იგრძნობა, რომ ენა ამ ძეგლისა არ შეიძლება იყოს XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისზე ადრინდელი.

პეტრე ქართველის სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქცია მოთავსებულია 1718 წ. გადაწერილ სადღესასწაულოში (A—425). პეტრეს სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია ამ სადღესასწაულოს შედგენის დროს უნდა იყოს შექმნილი, ე. ი. მისი შედგენა არ უნდა სცილდებოდეს XVIII საუკუნის დასაწყისის ფარგლებს. ასეთ ვარაუდს ბადებს ის ფაქტი, რომ სვინაქსარული ცხოვრების წყარო „ქართლის ცხოვრებაში“ შესული პეტრე ქართველის ცხოვრების პირველი ჩანართია. „ქართლის ცხოვრების“ ორ ნუსხაში (№ 13 ლენინგრ. ყოფ. სააზ. მუზეუმისა, XVIII ს., და ქუთაისის სახ. ისტორ. მუზ. № 441, XIX ს.) ჩართული პეტრე იბერის მოკლე ცხოვრება სიტყვასიტყვითაა ამოღებული მოკლე რედაქციის ცხოვრების დასაწყისიდან. შეიძლება დაიბადოს ეჭვი, რატომ მაინცდა-

მაინც მოკლედან უნდა იყოს აღებული და არა ვრცელიდან, რადგან ცხოვრების ეს რედაქციები დასაწყის ნაწილში თითქმის ზუსტად ემთხვევიან ერთმანეთს? ამის საფუძველს გვაძლევს ერთი ადგილი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებს მხოლოდ მოკლე ცხოვრებიდან შეეძლოთ აეღო:

„ხოლო დღითი-დღე პალატით მოცემულსა როჭიკსა გლახაკთა განუყოფდა, ემოსა ფლასი ფიცხელი და მქისე ქუეშე-კერძო სამეუფოთა სამოსელთა“ (ქართლ. ცხ. 133, 24). ეს წინადადება მოკლე ცხოვრების შესაბამისი ადგილის სიტყვასიტყვით განმეორებაა, ხოლო ვრცელში კი „ხოლო დღითი-დღე პალატით მოცემულსა როჭიკსა გლახაკთა განუყოფდა“ სრულებით არაა, ხოლო „ფლასი ფიცხელი და მქისე“ ნაცვლად მხოლოდ „ფლასი ფიცხელია“. ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ ეს ჩანართი მოკლე ცხოვრების დასაწყისის, ვიდრე: „იმარხავნ იგი ორ-ორითა, სამ-სამითა და უფროსლა შვიდეულითა“, სიტყვასიტყვითი გადმოწერაა, ხოლო ბოლოს დამატებული აქვს ერთი წინადადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ პეტრე ღმრთის ბრძანებით იქმნა მოჰამის ეპისკოპოსი და რომ მისი ქება ვრცლად გრიგოლ დიალოღმა აღწერაო.

სვინაქსარული ცხოვრების II რედაქცია „ქართლის ცხოვრების“ ამ ჩანართის შემოკლებას და ნაწილობრივ გადაკეთებას წარმოადგენს. სვინაქსარული ცხოვრება რომ „ქართლის ცხოვრების“ ჩანართის საფუძველზეა გაკეთებული, ამაზე მიუთითებს სვინაქსარულ ცხოვრებაში აღნიშნული ფაქტი, რომ პეტრე ქართველის ქება გრიგოლ დიალოღმა აღწერაო; ე. ი. ისევე, როგორც ეს აღნიშნულია „ქართლის ცხოვრების“ ჩანაწატში:

„ქართლის ცხოვრება“

სვინაქსარული ცხოვრება

„რამეთუ იყო დიდი [და] წმიდა წინაშე ღმრთისა და იქმნა ჩუენებითა და ბრძანებითა ქრისტესითა ეპისკოპოს მოჰამისა, რამეთუ არვინ შემძლებელ იყო ქებად მისსა, გარნა გრიგოლი დიალოღი, პატრიაქი რომისა, რომელ აღწერა ქება მისი წიგნსა შინა თვისსა“ (ქართლ. ცხ. გვ. 133, 27).

„რამეთუ იყო დიდი და წმიდა წინაშე ღმრთისა და პოლუაწე, რომელ არავინ იყო შემძლებელ კეთილიან-მოქმედებისა ქებად მისსა, გარნა გრიგოლი დიალოღი, რომელსა აღუწერია ქება მისი წიგნსა შინა თვისსა. და იქმნა ჩუენებითა და ბრძანებითა ქრისტესითა ეპისკოპოს მოჰამისა“.

მხოლოდ მოტანილი პარალელით დასტურდება სვინაქსარული ცხოვრების „ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარეობის ფაქტი, რადგან სხვა ნაწილის მიხედვით ძნელი გასარჩევი იქნებოდა, — მომდინარეობს სვინაქსარული ცხოვრება პირდაპირ პეტრეს ცხოვრების მოკლე რედაქციიდან. თუ „ქართლის ცხოვრების“ ჩანამატიდან. რადგან გარდა მოტანილი ადგილისა ისინი ზუსტად ემთხვევიან ერთმანეთს.

ამრიგად, სვინაქსარულში შესული ცნობა, რომ პეტრე იბერიელის ქება დაწერა გრიგოლ დიალოღმა, მომდინარეობს „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებიდან და მასში ვახტანგ VI მიერ შექმნილი მეცნიერ კაცთა კომისიის მიერ უნდა იყოს შეტანილი, როგორც სხვა მრავალი ჩანამატიც. ეს ცნობა გაუგებრობის ნიადაგზეა აღმოცენებული.

ეს შეცდომა ექვთიმე მთაწმიდლიდან მომდინარეობს, რომელმაც გრიგოლ რომთა პაპის ეს თხზულება — „დიალოღონი“ თარგმნა. ამ თხზულებაში მოხსენებული პეტრე იბერიელი, ან ესპანელი, რომელიც ევაზში მოღვაწეობდა და რომელმაც ჭოჯოხეთი იხილა, მას ქართველად უქცევია: „მონაზონი ვინმე იყო სახელით პეტრე, ნათესავით ქართველი... და იგი მოგვთხრობდა ცხოვრებისათვის თვისისა უმანკოდ, ვითარმედ: ვიყავ რაჲ ქუეყანასა ქართლისასა“... (ქ. კეკელიძე I, 180, 1951). აქედან ეს ცნობა, როგორც ვნახეთ, „ქართლის ცხოვრების“ ჩანამატშიაც შესულა და ეს პეტრე იბერიელი-ესპანელი პეტრე ქართველთან გაუიგივებიათ. პეტრეს სვინაქსარული ცხოვრების II რედაქციასაც უსარგებლია ამ ცნობით და გრიგოლის მიერ პეტრე იბერიელის (ქართველის) ქების აღწერა მასაც სარწმუნო ფაქტად მიუჩნევია.

„ქართლის ცხოვრების“ ჩანამატებს XVII ს. მიწურულითა და XVIII ს. დასაწყისით განსაზღვრავენ, ამდენად პეტრე იბერიელის სვინაქსარული ცხოვრების II რედაქცია XVIII ს. დასაწყისზე ადრე შექმნილი არ უნდა იყოს. უნდა ვიფიქროთ, რომ პეტრე ქართველის სვინაქსარული ცხოვრების პირველი რედაქცია A—425 სადღესასწაულოში არ შეიტანეს მისი მოცულობის გამო, რის გამოც შეიქმნა საჭიროება ახალი, გაცილებით მოკლე სვინაქსარული რედაქციის შექმნისა. თუმცა არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ სადღესასწაულოს შემდგენლებისათვის ცნობილი არ იყო პეტრეს პირველი სვინაქსარული ცხოვრების არსებობა.

3. შუშანიკ დედოფალი

შუშანიკი ქართული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი მოწამეთაგანია. მისი წამების მომთხრობი თხზულება ამავე დროს ქართული აგიოგრაფიული მწერლობის პირველი ძეგლია. შუშანიკის პოპულარობა ქართულ-სომხურ საეკლესიო წრეებში ძალიან დიდია, რასაც ადასტურებს თუნდაც ამ ორი ეკლესიის ხანგრძლივი დისპუტი ამ წმინდანზე უფლებების მოპოებისათვის.

შუშანიკი წამებისთანავე გახდა ქართული (და სომხური) ეკლესიის წმინდანი. მისი „წამების“ ქართული რედაქციის მიხედვით იგი გარდაცვლილა 17 ოქტომბერს. აქად კ. კეკელიძის გამოანგარიშებით პარასკევ დღეს¹⁰. ამავე თხზულებაში მითითებულია, რომ მისი დღესასწაული განწესდა ხუთშაბათს. ამის მიზეზია უძველესი ტრადიცია, რომლის მიხედვით თავდაპირველად წმინდანთა დღესასწაულები მხოლოდ მოძრავ დღეებზე იდებოდა და ქართული ეკლესიისათვის წლის კალენდარული დღეების მიხედვით ხსენების დადების პრაქტიკა ჯერ კიდევ მიღებული არ იყო. ეს პრაქტიკა ცოტა მოგვიანებით უნდა დამკვიდრებულიყო. ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს VIII ს-ა და არა უადრეს VI საუკუნისა. შუშანიკის ცხოვრების ბოლოს სწორედ მისი დღესასწაულის ასეთ მოძრავ დღეზე დაწესების შესახებ არის ლაპარაკი: „და დღე ხუთშაბათი იყო. რომელსა განწესებდნენ საქსენებელი წმიდისა შუშანიკისი სადიდებელად და საქებელად ღმრთისა“¹¹. კი მაგრამ რა შეაშია ხუთშაბათი დღე თუ კი შუშანიკი პარასკევ დღეს უნდა გარდაცვლილიყო? აქად კ. კეკელიძეს აღნიშნული აქვს, რომ იმდროინდელი ეკლესიის პრაქტიკით თუკი პარასკევ დღეს (აგრეთვე ოთხშაბათ და კვირას) მოხდებოდა წმინდანის გარდაცვალების დღე, მისი ხსენება ხუთშაბათს უნდა დადებულიყო¹², ე. ი. წინა დღეს.

შუშანიკის დღესასწაულის ხუთშაბათს აღნიშვნა არც ერთ ლიტურგიულ ძეგლში არ შეგვხვედრია. ჩვენამდე მოღწეულ ლიტურგიულ თუ აგიოგრაფიულ ძეგლებში შუშანიკის ხსენება განსხვავებულ დღეებში გვხვდება: ი¹³ (17) ოქტომბერი, კ¹⁴ (21) აგვისტო, ბ¹⁵ (2) ოქტომბერი, ა¹⁶ (1) ნოემბერი.

შუშანიკის დღესასწაულთა აღნიშვნის ამ კალენდარული დღე-

¹⁰ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერ. ისტორია, I, 1941, გვ. 103.

¹¹ იაკობ ცურტაველი, წამებაჲ შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოცემა, 1938, გვ. 46—47.

¹² კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

ებიდან უქველესია, როგორც აღნიშნეთ, 17 ოქტომბერი. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოღწეული შუშანიკის უძველესი ხსენებანი ამ დღითაა აღნიშნული: შუშანიკის „წამების“ უძველესი ნუსხა (X ს.) სათაურში ამ დღეს გვიჩვენებს: „თთუე-ა ოკლონბერსა ი-ზ წამებაჲ შუშანიკისი დედოფლისაჲ¹³. ასევეა შუშანიკის ხსენება მეორე უძველეს (X—XI ს.) აგიოგრაფიულ კრებულში¹⁴. ამავე დღეს არის შესული მისი ხსენება იოვანე-ზოსიმეს X ს. კალენდარში: „...და შუშანიკისი, რომელ იწამა ქართლს“ (Sin.—34, 31v), XII ს. პარიზის „ლექციონარში“ — „ოქტომბერსა ი-ზ შუშანიკისი“¹⁵. გამოთქმულია ვარაუდი, რომ შუშანიკის ხსენება ამავე დღეს უნდა ყოფილიყო გაცილებით აღრინდელ ძეგლში „იერუსალიმის განჩინების“ IX ს. ქართული ნუსხის დედანში. ეს ვარაუდი, რომელიც პროფ. ილ. აბულაძემ გამოთქვა¹⁶, სავსებით დასტურდება. „იერუსალიმის განჩინებაში“ 17 ოქტომბრის ქვეშ ასეთი სახსენებელია: „თა ოკლონბერსა ი-ზ ქანებაჲ კოზმანისი, რომელი ქართლს იწამა“.

აკად. კ. კეკელიძემ, რომელმაც გამოსცა ეს ძეგლი, აღნიშნა, რომ ასეთი წმინდანი, ქართლს წამებული, ქართულმა ეკლესიამ არ იცის¹⁷. პროფ. ილ. აბულაძემ ეს სახსენებელი ნაყლულად მიიჩნია და აღნიშნა: „კოზმას გვერდით დაჰიანე უნდა ყოფილიყო და მერვე შუშანიკი“¹⁸.

მართლაც, ქართული წყაროებით ცნობილია, რომ ქართულმა ეკლესიამ შუშანიკის ხსენება მისი გარდაცვალებისა და კოზმა და დაჰიანეს ხსენების დღეს დააწესა. ქართული საეკლესიო მწერლობის ძეგლებში შუშანიკის კოზმა და დაჰიანესთან მოხსენიების არა ერთი და ორი მაგალითია შემონახული. X—XI ს. ზემოსხენებულ აგიოგრაფიულ კრებულში (H—341), რომელიც კოზმა და დაჰიანეს წამებას შეიცავს, სათაურში მექანიკურად შუშანიკსაც ახსენებს: „თა უკლენბერსა ი-ზ წმიდათა კოზმაჲსი და დაჰიანესი და წმიდისა შუშანიკისი“ (H—341, 416). ერთადაა ამ მოწამეთა ხსენება იოვანე-ზოსიმეს ზემოთ დასახელებულ კალენდარში: „ბიტასეურის და-

¹³ A—95, 735r.

¹⁴ H—341, გვ. 416.

¹⁵ Rt, VIII—№ 3(III).

¹⁶ ილ. აბულაძე, იაკობ ურტაველი, გვ. 333.

¹⁷ К. Кекелидзе, Иерусалимский Капопзарь, 1912, стр. 277—

¹⁸ ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 333.

ბასა, კსენებაჲ კოზმანისი და დამიან^წსი მარტკლოთაჲ, და შუშანიკისი, რომელი ქართლს იწამა“ (Sin.—34, 31v).

სწორედ იოვანე-ზოსიმეს კალენდრის 17 ოქტომბრის ხსენება ადასტურებს, რომ „იერუსალიმის განჩინებას“ ჩაღაც აკლია და აკლია ის ნაწილი, რასაც გულისხმობს პროფ. ილ. აბულაძე — „და დამიან^წსი მარტვილთაჲ, და შუშანიკისი“. „იერუსალიმის განჩინების“ ქართული ნუსხის გადაწერას, როგორც ჩანს, გამორჩენია დედნის ერთი სტრიქონი, რომელიც ზემოთ მოტანილ ნაწილს შეიცავდა. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს იოვანე-ზოსიმეს კალენდარიც, რომლის წყარო „იერუსალიმის განჩინების“ ისეთი ქართული ნუსხა ყოფილა, რომელიც სრულად შეიცავდა ამ დღის ხსენებას, თუმცა, როგორც ჩანს, სხვა წყაროების გამოყენებით იოვანე-ზოსიმეს დასაწყისში კოზმან და დამიანეს წაშლის ადგილის აღნიშვნაც მიუმატებია.

იჩვენება, რომ იოვანე-ზოსიმეს თავისი კალენდრისათვის ერთ-ერთ წყაროდ იერუსალიმის განჩინება გამოუყენებია. რა თქმა უნდა. ასეთი ვარაუდის დასაშვებად მარტო შუშანიკის ხსენების დღე არ იკმარებდა. ამას მხარს უჭერს სხვა ქართული წყაროებიც: (საერთოდ იოვანე-ზოსიმე თვითონ აღნიშნავს მის მიერ „კანონის“ ე. ი. „იერუსალიმის განჩინების“ გამოყენების ფაქტს — Sin.—34, 36v, თანაც კალენდრის შედგენამდე მას გადაუწერია „იერუსალიმის განჩინების“ ერთ-ერთი ნუსხაც 982 წ. (К. Кекелидзе, иер. канонярь, стр. 7—8). „იერუსალიმის განჩინებაში“ 3 მაისს შეტანილია წყენება: „ჰამა ქართველი კათალიკოზისაჲ, ყოველი ჰჰოო ზატიკთა დღესა ზუთშაბათისა პირველსა“. ამ ძეგლის გამომცემელმა აჯად. ვ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ ამ სახელით ქართული წყაროები არც ერთ კათალიკოზს არ იცნობს¹⁹. ამავე დღეს იოანე-ზოსიმეს კალენდარში იხსენიება: „ქსენებაჲ ნეტარისა მამა ქართლისა კათალიკოზისაჲ“. ეკვი არ უნდა იყოს, რომ აქ ერთი და იგივე პირია ნაგულისხმევი. რომლის სახელს ერთ-ერთი ძეგლი აშავინჩებს. უფრო მართებელია იოვანე-ზოსიმეს კალენდრის წაკითხვა, რომელიც ქართული ბუნების სახელს უფრო ეფარდება. ვიდრე „ჰამა“. საფიქრებელია, რომ იოვანე-ზოსიმეს „იერუსალიმის განჩინების“ წყაროში, მარტოც, იყო „მამა“, ხოლო „იერუსალიმის განჩინების“ დღეს

¹⁹ К. Кекелидзе, Иерус. Канонярь, 1912, стр. 246.

„ეტიუდების“ V ტ. ვ. კეკელიძის გასწორებული აქვს „განჩინების“ ეს ადგილები იოანე-ზოსიმეს კალენდრის მიხედვით: „ჰამა-მამა და შუშანიკის ხსენებაც, გვ. 246.



ჩვენთვის ცნობილ ნუსხას დედნის სახელი დაუმახინჯება: ^{საქონელი} „საქონელი“ და აღნიშნოს, რომ მამა ქართლის, თუ ქართველი კათალიკოზი აღრეული ეპოქის მოღვაწე უნდა იყოს. ამას ადასტურებს არა მარტო ის ფაქტი, რომ მისი ხსენება შესულია ასეთ ძველ ძეგლში. არამედ ისიც, რომ მისი ხსენების დღე გარდა 3 მაისისა, რაც შედარებით გვიანდელი უნდა იყოს, დადებულია მოძრავ დღესასწაულზე: „ზატიკთა დღესა ხუთშაბათსა პირველსა“. ამ ფაქტზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მამა ქართველი არის არა უგვიანეს VI—VIII საუკუნის მოღვაწე²⁰.

საეკვო არ არის, რომ მამა კათალიკოზის ხსენება იოვანე-ზოსიმეს კალენდარში შესულია „იერუსალიმის განჩინების“ არსებულზე უფრო ადრინდელი ნუსხიდან.

გარდა აღნიშნულისა, ეს ორი ძველი შეიცავს ისეთ ქართულ დღესასწაულს, რომლებიც ქართული ეკლესიის ისტორიაში სხვა წყაროებით ჩერჯერობით ცნობილი არ არის. ორივე ძეგლში ეს დღესასწაული მოთავსებულია 11 დეკემბერს: „იერუსალიმის განჩინებით“ — „თა დეკემბერსა ია ქსენებაჲ ყოველთა წმიდათაჲ, რომელნი ქართლს ეწამნეს“²¹. იოვანე-ზოსიმეს კალენდრით: „თა დეკემბერსა ია ქსენებაჲ ყოველთა წმიდა მოწამეთაჲ რომელნი ქართლს შინა წამებულ არიან“²². როგორც ვხედავთ, იოვანე-ზოსიმეს კალენდრის ხსენება „იერუსალიმის განჩინების“ სათანადო ადგილის დაახლოებითი განმეორებაა.

თუკი იოვანე-ზოსიმეს კალენდრის ქართულ ხსენებათა წყაროდ „იერუსალიმის განჩინებას“ მივიჩნევთ, წარმოიშობა კითხვა, რატომ გვაქვს ზოგიერთი ქართველი წმინდანის ხსენება იოვანე-ზოსიმეს კალენდარში, ხოლო „იერუსალიმის განჩინებაში“ კი მათ ვერ ვპოულობთ? (აბო 7/1, არჩილ მეფე 15/1 და ნინო 14/1). ნინოს ხსენების საკითხი „იერუსალიმის განჩინებაში“ მოხსენიდა:

²⁰ ხომ არ არის ხსენებული „მამა ქართლის კათალიკოზი“ „მამა“, რომელიც ზედანის წინამძღვარი ყოფილა VIII ს. შუა წლებში, შემდეგ კი ქართლის კათალიკოზიც გამხდარა — თ. ე. ო. დ. ა. ნ. ი. ა. ქრონიკები, I, გვ. 74.

²¹ К. Кекелидзе, Перус. Канонарь, стр. 145.

²² Sin.—34, 33r. G. Garitte, Le Calendrier Palestino-Georgien, Bruxelles, 1958, p. 109.

ასეთი დღესასწაული სხვა ლიტურგიულ ძეგლებში არ დასტურდება. „იერუსალიმის განჩინებაში“, იოვანე-ზოსიმეს კალენდარში და პარიზის ლეკციონარში 22 იანვარს არის ყველა „მარტვის დღე“.

არც ჩვენთვის ცნობილ ნუსხაში და არც მის დედანში ეს ხსენება მოსალოდნელი არ იყო, რადგან ნინოს კულტი ამ დროისათვის საერთოდ არ არსებობდა. აბო თბილელისა და არჩილ მეფის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას: ჯერ-ერთი, „იერუსალიმის განჩინების“ ქართულ ნუსხებს 6/I--17/I დღეები აკლია, ამდენად, ჩვენთვის ძნელი დასადგენია იყო თუ არა ეს ხსენებანი მის სრულ ნუსხაში, მეორეც, თუ კი „იერუსალიმის განჩინების“ ქართული ნუსხის დედანი VIII საუკუნისაა, როგორც ამას ფიქრობს კ. კეკელიძე, შესაძლებელია, მათი ხსენებანი ამ ძეგლში არ ყოფილიყო, რადგან ორივე მოწამე აღესრულა VIII ს. მეორე ნახევარში და ამდენად მათი ხსენებების შეტანა ამ ძეგლში შეიძლება ვერც მოესწროთ. მაშინ საფიქრებელია, რომ იოვანე-ზოსიმეს ეს ხსენებანი სხვა წყაროებიდან აედოს: მაგალითად, აბოისი კილ-ეტრატის IX ს. პალესტინური ხელნაწერიდან და სხვა.

ამრიგად, იოვანე-ზოსიმემ თავისი კალენდრის ქართული ხსენებები „იერუსალიმის განჩინების“ ერთ-ერთი ქართული ნუსხიდან აიღო; ამდენად „იერუსალიმის განჩინება“ მისი კალენდრის ერთ-ერთი წყაროა. რასაც მზარს უკერს ამ ორი ძეგლის არა ქართველი წმინდანებისა და დღესასწაულების საერთო ხსენებებიც²³. ამრიგად, შუშანიკის ხსენება 17 ოქტომბერს „იერუსალიმის განჩინების“ ჩვენთვის ცნობილი ქართული ნუსხის დედანში უეჭველი ჩანს.

17 ოქტომბრის გარდა შუშანიკის ხსენება გვხვდება 21 აგვისტოს და ისიც საკმაოდ აღრინდელ ძეგლში — კლარჯეთში გადაწერილ „დიდი სუნაქსარს“ XI საუკუნის ნუსხაში (A—97). მართალია, სხვა ქართველ წმინდანთა ხსენებების მსგავსად შუშანიკის ხსენება ხელნაწერის აშიაჯეა მიწერილი 21 აგვისტოს დღეს, მაგრამ მიწერილი გაკეთებულია ძირითადი ტექსტის ხელით, ე. ი. XI საუკუნეშივე. ამ დღეს შუშანიკის ხსენება კიდევ ერთ გვიანდელ ლიტურგიკულ ძეგლში (A—1486, სადღ. 1765 წ.) გვხვდება და ეჭვი არაა, რომ მისი წყარო იგივე A—97 „სუნაქსარია“ა. როგორ გაჩნდა ამ ძეგლში შუშანიკის ხსენება ამ დღეს?

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ იაკობ ხუცესის თხზულების, „შუშანიკის წამების“, საფუძველზე ასეთივე სახელწოდების თხზულება სომხურ საეკლესიო ლიტერატურაშიც შე-

²³ კ. კეკელიძე, ვტიუდები, ძე. ქართ. ლიტერატურის ისტორია: დი, ტ. V, გვ. 246. იოვანე-ზოსიმე თავის შრომაში სხვა წყაროებთან ერთად ასახელებს „კანონსაც“ (Sin.—34, 36v), რაც კეკელიძის გამოკვლევით იერუსალიმის განჩინებაა.

იქმნა. სომხური „წამების“ იმ ვრცელი რედაქციიდან, რომელაც დღესდღეობით დაკარგულია, სომხებს შეუდგენიათ „შუშანიკის მარტილობის“ მოკლე რედაქცია, რომელიც ქართულად უთარგმნიათ 940 წელს²⁴. „შუშანიკის წამების“ მოკლე რედაქციის ქართული თარგმანი შესულია იმ აგიოგრაფიულ კრებულში (ათონის მრავალთავი № 57), სადაც გარდა შუშანიკის მოკლე ცხოვრებისა მოთავსებულია სომხურიდან ნათარგმნი აგიოგრაფიული თხზულებანი. აღსანიშნავია, რომ ამ კრებულის თარგმნა ტაო-კლარჯეთის სანწერლობო კერას უკავშირდება²⁵. სწორედ სომხურიდან ნათარგმნი შუშანიკის მარტილობის ეს მოკლე რედაქცია ამ წმინდანის ხსენების დღედ სათაურში ასახელებს 21 აგვისტოს: „თა აგვისტოსა ეა წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი. ასულისა წმიდისა ვარდანისი, რომელი იყო ასულის წული წმიდისა საპაკისი. ესე წმიდაჲ შუშანიკ იწამა ქართლს ქმრისაგან თვისსა, რომელი იყო ანთიპატროსი და წინამძღუარი ქართლისაჲ“²⁶.

ამ თხზულებიდან 21 აგვისტოს შუშანიკის ხსენება. როგორც ჩანს, შესულია აღნიშნული „სკნაქსარის“ ანიაზე. ოღონდაც სათაურის შემოკლებული ფორმით და ქმრის სახელის მიმატებით... „ამასვე დღესა (ე. ი. 21/VIII) წმიდისა მოწაჲისა შუშანიკისა, რომელი იწამა ქართლს ქმრისა მისისა ვარსკენისაგან“²⁷. შეიძლება, სომხური წყაროების გავლენით, ტაო-კლარჯეთში შუშანიკის ხსენების დღედ მიღებული იყო 21/VIII, ამდენად, მისი ამ დღეს ხსენება სამხრეთში დაქვევდრებული ტრადიციის ნაყოფი უნდა იყოს და არა უშუალოდ შუშანიკის მოკლე ცხოვრების ქართული თარგმნის გავლენა²⁸.

ერთ გვიანდელ ლიტურგიულ ძეგლში შუშანიკის ხსენება ეობა და დამიანეს ხსენებასთან ერთად შეტანილია 1 ნოემბერს: „თა ნოემბერსა ა წმ. ეობან და დამიანესნი და შუშანიკისი“ (ღ--662. XVIII ს. სადღესასწაულო). როგორ შეიძლება გაეპართლოთ ამ დღეს შუშანიკის ხსენების დადება? შუშანიკის მარტილობაში რა-

²⁴ იაკობ ცურტაველი, „მარტვლობა შუშანიკისი“, ილ. აბულაძის გამოცემა, 1938.

²⁵ Н. М а р р, Агиографические материалы, I, кн. 64.

²⁶ ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრომა, გვ. 49.

²⁷ A—97, 300v.

²⁸ აღსანიშნავია, რომ სომხურ სკინაქსარში შუშანიკის ხსენება სრულად განსხვავებულია: ერთში—„სათულისა იზ და დეკემბრისა ეზ-სა“, და მეორეში—„დეკემბრისა ეშ და სათულისა ეს“ (ილ. აბულაძე, იაკ. ცურტაველი, გვ. 57, 58).

ქებათა: „...და აღსრულებაჲ მისი — თთუესა ოკლონბერსა ათიკდმეტ-
საკსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან
და დამიანესთა“. ე. ი. შუშანიკი გარდაცვლილა 17 ოქტომბერს,
როდესაც ბიზანტიური ეკლესიის მიხედვით ქართული ეკლესიაჲ აღ-
ნიშნავდა კოზმა და დამიანეს ხსენებას. მეორეს მხრივ, გიორგი მთა-
წმიდლის მიერ გადმოთარგმნილ „დიდ სვნაქსარში“ ამ დღეს კოზმა
და დამიანეს ხსენება არ არის. „დიდი სვნაქსარის“ მიხედვით მათი
ხსენება დადებულია სხვა დღეებში, მათ შორის პირველ ნოემბერ-
საც. სწორედ „დიდი სვნაქსარის“ კალენდრის საფუძველზე უნდა
იყოს შედგენილი ის სადღესასწაულოც, რომელიც 1 ნოემბერს
კოზმან და დამიანეს ხსენებასთან ერთად შეიცავს შუშანიკის ხსე-
ნებასაც. როგორ მოხვდა ამ დღეს შუშანიკის ხსენება? შეიძლება
ასეთი ვარაუდი დაეფუძვას: ამ სადღესასწაულოს, თუ მისი დედნის
გადამწერისათვის, რომელსაც მასში შუშანიკის ხსენებაც უნდოდა
შეეტანა, შუშანიკის „ცხოვრებიდან“ ცნობილი იყო, რომ მისი ხსე-
ნება კოზმა და დამიანეს ხსენების დღეს უნდა ყოფილიყო, და რად-
გან ამ სადღესასწაულოში 17 ოქტომბერს ეს ხსენება ვერ იპოვა,
მან შუშანიკის ხსენება იქ შეიტანა, რომელ დღესაც კოზმა და და-
მიანეც იხსენიებოდნენ, ე. ი. 1 ნოემბერს.

უფრო კანონზომიერი ხასიათი უნდა ჰქონდეს შუშანიკის ხსე-
ნებას 2 ოქტომბერს. შუშანიკის ხსენება ამ დღეს შესულა XVII—
XVIII საუკუნეების რამდენიმე ლიტურგიკულ ძეგლში (ცენტრ. არ-
ქივის—488, XVII ს.; Q—627, XVII ს.; A—III. 1703—15 წწ.;
A—152, 1765 წ.). რადგან უფრო ადრინდელ ლიტურგიკულ კრე-
ბულებში ამ დღეს შუშანიკის ხსენების არც ერთი მაგალითი არ
გვხვდება, ხოლო XVII—XVIII საუკუნეების ძეგლები, რომლებიც
კი მის ხსენებას მოიცავენ, ორიოდე გამოჩაყლისის გარდა (Q—662,
1/XI; A—1486, 21/VIII, რომლის მიხეზების აბსნას ჩვენ ზემოთ
შევეცადეთ) შუშანიკს ცოველთვის 2 ოქტომბერს ახსენებენ, გვე-
ხადება ეჭვი: XVII—XVIII საუკუნეებში, როდესაც უპეტესი ქარ-
თველი წმინდანების სახსენებელი დღეების გადასინჯვა და გადა-
კეთება მოხდა, ხომ არ შეუცვლიათ შუშანიკის ხსენების დღეც და
ხომ არ გადაუტანიათ იგი 17 ოქტომბრიდან 2 ოქტომბერს? თუმცა
ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ შუშანიკის
ცხოვრების გვიანდელი სვინაქსარული რედაქცია, რომელიც დო-
მენტი კათალიკოზის ინიციატივით შედგენილ 1718 წ. სადღე-
სასწაულოში (A—425) არის შესული და აქედან 1726 წ. სვინაქ-
სარშიაც (A—220) გადავიდა, მოთავსებულია 17 ოქტომბერს. თუკი

შუშანიკის სვინაქსარულ ცხოვრებაში აღნიშნული 17 ოქტომბერი მექანიკურად არ არის გადმოტანილი წყაროდ გამოყენებული ვრცელი ცხოვრების სახსენებელი დღის მითითებიდან. მაშინ ძნელი ასახსნელია ერთსა და იმავე პერიოდში შუშანიკის ხსენების დღის ასეთი სიჭრელე. ჩვენს ექვს, რომ XVII—XVIII საუკუნეებში შუშანიკის ხსენება 2 ოქტომბერს დაკანონებულ ხასიათს ატარებს და არა შემთხვევითს, აძლიერებს ის ფაქტორი, რომ გულანში A—111. რომელიც 1703—1715 წლებშია შედგენილი, შუშანიკის ხსენება ზუსტად იმავე ფორმულირებითაა შესული ძირითად ტექსტში. როგორც ეს გვაქვს XI ს. შემოახსენებულ სვინაქსარს (A—97) აშიაზე, ოღონდ ამ ძეგლებში განსხვავებულია მისი ხსენების დღეები: A—97-ში — 21/VIII, ხოლო A—111-ში 2/X. რადგან ხსენების ტექსტი ორივე ძეგლში ზუსტად ერთი და იგივეა და ადრინდელ A—111-ის წყარო ან A—97-ია, ან მისგან მომდინარე სხვა ნუსხა, მაშინ მოსალოდნელი იყო შუშანიკის ხსენების A—111-ში 21 აგვისტოს შეტანა, რაც არ დასტურდება. ეს ფაქტი სწორედ შემოაღნიშნული გარემოებით უნდა აიხსნას: A—111 გულანის შემდგენელმა შუშანიკის ხსენების ტექსტი მართალია წყაროდან აიღო, მაგრამ ხსენების დღე კი მის დროს შუშანიკის ხსენების დღედ დაღვნილ თეფსა და რიცხვს შეუფარდა და ამიტომ წყაროს ზონაცემი შეცვალა.

სულ გვიანდელი — XVIII ს. II ნახევრისა და XIX ს. ზოგიერთი ძეგლი შუშანიკის ხსენების დღედ 28 აგვისტოს ასახელებს (მაგ. I!—137—XIX ს. შუშანიკის ვრცელი ცხოვრების სათაური, 228r). არქ. სერგიც თავის — Полный Месяцеслов Востока-ს II ტომში აღნიშნავს რა შუშანიკის ხსენების ძირითად დღედ 17 ოქტომბერს. შენიშნავს, რომ გვიანდელ ქართულ ძეგლებში მისი ხსენება 28/VIII გვხვდება. ჩვენის აზრით, ეს ანტონ კათალიკოსის ლიტურგიკული რეფორმის შედეგად დამკვიდრებული თარიღი უნდა იყოს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ შუშანიკის ხსენების დღეების სიჭრელე და შევეცადეთ შეძლებისდაგვარად აგვეხსნა მათი სიპრაველის მიზეზები. მაგრამ არაფერი გვითქვამს იმ ავიოგრაფიულ მასალაზე, რომელიც შუშანიკის შესახებ შევიღა ლიტურგიკულ კრებულებში, კერძოდ სვინაქსარებში. გარდა შუშანიკის ვრცელი, იაკობ ცურტაველის მიერ შექმნილი ცხოვრებისა, ქართულმა წყაროებმა, და კერძოდ ტაო-კლარჯეთში შედგენილმა კრებულმა, როგორც აღვნიშნეთ, შემოინახა შუშანიკის სომხურიდან გადმოკეთებული ნაკლებ ცხოვრებაც. ჩვენ მიერ შესაველში გამოთქმული ვარაუდით, ან

მოკლე ცხოვრების გადმოკეთებას ლიტურგიკული მიზანი უნდა ჰქონოდა. რადგან ამ პერიოდში (X—XI ს.) ჩანს წარმოშობილი ღვთისმსახურებაზე ვრცელი ცხოვრების შემოკლებული ცხოვრებით შეცვლის ტრადიცია. შეიძლება შუშანიკის მოკლე ცხოვრება საქართველოს ყველა ეკლესიაში არ გავრცელებულა. მაგრამ მისი გამოყენება ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების ღვთისმსახურებაში საეხებით შესაძლებლად გვეჩვენება, რადგან ეს ძეგლი შესულია ღვთისმსახურებაში საკითხავად გამოყენებულ ისეთ კრებულში, რომელსაც „პრაავლთავი“ ეწოდება²⁹. ამრიგად, შუშანიკის ცხოვრებამ მოკლე რედაქცია ჩვენ შეგვიძლია მივაკეთოთ ლიტურგიკული დანიშნულების ისეთ მოკლე ცხოვრებათა რიცხვს, რომელთა შექმნა წინ უსწრებს ქართულად „სვნაქსარის“ თარგმანს და „დიდი სვნაქსარის“ აღრინდელ თუ გვიანდელ ნუსხებში შესულ ქართველ წმინდანთა სვინაქსარულ ცხოვრებებს.

შუშანიკის სვინაქსარული ცხოვრება აღრინდელი ლიტურგიკული კრებულებისათვის უცნობია. მოულოდნელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ პოპულარული წმინდანის სვინაქსარული ცხოვრება XVIII საუკუნემდე არ შექმნილა. ყოველ შემთხვევაში მისი არსებობა ჩვენთვის ცნობილი არ არის, ხოლო XVIII ს. A—425 საღვთისწაულოში შესული მისი ცხოვრების რედაქცია არქაულობის არავითარ ნიშანს არ შეიცავს, რომ იგი უფრო ადრეულ საუკუნეებში გადავიტანოთ. მისი ამ დროს შექმნა გამოწვეული უნდა იყოს ქართველ წმინდანთა ლიტურგიკული მასალის ერთ კრებულში შეკრების თაღარიგით.

შუშანიკის სვინაქსარული ცხოვრება მოთავსებულია დომენტი კათალიკოსის ინიციატივით შედგენილ საღვთისწაულოში. რომელშიც ქართული ლიტურგიკული მასალის მნიშვნელოვანი ნაწილია თავმოყრილი. ძნელი სათქმელია, არსებობდა თუ არა შუშანიკის სვინაქსარული ცხოვრება ამ კრებულის შედგენამდე, თუ იგი ამ კრებულის შემდგენელის შემოქმედების ნაყოფია. ძნელია აგრეთვე გადაჭრით თქმა, რომელი წყაროს მიხედვითაა შედგენილი იგი. შუშანიკის ხსენებული სვინაქსარული ცხოვრება ძალიან პატარაა. მისი თხრობა იმდენად ზოგადია, რომ არ იძლევა საშუალებას მის რო-

²⁹ აკად. ვ. კაველიძე შუშანიკის ამ ცხოვრებას სვინაქსარულსაც კი უწოდებს, თუმცა მას არც ერთი ლიტურგიკული კრებული (სვინაქსარი, საღვთისწაულო) არ შეიცავს. ამდენად უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მას „სვინაქსარული მიღრევილების“ ან „ერთგვარი სვინაქსარული“ ცხოვრება ვუწოდოთ, როგორც ამას აკად. ს. ჭანაშვილი და პროფ. ილ. აბულაძე ასურულ მოღვაწეებმა მოკლე ცხოვრებებს უწოდებენ.

ბელიმე ცხოვრებასთან ტექსტობრივ მიმართებაზე ვილაპარაკოთ. თხრობის მანერით და სტრუქტურით ეს სვინაქსარული ცხოვრება ძალიან ჰგავს შუშანიკის სომხურ სვინაქსარულ ცხოვრებებს³⁰, რაც მხოლოდ მათი მსგავსი დანიშნულებითა და შედგენის ხერხებით უნდა იყოს გამოწვეული. მათ ტექსტობრივ საახლოვეზე ლაპარაკი ძნელია. თითქმის არაფერი არა აქვს მას საერთო არც შუშანიკის ცხოვრების მოკლე რედაქციასთან. აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ის ეყრდნობა შუშანიკის წამების იაკობ ხუცისეულ რედაქციას და მის საფუძველზე იძლევა ძალზე შემოკლებული სვინაქსარული ცხოვრების ვარიანტს, რომელიც უმთავრეს ფაქტებს მხოლოდ ზოგადად გადმოგვცემს. ამ ორი ცხოვრების ტექსტობრივ დაპოკიდებულებაზე მხოლოდ ორიოდ წინადადების მიხედვით შეიძლება მსჯელობა: ვრცელი ცხოვრების შემდეგი ადგილი: „...წარემართა ვარსქენ პიტიახში... და ცოლად მისა იყო ასული ვარდანიის სომეხთა სპაძეტიისა... და სიუჯარულით სახელა მისი შუშანიკ“³¹... სვინაქსარულში ეს ადგილი გამოკრებილია და თითქმის მსგავს ფრაზეოლოგიას გვაძლევს: „ესე იყო ასული ვარდან სომეხთა სპაძეტიისა და ცოლი ვარსქენ (ვაქსენ) პიტიახშიისა“³². სვინაქსარული ცხოვრების დანარჩენი ნაწილი, როგორც უკვე ვთქვით, სრული ცხოვრების ძალზე მოკლე, სულ რამდენიმე წინადადებიანი პერიფრაზია.

ჩვენი აზრით, შუშანიკის სვინაქსარული ცხოვრება, რომელსაც ბველი კლასიკური ქართული ენის ნორმებით დაწერილი ძეგლის პრეტენზია უნდა ჰქონდეს, ზოგჯერ ახლას ელემენტებსაც შეიცავს, რაც მისი შემდგენლის, თუ გადამწერის გვიანდლობაზე მიუთითებს. ანაქრონიზმია დაშვებული, როდესაც სვინაქსარული ცხოვრების ავტორი ვარსქენს „მოაჰმადის“ სარწმუნოების მიღებაში სდებს ბრალს. ცეცხლთაყვანისცემლობის ადგილას მაჰმადიანობას არ ხმარობს შუშანიკის ცხოვრების არც ერთი, არც ქართული და არც სომხური რედაქცია. ის მხოლოდ შუშანიკის სვინაქსარული ცხოვრების ქართულ რედაქციამა: „და დაეპყრა სარწმუნოებაჲ მოჰამადისი“ (A—

³⁰ შუშანიკის სვინაქსარული ცხოვრების სომხური რედაქციები (3 ერთმანეთზე დაპოკიდებული), ქართული თარგმანებითურთ გამოცემულია ილ. აბუღაძის წიგნის — „იაკობ ურტაველი, წამებაჲ შუშანიკისი“ — დამატებად 1938წ. აქვეა მოცემული ქართული რედაქციის ტექსტი A—425-ის მიხედვით.

³¹ ილ. აბუღაძე, „იაკობ ურტაველი, წამებაჲ შუშანიკისი“, 1938, გვ. 3.

³² A—425, 106.

425—106). ასევე სვინაქსარულში მოხსენებულია „სპასპეტი“, რომელიც გვიანდელი ფორმა უნდა იყოს, რადგან შუშანიკის ცხოვრების ვრცელი რედაქციის უძველეს ნუსხაში იხმარება „სპაპეტი“. „სპასპეტი“ — ფორმა ვრცელი ცხოვრების მხოლოდ გვიანდელ ნუსხებში არის დადასტურებული. სვინაქსარული ცხოვრება პიტიაზის სახელს „ვაქსენ“-ის ფორმით გადმოგვცემს, რომლის მსგავსი ფორმა ვრცელი ცხოვრების ერთ გვიანდელ (XVIII ს.) ნუსხაში გვხვდება.

ამავე სვინაქსარული ცხოვრების მეორე ნუსხა მოთავსებულია 1726 წელს გადაწერილ სვინაქსარულ კრებულში (A—220). საფიქრებელია, რომ ეს ნუსხა გადაწერილია ან A—425-დან, ან მისი პირიდან, რადგან შუშანიკის სვინაქსარული ცხოვრების ეს ორივე ნუსხა ერთსა და იმავე თავისებურებებს გვიჩვენებს: უფრო სწორად A—425-ის თავისებურებანი ზუსტად არის განმეორებული A—220-შიც. მაგ., „ვაქსენ“, „ცურტევს“, „სატანჯველითაჲ“ (მრავლითა ს ა ტ ა ნ ჯ ვ ე ლ ი თ ა ჲ ტ ა ნ ჯ ვ ა), „სომხეთ[ა] სპასპეტისა“ და სხვა. A—220-ის დამატებითი ვარიანტები გამოწვეულია ამ ძეგლში „ა“-ის მაგივრად „ჲ“-ის ხმარებით (შებორკილჲ, იქმნებჲან, კურნებჲანი და სხვ.).

4. ევსტათი მცხეთელი

VI ს-ში სპარსელების მიერ თბილისში ევსტათი მცხეთელის წამების ფაქტის საფუძველზე უცნობ თანამედროვეს შეუქმნია ქართული აგიოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი „მარტვლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“.

ევსტათი მცხეთელის ვრცელი ცხოვრების საპირისპიროდ სვინაქსარული ცხოვრება არ გამოირჩევა სიძველით. მისი შედგენის დრო არ უნდა სცილდებოდეს XVIII ს. ფარგლებს, რადგან ევსტათის სვინაქსარული ცხოვრების ჯერჯერობით ცნობილი ორი ნუსხა XVIII საუკუნის ხელნაწერშია მოთავსებული (A—220, 1726 წ. და S—535, XVIII ს.).

სვინაქსარული ცხოვრების ასე გვიან შექმნა არ ნიშნავს იმას, რომ ევსტათი მცხეთელის ხსენებაც გვიან გაჩნდა ლიტურგიკული ხასიათის კრებულებში. ევსტათი მცხეთელის ხსენება (სვინაქ. ცხოვრების გარეშე) გვაქვს ისეთ ძველ ძეგლებში, როგორცაა ე. წ. „პარიზის ლექციონარის XI ს. ხელნაწერი (Rt—VIII № 3 (111) გვ. 600) და XI საუკუნის A—97 სვინაქსარი. დანარჩენი კრებულები, რომლებშიაც კი ეს ხსენება გვაქვს, თითქმის ყველა XVII—XVIII საუკუნისაა. ხსენება ყველგან დადებულია 29 ივლისს; გამო-

ნაკლის წარმოადგენს მხოლოდ „პარიზის ლექციონარის“ ჩვენება. სადაც მითითებულია 20 დეკემბერი: „დეკემბერსა კ' ევსტათი მცხეთელისა“³³. ჩვენთვის ევსტათის ხსენების 20 დეკემბერს დადების საფუძველი უცნობია. რადგან სხვა ლიტურგიული კრებულები, რომლებშიაც კი ევსტათის ხსენება შესულა, ყველა გამონაკლისს გარეშე 29 ივლისის დღეს ასახელებს. ევსტათის ვრცელი ცხოვრებდანაც არ ჩანს. თუ რომელ დღეს აწამეს იგი, რომ ამით გაგვერკვია. ხსენების რომელი დღეა თავდაპირველი.

ამრიგად, მიუხედავად ევსტათი მცხეთელის, როგორც წმიდანის, კულტის უძველესი დროიდან არსებობისა მისი სვინაქსარული ცხოვრება მხოლოდ XVIII ს. დასაწყისში ჩანს შედგენილი.

ეს სვინაქსარული ცხოვრება არც შედგენილობითა და შინაარსით არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ძეგლს. სვინაქსარული ცხოვრება მთლიანად ვრცელი ცხოვრების ნიადაგზეა შედგენილი. სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისი ვრცელი ცხოვრების თითქმის სიტყვა-სიტყვითი გადმოღებაა, ოღონდ გამოშვებულია წყაროს ზოგიერთი ფრაზა:

სვინაქ. ცხოვრება

„წელსა მეთესა სვასრო მეფისასა და არვანდ გუმნასპის მარზპანობასა ქართლს მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით ძე მოგვისა წარმართისა, რომელსა ერქუა გვრობანდაკ. იყო ვითარ ოცდაათისა წლისა“ (A—220, 447r).

ვრცელი ცხოვრება

„წელსა მეთესა ხუასრო მეფისასა და არვანდ გუმნასპისა მარზპანობასა ქართლისასა მოვიდა კაცი ერთი სპარსეთით, სოფლისა არშაქეთისაჲ, ძმ მოგვსაჲ. და წარმართ იყო იგი, და სახელი ერქუა მას გვრობანდაკ, და დღითა ყრმა იყო იგი, ვითარ ოცდაათ წლის“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია. გვ. 44).

³³ არქიპანდრიტი სერგი თავის «Полный Месяцеслов Востока». I ტ. ევსტათი მცხეთელის ხსენების დღედ 29/VII და 6/XII ასახელებს და შენიშნავს, რომ ამ ორი დღიდან უძველესია 6 დეკემბერი. ჩვენ არ ვცით თუ საიდან აიღო ეს ცნობა ავტორმა, რადგან ქართულ წყაროებში ამ დღეს ევსტათი არც ერთ კრებულში არ იხსენიება. ვფიქრობთ, რომ აქ უნდა ყოფილიყო არა 6 დეკემბერი, არამედ 20 დეკემბერი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, პარიზის „ლექციონარში“ გვაქვს დადასტურებული. ხომ არ მომდინარეობს ეს შეცდომა იმისაგან, ვინც ეს ცნობა სერგის მიაწოდა და კ' დეკემბერი შეცდომით კ' დეკემბრად ამოიკითხა?!

სვინაქსარული ცხოვრების დანარჩენი ნაწილი ვრცელი ცხოვრების უმთავრესი მომენტების მოკლე პერიოდაზია.

მიუხედავად იმისა, რომ სვინაქსარული ცხოვრება პირველად 1726 წლის A—220 სვინაქსარში გვხვდება, ეს ტექსტი დედანი არ უნდა იყოს. სვინაქსარული ცხოვრება გადმოწერილია რომელიღაც წყაროდან, რადგანაც ნათლად ჩანს, რომ გადამწერს შეცდომა მოსულია გადმოწერის დროს ერთნაირი სიტყვებით დაწყებული სტრიქონების აღრევის შედეგად, რაც მას მაშინვე გააუშლია (იხ. A—220, 447r).

ამრავლად, ევსტათი მცხეთელის კვლევის უძველესი დროიდან არსებობის მიუხედავად, მისი სვინაქსარული ცხოვრების შექმნა უნდა უკავშირდებოდეს იმ პერიოდს, როდესაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. გაიშალა ლიტერატურული საქმიანობა ქართულ მოღვაწეთა შესახებ აგიოგრაფიულ-ლიტურგიკულ ლიტერატურაში არსებული ხარვეზის ამოსავსებად. ამ ხარვეზების შევსება კი XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII ს. დასაწყისს უკავშირდება. ამ დროს უნდა შეედგინათ ევსტათის სვინაქსარული ცხოვრებაც. საერთოდ ჩანს, რომ ლიტურგიკული მიზნებისათვის თავიდანვე იყენებდნენ ვრცელ ცხოვრებას. რომელიც არცთუ დიდი მოცულობის ძეგლია.

5. იოვანე ზედაზნელი

იოვანე ზედაზნელის სახელთან დაკავშირებულია საქართველოში სანონაზვნო ცხოვრების დასაწყისი. მან თავის მოწაფეებთან ერთად საუფუძველი ჩაუყარა სანონასტრო ცხოვრებას აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ამ წმინდანის პოპულარობის თავმდებია მისი „ცხოვრების“ რედაქციით არსებობა. რომლებიც, მართალია, მისი მოღვაწეობის ხანასთან შედარებით გვიან შექმნილან (X—XII ს.), მაგრამ უთუოდ ეყრდნობიან ჩვენთვის უცნობ ასურელ მოღვაწეთა შესახებ უფრო ძველ მასალას. როგორც ამას აღნიშნავს ჩვენთვის ცნობილი რედაქციებიდან ყველაზე ადრინდელი, ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრებას“ დამატებაში მოღწეული იოვანე ზედაზნელის ცხოვრების, სამწუხაროდ. სანახევროდ ნაკლები ნუსხა: „ხოლო პირველი იგი ცხოვრებაჲ და საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან პირველსა მან წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერად“³¹.

³¹ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გაბოცება, გვ. 18. ქვემოთაც გვ. მიუთითებთ ამ გამოცემის მიხედვით.

იოვანე ზედაზნელის შესახებ საკმაოდ მდიდარი აგიოლოგიური მასალის არსებობის ფონზე გაკვირვებას იწვევს მისი საბელის იშვიათად გამოჩენა სხვადასხვა სახის ლიტურგიკულ საკითხავ კრებულებში. მისი უძველესი ხსენება მოთავსებულია Jer.—80 ხელნაწერის XIV საუკუნის აშიაზე მინაწერში 7 მაისს; თანაც ეს დღე მართო იოვანეს ხსენების დღე კი არ არის, არამედ მისი 12 მოწაფისაც: „ამასვე დღესა (7/V) კსენებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისა და ი^ბ მოწაფეთა მისთა“. დანარჩენი ხსენების შემთხვევები, მხოლოდ XVIII ს. ძეგლებში გვხვდება და ისიც ყოველთვის სვინაქსარული ცხოვრების გარეშე. მისი სვინაქსარული ცხოვრების ერთადერთი გვიანდელი ნუსხა მოეპოვება მხოლოდ 1726 წ. გადაწერილ სვინაქსარულ კრებულს, რომელიც გამოირჩევა ზოგიერთი ისეთი მასალით, რაც მანამდელ ლიტურგიკულ კრებულებში არ გვხვდება. აქვე აღსანიშნავია ამ ახალი მასალის დაბალი მხატვრული და ენობრივი დონეც. ამ ახალი, მანამდე უცნობი მასალის რიცხვში შედის იოვანე ზედაზნელის სვინაქსარული ცხოვრებაც, რომელიც ამ კრებულში მოთავსებული ზოგიერთი ქართველი მოღვაწის სვინაქსარული ცხოვრების მსგავსად შექმნილი უნდა იყოს ამ კრებულის გადაწერის თარიღზე არც თუ დიდი ხნით ადრე ქართველ მოღვაწეთა შესახებ ლიტურგიკულ-აგიოგრაფიული მასალის ხარვეზის შესავსებად.

იოვანეს სვინაქსარული ცხოვრების ადრინდელი ნუსხების უქონლობა ბადებს ეჭვს, რომ ღვთისმსახურებაზე თავიდან იკითხებოდა მისი ცხოვრების ვრცელი რედაქცია (ანას ქართლის ცხოვრებაზე დართული ნუსხა), რასაც მიუთითებს ამ ცხოვრების შესავალიც: „ხოლო თქვენ განმზადენით სასმენელნი თქუნენი და სარწმუნოებით შეიწყნარეთ, ნუ ვითარმცა გესმა სათნოებაჲ ყოვლისა მის კაცისაჲ, არამედ მცირე მრავლისაგან დაყოვნებითა გამოსაჲთა“. ხოლო მოგვიანებით (X—XI ს.) ცხოვრების მოკლე რედაქციის შექმნასთან ერთად ლიტურგიკული საკითხავის ფუნქციებიც მას უნდა დაკისრებოდა. შესაძლებელია, მოკლე ცხოვრების ღვთისმსახურებაში გამოყენების მიზეზით უნდა აიხსნას იოვანეს სვინაქსარული ცხოვრების უფრო ადრინდელი ნუსხების არარსებობის ფაქტი.

იოვანე ზედაზნელის სვინაქსარული ცხოვრება ძირითადად პერიფრაზული ხასიათისაა, მაგრამ თხრობის თანმიმდევრობით ის მისდევს თავის წყაროს და ხშირად მის ფრაზეოლოგიას. თუ ცალკე

ლექსიკურ ერთეულებს იმეორებს, რის მიხედვითაც ხერხდება მისი წყაროსთან სიახლოვეზე მსჯელობა.

ეს სვინაქსარული ცხოვრება სიახლოვეს იჩენს იოვანე ზედაზნელის ცხოვრების საბივე რედაქციასთან იმდენად, რამდენადაც ვრცელი ცხოვრების ეს რედაქციები გარკვეულ ურთიერთობაში იმყოფება ერთმანეთთან (ანასეულიდან — მოკლე, მოკლედან — მეტაფრასტული), ხოლო მისი წყარო არის მეტაფრასტული ცხოვრება, რომლის უმთავრესი ფაქტები და ეპიზოდები გადმოტანილია გამოკრებილად, შემოკლებული ფრაზეოლოგიით. საინტერესოა, რომ იოვანე ზედაზნელის სვინაქსარული ცხოვრება აღნიშნულ წყაროსთან შედარებით რამდენიმე ახალ ეპიზოდს შეიცავს, რაც ძირითადად ეხება იოვანეს ქართლში გამომგზავრების სამზადისს და მისი მოწვევებითურთ მცხეთაში შემოსვლის ამბებს. ეს ეპიზოდები სვინაქსარულ ცხოვრებას შიო მღვიმელის მეტაფრასტული ცხოვრებიდან აუღია; აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

ხვინაქ. ცხოვრება

შიო მღვიმელის მეტაფრასტ. ცხოვრება

„ნახეს კაცნი ათცამეტნი და ბებკუღითა მოსილნი, უკამლონი. კუნკულებითა სცნა მათი ყოფა“ (A—220, 363r).

„და ამა მოვიდოდეს წმიდანი იგი მამანი უკამლონი და დაბებკუღითა მოსილნი შეურაცხად სახილველნი, კუნკულებითა შემოსილნი წესისაჲრ ასურთა ქუეყანისა“ (გვ. 81).

„ეს წავა მაშინვე ქართული ენა სულისა მიერ წმიდისა ნეტარსა იოვანეს და ეტყოდა სიტყვათა ქართუელთა ნეტარსა მას კათალიკოზსა“

„ვითარ მოეცა იოვანეს ენაჲ ქართულად მეტყუელი ყოვლად დაუბრკოლებელი“ (გვ. 82).

(A—220, 363v).

„... და მდიდროდა მდინარე არაგვ... ჰრქუა დიდმან იოვანე ნეტარსა შიოს: ილოცე, მამათ, რათა ღმერთმან უვნებლად წიადგვყვანნეს იმიერ... მოიდრიკნა სამგზის მუკლნი აღმოსავალით... და ჰრქუა: „მამად ჩუენი იოვანე გიბრძანებს, წყალო, რათა დაეყენნეთ

„ხოლო მდინარე იგი იყო რქათურთით სავსე. უბრძანა ნეტარმან იოვანე დირსსა შიოს: „ილოცე, შვილო, რათა მოგვცეს გზა და აღვიდეთ მთასა მას“. ხოლო მორჩილებითა ღმრთისათა მოიდრიკა მუკლი და ილოცა და

რქვა მდინარესა: „სახელითა სლვისაგან, ვიდრემდის წიაღი-
იქო ქრისტესითა და ლოცვითა დეთ იმიერ კველად...“ რამეთუ
მამისა ჩუენისა იოვანესითა გვეც სიტყვასა თანა მისსა და დგა
გზა“. მაშინ მეყსეულად და დგა მდინარე იგი და მისცა გზა
მდინარე იგი და მისცა გზა ვიდრემდის წიაღიღეს იგინი
და განუღეს ვითარცა კმელთა და კმელად (გვ. 85-ძბ).
აღვიღეს მთასა მას“ (A—220,
363v).

მოტანილი ადგილებიდან ნათელია, რომ იოვანე ზედაზნელის სვინაქსარული ცხოვრება ამ ეპიზოდების გადმოცემაში შიო მღვიმელის მეტაფრასტული ცხოვრებით სარგებლობს, ვით უმეტეს, რომ ამ ეპიზოდების შესახებ სვინაქსარული ცხოვრების ძირითადმა წყარომ — იოვანეს მეტაფრასტულმა ცხოვრებამ — და საერთოდ იოვანე ზედაზნელის ცხოვრების არც ერთმა რედაქციამ არაფერი არ იცის.

მსგავსი მაგალითები სვინაქსარულ ცხოვრებაში საკმაო ოდენობით მოიპოვება, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ძირითადი წყარო მაინც იოვანეს მეტაფრასტული ცხოვრებაა. სვინაქსარული ცხოვრება გვაძლევს ისეთი დიალოგების ნიმუშებს, რომლებიც თვით სვინაქსარული ცხოვრების შემდგენლის შემოტანილი უნდა იყოს. რადგან მსგავსი ადგილი სრული ცხოვრებების მიხედვით მხოლოდ იგულისხმება, ხოლო ზოგჯერ კი მინიშნებაც არ არის: მაგალითად: სვინაქსარული ცხოვრება აღნიშნავს, რომ იოვანეს ანგელოზი გამოეცხადა და ქართლს წამოსვლა შთააგონა „მეფობასა მარკიანე და ლეონ დიდისასა“. ვრცელადაა მოტანილი ანგელოზის საუბარი იოვანესთან: „წმიდა ნინო, ოღეს ქართლი და კახეთი მოაქცია. დედაკაცი იყო და ფრიადი შრომა და დვა და პრავალნი ილუაწა, არამედ უმრავლესი თემი დაუშთა ქართლად და კახეთად მოუქცეველი; და წარვედ და მუნ ათორმეტნი მოყუასნი შენნი გამოირჩიენ და თან წარიტანე და მიხედ ქართლად და კახეთად, ვინათგან უცხოთა ქვეყანასა ყოფა გასურის, და შენ ილუაწე და ქადაგე სარწმუნოება მტკიცე ქრისტიანობისა და განანათლენ იგინი“—ო. ამის მსგავსი არაფერია ნათქვამი იოვანეს ვრცელი ცხოვრების არც ერთ რედაქციაში. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ იოვანემ ყოველგვარი შთაგონების გარეშე განიზრახა უცხო ქვეყანაში წასვლა და ეს განზრახვა გაანდო თავის მოწაფეებს, რომლებმაც მართო არ გაუშვეს თავიანთი მოძღვარი და გამოაქვეს სურვილი მასთან ერთად გამგზავრებისა.

ამ ეპიზოდთან დაკავშირებით, სვინაქსარულთან შედარებით სიახლოვეს იჩენს შიო მღვიმელის მეტაფრასტული ცხოვრება: აქ ზოგადად მოთხრობილია, რომ „მოიწია იოვანესსა ბრძანებით ზე-გარდმო, რათა გამოიჩინეს ათორმეტნი მოწაფეთაგანი თვისთა... და წარვიდეს ქუეყანად ქართველთა“. რადგან ქართველები წინოს მიერ ორასიოდე წლის მოქცეულები ყოფილან — „რამეთუ ახალ-ნერგ იყვნეს მაშინ ქართველნი“-ო. როგორც ვხედავთ, აქ სვინაქსარულის წსლოდ მსგავსი სურათი გვაქვს, თორემ აქაც არაფერია ნათქვამი ანგელოზის გამოცხადებისა და მისი საუბრის შესახებ, ხოლო მარკიანესა და ლეონის სახელები ასურელ მოღვაწეთა არც ერთ ცხოვრებაში არ არის მოხსენებული. ჩანს, რომ სვინაქსარული ცხოვრების ეს ადგილი მისი შემდგენლის დამატებულია, რომლის შინაარსი შიოს მეტაფრასტული ცხოვრებიდანაა აღებული, გარდა მეფეების სახელებისა.

სვინაქსარული ცხოვრებით „იოვანემ გამოიჩინა ათორმეტნი მოყვარენი, რომელნი სათნო მისდა იყვნეს“ და შემდეგ ჩამოთვლილია 12 მოწაფის სახელი. ეს ფაქტიც არ ეთანხმება ვრცელი ცხოვრების ჩვენებებს. უფრო სწორად, ვრცელი ცხოვრებანი არაფერს ანბობენ მოწაფეთა გამოჩენის შესახებ, ხოლო შიოს მეტაფრასტულ ცხოვრებაში კი აღნიშნულია, რომ 12 მოწაფის შერჩევა მოხდა არა იოვანეს, არამედ ღმრთის მიერ, რომელმაც „ქარტას“ დაწერა მათი სახელები. სხვადასხვაგვარადაა მოწაფეთა სახელებიც იოვანე ზედაზნელის ვრცელი ცხოვრებების შესავალში (მოკლეს არ გააჩნია) და შიოს მეტაფრასტულ ცხოვრებაში:

იოვანეს ვრცელი ცხოვრების მიხედვით:

შიოს მეტაფრ. მიხედვით:

„დავით გარეჯელი, სტეფანე ქისიქელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტყოფელი, ისე წილკნელი, თათა სტეფანწმიდელი, ელია დიაკონი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავენელი, შაქელ ულუმბელი, პიროს ბრეტელი, აბიბოს ნეკრესელი“, სულ 13 (გვ. 2).

„შიო, დავით, იოსებ, ანტონი, თეოდოსიოს, თათა, პიროს, ელია, პიმენ, ნათან, აბიბოს. იოანე“, სულ 12 (გვ. 20).

სვინაქსარული ცხოვრება იოვანეს ვრცელ ცხოვრებებს უკერს მხარს, მაგრამ მათგან განსხვავებით ზოგიერთი სახელი შეცვლილი,

თუ დამახინჯებულია: სტეფანე ხირსელი, თათე სამთებელი, მარკოზ ულუპბელი, კჭროს ბრეთელი, ხოლო ზენონ იყალთოელი სრულებით არ იხსენიება.

სვინაქსარულ ცხოვრებას მოაქვს ვრცელი დიალოგი იოვანე ზედაზნელსა და ევლაიოზ კათალიკოსს შორის მათი პირველი შეხვედრის დროს. იოვანეს ვრცელ ცხოვრებაში ამის შესახებ არაფერია თქმული, ხოლო შიოს მეტაფრასტულ ცხოვრებაში ეს ფაქტი ვრცლადაა გადმოცემული.

იოვანეს მცხეთაში შესვლა და სვეტი-ცხოელის თაყვანისცემა სვინაქსარულს იოვანეს მეტაფრასტული ცხოვრებიდან აუღია, ხოლო მისი მომდევნო ეპიზოდის, მცხეთიდან ზედაზნის მთისკენ გამგზავრებისა და არაგვზე გადასვლის ეპიზოდისათვის კი ისევ შიოს მეტაფრასტული ცხოვრებისათვის მიუმართავს.

ამრიგად, იოვანე ზედაზნელის სვინაქსარული ცხოვრება, როგორც ჩვენამდე მხოლოდ ერთი გვიანდელი ნუსხით მოაღწია, შექმნილი უნდა იყოს XVIII ს. პირველ ნახევარში, შიო მღვიმელის დავით გარეჯელისა და დოდო გარეჯელის სვინაქსარულ ცხოვრებებთან ერთად. მის გვიანდლობას ნათლად ადასტურებს არა მარტო ახალი ორთოგრაფიული ნორმები, არამედ ამ თხზულების გრამატიკული ფორმებიც, რომელთა ნიმუშებიც საკმარისად არის წარმოდგენილი ჩვენ მიერ მოტანილ ციტატებშიც.

ამრიგად, იოვანე ზედაზნელის სვინაქსარული ცხოვრება წყაროდ ორ სხვადასხვა თხზულებას იყენებს.

6. აბიბოს ნეკრესელი

საუბარი აბიბოს ნეკრესელის შესახებ მისი ხსენებრი დღესთან დაკავშირებით ზემოთაც გვქონდა. აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ აბიბოს ნეკრესელის უძველესი ხაეხაძის დღე განაწესეს „მეხუთესა ზატიკსა დღესა კვრიაკესა“. პატ. მეცნიერის მიერ დამოწმებული ციტატი — „და განაწესეს დღესასწაული ნეტარისა აბიბოსისი მეხუთესა ზატიკსა, დღესა კვრიაკესა“³⁵ — ათლად ზუსტი არ არის. „საქართველოს სამოთხე“-ში მოთავსებული აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების ვრცელ რედაქციაში, საიდანაც აკად. კ. კეკელიძე იღებს ამ ციტატას, ვკითხულობთ: „და განაწესეს დღესასწაული მის ნეტარისა მეხუთესა ზატიკსა, დღესა კვრიაკესა“³⁶. ზუსტად ასეა ეს ადგილი პროფ. ილ. აბულაძის მიერ გამოცემულ „ასურელ

³⁵ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერ. ისტორია, I, 1960, გვ. 121.

³⁶ „საქართველოს სამოთხე“, 1882, გვ. 216.

მოღვაწეა: ცხოვრების წიგნთა ძველ რედაქციებშიც³⁷. თითქოსდა შეცდომა უმნიშვნელოა, რადგან „მის“ შეცვლილია „აბიბოისით“. მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ აბიბოს დღესასწაულის დღის შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი. აბიბოს ცხოვრების ეს ადგილი შიო მღვინძველს ეხება, რაშიც ჩვენ დავრწმუნდებით, თუკი ამ „ცხოვრებიდან“ უფრო ვრცელ ამონაწერს მოვიტანთ:

„ხოლო ნეტარმან შიო მღვმესა მას შინა პოვა ზეცისა იგი მარგალიტი და მიიღო თავსა შინა თვისსა და დაამკვდრა, და ისწრაფდა მისლვასა მის წინაშე. რომელი-იგი მოიქუა მან, მიიყვანა ადგილსა მას. სადაცა სუროდა, და შეისვენა დიდითა განცხადებულე-ბითა. და შეკრბა მუნ სიმრავლე მონაზონთაჲ. მსგავსად ჩვეულები-სა დაჰმარხნეს კორცნი მისნი მას ადგილსა და განაწესეს დღესასწაული მის ნეტარისაჲ მეხუთესა ზატიკისა უღესა კვრიაკესა. და შემდგომად ამისა წმიდაჲ და კეთილად მოღვაწე ევაგრე ჩაჲდა მღვმესა მას, რათა არა დააცალიეროს ადგილი თვისისა მის მოძღუარისაჲ“³⁸...

ექვევარეშეა, რომ აქ ლაპარაკია შიოს დღესასწაულის დაწესებაზე და არა აბიბოსი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას. რომ აბიბოს ნეკრესელის ხსენება თავდაპირველად ასევე მოძრავი დღესასწაულის დღეზე მოდიოდა. პირიქით, ესაფუძვლო არ შეიძლება იყოს ვარაუდი. რომ, როგორც ასურელ მამათა ხსენების სვენთის ცნობილი თავდაპირველი დღეები (შიო მღვინძველი, დავათ გარეჯელი). აბიბოსაც თავიდანვე ხსენების ანალოგიური დღე ექნებოდა. მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მისი ხსენების მოგვიანო აღნიშვნამ (X ს.). სადაც ეს ხსენება 12 ნოემბერს არის აღნიშნული (მოგვიანო ხელნაწერებში 13 ნოემბერს).

ლიტურგიკულ და აგიოგრაფიულ კრებულებში აბიბოს ნეკრესელის ხსენება 12 და 13 ნოემბერს გვხვდება. ამათგან 12 ნოემბერი უფრო ძველი ვითარების მაჩვენებელია, რადგან ამ დღეს უჩვენებენ XI ს. ე. წ. „კლარჯელი“ სვინაქსარის აშიაზე ტექსტის ხელით გაკეთებულ მინაწერი და X საუკუნის ძველად მიჩნეული აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების ვრცელი რედაქციაც. 13 ნოემბერს ასახელებენ გვიანდელი ლიტურგიკული კრებულები. რომლებიც შეიცავენ აბიბოს ნეკრესელის ხსენებას და საგალობლებს სვინაქსარული ცხოვრების გარეშე³⁹, აგრეთვე აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების უძველესი. 1718 წ. სვინაქსარული ნუსხა. ძალაუფლებურად იბადება

³⁷ დასა. ნაშრომი, გვ. 196, 34.

³⁸ იქვე.

³⁹ A—35, 397—401.

კითხვა: ხომ არ არის 13 ნომბერი 12-ის შეცდომით ამოკითხვის შედეგი და შემდეგ გავრცელებული? მით უმეტეს, რომ ხუცურ დამწერლობაში ძალიან ადვილია ბ და გ-ს აღრევა მათი გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე. შესაძლებელია მიზეზი 12-ის და 13-ის შენაცვლებისა სხვა გარემოებით აიხსნას: XVIII საუკუნის I ნახევარში, როდესაც გადაწერილია თუ დაწერილია აბიბოს ნეკრესელის 13 ნომბერს ხსენების შემცველი ლიტურგიკული კრებულები, მოუხდენიათ უმეტეს ქართველ მოღვაწეთა ხსენების დღის გადასინჯვა და შეცვლა. გარკვეული მიზეზების გამო ხომ არ გადმოიტანეს შეგნებულად აბიბოს ნეკრესელის ხსენების დღე 12 ნომბერიდან 13 ნომბერს? ანტონ I კათალიკოსი აღნიშნავს, რომ ანტონამდე ქართული ეკლესია აბიბოსის ხსენებას 13 ნომბერს დღესასწაულობდა. ხოლო მას ხსენების დღე შეუცვლია (როგორც ჩანს. 29 ნომბერს გადაუტანია).

მიუხედავად იმისა, რომ აბიბოს ნეკრესელი ქართული ეკლესიის ისტორიაში პოპულარული პიროვნება ყოფილა, რასაც უბრაველეს ყოვლისა ადასტურებს მისი ცხოვრების ორი რედაქცია— ვრცელი, რომელიც X საუკუნის ძეგლად არის აღიარებული. და მოკლე, რომელიც ვრცელიდანაა გადმოკეთებული⁴⁰, ლიტურგიკული მასალა მის შესახებ დიდი სიძველითა და მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. საქმარისია აღინიშნოს, რომ აბიბოს ნეკრესელის სვინაქსარული ცხოვრება ჩვენ XVIII ს-მდე არ გვხვდება: მისი უძველესი ნუსხა მოთავსებულია 1718 წ. გადაწერილ A—425 სადღესასწაულოში. აბიბოსის სვინაქსარული ცხოვრების ასე ნაკვიანველად შექმნის მიზეზი უნდა იყოს მისი ცხოვრების შემოკლებული რედაქცია. იოვანე ზედაზნელის, შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის მოკლე ცხოვრებათა მსგავსად, აბიბოს ნეკრესელის მოკლე ცხოვრებასაც ლიტურგიკული დანიშნულება უნდა ჰქონოდა: ალბათ, იგი იკითხებოდა აბიბოს ნეკრესელის ხსენების დღეს. აბიბოსის სვინაქსარული ცხოვრების შედგენის ერთ-ერთი მიზეზი ქართველ წმინდანთა საგალობლებისა და სვინაქსარულ ცხოვრებათა შემცველი კრებულის შედგენასთან უნდა იყოს დაკავშირებული. საფიქრებელია, რომ კრებულში, რომელშიაც უმეტეს ქართველ მოღვაწეთა ხსენების დღეების ლიტურგიკული მასალა იყო თავმოყრილი, აბიბოსის მოკლე ცხოვრების ზომის თხზულების შეტანა მოუხებრებელი იყო. ამიტომ სპეციალურად უნდა შეედგინათ აღნიშ-

⁴⁰ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოცემა, 1955, გვ. XXXI, XXXII.

ნული სვინაქსარული ცხოვრების მცირე მოცულობის ტექსტი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აბიბოს ნეკრესელის სვინაქსარული ცხოვრების შედგენას უფრო წიგნური ხასიათი უნდა ჰქონდეს, ვიდრე პრაქტიკული. ამ ვარაუდის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს ის გარემოება, რომ აბიბოს ნეკრესელის სვინაქსარული ცხოვრების ნუსხები არ გავრცელებულა: ის მხოლოდ ორი ნუსხითაა ჩვენთვის ცნობილი (A—425, 1718 წ.; A—220, 1726 წ.).

აბიბოს ნეკრესელის სვინაქსარული ცხოვრების წყარო, რა თქმა უნდა, სრული ცხოვრების რედაქციებშია საძიებელი. მართლაც, ამ ძეგლთა ტექსტობრივი შედარება გვიჩვენებს რომ, მართალია, სვინაქსარული ცხოვრება სიახლოვეს იჩენს სრული ცხოვრების ორივე რედაქციასთან, მაგრამ ეს ვამოწვეულია მხოლოდ სრული ცხოვრების რედაქციების მკიდრო ურთიერთდამოკიდებულებით (მოკლე რედაქცია ვრცელის გამოკრება-შემოკლებას წარმოადგენს)⁴¹. სვინაქსარული ცხოვრების უშუალო წყარო აბიბოს ნეკრესელის ვრცელი რედაქცია ჩანს. ეს ფაქტი უეჭველი გახდება, თუკი ამ ძეგლთა შესაბამის ადგილებს ერთმანეთს შევედარებთ:

სვინაქ. ცხოვრება	ვრცელი ცხოვრება	მოკლე ცხოვრება
„ხოლო ესე ებიზკოპოზი მეგობარი იყო წმიდისა სვმეონ მესუეტისა ანტიოქელისა, არა არა თუ ხილვით ეხილვა სადაქმე ერთმანერთი. არამედ სულიერითა მით სიუუარულითა და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავება“.	„ხოლო ნეტარი იგი ებისკოპოსი აბიბოს მეგობარი იყო ბრწყინალისა მის მნათობისა სვმეონ მესუეტისა ანტიოქელისა. არა თუ ხილვით ერთმანერთი, არამედ სულიერითა მით სიუუარულითა, რომლითა იხედებინა შორიელი ვითარცა მახლობელი, და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავება“.	„ხოლო ნეტარი ესე ებისკოპოსი მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სვმეონ მესუეტისა ანტიოქელისა და ერთმანერთას, არამედ სულიერითა მით სიუუარულითა, რომელი გონებითა იხილვების შორიელი ვითარცა მახლობელი, და კუალად წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავება“.

(გვ. 190). ბაჲ (გვ. 190).

⁴¹ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. ა. ა. ულახის გამოცემა გამოქვეყნდებოდა, 1955, გვ. XXX.

მოტანილი ადგილები ნათლად გვიჩვენებს ამ ძეგლთა თითქმის სრულ იგივეობას, მაგრამ ხაზგასმული ფრაზის მიხედვით მაინც უეჭველი ხდება სვინაქსარული ცხოვრების ვრცელიდან წარმომავლობის ფაქტი. ეს ერთადერთი მაგალითი არ არის. სვინაქსარულ და ვრცელ ცხოვრებათა ასეთი შეხების წერტილები მრავლად მოიპოვება. ერთადერთ გამონაკლისს სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისის ერთი წინადადება წარმოადგენს, რომელიც საზოგადოდ ვაერცულენტული ტრადიციის ნაყოფია: „ესე (ე. ი. აბიბოს ნეკრესელი) იყო ააორმეტთა მამათაგანი, რომელნი მოიწივნენ ქუეყანით შუამდინარით ქვეყანასა ქართლისასა“. მიუხედავად იმისა, რომ აბიბოს ნეკრესელი სხვა ასურულ მამებთან ერთად იოვანე ზედაზნელის ერცელსა და მეტაფრასტულ, აგრეთვე შიო მღვიმელის მეტაფრასტულ ცხოვრებებში იხსენიება, რაც კიდევ უფრო მეტად ამტკიცებდა ტრადიციას ასურულ მამათა ქართლში ერთად მოსვლის შესახებ, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა საწინააღმდეგო აზრი. რომ ასურელი მამები ერთად არ მოსულან საქართველოში. ყოველ შემთხვევაში აბიბოს ნეკრესელის ვრცელი ცხოვრების ნუსხები სხვა ასურულ მამებს ახსენებენ, მაგრამ არა როგორც აბიბოსთან ერთად საქართველოში მოსულთ, არამედ, როგორც აბიბოსის თანამედროვეთ. აკად. კ. კეკელიძის აზრით, აბიბოს ნეკრესელი და ანტონ მარტომყოფელი ასურულ მამათა მთავარ ჯგუფთან ერთად არ უნდა იყვნენ ქართლს მოსული⁴². ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა იყოს საქმის ნამდვილი ვითარება, ცხადია, რომ სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისი წინადადება აღმოცენებულია ზოგადი ტრადიციის საფუძველზე და არა აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების სრული რედაქციების საფუძველზე. რადგან ამ ცხოვრებათა ტექსტებში აბიბოსის, როგორც იოვანე ზედაზნელის ერთი თორმეტთაგანი მოწაფის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი, იგი მხოლოდ მათ თანამედროვედ არის დასახელებული.

7. ანტონ მარტომყოფელი

ქართულ აგიოგრაფიაში განმტკიცებული ტრადიციის მიხედვით, იოვანე ზედაზნელის მოწაფეთა შორის იხსენიება ანტონ მარ-

⁴² კ. კეკელიძის გამოკვლევით აბიბოს ნეკრესელი ასურულ მამათაგან ყველაზე გვიან უნდა მოსულიყო ქართლს: ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, I. გვ. 38—40.

ტოყოფელის სახელიც, რომელსაც უკავშირდება მარტყოფის ეკლესიის დაარსება. ანტონი მოხსენებულია იოვანე ზედაზნელისა და შიო ზღვიმელის ვრცელი ცხოვრების რედაქციებში იოვანე ზედაზნელთან ერთად სირიიდან ქართლს ჰოსულ ასურელ მოღვაწეთა სიაში.

აგიოგრაფიულ მწერლობაში ანტონის შესახებ შექმნილი დამოუკიდებელი თხზულება XVIII საუკუნის მიწურულამდე არ გვხვდება, წინააღმდეგ კიპნოგრაფიული მასალისა, რომელიც უკვე გვაქვს არსენ ბულმაისიმისძის XIII ს. შრომაში (A—85—ფ. 278v—284v).

არსენის საგალობლები ძირითადად მიძღვნილია მარტყოფის ხელაუქმნელი ხატის ედესია ქალაქიდან ქართლს ჩამოტანისადმი, რომლის დღესასწაული 16 აგვისტოსაა დადებული.

ანტონის შესახებ შექმნილ პირველ აგიოგრაფიულ ძეგლად უნდა მივიჩნიოთ A—1582-ში მოთავსებული ანტონის სვინაქსარული ტიპის ცხოვრება, რომელიც XVII საუკუნის მიწურულთა და 1718 წ-ით განისაზღვრება. იგივე ცხოვრება, ამავე სახით, შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ იმ წესებში, რომელთაც ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის ხელი ეტყობათ. როგორც ცნობილია „სწავლულ კაცთა“ კომისიის მუშაობაც XVII ს. მიწურულთაა განსაზღვრული. ამდენად, იბადება კითხვა: ცხოვრება შედგენილია „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ და აქედან გაერცელდა ლიტურგიკულ კრებულებში თუ პირიქით, „კომისიამ“ ეს ცხოვრება სვინაქსარიდან ან სადღესასწაულოდან აიღო და „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანა?

არავითარი პირდაპირი მოწმობა, რომელიც რომელიმე მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტდა ამ საკითხს, ჩვენ არ მოგვეპოვება; ორივე ოპერაცია თითქმის ერთისა და იმავე დროისაა და ამდენად, ძნელდება ნაპვეილი ვითარების დადგენა.

აქედ. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ეს ცხოვრება „სწავლულ კაცთა“ კომისიის ნახელავია და კატეგორიულად აღნიშნავს: „ანტონის ცხოვრება, შედგენილია მეფის ვახტანგ მეექვსის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ, რომელთაც ამ მოღვაწეთა ბიოგრაფია „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანეს“⁴³. როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს პატ. მეცნიერი სრული დამარწმუნებლობით აღნიშნავს ამ ფაქტს, თუმცა არ ჩანს, თუ რა საბუთებს ეყრდნობა იგი.

⁴³ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. წარმ. ლიტ. ისტორიიდან, I, გვ. 20.

თვალს თუ გადავავლებთ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილ დამატებებს, რომლებიც „ნასწავლ კაცთა“ კომისიას ეკუთვნის, შევამჩნევთ, რომ ყველა ჩანართს მოეპოება თავისი წყარო, რომლისგანაც, ან რომლის მიხედვით შედგენილია ესა თუ ის ჩანაშატი. ეგვიპტეის ასურელ მამათა ცხოვრებათა შესახებაც. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართებში შეტანილია იოვანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის, ისე წილკნელის მოკლე პერიფრაზული ცხოვრებანი და ანტონ მარტომყოფელის აღნიშნული ცხოვრება. როგორც ვიცით, აქ დასახელებულ პირთაგან ვრცელი ცხოვრება მოეპოვებოდა იოვანე ზედაზნელს. შიოსა და დავით გარეჯელს, ხოლო ცნობები ისეთ შესახებ ამოღებულია შიო მღვიმელის ცხოვრებიდან. ამ პირთაგან არ იყო ცნობილი მხოლოდ ანტონის ცხოვრება. ალბათ, ამ გარემოებამ გამოიწვია კ. კეკელიძის ზემოაღნიშნული ვარაუდი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ცხოვრებაც „კომისიას“ რომელიღაც კრებულიდან უნდა აეღო, თანაც სრული სახით. მართლაც, ამჟამად სახითა და მოცულობით ანტონის ცხოვრება დადასტურებულია ათიოდე ლიტურგიკულ კრებულში. სხვა ცხოვრებათა გადამუშავება გამოწვეული იყო მათი დიდი მოცულობით, რასაც კარგად ადასტურებს ვახტანგ მეფის ანდერძი პეტრე იბერიელის ცხოვრების შესახებ: „წმიდაო პეტრე, მეოხ ეყავნ წინაშე ღმრთისა ბატონი შვილს ვახტანგს მყოფლით, ძითა და ასულითურთ. რომელმან მოპოვნებულ ყო ცხოვრება ესე შენი და მცირე დიდ აღაწერინა წიგნსა ამას შინა, არამედ სრულიად არა აღიწერებოდა სიდიდითა“ (H— 2080, A— 131). სხვა მდგომარეობა გვაქვს ანტონ მარტომყოფელთან დაკავშირებით. ეს ცხოვრება არ არის ზემოაღნიშნულ ჩანართთა მსგავსად შედგენილი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას არ გააჩნდა წყარო ანტონის ვრცელი ცხოვრების სახით. მეორეც, ენობრივად და სტრუქტურულად იგი განსხვავდება ასურელ მამათა ცხოვრების სხვა ჩანართებისაგან. ამასთანავე, ასურელ მამათა ცხოვრების ჩანართთა შესავლის მიხედვით, ანტონი იოვანესთან ერთად უნდა მოსულიყო ქართლს, ხოლო ანტონის სენაქსარული ცხოვრების მიხედვით კი მარტო, იოვანეს მოსვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ: „... ანტონი იძია მოქალაქისა თვისისა გზა და ისწავა... და ცნა, რამეთუ წარვიდა სომხითს. ჩრდილოეთით კერძო სხუათა თანა მოწაფეთა“ (A— 425, 632v). ანტონის სენაქსარული ცხოვრების მიხედვით, დედო იოვანესა და დავითს თან მოყვა სირიიდან, ხოლო ასურელ მამათა

თა ცხოვრებანი მას კახეთის მკვიდრად წარმოგვიდგენენ, როგორც შემდეგ შეუერთდა დავითის დაარსებულ გარეჯის უღბნოს.

ასეთი დაპირისპირებანი ჩვენ ვაჩვენებთ იმისათვის, რომ გვეთქვა: „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ ასურელ მამათა ცხოვრებებიდან გადმოკეთებულ შემოკლებულ ჩანართებში დაცულია ტრადიციული ცნობები, რომ ანტონი იოვანეს ერთ-ერთი, მასთან ერთად ქართლს მოსული მოწაფეა. დოდო კი — დავითის მიერ გარეჯაში შებენილი. ანტონის ამ მოკლე ცხოვრებაში კი სრულიად საწინააღმდეგო ცნობებია დაცული. ამდენად, ჩვენ გვეკვება ანტონის ცხოვრება „სწავლულ კაცთა“ კომისიას შეედგინოს. ჩვენი აზრით, ეს ცხოვრება რომელიც სვინაქსარიდან, ან სადღესასწაულოდან არის აღებული მთლიანად. რადგან იგი მოცულობით დიდი არ იყო, მას გადაკეთება აღარ დასჭირვებია.

აღსანიშნავია, რომ ანტონის სვინაქსარული ცხოვრება დასტურდება A—1582 ხელნაწერში, რომელიც აღწერილობით XVII—XVIII სს. თარიღდება. ამ ხელნაწერის უფრო ზუსტი თარიღის დადგენა ბევრად დაგვეზარებოდა ზემოთ წამოჭრილი საკითხის გადასაწყვეტად. თუ ამ ხელნაწერის გადაწერა წინ უსწრებს „სწავლულ კაცთა“ კომისიის საქმიანობას, მაშინ საკითხიც გარკვეული იქნება: ანტონის სვინაქსარული ცხოვრება ხსენებულ „კომისიას“ მზამზარეული სახით მოუპოვებია და „ქართლის ცხოვრებაში“ შეუტანია.

აღნიშნული ხელნაწერის მომგებლის ანდერძი ამ ვარაუდის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს. „ბრძანებითა და შეწყენითა ღმრთისათა ჩვენ გენათელ მიტროპოლიტმან გედეონ დავაწერინე ესე წმიდაჲ და სულთა განმანათლებელი მარხვანი ერისთვის შოშიტას სადღეგრძელოდ“ (A—1582, 795r). ანდერძის მიხედვით, ორივე მოხსენებული პირი ცოცხალია; აქედან გულანის გადაწერის მომენტში შოშიტა ერისთავია (რაქის). ხოლო მისი ძმა (რაც მეორე ანდერძიდან ჩანს) გედეონი, ან გედევანი — გელათის მიტროპოლიტი.

ხელნაწერის გადაწერის თარიღის თუნდაც მიახლოებები დადგენისათვის უნდა გავარკვიოთ ამ პირთა მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩოები.

ისტორიულ დოკუმენტებში გედეონ მიტროპოლიტის უძველესი მოხსენიება 1664 წ. გვხვდება. ცენტრ. არქივის 1448/1534 საბუთი დედანია და ზუსტი თარიღიც აქვს ქნკ ტ^ნგ (1664 წ.). აქ გედეონი გენათელ ნიკორწმინდელის ტიტულით იხსენიება. 1655

წლის საბუთი Hd—9546, ზემოთ დამოწმებული ანდერძის მსგავსად, შოშიტა ერისთავსა და გედევან გენათელს ერთად ახსენებს. გედეონი მოხსენებულია აგრეთვე 1666 წლის დოკუმენტში Hd—2246, ხოლო შოშიტა ერისთავი 1680 წ. Hd—2001-ში. ამ ორი პირის ერთდროული მოღვაწეობა დოკუმენტების ჩვენებით 1664—1673 წლებით უნდა შემოიფარგლოს⁴⁴, რადგანაც 1673 წ. გენათელად იხსენიება ნემსაძე დავით გენათელი (Hd—9388), 1691 წ. გენათელი მარკოზი (Hd—7883) და ა. შ. აქედან ნათელია, რომ A—1582 გულანის ანდერძი, რომელიც გედეონ გენათელს ეკუთვნის, 1664—73 წლებზე გვიან ვერ დაიწერებოდა.

ამრიგად, ანტონ მარტომყოფელის სვინაქსარული ცხოვრების ნუსხა, რომელიც ამ გულანშია შეტანილი, აღნიშნულ წლებზე გვიან ვერ დაიწერებოდა და ამდენად, „სწავლულ კაცთა“ კომისიის ნახელავად ვერ მივიჩნევთ, რადგან მათი საქმიანობა გაცილებით გვიან დაიწყო. ამრიგად, „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ანტონის სვინაქსარული ცხოვრება მზაშარეული სახითაა მასში შეტანილი ლიტურგიული კრებულიდან.

ანტონ მარტომყოფელის სვინაქსარული ცხოვრება ვრცელი და მოკლე რედაქციებითაა ცნობილი. ვრცელი რედაქცია გარდა „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ნუსხისა, შესულია რამდენიმე ლიტურგიკულ კრებულში. ამთგან, ჩვენი აზრით, უძველესია A—1582 (XVII ს. II ნახევარი). აღსანიშნავია მისი შემცველი შემდეგი კრებულებიც: A—425 (1718 წ.), S—3269 (1720-იანი წლ.), A—220 (1726 წ.). დანარჩენი ნუსხები გვიანდელია (A—643, H—2735, S—449 — ყველა XIX ს., ხოლო ც. არქ. 459—XVIII ს. ხელნაწერი სანახევროდ ნაკლულია).

მოკლე რედაქცია მხოლოდ ერთადერთი H—1672 (1740 წ.) ხელნაწერის ნუსხითაა ცნობილი. ძირითადი განსხვავება ამ ორ რედაქციას შორის გამოწვეულია შესავლით: ვრცელი ვარიანტი შეიცავს იესო ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის სასწაულებრივ გამოსახვას, მის მიერ ჩადენილ საკვირველებათა აღწერას, ხატის პირის ანტონის მიერ ედესია ქალაქიდან გამოტაცებას და აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოტანის საკმაო ვრცელ აღწერას. მოკლე ვარიანტში ვრცელი სვინაქსარული ცხოვრების შესავალში აღწერილი ამბები

⁴⁴ ნაშრომში „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურიის სამთავროებისა“ შ. ბ. უ. რ. ქ. ა. ნ. ა. ძ. ე. Hd—6788 საბუთს, რომელიც მოხსენებულია გედევან და შოშიტა, როგორც ძმები, XVIII ს. I მესამედით ათარილებს, რაც საფუძვლიან ექვს იწვევს.

ორიოდე წინადადებით არის გადმოცემული და ისიც მხოლოდ... ტის ედესიიდან გამოტაცებას და ჩვენში ჩამოტანას შეეხება. რაც აღნიშნულია არა სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისში, როგორც ეს ვრცელ რედაქციაშია, არამედ სვინაქსარული ცხოვრების შუა ნაწილში. ორივე რედაქციაში ანტონის ცხოვრების ეპიზოდები თითქმის მთელი სიზუსტითაა განმეორებული, ფრაზეოლოგიური სხვაობაც კი უმნიშვნელოა. ეჭვი არ არის, რომ ანტონ მარტომყოფელის სვინაქსარული ცხოვრების მოკლე ვარიანტი ვრცელი სვინაქსარული ცხოვრების თითქმის მექანიკური შემოკლებაა. განსხვავებულია მხოლოდ დეტალები: ვრცელი ვარიანტით: „ანტონი იძია მოძღურისა ძვისისა (ე. ი. იოვანე ზედაზნელის) გზა და ისწავა ქეშპარტი და ცნა, რამეთუ წარვიდა სომხითს ჩრდილოეთით კერძო სხუათა თანა მოწაფეთა... ესე ცნა... და უწყებითა ზეციერთა... მოიწია მტკუარს ზედა“. მოკლე ვარიანტით კა: „ოდეს იგი ...იოვანე მოიწია... ქუეყანასა ჩუენსა მოწაფეებითურთ თვისით, განთესა თითოეული მათგანნი ქუეყანასა ამას. ხოლო წმიდაა ანტონი დაეპყდრა კაცთაგან უვალსა... ადგილსა, რომელსა ეწოდების მარტყოფი“. ნათლად ჩანს, რომ ვრცელი სვინაქსარული ცხოვრებით ანტონი იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ჩამოსვლის შემდეგ მოსულა ქართლს მარტო, ხოლო მოკლით — იოვანესთან ერთად.

მეორე, მოკლე სვინაქსარული ცხოვრება ბოლოს, ანტონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ასეთ სასწაულს მოგვითხრობს: „შემდგომად მრავალთა ჟამთა სიბერითა კეთილითა სრულ ქმნილი უფლისა მიიცვალა და დასდვა სასწაული, რამთა არა რომელიმე დედალთაგანი შევიდეს მას შინა, სადა მდებარე არს გუამი მისი. ვერცა მფრინველნი დაბუდებად მას შინა, რომელი ესე იხილვების ვიდრე დღეინდელად დღემდე“. მსგავსი რამ ვრცელი სვინაქსარული ცხოვრების ტექსტში არ არის. ნათლად ჩანს, რომ ეს ცნობა სვინაქსარული ცხოვრების მოკლე რედაქციას აბიბოს ნეკრესელის ვრცელი ცხოვრების ბოლო ნაწილიდან აუღია. სადაც მოკლედ დახასიათებულია იოვანე ზედაზნელის მოწაფეთა საქმიანობა. აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების შემდეგი სიტყვები: „ხოლო ერთმან ზენა-სოფელსა აღაშენა მონასტერი და დადვა სასწაული ესე, რამთა არარა დედალთაგანი შევიდეს მას შინა, რომელმან მფრინველნი ცისანი და ქუეწარმავალნი ენასა თვისსა დაამორჩილნა, ვერ იკადრებდეს დაბუდებად მას შინა, რომელსა-ესე თუალნი ჩუენნი ზედვიდეს დღეს“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, 1964, გვ. 247), ანტონ მარ-

ტომყოველს უნდა გულისხმობდეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელი ნახსენები არ არის. ამრიგად, ანტონ მარტომყოფელის სვინაქსარული ცხოვრების მოკლე რედაქციას თავისი ძირითადი წყაროს — ვრცელი სვინაქსარული ცხოვრების მასალისათვის დაუმატებია ის, რაც ანტონის შესახებ ცნობილი იყო აბიბოს ნეკრესელის ცხოვრების მიხედვით.

ანტონ მარტომყოფელის სვინაქსარული ცხოვრების ძირითადი, ვრცელი რედაქცია, როგორც ვთქვით, მხოლოდ XVII ს. II ნახევრიდან ჩანს, მიუხედავად ამ პიროვნების ძველთაგანვე პოპულარობისა. რაც კარგად იგრძნობა აბიბოს ნეკრესელის ვრცელი ცხოვრების ზემოთ დამოწმებული ადგილიდან და არსენ ბულმაისიმის ძის XIII ს. ნარტყოფის ხატისადმი მიძღვნილი საგალობელთა ციკლის მიხედვით.

ანტონის სვინაქსარული ცხოვრების ვრცელი შესავალი ბევრ საერთოს პოულობს არსენ ბულმაისიმის ძის საგალობლებთან, როგორც ფაქტობრივი, ისევე ფრაზეოლოგიური თვალსაზრისით. რაც სვინაქსარული ცხოვრების მიერ საგალობლებით სარგებლობის მიზეზი უნდა იყოს. სვინაქსარულ ცხოვრებას უსარგებლია აგრეთვე დავით გარეჯელის ცხოვრების ერთი ეპიზოდით: ანტონის სვინაქსარულ ცხოვრებაში ირემთა მოვლინების, მათი რძით ანტონის გამოკვებისა და ნუკრის დაკოდვის ეპიზოდი თითქმის მთლიანად ნახესხებია დავითის ცხოვრებიდან, ოღონდ მცირეოდენი გადაკეთებით.

ორიოდე სიტყვით განვიხილავთ წყაროებში დადასტურებულ ცნობებს ანტონის დღესასწაულის დაწესების შესახებ. პირველი ცნობა ანტონ მარტომყოფელის დღესასწაულის ანტონ მეგვპტელთან (17/1) ერთად აღნიშვნის შესახებ შემოგვინახა არსენ ბულმაისიმის ძის საგალობლებმა. A—85 ხელნაწერში ანტონის საგალობლების შემდეგ მოთავსებული ცნობა გვამცნობს: „ხოლო ვინაითგან ღირსისა ანტონის მიცვალებიდა ათჴუმეტსავე იანვარსა იქნა დღესა დღისა ანტონი მეგვპტელისასა, ამისთვის მაშინცა ვკალობთ და ვიტყვით“... (A—85, 284v—285r). ამრიგად, XIII საუკუნეში ყოველგვარი ეკვის გარეშე ანტონის ხსენება 17 იანვარს დასტურდება. მეორე მხრით, ანტონ I კათალიკოსის ცნობით, 17/1-ს ანტონის ხსენების დღის დაწესება მხოლოდ XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში მომხდარა: „ახალი იყო განწესება დღესა იჴ იანვარსა თთვასა ანტონი მარტომყოფელისა, ვითარმედ ნიკოლას ჩერქეზმან და გიორგი ხუცეს-მონაზონმან დოდორქელმან განაწესეს დღე-

სა მას ი"ზ იანუარსა" 48 (A—386, 399). ან ანტონის ცნობის სისწორე უნდა უარყოფთ, ან კიდევ აქ ლაპარაკია ამ დღესასწაულის ხელმეორედ აღდგენაზე, რომელიც რატომღაც დავიწყებული უნდა ყოფილიყო.

უპეტესი წილი ლიტურგიული კრებულებისა, რომელიც შეიცავს ანტონის სვინაქსარულ ცხოვრებას, ან მხოლოდ ხსენებას, 17 იანვრის ნაცვლად უთითებს 19 იანვარს. ამ დღესაა შეტანილი ანტონის სვინაქსარული ცხოვრების, ჩვენი აზრით, უძველესი ნუსხა A—1582 გულანში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ანტონის ხსენების დღის გადატანა 17 იანვრიდან 19 იანვარზე XVII ს. მეორე ნახევარზე გვიან არ არის მოსალოდნელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვრცელი რედაქციის სვინაქსარული ცხოვრების ნუსხებისაგან განსხვავებით, პოკლე ვარიანტის ერთადერთი არსებული, ვრცელთან შედარებით გაცილებით გვიანდელი (1740 წ.) ნუსხა ტრადიციით ანტონის ხსენების უძველეს დღეს — 17 იანვარს გვიჩვენებს.

ანტონ მარტომყოფელის სვინაქსარული ცხოვრების 1718 წ. ნუსხა A—425-ში შეტანილია 16 აგვისტოს დღეს, რაც ადვილი ასახსნელია: ამ დღეს მარტყოფის ხელთუქმნელი ხატია დღესასწაულია. ხოლო ამ ხატის მარტყოფს ჩამოტანა კი ანტონის სახელთანაა დაკავშირებული. მთლად ნათელი არ არის ის, რომ ანტონის სვინაქსარული ცხოვრება თავდაპირველად სვინაქსარულ კრებულებში შევიდა 17 და 19 იანვრის დღეს, თუ 16 მარტს, რადგან ამ დღეთაგან მარტყოფის ხატის დღესასწაულს უფრო დიდი ტრადიცია აქვს (XIII ს. არსენის საგალობლები), ვიდრე ანტონის ხსენების დღეს (XVII ს.). ამიტომ გვგონია, რომ ანტონის სვინაქსარული ცხოვრება, რომლის ნახევარი ხატის ამბებს უჭირავს, პირველად სწორედ 16 აგვისტოს დღის განგებაში გაჩნდა, ხოლო შემდეგ გადაიტანეს იგი ანტონის გარდაცვალების (17/1) დღეს, ხოლო უფრო გვიან — 19 იანვარს.

8. ისე წილკნელი

ისე წილკნელი იმ თორმეტ ასურელ მოღვაწეთაგანია, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოში იოვანე ზედაზნელთან ერთად VI ს. მოსულან და საფუძველი ჩაუყრიათ სამონასტრო ცხოვრები-

⁴⁸ ანტონის ხსენება 17 იანვრიდან რომ 19 იანვარს გადაუტანიათ, ამას აღნიშნავს ანტონ კათალიკოსი (A—386, 397—401 თ.).

15. აგიოგრაფიული ძეგლები

სათვის. ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში მხოლოდ რაქდენიმე მათგანის ღვაწლი აისახა (იოვანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი), ისიც შედარებით გვიან (X ს.). საფიქრებელია, რომ ზოგი რამ ამ მოღვაწეთა შესახებ უფრო ადრინდელ ძეგლებში უნდა ყოფილიყო.

ისე წილკნელის შესახებ XVIII ს-მდე დამოუკიდებელი თხზულება არ დაწერილა, ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე არ შემონახულა. ასევე, XVIII საუკუნემდე ლიტურგიკულმა კრებულებმა მისი ხსენების დღის აღნიშვნა არ იცის. ცოტაოდენი რამ, რაც ჩვენთვის ამ მოღვაწის ირგვლივ ცნობილია, შიო მღვიმელის მოკლე და მეტაფრასტულმა ცხოვრებებმა შემოგვინახეს. სწორედ შიო მღვიმელის ცხოვრების ამ რედაქციებში დაცული ცნობები გამხდარა საფუძველი XVIII ს. შექმნილი ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრებისათვის. ამ ძეგლის ოთხი ნუსხაა ცნობილი (H—2077, 1736 წ.; ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთ. იოვანე ბატონიშვილის კოლექციის — 222, XVIII ს.; ლენინგრადის აზიისა და აფრიკის ხალხთა ინსტიტუტის M—49, 1840 წ. და M—21, 1842 წ.). იმავე ცნობების საფუძველზეა შექმნილი: ისე წილკნელის ცხოვრების ვრცელი რედაქცია, დაწერილი ბესარიონ ორბელიშვილის მიერ 1713—24 წწ., მოკლე ცნობა ისე წილკნელის შესახებ მოთავსებული 1726 წლის სვინაქსარულ კრებულში (A—220) დავით გარეჯელის გვიანდელი სვინაქსარული ცხოვრების ტექსტის ბოლოს და ისე ქსნის ერისთავის მიერ XVIII ს. I ნახევარში დაწერილი საგალობლები.

როგორც ვხედავთ, წინა საუკუნეებში ისე წილკნელის შესახებ არსებული ძუნწი ცნობების საპირისპიროდ XVIII ს-ში ეს საკითხი საკმაო ინტენსივობით დაუმუშავებიათ. ამის მიზეზი ისევე გარეჯის სალიტერატურო სკოლის მიერ წამოწყებულ ლიტერატურულ საქმიანობაში უნდა ვეძიოთ; აქ XVIII ს. დასაწყისიდან შეუდგნენ ნაციონალურ მოღვაწეთა შესახებ შექმნილ აგიოგრაფიულ და ლიტურგიკულ თხზულებათა თავმოყრას გარკვეულ კრებულებში, ხოლო თუკი ზოგიერთი მოღვაწის შესახებ ასეთი თხზულება აღარ მოიპოვებოდა, ან საერთოდ არ იყო შექმნილი, ეს ხარვეზი სახელდახელოდ ივსებოდა ახალი თხზულებების შექმნით.

როგორც ჩანს, ისე წილკნელის ვრცელი და სვინაქსარული ცხოვრების რედაქციები ძითქმის დროის ერთსა და იმავე მონაკვეთშია შექმნილი. თავისთავად ისმის კითხვა: რა ურთიერთმიმართებაშია ერთმანეთთან ეს ორი ძეგლი? რომელი უფრო ადრეა დაწერილი და რა წყაროებით სარგებლობდა თითოეული მათგანი?

სანამ ამ საკითხების გარკვევას შევეუდგებოდეთ, საჭიროა შეძლებისდაგვარად პასუხი გავცეთ კითხვას: მაინც რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ისე წილკნელის სვინაქსარული და ვრცელი ცხოვრების რედაქციები ერთი და იმავე დროის ლიტერატურული პროდუქტიაა, მით უმეტეს, რომ უძველესი ნუსხა სვინაქსარული ცხოვრებისა 1736 წ. H—2077 ხელნაწერშია მოთავსებული⁴⁶, ხოლო ვრცელი ცხოვრების ერთადერთი ნუსხა 1720-იანი წლების S—3269 ხელნაწერში? საქმე ისაა, რომ S—3269 ხელნაწერი გარდა ხსენებული ვრცელი ცხოვრების ნუსხისა, შეიცავს ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისის რამდენიმე წინადადებას, ხოლო შემდეგ ხელნაწერის მთელი გვერდი დაუწერლად არის დატოვებული. სვინაქსარული ცხოვრების ამ ფრაგმენტის ზუსტი დამთხვევა ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების ცნობილი ტექსტის დასაწყისთან უეჭველს ხდის ამ ხელნაწერის გადაწერის მოქმენტში ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების არსებობას, რომლის მთლიანი ტექსტის შეტანისათვის აღნიშნულ ხელნაწერში რაღაც გარემოებას შეუშლია ხელი. უფრო მეტიც, საფიქრებელია, რომ ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების შექმნა წინ უსწრებს ბესარიონ ორბელიშვილის თხზულების შექმნას, რომლის ავტორაფული ნუსხა მოთავსებულია აღნიშნულ ხელნაწერში. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: ანტონ კათალიკოსი თავის ნაშრომში „ყოველთა ეკლესიათა ზემოხსა და ქუშმოხსა საქართუშლოსათა და სამეგრულოსათა“ აღნიშნაის, რომ ისე წილკნელის ხსენება, რომელიც თავიდანვე 18 აგვისტოს იყო დადებული „ჩემსავე ყოფასა საქართუშლოს შინა, იყო რომელიმე მიზეზი, ვითარმედ შეჰსცუალეს, და დეკემბრისა თთვსა ბ^ე დააწესეს იგი. და მეცა სისთვსვე დღესა ბ^ე დეკემბრისასა ჟერ-ვიჩინე დღესასწაულობად“ (A—386, 399v). ანტონის სიტყვებიდან ზუსტად არ ჩანს, როდის მოხდა ისე წილკნელის ხსენების დღის გადაადგილება. აკად. ვ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ „ჩვენის აზრით, ეს „რომელიმე მიზეზი“ იყო შემდეგი: მეთვრამეტე საუკუნემდის დეკემბრის 2 საქართველოს ეკლესია დღესასწაულობდა პეტრე მაიუმელის ხსენებას; მეთვრამეტე საუკუნის პირველს წლებში ის გამორიცხეს წმიდათა ხარისხიდან, როგორც მონოფიზიტი, და 2 დეკემბერს, ეს გარემოება რომ ხალხს მაინცა და მაინც თვალებში არ მოხვედროდა, გადმოიტანეს

⁴⁶ ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის იოვ. ბატონიშვილის კოლექციის № 222 ხელნაწ. ადგილობრივი კატალოგით XVII ს. არის დათარიღებული, რაც სწორი არ არის. ხელნაწერი XVIII ს. I ნახევარზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

ისე წილკნელის ხსენება 18 აგვისტოდან⁴⁷. როგორც ვხედავთ, კ. კეკელიძე იმე წილკნელის ხსენების დღედ 2 დეკემბრის განწესებას XVIII ს. პირველსავე წლებში ვარაუდობს⁴⁸. მეორე მხრით, ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების ყველა ნუსხა მისი ხსენების დღედ 18 აგვისტოს ასახელებს (M—49, 1840 წ. ხელნაწერში მიმატებულია: „ამისი ხსენება აღესრულების აგვისტოს ი¹⁸ და დეკემბრის ბ²). ეს ფაქტი კი იმ გარემოებას ადასტურებს, რომ ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების შექმნის მომენტში მისი ხსენების დღედ 18 აგვისტო იყო დაწესებული. ე. ი. სვინაქსარული ცხოვრების შექმნაც ზემოაღნიშნულის საფუძველზე XVIII ს. პირველ წლებზე, თუნდაც პირველ მეოთხედზე გვიან მოულოდნელია, წინააღმდეგ შემთხვევაში სვინაქსარული ცხოვრების ნუსხებიც 2 დეკემბერს გვიჩვენებდნენ, როგორც ეს გვაქვს ორიოდ გვიანდელ სადღესასწაულოში (Q—1053, 80r, 1760 წ., H—3044. 17r, 1789 წ.), სადაც ისე წილკნელის ხსენებას ერთი საგალობლები, სვინაქსარული ცხოვრების გარეშე. მაშინ როგორღა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების გვიანდელი ნუსხები (M—21, M 49, XIX ს.) და თუნდაც 1736 წ. გადაწერილი H—2077 ხელნაწერში მოთავსებული ნუსხა ხსენების დღედ 18 აგვისტოს აღნიშნავენ და არა 2 დეკემბერს? ამ ხელნაწერების გადაწერის მომენტში ისე წილკნელის ხსენება უკვე ხომ 2 დეკემბერს იყო გადმოტანილი? ეს გარემოება მარტივი ასახსნელია: გადაწერმა უცვლელად გადმოიწერა სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი ისეთი დედნიდან, რომელიც ისე წილკნელის ხსენების ძველ ვითარებას აღნიშნავდა. ამრიგად, ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრება, ჩვენი ვარაუდით, შეიქმნა XVIII ს. I მეოთხედში.

ამ ქრონოლოგიური ჩარჩოების კიდევ უფრო დაიწროება შეიძლება: ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების შექმნა 1718 წ-ზე უფრო ადრე საეკვო ჩანს, რადგან ის არ არის შეტანილი 1718 წლის ცნობილ A—425 სადღესასწაულოში. ეს ფაქტი მით უფრო სარწმუნოა, რომ როგორც A—425 სადღესასწაულო კრებულის შედგენა, ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების შექმნაც ერთსა და იმავე კულტურის კერას — დავით გარეჯის სალიტერატურო სკოლას უკავშირდება. თუკი ამ სადღესასწაულოს შედგენის მო-

⁴⁷ კ. კეკელიძე. ანტონ კათალიკოსის სალიტურული მოღვაწეობიდან, 1914. გვ. 10 (სქოლიო).

⁴⁸ მოგვიანებით პეტრე იბერიელის ხსენების კალენდრიდან ამოღებას კ. კეკელიძე 1720—22 წწ. ღებს (ეტიუდები, IV, 1957, გვ. 242, სქოლიო 1).

მენტში ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრება არსებობდა, ეს ფაქტი A—425-ის შემდგენელს მხედველობიდან არ გამოორჩებოდა მეორე მხრით სვინაქსარული ცხოვრების შექმნა არ უნდა სცილდებოდა 1724 წ. საზღვარს, რადგან ის, როგორც აღვნიშნეთ, ბესარიონ ორბელიშვილის მიერ შექმნილ ისე წილკნელის ვრცელ ცხოვრებაზე ადრინდელი ჩანს. თავის მხრით, ბესარიონს შრომა კათალიკოსად კურთხევაზე (1724 წლამდე) დაუწერია. ამრიგად, ჩვენი აზრით, ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრება 1718—1724 წწ ფარგლებში უნდა შექმნილიყო.

უძველესი ცნობები ისე წილკნელის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შიო მღვიმელის შემოკლებულ ცხოვრებას დაუცავს შიო მღვიმელის მეტაფრასტულ ცხოვრებას, რომელიც შემოკლებული ცხოვრების ნიადაგზეა აღმოცენებული, ეს ცნობები ალაგ-ალაგ განუვრცია და ფრაზეოლოგიურად ოდნავ გადაუმუშავებია ისე, რომ ფაქტიური მასალისათვის ხელი არ უხლია. ბუნებრივია, რომ ეს ორი ძეგლი ერთმანეთთან დიდ სიახლოვეს იჩენს არა მარტო ისე წილკნელის ცხოვრების ზოგიერთი დეტალის გადმოცემაში, არამედ ფრაზეოლოგიურადაც. შიო მღვიმელის შემოკლებულ და მეტაფრასტულ ცხოვრებებში ისე წილკნელის შესახებ დაცული ცნობების აქ მოტანა იმიტომ დაგვკვირდა, რომ ისე წილკნელის სვინაქსარულ და ვრცელ ცხოვრებათა წყარო სწორედ ზემოაღნიშნულ თხზულებებში უნდა დაიძებნოს.

ბესარიონის თხზულებისა და სვინაქსარული ცხოვრების ტექსტობრივმა შედარებამ გვიჩვენა, რომ ეს ორი თხზულება ერთმანეთზე არაფრით არ არის დამოკიდებული. ნათლად ჩანს, რომ მათ სხვადასხვა წყაროებია უსარგებლიათ: სვინაქსარულ ცხოვრებას შიო მღვიმელის შემოკლებული ცხოვრებით, ხოლო ბესარიონს — შიო მღვიმელის მეტაფრასტული ცხოვრებით. ამ კვლევებებში ექვის შეტანა შეუძლებელია. თუკი ეს ორი ძეგლი ერთმანეთთან გარკვეულ სიახლოვეს იჩენს ზოგადი და კერძო დეტალების გადმოცემაში, ეს მხოლოდ მათი წყაროების ერთიერთდამოკიდებულებით აიხსნება. ჩვენ აქ არ შევუდგებით ბესარიონ ორბელიშვილის თხზულების განხილვას და მისი წყაროების შესახებ დაწვრილებით მსჯელობას. რადგან ეს სცილდება ჩვენი შრომის ფარგლებს⁴⁹, ხო-

⁴⁹ მსგავსი სურათი გვეჩვენა ლუარსაბ მეფის სვინაქსარული ცხოვრებისა და ბესარიონ ორბელიშვილის ლუარსაბ მეფის წამების ურთიერთმიმართების დროსაც. მიუხედავად სვინაქსარული ცხოვრების ადრინდელობისა, ბესარიონ თავისი ნაშრომის წერისას არ უნდა ესარგებლა სვინაქსარული ცხოვრებით, მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა მისი არსებობა.

ლო სვინაქსარული ცხოვრების შესახებ მოკლედ აღვნიშნავთ ზოგიერთ რამეს.

ისე წილენელის სვინაქსარული ცხოვრება ყოველგვარი ექვის გარეშე შიო მღვიმელის შემოკლებული ცხოვრებიდან ისეს შესახებ დაცული ცნობების საფუძველზეა შედგენილი. ამის ნათელსაყოფად ორიოდ მაგალითიც საკმარისია:

სვინაქსარული ცხოვრება

შიოს შემოკლებული ცხოვრება

თუესა ავკსტოსა ი^მ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ისე წილენელისა, რომელი-იგი იყო ერთი ათორმეტთაგანი ნეტართა მათ მამათა, რომლისა სახელი ფრიად განთქმულ იყო უბიწოებით და სათნოებასა სრულუბისასა მიწეენილი, ნერგი სამოთხისა ყუავილი ფერშუენიერი სურნელი (ლენინგრ. საჯ. № 222, 503v).

ხოლო ჭერ-არს, რაჟთა მოვიქსენოთ ერთი მოწაფეთაგანი წმიდისა იოვანესთაჲ, სახელით ისე, განთქმული ყოველთავე სათნოებითა, ნერგი იგი სამოთხისაჲ, ყუავილი შუენიერი და ყოვლისა კეთილისა ძირი (ასურ. მოლენწ... გვ. 87, 11).

შიოს პეტაფრასულ ცხოვრებაში შესაბამისი ადგილი სრულებით არ მოიპოვება. კიდევ უფრო სარწმუნოა მეორე მაგალითის ჩვენება:

სვინაქ. ცხოვრება

შიოს შემოკლ. ცხოვრება

შიოს პეტაფრას. ცხოვრება

...მოითხოქქა ბერმან მოითხოვა წმიდამან ხოლო წმიდამან მოითვნიერ ჩუელებისა იოვანე თვნიერ თხოვა ღვინოჲ გასასმელი და მოჩუეულებისა სასარეშე ჩუეულებისა. ართვა მას ელია დიაუმელი. და მოდა ვითარცა მოართვა კონმან. აღავსო ჭიართუა მას ელია მას ელია დიაკონმან ქა და მისცა ბერსა. დიაკონმან და აღკიქით, მიიღო იგი წმიხოლო ნეტარი ბერი უცსო ჭიქაჲ და დამან იოვანე კელთა ეტყოდა მას: „პირვემისცა ბერსა. ხოლო შინა თვსთა და პატიოლად ჭერ-არს ეპისკონეტარი იგი ეტყოდა სწისა ქუაროსა გამოპოზის ლოცვისა ყოიუს, ვითარმედ: სახუელმან მას ზედა თა“. ხოლო ისე თავ-პირველად ეპისკოპარჯუენისა კელისა ყო და ითხოვა მისგან პოზისა ჭერ-არს მწუერვალთა თითთა

კერნებად(!) მაშინ ნე-ლოცვაჲ“. ხოლო მან მიერ განუტევა იგი ტარმან ზე აღაპრო თაყუანის-სცა და ჰაერსა შინა და მდგო-
 კიქა იგი და ყო ლო-ითხოვა შენდობაჲ. მარე იყო კიქაჲ
 ცვა. დასრელა და გა-ხოლო წმიდამან იო-იგი ჰაერთა შინა
 ნუტევა იგი ჰაერთა ვანე ზე აღაპრა კი-შთამოციდებული მარ-
 შინა. დადგა კიქა ქაჲ, ილოცა, ჭუარი თლად მყოფარ ეამ
 იგი. ვითარცა მყარსა დასწერა და განუ- (ასურელ მოღვაწეთა...
 რასმე ზედა (იქვე, ტევა ჰაერსა შინა გვ. 119,13).

503v). კიქაჲ იგი და
 დადგა ვითარცა
 მყარსა ქუეყანასა
 ზედა (ასურ. მოლ-
 ვაწეთა... გვ. 119.
 12).

მოტანილი ადგილები გვიჩვენებს, რომ სვინაქსარულ ცხოვ-
 რებას მხოლოდ მცირეოდენი ფრაზეოლოგიური ცვლილებები შე-
 უტანია თავისი წყაროს ტექსტში. ეს პრინციპი ძირითადად გატა-
 რებულია სვინაქსარული ცხოვრების მთელი ტექსტის მანძილზე,
 მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სვინაქსარული ცხოვრება აერ-
 ცობს წყაროს ზოგიერთ ადგილს. მაგ., შიო მღვიმელის ცხოვრების
 რედაქციებში აღწერილია შიოს მიერ ჩადენილი ერთი სასწაული:
 შიომ შიშველ ხელზე აღგზნებული ნაკვერცხალი დაიყარა და მას
 საკმეველი დაახბა. მიუხედავად იმისა, რომ მას ანთებული ნაკვერ-
 ცხალი საკმაო ხნის განმავლობაში ეჭირა შიშველი ხელით, მას ოდ-
 ნაეადაც არაფერი ევნო. შიოს ცხოვრების აღნიშნული რედაქციები
 ამ სასწაულთან დაკავშირებით პარალელს ავლებენ და გადმოსცე-
 მენ ერთ ბიბლიურ ეპიზოდს. მოვიტანთ ამ ადგილს შემოკლებული
 ცხოვრებას მიხედვით: „...ცეცხლმან იცნა სამნი ყრმანი ბაბილონს,
 რაჲამს-იგი საქუმილსა შინა შესთხინეს ქალღეველთა. ხოლო სა-
 ქუმილსა მას შინა მდგომარეთა ცუარი ზეგარდამო ეცურეოდა. ხო-
 ლი გარემოჲს მდგომარენი შეიწუებოდეს და ყრმანი უწნებელად
 დაიკეებოდეს“ (დანიელ, თ. 3: ასურელ მოღვაწეთა... გვ. 120).

სვინაქსარულ ცხოვრებაში ეს ადგილი ერთი სამად ვრცელია.
 როგორც ჩანს, სვინაქსარულ ცხოვრებას თავის წყაროდან თითქმის
 ზუსტად აუღია ამ ეპიზოდის მხოლოდ დასაწყისი, შემდეგ კი მოუ-
 ცია არა წყაროსეული პერიფრაზი, არამედ უშუალოდ ბიბლიის

ტექსტიდან ამოვლითა გარკვეული ფრაგმენტები გამოკრებილად და მცირეოდენი ცვლილებებით:

... სვინაქსარული ცხოვრება

ბიბლია

... მეფისაგან, რომელმან პრქუა: უკუეთუ ხატსა მას ოქროსასა არა თაყვანი(ს)-სცეთ, ვინ არს აწ ღმერთი, რომელმან განგარინნეს თქვენ ჭელთაგან ჩემთა (№ 222, 504r).

ვიუგო ნაბუქოდონოსორ და პრქუა მათ, უკეთუ... ხატსა ოქროსასა, რომელ აღესდგი, არა თაყვანის-სცემთ... ვინ არს ღმერთი. რომელმან განგარინნეს თქვენ კაცთაგან ჩემთა (წინასწარმეტყ. დანიელ. თ. 3, გვ. 735, 1 წ.).

მსგავსი პარალელების მოტანა მეტი რაოდენობით შეიძლება, რაც ადასტურებს სვინაქსარული ცხოვრების მიერ წყაროდ უშუალოდ ბიბლიური ტექსტის გამოყენებას. ხოლო შიოს ცხოვრების ირივე რედაქციას ბიბლიური ტექსტის პერიფრაზი აქვთ გამოყენებული.

სვინაქსარულ ცხოვრებას გავრცობილი აქვს წყაროს ის ადგილი. სადაც წილკნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიასთან დაკავშირებით ღვთისმშობლის შესახებაა ლაპარაკი. სვინაქსარული ცხოვრების ეს ადგილი თითქმის მთლიანად პერიფრაზულია და თანაც შინაარსობლივად ბუნდოვანი, რაც წყაროს ზოგიერთი ფორმის დამახინჩების შედეგი უნდა იყოს: მაგ.: „ქუეყანისაგან ვიყავ ანგელოზთაგან მსახური კეშმარიტისაგან უხრწნელეა. რამეთუ უსრულებნა მას დედასა შუენის, რათა მსახურნიცა წმიდანი აქუნდენ“. ამის შესაბამისი ადგილი შიოს შემოკლებულ ცხოვრებაში უფრო ნათელია: „რამეთუ ქუეყანისაგანნი ვიყვენით და აწ შენ მიერ ზეცისა ანგელოზთაგან ვიმსახურებით და შენ მიერ უხრწნელეა და ცხოვრება საუკუნოა მოვრეთ. ამისთჳს შუენის, რათა საყდარსა დიდებისა შენისასა წმიდანი და სულითა განათლებულნი კაცნი იყვენ ზედამდგომელად ტაძრისა შენისა...“ (გვ. 89). აქედან ჩანს, რომ სვინაქსარულ ცხოვრებას ზოგი რამ გამოკრებილია და ზოგიც დაუმახინჩებია.

ისე წილკნელის სვინაქსარული ცხოვრების ყველა ნუსხაში გაპარულია ერთი შეცდომა, რაც წყაროს ცუდი ამოკითხვის შედეგია: შიოს შემოკლებულ ცხოვრებაში ნათქვამია, რომ „ესე ნეტარი ისე შეიპყრა წმინდამან მამათ-მთავარმან კათალიკოზმან და

აეურთხა იგი ეპისკოპოსად საყდარსა ზედა წილენისასა“. როგორც ჩანს, სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელს ხელთ ჰქონია შიო მღვიმელის შემოკლებული ცხოვრების ისეთი ნუსხა. სადაც სიტყვა: „კათალიკოზმან“ ნაწილობრივ გადაღებული ან ამოფხეკილი იქნებოდა. ამ სიტყვის ფრაგმენტი კი სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელს საკუთარ სახელად ამოუკითხავს: „ესე შეიპყრა წმიდამან მამამან ჩუენმან კოზმან და აეურთხა იგი ეპისკოპოსად წილენი- (ლენაგ.- 222, 503v). სვინაქსარულ ცხოვრებაში ეს სახელი ცოტა ქვემოთ მეორედაც მეორდება. მაგრამ წყაროში ამ შემთხვევაში მის შესაბამისად უკვე გვაქვს არა „კათალიკოზმან“, არამედ „მან“.

ამრიგად, ისე წილენელის სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც ისეს შესახებ შექმნილი პირველი დამოუკიდებელი თხზულება უნდა იყოს, ძირითადად შიო მღვიმელის შემოკლებული ცხოვრების იმ ადგილების ამონაკრებს წარმოადგენს, რომელიც ისე წილენელს ეწება. უმთავრესად წყაროს მონაცემები უცვლელადაა გადმოტანილი, მხოლოდ ხანდახან ვხვდებით თავისუფალი თბობის ნიმუშებს და ცოტაოდენ გავრცობას. ამის გარდა სვინაქსარული ცხოვრების წყაროა ბიბლიური ტექსტიც (დანეელ, 3), რომლისაგანაც მას უშუალოდ უსარგებლია.

9. იოსებ ალავერდელი

იოსებ ალავერდელის ცხოვრება სულ ბოლო ხანებში შეუქმნიათ, ისიც არა ვრცელი, არამედ მხოლოდ სვინაქსარული რედაქციით ისევე, როგორც ისე წილენელისა და ანტონ მარტოპოცოფელისა. ქრონოლოგიურადაც იოსებ ალავერდელის სვინაქსარული ცხოვრება თუ გვიანდელი არა, დასახელებულ სვინაქსარულ ცხოვრებებზე აღინდელი არ არის, ე. ი. არ სცილდება XVIII ს. I ნახევრის ფარგლებს. ისე წილენელის სვინაქსარული ცხოვრებისაგან განსხვავებით. იოსების სვინაქსარული ცხოვრება მთლიანად ახლად შექმნილი მცირე ზომის თხზულებაა. მის შემდგენელს ალავერდელის შესახებ არავითარი ცნობა არ მოეპოვებოდა გარდა იმისა, რომ ის იყო იოვანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფე. რომელიც მასთან ერთად მოვიდა ქართლს, რაც აღნიშნულია იოვანე ზედაზნელისა და შიოს ცხოვრებებში. ის მხოლოდ ერთხელ იხსენიება შიო მღვიმელის მეტაფრასტულ ცხოვრებაში, ისიც მაშინ, როდესაც ჩამოთვლილია იოვანეს მოწაფეთა სახელები. მისი სახელი რიგით მესამეა

შიოსა და დავითის შემდეგ⁵⁰. მეორე ცნობა იოსების შესახებ სვინაქსარული ცხოვრების ავტორს შეეძლო აელო იოვანე ზედაზნელის მეტაფრასტული ცხოვრებიდან. თუმცა ეს ცნობაც თითქმის საზოგადოდ ცნობილი და გავრცელებული გადმოცემის ერთი ფრაზით აღნიშვნაა, „რამეთუ ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან (ე. ი. იოვანე ზედაზნელის) ეკლესიაჲ ალავერდისაჲ ალაშენა წოდებასა ზედა სახელგანთქმულისა მოწამისა გიორგისსა, რომელმან მრავალნი სასწაულნი აღასრულნა, ვითარ და მოძღუარმანცა მისმან“⁵¹. აქ ამ მოწაფის სახელს არ ახსენებენ, მაგრამ ეჭვარეშეა, რომ იოსები იგულისხმება.

იოსებ ალავერდელის ცხოვრება, რომელიც მხოლოდ სვინაქსარული რედაქციითაა ცნობილი, პირველად S—3269 და H—2077 ხელნაწერებში გვხვდება. პირველი მათგანი (S—3269) მე-18 ს. 20-იანი წლების ხელნაწერადაა მიჩნეული, ხოლო მეორის (H—2077) გადაწერის თარიღი ზუსტადაა ცნობილი — 1736 წ. სვინაქსარული ცხოვრების დანარჩენი ნუსხები უფრო გვიანდელია: ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის იოვანე ბატონიშვილის კოლექციის № 222 (49v—51r) XVIII ს.⁵², H—611 (21v)—XVIII ს. (ნახევარზე მეტი აკლია), ლენინგრ. აღმოს. ინსტიტუტ.: M—45 (გვ. 138—141) — 1840 წ., M—21 (253v—255r) — 1842 წ. კიდევ უფრო იშვიათადაა იოსებ ალავერდელის ხსენების დღე სხვა ლიტურგიკულ კრებულებში. გარდა დასახელებული ხელნაწერებისა. რომლებშიც მისი სვინაქსარული ცხოვრებაა დაცული, სულ ორიოდ ხელნაწერი შეიცავს იოსებ ალავერდელის ხსენებას და საგალობლებს სვინაქსარული ცხოვრების გარეშე: ამათგან H—1672 (1740 წ.) ქართველ წმიდანთა სრული ცხოვრების ტექსტებისა და საგალობლების კრებულია, რომელშიაც იოსების მხოლოდ საგალობლებია შეტანილი, ისიც 13 სექტემბერს ნაცვლად 15 სექტემბრისა იოსებ ალავერდელის ხსენების დღისა. ამჟამად, რომ გადაწერის შეცდომა მოხვლია „ე“ და „გ“ ასოების გრაფიკული აღრევის ნიადაგზე, რადგან ამავე ხელნაწერში 13 სექტემბრის დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო დადებულია ქეთევან დედოფლის ხსენება. მეორე ხელნაწერი, Q—1053, 1760 წ. მხედრულით გადაწერილი საბას ლავრის ტიპიკონის ნუსხაა, რომელშიაც შეტანილია იოსების მხო-

⁵⁰ ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ილ. აბულაძე, თბილისი, 1955, გვ. 80, 6.

⁵¹ იქვე, გვ. 67, 5.

⁵² კატალოგში გატარებულია როგორც XVII ს., რაც მცდარია.

ლოდ ხსენება. აი თითქმის სრული სია იმ აგიოგრაფიულ-ლიტურ-გიკული წყაროებისა, რომლებშიაც მოხსენებულია იოსებ ალავერდელის სახელი.

აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ ალავერდელის კელტი საქართველოში ძალიან გვიან შექმნილა და მისი ხსენების დღედ 15 სექტემბერის დადება, რაც. როგორც ანტონ კათალიკოსი აღნიშნავს, ალავერდის ეკლესიის ინიციატივა ყოფილა, სულ ბოლო ხანებში უნდა მომხდარიყო, ყოველ შემთხვევაში XVIII ს. დასაწყისზე ადრე არაა სავარაუდებელი. უნდა ვიფიქროთ, რომ უფრო ადრე ალავერდელის ხსენება არ იყო გამოყოფილი იოვანე ზედაზნელის სხვა მოწაფეთა ხსენებათაგან.

როგორც ჩანს, იოსებ ალავერდელის ხსენების დღის დაწესებას გამოუწვევია მისი სახელობის საგალობლებისა და სენაქსარული ცხოვრების შექმნაც. ერთი სიტყვით, შეუქმნიათ მასალა მისი სახსენებელი დღის სრული განგებისათვის. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ექვმიუტანლად გარკვეულია ის ფაქტი, რომ იოსებ ალავერდელის საგალობლების ავტორი არის ერეკლე I-ის, ნახარა-ლიზანად წოდებულის (1683—1703), ქალი მარიამი. რომელსაც მონაზვნობაში მაკრინე ეწოდა. ამას ადასტურებს იოსებ ალავერდელის საგალობლების ბოლო ჯგუფი — კანონი, რომელიც შეადგენს 80 პროზაულ სტროფს. ამ ორი კანონიდან ერთი აკროსტიხულია და იკითხება: „მ ა კ რ ი ნ ა, შ ე მ ს ხ მ ე ლ ი შ ე ნ ი, შ ე შ ი წ ყ ა ლ ე. წ მ ი - დ ა მ“⁵³. ამ საგალობლების ფრაზეოლოგიური და შინაარსობლივი ნათესაობა იოსებ ალავერდელის სენაქსარული ცხოვრების ტექსტთან აკად. კ. კეკელიძეს აფიქრებინებს, რომ სენაქსარული ცხოვრების ავტორი იგივე მაკრინე მონაზონია. ეს ვარაუდი საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, რადგან მოსალოდნელია, რომ მაკრინეა, ალავერდის ეკლესიის მონაზონს, შეედგინა იოსებ ალავერდელის ხსენების დღის სრული განგება. მართლაც, იოსებ ალავერდელის სენაქსარული ცხოვრება ყველა ხელნაწერში საგალობლებთან ერთად არის მოთავსებული და თანაც ლიტურგიკული წესის დაცვით — „კანონის“ მეექვსე გალობის შემდეგ. ეს გარემოება აძლიერებს კ. კეკელიძის მიერ მაკრინეს ავტორობის სასარგებლოდ გამოთქმულ ვარაუდს.

მაკრინეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგია თავისთავად დაკავშირებული უნდა იყოს სენაქსარული ცხოვრების შე-

ქმნის ქრონოლოგიასთან, თუკი მაკრინეს ავტორობის საკითხს ჩვენ დაღებოთად ვაღიარებთ.

კ. კეკელიძის მიერ მაკრინე ბატონიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის ქრონოლოგია თითქმის მთელი სისრულითაა დაღვენილი⁵¹. ალავერდის გულანის I ნაწილი (სექტემბერ-დეკემბერი). A—366, გადაწერილია ქორონიკონსა უ²ბ (1714 წ.) მარიაჰისა და მისი ქეულლის ედიშერის საფასით (A—366, 153r, 214v), ხოლო 1715 წ. მარიამი უკვე მონაზონია, რადგან იმავე ალავერდის გულანის მეორე ნაწილის (A—379, 198v) გადაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „დაიწერა წიგნი ესე ბრძანებითა ამა ალავერდელისა ნიკოლოზის წარსაგებელითა საფასათათა ბატონიშვილის, მარიამ ყოფილის მაკრინასათა... ქორონიკონსა უ²დ“ (A—379, 1716 წ.). 1714—1716 წლებზე აღრე არც იოსებ ალავერდელის საგალობლებისა და არც სვინაქსარული ცხოვრების შედგენა არ არის მოსალოდნელი, რადგან, როგორც აღნიშნეთ, საგალობლების აკროსტიხში მარიამი უკვე მაკრინად იწოდება, ე. ი. მონაზონია. მისი მონაზვნად შედგომა, აღნიშნული „გულანის“ ანდერძების უტყუარი ცნობით, 1714—1716 წწ. მომხდარა. ამასთანავე, ეს საგალობლები და სვინაქსარული ცხოვრება 1714 წელზე აღრე რომ არსებულებო, ყოველგვარი ეკვის გარეშე შევიდოდა ამ გულანის I ნაწილში, რომელიც 1714 წ. არის გადაწერილი და რომელიც მოიცავს სექტემბერ-დეკემბრის დღეების ხსენებებს, ე. ი. იოსების ხსენების დღესაც 15 სექტემბერსა, რადგან ამ გულანის შედგენაში მარიამ ბატონიშვილს აქტიური მონაწილეობა მიუღია. არაა მოსალოდნელი, რომ იოსებ ალავერდელის სვინაქსარული ცხოვრება და საგალობლები 1713 წ-ზე აღრე შექმნილიყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მასალა შევიდოდა ცნობილ A—425 სადღესასწაულოში. მეორე მხრით, ეს მასალა შესულია S—3269 ხელნაწერში, რომელსაც, მართალია ზუსტი თარიღი არ მოეპოვება, მაგრამ, რადგან იგი შეიცავს ნიკოლოზ ორბელიშვილის „გრადემლს“, ათარიღებენ მე-18 ს. 20-იანი წლებით, დაახლოებით 1724 წლამდე⁵². თუ ამ ფაქტს დავეყრდნობით. მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოსებ ალავერდელის საგალობლებისა და სვინაქსარული ცხოვრების შექმნის სავარაუდო პერიოდად 1718—24 წ. უნდა მივიჩნიოთ; ჩვენ თუ მხოლოდ ამ სვინაქსარული ცხოვრების შემკველ ყველაზე ადრინდელ თარიღიან

⁵¹ კ. კეკელიძე, ვტიულები..., IV, 1957, გვ. 233—236, 241—251.

⁵² მ. ქავთარია, ნიკ. ორბელიშვილის ცხოვრ. და მოღვაწეობა: ხელნაწ. ინსტიტ. მოამზეა, I ტ., 1959.

ხელნაწერს დავეყრდნობით (H—2077, 1736 წ.), მაშინ ეს ქრონოლოგიური ჩარჩოები 1718—1736 წწ. გაფართოვდება⁸⁸.

რა წყაროების საფუძველზე არის შედგენილი ეს სვინაქსარული ცხოვრება? ორიოდ სიტყვით ჩვენ უკვე შესავალშივე აღვნიშნეთ, რომ სვინაქსარული ცხოვრების ავტორს არავითარი ცნობები არ მოუპოვეპოდა იოსებ ალავერდელის შესახებ, გარდა იოვანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის მეტაფრასულ ცხოვრებებში, ზემოთ მოტანილი ორიოდ სიტყვისა. სვინაქსარული ცხოვრების ავტორს რომ იოსების შესახებ არსებული არავითარი ძველი ძეგლი არ გამოუყენებია. ეს ნათლად იგრძნობა თვით ტექსტიდანაც, რადგან იგი სინანულს გამოთქვამს, რომ იოსებ ალავერდელის ცხოვრება ქამთა სიავისაგან დაკარგულაო, თუმცა ავტორს არავითარი საბაზი არ ჰქონია იოსებ ალავერდელის ძველი „ცხოვრების“ არსებობა რეალურ ფაქტად მოსჩვენებოდა. ალბათ, ავტორი ისევ გადმოცემებს ეყრდნობა, როდესაც აღნიშნავს: „... მონასტერი ესე მრავალგზის სრულიადცა დაიპყრეს უსჯულოთა და თვსად საპყვდრებლად შესცვალეს წმიდაჲ ესე ადგილი და წარტყუენეს ყოველი სამკაული ტაძრისა ამის, მას თანავე მიფარულ იქმნა ცხოვრებაცა ამის ნეტარისა და არღარასადა იპოვა ქამთა ჩუენთა“ (S—3269, 286v).

მიუხედავად ცნობათა ასეთი სიმცირისა, თხზულება, სვინაქსარული ცხოვრების პირობაზე, მოზრდილია. მისი შედგენისას ავტორს ძირითადად ასურელ მამათა არსებული ცხოვრებანი გამოუყენებია. სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისი ერთი მეოთხედი ნაწილი უჭირავს იოვანე ზედაზნელის მოწაფეთა ქართლში მოსვლისა და მათ მიერ გაწეული ღვაწლის ზოგად აღწერას. აღნიშნულ ნაწილში სვინაქსარული ცხოვრება ფრაზეოლოგიურად დამოუკიდებელია, მაგრამ შინაარსობლივად იოვანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის მეტაფრასულ ცხოვრებაში გადმოცემული აზრობის განმეორებაა. შემდეგ საუბარია თვით იოსებ ალავერდელის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ, ასევე ზოგად შტრიხებში. კერძოდ, მის „სიყრმიოვანე“ ღმრთის სიყვარულზე, მის დამკვიდრებაზე ალავერდში, „ადგილთა უდაბნოთა უშენთა და უვალთა კაცთაგან და უნაყოფოთა“.

⁸⁸ „პიოლანარ გაუგებრობაზეა აგებული შეხედულება გ. ფერაძისა (Die Anfänge Monchtums in Georgien) და მ. თარხნიშვილისა (Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, s. 411, Anmer. 2.), რომ იოსებ ალავერდელის „ცხოვრება“ შედგენილია XI საუკუნემდეო, რადგან მასში არაფერია ნათქვამი ანდრია მოციქულის ქართლში ჯაღაგების შესახებ“, ვ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 537 (სქოლიო).

ეს ადგილი დიდ მსგავსებას იჩენს შიო მღვიმელისა, იოვანე ზედაზნელისა და დავით ვარეჯელის ცხოვრებების იმ ადგილებთან, სადაც საუბარია ამ ასურელ მამათა შესაბამის ადგილებში დამკვიდრებაზე.

სვინაქსარულ ცხოვრებაში ნათქვამია: „ხოლო თუ ვითარ ანუ, რომლითა სახითა იზარდებოდა თვთ მან მხოლომან უწყის, გარნა ესე საცნაურ არს, ვითარჲედ: რომელმან მოუვლინის ნეტარსა დავითს და მამასა ანტონის ირემნი და მის მიერ ზრდიდა და არცა ამას დაუტეობდა თვნიერ ნუგეშინის ცემისა კაცთასა“ (S—3269, 286v). აქ კარგად ჩანს, რომ სვინაქსარული ცხოვრების დაწერისას ავტორს უსარგებლია დავით ვარეჯელისა და ანტონ მარტომყოფელის ცხოვრებებით. საინტერესოა ანტონ მარტომყოფელის სვინაქსარული ცხოვრებით სარგებლობის ფაქტი, რადგან ეს ძეგლი თითქმის ისევე გვიანდელია, როგორც იოსებ ალავერდელის სვინაქსარული ცხოვრება და მისი შექმნა სულ რამდენიმე ათეული წლით უნდა უსწრებდეს უკანასკნელს.

იოსებ ალავერდელის სვინაქსარულ ცხოვრებაში მოტანილი ერთი ეპიზოდი, რომელიც ავტორს რომელიღაც გადმოცემიდან აუღია, რასაც ადასტურებს თვით ავტორის თქმა — „ხოლო იტყვან“—ო, შიო მღვიმელის, დავით ვარეჯელისა და ანტონ მარტომყოფელის მსგავსი ეპიზოდების მიბაძვითაა დაწერილი. ეს არის „სამეუფეო“ კაცთან შეხვედრის ეპიზოდი.

ამრიგად, იოსებ ალავერდელის სვინაქსარული ცხოვრება შედგენილია ასურელ მამათა ცხოვრებების ზოგიერთი ეპიზოდისა და ადგილის ზოგადი შინაარსის გამოყენებით, რასაც ემატება საეკლესიო ლიტერატურაში გავრცელებული წმინდანის „სათნობათა“ და „მოთმინებათა“ საკმაოდ ტრაფარეტული და დაწვრილებითი აღწერა. ავტორი ფორმით სრულიად დამოუკიდებელ თხზულებას ქმნის, რომელშიაც წყაროებიდან ამოღებული მასალა საკმაო ოსტატობით არის გადამუშავებული. წყაროების ასე ზოგადად გამოყენებისა და იოსებ ალავერდელის შესახებ ხელშესახები მასალის უქონლობის შედეგად სვინაქსარულ ცხოვრებაში თითქმის არ არის აღნიშნული არც ერთი კონკრეტული დეტალი, რომელსაც შეეძლო იოსებ ალავერდელის პიროვნებისა და მოღვაწეობის ნაწილობრივი დახასიათება მაინც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ასურელ მამათა ცხოვრებებიდან ნასესხებ „სამეუფეო“ კაცთან შეხვედრის ეპიზოდს, რომელსაც სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით უკავშირდება ალავერდის ეკლესიის აშენება.

10. შიო მღვიმელი

ჩვენ უკვე გაკვირით აღვნიშნეთ, რომ შიოს განხილული სვინაქსარული ცხოვრების გარდა, გვიანდელმა (1726 წ.) სვინაქსარულმა კრებულმა შემოგვინახა მისი გვიან შექმნილი სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქციის ერთადერთი ნუსხა. ამ თხზულების შექმნა უდავოდ იმ პერიოდს ეკუთვნის, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში გაჩაღდა მუშაობა ნაციონალური აგიოგრაფიული და ლიტურგიული კრებულების შექმნისათვის, რომლის მიზანი იყო შეკრებილიყო ყველაფერი, რაც კი არსებობდა ნაციონალური წმინდანების ირგვლივ, ხოლო ხარვეზი სახელდახელოდ შევსებულიყო. ამიტომაც, რომ ქართველი წმინდანების სვინაქსარულ ცხოვრებათა და საგლობელთა უმეტესი ნაწილი, რომელიც ძველ ლიტურგიულ კრებულებში არ გვხვდება, შექმნილია ამ პერიოდში (XVII ს. მიწ. XVIII ს. I მეოთხედი). განსაკუთრებით XVIII ს. დასაწყისიდან იგრძნობა ტენდენცია, რომ არც ერთი ქართველი წმინდანი არ დარჩეს სახსენებელი დღის გარეშე, ხოლო ხსენების ჯღე უზრუნველყოფილი იყოს სათანადო ლიტურგიული მასალით — საგლობლებითა და სვინაქსარული ცხოვრებებით. ამ პერიოდშია შექმნილი ზოგიერთი მოღვაწის სვინაქსარული ცხოვრების ახალი ვარიანტი, მიუხედავად იმისა, რომ ამ წმინდანის ცხოვრების არსებული ძველი სვინაქსარული ცხოვრება გაცალეებით მგტი მხატვრული ღირებულების მქონეა, ვიდრე ახალი. ამ მიზეზის ახსნის მტკიცე არგუმენტები ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ შევნიშნავთ, რომ, ალბათ, ასეთი კრებულის თავდაპირველ შემდგენელს ხელი არ მიუწვდებოდა ზოგიერთ არსებულ სვინაქსარულ ნუსხებზე და ამიტომ კრებულში ზოგჯერ თავისი შემოქმედების ნაყოფი შეჰქონდა. შესაძლებელია, ამ ფონზე აიხსნას შიო მღვიმელის გვიანდელი სვინაქსარული ცხოვრების წარმოშობის საკითხიც. ჩვენ ზემოთ გამოვთქვით ვარაუდი, რომ შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრების ძველი რედაქციის ნუსხებს გავრცელება ვერ მოუპოვებია. მისი არსებობა, ალბათ, უცნობი იყო შიოს მეორე სვინაქსარული ცხოვრების შემდგენლისათვის და ამიტომ მან შიოს სვინაქსარული ცხოვრება ისეთივე პრინციპებით შეადგინა, როგორც შედგენილია კრებულში შესული სხვა ასურელ მოღვაწეთა (იოვანე ზედაზნელისა და დავით გარეჯელისა) სვინაქსარული ცხოვრებანიც, რომლებიც აგრეთვე ამავე დროისა უნდა იყვნენ.

შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქცია სვინაქსარულობის პირობაზე ვრცელი თხზულებაა. მას სათაურშივე ეწოდება „მოკლედ ნათქოში“ (რაც პიპი შედგენის გვიანდლობას გვიჩვენებს).

შიოს სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქციას მეტაფრასული ცხოვრების შემოკლებას წარმოადგენს. ის თითქმის თავიდან ბოლომდე მისდევს თავის წყაროს და გზადაგზა ამოკლებს მას, ისე, რომ მეტაფრასული ცხოვრების ფრაზეოლოგია ცოცხალი ზუსტად გადმოაქვს, მაგალითად:

სვინაქსარული

„ესე წმიდა და ღმერთშემოსილი შიო იყო ქვეყანით ასურეთით, ქალაქისაგან ანტიოქისა, მშობელთაგან აზნაურთა, რომელნი მრჩობლ მღიღარ იყვნეს ღმრთის-მსახურებითა და მშობელობითა ამის წმინდისათა“ (A -220, გვ. 524).

მეტაფრასული

„ესე წმიდა და ღმერთშემოსილი მამა შიო იყო ქვეყანით ასურეთისადათ, დიდით მით ღმრთის ქალაქით ანტიოქიადთ, რომელმან მრავალნი ესევითარნი წმიდანი აღმოაცენნა, მშობელთა ღმრთის-მსახურთა და აზნაურთა შვილი, რომელნი-იგი მრჩობლ მღიღარ იყვნეს ღმრთის-მსახურებითა და მშობელობითა ამის წმინდისადათ“ (გვ. 70—71).

ერთი მაგალითიდანაც ჩანს სვინაქსარული ცხოვრების შედგენის პრინციპი: შეამოკლოს თავისი წყარო, ფრაზეოლოგია კი თითქმის უცვლელად გადმოიტანოს. ეს პრინციპი ბოლომდე გატარებულია. ზოგჯერ სვინაქსარული ცხოვრება იძლევა მეტაფრასული ცხოვრების რომელიმე წინადადების ან ადგილის პერიფრაზს. სადაც უფრო ნათლად ჩანს ამ „ცხოვრების“ შემდგენლის გაუწაფლობა და დაბალი მხატვრული გემოვნება. აქედანვე ნათელია, რომ ენა სვინაქსარული ცხოვრებისა ძალიან გვიანდელია. მაგალითად, მეტაფრასული ცხოვრების ერთი მხატვრული შედარება მას პრიმიტივიზმამდე აქვს დაყვანილი:

„დიდი იგი მნათობი და თუალი მოლუაწეთა ყოვლად განთქმული იოვანე ნიშებ-შემოსილი გამოჩნ-

„მაშინ გამოჩნდა დიდი იგი ნიშებშემოსილი ყოვლად განათლებული იოვანე, რომელმან



და კითარცა ვარსკულაევი მრავალ განანათლა ყოველი ანტიკონი
 ბნათობი, რომელნი-იგი განანათ- (A-220. 524).
 ლებენ ყოველთა მკვდრთა ანტიო-
 ქიაფსათა...“ (გვ. 72).

სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელს ზოგჯერ იხე მექანიკურად გამოუკრებიან წყაროდან ადგილები, რომ აზრი წინადადებისა გაურკვეველია. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, მიუთითებს ამ ცხსულების ნაჩქარევად შედგენაზე. მაგ., „კითარცა ქვა მან ნეტარ-
 მან იოვანე: -გრწმენინ ჩემი... რამეთუ უწინარეს მშობელთა თვის-
 თა თანა დაკითხვიდეს, სადა ყოფისა მისსა, ზოლო მან სხვა მიზეზი
 მიუგო იქი ყოფისა“ (524v). შეიძლება აქ გამოტოვებულიც იყოს რამე.

შსგავსი ადგილები მოტანა და მათზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ზოგადად შევნიშნავთ, რომ შიოს სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია უწიგნურადაა შედგენილი. მასში ხშირია შეცდომები და გაუმართავე წინადადებები, განსაკუთრებით იმ ადგილებში, როდესაც შემდგენელი ცდილობს ძველი ქართული ნორმების შენარჩუნებით ვაკეთოს წყაროს პერიფრაზი. ესაა გვიანდელია. რასაც ადასტურებს ფორმები: დიაკონმა, ესვათ, უკვირდათ, წარვიდენ (ნამყო წყვეტ.), ზედან, შვლი და სხვა მრავალი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ კრებულში წარმოდგენილი შიოს სვინაქსარული ცხოვრება დედანი არ უნდა იყოს: ის გადმოწერილია სხვა ნუსხიდან, რასაც ადასტურებს ერთი ადგილი: „რა ათორმეტნი გამოარჩიოს მოწაფეთაგან“... განმეორებულა და შემდეგ სინგურით გადამოლილი. როგორც ჩანს, დედანში სტრიქონი ამ წინადადებით იწყებოდა და გადამწერს იგი მექანიკურად ორჯერ გადმოწერილია. წყაროს საკმაოდ შემოკლების მიუხედავად, სვინაქსარული ცხოვრება მაინც ვრცელია: იგი რამდენადმე აღემატება ჩვეულებრივი ტიპის სვინაქსარულ ცხოვრებას. წყაროსთან შედარებით ჩვენი ძეგლი არ იძლევა რაიმე განსხვავებულ ფაქტს, თუ დეტალს. როგორც აღვნიშნეთ, ენის ნორმები და ორთოგრაფია ძეგლისა კრელია: ახალი იმ პერიოდის ენის დამახასიათებელია, როდესაც ეს ძეგლი იწერებოდა. ზოლო არქაული კი წყაროდანაა გადმოტანილი. ასე რომ ძეგლში პარალელურადაა მოცემული ძველი და ახალი ორთოგრაფიის ნიმუშები და გრამატიკული ფორმები, თუმცა შემდგენელი ცდილა მის მიერ შედგენილი ძეგლისათვის არქაული სახე მიეცა.

11. დავით გარეჯელი

დავით გარეჯელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი საკმაოდ მდიდარი ჰაგიოგრაფიული მასალის ფონზე მის შესახებ ლიტურგიკულ კრებულებში დაცული მასალა ძალზე მკრთალად გამოიყურება. XVIII ს-ზე აღრინდელ არც ერთ ლიტურგიკულ კრებულს მისი ხსენების დღე არ შემოუნახავს. თვით XVIII ს. კრებულებშიც მისი ხსენება ოთხიოდე მაგალითით ამოიწურება. დავით გარეჯელის ასე იშვიათად ხსენების მიზეზი შესაძლებელია ის გარემოება იყოს, რომ მისი ხსენება ძველთაგანვე მოძრავ დღეზე განაწესეს, რაც კალენდარული სისტემით გაწყობილ საღვთისწაულოებასა და სვინაქსარულ კრებულებში არ აისახებოდა. შეიძლება ეს გარემოება სხვა მიზეზითაც აიხსნას: შესაძლებელია, ასურელ მოღვაწეთა ხსენებისათვის გარკვეული დროიდან ერთი დღე იყო დადგენილი --- 7 ზაისი, რასაც, მართლაც, მხარს უჭერს ზოგიერთი საკმაოდ აღრინდელი ლიტურგიკული ძეგლის ჩვენება (Jer.—80). თუკი ეს სწორია, მაშინ შეიძლება აიხსნას დავით გარეჯელის ცალკე დღეს იშვიათად ხსენების ფაქტიც.

დავით გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრება, რომელსაც სვინაქსარული ცხოვრებისათვის უჩვეულო სათაური აქვს — „ცხოვრება წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისა. მოკლედ აღწერილი“, — სულ ბოლო ხანებში შედგენილი ჩანს. ეს ცხოვრება რომ ცალკე ხელნაწერის სახით ან რომელიმე აგიოგრაფიულ კრებულში გვენახა, შეიძლება ეკვიც კი შეგვეტანა მის სვინაქსარულობაში და ჩვეულებრივ შემოკლებულ ცხოვრებად მიგვეჩნია მისი ასეთი სათაურისა და მოცულობის გამო, მაგრამ ის მოთავსებულია ისეთ სვინაქსარულ კრებულში, რომელიც ორიოდე ცხოვრების გარდა, ჩვენთვის აღრინდელი ხელნაწერებიდან ცნობილ სვინაქსარულ ცხოვრებებს შეიცავს. ეს სვინაქსარული კრებული 1726 წ. რუსეთში გადაწერილი A—220-ა. მასში მოთავსებული დავით გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც მხოლოდ ამ ერთადერთი ნუსხითაა ცნობილი, საკმაოდ ვრცელი თხზულებაა. მისი წყარო არის დავით გარეჯელის ცხოვრების მეტაფრასტული რედაქცია. შემდგენელი თავიდან ბოლომდე მისდევს თავის წყაროს და იძლევა მის შემოკლებულ, ზოგჯერ პერიფრაზულ, უფრო ხშირად კი მეტაფრასტული ცხოვრების ფრაზეოლოგიის ბაზაზე შედგენილ სვინაქსარულ ცხოვრებას.

სვინაქსარული ცხოვრება იმდენად ზედმიწევნით იყენებდა ვის წყაროს, რომ მას გადმოუტანია სვინაქსარული ცხოვრებისათვის არც თუ ისე საჭირო დეტალები: ცნობები ილარიონ ქართველის შესახებ, რაც მეტაფრასტულ ცხოვრებაში მოტანილია იმ ამბავთან დაკავშირებით, რომ აბუჰარბმა სადგომად გამოკვეთა გამოქვაბული, რომელიც შემდეგ ილარიონს გაუფართოებია და მონასტრად უქცევია. ილარიონის შესახებ მეტაფრასტულ ცხოვრებაში დაცული საკმაოდ ვრცელი ცნობები სვინაქსარულს მთელი სისრულით გადმოუღია.

ასევე, სვინაქსარული ცხოვრების ბოლოს მიმატებულია ცნობები ისე წილენელის დეაწლის შესახებ, რაც სვინაქსარულ ცხოვრებას არ შეეძლო აეღო დავით გარეჯელის მეტაფრასტული ცხოვრებისაგან. ეს მოკლე თხრობა გაკეთებულია ისე შესახებ შიოს მეტაფრასტულ ცხოვრებაში დაცული ეპიზოდების საფუძველზე. ეს ადგილი სვინაქსარულ ცხოვრებაში სავსებით ზედმეტია.

დავით გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისი პერიფრაზულია:

სვინაქსარული ცხოვრება

მეტაფრასტული ცხოვრება

„ესე წმიდა მამა ჩუენი დავით იყო ქუეყანისაგან შუამდინარით [ლეღთა] ასურეთისათა, რომელთა მშობელთა უცნაურ ვართ“ (A—220, 530v).

„გამომღებელი ვიდრემე მამული ამის ღირსისა და საკვრველ მოქმედისა მამისა შუამდინარე ღელისა ასურეთისა იყოფების... ხოლო დაბაჲ და თანად მშობელნი საღმრთოჲსა ამის მშობელთა მადიდებელისა შვილისანი უცნაურ იქმნა ჩუენ მიერ (გვ. 146).

პერიფრაზულია და ძალიან მოკლე დავითის იოვანესთან ერთად ქართლს მისვლის აღწერა, რასაც მეტაფრასტულში მისი იოვანესთან ერთად პალესტინაში მოღვაწეობისა და მცხეთას წამოსვლის შესახებ ვრცელი თხრობა შეესაბამება. ასეთი ადგილები სვინაქსარულ ცხოვრებაში არც თუ ისე ბევრია. ძირითადად მისი



თბრობა მეტაფრასტულის ფრაზეოლოგიური განმეორებაა ადგილ-
ადგილ შენაკლებით და მცირეოდენი კორექტივის შეტანით:

სვინაქსარული

„პრქუა დავით ლუკიანეს: ძმაო, ხედავა ადგილსა ამას კეთილსა და თავისუფალსა შფოთისაგან? დავადგრეთ უკუე აქა მარტოებით ღმრთისა მიმართ ვედრებით ლოცვისა მოქმედნი, რათა მყუდროებით, მარხვითა და მღვძარებითა ეამიერთა სატკივართა მომთმენელი მივემთხვენეთ უოღვათა მოტევებასა“ (A—220, 531r).

მეტაფრასტული

„...თქუა სანატრელმან მამამან დავით ლუკიანეს: „ვხედავ. რამეთუ კეთილ არს ადგილი ესე და თავისუფალ შფოთთაგან, დავადგრეთ უკუე აქა მარტოებით ღმრთისა მიმართ ვედრებისა და ლოცვისა მოქმედნი, რათა მყუდროებით მარხვისა და მღვძარებისა მქონებელნი და ეამიერთა სატკივართა სიმჭნით მომთმენელნი მივემთხვენეთ მოტევებასა ცოღვათასა“ (გვ. 152).

შსგავსი ადგილები სვინაქსარულ ცხოვრებაში პერიფრაზულზე მეტი რაოდენობით დასტურდება. სვინაქსარულ ცხოვრებაში არის რამდენიმე ადგილი, რომელიც მეტაფრასტულის ფრაზეოლოგიურად გავრცობას წარმოადგენს ახალი ფაქტების დამატების გარეშე (A—220, 533v, 537r). წყაროს ფრაზეოლოგიის განმეორებისას სვინაქსარულ ცხოვრებას მცირეოდენი ცვლილებები შეაქვს წინადადებების კონსტრუქციაში, რითაც თავს აღწევს მეტაფრასტული ცხოვრების ზუსტ განმეორებას, მაგ., რთული წინადადება ხშირად შეცვლილია მარტივი გავრცობილით: „ვხედავ, რამეთუ კეთილ არს ადგილი ესე და თავისუფალ შფოთისაგან“. სვინაქსარში გადაკეთებულია: „ხედავა ადგილსა ამას კეთილსა და თავისუფალსა შფოთისაგან?“. წყაროს მიმდებარე ფორმებს სვინაქსარული ცხოვრება ცვლის ზმნებით: „წარვიდა... თანა წარმყევანებელი განკურნებულისა მის შვილისა მისისა ორთა სხუათა ძეთა თანა, და მიწეენილმან ადგილსა...“ — „იგი განკურნებული ძე და ორნი ძენი სხუანი წარმოიტანნა და მოვიდა მუნ“. ან კიდევ „ხოლო იგინი მეძიებელნი ყოვლით კერძო და ვერ-მპოვნელნი...“ — „...არა პოვა და დაეძებდეს აქა და იქო“ და სხვა. უფრო იშვიათია სიტყვების შეცვლა სი-

ნონიმებით: „...და აქვს ძუელი მალაკი“; „და აქუს მას ძუელი ჩაკვ“⁵⁷ (სვინაქსარ.), „ვეშაპი — გველაშაპი“, ან „გველეშაპი“. „შეწუა — განგალა“ და სხვ.

სვინაქსარული ცხოვრების გვიანდლობაზე მიუთითებს ახალი ქართული ენის ორთოგრაფია, რაც ყოველთვის გადაშფერის ბრალი არ არის, აგრეთვე ახალი ქართული ენის ფორმები.

12. დოდო გარეჯელი

დოდო გარეჯელი არ ეკუთვნის პალესტინიდან ქართლს მოსულ ასურელ მოღვაწეთა რიცხვს⁵⁸, მაგრამ, რადგან მისი მოღვაწეობა უშუალოდ დაკავშირებულია გარეჯის უდაბნოსა და დავით გარეჯელის სახელთან, მის შესახებ ასურელ მოღვაწეებთან ერთად ვილაპარაკებთ. მცირეოდენი ცნობები, რომლებიც მის შესახებ დაუცავს დავით გარეჯელის მოკლე და მეტაფრასტულ ცხოვრებებს, წარმოადგენს ერთადერთ ღარიბ წყაროს. ამ ცნობებით ის ქოფილა კახეთის მკვიდრი და დავით გარეჯელის ღვაწლის განმაურების შემდეგ გადაუწყვეტია თავისი ბედი სამუდამოდ დავითის მიერ საფუძველჩაყრილი მონასტრისათვის დაეკავშირებინა. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურა საერთოდ, ხოლო ლიტურგიკული კრებულები XVIII ს. დასაწყისამდე არ იცნობენ მის შესახებ დაწერილ არც ერთ ვრცელ თუ მოკლე ცხოვრებას. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოში და კერძოდ დავით გარეჯის უდაბნოში ნაციონალური წმინდანების ღვაწლის ამსახველი ლიტერატურის შეკრებისა და შექმნის სფეროში გაშლილმა აგიოგრაფიულ-ლიტურგიკულმა მუშაობამ, სხვა წმინდანების მსგავსად, დღის წესრიგში დააყენა დოდო გარეჯელის ღღესასწაულისა და ამ ღღესასწაულისათვის საჭირო აგიოგრაფიულ-ლიტურგიკული და ჰიმნოგრაფიული მასალის შექმნის საკითხი. მართლაც, 1726 წ. A—220 სვინაქსარულ კრებულში ჩვენ პირველად ვხვდებით მის სვინაქსარულ ცხოვრებას.

⁵⁷ ჩვეულებრივად პარკი. სვინაქსარულ ცხოვრებაში მეორეგან „ჩაკვის“ ნაცვლად „ჩოზა“ სწერია. რაც გადაწერის დროს დაშვებული შეცდომა უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ეს სვინაქსარული ცხოვრება დედანი არ არის, ის გადაწერილია სხვა წყაროდან.

⁵⁸ ეს ნათლად ჩანს დავით გარეჯელის ცხოვრების ორივე რედაქციიდან. (გვ. 166), თუმცა აკად. ე. კეკელიძეს გამოთქმული აქვს ვარაუდი დოდო გარეჯელის დავითთან ერთად საქართველოში სირიიდან მოსვლის შესაძლებლობაზე (ეტიუდები, გვ. 37), რაც ეწინააღმდეგება დავით გარეჯელისა და დოდო გარეჯელის „ცხოვრებებში“ აღწერილ ფაქტებს.

შემდგენელი, ბუნებრივია, დიდი დაბრკოლების წინაშე მდგარა: მას უნდა შეექმნა აგიოგრაფიულ-ლიტურგიკული ხასიათის დამოუკიდებელი თხზულება იმ ორიოდ ზოგადი ფრაზის საფუძველზე, რაც დავით გარეჯელის ცხოვრების რედაქციებს დაუცავს; ამიტომ დოდოს სვინაქსარული ცხოვრება ძალიან ცოტა ფაქტიურ მასალას შეიცავს. დავით გარეჯელის მეტაფრასტულ ცხოვრებაში დოდოს შესახებ დაცულ ეპიზოდებს თითქმის არაფერი ახალი არ შემატებულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცნობას ნისი დასაფლავების ადგილის შესახებ, რაც სვინაქსარული ცხოვრების ავტორს გარეჯის უდაბნოში დამკვიდრებული გადმოცემებიდან ეცოდინებოდა. ზეპირ გადმოცემებზე დაყრდნობით უნდა გაჩენილიყო აგრეთვე ცნობა, რომ დავით გარეჯის უდაბნოში „იქმნა ათორმეტ მონასტერ. რომელსა შინა იყოფოდეს მონაზონნი რიცხვთ ათორმეტი ათასნი, მადლითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა წმიდისა დავითისითა და შემღვთმისა მისისა დოდოს მოძღურებითა“⁵⁹.

დოდოს საკმაოდ მოზრდილი სვინაქსარული ცხოვრების უდიდესი ნაწილი საზოგადოდ კარგად ცნობილი ფაქტების გადმოცემას ეხება. იგი იწყება ასეთი თხზულებისათვის ნიშანდობლივი შესავლით: მოღვაწის სადაურობით, „სიყრმიდანვე“ ქრისტეს სჯულსა და სამონაზვნო ცხოვრებისადმი მისი ტრფიალებით. შემდეგ რამდენიმე წინადადებით აღწერილია ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ამბები. რაც შიო მღვიმელის მეტაფრასტული ცხოვრების მსგავსი ადგილის (გვ. 78, 28) გადმოკეთება უნდა იყოს:

დოდო გარეჯელის

სვინაქსარული ცხოვრება

„...რამეთუ ჭერეთ ახალ შენობდა ქუეყანა იგი ქართლისა სჯულისდებათაგან და ყოველთა საღმრთოთა წესთაგან, ვინათგან მოციქულთა სწორი დედა ქართველთა წმიდაჲ ნინო მოიწია და განაწათლა ქუეყანა ესე და განდევნა სიბნელე კერპთ-მსახურებისა და ეშმაკთა ოცნებისა“ (A—220, 548v).

შიო მღვიმელის

მეტაფრასტული ცხოვრება

„...რამეთუ ახალ ნერგ იყვნეს მამინ ქართველნი და ორასნი ოდენ წელიწადნი წარსრულ იყვნეს მოქცევით მათითგან; ოდეს იგი მოციქულთა მადლითა განმტკიცებულმან წმიდამან დედაჲმან ნინო აღმოშენა წმიდითა ემბაზიითა და განანათლნა ღმრთისმეცნიერებითა“ (გვ. 78).

⁵⁹ თუთ რიცხვი იოვანე ზედაზნელის მოწაფეებისა — თორმეტი — ქრისტესა და მისი მოწაფეების ანალოგიით უნდა იყოს წარმოდგარი. ასევე, აქ მოცემული მონასტრებისა (12) და მონაზვნების (12 ათასი) რიცხვი ზემოაღნიშნულის ანალოგიის ნაყოფია.

შემდეგ მოთხრობილია ასურელი მამების ქართლს მოსვლა, დავით გარეჯელის თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად უდაბნოში დამკვიდრება, ამ უდაბნოს საშინელებათა მოკლე აღწერა. იქვე მითითებულია წყარო ამ ცნობებისა: „ვითარცა წიგნი ცხოვრებისა მათისანი მოგვითხრობს“, ან „ვითარცა ცხოვრებაჲ მისი (ე. ი. დავ. გარეჯელისა) მოგვითხრობს“. ამის შემდეგ სვინაქსარული ცხოვრება უშუალოდ დოდო გარეჯელის პიროვნებასა და მოღვაწეობას ეხება, რაც, როგორც აღვნიშნეთ, დავით გარეჯელის მეტაფრასტულ ცხოვრებაში დაცული ცნობების გავრცობილი და თავისუფალი ძიებებით გადმოცემაა:

სვინაქსარული ცხოვრება

„ესმა ესე წმიდასა და ნეტარსა დოდოს ესევითარისა კაცისა ანგელოზებრივი ცხოვრებაჲ. იწყლატრფიალებითა, ვითარცა აქუნდა პირველითგანვე საღმრთოჲ და სული უჰანკო. აღიძრა წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა დამტეეებელჰან სოფლისაჰან და მოიწია კართა ზედა ქუაბისა მისისაჲთა, რომელი თვთ თავით თჳსით გამოქუაბულ იყო შემწყურებლად აზისა და წვმისა, მფარველად სხუელისა ორისა გინა სამისა კაცისა ოდენ. ანბორის-მყოფელთა ურთიერთას იუბნეს მოძღურებაჲ საღმრთოჲ და სულიერი და მიერიტგან აღლუქუა დაღგრომაჲ მის თანა“ (A—220, 548v—549r).

დავით გარეჯელის მეტაფრასტული ცხოვრება

„... ესმა რაჲ წმიდისა საქმეთათჳს და ვითარქედ მრავალნი სულისა ცხოვრებისათჳს მოსწრაფენი შეკრებვიან შინა მიმართ, აღიძრა ესეცა საღმრთოჲთა სურვილითა და მოსწრაფებით ჰოვიდა მისა მიმართ, და ჰოკითხვასა მიმთხუელნი ურთიერთას ერთჲჲჲმად იყოფებოდეს რაოდენთაჲე დღეთა მოხარულნი სულითა ესრეთ აღორძინებისათჳს ქრისტეს სამწყყსოთაჲ“ (გვ. 166).

დოდო გარეჯელის სვინაქსარული თხზულება თავიდან ბოლომდე პერიფრაზული თხრობის კარგი ნიმუშია. ავტორი ამეღაცნებს მოკლე თხზულების კომპოზიციურად შედგენის კარგ უნარს: ყველა შემოჩამოთვლილი ეპიზოდი ერთმანეთთან ბუნებრივი, უშუალო დაფებით არიან დაკავშირებულნი, ასე რომ სვინაქსარული ცხოვრება, მიუხედავად ლარიბი ფაქტობრივი მასალისა, არ ტოვებს

გამოკრებილი, ფრაგმენტული შედგენილობის ძეგლის შთაბეჭდილებას. სენაქსარული ცხოვრების ავტორი თავისი გაშლილი, წყაროსაგან დამოუკიდებელი თხრობის მანერით გამოცდილი კალმოსანი ჩანს. თხზულებაში წყაროების პერიფრაზულად გამოყენების გარდა ზოგი რამ ავტორისეული შემოქმედების ნაყოფი ჩანს.

სენაქსარული ცხოვრების ბოლოს ტექსტის ხელით მიწერილია: „ღმერთო, შეიწყალე რომანოზ“. ვინ არაა რომანოზი და რა კავშირი აქვს მას ამ ძეგლთან? რომანოზი სენაქსარული კრებულის გადამწერი არ არის, რადგან კრებული გადაწერილია ერთი ხელით (ძირითადად ნაჩქარევი, უღამაზო, ხოლო ალაგ-ალაგ კი საკმაოდ მონდომებული, გამოყვანილი ხელით), გადამწერის ვინაობა კრებულის ანდერძის მიხედვით კარგადაა ცნობილი: ეს არის არჩილ მეფის ძაულის დარეჯანის კარის წინამძღვარი დომენტი მანუჩარისძე ჯანდიერიშვილი, რომელსაც ეს ხელნაწერი „რუსულის წესითა“ გადაუწერია მოსკოვს. ამრიგად, რომანოზი არ შეიძლება იყოს ამ კრებულის გადამწერი. ხომ არ არის რომანოზი სენაქსარული ცხოვრების ავტორი? სხვაგვარად მინაწერის ტექსტის ბოლოში გაჩენის მიზეზი გაუგებარია. როგორც ჩანს, მინაწერი კრებულში სენაქსარული ცხოვრების დედნიდან არის გადმოხული. ჩვენი აზრით, რომანოზი არის გარეჯის უდაბნოს მოღვაწე, ქართული ლიტერატურის ისტორიაში რომანოზ მიტროპოლიტის სახელით ცნობილი პირი. ამ ვარაუდის დაშვების საფუძველს მრავალი საბუთი იძლევა: 1. დოდო გარეჯელის სენაქსარული ცხოვრება გარეჯის უდაბნოში მოღვაწე პირის დაწერილი უნდა იყოს, რადგან ამ პერიოდში შექმნილი ლიტურგიკულ-აგიოგრაფიული მასალის შედგენა ძირითადად გარეჯის სალიტერატურო კერას უკავშირდება. ამაზე უნდა მიუთითებდეს დოდოს დასაფლავების ადგილის შესახებ და ამ ძეგლში დაცული ცნობაც. რომანოზი, მართლაც, 12 წელი (დაახლ. 1710—1722) გარეჯის უდაბნოში მოღვაწეობდა⁶⁰. 2. სენაქსარული ცხოვრების ავტორი მწერლობაში დახელოვნებული პირის შთაბეჭდილებას ტოვებს. რომანოზიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, როგორც საკმაოდ მოზრდილი და საინტერესო თხზულების „წინწილა დადადებისას“ ავტორი. 3. ამ სენაქსარული ცხოვრების მისი ავტორობის საპარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ რომანოზს 1737 წ. შემდეგ დაუწერია დავით გარე-

⁶⁰ ი. ჭ ა ვ თ ა რ ი ა. დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბილისი, 1965, გვ. 139.

ავტორის ცხოვრების ახალი ვარიანტი⁶¹. 4. სვინაქსარული კრებული A—220 გადაწერილია 1726 წ. მოსკოვში, სადაც 1722—1727 წ. ცხოვრობდა რომანოვიც, რომლის დარეჯან არჩილის ასულთან ურთიერთობა კარგად არის ცნობილი⁶². საფიქრებელია, რომ ამ კრებულის გადაწერმა — დომენტი ჯანდიერიშვილმა ეს სვინაქსარული ცხოვრება მასში თვით რომანოვის უშუალო მითითებითაც კი შეიტანა და მისი ავტორისათვის „ღმრთისაგან შეწყალებაც“ ითხოვა.

ჩვენ მიერ ავტორის შესახებ დაშვებული ვარაუდი თუკი სიმართლეს შეესაბამება, მისი შექმნის დროც 1710—1726 წ. უნდა განისაზღვროს. ერთი ცხადია, რომ მიუხედავად სვინაქსარული ცხოვრების ენის საკმაოდ არქაელობისა, რაც ავტორის მიერ ძველი საეკლესიო ენის კარგი ცოდნის შედეგია. ძველი XVIII ს. დასაწყისზე ადრინდელი არ ჩანს მისი ახალი ორთოგრაფიის გამო, რაც მარტოოდენ გადაწერის ბრალი არ უნდა იყოს. მასში შეინიშნება ახალი ქართული ენის ნორმებიც.

ამრიგად, რომანოვ მიტროპოლიტის ლიტერატურულ მეპყვიდრობას ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე უცნობი რიი თხზულება უნდა მიემატოს — დავით გარეჯელის ვრცელი და ჯილდო გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრებანი.

13. დავით და კონსტანტინე

დავით და კონსტანტინეს სვინაქსარული ცხოვრების უძველესი რედაქცია ზემოთ განვიხილეთ. მეორე რედაქცია მოთავსებულია XVI ს. (50-იანი წ. ქვირნიშნით) ხელნაწერში (A—508), თუცა ეს არ გამოორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ ის შექმნილი იყოს უფრო ადრე. იგი ერთადერთი ნუსხითაა ცნობილი; შედგენილია მეტაფრასტული ცხოვრების მიხედვით, ძალიან მოკლედ. ძირითადად ეს სვინაქსარული ცხოვრება პერიფრაზულია. მაგრამ გვაძლევს მეტაფრასტული ცხოვრების ფრაზეოლოგიით სარგებლობის რამდენიმე მაგალითსაც. მაგალითად. სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისი მეტაფრასტულის ვრცელი სათაურის გამოკრებილი, უფრო სწორად შემოკლებული განმეორებაა.

⁶¹ ეს ფაქტი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით უცნობია.

⁶² ბ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

„წმიდათა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იწამნენ ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუეთისასა უღმრთოთა მიერ“ (A—508, 32v).

...„წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებს არგუეთისასა, საბრძანებელსა ქართველთასა, შევღვომად მიცვალებისა დიდისა მის და მალლისა მეფისა ვახტანგ გორგასალისა, რომელმან მეფობაჲ ყოვლისა ქუეყანისაჲ საფლავად შთაიტანა, უღმრთოესა მის და მძლავრისა სპარსთა მეფის მურვან აბულ კასიმისგან, რომელსა ეწოდა ნართაულად ყრუ“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ. გვ. 233).

სვინაქსარული ცხოვრება თითქოს იმეორებს მეტაფრასტელის სათაურის მხოლოდ დასაწყისს, მაგრამ ამ სათაურის დანარჩენი ნაწილიც, ისიც გამოკრებივთ, სვინაქსარულ ცხოვრებაში მოთავსებულია ცოტა ქვემოთ, მას შემდეგ, რაც რამდენიმე წინადადებით აღწერილია ამ მოწამეთა წყალში დახარობის ეპიზოდი: „ხოლო იწამნეს წმიდანი ესე მძლავრისა სპარსთა მეფისა მურვანის მიერ, რომელსა ეწოდებოდა ყრუ“. ეკვი არ არის, რომ ეს წინადადებაც აღებულია მეტაფრასტული ცხოვრების სათაურიდან.

მეტაფრასტული ცხოვრების გამოკრება-განმეორებაა სვინაქსარული ცხოვრების მეორე ადგილიც:

„და მოჰკიდეს ქედთა მათთა ლოდნი მძიმენი და შთაყარნეს მკინარესა მას, რომელ არს რიონი“, იმ განსხვავებით, რომ „მოჰკიდეს“ ნაცვლად მეტაფრასტულშია „დაჰკარნენ“ (აგრეთვე „შთაყარნენ“), რადგან მეტაფრასტული ცხოვრების ეს ადგილი გადმოგვემს მურვან ყრუს განაჩენს, ბრძანებას, რომელიც უნდა შესრულდეს, სვინაქსარულისა კი — როგორც შესრულებულ აქტს.

სვინაქსარული ცხოვრების დანარჩენი ნაწილი, ე. ი. ბოლო. მეტაფრასტული ცხოვრების შესაბამისი ადგილის პერიფრაზია.

სვინაქსარული ცხოვრების მიერ მეტაფრასტულით ასე ზედმიწევნით სარგებლობის მიუხედავად, მასში დაცულია ორი ძველი დეტალი, რაც არ არის მეტაფრასტულ ცხოვრებაში. სვინაქსარულში ნათქვამია:

„და შთაყარნეს მდინარესა მას რომელ არს რიონი.

და სრულ იქმნა წამებაჲ მათი და განიყო მდინარე იგი
ორად“.

მართალია, მეტაფრასტულ ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ ვერვან ყრუმ ბრძანა ამ მოწამეთა რიონში დახრჩობა, მაგრამ განაჩენის სისრულეში მოყვანის აღწერისას ნათქვამია: „რამეთუ ...მოიყვანნეს წმიდანი იგი ადგილსა მას, რომელსა განეჩინა მძლავრსა, მდინარესა, ტბასა მას ზედა“. და შემდეგ აღწერილია მათი ტბაში ჩაყრისა და მათი იქედან სასწაულებრივი ამოყვანის ამბავი. ამდენად, მეტაფრასტულში რალაც წინააღმდეგობას აქვს ადგილი, თუ „ტბაში“ არ იგულისხმება მდინარე რიონის მორევი ან განშტოებული, ტბის მსგავსი დამდგარი წყალი. როგორც არ უნდა იყოს, მეტაფრასტულში არაფერია ნათქვამი მდინარის ორად გაბობაზე, რაც სვინაქსარული ცხოვრების შემდგენლის მიერ მიმატებულ სასწაულს უფრო კავს.

უფრო საინტერესოა მეორე დეტალი: „იწამნეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუეთისასა უღმრთოთა მიერ, დედაქალაქსა, რომელსა ეწოდების ქუთათისი“. როგორც ვხედავთ, სვინაქსარული ცხოვრება დავით და კონსტანტინეს წამების ადგილად ქუთათისს მიიჩნევს. მოწამეთა დასჯის ადგილი მეტაფრასტულ ცხოვრებაში ასეა მითითებული: „მიიყუანეს წმიდანი იგი ადგილსა მას, რომელსა განეჩინა მძლავრსა, მდინარესა, ტბასა მას ზედა. რომელსაცა შჴნ არს ტაძარი წმიდათა კოზმან და დამიანესი“. მართალია, დღეს უკვე ცნობილი არაა, სად იყო ასეთი ტაძარი, მაგრამ ქუთათისის შესახებ მეტაფრასტულში ხსენებაც არ არის. საიდან მოიტანა სვინაქსარულმა ცხოვრებამ ეს საეკვო ცნობა, არ ჩანს. მეტაფრასტული ცხოვრებიდან იგრძნობა, რომ მათი წამების ადგილი დასახელებული პუნქტიდან მოშორებით უნდა მდებარეობდეს. რადგან აქ აღნიშნულია, რომ იმ ადგილის მახლობლად. სადაც აწამეს დავით და კონსტანტინე, ტყეში იმალებოდნენ არაბთაგან დევნილი ქართველი მეომრები. რომლებმაც მურვან ყრუსთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ თავი ტყეს შეაფარეს.

* * *

დავით და კონსტანტინეს სვინაქსარული ცხოვრების შესამე რედაქციას სხვა რედაქციებთან შედარებით გაცილებით ვრცელია. მისი ერთადერთი ნუსხა მოთავსებულია ცენტრ. არქივის 302 გუ-

ლანში. ხელნაწერი მისი ანდერძ-მინაწერების საფუძველზე 1705 წლამდე გადაწერილი ჩანს. სვინაქსარული ცხოვრება ამ ხელნაწერის გადაწერის დროზე აღრინდელი არ უნდა იყოს. სვინაქსარული ცხოვრების მნიშვნელობას ამცირებს ის გარემოება, რომ ის წარმოდგენს მეტაფრასტული ცხოვრების გამონაკრებს მისი ფრაზეოლოგიის ზუსტი შენარჩუნებით. ამ ცხოვრების შემდგენელს არავითარი ცვლილება არ შეაქვს წყაროს ფრაზეოლოგიაში: მას მეტაფრასტული ცხოვრებიდან თანმიმდევრობით გადმოაქვს მთელი აზრები ისე, რომ გამონაკრებმა მოვეცეს მისი შემოკლებული. შინაარსობლივად სრული ვარიანტი. მოვიტანოთ ერთი ტიპიური მაგალითი, რომლის მიხედვითაც ნათელი იქნება სვინაქსარული ცხოვრების შედგენის მეთოდი:

სვინაქსარული (III)

„შიუგეს და ჰრქუეს წმიდათა მათ, ვითარმედ: სიცილი და ქადილი შენი ცუდ და ამაო არს ჩუენ ზედა, რამეთუ წუთ ეამ არს დიდებაჲ შენი და აღრე განქარდების, რამეთუ არა ღირსებისა შენისათჳს იქმნა ძლევაჲ შენი ჩუენ ზედა, არამედ ცოდვათა ჩუენთათჳს, რათა გუწუართნეს ღმერთმან კელითა თქუენ უსჯულოთაჲთა“ (ცენტ. არქ.—302, 486r).

მეტაფრასტული

„შიუგეს და ჰრქუეს წმიდათა მათ, ვითარმედ: სიცილი და ქადილი შენი ცუდ და ამაო არს ჩუენ ზედა, რამეთუ წუთ ეამ არს დიდებაჲ შენი და აღრე განქარდების, რამეთუ არა ღირსებისა შენისათჳს იქმნა ძლევაჲ შენი ჩუენ ზედა, არამედ ცოდვათა ჩუენთათჳს, რომელ გარდაუკედით მცნებათა ღმრთისასა; იქმნა ფლობაჲ თქუენი ჩუენ ზედა, რათა გუწუართნეს ღმერთმან კელითა თქუენ უსჯულოთა და უღმრთოთაჲთა“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია. I, გვ. 235).

ასეთი პრინციპით არის შედგენილი სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია თავიდან ბოლომდე. მასში არ მოიპოვება მეტაფრასტული ცხოვრებისაგან განსხვავებული არც ერთი ლექსიკური ერთეული, და თუკი მოიპოვება, იგი მეტაფრასტული შესაბამისი სიტყვის უნებური დამახინჩების შედეგია. ასე, მაგალითად. მეტაფრასტულის ეს ადგილი: „რამეთუ იყო ადგილი იგი ციხე-ქალაქ და ერ-მრავალ“ სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელს კარგად ვერ

ამოუკითხავს: „რამეთუ იყო ადგილი იგი ციხე-ქალაქ და ვერაფერი იქნა ვალ“. აგრეთვე მეტაფრასტულის „მაჰისაოს“ ნაცვლად სვინაქსარულს „მაღლისაო“ ამოუკითხავს და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ სვინაქსარული ცხოვრების შემდგენლის მიერ წყაროს მზამზარეული ტექსტის გამოყენება ვერ არის შესრულებული საშუალო ოსტატობითაც კი, რადგან შემოკლებული ტექსტი ხშირად მექანიკური გამოკრების შთაბეჭდილებას ტოვებს და ამდენად არ არის დაკული თხრობის ნათელი თანმიმდევრობა და სვინაქსარული ცხოვრების ზოგიერთი ადგილი ბუნდოვანი ხდება. მაგალითად, „ურცხვ მოსრეს და აღუდგინეს ძლევაჲ დიდი ქრისტიანეთა. ხოლო დავით და კონსტანტინე შეიპყრეს“. მტერზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ უეცრად დავით და კონსტანტინეს შეპყრობაზე გადასვლა, ბუნებრივია, გაკვირვებას გამოიწვევს. როგორც ჩანს, ეს პარადოქსი წყაროს მექანიკური გამოკრების შედეგია. მართლაც, მეტაფრასტულში ეს ადგილი ნათელი და გასაგებია: „ურიცხვ მოსრეს და აღუდგინეს ძლევაჲ დიდი ქრისტიანეთა. მაშინ მეოტნი უკუნ იქცენ და უთხრეს მურჲან ყრუსა... და შეუზახნა ყოველსავე სიმრავლესა წარმართთასა და წარმოემართნეს ვითარცა ქვშაჲ სიმრავლითა... და შეეწყუდინეს კელთა წარმართთასა ერნი ქრისტიანეთანი... ხოლო წმიდანი დავით და კონსტანტინე... შეპყრობილ იქმნეს“.

ასევე, სვინაქსარული ცხოვრების ერთი ბუნდოვანი ადგილი მეტაფრასტულთან მიმართებაში ხდება გასაგები: „ხოლო ვითარცა წარვიდეს და იბილნეს წმიდანი განლეულნი [და] დამკნარნი ტანჯვითა მათგან, რომელ თავს იხსნეს, ვითარმედ: ჰ, ვრნო, რად გიკადრებოვს ანუ რად ესრეთ შეურცხ გიყოფიან კაცნი ესე“. აზრა გაუგებარია, რადგან სვინაქსარულ ცხოვრებას გამოტოვებული აქვს... „განრისხნეს განზრახვით მტარვალთა მათთვის, ვითარმედ: ჰ, ესე ვითარნო, რად გიკადრებოვს“ და შემდეგ, როგორც სვინაქსარულშია.

* * *

დავით და კონსტანტინეს სვინაქსარული ცხოვრების მეოთხე რედაქცია მსგავსად პირველისა მოკლეა. ამ რედაქციის სვინაქსარული ცხოვრების სამი ნუსხაა ცნობილი, რომელთაგან ყველაზე ძველი A—111 1703—15 წწ. გადაწერილ გულანშია მოთავსებული. ხოლო დანარჩენი ორი კი — XVIII ს. სვინაქსარულ კრებულებში (ცენტრ. არქ.—446 და ქეთ. ეთნ. მუზეუმის 111-ის აშია-ზე). სვინაქსარული ცხოვრების ყველა ნუსხა დავით და კონსტანტინეს ხსენების დღედ, წინააღმდეგ სხვა რედაქციების მიერ აღნიშ-



XVII—XVIII ს. მიწნისა (A—187—XVII ს. და ც. არქ. № 302. 1705—06 წ.). აბოს სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია მოცულობითა და შედგენილობითაც იმდენად ენსვავსება I რედაქციას, რომ შეიძლება მის მიხედვითაც იყო შედგენილი, ეს ორი მოკლე თხზულება ზოგჯერ მსგავს ფრაზოლოგიასაც გვიჩვენებს. რაც აქლიერებს ზემოთ გამოთქმულ აზრს:

I რედაქცია

„...ქრწმენა ქრისტე და ნათელილო და ქადაგებდა მამ[ასა], ძესა და სულს[ა] წმიდასა განცხადებულად და იწამა სარკინოზთა მიერ...“ (Jer.—80, 165).

II რედაქცია

„...და დაუტევა მამული. სჯულა და ნათელ-ილო სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა და განცხადებულად ქადაგებდა მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისთვისაც აგარიელნთა მიერ მოიკლა“ (A—187, 721r).

აბოს სვინაქსარული ცხოვრების არც ერთი რედაქცია არ ილევა ვრცელი ცხოვრებისაგან განსხვავებულ რაიმე დეტალს. სვინაქსარული ცხოვრების ორივე რედაქციის ვრცელი ცხოვრების შინაარსის ბაზაზე შედგენა საეკვო არ არის. სვინაქსარულ ცხოვრებათა სიმოკლე თავისთავად განსაზღვრავს მათ პერიფრაზულ ხასიათს. თუმცა შეიძლება შეინიშნოს მათი ვრცელ ცხოვრებათა ფრაზოლოგიური სიახლოვეც. სვინაქსარული ცხოვრებიდან ზემოთ მოტანილი მაგალითები სწორედ ვრცელი ცხოვრებიდან უნდა იყოს ნასესხები, რადგან აბოს ნათლისღების ამბავი აქაც იგივე სიტყვებითაა გადმოცემული: „...და ნათელ-ილო სახელითა შამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა“ (გვ. 61).

ზოგიერთ სხვა ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარული ცხოვრების მსგავსად, აბოს სვინაქსარული ცხოვრების III რედაქციაც შედგენილია A—425 სადღესასწაულოში შეტანის მიზნით. ამდენად, მისი შედგენა 1718 წ. ადრე არ არის სავარაუდებელი. სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია, როგორც ეტყობა, სახელდახელოდაა შექმნილი ვრცელი ცხოვრების მესამე თავის დასაწყისის მიხედვით და აბოს შესახებ ზოგადი ცნობების პერიფრაზით. ამ რედაქციის დასაწყისში ზოგადაააა გადმოცემული ის, რაც აღნიშნული იყო სვინაქსარულ ცხოვრებათა ზემოთ განხილულ რედაქციებში: რომ ის იყო ბაბილოვნელთა ქვეყნიდან, ქალაქ ბაღდადიდან, ტომით სარკი-

ნოზი. რომელიც „მოვიდა ქუეყანად ქართლად“ და მიიღო ქრისტიანობა, რისთვისაც ის აწამეს ქ. ტფილისს, ოღონდ სხვა რედაქციებისაგან დამატებით, ამის შემდეგ მოცემულია თარიღი მისი წაშვებისა. რაც ცოტაოდენი ცვლილებებით არის აღებული ვრცელი ცხოვრების შესახებ თავის დასაწყისიდან.

**სვინაქსარული ცხოვრება
(III რედაქცია)**

ვრცელი ცხოვრება

„იწამა დასაბამითგან სოფლისა ექუსი ათას ოთხშეოცდა⁶⁵ მეოთხესა წელსა, ხოლო ქრისტეს ჭუარციოთგან რეას ოთხშეოცდა მეათესა. მეფობასა ბერძენთა ზეღა ლეონის ძისა კონსტანტინესა და ქართლს კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისთავრობასა გურგენის ძის სტეფანოზისსა, საკინოზთა მეფობასა მოსე ამირა შუმლისსა ძისა შალადისა“ (A.-425, 322v.)

„მეფობასა კონსტანტინეპოლისა. ქალაქსა მას დიდსა, ქრისტეანეთა ზეღა კონსტანტინესსა. ძისა ლეონისსა, საკინოზთა შორის მეფობასა მოსე ამირა მუმინისასა. ძისა შალადისასა. ქართლსა შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისთავრობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა. დასაბამით გარდასრულთა ექუს ათას ოთხას ოცდაშეოთხესა⁶⁶ წელსა თთუესა იანვრისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა, განცხადებასა. შევისწავეთ მარტვლობაჲ წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილად მოღუაწისა შაბოჲსი ქალაქსა ტფილისს.“ (ქრესტ. I. გვ. 63).

სვინაქსარული ცხოვრების ამ ადგილის ვრცელიდან გადმოღება საექვო არ არის, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სვინაქსარულ ცხოვრებაში ზოგი რამ გამოტოვებულია. ზოგი დამატებული (ქრისტეს ჭუარციოდან თარიღი), ზოგი შეცვლილი და დამახინჯებული (მუმინისასა — შუმლისსა, შალადისსა — შალადისა, ოთხას ოცდაშეოთხესა — ოთხშეოცდა მეოთხესა და სხვ.).

⁶⁵ რაღაც გამოტოვებულია, როგორც ჩანს, ვრცელი მსგავსად უნდა ყოფილიყო: „ექუს ათას ოთხას ოცდაშეოთხესა“.

⁶⁶ ვარიანტებში (Sin.—II) არის: „ექუს ათას სამას ოთხშეოცდაცხრასა“.

15. კოსტანტი კახი

არაბთა 853 წლის შემოსევის დროს ქრისტიანული სარწმუნოებისათვის უწამებიათ ქართველი დიდებული კოსტანტი კახი. სხვადასხვა საისტორიო წყაროშიც დადასტურებული ეს ფაქტი საფუძვლად დადებია ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებას „ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაჲ, რომელი იწამა ბაბილოვნელთა მეფის ჯაფარის მიერ“, რომელიც ამ ამბის თანამედროვე ავტორს აღუწერია კოსტანტის წამების ახლო ხანებში. ამ აგიოგრაფიულ ძეგლთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ დაწერილებითაა შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში⁶⁷, ამიტომაც მათ აქ განმეორებას არ შევუდგებით. ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორ აისახა კოსტანტის მარტვილობის ფაქტი ქართულ ლიტურგიკულ მწერლობაში.

კოსტანტი კახის საგალობელი შესულაა მიქელ მოდრეკილის ცნობილ იადგარში. კ. კეკელიძის გამოკვლევით, ეს საგალობლები, წინააღმდეგ პ. ინგოროყვასა და პეტერსის ვარაუდისა, არ ეკუთვნის მიქელ მოდრეკილის კალამს, არამედ ისინი დაწერილია გაცილებით ადრე. მიქელ მოდრეკილს ეს საგალობლები შეუტანია თავის კრებულში და ძველი ნუსხიდან გადმოწერისას ბევრი შეცდომა დაუშვია⁶⁸.

ამრიგად, X საუკუნეში კოსტანტი კახის საგალობლების არსებობა უეჭველი ფაქტია, უფრო მეტიც, ეს საგალობლები გაცილებით ადრე უნდა შეექმნათ, კ. კეკელიძის ვარაუდით, არაუგვიანეს მეცხრე საუკუნის მესამე მეოთხედისა⁶⁹. აქედან ის დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომ კოსტანტი კახის ხსენების დღე, 10 ნოემბერი, რომლის ქვეშაც ეს საგალობლებია შეტანილი მიქელ მოდრეკილის კრებულში, დაწესებული უნდა იყოს კოსტანტი კახის წამებისა და მისი „ცხოვრების“ დაწერისთანავე.

სვინაქსარულ კრებულებში კოსტანტი კახის ხსენება სვინაქსარული ცხოვრების გარეშე XI საუკუნიდანვე გვხვდება, კერძოდ

⁶⁷ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941, გვ. 481—483. მისივე, კოსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა: ეტიუდ. ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, I, 1956, გვ. 133—146 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 108—111. P. Peeters, De S. Constantino, martyre in Babylonia, Acta Sanctorum, Novemberis, t. IV, 1925, pp. 541—563.

⁶⁸ კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 143.

⁶⁹ იქვე, გვ. 144.

A—97-ში, 10 ნომბრის დღეს აშიაზე ტექსტის ხელით. ამავე დღესაა დადასტურებული კოსტანტი კახის ხსენება დანარჩენ ლიტურგიკულ კრებულებში, რომლებიც ძირითადად XVIII ს. ეკუთვნიან. აღნიშნული ხელნაწერებიდან სვინაქსარულ კრებულებში ეს ხსენება შესულია სვინაქსარული ცხოვრების გარეშე, ხოლო სადღესასწაულოებში კი — საგალობლებით. განსხვავებას იძლევა XII—XIII სს. (A—569) ერთი „სვნაქსარის“ ნუსხა და ორიოდ XVIII ს. სვინაქსარული კრებული (S—443 და S—2569), რომლებშიც კოსტანტი კახის ხსენების დღედ აღნიშნულია არა 10, არამედ 12 ნომბერი. ხსენების ტექსტის მიხედვით ჩანს, რომ ეს ხსენება უკანასკნელ კრებულებში გადმოსულია A—569 სვინაქსარიდან. კოსტანტი კახის ხსენებას დღის შეცვლის მიზეზი გაურკვეველია.

მოგვიანო დროის რამდენიმე ლიტურგიკული კრებული კოსტანტი კახის ზემოაღნიშნული საგალობლებისა და ხსენებების გარდა შეიცავს მის სვინაქსარულ ცხოვრებასაც.

კოსტანტი კახის სვინაქსარული ცხოვრების ორი სხვადასხვა რედაქცია სულ 3 XVIII ს. ხელნაწერებითაა ცნობილი. ამათგან ერთი რედაქცია შესულია A—425 (1718 წ.) სადღესასწაულოსა და A—220 (1726 წ.) სვინაქსარულ კრებულში, ხოლო მეორე მხოლოდ ქუთაისის საეთნოგრაფიო მუზეუმის 111 ხელნაწერითაა ცნობილი. ეს ხელნაწერი ხელს მიხედვით XVIII ს. ადრინდელი არ არის. სვინაქსარული ცხოვრება ხელნაწერის ძირითად ტექსტში არ შეუტანიათ, იგი აშიაზეა ბიწერილი 10 ნომბრის ქვეშ, მაგრამ ძირითადი ტექსტის ხელით. როგორც ჩანს გადამწერს თუ რედაქტორს ქართველი მოღვაწეების სვინაქსარული ცხოვრების ტექსტებს უმეტესობა, რომლებიც ამ ხელნაწერის დედანში არ იყნ, ხელნაწერის ძირითად ტექსტში არ შეუტანია, მაგრამ საკუთარი ინიციატივით თავთავის ადგილას აშიაზე მიუწერია.

ამრიგად, კონსტანტი კახის სვინაქსარული ცხოვრება XVIII საუკუნეზე ადრე არ ჩანს. უფრო მეტიც A—425-ში შესული სვინაქსარული ცხოვრება, შესაძლებელია, ამ კრებულის შედგენის დროინდელი იყოს, ე. ი. XVIII ს. დასაწყისზე ადრე ეს სვინაქსარული ცხოვრება შეიძლება არც არსებულა. ჩვენი აზრით, ღვთისმსახურებაში სვინაქსარული თუ მოკლე ცხოვრების მოვალეობას კოსტანტი კახის ცხოვრების სრული რედაქცია ასრულებდა. ეს სავსებით მოსალოდნელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სრული ცხოვრება მცირე მოცულობის „ლიტონად“ დაწერილი ძეგლია.

კოსტანტი კახის სვინაქსარული ცხოვრების ორივე რედაქცია სულ მცირე მოცულობისაა. ისინი ერთმანეთიდან განსხვავდებიან ფრაზეოლოგიურად, ხოლო მიუხედავად მათი თხრობის ზოგადი ხასიათისა, შინაარსობლივად თითქმის ერთმანეთს ემთხვევიან, რადგანაც ორივე თხზულება გადმოსცემს საერთო წყაროს, კოსტანტი კახის სრული ცხოვრების უმთავრესი მომენტების ზოგად. ძალზე მოკლე შინაარსს: ვინ იყო კოსტანტი, ვის მიერ და რატომ ეწამა. წამების თარიღი და ამ დროის ბერძენთა მეფის სახელი.

ორივე სვინაქსარულ ცხოვრებაში თითქმის სრული ფრაზეოლოგიური იგივეობაა კოსტანტი კახის წამების თარიღის გადმოცემაში:

A—425

„ქუთ.“—111

„ხოლო იწამა წმიდაჲ ესე დასაბამითან სოფლისა ექუსი ათას ოთხას ორმოც და ათშვიდმეტსა, ხოლო ზედაწერილსა ისმაიტელთაა ორას ოც და თორმეტსა, მეფობასა ბერძენთა ზედა თეოდორა დედოფლისასა“ (A—138r-v).

„... წარეკუეთა წმიდათა ვი სი დასაბამითან წელთა ექუსი ათას ოთხას ორმოც და ათიშვიდმეტსა, ხოლო ზედაწერილსა ისმაიტელთაა ორას ოც და ათორმეტსა, მეფობასა ბერძენთა ზედა თეოდორასა და ძისა მისისა მიხაილისა“ (46v).

რა თქმა უნდა, ეს ცნობები აღებულია სრული რედაქციიდან მისი სხვადასხვა ადგილების გამოკრების გზით, მაგრამ ორივე სვინაქსარული რედაქციის მიერ ამ ცნობების ერთნაირად ფორმულირება გვაფიქრებინებს, რომ ქუთაისის — 111 ხელნაწერში მოთავსებული სვინაქსარული ცხოვრება იცნობს და იყენებს A—425 სადღესასწაულოში შესულ კოსტანტი კახის სვინაქსარული ცხოვრების რედაქციას, ოღონდაც, როგორც ზემოთ მოტანილი ციტატიდან ჩანს, უმატებს „და ძისა მისისა მიხაილისა“. როგორც ჩანს, სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელს ეს დამატება სრული ცხოვრების შესაბამისი ადგილის გაუგებრობის შედეგად შეუტანია, რადგან მიხაილის, თუ მიქაელის მეფობა სრულ ცხოვრებაში აღნიშნული არ არის, არამედ მოხსენებულია როგორც ყრმა: „... მეფობისა ღმრთისმსახურისა თეოდორა დედოფლისა, რომელი-იგი მეუფებდა საქეთოსა ბერძენთასა, ვიდრე-იგი ყრმა-ლა იყო ძმ იგი მისი მიქაელ“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრ., I, გვ. 74).

ამრიგად, კოსტახტი კახის ცხოვრების ორივე სვინაქსარული რედაქცია XVIII საუკუნეშია შედგენილი და არავითარ სიახლეს და რაიმე საინტერესოს არ იძლევა მის სრულ ცხოვრებასთან შედარებით.

16. ილარიონ ქართველი

გვიანდელმა ლიტურგიკულმა კრებულებმა შემოინახეს ილარიონ ქართველის სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქცია. ხელნაწერები, რომლებიც ამ სვინაქსარულ ცხოვრებას შეიცავენ, XVII ს. მიწურულითა და XVIII ს. I ნახევრით თარიღდებიან (ქუთაისის -- 105, XVII—XVIII სს.; A 111, 1703—15 წწ.; A—985, XVII ს. ნაკლული, მხოლოდ დასაწყისია; A—220, 1726 წ.; A—515, 1733; S 3269, 1720-იანი წლები; H—970, 1742 წ.; ქუთ. მუზ. -- 111, XVIII ს.). სულ ამ რედაქციის სვინაქსარული ცხოვრების შემცველი 8 ხელნაწერია მიკვლეული.

ილარიონ ქართველის სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქცია თითქმის ერთიორად მოკლეა პირველზე. მისი ფრაზეოლოგიისა და ფაქტური მასალის მიხედვით არ ჩანს ამ სვინაქსარული ცხოვრების ილარიონის როკელიმე „ცხოვრებაზე“ დამოკიდებულების ნათელი სურათი, რადგან იგი უმთავრესად ფაქტების ზოგად აღწერასა და პერიფრაზულ თხრობას შეიცავს. მსგავსი ადგილების მიუხედავად, სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქცია არ შეიძლება პრინციპულად სვინაქსარული ცხოვრების პირველი რედაქციიდან და შემოკლებული ცხოვრებიდან. საქმე ისაა, რომ ილარიონის დედის გარდაცვალების ფაქტი, რაც აღნიშნულია სვინაქსარული ცხოვრების გვიანდელ რედაქციაში, არ არის ილარიონის ძველ სვინაქსარულსა და შემოკლებულ ცხოვრებაში. აქედან საფიქრებელია, რომ იგი შედგენილი უნდა იყოს ან ათონური ცხოვრების. ან მეტაფრასტული ცხოვრების სათანადო ადგილთა პერიფრაზის შედეგად. ჩვენ უფრო მართებულად გვეჩვენება პირველი შესაძლებლობა, რადგან მათ ფრაზეოლოგიაში მეტი მსგავსება ჩანს.

ილარიონის სვინაქსარული ცხოვრების გვიანდელი რედაქცია შეიცავს ისეთ დეტალებს, რომლებიც სხვა „ცხოვრებებში“ ან სრულებით არ არის, ან განსხვავებულია.

1. ილარიონის ცხოვრების ყველა რედაქცია აღნიშნავს, რომ ილარიონის ეპისკოპოსად კურთხევის ცდას ადგილი ჰქონდა ილა-

რიონის იორდანიის უდაბნოდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ხოლო სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქციას ეს ფაქტი ილარიონის გარეჯის უდაბნოში მოღვაწეობის პირველ პერიოდში, მის საზღვარგარეთ წასვლამდე გადმოაქვს.

2. ილარიონი იერუსალიმის წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ დაეყუდა იორდანიის უდაბნოში, იოვანე ნათლისმცემლის „ქუბაში“. ილარიონის აქ მოღვაწეობა მეტაფრასტული და სვინაქსარული ცხოვრების ძველი რედაქციით გრძელდებოდა 17 წელი, ხოლო ათონური და შემოკლებული „ცხოვრების“ მიხედვით — 7 წელი. სვინაქსარული ცხოვრების გვიანდელი რედაქცია ისევე როგორც ათონური და შემოკლებული, იოვანე ნათლისმცემლის „ქუბას“ არ იხსენიებს, ხოლო „დაყულების“ წლები განსხვავებულია ილარიონის ყველა ტიპის ცხოვრებისაგან: „განვიდა უდაბნოდ და ათხუთმეტისა წლისა ეამნი დაყვნა დაყულებით“.

3. ილარიონის გარდაცვალებისა და მისი „წმიდა ნაწილების“ თესალონიკიდან კონსტანტინეპოლში გადმოსვენების თარიღები ილარიონის ცხოვრების არც ერთი რედაქციაში არ არის აღნიშნული; სვინაქსარული ცხოვრების გვიანდელი რედაქციის ბოლოს, ბასილი იმპერატორის ბრძანებით რომანას მონასტრის აგებისა და ილარიონის „წმიდა ნაწილების“ ამ მონასტერში გადმოსვენების ფაქტის აღნიშვნის შემდეგ ნათქვამია: „ესე იყო დასაბამითგან წელთა ექუსათას სამას ოთხმოცდაათსა“; ე. ი. ეს თარიღი ეხება „წმიდა ნაწილების“ გადმოსვენებას, რაც ილარიონის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო⁷⁰ (საბინინს, ალბათ, აქედან აქვს აღებული ცნობა, რომ ილარიონი გარდაიცვალა „882 წელსა, სამოცდაათურამეტისა წლისა“. ილარიონი რომ 53 წლის ასაკში გარდაიცვალა, ეს პირდაპირაა ნათქვამი ათონური რედაქციის ცხოვრებაში, რომლის არსებობა საბინინისათვის არ იყო ცნობილი). ილარიონის გარდაცვალების თარიღი, როგორც ეს სვინაქსარული ცხოვრების გვიანდელ რედაქციაში (ან საბინინის ცნობაში) არის მოცემული, სიმართლეს არ შეესაბამება.

აკად. კ. კეკელიძის გამოკვლევით, ილარიონი 875 წ. (19 ნოემბერს) გარდაიცვალა. ხოლო აქედან გამომდინარე მისი ნაწილების გადასვენებაც მომდევნო წელს მოხდებოდა⁷¹.

⁷⁰ კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 157.

⁷¹ იქვე.

17. გობრონი

არაბთა ამირა აბულ-კასიმს 914 წ. ყველის ციხის აღების შედეგად ხელში ჩაეპარდნია ამ ციხის ერთ-ერთი დამცველთაგანი, აზნაური გობრონი, რომლისთვისაც თავი მოუკვეთიათ, რადგანაც მან არ დათმო ქრისტიანობა და არ მიიღო არაბთა სარწმუნოება. ეს მომხდარა 17 ნოემბერს და ამიტომაც ქართულმა ეკლესიამ, რომელმაც მოწამე წმინდანთა რიგებში ჩაირცხა, ამ დღეს დააწესა წმიდა გობრონის ხსენების დღე.

გობრონის წამების ამბავი აღუწერია ამ ამბების თანამედროვეს სტეფანე მტბევარს (914—918 წლებში), მაგრამ გობრონის ცხოვრების შემცველი ჩვენამდე მოღწეული უძველესი ხელნაწერი მხოლოდ 1713 წლისაა (A—130).

არც ჩვენამდე შემორჩენილ ლიტურგიკულ ხელნაწერებში გვაქვს გობრონის ხსენება და სვინაქსარული ცხოვრება XVIII ს. დასაწყისზე ადრე. ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება გვქონდეს A—985 ხელნაწერის ფრაგმენტში. ფრაგმენტი მხოლოდ ერთი ფურცლითაა შემორჩენილი; იგი რომელიდაც უცნობი სვინაქსარული კრებულის 17—19 ნომბრის დღეების შემცველი ფურცელია. ხელის მიხედვით ეს „სვნაქსარი“ XVII ს. მეორე ნახევარზე ადრინდელი არ უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, სვინაქსარის ძირითად ტექსტში ქართველ მოღვაწეთაგან მხოლოდ ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრება იყო მოსალოდნელი, რადგან გადარჩენილი ერთი ფურცლის მიხედვით ზოგიერთი ქართველი მოღვაწის სვინაქსარული ცხოვრებანი ხელნაწერის კიდებზე ყოფილა მიწერილი. ამას აღაბტურებს ის, რომ ფრაგმენტის აშვიბზე ტექსტის ხელით მიწერილი არის გობრონის სვინაქსარული ცხოვრება 17 ნომბრის დღეს და ილარიონ ქართველის სვინაქსარული ცხოვრების II რედაქცია 19 ნომბრის დღეს. სვინაქსარის სხვა ფურცლებიც, ალბათ, შეიცავდა ამაზე მიწერილ ზოგიერთი ქართველი მოღვაწის სვინაქსარულ ცხოვრებას.

ამრიგად, თუ ჩვენამდე მოღწეული ლიტურგიკული ხასიათის ხელნაწერების მიხედვით ვიმსჯელებთ, გობრონის სვინაქსარული ცხოვრების შექმნა XVII ს. დასასრულითა და XVIII ს. დასაწყისით უნდა განისაზღვროს. ამაზე ლაპარაკობს, A—985 ხელნაწერს თავი რომ დავანებოთ, რომლის XVII საუკ. დათარიღება მხოლოდ ხელის მიხედვითაა შესაძლებელი, A—111 გულანი, რომლის სვინაქსარული ნაწილი სხვა მოღვაწეთა ცხოვრებებთან ერთად ტექსტის

ძირითად ნაწილში შეიცავს გობრონის სვინაქსარულ ცხოვრებასაც. ეს გულანი კი ექვემოტანლად 1703—15 წლებით თარიღდება⁷². აქედან ჩანს, რომ, მართალია, გობრონის წამების სრული რედაქცია გობრონის წამებისთანავე შექმნილა ამ ამბის თანამედროვისაგან, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთაგან სვინაქსარული ცხოვრების შემცველი ხელნაწერები ვრცელი ცხოვრების შემცველ ხელნაწერებზე უფრო ადრინდელია.

გობრონის სვინაქსარული ცხოვრება მოკლეა, იგი წარმოადგენს ვრცელი ცხოვრების მოკლე შინაარსს. სვინაქსარული და ვრცელი ცხოვრების ფრაზეოლოგიური შეხვედრის თითქმის არც ერთი მაგალითი არ დასტურდება.

ცნობილი A—425 სადღესასწაულო შეიცავს აღნიშნული სვინაქსარული ცხოვრებისაგან განსხვავებულ ვარიანტს. რომელსაც ვრცელი სვინაქსარული ხსენება შეიძლება ვუწოდოთ. რადგან აქ ორიოდე სიტყვითაა აღნიშნული გობრონისა და მასთან ერთად წაქებული 133 აზნაურის დასჯის ფაქტი. ასეთივე ხსენება გადასულია A—220 (1726 წ.) სვინაქსარულ კრებულშიც.

18. ექვთიმე მთაწმიდელი

ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრების შესახებ ჩვენ უკვე ვრცლად ვილაპარაკეთ. აღვნიშნეთ, რომ ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების ძველმა (XI ს.) რედაქციამ ჩვენამდე უამრავი ნუსხებით მოაღწია.

აქ ჩვენ ძალიან მოკლედ შევეხებით ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრების მეორე, გვიანდელ რედაქციას, რომელიც პირველისაგან განსხვავებით ერთადერთი 1726 წ. ნუსხითაა ცნობილი.

ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია ენობრივი ნიშნებით გვიან შედგენილი ძეგლი ჩანს. მისი შედგენა ამ სვინაქსარულ კრებულში (A—220) შესულ სხვა, ზოგიერთი ქართველი მოღვაწეების სვინაქსარულ ცხოვრებათა მსგავსად არ უნდა სცილდებოდეს XVIII ს. I მეოთხედის ფარგლებს⁷³.

⁷² ამ რედაქციის სვინაქსარული ცხოვრების დანარჩენი ნუსხები მოთავსებულია H—970 (1742 წ.), კუთაისის 111 (XVIII ს., ამაზე ამ ტექსტის ხელით) ხელნაწერებში.

⁷³ სვინაქსარული ცხოვრების ამ რედაქციაში ექვთიმეს მძიმე სენისაგან ღმრთისმშობლის გამოცხადების შედეგად განურჩევლის ეპიზოდის გადმოცე-

რამ გამოიწვია ამ სვინაქსარული ცხოვრების შედგენა. როდესაც არსებობდა ძალიან გავრცელებული, შეიანიშნავი მხატვრული ღირებულების მქონე ძეგლი — ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრება. შედგენილი XI ს. I ნახევარში? სვინაქსარული ცხოვრების გვიანდელი რედაქცია ძველზე მოკლე რომ იყო, შეიძლება დაგვხადებოდა ექვი: კრებულში არ შეიტანეს ვრცელი სვინაქსარული ცხოვრება და, რომ შემოკლებით ეს ძეგლი არ დაემახინჯებიათ, ამ კრებულსათვის სპეციალურად შეადგინეს ახალი რედაქციის უფრო მოკლე ტექსტი; მაგრამ, ჯერ ერთი, ამ „სვინაქსარში“ შეტანილია გვიან შედგენილი და მანამდე უცნობი ზოგიერთი ისეთი სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც გაცილებით ვრცელია ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების ძველ რედაქციაზე, მეორეც, ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების გვიანდელი რედაქცია არ არის მასზე პატარა. ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების ხელშეორედ შედგენის მიზეზი, ჩვენი აზრით, შემავგი უნდა ყოფილიყო: A — 220 „სვინაქსარი“ გადაწერილია მოსკოვში 1726 წელს. ამ კრებულისათვის მასალების შეგროვების დროს შემდგენელმა, თუ გადამწერმა, ალბათ, ეო შიაკვლია ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების ნუსხას: ჩანს, ამ ხელნაწერის დედანში ის არ იყო. ამიტომ გადამწერმა თვით შეადგინა. თუ შეადგენია ექვთიმეს სვინაქსარული ცხოვრების ახალი ვარიანტი და თავის კრებულში შეიტანა. ასეთი სვინაქსარული ცხოვრების სახელდახელოდ შედგენა კი დიდად არ გაძნელებოდა. რადგან, როგორც ქვეით ვნახავთ, იგი ექვთიმეს ცხოვრების სრული რედაქციის შემოკლებული პერიფრაზია.

სვინაქსარული ცხოვრების აღნიშნული რედაქცია მთლიანად სრულ ცხოვრებაზე დამყარებული ძეგლია. მართალია, იგი წყაროს აიტყვავაიტყვით არ იმეორებს, მაგრამ მთელი სიზუსტით მიჰყვება მის თანამიმდევრობას და შეკუმშულად აპერიფრაზებს მას. ისე, რომ არ ტოვებს აღუნიშვნელს არც ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდსა და დეტალს. ძირითადად ასეთი ვითარებაა სვინაქსარულ და ვრცელ

მის ნახშირია ურასა: „დედოფალი ენზე შემოვიდა და ქართული სპენითა მებრახებოდა“. ექვთიმეს ცხოვრების უძველეს ხელნაწერში (A — 25E, 1074 წ.), როგორც მოსალოდნელი იყო, ვაქცეს: ქართული სპენითა. მოგვიანო ხანის უფრო XVIII ს. ხელნაწერებში იკითხება, როგორც სვინაქსარულშია „ქართლისა ენითა“. აქედან შესაძლებელია გავაყოლოთ ვასენა, რომ სვინაქსარული ცხოვრების წყარო ექვთიმეს ცხოვრების XVII—XVIII ნუსხაა. ამდენად, ეს ვარაუდი მხარს უჭერს დასუებას, რომ ეს სვინაქსარული ცხოვრება XVIII ს. აღჩინდელი არ არის.

ცხოვრებათა უმეტესი ადგილების ფრაზეოლოგიურ-შინაარსობლივ მიმართებაში. სვინაქსარული ცხოვრება საგრძნობლად ამოკლებს წყაროს და არ ცდილობს მისი ფრაზეოლოგია თუნდაც ზოგჯერ მაინც მთელი სიზუსტით გამოიყენოს. ამ ორი ცხოვრების ტექსტებს შორის მხოლოდ ზოგადი ფრაზეოლოგიური ნათესაობა შეიქმნევა. სვინაქსარული ცხოვრების სხვადასხვა ადგილი წყაროსთან ფრაზეოლოგიურ ნათესაობას მეტ-ნაკლები ინტენსივობით გვიჩვენებს. ზოგჯერ ფრაზეოლოგიურ მიმართებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან სვინაქსარული ცხოვრება წყაროს მთელ ეპიზოდს ორიოდ წინადადებით გადმოგვცემს. გაცილებით უფრო მჭიდროა სვინაქსარულია და ვრცელი ცხოვრების შინაარსობლივი მსგავსება, რადგან სვინაქსარული ცხოვრება, როგორც აღვნიშნეთ, ვრცელი ცხოვრების თანამიმდევრობით გადმოგვცემს ექვთიმეს ცხოვრების შინაარსს, ოღონდ ყველა ეპიზოდს ამოკლებს. ერთადერთი ადგილი, რომელიც სვინაქსარულში მთელი სისრულითაა გადმოტანილი ვრცელი ცხოვრებიდან, არის ექვთიმეს მიერ ნათარგმნ წიგნთა სია.

სვინაქსარული ცხოვრება ვრცელი ცხოვრების ცნობებს უმატიებს რამდენიმე დეტალს, რასაც გამართლება არ ეძებნება:

1. სვინაქსარულ ცხოვრებაში ნათქვამია: „და დიდებულთა ძეთა თანა წარიყვანეს ძეცა ამა იოვანესი მხოლოდ შობილი ეფთვში და მოიყვანეს კოსტანტინეპოლედ“ (A—220, 375r). ექვთიმე მთაწმიდლის ბიოგრაფიიდან და სხვა ისტორიული წყაროებიდანაც ცნობილია, რომ მას ჰყავდა ძმები, ასე რომ სვინაქსარული ცხოვრება არსებული წყაროების უცოდინარობის გამო უწოდებს ექვთიმეს მხოლოდშობილს.

2. ბარდა სკლიაროსის აჯანყებასთან დაკავშირებით ვრცელი ცხოვრებიდან გადმოტანილ ეპიზოდში სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელს სკლიაროსი მიუჩნევია ხალხის, ტომის სახელად. რაც კარგად ჩანს ტექსტიდან: „მაშინ იქნა განდგომილება სიკილიაროსთა და ჰქელით კერძო ყოველივე დაიპყრეს“ (A—220; 375 v). „...მოვიდა (თორნიკე) საბერძნეთი: და ბრძოდა სიკილიაროსთა, სძლო, იოტნა, მოსწყვიდნა“ (იქვე).

3. სვინაქსარულ ცხოვრებას თხრობა ტრაფარეტული ფორმით დაუწყია: „მეფობასა ბერძენთა ზედა IIIIII ქართლს დავით კურაპალატისა იყო კაცი... და სახელი მისი იოვანე“. სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელს არ სცოდნია სახელი იმდროინდელი ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ II და ამიტომ ერთი სიტყვისათვის ადგილი დაუტოვებია. ბიზანტიის მეფის სახელის ამ ადგილას შე-

მოტანის ცვაც სვინაქსარული ცხოვრების ინიციატივით. რადგან ვრცელში. მეფის სახელი შესაბამის აღვილას არ იხსენიება.

4. ექვთიმეს თესალონიკელ ურიასთან კამათის ეპიზოდში ვრცელი ცხოვრება ამ ურიის სახელს არ ასახელებს. სვინაქსარული ცხოვრების ამ რედაქციაში კი ურიის სახელიც უნდა იყოს აღნიშნული: „მოვიდა მუნ კათალიკოზი თესალონიკელი მთაწმიდას და მოყვა მას ურია ერთი რომა. განრისხნა ურია იგი, გმობდა ქრისტესა და აგინა სარწმუნობასა. შერისხნა ეფთვიმემ და პრქუა: „პირი დაიყუა“ და შეუსუულად უტყუ იქმნა“ (A-220, 376v).

ამრიგად, ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრების მეორე, გვიანდელი რედაქცია, რომელიც ერთადერთი 1726 წ. ნუსხითა ცნობილი, XVIII ს. I მეოთხედზე აღრინდელი შედგენილი არ ჩანს. იგი ვრცელი ცხოვრების რედაქციაზეა დამყარებული და იძლევა მის შემოკლებულ პერიფრაზს.

ეს სვინაქსარული ცხოვრება ექვთიმე მთაწმიდლის ვრცელ ცხოვრებასა და სვინაქსარული ცხოვრების XI ს. რედაქციასთან შედარებით გაცილებით დაბალი მხატვრული ღირებულების ძეგლია.

19. გიორგი მთაწმიდელი

გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია მხოლოდ ერთადერთი, 1726 წელს გადაწერილი „სვინაქსარის“ ნუსხაში გვხვდება (A-220). უძველესი „სვინაქსარები“. ისიც ორიოდე ხელნაწერი, აშეიბზე მინაწერის სახით შეიცავს გიორგი მთაწმიდლის მხოლოდ ხსენებას სვინაქსარული ცხოვრების გარეშე. უძველესია ცნობილი A-97 (XI ს.) სვინაქსარის აშიაზე ტექსტის ხელით მაწერალი გიორგი მთაწმიდლის მოსახსენებელი 29 ივნისს: „ამაჲე დღესა (ე. ი. 29 ივნისს) მიიცვალა ნეტარი მამაჲ ჩუენი გიორგი მთაწმიდელი თარგმანი ამისა წიგნისა და „სხუათაჲ“⁷⁴... (დანარჩენი არ იკითხება). მართალია, გიორგი მთაწმიდელი 29 ივნისს გარდაიცვალა, მაგრამ მისი ხსენება ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში თავიდანვე 30 ივნისს დააწესეს. ამის შესახებ ნათლად მოგვითხრობს გიორგი მთაწმიდლის ვრცელი ცხოვრება. დაწერილი მისი მოწაფის გიორგი ხუცეს-მონაზვნის მიერ: „...სრული სახსენებელი მისი ღოუჭსა ივნისსა 30-სა განწესა დღესასწაულსა წმიდათა

ათორმეტთა მოციქულთასა; ოცდა ცხრას წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლეს დღესასწაულისაგან არა ეგებოდა, დაღაცათუ მას დღესა მიიტყალა, რამეთუ ნეტარჲან პეტრე და ძემან მისმან იოანე ჭყონდიდელმან ესრეთ განაწესეს...“⁷⁵. მართლაც. A—97 სვინაქსარის გარდა გიორგი მთაწმიდლის ხსენების დღედ ყველა ხელნაწერი, რომელშიც კი გიორგის ხსენება შესულა, მხოლოდ 30 ივნისს ასახელებს; მაგალ. იერუს. —80 (XII—XIII სს.) სვინაქსარია XIV საუკუნის მინაწერი⁷⁶. დანარჩენი ხელნაწერები XVII—XVIII საუკუნისა არიან. XVIII ს. II ნახევარში ანტონ კათალიკოზის ინიციატივით გიორგის ხსენების დღე 27 ივნისს გადმოიტანეს⁷⁷, მისი „წმ. ნაწილების“ მთაწმიდის ერთი ქართული ეკლესიიდან მეორეში „მოცვლის“ დღეს.

A—220 „სვინაქსარში“ შესული გიორგი მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრების შედგენილობა და ენობრივი ნიშნები გვიჩვენებს. რომ ავ თხზულების შედგენა არ სცილდება XVIII ს. I მეოთხედის ფარგლებს. ეს საკმაოდ ვრცელი თხზულება გიორგი მთაწმიდლის ვრცელი ცხოვრების შემოკლებაა, რაზედაც მიუთითებს კიდევ შემდგენლის შენიშვნა სათაურშივე: „ამასვე დღესა (ე. ი. 30/VI) წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა. სიტყვა მოკლედ ნათქომი“⁷⁸.

მიუხედავად სვინაქსარული ცხოვრების საკმაოდ დიდი მოცულობისა, მასში ვერ ასახულა ვრცელი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული ხასიათის დეტალი და გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფიის ძირითადი ცნობა, თუმცა შემდგენელი ცდილა. დაეცვა თავისი წყაროს კომპოზიციური თანმიმდევრობა და წყაროს უმთავრესი მომენტების შინაარსი საკუთარი ფრაზეოლოგიით გადმოეცა. მთავარი ყურადღება, როგორც ჩანს, მას მაინც სასწაულმოქმედების ეპიზოდებზე გაუქაზვილებია და ვრცელ ცხოვრებასთან შედარებით დაახლოებით ოცჯერ უფრო მოკლე თხზულებაში წყაროს თითქმის არც ერთი ასეთი ეპიზოდი არ დაუტოვებია აღუნიშნავი, ოღონდ, რა თქმა უნდა, ზოგი მათგანი გადმოუღია მხოლოდ შემოკლებულად. სვინაქსარულ ცხოვრებას, როგორც ჩანს, წყაროს თხრობაში ზოგჯერ მცდარი კორექტივი შეუტანია, მაგ.: 1. გიორგის მშობლების შესახებ ნათქვამია: „იაკობ ითხოვა“ ასულს თრიალეთისა დე-

⁷⁵ საქაროვ. სამოთხე, გვ. 485.

⁷⁶ Jer.—80, გვ. 359.

⁷⁷ გ. კ. კ. ლ. ი. ძე. ეტიოდები, გ. 181.

⁷⁸ A—220, 414v.

* ტექსტში შესტყობილია „ამასვე ხსენება“.

ლოფლინა სახელით მარიამ⁷⁹. საიდან აიღო ეს მცდარი ცნობა სვინაქსარულმა ცხოვრებამ არ ვიცი, რადგან წყაროში მსგავსი არაფერია ნათქვამი: პირიქით, ვრცელი ცხოვრების ავტორის სიტყვით, მარიამი იყო საშუალო ფენის ოჯახიდან გამოსული. 2. სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით, გიორგი მთაწმიდელს მართლმადიდებლური ეკლესიის საკითხებზე საუბარი ჰქონია ბიზანტიის იმპერატორ რომანოზთან: „ხოლო მაშინ რომანოზ კეისარი ჯდა და დიდითა პატივითა შეიწყნარა და, ვითარცა იხილა სიბრძნე მისი, [ჰ]კითხა: „წმიდაო მამაო, მე კაცო ვარ მკვდრობაჲა შინა აღზრდილი და არა მიწვეულ ვარ სისრულესა სწავლათასა და რაათვის ჩუენ მფუჟანითა პურითა ვაწირავთ და ზედაშეს წყალთა ურთავთ და რომნი ჯმიაღითა სწირვენ და სომეხნი უწყლოთა?“⁸⁰ ეს საუბარი თითქმის ზუსტად ვრცელი ცხოვრების მსგავსი ადგილის განმეორებაა, ოღონდ გიორგი მთაწმიდლისა და კოსტანტინე დუკიწს შორის. რატომ შემოიტანა სვინაქსარულმა ცხოვრებამ კოსტანტინე დუკიწის მავიკრალ რომანოზ კეისარის სახელი, გაუგებარია. სვინაქსარული ცხოვრების ტექსტში შეიმჩნევა გადმოკეთების, თუ გადმოწერის დროს ტექსტის არასწორად ამოკითხვის, თუ უნებლიედ გამოტოვების შედეგად დაშვებული შეცდომებიც. აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ: გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილ წიგნთა სიაში, რომელიც სვინაქსარულ ცხოვრებაში ვრცელიდანაა გადმოწერილი, აღნიშულია: „წიგნი გრიგოლი შეენიერება და ქება ზეშთა არს ყოელისა მოთხრობისა“. ჩანს, რომ სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელს თუ გადამწერს გამორჩენია ორი სიტყვა, რის გამოც აზრი ამ წინადადებისა სვინაქსარულ ცხოვრებაში თითქმის გაუგებარია. ვრცელ ცხოვრებაში ვკითხულობთ: „წიგნი გრიგოლი ნოსელისა, რომლისა შშუენება და ქება ზეშთა არს ყოელისა მოთხრობისა“⁸¹ და სხვა.

ამრიგად, გიორგი მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრება. შედგენილი მხოლოდ გიორგი მთაწმიდლის ვრცელი ცხოვრების შინაარსობლივ და ნაწილობრივ ფრაზეოლოგიურ ბაზაზე. სულ ბოლო ხანებში — XVIII საუკუნის დასაწყისში შექმნილი ძეგლია. იგი ძირითადად წყაროს საგრძნობლად შემოკლებულ პერიფრაზს წარმოადგენს. თუმცა სპორადულად ფრაზეოლოგიური დამთხვევის შემ-

⁷⁹ A—220, 414v.

⁸⁰ A—220, 417r.

⁸¹ „სქაქართველოს სარობე“. გვ. 459.

თხვევებიც არაა გამორიცხული. სვინაქსარული ცხოვრების ზოგიერთი მცდარი და დამახინჯებული წაკითხვა გვაფიქრებინებს, რომ A—220-ში მოთავსებული ნუსხა დედანი არ არის, ე. ი. უნდა არსებულებოდა ამ სვინაქსარული ცხოვრების შედარებით უფრო აღრინდელი ნუსხა. მაგრამ არა უადრეს XVIII ს. დასაწყისისა.

XVIII ს. ქუთაისის საეთნოგრაფიო მუზეუმის — 105 ხელნაწერში⁸², რომელიც ისეთ სადღესასწაულოს წარმოადგენს, სადაც საგალობლებსაკითხავენთან ერთად შესულია სვინაქსარული ცხოვრებანიც, 30 ივნისს, გიორგი მთაწმიდელის ხსენების დღეს. სვინაქსარული ცხოვრების ადგილას ასეთი ტექსტია მოთავსებული: „ამასვე დღესა წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, რომელმან განმარტა წმიდაჲ დაეთით. ოდეს წმიდა მამასა ეფთჳმის მიეცა წმიდაჲ იგი დაეთით მწერლისათჳს და განერყევა მწერალსა და უქმარ ყოფილიყო და ეხილვა მამასა გიორგის და განცუფრებულ იყო და ეწყო ძიებად ბერძულთა და დაეთის თარგმნთაგან გამოწუქილვად და განრკვევად შემოწმებითა მრავლითა დაეთთაგან და განესწორებინა ფალსუმი მიმოდანეული ფრიალითა შრომითა და რუღუნებითა (ტექსტშია — რუღონება) და ესეცა უწყოდით, შემდგომად მამისა ეფთჳმისა მამამან გიორგიმ თარგმნა დაეთით და განთინა ქუეყანასა ზედან და სხუანიცა მრავალნი სამღთონი წერილნი განასწორნა და უფლისა მიმართ მიიცივალა“⁸³.

ცხადია, მოტანილ ტექსტს ჩვენ ვერ ეუწოდებთ გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების სვინაქსარულ რედაქციას მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტი სადღესასწაულოში ეკვეპიტანლად სვინაქსარული ცხოვრების ადგილასაა შეტანილი და მისი როლის შესრულება აკისრია. ზუსტად რომ განისაზღვროს ამ ტექსტის შინაარსი, შეიძლება ითქვას, რომ აქ გადმოცემულია გიორგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმდიდრესი საქმიანობის მხოლოდ ერთი მხარის — საღმრთო წიგნთა თარგმანების — ერთი დეტალი, ფსალმუნის ხელმეორედ თარგმნის მიზეზი.

ძნელი არ არის მოინახოს მოტანილი ცნობის წყარო: ეს ცნობა თითქმის სიტყვასიტყვით აღებულია გიორგი მთაწმიდლის ანდერძი-

⁸² ხელნაწერთა აღწერილობაში (ე. ნიკოლაძე..., ხელნაწ. აღწერ. I) ხელნაწერი XVII—XVIII საუკუნისადაა მიჩნეული, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს ხელნაწერი არ შეიძლება XVIII ს. I ნახევარზე ადრე იყოს გადაწერილი, თუნდაც იმიტომ, რომ იგი შეიცავს ქუთევეს დედოფლის სვინაქსარულ ცხოვრებას და ისიც ახალი, უცნობი გაგრძელებით.

⁸³ ქუთ. — 105, 306v.

და⁸⁴. რომელიც ერთვას მის მიერ თარგმნილი ფსალმუნის განმარტებას. საფიქრებელია, სადღესასწაულოს გადამწერს განუზრახავს გიორგი მთაწმიდლის ხსენების დღე შეევსო სვინაქსარული ცხოვრების მსგავსი ცნობით. ამისათვის მას ზემოაღნიშნული გიორგის ანდერძი შემოკლებულად გადმოუღია, ანდერძის პირველი პირის თხრობა კი მეტამეთი შეუცვლია.

20. დავით აღმაშენებელი

ქართული ეკლესიის ისტორიაში დავით აღმაშენებელი პირველი მეფეა, რომელსაც წმინდანად აღიარების პატივი ერგო არა მოწამებრივი აღსასრულის გამო, არამედ თავისი ხალხის, ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე დიდი ღვაწლისა და მამობრივი მზრუნველობისათვის.

ქრისტიანული სარწმუნოების წინაშე მის დამსახურებას კარგად ახასიათებს ანტონ კათალიკოსი, რომელსაც დავითის ხსენების დღედ ძველთაგანვე დაწესებული 25 იანვარი 26 იანვრით შეუცვლია: „ხოლო ჰქსენება წმიდისა კეთილმსახურისა მეფისა დავით მესამისა(?!), რომელსა აღმაშენებლად ზედწოდებულ ჰყოფენ, რომელი იყო წერილი იანუარსა 7^ე, და აწ დავჰსდევ მე მასვე თთუჭსა 7^ე ამისოვს, ვითარმედ დღესა 7^ე იანუარსა არს დღესასწაული დიდისა მოძღურისა და ღმრთის-მეტყუჭლოსა, და არა ეგებოდა დატყეება ქსენებისა მისისა, და უკეთუ ამასა დავიდუმებდით, ყოვლად უსაპართლობამცა შთავცკვენით ბრალსა, რაჟეთუ თუ სადმე დავით არა მოევლინა დმერთსა ჩუჭნდა, სრულიად აღიკოცამცა ჩუჭნ შორის ბილწ-ჰსჯულთა მახმედიანთა მიერ სახელი ქრისტესი, ვითარცა არს დღეს აღკოცილი ყაბარდიასა შინა და ავაზგიასა, რომელნიც ჩუჭნ თანა იგინიცა ქრისტეანნი იყუნეს“⁸⁵.

მიუხედავად ჩვენამდე მოღწეული ლიტურგიული კრებულების არც თუ მცირე რაოდენობისა, მასალა დავით აღმაშენებლის შესახებ სუსტადაა წარმოდგენილი. მხოლოდ XVIII საუკუნის სადღესასწაულოების ათიოდე ხელნაწერი შეიცავს დავით აღმაშენებლის ხსენებას, სვინაქსარული ცხოვრების გარეშე, ამათგან ეს ხსენება მოთავსებულია 25 იანვრის ქვეშ ანტონ კათალიკოზის წინა პერიო-

⁸⁴ საქართველოს სამოთხე, გვ. 487.

⁸⁵ ქ. ქვეყნის ძეგ. ეტიუდები, IV, 1957, გვ. 183.



ღის ხელნაწერებში, ხოლო უფრო გვიანდლებში კი ანტონის რედაქციის „თათუენი“-ა გავლენით – 26 იანვარს.

დავით აღმაშენებლის სვინაქსარული ცხოვრება ერთადერთი გვიანდელი (XVIII ს. ბოლო) ხელნაწერით (H—274) არის ცნობილი. ხელნაწერი ორთუროცლიან გვიანდელ ქაღალდზეა დაწერილი, საკმაოდ ულამაზო მხედრულით. ხელნაწერის აშეიბზე და ტექსტის შიგნით შეტანილი შესწორებანი, გადახაზული და დამატებული ადგილები გვაფიქრებინებს, რომ ეს ხელნაწერი დედაა. აქედან გამომდინარე, დავითის სვინაქსარული ცხოვრება შედგენილია XVIII ს. ბოლო ხანებში. ამ ვარაუდს მხარს უჭერს სვინაქსარული ცხოვრების ენობრივი მონაცემებიც: მართალია ამ თხზულების შემდგენელს განუზრახავს ძველი ქართული ენის ნორმების დაცვა. მაგრამ ეს პრინციპი ბოლომდე გატარებული არ არის და ამიტომ ხშირად გვხვდება ერთი და იგივე ფორმები როგორც ძველი, ანევე ახალი ქართულიაათვის დამახასიათებელი ნიშნებით. დაბლოებით შეიძლება განიარაღდოს ამ სვინაქსარული ცხოვრების შედგენის პერიოდი: სვინაქსარული ცხოვრების ტექსტში საქართველოს მნიშვნელობით იხმარება სახელწოდება „ივერია“, რომლის გაჩენა XVIII ს. II ნახევარზე ადრე მოსალოდნელი არ უნდა იყოს: „და ოდეს სრულ იქმნა ანაკითა. მას ეჰსა გაპოვიდა წმიდა ესე ქვეყანასა ივერიისასა“. სვინაქსარული ცხოვრება რომ XVIII ს. II ნახევარზე ადრე არ შეიძლება შექმნილიყო, ამას ადასტურებს სხვა ფაქტიც. როგორც საერთოდ ცნობილია და ანტონ კათალიკოსის შემოპოტანალი სიტყვებიდანაც ჩანს. დავით აღმაშენებლის ხსენება 25 იანვარს დაუწესებიათ. მაგრამ ეს დღე ანტონ კათალიკოსს გარკვეული მოსაზრებებით შეუცვლია 26 იანვრით⁸⁶. ჩვენი თხზულება დავითის ხსენების დღეს სწორედ 26 იანვარს უჩვენებს: „თვესა იანვარსა კვ ქაენება... მეფისა დავით მესამისა(?)...“ ჩვენ გვაქვს საბაბი ვიფიქროთ, რომ სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისი ანტონის მიერ თავის „თთუშნი“-ში შეტანილ დავით აღმაშენებლის ხსენების ტექსტს დასესხებია. ანტონს დავითის ხსენება თითქმის სიტყვასიტყვით გაუმეორებია თავის „თთუშნის“ შესავლის ზემოთ მოტანილ ადგილას. თვალსაჩინოებისათვის პარალელურად ვაჩვენებთ სამივე ტექსტს:

⁸⁶ ანტონ კათალიკოსმა „თთუშნი“ რუსეთში ყოფნის დროს (1756—1767) შეადგინა.

**სვინაქსარული
ცხოვრება**

„თთუშნი“

„თთუშნის“ შეხავალი

თვესა იანვარსა
კვ კსენება კე-
თილ-მსახურისა
მეფისა დავით მე-
სამისა ყოვლისა
საქართველოა-
სა და ზედ-წოდე-
ბულისა აღმაშე-
ნებელისა“ (H—
274, გვ. 1).

თთუშსა ია-
ნუარსა კვ კსე-
ნება წმიდისა
კეთილ-მსახუ-
რისა მეფისა
დავით მესამისა
ყოვლისა საქარ-
ველოასა და აფ-
ხაზეთისა, ზედ-
წოდებით აღმა-
შენებელისა (S—
1464,836).

..ხოლო კსენება
წმიდისა კეთილ
მსახურისა მეფე-
სა დავით მესა-
მისა, რომელსა აღ-
მაშენებლად ზედ-
წოდებით ჰყო-
ფენ, აწ დაჰსდევ
მე მასვე თთუშსა კვ“.

სვინაქსარული ცხოვრების მიერ ანტონის თხზულებიდან ამ ადგილის სესხების ფაქტი უდავოა. ჩანს, რომ სვინაქსარული ცხოვრების შემდგენელს გადმოწერისას „აფხაზეთისა“ გამორჩენია. რასაც ადასტურებს ამჟამად შემორჩენილი უფუნქციო „და“.

ხომ არ შეიძლება დავით აღმაშენებლის სვინაქსარული ცხოვრება ანტონ კათალიკოსის ნახელავად მივიჩნიოთ, რომელიც პან შეადგინა „თთუშში“ შესატანად. აქ მოულოდნელი არაფერი იქნებოდა, ექვი რომ არ გვეპარებოდეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სვინაქსარული ცხოვრება არ არის ანტონის „შტილით“ დაწერილი. მეორე მხრით, თუკი ეს შემდეგდროინდელი მინაშატი არ არის⁸⁷, სვინაქსარული ცხოვრების ბოლო წინადადება გვაფიქრებინებს. რომ ეს თხზულება შედგენილია გელათის მონასტერში, ადგილობრივი სასულიერო პირის მიერ: „ხოლო ჩვენ მსახურებელნი წმიდათა ნაწილთა მისთანა ვმოქნეობთ მის მიერ მეოხებასა“.

თავისი გვიანდრობის მიუხედავად დავით აღმაშენებლის სვინაქსარული ცხოვრება ბევრ საინტერესო ფაქტობრივ მასალას შეიცავს, რომლის ჰუმარიტების გარკვევა ხშირად არ ხერხდება. რადგან ბევრი რამ სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის.

⁸⁷ შუამდგომლობა მინაწერად შეიძლება ვიველისხმოთ იმათომ, რომ ეს წინადადება გადახაზული წინადადების ნაცვლად წერია სხვა მელნით. თუ ამ შესწორებებს ავტორისეულად არ მივიჩნევთ, მაშინ აღნიშნულ წინადადებას ძირითადი ტექსტის კუთვნილებად ვერ ჩავთვლით.

დავით აღმაშენებლის ცხოვრება⁸⁸, რომელსაც დავითის მოძღვარს არსენ ბერს მიაწერენ, დავითის ანდერძი, მიცემული 1123 წ. შიო მღვიმის მონასტრისადმი⁸⁹, ანდერძი შედგენილი 1125 წ., გარდაცვალებიდან წინ⁹⁰, და აგრეთვე რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ გაგრძელებად მიჩნეული „ქება“ დავით მეფისა, რომელიც არსენ ბერს ეკუთვნის⁹¹, წარმოადგენენ იმ ძირითად წყაროებს, რომლებიც დავით აღმაშენებლის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ძირითად ცნობებს გვაწვდიან. ამ წყაროთა მონაცემების კეშმარიტებაში ეკვლის შეტანა არ შეიძლება, რადგან ყველა მათგანი თვითმხილველთა მიერ დავითის მოღვაწეობის პერიოდშივეა შექმნილი. სწორედ ამ წყაროებთან შეპირისპირებით დავით მეფის სვინაქსარული ცხოვრება იძლევა ზოგიერთ ისეთ დეტალს. რის შესახებაც აღნიშნულ ძირითად წყაროებში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი. ამდენად, სვინაქსარული ცხოვრების ამ ახალი ცნობების შემოწმება ჭირს.

სვინაქსარული ცხოვრება დასაწყისშივე გვამცნობს, რომ „ოდეს მოიწია უსჯულო აგარიანი აღმოსავლეთით წარსატყვევენელად ჩრდილოეთისა მხარეთა, მას ეამსა წმიდა ესე (ე. ი. დავითი) იყო უსრული ასაკითა და ივლტოდა მთად ოსეთისა, რომელ დედაცა მისი შობილ იყო მისვე მთისა მთავართაგანთა და განათლებულ იქმნა ნათლის-ღებითა წმიდისა ემბაზისათა. და იყო ფარულად მთასა მასვე და აღიზარდა“.

მოტანილ წინადადებაში ორი ისეთი ცნობაა მოცემული, რაც სხვა წყაროებიდან არ ვიცით: 1. ბავშვობაში დავითი ოსეთს გაუხიზნავთ, სადაც ის წლების განმავლობაში იზრდებოდა. 2. დავითის დედა, გიორგი II-ის მეუღლე ოსეთის მთავრის ქალი ყოფილა. რამდენად სარწმუნოა სვინაქსარული ცხოვრების ჩვენება?

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი შეუფერადებლად აგვიწერს თურქ-სელჯუკთა შემოსევის საშინელებას. ეს შემოსევები

⁸⁸ ქართლის ცხოვრება, I, გამოც. ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს ნ ი ე რ, 1955, გვ. 318—364.

⁸⁹ Ө. Ж о р д а н и я, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шно-Мгвимской лавре 1123 г. Тиф., 1895, стр. 1—34.

⁹⁰ თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 1897, გვ. 51—53; საბინინი, საქ. სამოთხე, 1882, გვ. 512—513.

⁹¹ მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 528—530.

1065 წლიდან დაიწყო⁸², მაგრამ თურქთა ძალმომრეობამ საშინელი ხასიათი მიიღო 1080 წელს, რომელიც ისტორიკოსმა პირველი „დიდი თურქობის“ სახელით მონათლა: „დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აქარა, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჰყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვდრი ყოველი და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი და არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი... მოქამეს ქუეყანა და მოსწყუდნეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და კურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა: რამეთუ ქორონიკონი იყო სამასი. ხოლო თუ ვინმე მთოულეთს ან სიმაგრეთა სადამე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა. და განგრძელდა ესევეითარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა... რომელნიმე მწარესა ტყუეობასა მიცემულ იქმნეს, მოხუცებულნი არა შეწყნარებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, კაბუჯნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვლნი მიმოტაცებულ“⁸³.

დავით მეფის ისტორიაში აღწერილი ამ ამბების დროს დავითი, როგორც ეს სვინაქსარულ ცხოვრებაშია ნათქვამი, მართლაც „იყო ესრული ასაკით“ — 7 წლისა, რადგან იგი დაბადებულია 1073 წელს⁸⁴. შეიძლება თუ არა სარწმუნოდ მივიჩნიოთ სვინაქსარული ცხოვრების ჩვენება, რომ დავითი ამ დროს ოსეთში გახიზნეს?

მიუხედავად იმისა, რომ აღრინდელ წყაროებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი და სვინაქსარულ ცხოვრებაში შეტანილი ცნობა ერთადერთია, ეს ფაქტი, შესაძლებელია, ქემშარიტებას მოკლებული არ იყოს. დავითის ისტორიის ზემოთ მოტანილი ამონაწერიდან ნათლად ჩანს იმდროინდელი საქართველოს ტრაგიკული მდგომარეობა. თურქ-სელჯუკების მიერ გიორგი II თითქმის მთელი სამეფოს დაპყრობას (კახეთი ამ დროს ჯერ კიდევ შემოერთებული არ იყო, ხოლო ქართლის ნაწილი, კერძოდ თბილისი და მისი მიდამოები არაბთა ხელში იმყოფებოდა) გამოუწვევია მოსახლეობის ძირითადი ნაწილის გახიზვნა. როგორც ჩანს, ვისაც გასვლა ვერ მოუხსრია, ამოჟლეტის მწარე ხვედრი რგებია წილად, თუმცა „მთიულეთს ან სიმაგრეთა სადამე“ ნაჩქარევად გადამაღულთა ნაწილიც „ზამთრის სიფიცხისა“ და შიმშილის მსხვერპლი გამხდარა. თურ-

⁸² ი. ვ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 152.

⁸³ ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 319—320.

⁸⁴ ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 193.

ქები არ ინდობდნენ არაეის და მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს ერთნაირი სისასტიკით უსწორდებოდნენ. განსაკუთრებით ნაღირობდნენ მკირეწლოვან ბავშვებზე. ასეთი ვითარების დროს არაფერი შეუძლებელი არ არის, თუ დავითსაც გახიზნავდნენ ოსეთში; რატომ მაინცდამაინც ოსეთში? ამაზე პასუხს სვინაქსარული ცხოვრების ზემოაღნიშნული ადგილი იძლევა: „დედაცა მისი (ე. ი. დავითისი) შობილ იყო მისვე მთისა (ე. ი. ოსეთის) მთავართაგანისა“. ისტორიოგრაფიაში არ არაა ცნობილი გიორგი II მეუღლის სადაურობა და ვინაობა⁹⁵, ამდენად ამ ცნობის საწარმოის შემოწმება არ ხერხდება, მაგრამ თუკი ჩვენ გავითვალისწინებთ გიორგი II წინა და მომდევნო პერიოდების ქართველ მეფე-დიდებულთა ურთიერთობას ოსეთთან⁹⁶, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ცნობაშიაც არაფერი დაუჭერბელი არ არის.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის სვინაქსარული ცხოვრების ორი ახალი ცნობა შეიძლება სიმართლის შემცველიც იყოს. შესაძლებელია, დავითის ისტორიკოსმა დავითის შესახებ თხრობა მისი მეფედ კურთხევის შემდეგ (როდესაც ის თექვსმეტი წლის გახდა) იმიტომ დაიწყო, რომ გვერდი აეელო მისი გახიზვნის დეტალისათვის, რათა ამით ეროვნული სიამაყის გრძობა არ შელახულიყო.

სვინაქსარულ ცხოვრებაში საინტერესო ფაქტებია მოცემული გელათის მონასტრის მშენებლობასთან დაკავშირებით. ზოგიერთი მათგანი წინააღმდეგობაშია ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებთან. მოკლედ შევებებით ამ საკითხებს.

სვინაქსარული ცხოვრება კატეგორიულად აცხადებს, რომ დავით აღმაშენებელი არის გელათის პირველი მაშენებელი: „იგი მიმოვიდოდა ადგილებთა, რათა იპოოს მან კეთილმდებარე და უძრავი და იხილა რა ადგილი ესე, მყის იწყო შენებად“ (H—274). თ. ჟორდანიას, ეყრდნობა რა გელათის გულანის (A—186) ჩვენებას, გამოთქვამს ვარაუდს, რომ გელათის პირველი მაშენებელი არის ბაგრატ III. მისი აზრით, ამ ვარაუდს ამაგრებს გულანის ტექსტში ჩართული ფრაზა: „წიწა უდაბნოასა (გელათის) აღმაშენებელსა

⁹⁵ თ. ჟორდანიას ეყრდნობა რა წყაროსათვის სახარების მინაწერს, აღნიშნავს, რომ მას ელენე ერქვა. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, 1892, გვ. 235.

⁹⁶ ბაგრატ IV ოსეთის მთავრის ქალი ბორენა ჰყავდა მეუღლედ; გიორგი I-ის მეორე ცოლი ოსის ქალი ყოფილა (ქართ. ცხ., I, 221), თანაირი ოსეთის ბაგრატიონთა რძალი გახდა და ა. შ.

ბაგრატ მეფისა საუკუნომცა არს საქსენებელი“, რომლის მიხედვითაც, საფიქრებელია, რომ პირველად მოხსენებული ბაგრატ III, ხოლო მეორედ აღმაშენებლად ბაგრატ IV უნდა ვიგულისხმოთ. თ. ჟორდანიას აზრით, ამ არგუმენტს მხარს უჭერს ხელნაწერის მოსახსენებელთა ქრონოლოგიურად დალაგების პრინციპიც, რადგან ამ ორი ბაგრატის შემდეგ მსგავსი მოსახსენებლები აქვთ დავით აღმაშენებელსა და დანიელ მონაზონს, ე. ი. დემეტრე მეფეს, დავით აღმაშენებლის ძეს, როგორც იმავე მონასტრის მასწავლებლებს⁹⁷.

თ. ჟორდანია („ქრონიკები“, I, 202 გვ.) უშვებს ახალ ვარაუდს, რომ აღნიშნულ ხელნაწერში (A—186) მოხსენებულ გელათის მასწავლებელთაგან პირველი ბაგრატ IV, ხოლო „მეორედ აღმაშენებლად“ წოდებული კი — ბაგრატ იმერთა მეფე.

ამ პირთა საქმიანობას თ. ჟორდანია გელათის წმ. გიორგის ეკლესიის აშენება-განახლებაში ხედავს. რადგან გელათის დიდი ტაძრის მშენებლობის დაწყებას უყოყმანოდ მხოლოდ დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირებს⁹⁸. გელათის პირველ აღმაშენებლად ბაგრატ IV გამოცხადება თ. ჟორდანიას მიერ გამოიწვია S—252 ხელნაწერის შემდეგმა ქორონიკონმა: „ქსა სოზ: ამა ქორონიკონსა დავით აღმაშენებელს გელათი დაუწყია და ქორონიკონი მიბრუნებული არის“⁹⁹.

თ. ჟორდანიას მართებული შენიშვნით „ამ ქორონიკონს (1057 წ.) დავით აღმაშენებელი დაბადებულიც არ იყო“. ამიტომ მკვლევარი გამოთქვამს ასეთ ვარაუდს: „ეს ქრონიკა, ცხადია, მოგვიტოვრობს გელათის დაწყებას ბაგრატ IV-საგან. ალბათ, ქრონიკის დამწერს საბუთი ჰქონია იმისი, რომ გელათის შენება 1057 წ. დაუწყიათ, მაგრამ რადგან ყველამ იცის, რომ დავით აღმაშენებლისაგან არის აგებული გელათი, ამის გამო თვითონ ჩაუმატებია სიტყვები „დავით აღმაშენებელს“¹⁰⁰.

მართოდენ მოტანილი ცნობის საფუძველზე ბაგრატ IV გელათის პირველ მასწავლებლად გამოცხადება სარწმუნო არ ჩანს. სპო

⁹⁷ თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 144.

⁹⁸ იქვე, გვ. 202.

⁹⁹ იქვე; ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ხელნაწერის ყველა ქორონიკონი მე-14 მოკლევას ეკუთვნის, გარდა ზემოდამოწმებულისა, ამიტომ არის მიმატებული: „ქორონიკონი მიბრუნებული არის“.

¹⁰⁰ თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 1892, გვ. 202.

უმეტეს, რომ ბაგრატი, როგორც ვნახეთ, ამ მინაწერში სრულ-ებით არ იხსენიება. თ. უორდანია შეცდომას ხედავს დასახელებულ ქორონიკონთან დავით აღმაშენებლის სახელის მოხსენიებაში, რაც სწორია, რადგან დავითს არაფრით არ შეეძლო 1057 წ. გელათის მშენებლობის დაწყება, მაგრამ რატომ არ შეგვიძლია ეპვი შევიტანოთ ქორონიკონის სისწორეში?

ამრიგად, უფრო სარწმუნო ჩანს, რომ დავით აღმაშენებელი არის გელათის პირველი მაშენებელი, ბაგრატ იმერთა მეფე კი წმ. გიორგის ეკლესიის განმაახლებელი. ბაგრატ IV არ შეიძლება იყოს წმ. გიორგის ეკლესიის აღმაშენებელი, რადგანაც ეს ძეგლი არქიტექტურის თვალსაზრისით XIII საუკუნეზე ადრინდელი არ უნდა იყოს¹⁰¹.

სვინაქსარული ცხოვრების ცნობა, რომ დავითმა გელათის დიდი ტაძრის დამთავრება ვერ მოასწრო, დადასტურებულია სხვა წყაროებითაც. დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძში ნათქვამია: „ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შეილთა ჩემთა უსრულად“...¹⁰², მაგრამ სვინაქსარულ ცხოვრებაში კონკრეტულადაა მითითებული, რომ დავითმა გელათის დიდი ტაძარი „აღაგო თვნიერ გუნბან დისა“. დავითის ანდერძის ის ადგილი, სადაც მეფე თავის მემკვიდრეს დემეტრეს ავალებს, რომ მან გელათის მონასტერი დაასრულოს, სვინაქსარულ ცხოვრებაშიცაა განმეორებული, ოღონდ კონკრეტულად გუშბათის აშენებაზე მითითებით: „რათა დაადგა გუნბათი საძვალეს, ჩეჴა ეკლესიასა გენაეთისასა“. დემეტრე მეფეს, მართლაც, შეუსრულებია მამის ანდერძი და დაუსრულებია გელათის მონასტერი, რაც დასტურდება წყაროების ჩვენებით: დემეტრე მეფე დანიელ მონაზონის სახელით მოხსენებულია გელათის მონასტრის მშენებელთა შორის გელათის გულანში (A—186). ქართლის ცხოვრებაშიც აღნიშნულია, რომ „დემეტრე მეფე ბელტის ციხეს მიიცივალა და გელათს წარიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა, ქორონიკონი იყო სამას სამოცდათორმეტი“¹⁰³ (1154 წ.).

საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ სვინაქსარული ცხოვრების რამდენიმე ცნობა, რომელთაგან ნაწილის სისწორე საფუძვლიან ექვეს ბაღებს, ხოლო ნაწილი კი აშკარა შეცდომაა.

¹⁰¹ რ. მეფისაშვილი, გელათი, თბილისი, 1955, გვ. 12.

¹⁰² მ. საბინინი, საქართვ. სამოთხე, 1882, გვ. 513.

¹⁰³ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, 1955.

სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით დავით აღმაშენებელმა პირველად წმ. გიორგის ეკლესია ააგო, ხოლო შემდეგ კი გელათის დიდი ტაძარი.

„იწყო შენებად პირველად წმიდისა გიორგის ტაძრისა და ქმნა რა სრულ, შემდგომად იწყო შენებად ტაძრისა ყოვლად წმიდისა ღმრთის-ძმობლისასა და ალაგო თვინიერ გუბანდისა“. თუკი სწორია ხელოვნებათმცოდნეობაში გამოთქმული აზრი, რომ წმ. გიორგის ტაძარი XIII ს. ადრინდელი ძეგლი არ უნდა იყოს, მაშინ სვინაქსარული ცხოვრების ეს ცნობა სიმართლეს მოკლებული ჩანს.

სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით, დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტრის ასაშენებლად „მოუწოდა მუშაკთა საბერძნეთისათა“. ეს ცნობა განვითარებულია სვინაქსარული ცხოვრების იმ ადგილასაც, როდესაც დავითი დემეტრეს ანდერძად უბარებს: „რათა მოუწოდო კუ ა ლ ა დ ე ე მუშაკთა საბერძნეთისათა და დაადგა გუნბათი საძვალესა ჩემსა ეკლესიასა გაენათისასა“. ამ ცნობის შემოწმება წყაროების საშუალებით არ ხერხდება. მართალია, გელათის დიდ ტაძარს ეტყობა ბიზანტიური არქიტექტურის გავლენის კვალი, მაგრამ ნაციონალური ხუროთმოძღვრების ქარბი ელემენტები არ იძლევა საფუძველს ეს ძეგლი მხოლოდ საბერძნეთის „მუშაკთა“ ნახელავად მივიჩნიოთ: ეროვნული არქიტექტურის მდიდარი ტრადიცია ამის საჭიროებას არ მოითხოვდა. შესაძლებელია, სვინაქსარულ ცხოვრებაში აისახა გელათის მონასტერში ტრადიციულად უამკვიდრებელი, რაღაც ზეპირი გადმოცემა, რომლის სისწორე საფუძვლიან ეჭვს ბადებს.

ბუნდოვანია სვინაქსარული ცხოვრების ჩვენება დავითის მეუღლისა და შვილების შესახებ. აქ ნათქვამია, რომ დავითმა: „შემდგომად მოიყვანა ცოლად ასული მისეე მთისა მთავართაგანისა და ნათელ-სცა მოძღურისა თვისისა ზეცით არსენისათა და შვნა ორნი ძენი და ერთი ასული“. სვინაქსარული ცხოვრების ამ წინადადებაში მრავალი შეუსაბამობაა.

დავითის მეუღლეს სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით უშვია ორი ძე და ერთი ასული. და შემდეგ „განვიდა... ამიერ მეუღლე მისი“... ეს ცნობა ყოველნაირად გაუმართლებელია. ჭერ ერთი, დავითს, მართალია, ორი ძე ჰყავდა, მაგრამ ასულიც ორი¹⁰⁴, რაც ნათლად დადასტურებულია ქართლის ცხოვრების მიხედვით დავით აღმაშენებლის შემკვიდრის დემეტრეს ცხოვრებაში: „...ამანვე წელსა

¹⁰⁴ ი. ევლიძის ვარაუდით დავითს მესამე ქალიც უნდა ჰყოლიდა (ეტიოპია, IV. გვ. 5).

დემეტრე მეფე მოკუდა. და დაე დემეტრესი თამარ, თი-
ღსა აღმაშენებელი, იგიცა შემონაზონებული გარდაიცვალა, და
დაე მისი კატაე დედოფალი საბერძნეთს გათხოვილ იყო¹⁰⁵,
ე. ი. დემეტრეს, დავითის შვილს, ორი და ჰყოლია — თამარი და
კატაე. ერთზე მეტი ქალი იგულისხმება დავითის 1125 წ. ანდერძ-
შიც: „რათა ...დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა
საყუარელთა“, ნათქვამია ანდერძში დემეტრეს მისამართით.

პეორეც, ყივჩაღთა მთავრის ქალისაგან დავითს არ შესძენია
ორი ძე და ერთი ასული, როგორც ეს სვინაქსარულ ცხოვრებაშია
ნათქვამი. სარწმუნო უნდა იყოს დავითის თანამედროვე სომეხი
ისტორიკოსის მათე ურჰაელის ცნობა, რომ დავით აღმაშენებელს
ცოლად ჰყოლია სომხის ქალი, რომლისგანაც მას შეძენია უფლის-
წული და ტახტის მემკვიდრე დემეტრე¹⁰⁶. ამ ცნობის სიმართლეში
ივ. ჭავჭავაძის ეჭვი არ შეაქვს. აქედან ცხადია, რომ დავითს პირ-
ველად სომეხთა მეფის ასული მოუყვანია, რომლის ხსენება ქარ-
თულ წყაროებში რაღაც მიზეზების გამო არ არის, რომლისგანაც
შესძენია დემეტრე უფლისწული და ორი ქალი თამარი და კატაე.
ხოლო ყივჩაღთა მთავრის ასული გურანდუხტი საქართველოს დე-
დოფალი გაცილებით გვიან უნდა გამზადარიყო, რომლისგანაც დაი-
ბადა ერთადერთი ვაჟი — ვახტანგი. ამრიგად, სვინაქსარული ცხოვ-
რების ცნობა სავერტით გაუმართლებელია. მკადარია აგრეთვე ისიც,
ვითქოს ჩრდილოეთის მთიანი მხრიდან მოყვანილი დედოფალი ღა-
ვითზე გაცილებით ადრე გარდაიცვალაო, დავითის 1125 წ. ანდერ-
ძის მიხედვით ჩანს, რომ დავითის გარდაცვალების დროს დედოფა-
ლი ცოცხალია. რადგან დავითი თავის მემკვიდრეს დემეტრეს ან-
დერძში დედოფლისადმი მზრუნველობას ავალებს: „...და ესერა მი-
წოდა მე და უწოდა მაგას შეფობა... და მივანდუე შეილნი და დე-
დოფალნიცა, შეამდგომელობითა ღუთისათა...“¹⁰⁷

სწორი არ უნდა იყოს დავით აღმაშენებლის სვინაქსარული
ცხოვრების ცნობა, რომლის მიხედვით დავითის უმცროსი ვაჟის —
დავითის ისტორიის მიხედვით ვახტანგად წოდებულის — მეორე სა-
ხელად ცუტა (ყუატა) არის დასახელებული. სვინაქსარული
ცხოვრების მიხედვით, დავითი დემეტრეს უბარებს: „შემვჯომად
შენსა, შვილო, ძმაცა შენი ცუტა მეფედ აკურთხე. შემვჯომად
სიბერისა ამანცა ძეცა შენი აკურთხოს მეფედ“.

¹⁰⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 366.

¹⁰⁶ ივ. ჭავჭავაძის შრომა. ქართვ. ერის ისტორია, II, 194გ, გვ. 220.

¹⁰⁷ თ. გორღანიძე, ქრონიკები, II, გვ. 51.

სვინაქსარული ცხოვრების მოტანილი წინადადება დავით აღმაშენებლის 1125 წ. ანდერძის იმ ადგილის პერიფრაზი უნდა იყოს, სადაც ნათქვამია: „და მივანდუღწნ შეილნი და დედოფალნიცა შუამდგომლობით ღვთისათა, რათა ძმა მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-ყოს ცუა ტა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა“¹⁰⁸. ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა აზრი, რომ ცუა ტა არის დავით აღმაშენებლის უმცროსი ვაჟის ვახტანგის მეორე სახელი. აი რას ამბობს, ამის შესახებ, მაგალითად, კ. კეკელიძე: „ვფიქრობ ეს ვახტანგი უნდა იყოს ის ცუა ტა, ძმა დიმიტრისა. რომლის აღზრდას დავითი ანდერძად უტოვებს დიმიტრის“...¹⁰⁹

უნდა აღინიშნოს, რომ დავითის ვაჟის სახელად მიჩნეული „ცუა ტა“ მხოლოდ დავითის 1125 წ. ანდერძშია დადასტურებული; სხვა წყაროებიდან ამის შესახებ არაფერია ცნობილი. რა საფუძველი გვაქვს ჩვენ ეკვი შევიტანოთ ისტორიოგრაფიაში უკვე განმტკიცებულ ვარაუდში?

ჩვენ გვგონია, რომ დავითის არც ერთი ვაჟის სახელი არ ყოფილა „ცუა ტა“ და დავითის ანდერძშიც ეს სიტყვა ადამიანის სახელის მნიშვნელობით არ ყოფილა ნახმარი. მათ, ვინც სიტყვა „ცუა ტაში“ ადამიანის სახელი დაინახა. შეედომა მოსვლიათ ტექსტის დამახინჯებისა და გაუგებრობის ნიადაგზე.

თ. ეორდანიას მიერ „ქრონიკებში“ გამოცემული „ანდერძის“ ტექსტის ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში „ცუა ტა“-ში ადამიანის სახელის ამოკითხვა არაბუნებრივი ჩანს. ჯერ ერთი. წინადადების ასეთ წყობაში ადამიანის სახელი უნდა ყოფილიყო „ძმა მისი“-ს შემდეგ. მართლაც, მ. საბინინის გამოცემაში „ცუა ტა“ გადმონაცვლებულია წინ: „ძმა მისი ცუა ტა აღზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-ყოს. შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა“¹¹⁰. ჩვენი აზრით, მ. საბინინის მიერ გამოცემული „ანდერძის“ ხელნაწერის წაკითხვა. სადაც „ცუა ტა“ წინ არის გადმოტანილი, მეორეულია: გადამწერს, რომელსაც „ცუა ტა“ დავითის ვაჟის სახელად მიუჩნევია. უხერხულად მოსჩვენებია წინადადების ასეთი არაბუნებრივი წყობა და ეს სიტყვა საკუთარი მოსაზრებით წინ გადმოუტანია, რაც შემდეგდროინდელ გადაწერილ ტექსტებშიც გავრცელდა. აქვე დავსძენთ, რომ დავითის 1125 წ. „ანდერძის“ ყველა შემონახული ხელო-

¹⁰⁸ თ. ეორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 51.
¹⁰⁹ კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 5 (სქოლიო).
¹¹⁰ საქართველოს სამოთხე, გვ. 513.

ნაწერი ძალზე გვიანდელია, არც ერთი მათგანი არ სცალდება XVIII ს. ფარგლებს. საბინინისეული „ანდერძის“ ტექსტის წაკითხვა, რომ მეორეულია, ამას ადასტურებს თ. ჟორდანიას მიერ შ.აეისი გამოცემისათვის გამოყენებული ხელნაწერის ტექსტის ჩვენება, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ.

თუნდაც საბინინისეული გამოცემის წაკითხვა სწორი იყოს, ადამიანის სახელად „ცუატას“ მიჩნევა მაინც გაჭირდება. საქმე ისაა, რომ ამავე ანდერძის მეორე ადგილას, ცოტა ქვევით, ეს სიტყვა ისევ შეორდება სხვა კონტექსტში: „ხოლო დრაჰკანი კოსტანტი ცუატა და ჩემთა (?) ალაღნი და თუალმარგარიტნი ხახულის ღუთის-შობლისადა შემეწირავს, ხოლო ღუკატი და პოტანიტი ატენის საკურჭლესა“¹¹¹.

ანდერძის ამ ადგილის შესახებ კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ დავითს თავის შვილისათვის — ცუატასათვის დრაჰკანი კოსტანტი დაუტოვებია¹¹².

ამ კონტექსტში ადამიანის სახელად „ცუატას“ მიჩნევა ყოველად გაუმართლებლად გვეჩვენება. ჭერ ერთი, აქ ლაჰარაკია იმ სინდიდირეზე, რომელიც დავითმა ხახულის „ღუთისშობელსა“ და ატენის „საკურჭლეს“ შესწირა. ასეთ კონტექსტში კერძო პირისათვის რაიმე მემკვიდრეობის დატოვებაზე ლაჰარაკი, და ისიც პირველ რიგში, მოულოდნელია. მეორეც, აქ რომ ადამიანის სახელი იგულისხმებოდეს იქნება „ცუატას“ (როგორც ეს თ. ჟორდანიას აღუდგენია) და არა „ცუატა“ (როგორც ხელნაწერებშია).

ფერო სწორი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ „ცუატა“ აქ ფულის — კოსტანტის მიმართ არის ნახპარი და მცირის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ სიტყვას ანდერძის მეორე ადგილასაც. მართლაც, შინაარსობლივად სწორი იქნება. თუ ანდერძის ამ ადგილებს ასე გავიგებთ: ძმა მისი გაზარდოს და ღმერთმა თუ ინებოს და ივარგოს ცოტა. მის შემდეგ მეფედ დასჯასო. მეორე ვარიანტი: ძმა მისი პატარა. მცირე გაზარდოს. „ცოტას“ „პატარას“ მნიშვნელობით ხმარება ხშირად დასტურდება. მაგ. უძველეს ფოლკლორულ ძეგლში „აჰარანი“ „ცოტა კაცია ამირან. ცოტა სმა-ჰაჰა ეყოფა“... დავითის ვაჟის — ვახტანგის მიმართ პატარა-მცირეს თქმა ანდერძის დაწერის მომენტში ბუნებრივია, რადგან იგი ამ დროს მხოლოდ 7 წლისა იყო¹¹³.

¹¹¹ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 51—52.

¹¹² კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 5.

¹¹³ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 247.

ანდერძის მეორე ადგილი კი ასე უნდა გავიგოთ: დუკატი კოსტანტი ცოტა... ხახულის ღვთისმშობლისათვის შემღწირავს... და ა შ. ერთი სიტყვით, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით რამდენად მოსალოდნელია „ცოტა“-ს „ცუტა“, ან „ცვატა“ ფორმით ხმარება და უძველეს თუ არა ამას საფუძვლად ფონეტიკური ან დიალექტური მოვლენები, თუ მიზეზი ასეთი შეცვლისა გადამწერის მიერ ამ სიტყვის დამახინჯების შედეგია. ერთი სიტყვით, ჩვენ ამ სიტყვაში დავითის უმცროსი ვაჟის მეორე სახელის ამოკითხვა ძალზე საეჭვოდ გვეჩვენება. ამრიგად, დავითის სვინაქსარული ცხოვრების შეცდომა მომდინარეობს „ანდერძის“ ტექსტიდან (სვინაქსარულ ცხოვრებაში ნახმარია „ცუტა“, როპლის წარმოშობა „ცოტასაგან“ უფრო ადვილი დასაშვებია ო-სა და უ-ს შინაცვლების ნიადაგზე).

აშკარა შეცდომაა დაშვებული სვინაქსარულ ცხოვრებაში, როდესაც აღნიშნულია, რომ დავითი: „იქმნა რა სამეოცდა რვისა წლისა, განიპყრნა კელნი... და განუტევა სული“. ისტორიოგრაფიაში საკმაო სიზუსტითაა გარკვეული, რომ დავითი დაიბადა 1073 წელს და გარდაიცვალა 1125 წ.¹¹⁴, ე. ი. 52 წლის ასაკში. სვინაქსარული ცხოვრების მიერ დაშვებული შეცდომის წყაროს მიგნება არ ხერხდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სვინაქსარული ცხოვრების ყველა დეტალის წყარო ჭერჭერობით მიუქვლეველია, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვინაქსარული ცხოვრების გარკვეული ნაწილი დავით აღმაშენებლის 1125 წ. ანდერძს ეყრდნობა და თავისებური პერიფრაზით გადმოგვცემს მისი უმნიშვნელოვანესი დეტალების შინაარსს. ამ ორი ძეგლის ურთიერთდამოკიდებულებას სხვა დეტალებზე, რომ არაფერი ვთქვათ, რაც საკმაო რაოდენობით მოიპოვება. საკმარისია, თუნდაც ის ფაქტი, რომ სვინაქსარული ცხოვრების „ცუტა“ მხოლოდ აღნიშნული ანდერძის გზით უნდა გაჩენილიყო ჩვენს ძეგლში, რადგან დავითის შესახებ შემორჩენილი ისტორიული წყაროებიდან ეს ფორმა მხოლოდ ამ ანდერძის ტექსტშია დადასტურებული. სვინაქსარული ცხოვრება უნდა იცნობდეს დავით აღმაშენებლის ისტორიასაც, რაზედაც, ჩვენი აზრით, უნდა მიუთითებდეს რამდენიმე შინაარსობლივი პარალელი. ჩვენ მხოლოდ ერთი მაგალითით დაეკმაყოფილდებით. სვინაქსარულ ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ დავითმა „აღიღო გვრგვნი სამეფო და დაადგა ძესა თვსსა თავსა ზედა და შეაცვა სამეფო ბეჭედი მარჯვენასა

¹¹⁴ ივ. ჭავჭავაძის შრომა, ქართ. ერის ისტორია, II, 1965, გვ. 193.

კელსა მისსა“. ეს ადგილი დავითის ისტორიის შესაბამისი ადგილის განმეორება უნდა იყოს „ამანცა თვისითა კელითა დასუა საყდართა თვსთა ძე თვისი დიმიტრი... და დაადგა თავსა შუენიერსა გვრგვნი ქვათაგან პატიოსანთა... და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვლი“¹¹⁵. ეგვეუა განმეორებული დიმიტრი მეფის ცხოვრებაშიც: „სრულ ყო რა დავით სრბა მეფობრივი ქორონიკონსა სამას ორმეოცდახუთსა... სიცოცხლესავე შინა მისსა დასუა მეფედ ძე მისი დემეტრე და დაადგა გვრგვნი თვთ მისითა კელითა“¹¹⁶.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის სვინაქსარული ცხოვრების რედაქცია, მიუხედავად მისი ძალზე გვიანდელიობისა, საინტერესო ძეგლი ჩანს, უპირველეს ყოვლისა, მაშინ აღნიშნული ისტორიული მნიშვნელობა ფაქტებით, რომელთა უპირველესობა უცნობია სხვა წყაროებით და. ამდენად, მათი ქეშმარიტების შემოწმება არ ხერხდება. ჩვენი აზრით, ზოგიერთი ცნობის ქეშმარიტება საეჭვო ჩანს, მაგრამ არ იქნება სწორი. თუ სვინაქსარული ცხოვრების ყველა ახალ ცნობას ასეთი უნდობლობის თვალთ შევხედავთ; სვინაქსარულ ცხოვრებაში აღნიშნულია რამდენიმე ისეთი ფაქტი, რომლებიც სხვა წყაროებითაც ცნობილი ქეშმარიტებაა.

გარდა ზემოაღნიშნული წყაროებისა, რომელთა კვალი ეტყობა სვინაქსარულ ცხოვრებას. შესაძლებელია, შემდგენელს გამოყენებული ჰქონდეს სხვა, ჩვენთვის ჩერჩერობით უცნობი წყაროებიც. მაგრამ ცნობათა იმ სიახლეთაგან, რომელიც დავითის სვინაქსარულ ცხოვრებას ახასიათებს, უმეტესი ნაწილი გელათის მონასტერში ტრადიციულად განმტკიცებული ზეპირი გადმოცემებიდან უნდა შესულიყო.

21. ქეთევან დედოფალი

ქართულ აგიოგრაფიულ და ლიტურგიკულ კრებულებს შემოუნახავს ქეთევან დედოფლის სვინაქსარული ცხოვრების ორი რედაქცია. ერთი მათგანი, რომელიც უფრო ადრინდელი უნდა იყოს, შესულია 1713 წ. გადაწერილ აგიოგრაფიულ კრებულში (A—130). რომლის შედგენას დომენტი კათალიკოზის სახელს უკავშირებენ¹¹⁷. ამ კრებულში მოთავსებულია ქართულ წმინდანთა ვრცელი ცხოვრებანი და ამიტომ რამდენადმე მოულოდნელია ქეთევანის სვინაქსა-

¹¹⁵ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 363.

¹¹⁶ იქვე, გვ. 364.

¹¹⁷ ე. ლ. შუბლოველი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი, ანუშვილის სახ. თბილისის პედ. ინსტ. შრომები, ტ. VIII.

რული ცხოვრების გამოჩენა. საქმე ისაა, რომ ეს სვინაქსარული ცხოვრება კრებულში ქეთევანის ვრცელი ცხოვრების ნუსხასთან ერთად არის შეტანილი და ამდენად მის შემადგენელ ნაწილად გაგებული. როგორც ჩანს, ქეთევან დედოფლის ღვაწლის აღმწერს არა მარტო მისი „ცხოვრება“ აღწერია, არამედ შეუდგენია მისი დღესასწაულის მთელი „განგება“ (ვრცელი ცხოვრება, საგალობლები და სვინაქსარული ცხოვრება), რომელიც აგიოგრაფიული კრებულის შემადგენელს მთლიანად შეუტანია კრებულში. მაინც რა საფუძველი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ ქეთევან დედოფლის ვრცელ და სვინაქსარულ ცხოვრებათა ავტორად ერთი და იგივე პირი მივიჩნიოთ?

სვინაქსარული ცხოვრება რომ არ არის დამოუკიდებელი თხზულება. ამის შესახებ მოწმობა თვითონ ძეგლშია მოცემული: როდესაც სვინაქსარული ცხოვრება გაკვრით აღნიშნავს კონსტანტინე მეფის მოკვლის ამბავს, მიუთითებს: „ე ი თ ა რ ც ა ზ ე მ ო რ ე ს ა კ ი თ ხ ა ვ მ ა ნ ც ხ ა დ - ყ ო ს“. ასევე, როდესაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ შაჰ-აბასი ეძებდა მიზეზს, რათა კონსტანტინესათვის შური ეძია, ნათქვამია: „იძია-ცა, ვითარცა საკითხავსა შინა წერილ-არს, და მოაოქრა ქუეყანად ესე“¹¹⁸. მარტოოდენ სვინაქსარული ცხოვრებით ნათელი არ არის, თუ აქ რა საკითხავი იგულისხმება. ეს ფრაზები გასაგები გახდება, თუკი ამ კრებულის წინა გვერდებს ვნახავთ, რომელზედაც მოთავსებულია ქეთევანის ვრცელი ცხოვრება, სადაც, მართლაც, დაწვრილებითაა აღწერილი ის. რასაც სვინაქსარული ცხოვრება მხოლოდ გაკვრით შეხებია. ეს ფრაზები ნათლად მეტყველებენ, რომ სვინაქსარული ცხოვრების შექმნა და გამომზეურება ვრცელი ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად ძნელი წარმოსადგენია. უფრო ახლოს ვიქნებით ქვეშარიტებასთან, თუ ვიფიქრებთ, რომ სვინაქსარული ცხოვრების პირველივე ნუსხა ვრცელ ცხოვრებასთან ერთად გამოქვეყნდა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ყველა კრებული, რომელშიც კი შესულა ქეთევანის ვრცელი ცხოვრების ეს რედაქცია, ყოველთვის შეიცავს აღნიშნულ სვინაქსარულ ცხოვრებასაც (A—130, A—176, A—170, H—2077, H—1672, H—611 და სხვ.)¹¹⁹. ძნელია წარმოსადგენია,

¹¹⁸ A—130, 193v. ქვემოთაც გვერდებს მიუთითებო ამ ხელნაწერების მიხედვით.

¹¹⁹ მხოლოდ S—3263-ში ვრცელი ცხოვრების შემდეგ მოცემულია სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისი და შემდეგ მიითითება ვრცელ ცხოვრებაზე.

რომ სვინაქსარული ცხოვრება კრებულის შემდგენელს გაეკეთებინოს და ვრცელი ცხოვრებისათვის დაერთოს, რადგან ამ ოპერაციას იგი არა მარტო ქეთევანის ცხოვრების მიმართ ჩაატარებდა, არამედ ქართველ წმინდანთა სხვა ცხოვრებების მიმართაც. ამრიგად, ქეთევან დედოფლის სვინაქსარული ცხოვრების ამ რედაქციის შექმნის დროისა და შემდგენელის ვინაობის გარკვევა მხოლოდ ვრცელი ცხოვრების მიხედვით შეიძლება.

ქეთევან დედოფლის „ცხოვრებისა და წამების“ ორი ვრცელი რედაქციაა ცნობილი: ერთი, რომელსაც გრიგოლ დოდორჭის ხუცეს-მონაზონს აკუთვნებენ¹²⁰, და მეორე, რომელიც ანტონ პირველს სხვა წყაროებისა და მათ შორის გრიგოლის „ცხოვრების“ მიხედვით შეუდგენია¹²¹.

ამჟამად ჩვენ ქეთევანის „წამების“ გრიგოლისეული რედაქცია გვანტერესებს, რადგან სწორედ მასთან ერთადაა ყოველთვის მოთავსებული ჩვენთვის საინტერესო სვინაქსარული ცხოვრება.

ქეთევანის ვრცელი ცხოვრების დოდორჭელისეული რედაქცია ბოლო ხანებში გამოვლინდა. ამ ცხოვრების გამომცემელმა ტრ. რუხაძემ მის ავტორად დაასახელა გრიგოლი დოდორჭელი, რომელსაც მრავალი ქართული წყარო მიაწერს ქეთევანის ცხოვრების დაწერას. თუკი ეს ვარაუდი საეჭვო არ არის, მაშინ მასვე უნდა მივაკუთვნოთ სვინაქსარული ცხოვრების შედგენაც. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ვრცელი ცხოვრების ავტორს, ე. ი. გრიგოლ ხუცეს-მონაზონს უნდა შეედგინოს ქეთევან დედოფლის დღესასწაულის მთელი განგება. მართლაც, ვრცელი ცხოვრების შესავალში ავტორი თვითონ აღნიშნავს ამ ფაქტს: „არამედ არა ვინებუ, რათამცა არა აღვწერნე ლუაწლნი მოღუაწებათაწი ნეტარისა დედოფლისა ქეთევანისნი... ხოლო ჩუენცა, რომელნი ესე წლითიწლად შესხმით და ქებით საგალობელსა და დღესასწაულსა შეენიერსა შეუმზადებთ კეთილად მძღესა და ყოვლად-სანატრელსა დედოფალსა...“ ამ სიტყვებით დასტურდება ის ვარაუდი, რომ გრიგოლ ხუცესმონაზონს შეუდგენია ქეთევანის დღესასწაულის მთელი განგება, რომელიც, რა თქმა უნდა, სვინაქსარულ ცხოვრებასაც გულისხმობს.

¹²⁰ ტრ. რუხაძე, ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. V, 1949, გვ. 231. ტექსტი გამოცემულია იქვე, გვ. 248—267.

¹²¹ გ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 583—597.

თუკი ეს ორი თხზულება, მართლაც, ერთი პიროვნების ნახელავია, მაშინ ამ ფაქტს ცხოვრებათა ტექსტობრივ-შინაარსობლივი მიმართებაც დაადასტურებს. სვინაქსარული ცხოვრების ვრცელიდან რომდინარეობა ექვს არ უნდა იწვევდეს, მიუხედავად იმისა, რომ ის წყაროს ფრაზეოლოგიას მხოლოდ რამდენადმე ხმარობს. უმეტესად კი პერიფრაზულ ვარიანტს გვაძლევს.

სვინაქსარული ცხოვრება

ვრცელი ცხოვრება

„ესე წმიდაჲ და სამგზის სანატრელი დედოფალი ქეთევან აღმოეცენა ქუეყანით ქართლით, სანახებსა მუხრანთასა ნათესავი მეფეთა, შვილი მშობელთა ღმრთისმსახურთა. ხოლო სიჩჩოთ მისითგან იყო ესრეთ შუენიერ, რომელსა ვერ ესწორებოდეს ყოველნი მოჰასაყენი მისნი და ასულნი მეფეთა და დიდებულთანი“ (A—130, 193r).

„ხოლო ესე სამგზის სანატრელი მოწამე ქრისტესი დედოფალი ქეთევან აღმოეცენა ნათესავთაგან ცხებულთა, ქუეყანისაგან მუხრანისაჲსა, კაცთაგან მორწმუნეთა და ღმრთისმოყუარეთა, დიდთა და ღიღებულთა და პასკეტთა ქუეყანასა მას ქართლისასა და აღიზარდა კეთილთა მშობელთაგან, ვითარცა შუენოდა სიკეთესა მათსა, სწავლითა ღმრთით მსახურებისაჲთა და დღითი-დღე წარმატებოდა... იყო ესე ნეტარი სილევითა ხატისაჲთა ფრიად შუენიერ და ბრწყინავდა პირი მისი ვითარცა მზე, ჰაეროვნებაჲ მისი დაჰფარვიდა პირსა ყოვლისა ქუეყანისასა“ (გვ. 248—49).

ამ ადგილების ერთმანეთთან კავშირი შეიძლება სარწმუნოდ არ გვეჩვენოს მიუხედავად მათი ფრაზეოლოგიური საერთო მასალისა, რადგან ცხოვრების დასაწყისში, მით უმეტეს, როდესაც ფაქტები მოცემულია ზოგად შტრიხებში, ერთი პიროვნების შესახებ შექმნილი არამცთუ ორი ძეგლი შეიძლება იჩენდეს სიახლოვეს. არამედ ორ სხვადასხვა წმინდანის სვინაქსარულ ცხოვრებათა დასაწყისიც. ამიტომ ჩვენ კიდევ მოვიტანთ რამდენიმე დამატებით მაგალითს, სადაც ამ ორი ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდის ერთნაირად აღწერის შემთხვევები შემთხვევითი არ შეიძლება იყოს:



ვრცელ და სვინაქსარულ ცხოვრებათა მონათხრობი: „...მეფე ალექსანდრე დიდსა სიბერესა მიწევნულ იქმნა; და უძღურებისათჳს და სიბერისა თვისისა ველარა განაგებდა კუერთხსა მეფობისა თვისისა[სა] და იყვნეს სამეფონი მათნი დიდსა ურვასა და მწუხარებასა შინა, თავადნი, აზნაურნი და ყოველნი ერნი მათნი. ამას ყოველსა თანა მოადგეს დავითს, ძესა მისსა, ყოველნი ესევეითარნი და ჰრქუეს მას სიტყვთა ესევეითარითა რამეთუ: „...ჰა ესერა, ძალ-გიცხ, აღსდეგ და შემეწიენ ჩუენ, და დაიპყარ მეფობაჲ ჩუენი და მის წილ განაგე კუერთხი მეფობისა მისისაჲ“... შეუძნდა ესე დავითს... და არა ენებათ, რათამცა ცხოვრებასა მამისა მათისა[სა] თვთ მეფე ქმნილიყო სამეფოსა მათსა... და არა ენება საქმისა ამისა კელყოფაჲ. და კულად თავადთა მათ აიძულეს... და ძლითლა სადმე დაარწმუნეს საქმისა აღსრულებად. და წარვიდა მამისა თვისისა თანა და თაყუანისცემით შენდობასა ითხოვდა მისგან. ხოლო მამა მისი, ხედვიდა რა ესევეითარსა მოკრძალებასა მისსა, მანცა ნება-სცა...“¹²⁹.

მოკლედ ამასვე იმეორებს სვინაქსარული ცხოვრებაც: „ხოლო მას ჟამსა მიწევნულ იყო სიბერესა მეფე ალექსანდრე და სვინითა მძიმითა შეპყრობილ იქმნა. მაშინ გარე მოადგეს ერი მრავალი ძესა მეფისა ალექსანდრესსა დავითს, რაჲთამცა ყვეს იგი მეფედ. ვითარცა აქუნდა სიყუარული მისი სიჩჩოთგან თვისით. ხოლო იგი არ ერჩიდა მათ და ესრეთ ეტყოდა...: «არა ჯერ-არს, რაჲთამცა იყოს მეფე ცოცხალ და მის წილ ძე მისი მეფე იქმნას». ხოლო მათ არა ისმინეს მისი, არამედ აღიტაცეს იგი და ყვეს მეფედ მძლავრ“¹³⁰.

მოუხედავად იმისა, თუ რომელი წყაროს მხარეზეა ქვეშარიტება, ჩანს, რომ სვინაქსარული ცხოვრება შინაარსობლივი სიზუსტით და ფრაზეოლოგიური სიახლოვით იმეორებს ვრცელი ცხოვრების მონაცემებს. ვრცელი ცხოვრების მსგავსადვე სვინაქსარულიც დავითისადმი სიმპათიებთან ერთად ჩრდილს აყენებს ალექსანდრე მეფის პიროვნებას: დავითის გარდაცვალების შემდეგ „დაიპყარ მეფობაჲ მამამანვე მისმან ალექსანდრე და ძკრი იქსენა ძესა თვისსა ზედა და შურ-იგო შურისგებითა ამით. ვითარქედ მისცა ძე მეფისა დავითისი ყრმა თეიმურაზ მეფესა სპარსთასა სარკინოზსა შაჰაბაზ ყენსა, რაჲთა არღარა მოაქციოს სამკვდროსა და სამეფოსა თვისსა“¹³¹. სვინაქსარული ცხოვრების ეს ეპიზოდი ვრცელი ცხოვრების შესაბამისი ადგილის მსგავსია: „მისტაცა ჰაჰამან თვსგან კელთა-

¹²⁹ ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა, გვ. 249.

¹³⁰ A—130, 193v.

¹³¹ იქვე.

გან მისთა ყრმაჲ ჩული პასაკითა თეიმურაზ და ძღუნად წარუგზავნა მეფესა სპარსთასა¹³².

სულ სხვაგვარადაა მოცემული ეს დეტალი „ქართლის ცხოვრებაში“. აქ თავიდან ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ დავითის გამეფებამდე მის ძმას გიორგის განუზრახავს მისი მოკვლა, რათა ტახტის ერთადერთი მემკვიდრე გამხდარიყო. მაგრამ დავითს ღროზე შეუტყვია შეთქმულების ამბავი და „შეიპყრა იგი და მისთანაცა შეთქმულნი იგი ერნი, და წარიყვანა იგი და პატიმარ-ყო ცახესა შინა თორღასა“¹³³. დავითის სიკვდილის შემდეგ ქეთევანს შეშინებია „ნუჟკვე ძვირი იხსენოს გიორგიმ, რომელ ყო ძვინად ში ზედა“ დავითმა, და ამიტომ „ქეთევან იხმია გონიერება კეთილი და წარგზავნა ძე თვისი თეიმურაზ შააბაზ ყეენთან“¹³⁴. როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ალექსანდრე მეფე აქ არაფერ შუაშია.

ამრიგად, თუკი ქეთევანის ვრცელი ცხოვრების ზოგიერთი დეტალი უთანხმოებას ამჟღავნებს კახეთის ისტორიის ზოგიერთ წყაროსთან, სვინაქსარული ყოველთვის ვრცელი ცხოვრების პოზიციებზე დგას და მასთან მჭიდრო შინაარსობლივ კონტაქტში იმყოფება. სხვა საბუთებთან ერთად ეს ფაქტიც მიუთითებს, რომ სვინაქსარული ცხოვრება შედგენილია ვრცელი ცხოვრების შინაარსობლივ და ნაწილობრივ ფრაზეოლოგიურ ბაზაზე.

მხოლოდ ერთ დეტალში ჩანს უთანხმოება ამ ორ ცხოვრებას შორის: როდესაც ვრცელ ცხოვრებაში ლაპარაკია თეიმურაზის შაჰის კარზე წარგზავნასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ: „და ოდეს იყო ყრმაჲ, თეიმურაზ წარიყვანეს და მთავრად მეფესა სპარსთასა. განიხარა სიხარულითა დიდითა ფრიად და აღზარდა იგი თავისა თვისისა შეილაღ“¹³⁵. საპირისპირო სურათს გვიხატავს სვინაქსარული ცხოვრება: „ხოლო მან (ე. ი. შაჰ-აბასმა) შეაყენა ციხესა თავრებისასა და ტყვე ყო“¹³⁶. მოუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ ფაქტის ახსნა, ეს დეტალი არ არის საკმარისი, რომ სვინაქსარული ცხოვრების შემდგენლად და ვრცელი ცხოვრების ავტორად სხვადასხვა პირი ვიგულისხმოთ, რადგან სხვა საბუთები ასეთი დასკვნის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ. შეიძლება, აქ სვინაქსარულ ცხოვრებას თეიმურაზის ციხეში ჩასმის ის ეპიზოდი მოაქვს,

¹³² ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა, გვ. 250.

¹³³ ქართლის ცხოვრება, II, 538, 20.

¹³⁴ იქვე, 538, 21; 382, 16.

¹³⁵ ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა, გვ. 250.

¹³⁶ A—130, 193v.

რომელსაც უფრო გვიან ჰქონდა ადგილი. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სვინაქსარული ცხოვრება შედგენილია ვრცელი ცხოვრების მიხედვით და მეტ-ნაკლები სისრულით მოიცავს პირთა თითქმის ყველა მთავარ ეპიზოდს. თავის მხრივ ქეთევანის ვრცელი ცხოვრება სანახევროდ ისტორიული ხასიათის ძეგლია, ამიტომ მასში შოთხრობილია ამ ეპოქის კახეთ-სპარსეთის ურთიერთობის უმთავრესი მომენტები, რომლის გაგებაში ავტორი ხშირად, როგორც ჩანს, საკუთარ პოზიციებზე დგას. ვრცელი ცხოვრების ასეთმა ხასიათმა განაპირობა სვინაქსარული ცხოვრების მიერ ამ ისტორიული მომენტების აღნიშვნა, რაც, მართალია, უმთავრესად ქეთევანის პიროვნებასთან დაკავშირებითაა მოცემული, მაგრამ გავლენა მოახდინა სვინაქსარული ცხოვრების შედგენილობაზე. საერთოდ, სვინაქსარული ცხოვრება ეხება მოწამის ცხოვრებისა და წამების ძირითად მომენტებს და მასთან დაკავშირებულ ისტორიულ ფაქტებს ჩვეულებრივ გვერდს უვლის. ქეთევან დედოფლის სვინაქსარული ცხოვრება კი განსხვავებულ სურათს იძლევა. ვრცელი ცხოვრების გავლენით მასში შემოსულ ისტორიული ხასიათის ცნობებს შეუზღუდავს ქეთევანის ცხოვრებისა და წამების შესახებ თხრობა. ეს სვინაქსარული ცხოვრება მხოლოდ დასაწყისში ეხება ქეთევანის ცხოვრების ამბებს და მასზე თხრობას ამთავრებს დაეით უფლისწულზე გათხოვებისა და თეიძურაზის შობის ამბებით. სვინაქსარული ცხოვრების ძირითადი ნაწილი ეხება ზემოაღნიშნულ ისტორიულ პოვლენებს. სადაც ქეთევანის პიროვნება აღარც კი ჩანს. ამ ნაწილის შოქმედი პირნი არიან ალექსანდრე მეფე, დავითი, თეიძურაზი, შაჰ-აბასი, კოსტანტინე, კახეთის „ერი“ და მათი ურთიერთობის ამსახველი ისტორიული მომენტები. სადაც სვინაქსარულ ცხოვრებას მოცულობის სიმცირის გამო საშუალება არა აქვს უფრო დაწვრილებით გადმოგვეცეს ისტორიული ამბები, იგი მიუთითებს ვრცელ ცხოვრებაზე — „ვითარცა ზემორე საკითხავმან ცხად-ყოს“ ან „ვითარცა საკითხავსა შინა წერილ-არს“.

მოსალოდნელი იყო, რომ ძეგლში, რომელიც ქეთევანის ხსენების აღსანიშნავად მის დღესასწაულზე უნდა წაკითხულიყო, მისი წამების ეპიზოდი შესაძლებელი სისრულით აისახებოდა. მაგრამ სვინაქსარული ცხოვრება მხოლოდ ერთი ფრაზით კმაყოფილდება, რომლითაც მთავრდება ეს ძეგლი: „და მოაოჭრა (ე. ი. შაჰ-აბასმა) ქუეყანაჲ ესე და ესე ნეტარი დედოფალი მრავლითა სატანჯველითა და ცეცხლსა მიცემითა აღასრულა და თვთ მატლთა მიერ შესაჰმელ იქმნა“ (193v). სვინაქსარულ ცხოვრებაში ქეთევანის წამების თუნ-

დაც მთავარი მომენტების აღუნიშვნელობა მით უფრო გასაკვირია, რომ წყარო — ქეთევან დედოფლის „წამების“ ვრცელი რედაქცია დაწვრილებით აღწერს ქეთევანის მოწამებრივი აღსასრულის სცენას.

სწორედ ქეთევანის სვინაქსარული ცხოვრების ამ ხარვეზის გამო მისი ერთ-ერთი ნუსხის გადაწერს განუზრახავს ძეგლის შევსება და თხზულებისათვის ბოლოში მიუმატებია ქეთევანის ტანჯვა-წამების საკმაოდ დაწვრილებითი აღწერა. სვინაქსარული ცხოვრების ეს ნუსხა მოთავსებულია ქუთაისის საინტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის — 105, XVIII საუკუნის I ნახევრის ხელნაწერში. ეს დანაშატი იმითაც არის საინტერესო, რომ მას წყაროდ, როგორც ჩანს, თეიმურაზ I პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ გამოუყენებია და არა ქეთევანის „წამების“ ვრცელი რედაქცია. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

სვინაქსარული ცხოვრება

პოემა

ქეთევანის „წამება“

... და განუბნეს
იმლაჳრად ორნივე
მკლავნი თჳსნი და
მოგლიჯნეს ძუ-
ძუნი მჭურვალითა
გაზითა და მოიღეს
კულად შანთნი აღ-
ზნებულნი და და-
ავლნეს მკერდთა
და ქედთა... ..და
ბარები რკინის, აღ-
ტყინებული, შემოს-
დევს შუბლთა... ..და
მოიღეს ქალბათი-
ნები ცეცხლითა
მოტყინარენი.

და ლერწამე-
ბი განუცუეს ოთ-
ხთავე ფრჩხილი-
თურთ...

და დაამტუეს ქუ-
ბი...“ (ქუთ. — 105,
297).

„მერე გაუბეს
ხელ-ფეხი, გაძა-
ბეს გინა ჰაჯები 66,1.
გაზით და გლი-
ჯეს ძუძუნი, დაღ-
ვეს მჭურვალე საჭე-
ბი... 66,2.

...მკერდით ზურ-
გამდინ გაავლეს
გახურვებულნი
რკინანი... 67,2.

ბარები შუბლ-
სა შემოსდევს,
ყველა ქნეს მათი
აჯები... 66,3. მოი-
ღეს ქალფათი-
ნები. შამფურები

და ბარები... 49,2.
ლერწამნი
ფრჩხილთა და-
ავლეს დამსხნელსა

ალაბისასა 63,2 ჯილად
ქებაბი, ყამჩად ბა-
რი ამბარჯებად სა-
ჯებია...“ 63,1.

„განაშიშულეს წმი-
და და... განურთ-
ხნეს ჯელნი მისნი
და განბასრეს იგი,
მოიჭუნეს მარწუხნი და
განატურვნეს და დას-
ლიჩნეს ძუძუნი სა-
ნატრელისანი... მერ-
მე მკლავნი დაგლიჯ-
ნეს... და ნაჳურც-
ხალი დააყარეს სისხლ
მწოთლვარეთა მათ
ჯორცთა მისთა. მერ-
მე მოიღეს ქუაბი
განატურვებულნი და
დაარქვეს წმიდასა თავ-
სა მისსა.“ (გვ. 265).

ამ მაგალითებითაც დანამატის მიერ თეიმურაზის თხზულებით სარგებლობის ფაქტი საეკვო არ უნდა იყოს.

•

• •

ქეთევან დედოფლის სვინაქსარული ცხოვრების განხილული რედაქციის მიერ ქეთევანის ცხოვრება-წამების თუნდაც უმთავრესი მომენტების აღუნიშვნელობა სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქციის შექმნის მიზეზი გამხდარა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ განხილული სვინაქსარული ცხოვრების ნუსხები საკმაო რაოდენობით მოიპოვება სხვადასხვა ხასიათის კრებულებში. აგიოგრაფიულ კრებულებში ის ვრცელ ცხოვრებასთან ერთადაა მოთავსებული. ხოლო ლიტურგიკულ კრებულებში კი — დამოუკიდებლად (A—111, A—683, A—366, ქუთ. — 105, ქუთ. — 42, ლენინგრ. საჯ. ბიბლ. — 222, A—1491 და სხვ.). სულ ჩვენთვის ცნობილია მისი 15 ნუსხა: ასე რომ სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქციის შექმნის მიზეზად არ შეგვიძლია სვინაქსარული ცხოვრების პირველი რედაქციის ნუსხების გაუვრცელებლობა დავასახელოთ და ვიფიქროთ, რომ გვიანდელი სვინაქსარული ცხოვრების შემდგენლისათვის ცნობილი არ იყო ასეთივე ხასიათის უფრო ადრინდელი ძეგლის არსებობა. ეს ვარაუდი გაუმართლებელია სხვა მიზეზებითაც: ჩვენ გვაქვს საფუძველი სრულიად საპირისპირო ფაქტი დაგადასტუროთ. მეორე რედაქციის სვინაქსარული ცხოვრების ავტორი, თუ შემდგენელი კარგად იცნობდა სვინაქსარული ცხოვრების ადრინდელ ვარიანტს: მეორე რედაქციის სვინაქსარული რედაქციის ტექსტი პირველად ჩვენ 1718 წ. A—425 სადღესასწაულოში გვხვდება. ეს ის კრებულია, რომელიც დომენტი კათალიკოსის ინიციატივით არის შედგენილი და რომელშიც შესულია ქართველ მოღვაწეთა დღესასწაულთა ცნობილი და უცნობი ლიტურგიკული მასალა. მეორე მხრივ, სვინაქსარული ცხოვრების პირველი რედაქცია მოთავსებულია 1713 წ. გადაწერილ აგიოგრაფიულ კრებულში, რომლის დედნის შედგენაში დომენტი კათალიკოსს გადამწყვეტი დამსახურება მიუძღვის. რადგან ამ ორი კრებულის შედგენაში ერთი და იგივე პირის არა მარტო ჩარევა, არამედ უშუალო მონაწილეობა და ხელმძღვანელობა დასტურდება, შეუძლებელია იმის თქმა, რომ A—425 კრებულისათვის ქეთევანის ადრინდელი სვინაქსარული ცხოვრების არსებობის ფაქტი უცნობი ყოფილიყო. მაშინ, რატომ არ შეიტანეს ჩვენ მიერ განხილული სვინაქსარული ცხოვრების რედაქცია აღნიშნულ კრებულში და რატომ დასჭირდათ ახალი ვარიანტის შე-

ქმნა? ეს აიხვენი ჩვენ უკვე აღვნიშნეთ: სადღესასწაულოს შემდგენელმა კრებულში, ალბათ, მისი შინაარსობლივი ხარვეზების გამო არ შეიტანა და შექმნა, მართალია, პირველზე უფრო მოკლე, მაგრამ ქეთევანის პიროვნების შესახებ უფრო მეტი მასალის შემცველი ვარიანტი. ამ ძეგლში მოკლედ, მაგრამ მკაფიოდაა გადმოცემული ქეთევანის მთელი ცხოვრება-წამების ისტორია. წყარო ამ სვინაქსარული ცხოვრებისა იგივე თხზულება — ქეთევანის ვრცელი ცხოვრების რედაქციაა, მაგრამ სვინაქსარულ ცხოვრებაში წყაროს კახეთის ისტორიასთან დაკავშირებული ეპიზოდების ნიშან-წყალიც კი არ ჩანს. სვინაქსარული ცხოვრება გაკეთებულა სწორედ სვინაქსარული ცხოვრების იმ პრინციპების მიხედვით, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ეს სვინაქსარული ცხოვრება წყაროსთან პეტ ფრაზეოლოგიურ იგივეობას გვიჩვენებს, ვიდრე პირველი. მაგალითად. ავიღოთ ქეთევანის წამების აღწერა:

სვინაქსარული ცხოვრების

II რედაქცია

„და დაახსნეს კელნი ბილწნი მათ, განაშიშულუს, განურთხნეს კელნი, განბასრეს და მოიკუნეს განკურვებულნი მარწუხნი, დაკლიჩნეს ძუძუნი და მერმე მკლავნი დაგლიჯნეს და ნაკვერცხალი აღგზნებული დააყარეს სისხლ-მწროლოვარესა კორცსა და მერმე პოილეს განხურვებული სიავი და ჯახურეს ლავსა მისსა [და] შევედრა სული იჴსი ღმერთსა“.

ვრცელი ცხოვრება

„და მყის დაასკნეს კელნი იგი ბილწნი მტარვალთა, განაშიშულეს წმიდაჲ იგი და პატიოსანი გვაჲი მიაი, განურთხნეს კელნი მისნი და განბასრეს იგი, მოიხუნეს მარწუხნი და განკურვნეს და დაბლიჩნეს ძუძუნი სანატრელისანი... მესამე მკლავნი დაგლიჯნეს... და ნაკვერცხალი აღგზნებული დააყარეს სისხლ-მწროლოვარეთა მათ კორცთა მისთა. მერმე პოილეს ქუაბი განკურვებული და დაარქუეს (ვარიანტში ყველა ძველი ნუსხა აჩვენებს დახურეს. ე. გ.) წმიდასა თავსა მისსა. მეყსეულად შევედრა სული თჴსი ღმერთსა“ (გვ. 265).

მსგავსი ფრაზეოლოგიური დამთხვევები სხვა შემთხვევებში ნაკლები რაოდენობით დასტურდება. ქველი ნახევრად პერიფრაზულ ხასიათს ატარებს. რამდენიმე დეტალში სვინაქსარული ცხოვრება წყაროსთან შედარებით „ზედმეტობას“ იჩენს.

1. სვინაქსარული ცხოვრების მეორე ვარიანტი ასახელებს ქეთევანის მამის სახელს, რაც არ არის აღნიშნული არც წყაროში და არც სვინაქსარულ I ვარიანტში. ამ სახელის ჩვენებაში სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქციის ნუსხებში თანხმობა არ სუფევს: უფრო ძველი ნუსხებით (A—425, A—220) ქეთევანის მამის სახელი არის ბაგრატ, უფრო გვიანდელით (A—515, H—970) — კი ამოთანი. ჩვენ არ ვიცით, რა საფუძველი აქვს ბაგრატის გაჩენას ზოგიერთ ნუსხაში, ხოლო ამოთანი, როგორც ქეთევანის მამის სახელი ბევრ ქართულ წყაროში არის დადასტურებული. A—425-ში პირველად ამ სახელის გამოჩენა, რაც შემდეგ გადავიდა A—220-შიც. შემთხვევითი შეცდომის შთაბეჭდილებას ტოვებს: „იყო ნათესავეითგან ცხებულთა ბრწყინვალეთა მათ ბაგრატოვანთა ასული ბაგრატისა, რომელი უფლებდა მუხრანს“ — ჩვენ გვეჩვენება. რომ „ბაგრატისა“. აქ „ბაგრატოვანთა“-ს ასოციაციით ამოთანის მაგივრად არის დაწერილი, რაც მართლაც. შემდეგ სხვა ნუსხებშია გაასწორეს.

2. ქეთევანის ვრცელ ცხოვრებაში აღწერილია ფრანგთა მიერ მისი გუამის მოპარვის ამბავი, რასაც სვინაქსარული ემატებს მათ სადაურობას: „ხოლო იყენეს მას ქალაქსა შინა მღღელნი ფრანგთანი — ფურტუგეზენი. მოიპარეს გუამი და წარადგეს ფურტუკეს“. „ფურტუგეზისა“ და „ფურტუკეს“ ხსენება არა გვაქვს ჩვენთვის ცნობილ სხვა წყაროებში.

3. სვინაქსარული ცხოვრების II ვარიანტი გვაძლევს ქეთევანის წამების თარიღსაც: „ხოლო იწამა წმიდამ ესე ქრისტეს ზოწამე წელთა დასაბამითგან სოფლისა შუდი ათას ას ოცდა ხუთსა“ (7125—5500 = 1625 წ.); ვრცელსა და სვინაქსარულ I ცხოვრებებს ქეთევანის წამების წელი არა აქვთ ნახსენები.

ეს სიახლენი სვინაქსარული ცხოვრების მეორე რედაქციის ავტორის მიერ რამდენადმე სხვა წყაროებით სარგებლობაზე მიუთითებს.

ჩვენ დასაწყისშივე აღვნიშნეთ. რომ ქეთევანის სვინაქსარული ცხოვრების ორივე რედაქცია XVII ს. დასაწყისზე აღნიშნული არ უნდა იყოს. რა საფუძველი გვაქვს ასეთი ვარაუდისათვის?

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გრიგოლ დოღორქელის მოღვაწეობის დროის შესახებ ერთი აზრი არ არსებობს¹³⁷. მაგ-

¹³⁷ ტ. რ. ხ. ძე. ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან ღვთისმშობლისა“; „ლიტერატ. ძიებანი“, ტ. V, 1949, გვ. 227—233.

რამ მისი თხზულების — „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“ — აღმოჩენამ და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლამ ტრ. რუხაძე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ გრიგოლ დოდორქელის სალიტერატურო მოღვაწეობის პერიოდი XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისზე მოდის. მას თავისი თხზულება 1703—1713 წ-ში უნდა დაეწერა¹³⁸. ამ ფაქტზე დაყრდნობით სვინაქსარული ცხოვრების პირველი რედაქცია დროის ამავე მონაკვეთით უნდა დაეათარილოთ, რადგან, ჩვენი აზრით, ის შექმნილი უნდა იყოს ამავე ავტორის მიერ ქეთევანის ვრცელ ცხოვრებასთან ერთად.

ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, სვინაქსარული ცხოვრების პირველი ვარიანტი ეკუთვნის გრიგოლ დოდორქელს და ის შედგენილი უნდა იყოს 1703—13 წლებს შორის.

ქეთევანის სვინაქსარული ცხოვრების მეორე ვარიანტი კი შედარებით გვიანდელია. მისი შედგენა 1718 წლამდე არის სავარაუდებელი. რადგან იგი სპეციალურად A-425 სადღესასწაულოში შესატანად ჩანს შედგენილი. შეიძლება, მისი შედგენა უკავშირდებოდეს დომენტი კათალიკოსის სახელს.

ჩვენამდე მოღწეული ყველა აგიოგრაფიული თუ ლიტურგიკული კრებული, რომელიც კი შეიცავს ქეთევან დედოფლის ხსენებას სვინაქსარული ცხოვრების გარეშე, ან მისი სვინაქსარული ცხოვრების რომელიმე რედაქციას, ყოველთვის დღესასწაულის ფიგურად 13 სექტემბერს ასახელებს. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლიტურგიკული ძეგლებით მისი ხსენების განსხვავებული დღე ცნობილი არ არის. მიუხედავად ამისა, არსებობს ანტონ კათალიკოსის ცნობა, რომ „ღუაწლი წმიდისა დედოფლისა ქეთევანისი იყო მარტისა ა“ დღესა. ვითარჲედ აკოლოტია სრული წმიდისა ქეთევანისა ღედოფლისა ერთ წიგნად ქმნილი მიხილავს მე წიგნისა-საცაყა შინა დედისა ჩემისასა. რომელიცა მეოთხე იყო ასული შთამომავლობითაგან წმიდისა მის დედოფლისა. და წიგნსა მას შინა მარტისა თთუსა პირველსა წერილ-იყო ჰქენება ღუაწლია წმიდისა ქეთევანისა“¹³⁹. როგორც ანტონის სიტყვებიდან ჩანს, 13 სექტემბერზე აღრე ქეთევანის ხსენება დადებული ყოფილა 1 მარტს, ხოლო 13 სექტემბერი კი უფრო გვიან განუწესებიათ, კერძოდ როდის, ამაზე ანტონი ამბობს: „...არამედ მპყრობელობასა კახეთს დედის-დედისა

¹³⁸ ტრ. რუხაძე, ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“ ლიტერატ. ძეგლები, ტ. V, 1949, გვ. 236.

¹³⁹ A-386, 399v.

ჩემისა დედოფლისა ანასა, დაღუჭს ეპისკოპოსთა ვიეთმე და მღუღელთა ლუაწლი წმიდისა მის ჰქსენებად სეკდენბერსა ი"გ... (იქვე). აქედან ჩანს, რომ 13 სექტემბერს ქეთევანის ხსენება მხოლოდ 1703 წლის შემდეგ დაუდგენიათ, რადგან ანას „კახეთს მპყრობელობა“ ამ წლიდან იწყება. სხვათა შორის გრიგოლ დოდორქელის თხზულება რომ ამაზე ადრე ვერ დაიწერებოდა, ამას ადასტურებს თვით თხზულებაში დადასტურებული ის ფაქტი, რომ ამ თხზულებითაც ქეთევანის დღესასწაული 13 სექტემბერს ჩანს: „და დაასუენეს (ე. ი. ქეთევანი) ზედა საკურთხეველსა და დღესასწაული შვენიერა შეუშადეს მას დღესა სატფურებისასა, რომელ ქმნა სოლომონ ტაძრისა მის, მისგან აღშენებულისა, რომელი აღესრულებინა წინადლით ჟუართ-აპყრობისასა, რამეთუ დღესა მას აღსრულებულ იყო წმიდა იგი მოწამე ქრისტესი“¹⁴⁰. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ქეთევანის დღესასწაული 13 სექტემბერს დაუდვიათ, რადგან იერუსალიმის ტაძრის განახლების (ე. ი. სატფურების) დღესასწაულს მართლმადიდებლური ეკლესიის ტიპის ყველა კალენდარი 13 სექტემბერს უჩვენებს. აგრეთვე, მოტანილ ციტატაში ნათქვამია, რომ ქეთევანის დღესასწაულის დღე „ჯუართ აპყრობის“ დღესასწაულის წინა დღეა, ხოლო ლიტურგიკული ძეგლებით და, კერძოდ, გიორგი მთაწმიდლის „დიდი სენაქსარით“, ეს დღესასწაული 14 სექტემბერსაა. „თუესა სეკდენბერსა იდ: „ამაღლებად პატიოსანისა და ცხოველმყოფელისა ჟუარისა“¹⁴¹.

ქეთევანის ცხოვრებიდან დამოწმებული ადგილი ადასტურებს, რომ ქეთევანის დღესასწაული დაუდვიათ 13 სექტემბერს „რამეთუ დღესა მას აღსრულებულ იყო წმიდა იგი მოწამე ქრისტესი“. ქეთევანის ამ დღეს გარდაცვალებას აღნიშნავს თეიმურაზ I თავის პოემაში: „მათ აწამეს წმიდა ესე სეკდენბერსა ათცავეტსა“ (ვარიანტები 12-საც გვიჩვენებენ).

ამდენად, ყოველივე თქმულის შემდეგ ჩვენ შეიძლება ევკლიკი შეგვეპაროს ანტონ კათალიკოზის სიტყვების სისწორეში. რადგან ქეთევანი თუ 13 სექტემბერს გარდაიცვალა და მისი ხსენების დღეც ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ამ დღეს გვხვდება. მაშინ რაღა შუაშია ამ დღესასწაულის დადგენასთან ანა დედოფლის დრო, ან კიდევ რა გამართლება უნდა ჰქონოდა მისი დღესასწაულის 1 მარტის დღეს დადებას, თუკი ის 13 სექტემბერს გარდაც-

¹⁴⁰ ცხოვრება ქეთევან დედოფლისა. გვ. 267.

¹⁴¹ A—193 და სხვა.

ვლიდა? მაგრამ გრიგოლ დოდორქელის თხზულებაში ნაგულისხმევი 13 სექტემბერი გვიანდელი ვითარების აღმნიშვნელი უნდა იყოს. საეკვო არ უნდა იყოს ანტონის მოწმობა, რომ არსებულა ქეთევან დედოფლის ღვაწლის შემცველი თხზულება, რომელიც არ შეიძლება იყოს გრიგოლ დოდორქელის ხსენებული ძეგლი. რადგან გრიგოლთან, როგორც ვნახეთ, ქეთევანის ხსენების დღედ 13 სექტემბერია ნაგულისხმევი, ხოლო ანტონის ცნობაში მოხსენებული თხზულება კი ხსენების დღედ 1 მარტს ასახელებს; საერთოდ ანტონი და სხვა წყაროებიც გვამცნობენ, რომ გრიგოლ დოდორქელზე და თეიმურაზ I ადრე ქეთევანის წამება აღუწერია უცნობ პირს, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ანტონი ქრონოლოგიური რიგით ჩამოთვლის ავტორებს, რომლებიც ქეთევან დედოფლის ღვაწლს შეეხებიან. და გრიგოლ დოდორქელს უცნობი, ყველაზე ადრინდელი ავტორისა და თეიმურაზის შემდეგ ასახელებს. თვით გრიგოლ დოდორქელის თხზულებაშიც არის ზოგადად აღნიშნული, რომ ქეთევანის ნაწილების სპარსეთიდან ალავერდში გადმოსვენების დროს, რაც მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის (4 წ.) შემდეგ მოხდა, უკვე არსებულა მისი ქება-დიდებას შემცველი თხზულებანი: „შეიკრიბნა ყოველნი ერნი საქართველოჲსა და კახეთისანი... კათალიკოზი ზაქარია... ებისკოპოსნი და მღვდელნი და დიაკონნი... და თვთ მეთე და დედოფალი... შემთხვენეს წმინდასა მას თავსა მოწამისასა... ქებაჲ შეუშადეს მოწამესა მას და შესხმაჲ სულიერი საღიდებლად“¹⁴². არ იქნება გაააკვირიო თუ ჩვენ აქ ანტონის მიერ დასახელებულ თხზულებას ვიგულისხმებთ, რომელსაც ხსენების დღედ 1 მარტი ჰქონია მითითებული; მაგრამ ძნელი ასახსნელია ის მიზეზი, თუ რატომ დაიდვა ქეთევანის ხსენება თავიდან 1 მარტს და არა 13 სექტემბერს — მისი გარდაცვალების დღეს. როგორც ეს მოგვიანებით გაუკეთებიათ? ხომ არ იყო ეს დაკავშირებული ქეთევანის „წმ. ნაწილების“ გადმოსვენებასთან?

ამრიგად, ქეთევანის ღვაწლი, როგორც ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ჩანს, ადრევე, გრიგოლ დოდორქელამდე ყოფილა აღწერილი, ხოლო მისი ხსენების დღედ თავიდან 1 მარტი განუწესებიათ, ხოლო 1703 წ. შემდეგ კი შეუცვლიათ და გადმოუტანიათ 13 სექტემბერს. ქეთევანის გარდაცვალების დღეს. გრიგოლის თხზულება ამ გვიანდელი ვითარების ამსახველია, ხოლო 1 მარტს ქეთევანის ხსენების არსებობას აღსატურებს ანტონ კათალიკოსი. ქეთევანის

¹⁴² უხარება ქეთევან დედოფლისა, გვ. 267.

ხსენების დღედ 1 მარტის დაწესების საფუძველი მისი წესების გადმოსვენების დრო უნდა იყოს.

22. ლუარსაბ მეფე

ლუარსაბ მეფის ცხოვრებამ ჩვენამდე ორი რედაქციით მოაღწია. ვრცელი, რომელიც ბესარიონ ორბელიშვილს ეკუთვნის, 1713 — 24 წწ. უნდა იყოს შექმნილი¹⁴³, ხოლო მოკლე რედაქცია უფრო ადრინდელია. ჩვენთვის ცნობილი მისი უძველესი ნუსხა მოთავსებულია ქართულ მოღვაწეთა სრული ცხოვრებების შემკველ აგიოგრაფიულ კრებულში (A—130), რომლის შედგენის ინიციატივა დომენტი კათალიკოსს მიეწერება¹⁴⁴. ლუარსაბის ცხოვრების მოკლე რედაქცია თავისი ფორმითა და შინაარსით სვინაქსარული ცხოვრების ტიპური ნიმუშია. ის იწყება ლუარსაბის „აღმოცენების“ ადგილისა და მშობლების შესახებ მოკლე ცნობებით. რამდენიმე წინადადებით გადმოცემულია მისი დების ბედი. დების შესახებ ცნობების შემოტანა, რაც ერთი შეხედვით აუცილებელი არ იყო ასეთი ხასიათის თხზულებისათვის, გამოწვეული უნდა იყოს ლუარსაბის ბიოგრაფიის იმ ეპიზოდის აღსანიშნავად. რომელიც თეიმურაზთან მის ურთიერთობასა და შაჰ-აბასის შემოსევის დროს მათი იმერეთში გახიზვნის ამბებს შეეხება. სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისში მოკლედ მოთხრობილია შაჰ-აბასის მიერ ლუარსაბის იმერეთიდან გამოტყუებისა და ირანში წაყვანის ამბავი. ლუარსაბის ბიოგრაფია მხოლოდ სვინაქსარული ცხოვრების დასაწყისში უკვე შირდება იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ ამბებს, ისიც ძალიან ზოგადად და გავრით. ხოლო თხზულების დანარჩენი, უდიდესი ნაწილი მთლიანად განტვირთულია ისტორიული და საერთოდ ყოველგვარი გარეშე ცნობებისაგან და მხოლოდ ლუარსაბის მიერ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადების საკმაოდ ვრცელ აღწერას შეიცავს. რომელშიც გარდა საღმრთო წერილიდან მოტანილი რამდენიმე ციტატისა, შემოტანილია სჯულის გამოცვლის შესახებ ლუარსაბის დიალოგები შაჰ-აბასთან და მის მიერ შეჩენილ პირებთან. ამას ერთვის სვინაქსარული

¹⁴³ შ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. ხელნაწ. ინსტ. მოამბუე, ტომი I, გვ. 92.

¹⁴⁴ ელ. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის კრებულ და მისი შემდგენელი, მანუშინის საბ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. VIII, 1950.



ცხოვრებისათვის საკმაოდ მოზრდილი ლოცვა ღვთისმშობლისადმი. მართ, ლუარსაბის „მოშობა“ და მთავრდება მისი გვაძის მიერ ჩაღვნილი სასწაულების აღწერით, როგორც ეს თითქმის ყველა აგიოგრაფიული თხზულებისათვისაა დამახასიათებელი.

ლუარსაბის მოკლე ცხოვრების ლიტურგიული საჭიროებისათვის შექმნა და მისი სვინაქსარულობა, ჩვენი აზრით, კარგად ჩანს თხზულების ფორმითა და შინაარსითაც.

ლუარსაბ მეფის სვინაქსარული ცხოვრების შექმნა, ამ პერიოდში შექმნილი ბევრი ქართველი მოღვაწის სვინაქსარული ცხოვრებების მსგავსად, უნდა უკავშირდებოდეს XVII ს. ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში (და კერძოდ დავით გარეჯის უდაბნოში) დაწყებულ ლიტურატურულ-ლიტურგიაულ საქმიანობას, რომლის მიზანი იყო ყველა ნაციონალური წმიდანის ხსენების დღე შევსებული ყოფილიყო სათანადო ლიტურგიულ-აგიოგრაფიული მასალით. საფიქრებელია, რომ 1713 წ. გადაწერილ კრებულში (A—130) ლუარსაბის ცხოვრების ეს მოკლე რედაქცია რომელიმე სვინაქსარული კრებულიდან, ან სადღესასწაულოდან გადმოიტანეს. მართლაც. თუ სწორია A—683 სადღესასწაულოს თ. ჟორდანიას დათარიღება¹⁴⁵, ხელნაწერი XVII ს. ყოფილა და შეიცავს ლუარსაბის სვინაქსარული ცხოვრების ტექსტს. რატომ არის აღნიშნულ აგიოგრაფიულ კრებულში ლუარსაბის სვინაქსარული ცხოვრება შეტანილი მაშინ, როდესაც კრებული ვრცელი ცხოვრების რედაქციებისთვისაა გაიზნული?¹⁴⁶ ამ ნიზეზის ახსნა მნელი არ უნდა იყოს: ამ კრებულის შემდგენელთ უნდოდათ თავი მოეყარათ ქართულ წმინდანთა ყველა ხელმისაწვდომი ცხოვრებისათვის. რადგანაც ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო დაწერილი ლუარსაბის ვრცელი ცხოვრება, მის ნაცვლად სვინაქსარული ცხოვრება გამოუყენებიათ, რომელიც, საფიქრებელია, ამ კრებულის შედგე-

¹⁴⁵ М. Жорданян, Описание..., II, стр. 155. XVII ს. ხელნაწერადა აღნიშნული კატალოგში ლენინგრადის სახ. ბიბლიოთ. იოვანე ბატონიშვილის კოლექციის 222 სადღესასწაულოც, რომელიც ლუარსაბ მეფის სვინაქსარულ ცხოვრებას შეიცავს, მაგრამ ჩვენ ეს ხელნაწერი XVIII ს. I ნახევარზე აღრიხნული არ გვგონია.

¹⁴⁶ ამ კრებულში გარდა ლუარსაბის სვინაქსარული ცხოვრებისა, მართალია, შეტანილია ქეთევანის სვინაქსარული ცხოვრებაც, მაგრამ ის ვრცელ ცხოვრებასთან ერთადაა მოთავსებული და მის ნაწილად გაგებული.

ლუარსაბის სვინაქსარული ცხოვრება შესულია 1716 წ. გადაწერილ A—379 გულანში. ეს ყველაზე აღრიხნული თარიღიანი ლიტურგიული ხელნაწერია, რომელიც ამ სვინაქსარულ ცხოვრებას შეიცავს.



ნამდე არსებობდა. ასე რომ, ლუარსაბის მოკლე ცხოვრება. ჩვენი აზრით, შექმნილი უნდა იყოს ლიტურგიკული საჭიროებისათვის და არა წმინდა აგიოგრაფიული მიზნებით, თუნდაც, როგორც ამ აგიოგრაფიულ კრებულში შესატანი თხზულება.

ლუარსაბის სვინაქსარული ცხოვრების ნუსხები საკმაო რაოდენობითაა შემონახული. მას შეიცავენ როგორც ლიტურგიკული, ასევე აგიოგრაფიული კრებულები. უნდა ითქვას, რომ აგიოგრაფიულ კრებულებში ეს ცხოვრება A—130 კრებულის მეშვეობით გავრცელდა. მართლაც, ამ ცხოვრების შემცველი აგიოგრაფიული კრებულების (A—170, A—176, H—2077, S—3269, H—1672, H—1370) უმეტესობა A—130-ის მასალას იყენებს. სვინაქსარული ცხოვრების კიდევ უფრო მეტი ნუსხებია დაცული სვინაქსარებსა და სადღესასწაულოებში (A—683, A—379, ქუთ. მუხ. — 42, XVII—XVIII სს., H—2335, ც. არქ. — 59, H—2121, ლენ. საქ. ბიბლ. — 222, XVII(?) და სხვ.). სვინაქსარული ცხოვრების ყველა ცნობილი ნუსხა ერთი და იგივე რედაქციისაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარეშობას, რომ A—130 ხელნაწერისა და მისგან მომდინარე ნუსხები იშვიათად უფრო სრულ ფრაზეოლოგიას და შეცვლილ ლექსიკურ ერთეულებს გვაძლევენ A—683 სადღესასწაულოს ტიპის სვინაქსარულ ცხოვრებასთან შედარებით. აღვნიშნოთ ძირითადი შემთხვევები:

A—180

„არამედ მეფე ლუარსაბ ყრმა იყო და ქაღებითა სამეფოსა თჳსისათა და სხუათაცა ქუეყანათა და ს...
 ქონელთა ქაღებითა მივიღა შაბაზისა“ (გვ. 241).

„და მრავლითა ქაღებითა ესრეთ ჰრქუა (იქვე).“

„...და მრავლითა დიდებითა და პატივითა განგიტეო“.

„არა თავს ვიღვა სიტყუათა და ქაღებათა შენთა მიერ“.

„და მის მიმართ დამიც ყოველი სასოება ცხოვრებისა ჩუენისა“.

A—683

არამედ მეფე ლუარსაბ ყრმა იყო და ქაღებითა სამეფოსა თჳსისათა და სხუათაცა ქუეყანათა მივიღა შაბაზისა (გვ. 22).

„მრავლითა ლიქნითა ესრეთ ჰრქუა“... (იქვე).

„და მრავლითა დიდებითა განგიტეო“.

„არა თავს ვიღვა სიტყუათა და ქაღებათა შენთა მორჩილება“.

„და მისსა მიმართ დამიც სასოება ჩემი...“

A—180

A—688

„ყოველნივე მიუხუნეს: ცხენ-
თა მიერ, ჯორთა და სა-
ქონელთა და თვთ... წარ-
გზავნეს...“

„ყოველნივე მიუხუნეს და
თვთ... წარიყვანეს...“

„და ესრეთ იხილვებოდა
პატროსანი და ბრწყინ-
ვალე პირი მისი...“

„და ესრეთ იყოფებოდა
შუენიერი პირი მისი...“

„და განკურვებულ იყვნეს შუ-
ენიერებისა და პაერ-კე-
თილოვნებისა მისისათვის“.

„და განკურვებულ იყვნეს
სიმკნისა და ახოვანე-
ბისა მისისათვის“.

„ნუ ურჩ ექმნები ბრძანებასა
შაბაზისასა. უკუეთუ ერჩდე
ბრძანებასა მისსა, დი-
დად პატივ გცეს, ხოლო
უკუეთუ არა ერჩდე ბრძანებასა
მისსა, მწართა სიკუდილითა მო-
გაკუდინოს შენ“.

„ნუ ურჩ ექმნები ბრძანებასა
შაბაზისასა. უკუეთუ არა ერჩ-
დე ბრძანებასა მისსა, მწართა
სიკუდილითა მოგაკუდინოს
შენ“.

„და ვინმე იტყოდეს: „ძლიერე-
ბასა მისსა და ანუ ვინ სასმენელ
ყვნეს ქებულებანი უფლისა
ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა
იესუ ქრისტესანი“.

abs.

„რამეთუ თანა-ჰყვა ხატი ყო-
ვლად წმიდისა დედოფლისა ჩუე-
ნისა ღმრთის-მშობელისა და
მარადის ქალწულისა მ-
რიამისი“.

„რამეთუ თანა-ჰყვა ხატი ყო-
ვლად წმიდისა დედოფლისა
ღმრთის-მშობელისა“.

„შენ ხარ მფარველი
ჩემი, შენ ხარ ნუგეშინის-მცე-
პელი ჩემი, შენ მოვეც მე შეწვე-
ნა...“

„შენ ხარ ნუგეშინის-მცემე-
ლი ჩემი, შენ მოვეც შეწვენა“.

„შენ მიოხენ წინაშე
ძისა შენისა და შემრთე
წმიდათა მოწამეთა შენთა თანა“.

„...და შემრთე წმიდათა მო-
წამეთა შენთა თანა“.

A—130

A—683

„და ესრეთ კორცნი მისნი
 ღამესა მას შინა ესრეთ იხილ-
 ვებოდა, ვითარცა თოვლი გან-
 სპეტაკებული“.

„მოვიდოდეს ხილვად წმიდისა
 მის გუამისა და ნათელი
 ბრწყინვალე იხილეს და
 განკვრდეს საკვრელებასა მას
 ზედა“.

„და რომელნი... მიეახლე-
 ბიან, კურნებასა მიიღებენ“.

„და ესრეთ იხილვებოდა ღა-
 მესა მას უკუნსა. ვითარცა
 ნათელი ბრწყინვალე“.

„მოვიდოდეს ხილვად წმიდი-
 სა მის გუამისა საკვრელებისა
 და განკვრდეს ღიდალ“.

„და რომელნი... შეეხებო-
 ან, კურნებასა მიიღებენ“.

ჩვენ გვგონია, რომ A—683-ის ტიპის ლუარსაბის სვინაქსარული ცხოვრება A—130-ში მოთავსებული ცხოვრების შემდეგ-დროინდელი შემოკლება უნდა იყოს. სხვათა შორის A—130-ის ტექსტს მხარს უჭერს A—379 გულანში მოთავსებული ლუარსაბ მეფის სვინაქსარული ცხოვრების 1716 წ. ნუსხაც.

ამრიგად, ლუარსაბის ცხოვრების რედაქციებიდან. ექვკარე-შეა, სვინაქსარული ცხოვრება ვრცელზე აღრეა შექმნილი. მსგავსად ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარული ცხოვრებისა, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ ვრცელი ცხოვრების მიერ სვინაქსარულით სარგებლობის კვალი არ ჩანს. ამ ორი ცხოვრების ფრაზეოლოგიური დამთხვევის არც ერთი მაგალითი არ მოიძებნება, ხოლო ფაქტიური მასალის მხრივ კი ზოგჯერ ისინი წინააღმდეგობაშიც კი არიან. როგორც მ. ქავთარიამ გაარკვია, ბესარიონს თავისი თხზულების შექმნისას სხვა წყაროებთან ერთად უსარგებლია გრიგოლ დოდორქელის „ქეთევანის წამების“ იმ ადგილით, რაც ლუარსაბ მეფეს ეტება¹⁴⁷.

რატომ არ გამოიყენა ბესარიონმა სვინაქსარული ცხოვრება? იქნებ მისთვის უცნობი იყო ამ თხზულების არსებობა? ასეთი ეჭვი საფუძველს მოკლებულია. ცნობილია, რომ A—130 აგიოგრაფიული კრებულის შედგენაში ბესარიონ ორბელიშვილსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის¹⁴⁸. ამდენად, ყოველგვარ საფუძველს მოკლებუ-

¹⁴⁷ მ. ქავთარია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 92.

¹⁴⁸ A—130-ის ანდრძი.



ლი იქნება იმის მტკიცება. რომ ბესარიონი სვინაქსარულ ცხოვრებაში ბას არ იცნობდა, მაგრამ ფაქტია, ბესარიონს ამ თხზულებით არ ესარგებლია, ან თუ ისარგებლა, იმდენად ზოგადად, რომ მისი გამოყენების კვალი ლუარსაბ მეფის ვრცელ ცხოვრებაში არ ჩანს.

ლუარსაბის ცხოვრების ორივე რედაქცია ლუარსაბის დედის სახელად თამარს ასახელებს. ხოლო ზოგიერთი საისტორიო თხზულება კი — მარიამს (ეგნატაშვილი, ვახუშტი, ანტონი და სხვა). ამ შემთხვევაში სიმაართლე ლუარსაბის ცხოვრებათა მხარეზეა, რადგან სიგელ-გუჯრების ჩვენებით. ლუარსაბის დედის სახელი მართლაც თამარი ყოფილა (Hd—2091. 1060 წ. სიგელი; ც. არქ. ფ. 1448, № 8760, 1611—12 წ. სიგელი, დედანი). შეიძლება ვიფიქროთ კიდევ, რომ ამ შემთხვევაში ბესარიონი სვინაქსარული ცხოვრების ჩვენებას ეყრდნობა, მაგრამ სხვა ფაქტების გადმოცემაში იგი არ ეთანხმება სვინაქსარული ცხოვრების მონაცემებს. საერთოდ საისტორიო წყაროებსა და საჰეცენიერო ლიტერატურაში ამ საკითხებია ირგვლივ აზრთა სიჭრელე არსებობს. განვიხილოთ რამდენად სანდოა სვინაქსარულ ცხოვრებაში დატული ისტორიული ხასიათის ცნობები.

სვინაქსარული ცხოვრება გვამცნობს, რომ ლუარსაბ მეფეს ორი და ჰყავდა. მაგრამ დების სახელებს არ აღნიშნავს¹⁴⁹. ამ ცნობას ადასტურებს მრავალი საისტორიო თუ ლიტერატურული წყარო. მხოლოდ მ. საბინინი და ანტონ ფურცელაძე ლაპარაკობენ სამი დია შესახებ. რაც გაუგებრობის ნივთადაც უნდა წარმოშობილიყო¹⁵⁰. უთანხმოება სუფევს მათი სახელების ირგვლივ. წყაროების უმრავლესობა მათ ელენე-ლელასა და ხვარეშანს უწოდებს. ხოლო ბერი ეგნატაშვილი, და მასზე დაყრდნობით ვახუშტიც, თინათინსა და ხვარეშანს. ეტყობა ეგნატაშვილს „ლუარსაბის დად — თინათინად შეცდომით მიუღია თეიმურაზ პირველის ახელი თინათინი“¹⁵¹.

როგორც აღვნიშნეთ, სვინაქსარულ ცხოვრებაში ლუარსაბის დების სახელები არ არის აღნიშნული. მაგრამ ნათქვამია: „არამედ

¹⁴⁹ ეხუტობას აქვს ადგილი, როდესაც ავალ. კ. კეკელიძე აღნიშნავს (ეტიჟდ. IV, გვ. 219—20) რომ სხვა წყაროებთან ერთად სვინაქსარული ცხოვრებაც (S—3269) აღნიშნავს მათ სახელებსო. უფრო მეტიც, თითქოს აქ აღნიშნული უნდა იყოს, რომ დებს შორის უფროსი ელენე იყო, რაც სინამდვილე არ შეესაბამება: შამ-ახანს ცოლად ელენე ჰყავდა, სვინაქსარული ცხოვრებით ის უმცროსი ყოფილა.

¹⁵⁰ კეკელიძე, ეტიჟდები. IV, 1957, გვ. 219.

¹⁵¹ იქვე, გვ. 219—20.



ულმართომან შაჰ-აბაზ მისტაცა ერთი უმრწემესი ასული და ურწმუნო ყო, ხოლო მეორე ასული მიათხოვეს კახთა მეფისა შვილსა მეფესა თეიმურაზსა“ (A—130, 241r). რომ გავიგოთ რომელ დას გულისხმობს სვინაქსარული ცხოვრება შაჰ-აბაზის ცოლად და რომელს — თეიმურაზისად, საკიროა ვიცოდეთ, თუ რომელი დათაგანია უფროსი — ელენე თუ ხორეშანი. არც ერთი წყარო არ უარყოფს, რომ ხორეშანი თეიმურაზ მეფის მეუღლე გახდა, ხოლო ელენე — შაჰ-აბაზისა. გასარკვევია მხოლოდ მათი უმცროს-უფროსობა. ჩვენი სვინაქსარული ცხოვრებით შაჰ-აბაზს „მიუტაცნია“ „უმრწემესი ასული“ — ე. ი. სვინაქსარული ცხოვრება უმცროს დად ელენეს ასახელებს, ხოლო აქედან გამომდინარე ხვარეშანი უფროსად მიაჩნია. ამასვე ადასტურებს ანტონ კათალიკოსი: „შაჰ-აბაზ წარიყვანა ცოლად დაჲ მისი უმრწემესი ელენა (საქ. სამოთხე, გვ. 590). ამასვე იმეორებენ ვახუშტი (გვ. 175) და საბინინი (საქ. სამოთხე, გვ. 581). პირიქით, უფროს დად გორგიჯანიძე და ბესარიონ კათალიკოსი თვლიან ელენეს (გვ. 20), რაც სარწმუნოდ მიაჩნია აკად. კ. კეკელიძეს. იგი იმოწმებს რუსი ელჩების ცნობებს, რომლის მიხედვით ელენე ბორის გოდუნოვის შვილის საცოლად იყო გამოთხოვილი, „ალბათ იმ მოსაზრებით, რომ ის ასაკით უფროსი იყო“-ო, დასძენს პატივცემული მეცნიერი. „მართლაც, რუსი ელჩები კითხულობენ: სურს თუ არა გიორგი მეფეს გაუგზავნოს უფროსი ქალი (большую царевну) რძლად მოსკოვის მეფესო“ (Белокуров, сношения... стр. 470)¹⁵². ჯერ ერთი მოტანილ ადგილში, შესაძლებელია, большая შინცადაშინც უფროსს არ ნიშნავდეს. მეორეც, პატ. მეცნიერი ამ ელჩების არა ყველა ცნობას მიიჩნევს სარწმუნოდ¹⁵³. ამდენად, უმეტესი ქართული წყაროების ჩვენების უარყოფა და მარტოოდენ ამ ცნობაზე დაყრდნობით ამ საკითხის გარკვევა მთლად დამარწმუნებელი არ არის. ჩვენ გვგონია, რომ სვინაქსარულ ცხოვრებაში დაცული ცნობის მცდარობა ჯერ კიდევ ვერ მტკიცდება.

¹⁵² კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 220.

¹⁵³ ბელოკუროვს მოტანილი აქვს გიორგი მეფის სიტყვები: „...ამჟამად ის (გიორგის მამა — სვიმონი) ოსმალთა ტყვეობაში იმყოფება და მასთან ერთად ჩემი შვილებითა“ (С. Б е л о к у р о в, დასახ. ნაშრ., გვ. 498). ამის შესახებ კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ამ სიტყვების სიზუსტე საეჭვოა, ყოველ შემთხვევაში 1605 წ., როდესაც ადგილი აქვს ამ საუბარს, სვიმონ მეფე უკვე მკვდარია“, იქვე, გვ. 320.

სვინაქსარულ ცხოვრებაში დაცული კიდევ ერთი ცნობაა საკამათო: აქ აღნიშნულია, რომ „...ამისა მამას ეწოდებოდა გიორგი და დედასა თამარ. და დაშთეს ყრმანი ორნი და ასულნი ორნი (A—130, 241r). აქედან ჩანს, რომ ლუარსაბ მეფეს ძმა ჰყოლია, წინააღმდეგ ბესარიონ კათალიკოსის ცნობისა: ...რამეთუ ესე (ე. ი. ლუარსაბი) მარტოჲ ესვათ ორთა ასულთა თანა“. ბესარიონის ამ ცნობას იმეორებს ბერი ეგნატაშვილიც. მხოლოდ ფ. გორგიჯანიძეს (გვ. 20) და ანტონ ფურცელაძეს აქვთ აღნიშნული, რომ ლუარსაბის ძმას დავითი ერქვა, რომელიც, ა. ფურცელაძის ცნობით, გიორგი მეფეს დასთან ერთად გაუგზავნია ოსმალეთში დატყვევებული სვიმონ მეფის გამოსახსნელად. აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ვეფიქრობთ, ან. ფურცელაძემ ასეთი დასკვნა გააკეთა გიორგი მეფის სიტყვების საფუძველზე რუსი ელჩების მიზართ: „მამაჩემი თავი შეაღია ოსმალთა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლას, ამჟამად ის ოსმალთა ტყვეობაში იმყოფება და მასთან ერთად ჩემი შვილებიო“¹⁵⁴. რამდენადაც საეჭვო არ უნდა იყოს ან. ფურცელაძისა და ს. ბელოკუროვის ცნობების სიძარტლე, სვინაქსარული ცხოვრების ცნობა ჭეჭეჭრობით სარწმუნო საპირისპირო ფაქტების უქონლობის გამო არ შეიძლება მცდარად მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ ამ ცხოვრების სხვა ფაქტები არ უნდა იმსახურებდნენ ყალბი ცნობების რეპუტაციას. მეორეც ამ ცნობის სისწორეს ადასტურებს ამ პერიოდის კარგად მცოდნე ისტორიკოსი ფ. გორგიჯანიძე: „მეფე გიორგის ორი ვაჟი დარჩა — ერთი ლუარსაბ მეფე და მეორე ბატონიშვილი დავითი. რომელიც მეფე სვიმონის დასახსნელად ხონთქრისათვის გაეგზავნათ. ველარც პაპა დაიქანეს და ბატონიშვილი დავითიც დაკარგეს (გვ. 20). ამრიგად, სვინაქსარულ ცხოვრებაში დაცული ცნობები, ჩვენი აზრით, სარწმუნო უნდა იყოს.

23. ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ერისთავები

სპარსთა ძალმომრეობის წინააღმდეგ კახეთის 1659 წლის სახალხო აჯანყებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში. ამ ფაქტმა მეტნაკლები სისრულით პოვა ასახვა ქართულ საისტორიო და ლიტერატურულ მწერლობაში.

¹⁵⁴ С. Белокуров, Сношения..., стр. 498.

საისტორიო წყაროები ამ ამბებთან დაკავშირებით მეტად ძუნწ ცნობებს იძლევა. ფარსადან გორგიჯანიძისა და ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ამ პერიოდის ისტორიებში სულ რამდენიმე წინადადებითაა მოთხრობილი სპარსთა ამოწყვეტისა და ამ აჯანყების მოთავეთა ტრაგიკული ბედის შესახებ¹⁵³. ქართული წყაროებიდან შედარებით ვრცლად ამ ამბებს ბერი ეგნატაშვილი ეხება¹⁵⁶. არც ამ ამბების თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰირია სიტყვაწარავალი¹⁵⁷.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი, როდესაც აჯანყების ინიციატორთა წამების ამბავს ახსენებს, დასძევს: „ეითარცა წერილ არს მეტაფრასსა მათსა“¹⁵⁸. ცხადია, ვახუშტისათვის „შესბმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისი და უწყება წამებისა მათისა“ კარგად ცნობილი ძეგლია. სწორედ საეკლესიო მწერლობის ამ საკმაოდ ვრცელმა თხზულებამ შემოგვინახა ის ძირითადი ცნობები, რომლებიც ამ მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ ჩვენთვის დღეს ცნობილია¹⁵⁹. ქართულმა ეკლესიამ ამ პოლიტიკური მნიშვნელობის აქტსა და აჯანყების მეთაურთა მოწამებრივ აღსასრულში თავისუფლებისათვის ბრძოლასთან ერთად დანახა მისი მეორე მნიშვნელოვანი მხარე — ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის შეუდრეკელი ბრძოლა და თავგანწირვა, რაც გახდა საფუძველი იმისა, რომ ბიძინა ჩოლოყაშვილი, ელიზბარ და შალვა ერისთავები ეკლესიის უდიდეს მოწამეთა გვერდით საუკუნოდ მოსახსენებელ წმინდანთა რიგებში ჩარიცხულიყვნენ.

გარდა ამ თხზულებისა, რომელიც ბესარიონ კათალიკოსს მიუკუთვნება¹⁶⁰, საეკლესიო მწერლობას შეუქმნია რამდენიმე ჰიმნოგრაფიული ხასიათის ძეგლიც, როგორცაა ნიკოლოზ თბილელის¹⁶¹,

¹⁵³ ფ. გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია, გარსსა ს. კეკელიძემ, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 270; ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, თბილისი, 1913, გვ. 180.

¹⁵⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 438—439.

¹⁵⁷ ელ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰირის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქაროვ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 30, 1954, გვ. 394.

¹⁵⁸ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, თბილისი, 1913, გვ. 182.

¹⁵⁹ მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1352, გვ. 599—609.

¹⁶⁰ საქართველოს სამოთხე, გვ. 599.

¹⁶¹ ანტონ I, წყობილსიტყვაობა, პლ. იოსელიანის გამოცემა, 1851.

ანტონ პირველისა და იესე ქსნის ერისთავის¹⁶² საგალობლები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩამოთვლილი ძეგლი მათში აღწერილ ფაქტებზე რამდენიმე ათეული წლებით გვიან არის შექმნილი, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებს. აღნიშნული ძეგლები კარგადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაშიც.

აღნიშნულ თხზულებათა გარდა, XVIII ს. დასაწყისის აგიოგრაფიული და ლიტურგიკული ხასიათის რამდენიმე კრებულში გამოვლინდა ორი მცირე მოცულობის თხზულება, რომლებიც აღნიშნული სახალხო აჯანყების გმირთა ცხოვრების სვინაქსარულ რედაქციებს წარმოადგენს. ამ ორი თხზულებიდან ერთი მეორეზე თითქმის ორჯერ მეტად დიდია. თანაც ჩანს, ისინი ერთმანეთზე ისე თვალსაჩინოდ არიან დამოკიდებული, რომ ყოველგვარი ეჭვის გარეშე ერთი მათგანი მეორისაგან უნდა მოპდინარეობდეს, მაგრამ გასარკვევია, მოკლე შედგენილია ვრცელის შემოკლება-შეკვეცის გზით. თუ პირიქით, ვრცელი წარმოადგენს მოკლე რედაქციის გავრცობას? ჩვენი ღრმა რწმენით, საკითხი ვრცელი რედაქციის სვინაქსარული ცხოვრების პირველადობის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ამ ორი თხზულების შედარება გვიჩვენებს, რომ მოკლე რედაქცია სანახევროდ შეკვეცილი ვრცელი რედაქციის სახესხვაობაა, ანუ მისი პირველი ნახევარია. რადგან აღნიშნულ ნაწილში ისინი თითქმის სიტყვაპიტყვით ემთხვევიან ერთმანეთს. მოტანილი დეტალი გადაწყვეტ არგუმენტად არ გამოდგება, რადგან აქედან საპირისპირო დასკვნის გაკეთებაც შეიძლება, რომ მოკლე რედაქცია განავრცეს და მას ბოლოში ახალი ცნობები დაურთეს. ასე რომ ამ თხზულებათა დამოკიდებულების გარკვევა მათი შემცველი ხელნაწერების ჩვენებათა საფუძველზე უნდა ვცადოთ. აქ უნდა აღინიშნოს ერთი მოპენტი: ვრცელი სვინაქსარული ცხოვრების შემცველი ხელნაწერები უფრო ძველია, ვიდრე მოკლისა; ამასთანავე პირველის შემცველი ხელნაწერები გაცილებით ძეგია, ვიდრე მეორისა. ვრცელი სვინაქსარული ცხოვრების ადრინდელიობის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ იგი ხშირად გვხვდება აგიოგრაფიული ხასიათის კრებულებში; შესაძლებელია იმეტიონ, რომ ასეთ კრებულში ამ თხზულების შეტანის დროს ის ერთადერთი ძეგლი იყო კახეთის აჯანყების გმირთა შესახებ. თუ ეს ასეა, მაშინ ნათელი გახდება

აგიოგრაფიული კრებულიდან აღებული, მართალია, არც თუ დიდი, მაგრამ ლიტურგიკული დანიშნულების კრებულისათვის მაინც ვრცელი ძეგლის მექანიკურად შეკვეცის ფაქტი.

უფრო ძნელი გასარკვევია სვინაქსარული ცხოვრების პირველი ვარიანტისა და ბიძინა, შალვა და ელიზბარის ვრცელი ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულება. რამდენიმე შემხვედრი ფრაზოლოგიური იგივეობა ადასტურებს, რომ ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ.

ვრცელი ცხოვრება

სვინაქსარული ცხოვრების ვრცელი ვარიანტი

„...იმძლავრებოდა და უფროსდა ქუჭყანა კახეთისაჲ... რამეთუ უღმრთომან შაჰაბაზ, რომელ იყო მეფე სპარსეთისა, სრულიად ოხერ და უმკვდრო ჰყო კატაგან“ (საქ. სამოთხე, გვ. 601).

(II-შიც თითქმის იგივეა)

„ესენი იწაჰნეს სპარსთა მეფისა ზე ოდეს დიდმან შაჰაბაზ წარტყუნა კახეთი და სრულიად უმკვდრო ყო“ (S—3269, 266v).

„მაშინ წარმოგზავნეს ურიცხვი ულუსი თათართა დედა-წულით ერთ მათით“ (იქვე).

„წარმოგზავნა ურიცხნი ულუსი დედა-წულითა და აღავსეს კახეთი“ (იქვე).

„ხოლო შაჰაბაზ მისცნა იგინი სულტანსა მაზარდალანისასა, რომელ-იგი ამათ მიერ ლტოლვილ იყო მოწყუედასა მას თათართასა“ (იქვე, გვ. 604).

„ხოლო მან მისცა სულტანსა არდალანისასა, რომელი პირველ ამათ მიერ ოტებულ იყო მოსრევასა მას თანა თათართასა“ (იქვე).

დამოწმებული ადგილები ყოველგვარი ეჭვის გარეშე გვიჩვენებს ამ ორი ძეგლის მკიდრო ურთიერთობის სურათს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ძეგლი თითქმის ერთდროულად ჩნდება ქართულ საეკლესიო ხელნაწერებში, უფრო მეტიც: ჭრჭერობით ცნობილი ორივე თხზულების უქველესი ნუსხები ერთსა და იმავე ხელნაწერშია მოთავსებული. ეს არის S—3269, რომელიც 1720-იანი წლების ხელნაწერადაა მიჩნეული. როგორც ჩანს, ამ წმინდანების კულტის ჩამოყალიბება საერთოდ გვიან მომხდარა. ამ ექვს ბაღებს ის ფაქტი, რომ ბიძინას, შალვასა და ელიზბა-

რის არც ვრცელი და არც სვინაქსარული ცხოვრება არ ჩანს ამ ხელნაწერის შედგენის დროზე უფრო ადრე, თუნდაც რამდენიმე წლით. ჩვენ ასე გადაჭრით ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ამ მოწამეთა ცხოვრების ვრცელი, ან მოკლე ვარიანტი არ ჩანს არც 1699 წელსა და არც 1713 (A—130) წელს გადაწერილ აგიოგრაფიულ კრებულებში, სადაც ძირითადად შეკრებილია ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ძველი და ახალი მასალა. ძნელი დასაჯერებელია, რომ დომენტი კათალიკოსს, რომელიც იყო ინიციატორი ასეთი აგიოგრაფიული კრებულების შედგენისა, ბიძინა ჩოლოყაშვილისა და მის თანამებრძოლთა ცხოვრების არსებობის ფაქტი შეუმჩნეველი დარჩენოდა. ასევე არ ჩანს ამ პირთა ხსენების დღე და სვინაქსარული ცხოვრება A—425 ცნობილ სადღესასწაულოში, რომელიც 1718 წელს არის ჩამოყალიბებული. ამ წლამდე რომ ამ პირთა სვინაქსარული ცხოვრება არ არსებობდა, ამაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ ამ კრებულში მათი ხსენების დღის უქონლობა კი ძალიან გვიკვირს, რადგან ამ დროისათვის ასეთი დღე უკვე არსებობდა, რაზედაც მიუთითებს საეკლ. მუზეუმის A—380 (366) გულანი, რომელიც 1714—1716 წლებშია გადაწერილი და რომელშიც ბიძინას, შალვას და ელიზბარის ხსენებაც არის წარმოდგენილი სვინაქსარული ცხოვრების გარეშე.

ამრიგად, ხსენებულ მოწამეთა კულტის ჩამოყალიბება XVIII საუკუნის დასაწყისისათვის უნდა დაწყებულიყო. ხოლო მათი ცხოვრების შემკველი ვრცელი და სვინაქსარული თხზულებანი XVIII საუკ. I მეოთხედის მიწურულისათვის უნდა გაჩენილიყო. ბუნებრივია, წარმოიშობა კითხვა: მაინც ცხოვრების რომელი რედაქცია გაჩნდა პირველად — ვრცელი თუ სვინაქსარული? რაიმე ისეთი ხელმოსაპიდი ფაქტი, რომელიც ამ კითხვაზე გადაჭრილი პასუხის უფლებას მოგვცემდა, ჩვენ არ გავგაჩნია და ამიტომ პასუხიც მხოლოდ ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას.

საფიქრებელია, რომ ბიძინა ჩოლოყაშვილის, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავების სვინაქსარული ცხოვრება ბესარიონ კათალიკოსის მიერ დაწერილ ვრცელ ცხოვრებაზე ადრე უნდა შექმნილიყო. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი:

1. აგიოგრაფიულ კრებულში ამ მოწამეთა სვინაქსარული ცხოვრების შეტანა, თუნდაც ვრცელი რედაქციის ცხოვრების გვერდით. უნდა მიაინიშნებდეს იმ გარემოებაზე, რომ სვინაქსარული ცხოვრება უფრო ადრე ასრულებდა ამ მოწამეთა შესახებ დაწერილი ერთადერთი ცხოვრების როლს და თავდაპირველად მოთავსე-

ბული იყო ისეთ კრებულში, რომელიც საერთოდ შეიცავდა ვრცელი ცხოვრების რედაქციებს. უფრო გვიან, როდესაც შეიქმნა ამ მოწამეთა ცხოვრების ვრცელი რედაქცია, ავთოგრაფიულ კრებულში თავდაპირველად ვრცელი ცხოვრების გვერდით ტრადიციულად მოკლე, სვინაქსარულ ცხოვრებასაც ათავსებდნენ. როგორც ეს დადასტურებულია S—3269 და H—2077 ხელნაწერებში.

2. როგორც ცნობილია, ბესარიონ კათალიკოსმა ლუარსაბ მეფის, არჩილ მეფისა და ისე წილკნელის ვრცელი რედაქციის ცხოვრებანი დაწერა იმ დროს, როდესაც ცნობილი იყო ამ წინადაზნთა ცხოვრების მოკლე რედაქციები. საერთოდ ბესარიონ ორბელიშვილს არც ერთი ისეთი დასახელების თხზულება არ შეუქმნია. რომელიც მანამდე მოკლე სახით მაინც არ არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობას. რომლის შესახებაც მანამდე არავითარი ავთოგრაფიული ხასიათის თხზულება არ მოიპოვებოდა, თუმცა ძირითადი ფაქტიური მასალა მთლიანად აღებულია ვახტანგ გორგასალის ისტორიიდან. რომელიც ქართლის ცხოვრებაშია შესული. ამის თქმა ჩვენ იპიტომ დაგვეჭირდა, რომ ზოგადად აღგვენიშნა ბესარიონ ორბელიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის ხასიათი, საიდანაც საეჭვო არ უნდა იყოს იმ ვარაუდის დაშვება, რომ მან თავისი თხზულება კახეთის გმირთა წაქების შესახებ შექმნა მანამდე არსებული მოკლე ცხოვრების შემდეგ. ე. ი. აქაც იგივე მდგომარეობა უნდა გვექონდეს, როგორიც ზემოაღნიშნულ თხზულებათა შექმნასთან დაკავშირებით გვაქვს.

ბესარიონის მოღვაწეობის დახასიათება მართებული არ იქნება. თუ აქვე არ აღვნიშნავთ, რომ უმეტესი ნაწილი მისი თხზულებებისა, უფრო სწორად, თითქმის ყველა, გარდა არჩილ მეფის ცხოვრებისა, სრულებით არ იყენებს ხსენებული მოკლე რედაქციის ცხოვრებებს, არამედ მათგან დამოუკიდებლად ქმნის ახალ. ვრცელ თხზულებებს ლუარსაბ მეფის, ისე წილკნელის, რაჟდენ პირველმოწამისა და სხვათა შესახებ.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ბიძინა ჩოლოყაშვილის. ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავთა ვრცელ. ბესარიონ ორბელიშვილის მიერ შექმნილ ცხოვრებასა და სვინაქსარული რედაქციის ცხოვრებას შორის დამოკიდებულების საკითხში. მიუხედავად იმ სარწმუნო ფაქტისა, რომ ეს ორი ცხოვრება ყოველგვარი ეჭვის გარეშე იცნობს ერთმანეთს, არამცთუ ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს ფრაზეოლოგიურად. არამედ ზოგჯერ ფაქტიური დეტალებითაც კი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასეთ შემთხვევაში, უნდა ითქვას,

რომ ეს ორი თხზულება სხვადასხვა, ჩვენთვის ჭერჭერობით უცნობ წყაროს, ანდა, შესაძლებელია, რაღაც გადმოცემას ეყრდნობა. მოკლედ შევეუდაროთ ერთმანეთს ამ თხზულებათა ზოგიერთი დეტალი. რა თქმა უნდა, ჩვენ ძირითადად ყურადღება უნდა მივაქციოთ სვინაქსარულ ცხოვრებაში გადმოცემული ამბების პარალელებს ვრცელ ცხოვრებაში, რადგან გარდა ასეთი ადგილებისა ვრცელი ცხოვრება დამატებით შეიცავს არა მარტო ვრცელ შესავალსა და ქადაგება-დამოძღვრის ფორმის მრავალ დიალოგს, არამედ ბევრ ფაქტიურ მასალასაც, რაც გამოწვეულია ვრცელი ცხოვრების სპეციფიკით და, რასაკვირველია, ეს ყველაფერი არ გვექნება ისეთ მოკლე თხზულებაში, როგორც სვინაქსარული რედაქციის ცხოვრებაა.

1. სვინაქსარული ცხოვრების პირველი უთანხმოება სრულ ცხოვრებასთან სათაურშივეა დადასტურებული: „თუესა სეკდენბერსა ი¹⁶³ წმიდათა და დიდებულთა ორთა ძმათა მოწამეთა ქართველთა ელისბარ ქანის ერისთავისაჲ და ძმისა მისისა შალესისი...“¹⁶³.

ვრცელი ცხოვრების მიხედვით კი შალვა ელიზბარის ძმისწული და შვილობილია: „...რამეთუ ელისბარ უშვილო იყო და მოხუცებული ღლითაჲ და წმიდა შალვა ძმისწული მისი შვილად მოიყუანა და ესრეთ ერისთაობდნენ ორივე ქანსა ზედა“¹⁶⁴.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ ამბებთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს ამ მოწამეთა ცხოვრების მეტაფორას, მაგრამ თავის ისტორიაში შალვას და ელიზბარის წათესაური დამოკიდებულების საკითხში ეწინააღმდეგება ვრცელ ცხოვრებას და სვინაქსარულში გადმოცემულ დეტალს უჭერს მხარს. „...ზაალმა ერისთავმან შემოიფიცა საყმონი თვისნი და ფშავ-ხევსურ-თუშნი და ბიძინა სუფრაჯი და ერისთავი ქანისა შალვა ძმით ელიზბარი თ...“¹⁶⁵.

მაინც ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ცხოვრების მხარეზეა სიბართლე.

2. სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით, თათართა გაჟლეტის შემდგომ ცოტა ხნის შემდეგ ეს მოწამენი შეიპყრა „ზაკვით“ კახეთის მმართველმა მან ფეიქარხანმა და გაუგზავნა ნაქს...“¹⁶⁶

¹⁶³ S—3269, 226v.

¹⁶⁴ საქართველოს სამოხბე, გვ. 602.

¹⁶⁵ ვახუშტი, სპს. ცხოვრება, თბილისი, 1913, 152.

¹⁶⁶ S—3269, 226v.

ერცელ ცხოვრებაში ამ პირთა შეპყრობა ვახტანგ მეფეს, შაჰნავაზულ წოდებულს ბრალდება:

„მაშინ მეფემან სპარსთამან მცირემან შაჰაბაზ მოუწოდა მეფესა ქართუჭლთასა ვახტანგს, რომელსა სპარსნი შაჰნავაზობით უხმობდეს, რათა მის წინაშე წარგზავნენეს ახალნი ესე მხედარნი ქრისტესნი, რომელთაცა საქმე ესე ჰყუჭს. ხოლო მეფემან შაჰნავაზ შეიპყრნა იგინი და წარგზავნა სამნივე ესე სანატრელნი წინაშე შაჰაბაზისა სპარსეთს“¹⁶⁷.

ფარსადან გორგიჯანიძეცა და ვახუშტი ბატონიშვილიც. თუმცა არა ზუსტად, მაგრამ მთავარში მაინც სვინაქსარული ცხოვრების მხარეზე არიან. არც ერთი მათგანი არ მიაწერს ვახტანგ მეფეს მათ შეპყრობას და შაჰთან გაგზავნას. ორივე ისტორიკოსი ამ მოქმედებას შაჰის სხვადასხვა ხანს უკავშირებს.

ფარსადან გორგიჯანიძე აღწერს: „ბიძინა სუფრაჯი და ელიზბარ ერისთავი და შალვა თავიანთი ნებით განჯის ხანთან მოვიდნენ და იჰან ყაენთან გაგზავნა“...¹⁶⁸.

უფრო სარწმუნო უნდა იყოს ვახუშტის ჩვენება, რომლის მიხედვითაც შალვ არაგვის ერისთავის სიკვდილის შემდეგ, ბიძინა, შალვა და ელიზბარი შეშინდნენ და არ მივიდნენ ვახტანგ მეფესთან და წავიდნენ ახალ მპართველ მურთუხალ-ხანთან ყარაღაჯს. „მაშინ ხანმან შეიპყრა იგინი და წარავლინა წინაშე ყაენისა“¹⁶⁹ მართალია, ვახუშტისთან მანფეიქარხანის ნაცვლად მურთუხალ-ხანია დასახელებული, მაგრამ სიტუაცია თითქმის სვინაქსარული ცხოვრების მსგავსადაა აღწერილი.

როგორც პირველი, ისევე მეორე მაგალითათ სვინაქსარული ცხოვრება ვერცელთან შედარებით უფრო ზუსტი ფაქტების შემცველი თხზულების შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან საისტორიო წყაროებიც მის ჩვენებას უფრო უჭერენ მხარს.

3. ვერცელ ცხოვრებასთან შედარებით სვინაქსარულში დამატებით არის მოცემული სამივე გმირის გარეგნობის აღწერა, რითაც ის დავით და კონსტანტინეს მეტაფრასტულსა და უფრო მეტად სვინაქსარული ცხოვრების უძველეს რედაქციას გვაგონებს. „ხოლო იყვნეს წმიდანი ესე მოწამენი სახითა ესევეითარნი: ელიზბარ უხუცე დღითა შალვასა, ჰასაკითა ზომიერ, თმითა წაბლისფერ, წარბითა და

¹⁶⁷ საქართველოს სამოთხე, გვ. 603.

¹⁶⁸ ფ. გორგიჯანიძე, როსტომ მეფის ისტორია, გვ. 335—36.

¹⁶⁹ ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 189—190.

წუერიტა წითელ, თუალითა გრემან და ჰაეროვანებითა წითურ. ზოლო შალვა ჰასაკითა მაღალ და ჰაეროვანებითა თეთრ და მწითურ თიითა, თუალითა, წარბითა და წუერიტა შავ. ხოლო წმიდა ბიძინა ჰასაკითა მცირე, ჰაეროვანებითა მწითურ და თუალითა მწყაზარ და წუერიტა და წარბითა წითელ და ყოვლითა სიმქნითა შემკულ¹⁷⁰. ერცელ ცხოვრებაში მსგავსი რაიმე არ მოიპოვება.

4. ერცელი ცხოვრებისა და სვინაქსარული ცხოვრების დასკვნითი ნაწილები, რომლებშიც ამ მოწამეთა მარტვილობის შემდეგ ამბებზეა ლაპარაკი, ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. ერცელი ცხოვრების მიხედვით ასო-ასოდ დაქრალი გვაძეები სპარსელებმა გარეთ დაჰყარეს და ვერაინ ვერ ბედავდა მათთან მიკარებას უსჯულოთა შიშით. მაგრამ ღამით ფარულად ქრისტიანმა სომეხებმა მათი გვაძეები მოიპარეს და თავიანთ ეკლესიაში დამარხეს.

მრავალი წლის შემდეგ შალვა ერისთავის პეულემ ქეთევანმა და ძემ დავითმა გაგზავნეს კაცები, რომლებმაც ისინი ჩამოასვენეს და, რადგან გვაძეები ისე დაჰახინჯებულნი იყო, რომ მათი გარჩევა არ შეიძლებოდა, საძივე ერთ სპარსეში დაასაფლავეს იკორთის მთავარანგელოზის ეკლესიაში „ჩრდილო კერძო, დამართებით წინაშე სუეტისა“¹⁷¹.

სვინაქსარული ცხოვრება განსხვავებულად და უფრო ერცელად გადმოგვცემს იგივე ამბებს. აქ არაფერია ნათქვამი სომეხთა მიერ მათი გვაძეების ფარულად დამარხვაზე. სამაგიეროდ სრულიად ახალი დეტალია შემოტანილი: „ხოლო წარკდეს ეჰანი რაოდენნიმე, განგებითა ღმრთისაჲთა ეზრახა თათარი ვინმე, მკვდრი მის ქუეყანისა, სადა მიიღეს მახული აღსრულებისა წმიდათა აჰათ მოწამეთა, სონებსა ვისმე, რომელი შეცნიერ იყო სიცოცხლესავე ამათ წმიდათა-სა ერისთვისა ელისბარ და შალვასა სომეხი იგი. მიუთხრნა თათარ-მან მან, ვითარჲედ: „მიზილავს თუალითა ჩემითა უცხოჲ და განსაკრ-თოჲელი საკვრელი ნათელი, სადა მდებარე არიან კაცნი ესე ღმრთისანი“. ზოლო მცირედ რაჲმე მორწმუნეცა ქმნილ იყო სარკინოზი იგი ხილვასა მას ზედა ნათლისასა“¹⁷². სვინაქსარული ცხოვრებით სწორედ ამ სომეხმა შეატყობინა წამებულთა პეულეებს მათი გვაძეების ადგილსამყოფელი „და აღივსნეს სიზარულითა ღიღითა და წარგზავნეს კუალად სომეხი იგივე და ორნი მონანი თჳსნი და წარატა-

¹⁷⁰ S—3269, 227r.

¹⁷¹ საქართველოს სამოთხე, გვ. 609.

¹⁷² S—3269, 227r.

ნეს ფასიცა, რაოდენ ძალ ეღვა სიქვრივეთა მათთა“¹⁷³. სვინაქსარულ ცხოვრებაში მოწამეთა გეამების საქართველოში ჩამოსვენებასთან დაკავშირებით ნახსენებია ნიქოზის საეპისკოპოსო ეკლესიაც, სადაც თავდაპირველად მოუსვენებიათ ისინი, რადგან აქ ცხოვრობდა ელიზბარის მეუღლე: „...და მოიღეს ნიქოზს საეპისკოპოზოსა ეკლესიასა, სადა მდგომარე იყო მეუღლე წმიდისა ელისბარისა. ხოლო მეუღლე შალვასი მცხეთას მყოფ იყო და სიქურჩვესა აღასრულებდა. და ამხილეს ურთიერთს და შეიყარნეს ნიქოზს და მუნ იხილეს ნაწილნი და დააღტვეს ცრემლითა ფრიადითა“. დანარჩენი კი ისევკა, როგორც ვრცელში: „წარმოიღეს იკორთას, ეკლესიასა მთავარანგელოზთაჲსა... მარცხენით კერძო სამკუთეთლოთა კართა წინაშე“¹⁷⁴. დასასრულ, სვინაქსარული ცხოვრების სულ ბოლოს არის ერთი ისეთი ცნობა, რომელიც, როგორც შემომოტანილი ზოგიერთი დეტალი, განსაზღვრებულად იხსენიება ვრცელი ცხოვრების რედაქციაში: „ვიითარქედ თქმულ არა ბიძინასათვის, რამეთუ ფრანგთწარიძარქს წმინდანი ნაწილნი მისნი ქრისტეს აქათ ათას ექუსას სამეოცდა ორი, დასაბამითგან შვდითას ას სამეოცდა ათი“¹⁷⁵. ეს შენიშვნა სპარსეთში მომხდარ ამბავს უნდა გულისხმობდეს, რადგან დაახლოებით მსგავსი რამ ვრცელ ცხოვრებაშიც არის ნათქვამი, მაგრამ არა მარტო ბიძინას. არამედ სამივე მოწმის მიმართ. როდესაც ვანიზრახეს მოწამეთა სპარსეთიდან საქართველოში გადმოსვენება, „აღმოიღეს იგინი და იხილეს რა, რამეთუ სამნივე იგი განუყოფელ იყვნეს... ხოლო თავები იგი მათ წმიდათანი არცა ერთსა ზედა იყო მდებარე, რამეთუ სომეხთა და ფრანგთა განეყო, რათამცა დაეკრძალნა იგინი“.

საქაროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ამ მოწამეთა ხსენების დღის საკითხს. არც ერთ წყაროში, რომელიც კი პირდაპირ თუ გაკვრით ეხება კახეთის ხსენებული აჯანყების ამბებს, არ არის აღნიშნული ბიძინას, ელიზბარისა და შალვას მოწამებრივი აღსასრულის დღე. ამ დღის აღნიშვნა უნდა დაიძებნოს ლიტურგიკული კრებულებისა და მოწამეთა ცხოვრების ნუსხების კალენდარული დღის ჩვენებებში, რადგან მოწამეთა დღესასწაული. მოსალოდნელია. რომ მათი წამების დღეს იქნება დადებული. მაგრამ აღნიშნული ხელნაწერები ერთის მაგივრად ორ დღეს გვიჩვენებენ: 24 ივლისსა და

¹⁷³ S-3269, 227r.

¹⁷⁴ იქვე.

¹⁷⁵ იქვე.

18 სექტემბერს. საკითხის გარკვევას, თუ რომელი დღეა თავდაპირველი. ზეპდები გარემოება აძნელებს: ხელნაწერებში ჭერჭერობით დადასტურებული უძველესი ხსენება სვინაქსარული ცხოვრების გარეშე 24 ივლისს გვიჩვენებს (A—380, 1714—16 წ.). გარდა აღნიშნულისა კიდევ 4 ხსენებაა (სვინაქსარული ცხოვრ. გარეშე) ამ დღის დადასტურებული. მაგრამ ამ ხსენების შემცველი ხელნაწერებიდან A—380-ს გარდა არც ერთი არაა 1740 წ. აღრიხნდელი. ხსენების მეორე დღეს — 18 სექტემბერს ჩვენ უფრო ხშირად ვხვდებით: სვინაქსარულ, აგიოგრაფიულ კრებულებსა და სადღესასწაულოებში შესული ორივე რედაქციის სვინაქსარული ცხოვრების ათივე ნუსხა გამონაკლისის გარეშე 18 სექტემბერს უჭერს მხარს. ამავე დღეს ადასტურებს რამდენიმე ხელნაწერის ჩვენებაც. სადაც ამ მოწანეთა ხსენება სვინაქსარული ცხოვრების გარეშეა წარმოდგენილი (H—2335, Q—1053). აღსანიშნავია ცენტრ. არქივის 488 — XVIII ს.¹⁷⁶ ხელნაწერში დადასტურებული შენიშვნა: „სექტემბერსა ი¹⁸... ამასვე დღესა ბიძინა დაჭრილია. ამათი ქაენება და წაქება ამა დღესა არს, ძმანო, და არა თუ ივლისა კ²⁴. ვისაცა დაუწერია. ტუილად დაუწერია. ივლის არა არს, არამედ ი¹⁸ სექტემბერსა ეწაქნეს“.

გარკვევით თქმა იმისა, თუ რომელი დღეა თავდაპირველი და სწორი, ძნელია, მაგრამ 24 ივლისის აღნიშვნა არ შეიძლება უბრალო შეცდომით, ან რომელიმე გადაშწერის თვითნებობით აეხსნათ. ხომ არ არის ერთ-ერთი ამ დღეთაგან ამ მოწანეთა მარტილობის დღე, ხოლო მეორე კი, უფრო 24 ივლისი, მათი იკორთას გადმოსვენებისა და ღასათღავეების დღე?

24. შიო გარეჯელი

XVII საუკუნის მიწურულში გარეჯის უდაბნოში შეიქმნა ერთი ორიგინალური თხზულება, რომელიც საინტერესოა ამ პერიოდის ისტორიისა და მწერლობის ზოგიერთი საკითხის შესასწავლად. ეს არის A—1367 ხელნაწერში მოთავსებული შიო გარეჯელის საგალობლებისა და მოკლე ცხოვრების შემცველი თხზულება. ცხოვრება სვინაქსარული ხასიათისაა, რასაც ნათლად ამტკიცებს არა მარ-

¹⁷⁶ ხელნაწერი ცენტრ. არქ. ხელნაწერთა აღწერილობაში XVII ს. არის დათარიღებული, რაც ეჭვს იწვევს. XVIII ს. I ნახევარზე უფრო აღრიხნდელი ემნ-გულანი არ შეიძლება იყოს.



ტო მისი მოცულობა და შედგენილობა, არამედ მისი ადგილმდებარეობა საგალობლებთან მიმართებით. როგორც ცნობილია, ღვთისმსახურების პრაქტიკის მიხედვით „ამა თუ იმ წმიდანის ხსენების დღეს ცისკრად, კანონის მექექვსე გალობის შემდეგ, უნდა წაკითხულ იქნეს ამ წმიდანის „ცხოვრება“ შემოკლებული სვინაქსარული რედაქციით მაინც“¹⁷⁷. ღვთისმსახურების ეს პრაქტიკა აისახა ისეთ ლიტურგიკულ კრებულებში, რომელსაც საღვთისმსახურლო ეწოდება, სადაც რომელიმე წმიდანის ღვთისმსახურლო მასალა-საგალობლები და სვინაქსარული ცხოვრება ამ პრინციპითაა განლაგებული. ჩვენს თხზულებაშიც სწორედ ასეთი სურათი გვაქვს.

აღნიშნული ხელნაწერი, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, წარმოადგენს შიო გარეჯელის ღვთისმსახურლო დღის სრულ განგებას. ამ წმიდანის ადგილობრივი ხასიათის გამო, როგორც ჩანს, ეს მასალა არ შესულა არც ერთ საღვთისმსახურლო კრებულში, რადგან ამ ღვთისმსახურლო აღნიშვნა მხოლოდ გარეჯის უდაბნოსთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ეს მცირე ხელნაწერი, რომელიც მხოლოდ შიო გარეჯელის საგალობლებსა და სვინაქსარულ ცხოვრებას შეიცავს, ერთადერთი, ავტორის ხელიდან გამოსული ნუსხითაა ცნობილი. ამ მოწამის ღვთისმსახურლო სხვა ქართულ ეკლესიაში აღნიშვნის შესაძლებლობა არც ერთი წყაროთი არ არის ცნობილი და ძალზე საეჭვო უნდა იყოს. ეს შემთხვევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართული ეკლესიის სინამდვილეშიც ისევე, როგორც სხვა ქრისტიანული ერების ეკლესიებში, სხვადასხვა მონასტრებს შესაძლებელია ჰქონოდათ ერთმანეთისაგან განსხვავებული კალენდარი არა მარტო მსოფლიო ეკლესიის წმინდანების მიმართ, არამედ ნაციონალური მოღვაწეობის ღვთისმსახურლო აღნიშვნის შემთხვევებშიც.

შიო გარეჯელის შესახებ დაწერილი თხზულება ლიტურგიკული დანიშნულების ძეგლთა რიგს მიეკუთვნება, მაგრამ ასეთი სახის სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, თხზულების სათაურშივე მითითებულია ავტორი — ნიკოლოზ მაღალაშვილი. ეს შეიძლება ითქვას ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც სვინაქსარული ცხოვრების შემქმნელი თავის ვინაობას ნაწარმოებშივე ასახელებს. ეს შემთხვევა შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ მას შიოს შესახებ დაწერილი პირველი ცხოვრების პრეტენზია აქვს; თუმცა ამ თხზულებაზე უფრო ადრე და გვიანაც დაწერილ მსგავს ძეგლებში (ექვთიმე, პრო-

¹⁷⁷ კ. კ ე ე ლ ი ძ ე. ეტიუდები, IV, 1957, გვ. 249.



ხორე, ლუარსაბი და სხვ.) ავტორი თავის ვინაობას არ ასახელებს. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ავტორმა თავისი ვინაობა აღნიშნა, რადგან ეს ნაწარმოები დამოუკიდებელი ხელნაწერის სახით დაიწერა. იმ შემთხვევაში, თუკი ამ თხზულებას რომელიმე სადღესასწაულოს შემადგენლობაში შეიტანდნენ, მოსალოდნელი იყო, რომ ავტორის ვინაობა არ აღნიშნულიყო. ამრიგად, ავტორი ამ თხზულებისა ნიკოლოზ მაღალაშვილია.

რა არის ცნობილი მის შესახებ ქართული წყაროების მიხედვით? საერთოდ მაღალაშვილთა გვარი კარგადაა ცნობილი XVII საუკუნის დოკუმენტების მიხედვით¹⁷⁸. თვით ნიკოლოზ მაღალაშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე ჩანს უკვე 1667 წლიდან¹⁷⁹. იგი მონაწილეა ქვეყნის ეკონომიურ-სოციალური და საეკლესიო ცხოვრებისა 80—90-იან წლებში. მას მონაწილეობა მიუღია 1702 წ. ქართლ-კახეთის საეკლესიო კრებაში¹⁸⁰. მისი სახელის ყველაზე გვიანდელი ხსენება, როგორც ცოცხალისა, 1785 წ. მიეკუთვნება¹⁸¹. „ნიკოლოზი შვიგნობრობითაც ყოფილა გატაცებული. იგი თვითონაც წერდა (H—204) და სხვასაც აწერინებდა ხელნაწერებს (A—37, 763) და შემდეგ სწირავდა ეკლესია-მონასტრებს, უპირატესად კი მცხეთას და საკუთრივ კარის ეკლესიას. ნიკოლოზ მაღალაშვილი, როგორც სვეტიცხოველის ქადაგ-არქიმანდრიტი, უპირატესად მცხეთაში მოღვაწეობდა, მაგრამ იგი ერთხანს დავით გარეჯაშიც ყოფილა, დაახლოებით 1697—1702 წ., და აქტიური მონაწილეობა მიუღია ამ სავანის ლიტერატურული სკოლის საქმიანობაში“¹⁸². გარეჯის უდაბნოში მას დაუწერია აღნიშნული თხზულება, რომლის შექმნას საფუძვლად XVII ს. ბოლოს ლეკთა მიერ შიოსა და გარეჯის მონასტრის კიდევ ხუთი მონაზვნის დახოცვა დადებია. ავტორი სათაურში-

¹⁷⁸ ამ გვარის გენეალოგიისა და მოღვაწეობის შესახებ იხილეთ ა. ბაქრაძის „XVI—XVIII სს. საქათალიკოზო და სათავადო მღვიან-მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი“, პალეოგრაფიული ძიებანი, I, თბილისი, 1965, გვ. 11—20.

¹⁷⁹ მის სააღმშენებლო მოღვაწეობასთან დაკავშირებით იხ. ვ. ბერიძე, წინარეხელ მაღალაშვილთა მშენებლობა XVII—XVIII საუკუნეებში, „საქ. მუზ. მოამბე“, ტ. XIV-B, გვ. 199. აგრეთვე მისივე, წინარეხი, გომისჭვარი, სასხორი, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. 4, № 6, 1943, გვ. 603—610.

¹⁸⁰ მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, დავით გარეჯის ლიტ. სკოლა, გვ. 73.

¹⁸¹ იქვე.

¹⁸² მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, დასახ. ნაშრ. გვ. 73.



ვე აღნიშნავს, რომ მან ეს თხზულება „მეფობასა ერეკლესა და კათალიკოზობასა იოვანესასა“ აღწერა. ძეგლში ონოფრე შაქუტაძის მონასტრის წინამძღვრად მოხსენიება (რომელსაც წინამძღვრობა 1690 წ. 12 მარტს მიუღია)¹⁸³ ნათელიყოფს, რომ ძეგლში იგულისხმება ერეკლე I ნაზარალიხანად წოდებული და იოვანე დიასამიძე. მათი მოღვაწეობის წლები კი 1688—1700 წწ. ფარგლებში თავსდება (ერეკლე I მეფობდა 1688—1703 წწ., ხოლო იოვანე კათალიკოზად იჯდა 1688—91 და 1696—1700 წ.). ამ თხზულების დაწერის ქრონოლოგიის დასაფიქროებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას. თუ როდის ჰქონდა ადგილი სვინაქსარულ ცხოვრებაში აღწერილ ტრაგედიას, რომლის მომსწრედ და მხილველად ავტორიკ ჩანს. მ. ქავთარია, რომელსაც დაწვრილებით აქვს შესწავლილი ეს სვინაქსარული ცხოვრება და მასთან დაკავშირებული ისტორიული-ლიტერატურული საკითხები, არ ეთანხმება ივ. ლოლაშვილის მიერ გაკვრით გამოთქმულ ვარაუდს, რომ სვინაქსარულ ცხოვრებაში აღწერილ ლეკთა თავდასხმას ადგილი უნდა ჰქონოდა 1691 წ. და სარწმუნო ფაქტებზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს. რომ თხზულებაში აღწერილი გარეჯის მონასტრის ლეკთა მიერ დარბევა 1697—1700 წლების ფარგლებში უნდა მომხდარიყო¹⁸⁴. ამიტომ სარწმუნოდ გვეჩვენება ამ თხზულების დაწერის დროდ 1697—1700 წლების გამოცხადება¹⁸⁵.

მ. ქავთარია სათანადო ანალიზს უკეთებს ამ თხზულების ისტორიულ ცნობებს და აფასებს მას როგორც სანდო საისტორიო წყაროს. იქვეა განხილული ამ თხზულების მხატვრული ღირებულება და მასთან დაკავშირებული ლიტერატურის სხვა საკითხები. ამდენად, ჩვენ ზედმეტად ჩავთვალეთ ამ საკითხებზე შეჩერება.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ ამ სვინაქსარული ცხოვრების ტექსტის პირველი გამოცემა ეკუთვნის მ. საბინინს¹⁸⁶, თუმცა უნდა ითქვას, რომ ტექსტში ბევრი შეცდომაა გაპარული, რის მიზეზად გამომკველი ასახელებს იმ ფაქტს, რომ ტექსტი მისი დავალებით დედნიდან სხვამ გადმოიწერა. როგორც ჩანს, გადმოწერილი არაკვალიფიცილი პირი ყოფილა.

¹⁸³ მ. ქავთარია, ქართლ-კახეთის საბუთებო. გვ. 9—10.

¹⁸⁴ მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 136—38.

¹⁸⁵ იქვე.

¹⁸⁶ საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 611—615.

IV. დასკვნები

ქართულ სასულიერო ლიტერატურაში სვინაქსარული აგიოგრაფიის წარმოშობა ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის გავლენას უკავშირდება. ამ ჟანრის საწყისები გიორგი მთაწმიდლის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნ „დიდ სვინაქსარშია“ მოცემული და XI საუკუნის I ნახევრით განისაზღვრება.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცელ და სვინაქსარულ ცხოვრებათა ურთიერთმიმართების საკითხი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნები გაკეთდეს:

1. ვრცელ და სვინაქსარულ ცხოვრებათა დამოკიდებულების შესახებ დამკვიდრებული აზრი, რომ სვინაქსარული ცხოვრება, როგორც წესი, შესაბამისი ვრცელი ცხოვრების გამონაკრებს წარმოადგენს, ზოგიერთი კონკრეტული მაგალითის საფუძველზე გადასინჯვას მოითხოვს:

ა) სვინაქსარული ცხოვრება არ შეიძლება იყოს ვრცელი ცხოვრების გამონაკრები იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამის ვრცელ ცხოვრებაზე აღრეა დაწერილი. ასეთი შემთხვევები კი არცთუ იშვიათად დასტურდება. მაგ., ექვთიმე მთაწმიდლის სვინაქსარულ ცხოვრებასთან დაკავშირებით გაირკვა, რომ ეს ძეგლი ექვთიმე მთაწმიდლის ვრცელ ცხოვრებაზე თითქმის ორი ათეული წლით აღრე შეიქმნა და წარმოადგენს უკანასკნელის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. მსგავსი შემთხვევები უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება XVIII ს. სვინაქსარული ძეგლების მაგალითებზე (ლუარსაბ მეფის, იანე წილენელისა და ბიძინა, შალვა და ელიზბარის სვინაქსარული ცხოვრებანი).

ბ) სვინაქსარული ცხოვრება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მომდინარეობდეს ვრცელი ცხოვრებიდან, როდესაც შესაბამისი ვრცელი ცხოვრება არც სვინაქსარულის შექმნამდე არსებობდა და არც მისი შექმნის შემდეგ დაწერილა. პროზორე ქართველის, ნიკოლოზ დვალისა და ლუკა იერუსალიმელის სვინაქსარული ცხოვრებანი აღნიშნულის კარგი დადასტურებაა. გვიანდელ სვინაქსარულ ცხოვ-

რებათაგან ასეთებია: ანტონ მარტომყოფელის, იოსებ ალავერდელის, შიო გარეჯელისა და დოდო გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრებანი. ჩამოთვლილი ძეგლები ისევე როგორც პირველ პუნქტში დასახელებულნი, შექმნილია დამოუკიდებელ, მოკლე თხზულებათა სახით.

გ) სვინაქსარულ ცხოვრებათა უმეტესი ნაწილი შედგენილია შესაბამისი ვრცელი ცხოვრების საფუძველზე. ნაშრომში განხილულ ძეგლთაგან ასეთებია: ილარიონ ქართველის, შიო მღვიმელის, ნინოს, დავით და კოსტანტინეს, აბოსა და XVII—XVIII სს. შექმნილ სვინაქსარულ ცხოვრებათა მეტი ნაწილი. მარტო ასეთ სვინაქსარულ ცხოვრებებზე ვრცელდება სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ზემოაღნიშნული დებულება, მხოლოდ იმ კორექტივით, რომ სვინაქსარული ცხოვრება გარდა ვრცელი ცხოვრების მონაცემებისა ხშირად სხვა წყაროებსაც იყენებს.

2. ყველა სვინაქსარული ცხოვრების შედგენის მეთოდი ერთნაირი არ არის. ზოგი მათგანი, როგორც აღვნიშნეთ, ამა თუ იმ მოღვაწის შესახებ პირველწყაროს წარმოდგენს და შეიქმნა მოკლე, დამოუკიდებელი თხზულების სახით. უფრო დიდი ნაწილი კი ძირითადად შექმნილია შესაბამისი ვრცელი ცხოვრების საფუძველზე. ძირითადად, ორივე შეიცავს ცნობებს წმინდანის საღაურობის, მშობლების, მოღვაწეობის ძირითადი მომენტების, მის მიერ ჩადენილი სასწაულების, გარდაცვალების დღისა და ხშირად დასაფლავების ადგილის შესახებ. სვინაქსარული ცხოვრებანი, რომლებიც ვრცელი ცხოვრების საფუძველზეა შექმნილი, წყაროს გამოყენებისა და შედგენილობის თვალსაზრისით ერთნაირ სურათს არ გვიჩვენებენ. გარდა ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპისა თითოეულ ცხოვრებას თავისი სპეციფიკური ნიშნებიც აქვს. შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ნიშანი, რაც საერთოა სვინაქსარულ ცხოვრებათა გარკვეული ჯგუფისათვის:

ა) ვრცელი ცხოვრების უმთავრესი, სვინაქსარული ცხოვრებისათვის საჭირო მასალის გამოკრება წყაროს ფრაზეოლოგიის თითქმის მთლიანად შენარჩუნებით. მაგალითისათვის გამოვედგება ილარიონ ქართველის სვინაქსარული ცხოვრების აღრინდელი რედაქცია და XVII—XVIII სს. ბევრი სვინაქსარული თხზულება.

ბ) ვრცელი ცხოვრებიდან გამოკრებილი უმთავრესი მომენტების პერიფრაზი. ამ პრინციპითაა შედგენილი ნაშრომში განხილული შიო მღვიმელისა და დავით და კოსტანტინეს სვინაქსარული ცხოვრებანი.

გ) ვრცელი ცხოვრების საფუძველზე გაკეთებული მოკლე^{სწრაფი} ნაარსი. ასეთებია ნინოს სვინაქსარული ცხოვრების XI და XIV სს. რედაქციები და XVII—XVIII სს. მრავალი სვინაქსარული ცხოვრება.

აღნიშნულ პრინციპებს შორის, რა თქმა უნდა, მტკიცე ზღვარის დადება არ შეიძლება. ზოგჯერ რომელიმე სვინაქსარულ ცხოვრებაში რამდენიმე სხვადასხვა პრინციპია მოცემული, მაგრამ მათ შორის ძირითადი ერთია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება სვინაქსარული ცხოვრების შედგენის მეთოდი.

3. ვრცელის მიხედვით შედგენილი სვინაქსარული ცხოვრება, ცხადია, მასალას თავის წყაროდან კრებს. მაგრამ ხშირად სვინაქსარული ცხოვრება არ კმაყოფილდება ძირითადი წყაროს მასალით და დამატებითი წყაროებით სარგებლობს. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ილარიონ ქართველის XII ს. და ნინოს XIV ს. სვინაქსარული ცხოვრებანი, აგრეთვე გვიანდელ სვინაქსარულ ცხოვრებათა საკმაოდ დიდი ნაწილი.

ხშირად სვინაქსარულში დადასტურებულ ფაქტებსა და ეპიზოდებს შესაბამის ვრცელ ცხოვრებაში და საერთოდ სხვა ჩვენთვის ცნობილ წყაროებში პარალელი არ ეძებნებათ. შესაძლებელია, ასეთ შემთხვევებში ზოგი სვინაქსარული ცხოვრება ჩვენთვის უცნობ წყაროს იყენებს, ზოგი ზეპირი გადმოცემებით სარგებლობს, ზოგიც კი ავტორისეულ დანამატსა და ნათხზავს შეიცავს. მაგალითისათვის გამოგვადგება შიო მღვიმელისა და დავით და კოსტანტინეს სვინაქსარულ ცხოვრებათა უძველესი რედაქციები, აგრეთვე გვიანდელი სვინაქსარული ცხოვრების რამდენიმე ნიმუში.

აქედან ცხადია, რომ სვინაქსარულის მხოლოდ შესაბამისი ვრცელი ცხოვრების საფუძველზე შედგენა არ ყოფილა სავალდებულო.

4. ბევრი ქართველი წმინდანის სვინაქსარული ცხოვრება რამდენიმე რედაქციით გვხვდება. რომელიმე წმინდანის სვინაქსარული ცხოვრების ერთზე მეტი რედაქციის შექმნის მიზეზები, ჩვენი აზრით, უნდა იყოს:

ა) წმინდანის სვინაქსარული ცხოვრების შექმნა გარკვეულ მონასტერთანაა დაკავშირებული. თუ მისი ნუსხები არ ვრცელდებოდა, მეორე მონასტერში შეიძლება შექმნილიყო ამავე წმინდანის სვინაქსარული ცხოვრების ახალი რედაქცია.

ბ) განსაზღვრული ლიტურგიკული კრებულისათვის ადგენდნენ ამა თუ იმ წმინდანის სვინაქსარული ცხოვრების ახალ, მოკლე ვა-

რიანტს, როდესაც ამავე წმინდანის უკვე არსებული სვინაქსარული ცხოვრება, შემდგენელ-რედაქტორის აზრით, ვრცელი იყო.

ვ) როდესაც არსებული სვინაქსარული ცხოვრება ძალზე მოკლეა, სქემატურია და არ შეიცავს წმინდანის ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს, ადგენენ ახალ, ვრცელ სვინაქსარულ ცხოვრებას.

დ) ამა თუ იმ მონასტერს ზოგჯერ არსებული სვინაქსარული ცხოვრება გარკვეული ხარვეზების გამო არასრულყოფილად მიაჩნია და ლიტურგიკულ კრებულში შესატანად ადგენს ამ წმინდანის ახალ სვინაქსარულ ცხოვრებას.

რედაქციული მრავალფეროვნება ძირითადად XVII—XVIII სს. ელინდება. ძველი რედაქციებიდან ამ შემთხვევაში მხოლოდ ნინოს სვინაქსარული ცხოვრების XI—XIV სს. რედაქციები უნდა დავასახელოთ. დანარჩენებს რედაქციული პარალელები მხოლოდ XVI—XVIII სს. უჩნდებათ.

5. ამა თუ იმ წმინდანის სვინაქსარული ცხოვრების შექმნა უნდა უკავშირდებოდეს იმ სამწერლო კერას, რომელთანაც თავისი მოღვაწეობით დაკავშირებული იყო ეს წმინდანი. ამ პრინციპის სისწორეს ადასტურებს სვინაქსარულ ცხოვრებათა გარკვეული ნაწილი (ექვთიმე მთაწმიდელი, პროხორე ქართველი, ლუკა იერუსალიმელი, ნიკოლოზ დვალი, შიო გარეჯელი და სხვა), რომელთა შექმნის ადგილი არავითარ ექვს არ ბადებს. ილარიონ ქართველის სვინაქსარული ცხოვრება შეიქმნა ათონზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოღვაწის უშუალო კავშირი ათონის მთასთან არ დასტურდება, მაგრამ სამაგიეროდ ილარიონის ცხოვრების ყველა რედაქცია ათონის მთაზეა დამუშავებული, რამაც გამოიწვია სვინაქსარული ცხოვრების ამ სამწერლო კერაში აღმოცენება. ეფიქრობთ, რომ დავით და კოსტანტინეს სვინაქსარული ცხოვრების უძველესი რედაქციები დასავლეთ საქართველოს, უპირველეს ყოვლისა, გელათის მონასტერს უნდა უკავშირდებოდეს და ა. შ. გვიანდელი სვინაქსარული ცხოვრებანი კიდევ უფრო მეტ მასალას იძლევიან ამ ვარაუდის სასარგებლოდ.

6. სვინაქსარული აგიოგრაფიის უანრის ნაწარმოებებს გარკვეული ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვთ ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორიისათვის. ზოგჯერ სვინაქსარული ცხოვრება ერთ-ერთი ძირითადი წყაროა უმნიშვნელოვანესი სალიტერატურო ცენტრების მოღვაწეთა საქმიანობის შესასწავლად. მასში დატულ ცნობებს ხშირად მატერიალური კულტურის ისტორიისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ (ექვთიმე მთაწმი-

დელი, პროხორე ქართველი, ნიკოლოზ დვალი, ლუკა იერუსალიმელი, შიო გარეჯელი და სხვა). აქედან გამომდინარეობს სეინაქსარული ეანრის აგიოგრაფიული ძეგლების შესწავლის აუცილებლობა. სეინაქსარული ძეგლები მხატვრული ღირსებებითა და ისტორიული ფაქტების სოუხვით ჩამორჩებიან აგიოგრაფიული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, მაგრამ მათი ფაქტობრივი მასალა, ხშირად განსხვავებული წყაროსაგან, ისტორიულ ლიტერატურულ ინტერესს აწვევს. საჭიროა და საინტერესოც სეინაქსარულ თხზულებათა ლიტერატურული საკიოხების დამუშავებაც.

ბექსტისათვის

ხოლო ესე ნეტარი ფრიად უკუანაქს იყო თავთა მათ მოციქულთასა, არამედ მაღლითა და სასწაულითა ღმერთმან სწორ მათდა გამოაჩინა და დავიწყებული¹¹ ქუეყანაჲ ქართლისაჲ ძლითა სიტყუთა მისთაჲთა¹² და ურიცხვთა სასწაულთა მისთა¹³ ქმნითა მოაქცია და მოძღურებითა თჳსითა დაამტკიცა, რომელ მიერთგან ვიდრე აღსასრულამდე ჰვიეს შეუძრველად მართალსა სარწმუნოებასა¹⁴ ზედა, და ნამუშავეი¹⁵ თჳსი წმიდასა ღმრთის-მშობელსა შეკვედრა¹⁶. ხოლო იტყჳან¹⁷ ვიეთნიმე წმიდათა მამათაგანნი, ვითარმედ: ნაწილადცა ხუედრებით¹⁸ იყო ღმრთისაგან წმიდისა, ოდეს¹⁹-იგი ბრძანებითა ზეგარდამოათა²⁰ წილი ივდეს წმიდათა მოციქულთა⁴² თანადგომითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა ყოველსა ქუეყანასა ზედა, განანაწილეს²¹ თჳთეულად²². მაშინ წილადცა ხუედრებით წმიდისა ღმრთის-მშობელისა წილი იყო ქართველთა ნათესავი.

ხოლო არა უგულებელს-ყო²³ სასომან ყოველთაჲან ნათესავი იგი დავიწყებული²⁴ ქართველთა, არამედ მსწრაფლ აღიძრა და წარემართა მისდა ხუედრებულსა²⁵ მას ნაწილსა და თანა წარიყვანნა იაკობ მღდელთ-მოძღუარი და იოვანე ღმრთის-მეტყუელი და დანი იგი, რომელნი მსახურებდეს. და წარვიდა და ვლო ვზასა და ვი-

ნუსხაშია: ¹ განთავისუფლდებოდეს. ² შემოსრნა. ³ ზეგარდამოათა. ⁴ დაარწმუნა. ⁵ განაკვრინა. ⁶ სიტყუნი. ⁷ დაღათუ. ⁸ დამონებულთა. ⁹ უზესთაეს. ¹⁰ იტყვის. ¹¹ დავიწყებული. ¹² მისთა. ¹³ მისთა. ¹⁴ სარწმუნოებასა. ¹⁵ ნამუშავეი. ¹⁶ შეკვედრა. ¹⁷ იტყუიან. ¹⁸ ხუედრებით. ¹⁹ ოდეს. ²⁰ ზეგარდამოათა. ²¹ განაწილეს. ²² თჳთეულად. ²³ უგულებელს. ²⁴ დავიწყებული. ²⁵ ხუედრებულსა.



თარცა მიიწია იოპედ, გამოეცხადა მას უფალი და ჰრქუა. ¹⁰ **წმინდა** ნედ: „არა ჯეო-არს განშორებაჲ შენი იერუსალიმით. არამედ დაჯედ ქალაქსა შინა. ვითარცა დედოფალი ყოველთა, რამეთუ ნაცვალად ჩემსა შემდგომად შენ იყო მზრუნველ¹ და ნუგეშინის-მცემელ² მათ-და, რომელნი სახელისა ჩემისათჳს იღუაწდენ³. და ნაწილისა მის შენდა ხუედრებულისათჳს⁴ აწ ნუ⁵ მკმუნეარე⁶ ხარ, სასურველო⁷ დედაო, რამეთუ ყოველნივე დაბადებულნი ჩემნი შენდა შევედრებულ⁸ არიან და ნათესავისა მისთჳს მე ვიზრუნო⁹ და არა უგულუბელს-ვეო“. ამისთჳს დედაკაცისაგან ინება მოქცევაჲ მისიქი.

და საესეჲჲნ ყოვლითა სათნოებითა¹⁰ დაიძინა ძილი იგი სა-ნატრელი და საწადელი, რომლისა ნაწილსა ჩუენცა ღირს-გუყვნა¹¹ ქრისტემან ღმერთმან ყოველნ: ქრისტეანნი და ამისნი მსმენელნი და დღესასწაულისა ამის პატივის-მცემელნი, ამინ¹².

[451V] **თუქსა იანვარსა იწდ წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინოსი, რომელმან ჰადაგა¹³ ჰართლს¹⁴**

ესე წმიდა იყო მამით კაბადოკელი¹⁵ და დედით კოლასელი, მშობელთა ღმრთის-მოშიშთა. და ვითარცა იქმქნა წმიდა ნინო წლისა ათორბეტისა, მშობელთა მისთა განყიდეს ყოველი მონაგები მათი და განსყვეს გლაბაკთა და წმიდა იგი ღმერთსა შექვედრეს და მათ მონაზონებისა¹⁶ ცხოვრება აღირჩიეს.

და წმიდა მასახურებდა ორ წელ მიროფორსა (!) ვისმე. და გამოიკითხა მან ზედა-მიწეებით ენებათათჳს ქრისტესთა და ხალენისა ელასისა, და ენა წილთ-გდებით ევართისა მის უკერველისა ხლომა ჩრდილოეთისა და ზამთარი იგი ურწუნოებისა, და წარმოემართა დასაბამითგანთა წელთა ხუთ ათას რეაქსს ორმოცდამეათესა და ამაღლებისა ქრისტესისა სამას იცდამერვე წელსა.

და მსგავსად მოსესა ძილსა შინა ათნი მცნებანი ეუწყანეს, და განძლიერებულნი ძალითა ღმრთისათა მოიწია მცხეთას ქალაქსა. და მირიან მეფე სასწაულთა სინრავლეთთა ქრისტეს საჩწმუნოებად მოიყენა და ერპნი ზადენ და არმაზ დალენწა სეტყვსანიერითა რისხვითა და ესრეთ უფლისა მამართ მიიცვალა.

¹⁰ ამის ქველგ: ბასილსა და მათა ვარდასულთა შინ ღმ, აწ.

¹¹ ხელნაწერი: A-1582 (XVII-XVIII სს.).

ნუსხაშია. ¹ მზრუნველ. ² ნუგეშინის-მცემელ. ³ იღუაწდენ. ⁴ ხუედრებო-ლისათს. ⁵ ნო. ⁶ მკმუნეარე. ⁷ სასურველო. ⁸ შევედრებულ. ⁹ ვიზრუნო.

¹⁰ სათნოებითა. ¹¹ გუყვნე. ¹² ჰადაგა. ¹³ კაბადოკელი. ¹⁴ მონაზონებისა.

და უკუეთუ ვისმე გენებოს სასწაულთა მისთა ძალისა¹ ცნობად, ცხორება მისი აღმოიკითხე და გულ-სავე იქმნა.

[332v] აჰასვე დღესა* წმიდისა მოციქულისა და
 ქალწულისა ნინოსი**

ესე განგებითა ღმრთისათა მოიწია ქუეყანად ქართლად, ქალაქად სამეფოდ მცხეთად.

ხოლო იყვნეს ჭართველნი ეშმაკთაგან შეპყრობილნი, მოსავნი და თაყუანის-მცემელნი კერპთა ზადენისა და არმაზისა, რომელსა უწოდდენ ღმერთი ღმერთთა. და იყვნენ კერპნი არმაზისნი კაცი სპილენძისა, და ტანსა ეცუა² ჭაჭუ ოქროსა და ჩაბალახი მყარი თავსა მისსა. თუალნი ვყარნეს ერთი ზურმუხტისა და მეორე ბივრილი, და პელთა ეპყრა კრძალი ბრწყინვალე და იქცევედა პელთა შინა თვსთა. და კუალად სხუა დგა მარჯუენით³ მისა სრულიად ოქროსა და სახელი მისი⁴ გაცი, და მარცხენით მისა უდგა სხუა ვეცხლისა და სახელი მისი გაამ, რომელნი-იგოცა ღმერთად უჩნდეს ერსა მას დაბნელებულსა ქართლისასა და ძრწოლით თაყუანი-სცემდნენ ყოველნი.

ესე რა იხილა საკვრველი [333] დედამან ჩუენმან ნინო, აღიხილნა თუალნი თვსნი ზეცად, ილოცა და თქუა: „შეისმინე, უფალო, ლოცვისა ჩემისა და შთაყარნე კერპნი ესე რისხვითა⁵ შენითა ქუესკნელთა⁶ ქუეშე ქუეყანისათა“.

ვითარცა აღასრულა ლოცვა ესე, მყის დასავალით უკუე⁷ პაერნი და ჭარნი შეიძრნეს და ელვანი და ქუხილნი საშინელნი. და მოიღო სეტყუა⁸ დიდ-დიდები, ლიტრის სწორი და კერპნი იგი დააწულილნა⁹ და დაბუსრნა და შთააბნინა კლდეთა შინა და უჩინო ყვნა.

ამისა შემდგომად წარმოვიდა მუნით და შევიდა სამოთხისა¹⁰ მცველისა დედაკაცისა ანასტოს და დაყო მის თანა ცხრა თუე¹¹.

ხოლო იყო სამოთხესა მას შინა კუართი¹² უფლისა იესუ¹³ ჭრისტესი დამარბული და აღმოცენებულნი მას ზედა ნაძუნი¹⁴ მალაღნი.

* იგულისხმება: თუესა იანვარსა ი'დ (14 იანვარი).

** ხელნაწერების ნუსხა: A: A-425 (1718 წ.), B: A-220 (1726 წ.).

ნუსხაშია: ¹ ძლ-სა, ² ეცუა AB, ³ მარჯუენით AB, ⁴ მისი-B, ⁵ რისხვთ AB, ⁶ ქუესკნელი AB, ⁷ უკუე AB, ⁸ სეტყვა AB, ⁹ დააწულილნა AB, ¹⁰ სამოთხისა + ბალისა B, ¹¹ თუე AB, ¹² კუართი AB, ¹³ იესუ AB, ¹⁴ ნაძენი AB.

და იყენეს ანასტოს და ქმარი მისი უშვილო¹. მივიდა წმიდა ნინო, ილოცა და აღიღო მიწა ნაძუთა² ქუეშე და შეაჰამა მათ და მიეცა შვილი³ და აცნობა კეშმარიტი ღმერთი.

და მერმე ქალაქისა გარეგან ზღუდეთა პოვა ქოჩი ბრწამლისა სახედ ტალავრისა მკირისა მაყულთა⁴ მიერ შემზადებული. შევიდა მას შინა და იყო სამ წელ. და აღმართა მუნ [v] შინა ჯუარი მის მიერ შემზადებული ნახლევთაგან ვაზთასა. განაცხადა ჯადაგება, დაიმოწაფნა მრავალნი და განკურნა ყრმაწული უფლისა ვისმე. და დედოფალიცა ნანა განკურნა სენთაგან მძიმეთა შეპყრობილი და მოიყვანა სარწმუნოებად. და სპარსი ხუარასნელი, ნათესავი მირიან მეფისა, სენთაგან მძიმეთა შეპყრობილი იგიცა, განკურნა. და მოიყვანა მრავალნი სარწმუნოებად.

და ერთსა| ოდენ დღესა განვიდა მეფე მირიან მუხნარით ნადირობად, იგონებდა ოთხთა ნების-მყოფელთა და თანა-მზრახველთა სიყუარულსა⁵ კერპისა და ცეცხლისასა და იტყოდა: „წარვსწყმიდოთ ყოველნი, რომელნი მიიქცნენ მოსავად ჯუარცმულისა“. მაშინ უკუე⁶ მოვლო ყოველი სანახები მუხნარისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა და დღე ღამეზნელ უკუნად გარდაეკცა. შეძრწუნდა მეფე მირიან; შეშინებული და შეძრწუნებული შეუვრდა წმიდასა ნინოს და ნათელ-ილო მეფემან მირიან და ცოლმან მისმან, დედოფალმან ნანა, და შვილთა⁷ მათთა და ყოველთა მთავართა და ერთა ქართლისათა.

ხოლო მოსლვითგან სიკუდილადმდე დაყო წელი ი'დ. იკმოდა სასწაულთა და კურნებათა მრავალთა. და მი[334]ერთიგან განათლდა ყოველი ქუეყანა ქართლისა⁸ დასაბამითგან სოფლისა ხუთი ათას რვაას ოცდაათრვაამეტსა⁹ და ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოცდაათორმეტსა. იოვანე ებისკოპოზისა მიერ ეზიარა ქორცსა და სისხლსა ქრისტესს|სა და შე[3]ვედრა სული თჳსი მეუფესა¹⁰ ცათასა. და დამარხეს პატიოსანი გუამი მისი ჰერეთისა¹¹ დაბასა ბოდისსა¹², რამეთუ მუნ ითხოვა დაფლვა მეფისაგან.

¹ უშულო AB. ² ნაძუთა AB. ³ შვილი AB. ⁴ მაყულთა AB. ⁵ სიყუარულსა AB. ⁶ უკუ AB. ⁷ შვილთა AB. ⁸ ქართლისა და კახეთისა B. ⁹ ოცდაათორმეტსა B. ¹⁰ მეუფესა AB. ¹¹ ჰერეთისა| ერთისა B. ¹² ბოდისსა A.

ამასვე ზღმსა*... [125]... და¹ წმიდისა მამისა ჩუენისა
 ო ლ ა რ ი ო ნ ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა დ *²

ესე იყო³ ქუეყანით⁴ კახეთით, შვილი⁵ აზნაურთა მდიდართა⁶.
 ხოლო⁷ ისწავლა⁸ ყოველივე სწავლა⁹ სულიერთა წიგნთა¹⁰ ბერისა
 ვისგანმე¹¹ მოლუაწისა¹². და ვითარცა¹³ იყო¹⁴ ი¹⁵ წლისა¹⁶, წარვი-
 და გარერჩისა¹⁷ უდაბნოსა¹⁸ და პოვნა მუნ¹⁹ მრავალნი²⁰ მოლუაწენი
 წმიდანი მამანი²¹ და დაემკვდრა ქუაბსა²² მცირესა.

და²³ განითქვა²⁴ რა²⁵ ღირსება²⁶ მისი, მოვიდა ეპისკოპოსი²⁷
 რუმსთვისა²⁸ ხილვად²⁹ მისა³⁰ და აკურთხა იგი მღვდელად³¹.

და³², ვითარცა მრავალნი მოვიდოდეს და აწყინებდეს მას, და-
 ადგინა მუნ ძმად³³ ერთი წინამძღურად და ხარებართა წმიდად ქა-
 ლაქად იერუსალმად³⁴.

და მისლუასა მისსა, მოუტდეს რა³⁵ ავაზაკნი ბოროტნი³⁶ და
 იტადეს ნაძვლები, რაჟიამცა სცეს და მოკლეს³⁷ წმიდა ილარიონ,
 განუმეს³⁸ კელნი მათნი და, იწყეს რა³⁹ ტირილით⁴⁰ ვედრებად⁴¹
 მისა⁴², ქვარი დასწერა და განკურნა⁴³ იგინი.

და ვითარცა⁴⁴ შვიდა იერუსალმად⁴⁵ და მოილოცნა წმიდანი
 ადგილი⁴⁶, წარვიდა იოვანე ნათლის-მცემელისა ქუაბსა, სადა პირ-
 ველ იყოფებოდა⁴⁷ ელია წინაწარმეტყუელი, და⁴⁸ დაყო ი⁴⁹ წელი
 მოლუაწებითა ღიღითა.

* ავღოსტინის თვისა ნოენებისა ი¹ (19 ნოემბერი).

* ბუნაწერების წესსა: A: A-626 (XII ს.), B: A-222 (XII ს.),
 C: A-839 (XII-XIII ს.), D: A-426 (XVI ს.), E: ჭუათის ენოგ. მუხ. -65
 (XVI ს.), F: H-236 (XVI-XVII ს.), G: A-425 (1718 წ.), H: Ier.-80
 XIV ს., ბუნაწერი XII-XIII სს.).

¹ ... და-G. ² ქართველია G. ³ იყო + ქართველი E. კახი და მესხთე-
 ლი G. ⁴ ქუეყანით კახეთით-G. ⁵ შვილი G. ⁶ მდიდართა DG. ⁷ ხოლო და G.
⁸ ისწავა BCDEF. ⁹ სწავლა D. ¹⁰ წიგნთა DE. ¹¹ ვისგანმე-G.
¹² მოლუაწენ G. ¹³ ვითარცა იყო-G. ¹⁴ იყო იქმნა H. ¹⁵ ობთომეტისა G.
¹⁶ წლისა G. ¹⁷ გარეზისა (მორე რამოსილით) B, გრუასა G, გარესისა H.
¹⁸ უდაბნოსა DE. ¹⁹ მუნ-G. ²⁰ მრავალნი-H. ²¹ წმიდანი მამანი-G. ²² ქუაბ-
 სა G. ²³ და-G. ²⁴ განითქვა G. ²⁵ რა-G. ²⁶ ღირსება G. ²⁷ ეპისკოპოსი G,
 ებისკოპოსი H. ²⁸ რუმსთვისა AC, რუსეთისა D, რუსეთისა F, რუსეთისა G,
²⁹ ხილვად მისა-G. ³⁰ მისა F. ³¹ მღვდელად FG. ³² და ვითარცა... წინამ-
 ძღურად-G. ³³ ძმა D. ³⁴ იმღვდ ABCDEH; იმღვდ FG. ³⁵ რა-G.
³⁶ ბოროტნი-G. ³⁷ მოკლეს... ილარიონ-G. ³⁸ განუმეს D. ³⁹ რა-D. ⁴⁰ ტი-
 რილით-G. ⁴¹ ვედრებად FG. ⁴² მისა H. ⁴³ განკურნა G. ⁴⁴ ვითარცა-G.
⁴⁵ იმღვდ ABCDEH, იმღვდ FG. ⁴⁶ ადგილი + და G. ⁴⁷ იყოფოდა BCDF.
⁴⁸ და-G.

და მერმე ჩუენებითა¹ წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა² წარვი-
და ქუეყანად თჳსა³, რამეთუ მომკუდარ იყვენეს⁴ მამაჲ და⁵ ძმაჲ
თჳსი⁶. და მონაგებითა მამულითა აღაშენნა მონასტერნი და სხუაჲ
ვანუ|126|ყო გლახაკთა.

და⁷ ეგულებოდა რაჲ მთავართა ეპისკოპოსად⁸ დადგინებაჲ
მისი, წარვიდა მთასა ულუმბისასა⁹ და იყოფოდა¹⁰ ეგუტერსა¹¹. და,
ენება რაჲ განძებაჲ მისი, გამოუჩნდა წმიდაჲ ღმრთის-მშობელი¹²
რისხვით¹³ მამასახლისსა¹⁴ და ჰრქუა, ვითარმედ:¹⁵ „რომელნი მათ
არა შეიწყნარებენ, იჭლოჲ ჩემდა არიან“. მიერითგან¹⁶ შიშით პატივ-
სცემდა მას, რამეთუ ღმერთი მის მიერ იქმოდა სასწაულთა.

და დაყო რაჲ¹⁷ ე¹⁸ წელი¹⁹, შევიდა კოსტანტინეპოლედ²⁰ და²¹
თაყუანის-სცა ძელსა ცხორებისასა. და მიერ²² წარემართა ჰრომედ²³.
და, ვითარცა მიიწია²⁴ თესალონიკედ, მკელობელი ი²⁵ გ წლისაჲ გან-
კურნა. და, მივიდა რაჲ²⁶ ჰრომს²⁷, დაყო ორი წელი. და²⁸ მოიქცა
თესალონიკედ და ძე²⁹ მთავრისაჲ³⁰ ნახევარ განმკმარი³¹ განკურნა.
და³² დიაკონი³³ ტყუე³⁴ ქმნული³⁵ წარმართთაგან ლოცვითა³⁶ ამის³⁷
წმიდისაჲთა³⁸ განვლო ლაშქარი და ვერვინ³⁹ უძლო დაყენებად⁴⁰
მისა⁴¹.

ხოლო⁴² წინაჲსწარ⁴³ ცნა აღსასრული⁴⁴ თჳსი და თესალონი-
კეს მიიცივალა წინაშე⁴⁵ უფლისა⁴⁶.

ხოლო ორნი⁴⁷ ეშმაკეულნი⁴⁸ შემდგომად მიცივლებისა გან-
კურნნა⁴⁹, შეეხნეს⁵⁰ რაჲ გუჲსა მისსა, და სხუათა⁵¹ მრავალთა სას-
წაულთა იქმოდა საფლავი მისი.

ხოლო ბასილი მეფესა⁵² ესმა⁵³ რაჲ სასწაულთა მათთჳს, აღ-
მოიყვანნა პატიოსანი ნაწილნი მისნი სამეუფოდ⁵⁴ და დასხნა მო-
ნასტერსა, რომელსა ჰრქვან⁵⁵ რომანა.

¹ ჩუენებითა ADEFH. ² ღმრთის მშობელისთა D, ღმრთის მშობელისათა FG.
³ თჳსად G, თჳსა H. ⁴ იყვენეს F. ⁵ და—G. ⁶ თვისი G] მისი H. ⁷ და... და-
დგინებაჲ მისი -- G. ⁸ ეპისკოპოსად H. ⁹ ულუმბოასასა H. ¹⁰ იყოფოდა + მუნ H.
¹¹ ეგუტერსა G, ეგუტერსა + შა H. ¹² ღმრთისმშობელი F. ¹³ რისხვით G. ¹⁴ მამა-
სახლისსა A. ¹⁵ ვითარმედ—G. ¹⁶ მიერითგან... სასწაულთა—G. ¹⁷ რაჲ—G.
¹⁸ ხუთ G, ხუთი H. ¹⁹ წელ G. ²⁰ კოსტანტინეპოლედ AF. ²¹ და—G. ²² მიერ
მერმე F. ²³ რომედ G. ²⁴ მიიწია] მივიდა E. ²⁵ რაჲ—G. ²⁶ ჰრომს + და G.
²⁷ და — G. ²⁸ ძე CF. ²⁹ მთავრისა DEG. ³⁰ განმკმარი A, განმკმარი G, განმკმარი
H. ³¹ და—G. ³² დეკონი H. ³³ ტყუე ACDEFG. ³⁴ ქმნილი DFG, ქმნილნი H.
³⁵ ლოცვით G. ³⁶ ამის წმიდისაჲთა—G. ³⁷ წინათა DF. ³⁸ ვერვინ... დაყენებად
მისა—G. ³⁹ დაყენებად F. ⁴⁰ მისსა H. ⁴¹ ხოლო — G. ⁴² წინა ACEFG, წინას-
წარ D. ⁴³ აღსასრულბაჲ G. ⁴⁴ წინაშე უფლისა—G. ⁴⁵ ო⁴⁶ DE + თა ნ⁴⁷ნ⁴⁸რსა
თ H. ⁴⁸ ორი E. ⁴⁹ ეშმაკნი F. ⁵⁰ განკურნაჲ F, განკურნა G. ⁵¹ შეეხნან G.
⁵² სხუათა F, სხუათა G. ⁵³ მეფენი G. ⁵⁴ ესმა... მათთჳს—G. ⁵⁵ სამეფოდ CE.
⁵⁶ რქვან G.

[116] ამასვე დღესა*¹ ზმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ
ქართველისა საპკრველთ-მოქმედისა**

ესე იყო ქუეყანით კახეთით, შვილი აზნაურთა დიდებულთა. ამან სიყრმითგან თჯით² დაუტევა მშობელნი თჯნი და განვიდა უდაბნოდ გარესჯისად³ და მუნ ილუაწნა ლუაწლნი ბუნებათა⁴ უღრესნი. და განისმა რაჲ ჰამბაეი⁵ სათნოებათა მისთა, შემოკრბეს გარემოს მყოფნი და აიძულებდეს, რაჲთამცა⁶ იქმნა ეპისკოპოზ⁷. ხოლო მან სურვილითა*** დაყუდებისათა დაუტევა მონასტერი იგი და წარვიდა უცხოებად და მიიწია წმიდად ქალაქად იერუსალიმად.

და მოილოცნა წმიდანი იგი ადგილნი და განვიდა უდაბნოდ და ათხუთმეტისა⁸ წლისა⁹ ჟამნი დაყენა¹⁰ დაყუდებით და მერმე გამოჩინებითა ღმრთის-მშობელისათა¹¹ მიიწია ქუეყანადვე თჯსად¹². და მშობელნი მისნი აღსრულებულ იყვნეს და მხოლოდ დედა¹³ ოდეს წმიდისა იყო ცოცხალ¹⁴ და იგიცა აღესრულა. და ყოველი მონაგები თჯი განაბნია და კუალად წარვიდა უცხოებად. და მიიწია პრომედ და მოილოცნა¹⁵ სამარხო იგი წმიდათა მოციქულთა. და მერმე მიიწია თესალონიკედ¹⁶ და¹⁷ მრავალნი საკვრველებანი აღასრულნა და მუნ დაყუდებით გარდავლო¹⁸ ცხოვრება თჯი და ესრეთ მშჯღობით აღესრულა.

ხოლო ბასილი კეისარმან წმიდანი ნაწილნი მისნი თესალონიკით მისცვალნა კოსტანტინეპოლის და აღუშენა მონასტერი შეუენიერი¹⁹ სახელსა ზედა წმიდათა მოციქულთასა²⁰ და მუნ დასხნა ღლითა პატივითა წმიდანი ნაწილნი მისნი.

ესე იყო დასაბამითგან წელთა ექუს²¹ ათას სამას ოთხმეოცდაათსა.

* ივლიოსხმება: თუესა [ო-ნგერსა ით (19 ნომბერი).

** ზელაწერებ-ს ნუსხა: A: A 111 (1703—1715წწ.), B: კუთ.—105 (XVII—XVIII ს.), C: A—220 (1726 წ.), D: A—515 (1733 წ.), E: S—3269 (1720-იანი წ.), F: H—970 (1742 წ.), G: კუთ.—111 (XVIII ს.), H: A—986 (XVII ს., მხოლოდ დასაწყისია).

*** ამ სიტყვის „ე“-ზე წყდება H (A—985) ნუსხა.

¹ ამასვე დღესაქო¹ა ნბრსა ით E. ² თჯით... განე-და—B. ³ გარესჯისათ CFH. გარსჯად E. ⁴ ბნბ-ათა ADEFJ გონებითა B, გნბთა !I. ⁵ ამბაეი BCEH, ანბაეი G. ⁶ რათამცა C. ⁷ ეპისკოპოზ G. ⁸ ათხუთმეტის BCJ ათორმეტისა F. ⁹ წლისა—D. ¹⁰ დაყენა ADE. ¹¹ ღწის მშობელისა BCG. ¹² თოისად A, თჯსა C, თსა E. ¹³ დედა E. ¹⁴ ცოცხალი E. ¹⁵ მოილოცნა... მოციქულთა და—BDF. ¹⁶ თესალონიკედ + მოილოცნა სამარხო იგი წმთა მოციქულთა BDF. ¹⁷ და—B. ¹⁸ გარდავლნი B. ¹⁹ შეწინიერი ACDG. ²⁰ მოციქულთასა + რომანად სახელდებულსა BCEG, რომანად E. ²¹ ექუსი BCF.

113 | თუისა ოკტონბარსა ლა წიდათა და უძლეველთა
მოწამეთა დავით და კოსტანტინესი*

ესე უძლეველნი მოწამენი იყვნეს ნათესავით ქართველნი სა-
ზღვართაგან ათნაზეთისათა, სანახებთაგან¹ არგუეთისა². აზნაურნი
იყვნეს³ ტომით და ნათესავნი ერთმანერთისანი, უძლეველნი და ძლი-
ერნი ბრძოლასა. მკედარნი შეუნიერნი⁴ და განთქმულნი წყობასა⁵
მტერთასა.

რამეთუ წმიდაჲ და უძლეველი მოწამე დავით იყო ხილვითა
ესევეთარი: გუამითა სრულ და ანოვან, არცა უზომოდ დიდ და
არცა სიმცროსთა⁶ ნაკლულ, მადლითა სავსე და სრულ ყოვლითა
სიკეთითა და დასრულებულ წუერთა⁷ სიკმოდთა. იყო უკუე⁸ შეუ-
ნიერ⁹ პირითა, გრემან თუალითა, წაბლისფერ წუერთა¹⁰, სპეტაკ
კორციითა და მცირედ¹¹ ჩამოზიდულ ცხვრითა, ძლიერ ძალითა და
სავსე სარწმუნოებითა და შემკულ ქალწულებითა. და იყო ვითარ
ოცდაათრეამეტისა¹² წლისა.

ხოლო წმიდაჲ კოსტანტინე¹³ იყო შეუნიერ⁹ გუამითა, მცირე
პასაკითი, ბრწყინვალე პირითა, გრემან და სისხლოვან¹⁴ თუალითა.
თმითა წაბლისფერ, ლეწილ და გრუზ, სიტყუა მკუეთრ¹⁵ და სწრა-
ფით მომცემელ სიტყუასა სიტყუს-მკითხველთა¹⁶ [v] თვსთა, ქცევა
შეუნიერ¹⁷ და მსწრაფლ და ქალწულებითა მორტყმულ წელნი მის-
ნი, და იყო ვითარ ათშუდმეტისა¹⁸ წლისა¹⁹. მარჯვითა განკრძალულ
და ურისხველობითა²⁰ განმკვრებელნი²¹ მხედველთა თვსთანი, ყოვ-
ლადვე უცხო ქმნილნი ბოროტისა ტყუეილისა და ფიცისაგან, ყოვ-
ლითურთ სახენი იყვნეს²² მეუდაბნოეთანი, ტაბლანი მშვიერთა და
გლახაკეთანი და შემწენი ობოლთანი და²³, რაათა მოკლულ ვთქუა²⁴,
სრულნი ყოვლითავე სათნოებითა.

ხოლო წამებაჲ²⁵ მათი ესრეთ იქმნა: რამეთუ ჟამთა მათ.
ოდეს საწურთელად ნათესავისა ჩუენისა მოავლინა მახვლი სპარს-

* ხელნაწერების ნუსხა: A: პარიზის ნაყ. ბიბლიოთ.—4 (XIII—XIV სს.),
B: ჭუათისის ენოვარ. მუზ.—161 (XVI—XVII სს.), C: Q—105^a (XVIII სს.
I ნახ.).

¹ სანახებთაგან B. ² არგუეთისა ABC. ³ იუენს B. ⁴ შეუნიერნი ABC.
⁵ წყობასა + მას B. ⁶ სიმცროსთა C. ⁷ წუერთა BC. ⁸ უკუე ABC. ⁹ შეუნიერ
ABC. ¹⁰ წუერთა BC. ¹¹ მცირედ წყრედ C. ¹² ოცდაათრეამეტისა A. ¹³ კოსტანტი A.
¹⁴ სისხლოვან AC. ¹⁵ მკუეთრ BC. ¹⁶ მკითხველთა C. ¹⁷ შეუნიერ ABC. ¹⁸ აჩმე-
ტისა C. ¹⁹ წლისა BC. ²⁰ ურისხველობითა C. ²¹ განმკვრებელნი A, განმკვრე-
ბულნი B, განმკურნებლნი C. ²² იყვნეს B. ²³ და—B. ²⁴ ვთქუათ C. ²⁵ წამება BC.

თაჲ¹ და ცოდვათა და უსჯულოებათა ჩუენთა საძილეებელად გასოვიდა მურვან აბულ-კასიმ ყრუჲ. დის-წული შეჩუენებულსა² მის³ მუამედ, მაცთურისაჲ⁴, რომელმან ცთომილყო ყოველი სარკინოზობაჲ⁵ მტყუარითა⁶ მით სიტყვთა, გამოილაშქრა დასაბამითგანთა⁷ წელთა ექუს ათას ორას ორმოცდამესამესა⁸ წელსა. ხოლო ქრისტეს ჭუარცუმიტგან⁹ შუდას სამეოცდაათშუდმეტესა¹⁰ წელსა. ხოლო ვითარცა რაჲ მიშუებაჲ¹¹ მიიღო უღმრთომან მან, რამეთუ¹² სრულიად მოაოტრა ყოველი ქუეყანაჲ ჩუენი და სხუანიცა მრავალნი ნათესავნი.

მათ ეამთა შინა იქმნა შეკრებაჲ ერისაჲ¹³, რომელნი იყუნეს რიცხვთ ათას სამას ოცდაათი კაცი, რომელთა თაენი იყუნეს დავით და კოსტანტინე¹⁴. და განაკრძალებდეს, რაჲთა არაეინ უფარ-ყოს¹⁵ ქრისტე. და¹⁶ ეამსა მწუხრისასა იქმნა მოსლვაჲ¹⁷ სპარსთაჲ¹⁸ მათ ზედა, რომელნი იყუნეს¹⁹ ძლიერ და თვთმბრძოლ წინა-მსრბოლნი²⁰ ლაშქართანი რიცხვთ ცხრა ათასი.

და განძლიერდა ბრძოლაჲ²¹ ვიდრე ქათმის-ქმობამდე²² და დაეცა სპარსთაგანი ათას ორას ორმოცდაათი²³ კაცი და, რომელნი დაშეთეს, 14¹ლეულნი წარვიდეს.

და შემდგომად კუალად უგრძნულად დაესხნეს და მოსწყვდნეს სამსხუერპლონი²⁴ იგი ქრისტესნი და რომელნიჲ ტყუთა შინა დაშეთეს.

ხოლო წმიდაჲ დავით და კოსტანტინე²⁵ შეიპყრნეს და წინაშე მძლავრისა წარმოაყენნეს. ხოლო მათ კადნიერად აღიარეს ქრისტე. ამისთჳსცა უწესოთა კაცთა მიერ ფრიად იგუემუნეს²⁶, რამეთუ ქრისტეს განგებულებისა საიდუმლოჲ²⁷ კადნიერად აღიარეს. ამისთჳსცა განჩინებაჲ მიიღეს, რაჲთა მდინარესა შინა, რომელ არს რიონი, აღსასრული მიიღონ, ამისთჳს, რამეთუ ნიქნი და აღთქუემანი მათნი არად შეკრაცხნეს. ხოლო წმიდათა სიხარულით შეიწყნარეს და გუამთა მათთა განუხრწნელად დამარხებაჲ²⁸ ილოცეს და ითხოვეს ღმრთისაგან, რაჲთა, რომელნი შეეხნენ და რომელთა სახელი მათი მოიკესნონ, ყოველთა სალმობათაგან განიკურნენ²⁹.

¹ სპარსთა BC. ² შეჩუენებულსა ABC. ³ მის—B. ⁴ მაცთურისა BC. ⁵ სარკინოზობაჲ| სარწმუნოება B. ⁶ მტყუურითა C. ⁷ დასაბამითგანთა C. ⁸ ორმოცდამესამესა| ოცდამესამესა AC. ⁹ ქრცობოგნ C. ¹⁰ სამეოცდაათშუდმეტესა B. ¹¹ მიშუებაჲ| მშულობა B, მიშუშობა AC. ¹² რამეთუ—B. ¹³ ერისა BC. ¹⁴ კოსტანტი A. ¹⁵ უფარ-ყოს B. ¹⁶ და — B. ¹⁷ მოსლვა C. ¹⁸ სპარსთა BC. ¹⁹ იყუნეს B. ²⁰ წინამსრბოლნი B. ²¹ ბრძოლა BC. ²² ქათმის-ქმობამდე C. ²³ ორმოცდაათი C. ²⁴ სამსხუერპლონი ABC. ²⁵ კოსტანტი BC. ²⁶ იგუემუნეს BC. ²⁷ საიდუმლო BC. ²⁸ დამარხვა BC. ²⁹ განიკურნენ BC.

ხოლო შემდგომად ამისა¹ იხილეს ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა ნათელი საღმრთოჲ² მათ ზედა გამობრწყინებული და აღმოიხუნეს გუამნი მათნი და დასხნეს ნარლუევსა³ ეკლესიისასა⁴ საკურთხეველსა ქლეშე. ხოლო ადგილსა მას ეწოდების უთმინი⁵, სადაცა იქმნებიან კურნებანი ურიცხუნი⁶ სადიდებელად ღმრთისა⁷ და წმიდათა მისთა, ამინ.

[32v] აგასვე დღესა* ზვიდათა მოწამეთა დავით და
კოსტანტინესი**.

რომელნი იწამეს ქუეყანასა ჩრდილოეთისასა, სანახებსა არგუეთისსა⁸ უღმრთოთა მიერ, დედაქალაქსა, რომელსა ეწოდებრს ქუთათისი. და მოჰვიდეს ქედთა მათთა ლოდნი მძიმენი და შთაყარნეს მდინარესა მას, რომელ არს რიონი. და სრულ იქმნა წამებაჲ მათი და განიპო მდინარე იგი ორად.

ხოლო იწამნეს წმიდანი ესე მძლავრისა სპაქრქსთა მეფისა მურვანის მიერ, რომელსა ეწოდებოდა ყრუ.

და ესე წმიდანი დავით და კოსტანტინე წვანან ჯორცითა ვიდრე მეორედ მოსლვადმდე და, რომელნი შეემთხუვეიან⁹ პატიოსანთა ლუსკუმასა მათსა, მიანიჭებს კურნებასა სენთასა სადიდებელად ქრისტესა და საქებლად მოწამეთა.

[486] აგასვე დღესა*** ზვიდათა მოწამეთა დავით და
კოსტანტინესი, რომელნი იწამნეს ჟუჟანასა ჩრდილომდსასა¹⁰, სანახებსა არგუეთისსა¹¹ უღმრთომდა მის და მძლავრისა სპარსთა მეფისა მურვანის მიერ, რომელსა ეწოდებოდა ყრუ, რომელი იყო დის-წული მოწამედ¹² ცუღსახელისა მოციქულისა****

ხოლო იყვნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კოსტანტინე ჯართველნი, დიდნი და დიდებულნი ტომებით და მთავარნი ამის

* იგულისხმება: თუესა ოკტობერსა ლ^ა (31 ოქტომბერი).

** ხელნაწერი: A—508 (XVI ს.).

*** იგულისხმება: თუესა ოკტობერსა ლ^ა (31 ოქტომბერი).

**** ხელნაწერი: ცენტრ. არქივის—302 (1705—6 წწ.)

ნუსხაშია: ¹ ~ ამისა შემდგომად B. ² სლოთ B. ³ ნარლუშესა B, ნარლუშესა C. ⁴ ეკლესიასა B. ⁵ უთმინი BC. ⁶ ურიცხუნი C. ⁷ ლ^ა C. ⁸ არგუშთისსა. ⁹ შეემთხუვეიან. ¹⁰ ჩრდილომდსა. ¹¹ არგუშთისსა. ¹² მოამად.

ქუყყანისანი და თჳს-ეყვოდეს ურთიერთას. და იყვნეს განათლებულ ემბაზითა ჭადაგებისა ანდრია და სჳმიონ კანანელისაჲთა, რამეთუ მათ უქადაგეს ქრისტე ქართველთა შორის პირველ ნინოს მის-ლისა.

ხოლო იყვნეს წმიდანი ესე ქალწულ [ქორცითა] და მეციხიერ ძეულისა¹ და ახლისა სჳლლისა და სავსე სულითა წმიდითა. ხოლო აღიძრნეს რაჲ წარმართნი სამცხით და წარმოემართნეს ქუყყანად არგუეთად², მაშინ წმიდანი ესე იყვნეს შეკრებილ და ფრთხილ და გალობდეს გალობასა დავითისსა, რომელ თქუა, რაჲამს, იგი ეწყუ-ებოდა³ გოლიათს. და ვითარცა იხილნეს წარმართთა წმიდანი ესე. აღიზახნეს ვითარცა მკვეცთა და მოემართნეს. ხოლო წმიდამან დავით სახელი ქრისტესი ფარად მიუპყრა და განაძლიერა გუნდი თჳსი და აღიზახა⁴ ვითარცა ლომმან და ურიცხჳ მოსრეს და აღუ-დგინეს ძლევაჲ დიდი ქრისტეანეთა.

ხოლო წმიდანი დავით და კოსტანტინე შეიპყრნეს. და უბრძანა მოყვანებაჲ წმიდისა დავითისი და კოსტანტინესი და წარადგინნეს ჳელშეკრულნი წინაშე უსჳულოჲსა მის. ხოლო ფრიად განიცივნა⁵ მურვან ყრუმან⁶ და ჰრქუა: „ვინანი ხართ თქუენ, ქვათა და ძელთა მსახურნო?“. მიუგეს და ჰრქუეს წმიდათა მათ. ვითარმედ: „სიცილი და ჭადილი შენი ცულ და აჰაო არს ჩუენ ზედა. რამეთუ წუთ ეამ არს ღიდებაჲ შენი და ადრე განქარდების, რამეთუ არა ღირსებისა შენისათჳს იქნა ძლევაჲ შენი ჩუენ ზედა, არამედ ცოდვათა ჩუენ-თათჳს, რაჲთა გუწუართნეს ღმერთმან ჳელითა თქუენ უსჳულოთაჲ-თა⁷. ხოლო წიგნი თქუენი, რომელ არს კურანი. არა სარწმუნოდ გიპყრიეს თქუენ, რამეთუ წერილ არს კურანსა თქუენსა თქუენთჳს. ვითარმედ: რაჲამს სცთეთ ქრისტეს სახარებასა ისეს წიგნსა, რომელ მისცა თჳსთა მოწაფეთა, მის წიგნისაგან ისწავეთ. ესე ალი მუჰმადის გულითადმან⁸ მოწაფემან დაგიწერა თქუენ, არამედ თქუ-ენ უგულისჳმონი ხართ და არა იცით წიგნისა, არც[ა] ძალი ღმრთისაჲ, რამეთუ მუჰმად, დაღაცათუ ცეცხლის-მსახურებისაგან მოგაჰქცინა, არამედ ღმერთსა [V] ვერ შეგამეცნიერნა, ვინაჲთაგან ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, რომელსა წინაწარმეტყუელნი წინაჲთვე იტყოდეს მოსლვასა მისსა, იგი ვერ იცნა მუჰმედ და არცა თქუენ შეგამეცნიერნა, წარსწყმდით“.

ნუსხაშია: ¹ ძეჳლისა. ² არგუეთად. ³ ეწყუშბოდა. ⁴ აღიზახნა. ⁵ განიცივნა. ⁶ ყრუმან. ⁷ უსჳულოთაჲთა. ⁸ გულითადმან] კულადმან.

პრქუა მას მძლავრმან: „და ვინ გასწავა შენ წიგნთაგან ჩუენთა, არა ღირსო ცხორებისაო?“.

მაშინ განრისხნა უსჯულოჲ იგი მათ ზედა და მოუწოდა მტარვალთა უწყალოთა და ამცნო, რაჲთა ათ დღე არა ახილონ¹ გემოჲ პურისაჲ და წყლისაჲ და ყოველთა დღეთა სტანჯვიდენ მრავალფერითა სატანჯველითა.

ხოლო ვითარცა გარდაჯდეს ათნი იგი დღენი, მოუწოდა უღმრთომან მურვან მოგუთა და მისანთა² [და] წარავლინნა წმიდათა მოწამეთა მიმართ, რაჲთა ლიქნით უთხრან წმიდათა მათ მოქცევისათჳს სჯულსა³ მათსა⁴.

ხოლო ვითარცა წარვიდეს და იხილნეს წმიდანი, განლუულნი [და] დამკნარნი ტანჯვათა მათგან, რომელ თავს იხსნეს, [განრისხნეს განზრახვით]⁵, ვითარმედ: ზ, [ესე] ვითარნო⁶, რად გიკადრებია, ანუ რად ესრეთ შეუტრაც-გიყოფიან კაცი ესე დიდებულნი და ქუელნი⁷ ბრძოლათა შინა? აწ მომიგეთ სიტყუაჲ ჯეროვანი და ნუ ცუდად გაქუს სიტყუაჲ კაცისა მიმართ და ნუ წარსწყმედთ უჟამოდ სიკაბუკესა თქუენსა მწართა და ძვრ-ძვრითა სიკუდილითა, [არამედ აღირჩიეთ უმჯობესი], რაჲთა იშუებდეთ⁷ ჩუენ თანა, რამეთუ მეცა მეწყალის სიკაბუკე თქუენი⁸. და უქადებდა დიდებათა და პატივთა ხოლო მათ არად შეპრაცხეს ამისა საწუთროჲსა დიდებაჲ.

ამისთჳსცა მიიყვანნეს წმიდანი იგი ადგილსა მას, რომელსა შინა არს ტაძარი წმიდათა კოზმან და დამიანესი. სიტყუსა მისებრ. მძლავრისა განაშიშულნეს იგინი და დაჰკიდნეს თაე-დაღმართ და ჰგუემნეს⁹ გუემითა⁹ უწყალოჲთა¹⁰, არგნებითა მძიმებითა. მერმე შეუტრნეს ტელნი და ფერხნი მათნი და ლოდები მძიმები დაჰკრეს ქედთა მათთა. ხოლო წმიდათა მათ ითხოვეს დროჲ და აღიხილნეს თუალნი მათნი ზეცად მიმართ, რამეთუ ვერ ეძლო ცად ახილვად, არცალა მოდრეკად მუტლთა სინძიმისა¹¹ მისგან ლოდთაჲსა, არამედ გულითა მჭურვალითა ჳმა-ყვეს ღმრთისა ნიმართ და ჳმა-ყვეს ესრეთ „ზ, უფალო იესუ ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისა მადლისაო, ვითარცა ისმინენ თხოვანი ჩუენნი და ღირს გუყვენ წამებასა სახელისა შენისათჳს წმიდისა, აწ შეისმინენ თხოვანი ჩუენნი და ღირს გუყვენ, [ვითარცა] დავიმარხენით¹² ჳორცინი ჩუენნი უხრწნელად და

* აღდგენილია ვრცელი ცხოვრების მიხედვით.

ნუსხაშია: ¹ იხილონ. ² მისანთა] მისთანთა. ³ სჯულისაჲ. ⁴ მათისაჲ.

⁵ ვრწო. ⁶ ქველნი. ⁷ იშუებდეთ. ⁸ გუემნეს. ⁹ გუემითა. ¹⁰ უწყალოთაჲ. ¹¹ სინძიმისაჲ. ¹² დავიმარხენით.

შეუგინებელად სახელისა შენისათჳს წმიდისა, ეგრეთვე შენდგომად წამებისა ჩუენისა დაჰმარხენ ჳორცინი ჩუენნი განუხრწნელად და დაურღუეველად¹ და, რომელთა ხადონ სახელითა ჩუენითა სახელსა შენსა წმიდასა, მსწრაფლ ეწიენ წყალობანი და მიეცე შენდობა ბრალთაჲ და ყვენ ასონი ჩუენნი მკურნალ ყოველთა სენთა და უძლურებათა“.

ამისკა] შემდგომად დაიბეჭდნეს გუამნი მათნი ბეჭდითა ცხოველს-მოფელისა ჳუარისაჲთა და თქუეს: „უფალო ჳმერთო იესუ ქრისტე, პელთა შენთა შევჳედრებთ² სულთა ჩუენთა. ამინ“.

მაშინ მოვიდა ჳმაჲ ზეცით აღმასრულებელი თხოვითა მათთაჲ სასმენელად ყოველთა.

და შთაჳარნეს წმიდანი იგი ტბასა მას და თჳთ კლტოდეს შეშინებულნი ჳმისა მისგან.

ხოლო იჳმნა მას ჳამესა სასწაული საშინელი. რამეთუ შთამოჳდეს ზეცით სამნი სუეტნი³ ნათლისანი ტბასა მას ზედა ფრიად ბრწყინვალედ, რამეთუ ჳამესა მას უჳუნსა განათლდეს ველნი და ტყენი ბრწყინვალეებისა მისგან, რომელნი გამოჳკრთებოდეს სუეტთა⁴ მათგან ნათლისათა. განიჳსნნეს საკრველნი პელთა და ფერჳთა მათთაგან წმიდათა[ჲსა] და მოეძარცუნეს ლოდნი იგი ქედთაგან მათთა და იტჳრთნა ბეჳთა თჳსთა ზედა უსულომან მან ტბამან, ვითარცა სულიერმან, გუამნი წმიდათა მოწამეთანი.

მაშინ განგებითა ჳმრთისაჲთა ორნი მონანი წმიდათა მოწამეთანი, რომელნი შეჳყრობილ იჳმ[ნ]ეს წმიდათავე მათ თანა და [თანა]დახუდეს ყოველსავე ტანჳვასა და სიტყჳს-გებასა, ესენი დამალულ⁵ [იყვენეს] ტყეთა შინა. ვითარცა იხილნეს სასწაულნი ესე და სუეტნი ცეცხლისანი, განჳკრთეს და კადნიერ იჳმ[ნ]ეს და მივიდეს წყალთა მათ ზედა. მაშინ იცნნეს წმიდანი იგი. და ორნი სხუანი მოვიდეს დამალულნი და, ვითარცა იხილეს მათცა ნათელი იგი და წმიდანი ჳავით და კოსტანტინე, მათცა იცნნეს წმიდანი იგი.

არამედ ეჳა კაცთ-მოყუარებაჲ ჳმრთისაჲ, რამეთუ ესმა ჳმაჲ ზეცით, ვითარმედ: „ა[ღ]იჳუენით გუამნი წმიდათა მაგათ მოწამეთანი და წარიყვანენით ტყედ, აღმოსავლეთით კერძო და, სადა გათენდეს, მუნ დაკრძალენით წმიდანი ეგე გუამნი მოწამეთანი, რამეთუ მუნ არს ბრძანებაჲ უფლისაჲ.

ხოლო ვითარცა იყო ჳმაჲ ესე მათდა მიმართ, მაშინ იყვენეს გუამნი წმიდათანი შუაგულსა ზედა ტბისასა მდებარენი. და აღი-

ნუსხაშია: ¹ დაურღუეველად. ² შეჳედრებთ. ³ სუეტნი. ⁴ სუეტთა. ⁵ დამალულნი.

ხუნეს და წარმოემართნეს*. [491] და [ვითარცა] გათენდა, იპოვნეს ნებიტა ღმრთისაჲ[თა] ადგილი¹ იგი², რომელსა პრქვან წყალწითელ. რამეთუ იყო ადგილი იგი ციხე-ქალაქ და ვერმისაეალ. და აღაშენა დიდჲან ჳელმწიფუჲმან ბაგრატ ტაძარი შუენიერი³ და კუბოჲ და არიან მას შინა მღებარე გუამნი წმიდათა მოწამეთანი დავით და კოსტანტინესნი განუტრწნელად და უვნებელად, ვითარცა თვთ ითხოვეს ღმრთისაგან, და ჰკურნებენ ყოველთა ვნებულთა და უძლურთა, რომელნი სარწმუნოებით მოიღტიან ტაძარსა მისსა.

[49] ამასვე დღესა**... და დავით და კოსტანტინესი***

რომელნი იყვნეს ნათესავით ქართველნი, მთავარნი და დიდებულთა შვილნი, ძმანი ერთმანერთისანი და მთავრობდეს იგინი ქუეყანასა არგუეთისასა¹. და ოდეს მოვიდა მურვან ყრუჲ და მოაოტრა ყოველი ესე ქუეყანა. მაშინ მჴნე იქმნნეს ახოვანნი ესე მჴედარნი ქრისტესნი და კადნიერად წინა-აღუდგეს ბრძანებასა მისსა და იწაძნეს მის მიერ მუნვე არგუეთს².

და აჲ წმიდანი იგი ნაწილნი მათნი ერთსა ლუსკუმასა შინა მღებარე არიან ეამთა სიგრძისაგან მრთელნი და უვნებელად გებულნი ერთსა მცირესა ეკლესიასა შინა მახლობელად ქუთათისისა³ და ეწოდების ადგილთა მათ მოწამეთა. ხოლო იწაძნეს წმიდანი ესე და დიდებულნი მოწამენი დასაბამითგან წელთა ექუსი ათას ორას ორმოცდაცხრასა, ხოლო ქრისტეს ჳუარცმითგან შჯდას ორმოცდაცხრასა, ბერძენთა ჴედა ლეონ ისაეროას⁴ ხატთა ბრძოლისასა და ქართველთა ჴედა ვანტანგ გორგასლისა შვილთა მირ და არჩილისათა.

[123] ამასვე დღესა**** წმიდათა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი*****

ესენი იყვნეს ქართველნი. სანახებისაგან არგუეთისა¹. დიდნი

* წაღება და გაგრძელებულია 491-ზე, ე. ი. ხელნაწერი არეულადაა აკინტული.

** იველისხმება: თუესა ოკტონბერსა ბ (2 ოქტომბერი).

*** ხელნაწერების წესბა: A: A—111 :1703—15 წწ.), B: ცენტრ. არქ.—448 (XVII ს.), C: ქუთ.—111 (XVIII ს.)

**** იველისხმება: ოკტონბერსა ლ (31 ოქტომბერი).

***** ხელნაწერების წესბა: A: A—425 (1718 წ.), B: A—220 (1726 წ.).

წესბაშია: ¹ ადგილსა. ² იგი მას. ³ შუენიერი. ⁴ არგუეთისა A. ⁵ არგუეთის A. ⁶ ქუთათისა A. ⁷ ისაეროას + და A. ⁸ არგუეთისა AB.



და დიდებულნი ტომებითა, მთავარნი ქუეყანისანი და [თუ]-ეყოლეს ურთიერთას. და იყვნენ ქალწულნი ჯორცითა, ქემმარიტნი მორწმუნენი. იყო დავით უხუცესი დლითა, ხოლო კოსტანტინე წუერგამო¹. და ი[ვ]წამნეს წმიდანი ესე მოჰამედის² დის-წულის მურვან ყრუსა მიერ დასაბამითვან სოფლისა ექუსი ათას ორას ორმეოცდაცხრასა, ხოლო ქრისტეს ჯუარცმითვან შუდას ოცდაათსა, მეფობასა ბერძენთასა ლეონ ისავროსა³, ხოლო ქართველთა ზედა ვახტანგ გორგასლის შვილთა⁴ არჩილ და დარჩილისასა⁵.

[2] ყველიერ[ი]სა ხუთთაბატსა ესენიბაჲ საკრველთ- მოჰამედისა წმიდისა მამისა შიოღსი⁶

[ეს]ე იყო [ნათესავით] ასური, ქალაქისაგან ანტიოქიასა, რომელ არს შუამდინარისა⁷, მშობელთა ღმრთის-მსახურთა და მდიდართა შვილი⁸.

ამან ნეტარმან სიყრმესავე შინა თუხსა იჴნნა ყოვლისაგან სოფლიოხსა საშუებ[ელისა]⁹ და სიმდიდრე და შთომილი მისდა განუყო გლახაკთა და თუთ თავადი შეუდგა დიდსა იოვანესა შუამდინარელსა, რომელი იყოფებოდა უდაბნოსა შავისა მთისასა.

და დაყო ოცი წელიწადი მის თანა, წარვლნა ყოველნი სათნოებისა გზანი მრავალთა ლუაწლთა შინა განცდილმან, ვიდრემდის სიმდაბლითა თუხითა აურაცხელნი სასწაულნი აღასრულნა.

ხოლო ოდეს იოვანე, მოძღუარი მისი, უწყებითა ღმრთისაჲთა ქუეყანად ქართლისა მოიწია, ესეცა ნეტარი მის თანავე მოგზაურ იქმნა და მის თანავე მოციქულება [ქა]დაგებ[ად]¹⁰ აღასრულა, რომელთა ღმერთმან მისცა ენაჲ ქართულად მეტყუელი¹¹.

ხოლო მიიღეს რაჲ კურთხევაჲ ევლალი კათალიკოზისაჲ განმავალთა მთად ზედაზნისა, ლოცვითა ამის ნეტარისაჲთა განვიდეს მდინარესა არაგუსა ჳმელად ეამსა გაზაფხულისასა, რამეთუ დიდროოდა მაშინ.

შემდგომად წელთა რაოდენთამე ამან ნეტარმან შიო აღირჩია დაყუდებით ცხორებაჲ ჳეგსა შინა სარკინისასა, რომელსა აწ მღვმე ეწოდების, რომელსა შინა ძლიერად მოლუაწებითა და ბუნებისა კაცთაჲსა უხეშთაესითა მარხვითა ყოველნი ეშმაკისა ბრძოლანი, ვითარცა დედაზარდლისა ჳეღნი, დაჳსნნა. და ღირს იქმნა გამოცხადებასა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისასა და ნათლის-მცემელისა იოვანესსა აურაცხელთა¹² თანა ანგელოზთა, რომელთა კრებუ-

* ხელნაწერი: H—1349 (XIII ს.).

¹ წუერ-გამო AB. ² მოჰამედის AB. ³ ისავროსა A. ⁴ შუღთა AB. ⁵ დარჩილისა B. ხუსხაშია: ⁶ საშუებ[ელისა]. ⁷... ღ-გბ. ⁸ მეტყუელი. ⁹ აურაცხელი.

ლი იხილვებოდა ჭუეყანით ცადმდე მგალობელნი გალობასა უცხოთა¹ რომელთა განაძლიერეს ნეტარი შიო და წმიდამან ღმრთის-მშობელმან შთაუდგა პირსა მისსა შესაქმელი რაამე უცხოჲ კაცთაგან და პრქუა მას: „ამიერითგან კაცობრივი საზრდელი არლარა გიქმს შენ; და უბრძანებდეს ძესა ჩემსა, ქრისტესა ღმერთსა, რაათა ერთი ანგელოზი მარადის მყოფ იყოს შენ თანა და გზრდიდეს და სცვიდეს ცხორებასა შენსა“. და ამაღლდა წმიდა ღმრთის-მშობელი კრებულისა მის თანა. და მიერითგან ნეტარი შიო რაჲ დღე იზარდებოდა ანგელოზისა მის მიერ საზრდელითა მით, რომელი ღმერთმან უწყის.

ხოლო გამოაცხადა იგი ღმერთმან ესრეთ: რამეთუ, ვვაგრი, [v] მთავარი ციხელიდისაჲ, ჰვესა მას შინა, რომელსა იყოფებოდა ნეტარი შიო, შევიდა ნადირობად და იხილა ანგელოზი, მზრდელი მისი, სახითა ტრედისა სპეტაკისაჲთა შემავალი მისა, რომელსა პურის მსგავსი რაამე აჭუნდა პირსა მისსა. და ამისმან სამგზის მხედველმან და შედგომილმან მასმან მიუტევა მას ზედა ქორი და შეუდგა თვთ, ვიდრემდის იხილა ბერი და ტრფიალ იქმნა ცხოვრებისა მისისა [და! არლარა დაუტეობდა. ხოლო ბერმან დააჯერა, რაათა აღიღოს კუერთხი¹ მისი და შთაყოს მდინარესა შინა და, უკუეთუ კმელად გზა სცეს, განაგოს სიმღიდრე თვისი და კუალად მომავალმან ეგრეთვე ყოს და, უკუეთუ კუალად კმელად გზა სცეს, მოვიდეს მისა. რომელი-ესე იქმნა საკვრველებით ღმრთისა მიერ: ორგზის განაპო მდინარე ვვაგრი და მოვიდა შიოჲსა და იქმნა მონაზონ მაღალ და ღირს იქმნა ქმნად სასწაულთა მრავალთა.

ამან ნეტარმან შიო აღმოაცენა უღალსა შინა კლდესა წყალი. და ბრძანებით მოუწოდა ყოველთა მკეცთა მის უდაბნოჲსათა და უბრძანა წარსლვაჲ. და ერთი მკეცი, რომელ არს მგელი, ექუს წელ მადონებელად კარაულთა განაჩინა და მერმე თვთ ბრძანებით წარგზავნა. და თუალი მთავრისა ვისიმე მოწყლული ისრითა აღუხილა. და ნებითა შიშუელითა ნაკურცხალთა² მიერ მოტყინარეთა სამ ჟამ საკუმეველი შეწირა.

ორმოცდასამ წელ მღვმესა უნათ[ლი]ოსა ათექუსმეტსა მკარსა შთადგა. და რომლითა ფლასითა ასურეთით ქართლს მოიწია, მასვე შინა აღესრულა.

აურაცხელნი სასწაულნი აღასრულნა და განსლვაჲ თვისი კორცთაგან ღმრთისა მიერ უწყუა. ანგელოზთა მგალობელთა ხილვითა განბრწყინდა პირი მისი და ესრეთ ძილი იგი მართალთაჲ დაიძინა.

შეიმურა კათალიკოზისა მაკარის და სხუათა ღმრთისა მიერ უწყებულთა ებისკოპოზთა* [მად]ლითა და დაადვა მასვე მღვმესა შინა.

ნუსხაში: ¹ კურთხი. ² ნაკურცხალთა.

* ჩამატებულია.



და აღმოცენა საფლავისა მისგან სულნელებაჲ მიუთხრის⁹ და იქმნეს და იქმნებთან მის მიერ სარწმუნოებით გვედრებელთა ზედა სასწაულნი აურაცხელნი.

[524] **ჰნელიბარისა ხუთშაბათისა ცხოვრება შიო მღვმელისა***

მოკლედ ნათქობი

ესე წმიდა და ღმერთშემოსილი შიო იყო ქუეყანით ასურეთით, ქალაქისაგან ანტიოქისა, მშობელთაგან აზნაურთა. რომელნი მრჩობლ მდიდარ იყვნეს ღმრთის-მსახურებითა და მშობელობითა ამის წმიდისათა¹. და არა ესუათ² მათ შვილი³ სხუაჲ. და მშობელნი ამისნი ზრდიდეს სწავლითა ღმრთის-მსახურებისათა კეთილად. და ყოველსავე წერილსა სისწრაფით სწავლობდა, ვიდრეცა უკვრდა⁴ ყოველთა.

იქმნა რაჲ ათექუსმეტისა⁵ წლისა, იწყო გამოძიებად სიტყუათა წმიდათა და საღმრთოთა⁶ წეოილთა გამოძიებათა, ზინ და იკითხავინ⁷ განუსუენებლად. უკვრდათ⁸ მშობელთა მისთა და იურქვიოდენ⁹ სუესუენებლად მისსა შრომასა, რამეთუ მსოლოდ-შობილი იყო იგი და აყენებდენ, რათა არა მრავლითა კითხვითა სნეულება რამე შეეძთხვოს¹⁰.

ოდეს იქმნა შიო ოცისა წლისა. მაშინ გამოჩნდა დიდი იგი ნიშებშემოსილი, ყოვლად განმანათლებელი, იოვანე, რომელმან განანათლა ყოელი ანტიოქია. და იყოფოდა იგი უდაბნოდ მრავალთა თანა მოწაფეთა თვსთა თანა. ბიიწია უკუე¹¹ შიოცა მშობელთაგან ფარულად მის თანა და შეუქვირდა ფერკთა, რათა იყოს მის თანა. ხოლო იოვანეს აქუნდა მადლი წინასწარ ცნობისა და აღადგინა იგი და ასწავა და ჰრქუა მოწაფეთა თვსთა: „იყოს ჰაბუკი ესე შვილ¹² ღმრთისა და მამა მრავალთა მონოზონთა, რამეთუ ღმერთსა გამოურჩევიეს“. და მიექცა შიოს და სწრთვიდა [V] ტკბილითა სიტყვთა და ჰრქუა: „შვილო. წარვედ მშობელთა შენთა და პირველად მიიღე მათგან კურთხევა და მოვედ აქა“.

ვითარცა ესმა ესე შიოს, შეუძნდა და შეწუნა ხოლო ამისთვის, რამეთუ მშობელთაგან ეშინოდა ნულუკუე¹³ შიოს კურთხევისა წილ პატივი(1) ვითარცა ჰრქუა¹⁴ მან ნეტარმან იოვანე: „გრწმენინ ჩემი“(1)

* ხელნაწერი: A—220 (1726 წ.).

ნუსხაშია: ¹ წმინდისათა. ² ესუათ. ³ შკლო. ⁴ უკვირდა. ⁵ ათექუსმეტისა. ⁶ სმლოთა. ⁷ უკვირდათ. ⁸ შეეძთხვის. ⁹ უკუე. ¹⁰ შკლ. ¹¹ ნულუკუე. ¹² ჰკმ.

რამეთუ უწინარეს მშობელთა თვისთა¹ და დაკითხვიდეს საღმრთო სული² თვისა მისსა, ხოლო მან სხუა³ მიზეზი მიუგო იქი ყოფნისა (1).

იყო დიდებული დღე კვრიაკე⁴ და წარვიდენ მშობელნი მისნი ეკლესიად წმიდისა წირვისა მოსასმენელად და შიო მათ თანა. რა დღიაკონმა იწყო სახარება კითხვად, ჰრქუა⁵ შიო მამასა: „მამსიეს, უფალო, რომელთა თავსა ზედან წარიკითხონ წმიდა სახარება, ყოველნივე საღმობანი ეკურნენ; და მიბრძანე, რათა თავეთა ჩემთა ზედა იკითხონ“. და ერჩდა მამა. ხოლო აღმოიკითხა სიტყუა⁶ იგი დღიაკვანმა[ნ]: „რომელმან არა დაუტეოს მამა, გინა დედა, გინა აგარაკი, იგი არა არს ჩემდა ღირს“. ხოლო რაჲ აღესრულა წმიდა [ჟამის-წირვა]. წარვიდეს.

დასხდეს რაჲ სამხრობად, [კ]კითხა შიო მამასა: „უფალო, რაჲ იყო, რომელი აღმოიკითხეს დღეს წმიდასა სახარებასა შინა“? და ჰრქუა⁷ მამამან: „ესე ესრეთ არს: რაოდენი ქრისტესთჳს დაუტეოთ, ასი წილი მიიღოთ და ცხოვრება საუკუნო დაეიმკვდროთ“. ჰრქუა⁸ შიო: „მამაო უფალო, რაჲ ყოვნება არს, ვინათგან [525] ეგრეთ არს და არა ვიქმქოთ“?

განეგვირა სიტყუა⁹ ესე მამასა მისს[ა] გულთა შინა და ჰრქუა: „შვილო, მე და დედა შენი მოხუცებულ ვართ და ჩუენ¹⁰ დაუტევებთ ყოველსავე და შენ მიგიტულით¹¹ და ეუფლე ყოველსა და იქორწინე¹², რათა დარჩეს თესლი ჩუენი¹³ ქვეყანასა¹⁴ ზედა.

მოეჯსენა¹⁵ შიოს სიტყუა იგი იოვანესი და განიხარა გულთა შინა და იტყოდა: „შემდგომ თავისუფალ ვიქმნები, და რაჲ¹⁶ მინდა, ვიქმქო“.

და ჰრქუა¹⁷ მშობელთა: „ვინათგან ესე კეთილი გონებით მოგიღიეს ღმრთისა მიერ, ნუ სდრო[ო]ბთ ქმნასა მაგისა. არამედ რაჲ¹⁸ გიქმსთ, მიეცით მონასტერსა შესაწირავად, სადაცა გთნდესთ, და მე მომავალსა წელსა მოვიყვანო მეუღლე¹⁹, რომელიცა მინდეს, უკეთუ სთნავს ღმერთსა“.

რა²⁰ მოიმტკიცნა მშობელნი, დედა თვისი²¹ შევედრა დედათ-მონასტერად და მისცა ნიჭი, და მცირედისა ჟამისა შემდგომად შეისუენა²². ხოლო მამა მისი მივიდა ზოგად ცხოვრებულთა მონა-

წესბაშია: 1 თვისთა. 2 სხუა. 3 კვრიაკე. 4 ევა. 5 სიტყუა. 6 რქუა. 7 მამან. 8 ევა. 9 სიტყუა. 10 ჩუენ. 11 მიგიტულით. 12 იქორწინე + და. 13 ჩუენი. 14 ქვეყანასა. 15 მოეჯსენა. 16 რაი. 17 რქუა. 18 რაი. 19 მეუღლე + რომელი. 20 რა. 21 თვისი. 22 შეისუენა.

სტერად და შეიმოსა სქემა. ასწავა შვილმან მოთმინება და დაუტე-
ვა მუნ და განეშორა.

და მიიღო რაჲ თავისუფლება. განყიდა მონაგები, რაჲცა მის-
ცა მამამან, აგარაკნი და ყოველივე და თავისუფალნი მონანი და
მკვევალნი¹ და აღიღო სახარება და ფსალმუნი ოდენ და თვთ² წარ-
ვიდა და მივიდა ნეტარისა იოვანესა თანა.

განიხარა [V] იოვანემ და დასტქნა პელ[ნი] და შეწოსა სქემა.
და იყო მარადის ნებასა შინა ღმრთისასა, ვიდრეღა მოიღო ძალი
კურნებათა, რამეთუ იოვანეს თანა მოსრულნი სნეულნი და ეშმა-
კეულნი ლოცვითა შიოსითა განიკურნებოდეს. რამეთუ მას უბრძანის
განიკურნება მათი.

ოცი წელი კჳალად დაყო შიო იოვანეს თანა. და მერმე მოი-
ლო იოვანე ბრძანება ღმრთისა მიერ, რათა ათორმეტნი გამოიჩიოს
მოწაფეთაგან თვსთა და მივიდეს ქართლად, რამეთუ ახალნერგ
იყვნეს*, ვინათგან მოქცეულ იყვნეს წმიდისა³ ნინოს მიერ [და]
ორას ოდენ წელნი გარდასრულ იყვნეს.

მოუწოდა ნეტარმან იოვანე მოწაფეთა თვსთა⁴ და პრქუა⁵:
„ძმანო, მეჩუენა* მე წმიდა⁷ მარიამ ღმრთის-მშობელი და მიბრძანა
ქართლად წარსვლა ათორმეტით მოყუასით* ჩემით. აწ დავსწერენ⁸
თქუენნი¹⁰ სახელები ქარტათა და დავსხენ¹¹ წმიდასა¹² ტრაპეზსა
ზედა და თქუენ¹³ განეკრძალებით ლოცვასა და მარხვასა ამა ათთა
დღეთა ვედრებასა შინა ღმრთისასა და იხილოთ, თუ რა არს აღს-
[ას]რული გამოცხადებისა“.

ხოლო დღესა მეათესა უბრძანა ყოველთა შეწირვა უსისხლო
მსხვერპლისა¹⁴ და ზიარება ყოველთა უბრძანელთა საიდუმლოთა.
და ვითარცა აღასრულ[526]ეს. უბრძანა ყოველთა აპურობა პელთა
და თქუქუმა კირიელისონისა¹⁵. და ვითარცა იგინი პელ-განაპურობით
იდგენ, აღიღო ანგელოზმან სახელები ათორმეტთა მათ და მოსცა
პელთა თვსთასა¹⁶ თვთო¹⁷. ესე რა იქმნა საკვრველი¹⁸, სხუათა¹⁹
მათ ასწავა და ნუგეშინი-სცა და დაუდგინა ნაცვლად თვსი²⁰ ეფთვ-
მი²¹. ამან აკურთხნა იგინი, ამბოროს-უყო და წარვიდა.

* ამის შემდეგ გადაშლილია სინგურით: „რა ათორმეტნი გამოიჩიოს
მოწაფეთაგან“.

ნუსხაშია: ¹ მკვევალნი. ² თვით. ³ წსა. ⁴ თვისთა. ⁵ რქუა. ⁶ მეჩუენა. ⁷ წმინ-
და. ⁸ მოყუასით. ⁹ დავსწერენ. ¹⁰ თქვენ. ¹¹ დავსხენ. ¹² წმინდასა ¹³ თქვენ.
¹⁴ მსხვერპლისა. ¹⁵ კირიელისონისა. ¹⁶ თვისთასა. ¹⁷ თვითო. ¹⁸ საკვირველი.
¹⁹ სხუათა. ²⁰ თვისი. ²¹ ეფთვიმი.



ამათ ჟამთა აღსრულ¹ იყო ყოვლისა სოფლისა მნათობი, დიდი საკვრველთ-მოქმედი² სჯემონ³ მთასა საკვრველსა⁴, რომელი იყო სუეტსა⁵ ზედა.

მაშინ წარმოემართენ წმიდანი⁶ ესე⁷ და მოვიდენ ქართლად ფრიადითა შრომითა მცხეთას. კათალიკოზსა ევლიოზს გამოეცხადა ანგელოზი უფლისა და აუწყა მოსვლა მათი და წინა მიეგებოდა: და რა შეიმთხვენეს⁸, კათალიკოზსა ეუწყა სახელები მათი. და ნეტარმან იოვანეცა წამსა შინა ისწავა ენა ქართველთა სულისა მიერ წმიდისა.

ხოლო ესე ნეტარი შიო იყო დაყუდების-მოყუარე⁹ და ევედრა წმიდასა იოვანეს. რათა უბრძანოს დაყუდებით ყოფა.

წარვიდა დასავალით კერძო მცხეთისა, ადგილსა კაცთაგან უქესალსა, კლდეთა და მღნართა საშინელთა. ვლო და პო[ვა] ტევი¹⁰ ღრმა, უნუგეშინის[ცემო, ურწყული და საესე მკეციტა და ქუეწარმაჯა[ვ]ლითა¹¹ გესლოვანითა და მუნ პოვა ქუაბი¹² ერთი და და[ა]დგრა მას შინა და ილოცვიდა და იმარხვიდა. და გარდავლ[ნ]ა¹³ დღენი უზმა, ვითარ ორმოც[ნ]ი დღენი. და მოვიდიან ეშმაკნი [და] ეოცნებოდეს, ვითარცა მკეცნი საშინელებითა, ვითარცა გუელნი¹⁴ რჭოსან[ნ]ი. ხოლო მან არად შერაცხა შიში მათი. და კუალად შეკრბა სიმრავლე ეშმაკთა მუნ მკვდრთა¹⁵ და მოადგეს კართა ქუაბისათა¹⁶ საოცრებითა და ღალადებითა. და სახელითა იესუ¹⁷ ქრისტესითა განიოტნა იგინიცა. ხოლო იგინი ეტყოდეს: „ამპარტავენო ბერო, ზვალე მთავარი ჩუენი¹⁷ მოვალს ბრძოლად შენდა და მან მოგაკუდინოს¹⁸ შენ.“

ხოლო შიო განიპყრა ტელი და და[ა]დგრა ლოცვად ღამე ყოველ. ხოლო მოიწია რა ჟამი გათენებისა. გამოუჩნდა მას ნათელი ბრწყინვალე და მოადგა კართა სიმრავლე ანგელოზთა, და დედაკაცი ერთი მათ შორის ხილვითა ელვარებისათა; და მის¹⁹ თანა კაცი ერთი მდგომარე საბითა მოლუაწისათა²⁰. და ჰრქუა²¹ დედაკაცმან²² მან: „გუაკურთხენ, შიო, მონაო ძისა ჩემისაო, მე ვარ მარიამ, დედა იესოსი, და ესე იოვანე ნათლის-მცემელი. ნუ გეშინინ შენ ამიერიტგან გამოცდისა ეშმაკისაგან. აწ მოვედით ჩუენ²³ შენდა

ნუსხაშია: ¹ აღსრულბულ. ² საკვირველთ-მოქმედი. ³ სჯემონ. ⁴ საკვირველსა. ⁵ სუეტსა. ⁶ წმიდანი. ⁷ ესერი. ⁸ შეიმთხვივნეს. ⁹ მოყუარე. ¹⁰ ზევი. ¹¹ ქუეწარმაჯალითა. ¹² კუაბი. ¹³ გარდავლო. ¹⁴ გველნი. ¹⁵ მკუიდრთა. ¹⁶ ქუაბისათა. ¹⁷ იესუსი. ¹⁸ ჩუენი. ¹⁹ მოგაკუდინოს. ²⁰ მს. ²¹ მოლუაწისათა. ²² კუა. ²³ დედაკაცმან. ²⁴ ჩუენ.



ხილვად და განძლიერებად შენდა, ვინათგან არს გულთა შენთა სურვილი ძინა ჩემისა“.

ხოლო შიო დაეცა პირსა ზედა თჳსთა¹ და თაყუან[527]ი-სცემდა. ხოლო შეახო ვითარცა კურთხი² რამე წმიდამა[ნ] ღმრთის-მშობელმან და აღადგინა იგი და მისცა ჳელთა თეთრი რამე სა-ზრდელი და ჰრქუა: „ჰამე ესე და იყო შენ მამა მრავალთა“ და წარვიდა. ვითარცა მოვეო შიო ცნობასა, ილოცა და ჰამა იგი და განძლიერდა და იყო უცხო სიტკბოთა.

ვითარცა ელია ყორნისა მიერ იზ[ა]რდებოდა, შემდგომად ამა ხილვისა ტრედისა მიერ მოერთმოდის, (!) საზრდელი მოეცემოდა, და წყალცა მცირე, კმა საყოფელი მისი, გამოეცა კლდისა მის-გან. შიო მადლობდა ამას ყოველსა ზედა ღმერთსა.

მაშინ, რა წარჳდა ჟამი რაოდენიმე მოღუაწებასა⁴ ამას შინა, არა ენება ღმერთმან დაფარვა მისი, არამედ გამოაბრწყინა ნათე-ლი მისი ქუეყანასა⁵ ზედა: მას ჟამსა იყო ვინმე მთავარი წარჩინე-ბული, საჩინო ცხედიდს, სახელით ევაგრე, ღმრთის-მოყუარე⁶ და საღმრთოთა წერილთა წურთასა შინა აღზრდილი.

და განვიდჳ ნადირობად შევლით და მონაგებიტურთ. და გან-ვიდა მტკუარსა⁷ მდინარესა და მივიდა მუნ, სადა-იგი იყოფოდა ნეტარი შიო. ვითარცა მივიდა ადგილსა მას, მიმოიბნინეს ყოველ-ნი აქათ და იქით ძებნად ნადირთა. ხოლო ევაგრე მარტოდ მდგო-მარე იყო ერთსა ადგილსა და მიმოიხედვიდა, ნუუკუე⁸ იხილოს ნა-დირი რამე. და განგებითა საღმრთოთა იხილა ტრედი იგი ზემო-ქსენებული, [v] რომელსა მიაქუნდა⁹ საზრდელი წმიდისა¹⁰ შიოსთჳს¹¹. და ვერარა აგრძნა და მომნადირებელი წარვიდა სახლად თჳსა¹². და ხეალისაგან კულად განვიდა მუნვე ნადირობად და აგრევე მარტოდ მდგომარემა[ნ] ევაგრე იხილა იგივე ტრედი, მქონებული საზრდელისა მიმღებელად. შეუდგა განკვრეებული¹³ ტრედსა მას და მივიდა, სა-დაცა ძივიდა ტრედი იგი. და იხილა მუნ ბერი შიო, ძქდომარე ჭუაბსა¹⁴ მას შინა, ღმრთისა მადლობისა შემწირველი¹⁵. მიადგა ევაგ-რე და კითხვიდა: „ვინ ხარ შენ, კაცო ღმრთისაო,^{159*} ხოლო შიო ჰრქუა¹⁶: „კაცი ვარ უცხო და აქა მოვედ განშორებად სოფლისა ამბოხებისაგან. რათა მოცალედ ვადიდებდე უფალსა იქმსა იესო ქრისტესა“.

*. ამის შემდეგ გადაშლილია „მოვიდა“.

ნუსხაშია: ¹ თვისთა. ² კურთხი ³ ჳე. ⁴ მოღუაწების. ⁵ ქუეყანასა. ⁶ ღთის მოყუარე. ⁷ მტკუარსა. ⁸ ნუუკუე. ⁹ მიაქუნდა. ¹⁰ წასა. ¹¹ შიოსთჳსა. ¹² თჳსა. ¹³ განკვირებული. ¹⁴ ჭუაბსა. ¹⁵ ღთისაო. ¹⁶ ჳეა.

ხოლო ევაგრე განიხარა ფრიად სულითა და ევედრებოდა დადგომად მის თანა. არამედ ბერი ეტყოდა: „არ ძალ-გიც, რამეთუ ფიცხელ და საჭირო არს მოსათმენელად ადგილი ესე. და შენ გაზრდილი¹ [ხარ] ცუფუუნებასა შინა. წარვედ სახიდ შენდა და მსასურე ღმერთსა შიშსა ქუეშე² მისსა და სცხონდე“. ხოლო ევაგრე არა უტყუებდა მას.

ვინათგან იხილა შიო სიმტკიცე გულისა მისისა, მისცა კუერთხი³ თჯი⁴ და პრქუა:⁵ „შვილო, წარვედ და შთაყავ მდინარესა მაგას მტკუარსა⁶ და გზა გცეს შენ და მივედ სახლად შენდა და განაგე საქმე შენი და მოიქეც. და კუალად ეგრევე [528] შთაყავ კუერთხი³, უკეთუ გზა გცეს წყალმან, ნება არს ღმერთისა⁷ და გამოვედ აქა და, უკეთუ გზა არა გცეს, სცან. რამეთუ არა არს ნება ღმერთისა და იყოფებოდე სახლად შენდა“.

წარვიდა ევაგრე და შთაყო კუერთხი³ მდინარესა მას და განაპო წყალი და განვლო ჳმელად, ვითარცა მოსემ. და მივიდა და განაგო სახლი თჯი⁴. და შემოიქცა და ეგრეთვე გზა სცა წყალმან მან და მოვიდა ბერისა მის და აუწყა ყოველი, რაჲ-იგი იქმნა.

და აჭურთხა შიომ კაცი. ასწავა, რა იყო წესი მონოზანთა და მადლობდა ღმერთსა. დასხა კელი და შემოსა წმიდა⁸ სქება.

მიერთვან განცხადდა სახელი წმიდისა⁹ შიოსი და მოვიდოდიან და მიიღებდიან მონოზანებასა¹¹.

ხოლო ევაგრე და სიმრავლე მონოზანთა იყოფებოდეს ზემო კერძო. და შიო მარტოებით ქუაბსა¹² მას და აღვიდის კვრითა-კვრად¹³ და ასწავებდის მათ, რომელი ჳერ იყო მათდა.

ვითარცა იქნა¹⁴ ოცდაათ ოდენ მონაზონ, მდინარითა მით მოაქუნდა ძმასა ვისმე წყალი სასმელად მათდა. მო-რა-იწია მუნ, უბრკუმა ეშმაკი¹⁵ და შემუსრა კოკა სიშორისა (!) და მშრომელი ცრემლეოდა. შეწუნა [შიო] მისთჳს და მიიხილა სხუაგნით¹⁶ და იხილა ანგელოზი, რომელი კუერთხითა¹⁶ გამოსთხრიდა კლდესა. პრქუა¹⁷ ძმასა მას: „ნუ სტირ, ძმაო, რამეთუ შეიწირა ღმერთმან ცრემლნი შენნი და მოგცა წყარო [V] აქა კმა-საყოფელ და აშიერთვან აქა¹⁸ უესე წყალი ძმათა მათ სასმელად“.

შემდგომად ამისა იწყეს განმრავლება ძმათა და არა აქუნდათ ეკლესია და ენებათ¹⁹ ეკლესიის აშენება. პრქუა²⁰ მათ წმიდა-

ნუსხაშია: ¹ გარსილი. ² ქუეშე. ³ კუერთხი. ⁴ თვისი. ⁵ კვა. ⁶ მტკუარსა. ⁷ ღმერთსა. ⁸ თვისი. ⁹ წმიდა. ¹⁰ წმიდისა. ¹¹ მონოზანებასა + იწყეს. ¹² ქუაბსა. ¹³ კვირით-კვირად. ¹⁴ იქმნა. ¹⁵ სხუაგნით. ¹⁶ კუერთხითა. ¹⁷ კვა. ¹⁸ აქათ. ¹⁹ ენებათ. ²⁰ კვა.

მან შიო: „მოვედით აქა და აღვიდეთ თავსა მის მთისასა და ვილო-
ცოთ და, რომელსა ადგილსა იყოს ნება ღმრთისა, მუნ აღვაშენოთ“. აღვიდენ მთად და ილოცეს: და მოაღებინა შიო ნაკურცხალი¹ და
ლაისხნა ნებთა და დაიდგინა მუჭლი და დაქაქია საკმეველი ზედა.
და აჭდა კუამლი² აერთა შინა და მოდრკა კუამლი იგი ვითარცა საბე-
ლი. და შთაჭდა ჰვეთა მათ და დაქადღრა მყოვარ ჟამ. შთავიდენ
მუნ და უკმია ყოველთა ძმათა საკმეველი. ესოდენ ჟამ აჭუნდა³
კელთა ნაკურცხალი¹. და არა შეეხო მას სიმჭურვალე. და დააბნია
ნაკურცხალი¹. და მოვიდნენ ადგილსა მას და მუნ პოვეს მღვმე⁴
დიდი და მას ზედა დგა სუეტი⁵ იგი კუამლისა მის სურნელი. და
მუნ ბრძანა აღშენება ეკლესიისა სახელსა ზედა იოვანე ნათლის-მცე-
მელისასა.

მოვიდა მეფე ფარსმან ხილვად ვეავრესა. რამეთუ სპასპეტი⁶
იყო და უნდა წარყვანება მისი. და არა დაემორჩილა ვეავრე. და
იხილა წმი[529]და⁷ შიო და განკვრდა⁸ საქმესა მისსა.

და იყო ენმე მთავარ მეფისა. რომელსა თული⁹ მარჯუნა¹⁰
მოწყულულ იყო ბრძოლასა შინა და მოვიდა კურთხევისა მიღებად და
სარწმუნოებით გულთა შინა იტყოდა: „უკეთუ შევეხო ფერჯთა წმი-
დისათა¹¹, განვიკურნო“. და დასდვა [რაჲ] თული ფერჯთა წმიდისა-
თა¹¹, მეყსეულად განიკურნა იგი და აღიდებდა¹² ღმერთსა.

და მიაჩნა მეფემან ოთხნი დაბანი რჩეულნი და ოცდაათი
ლიტრა ოქრო და ვეცხლი ფრიადი მონასტერთა შენებისათჳს და.
წარვიდა.

და განმრავლდა რიცხ¹³ კრებულისა მონოზონთა ორ ათასად.
და ვანიტქა¹⁴ ანბაეი¹⁵ მისი ყოველსა ადგილსა და მოქაგურიდენ¹⁶
სნეულთა, მკელობელთა, ბრმათა, საპყართა. კეთროვანთა და ეშმა-
კეულთა და განიკურნებ[ოდ]იან ლოცვითა წმიდისა¹⁷ შიოსითა,
რომლისა¹⁸ თითოეული წარმოთქმად შეუძლებელ არს.

ხოლო კარაულთა და კერძოვირთა მათთა მკეცნი განბრძვიდ-
ენ¹⁹(!). მოვიდენ ძმანი და აუწყეს მამასა შიოს. ილოცა წმიდამა[ნ]²⁰
წინაშე ღმრთისა და მოვიდენ ყოველნი მკეცნი სახელ-სახე-
ნი წინაშე შიოსა. ეტყოდა მათ სიმშუდით: ²¹ „რად განბრძავთ(!) კარ-
აულთა ამათ შემოკრებულთა ღმრთისა მონათასა, რომელნი მსა-
ხურებენ აქა. აწ გე[ვ]იტყვ²² სახელითა იესოს ქრისტესითა: წარვედ

ნუსხაშია: ¹ ნაკურცხალი. ² კუამლი. ³ აჭუნდა. ⁴ მღვმე. ⁵ სუეტი. ⁶ სპას-
პეტი. ⁷ წმიდა. ⁸ განკვირა. ⁹ თული. ¹⁰ მარჯუნა. ¹¹ წმიდისათა. ¹² აღიდებდა.
¹³ რიცხი. ¹⁴ ვანიტქა. ¹⁵ ანბაეი. ¹⁶ მოგურიდენ. ¹⁷ წმიდისა. ¹⁸ რომელსა.
¹⁹ განმარვიდენ. ²⁰ წმიდამა. ²¹ სიმშუდით. ²² გეტყვი.

ამიერ სტუდ¹ ადგილად“. და წარვიდენ ყოველნი მუნით სტუდ² ადგილთა.

ხოლო ერთი მათგანი მგელი დაიყენა მუნ მადონებელად კარაულთა მათთა და პრქუა³ წმიდამან სახელითა იესო ქრისტესითა: „მეტყჷ შენ, მგელო, ვინათგან შეაწუხებთ ესოდენი ღმრთისა მონანი განბძარვითა⁴ კარაულთათა, აწ დაადგრე მადონებელად, რათა რაოდენი შეაწუხებთ, ეგოდენი მსახურო. და ცისკარს წარიყვანდე კარაულთა ველად ძოვბად და მწუხრი მოიყვანდე და არა რა ავნო. და საზრდელი⁵ შენი გცეთ, ჩუენ⁶ რასაცა ვკამთ. შენცა იგი ჰამე და მწყსიდე პირუტყუთა⁷ ამათ“.

ეჰა, საკვრველება⁸ ესე, რამეთუ მწეცი მონურად ერჩდა და მწყსიდა პირუტყუთა⁹ და ბრძანებისა მიერ შიოსა აძოვებნ და მოიყვანდა მიმწუხრი.

ღღესა ერთსა კარაული კონონ¹⁰ ეისმე ძმისა ძოვნასა შინა გარდაიჭრა კლდესა. და მოვიდა ადრიან მგელი და მოიყვანა ყოველნი კარაულნი, ხოლო კონონისა არღარა იყო მუნ. მოვიდა კონონ და ესჯოდა მამასა და ეტყუოდა: „დასაბაწიდამ სოფლისა არასადა ყოფილ აქრის მგელი მოყუსად¹⁰ ვირთა. რამეთუ ნუგეშინის-მცემელი მოხუცებულობისა ჩემისა და ძმათა ამათ მზიდავი წყალთა შეკამა მგელმან ამან, შენ მიერ დადგინებულჰან“. ხოლო მგელი იგი რეცა თავს მართლობდა, გორვიდა და წკმუოდა. მერმე უპყრა კუერთხსა¹¹ კონონისსა¹² და მიიზიდვიდა. პრქუა¹³ მას ნეტარმან¹⁴ შიო: „წარვედ, ბერო, მგელსა თანა, იხილე, რა უქმნიეს კარაული შენი“. პრქუა¹⁵ კონონ მამასა შიოს: „რა არს სიძულილი ესე ჩემი, რამეთუ კარაული ჩემი შეკამა მამან და აწ განვიდე მის თანა და მეც განბძაროსა“?

ხოლო წარავლინინ¹⁶ კონონის¹⁷ თანა ორნი ძმანი სტუანი¹⁸. წაოუძღუა¹⁹ მგელი და ურუენა კარაული იგი, გარდაქრილი კლდეთა და მომკულდარი. მოვიდა კონონ და შეუქრდა ფერჭთა ნეტარისათა და ითხოვდა შენდობასა.

ამისა შემდგომად განუტევა მგელიცა იგი და წარვიდა. და აწცა ვერა ავნებენ მგელნი ხუასტაგთა¹⁷ საზღუვართა მის მონასტრისათა ვადრე დღეინდელად დღემდე.

ნუსხაშია: 1 სხვად. 2 სხეთა. 3 მქა. 4 განბძარვათა. 5 საზრდელი. 6 ჩუენ. 7 პირუტყუთა. 8 საკვირველება. 9 პირუტყუთა. 10 მოყსად. 11 კუერთხსა. 12 კონონისსა. 13 კვეამ. 14 პრქუა. 15 სხვანი. 16 წარუძღვა. 17 ხუასტაგთა.

მივიდენ მოყუასნი¹ იგი ვიეთნიმე ურთიერთარს ნახვად და წმიდა² იოვანეცა მათ თანა, მოძღუარი³ მათი, და განიხარეს ერთბამად სულიერად ჟამ რაოდენმე.

აღდგა შიო და შეუქცირდა ფერჯთა იოვანესთა⁴ და ევედრებოდა, რაჟთა⁵ შენდობა სცეს მყუდროებით დგომასა და შთავიდეს მღვმეს⁶ მას და იყოფებოდეს მუნ. ხოლო [V] იოვანე ეტყოდა: „წარვედ, შეილო, პატრიაქსა ჩუენისა⁷ წმიდისა⁸ და, უკეთუ არს სათნო ღმრთისა, მან გცეს შენდობა“.

წარვიდა შიო კათალიკონისა მცხეთად და მიიღო შენდობა დაყუდებისა. და მოვიდა და გამოეთხოვა ძმათა და დაუდგინა ევაგრე წინამძღურად⁹ და [ა]ლუწერა ას სამეოცი თაეი სწავლა და ამბორს-უყო მათ და ასწავა მრავალი სულიერი საქმე და შთავიდა მღვმესა¹⁰ მას ორმოსა და ბნელსა და მუნ ილუწიდა ვიდრე ცოცხალ იყო, ხოლო შემდგომად სიკუდილისა¹¹ მუნვე დაეფლა. და რა შთაჲდა მღვმესა¹² მას შინა, იყო ღუაწლსა¹³ შინა დიდსა მარხვათასა. ლოცვა-ფსალმუნებასა, მუტლთ-დრეკათა და ყოველთავე ესევითარათა.

და შემდგომად მიცვალებისა მისისა არა აღირაცხვის სასწაულნი და საკვრველებანი¹⁴ მისნი წლითი-წლად. და ნაწილი მისი გამოვალს ყველიერისა ხუთშაბათსა და ყოველთა ერთა განანათლებს ქართლისათა*.

ამასვე დღესა** წმიდისა მოწამისა აბოღნი.***

რომელი იყო ბაღდადით და მოვიდა ქართლისა ქუეყანად და პრწმენა ქრისტე და ნათელ-ილო და ჭადაგებდა მამ[ასა], ძესა და სულს[ა] წმიდასა განცხადებულად. და იწამა სარკინოზთა მიერ ტფილის ქალაქსა შინა შემდგომად მრავალთა [გუემათა და] ტანჯვათა]... თა და გუამი მისი ცეც[ხლი]თა და დაწუეს [ა]... ებია... მრავალნი წელნი დღეინდელად| დღემდე ... [სარ]წმუნობ[ით]... ვედრებითა მისთა ზედა.

* ამის შემდეგ სტრიქონში ტექსტის ხელით: „წო შიო, შემაწყალე ამის მწერალი ლამენტი“.

** ივლისხმება: თუესა იანვარსა 17 (17 იანვარი)

*** ხელნაწერი: Ier.—80 (XII—XIII სს., აშოაზე XIV ს. ხელით).

ნუსხაში: ¹ მოყეს-ნი ² წმიდა. ³ მოძღუარი. ⁴ იოვანესთა. ⁵ რაი. ⁶ მღვიმეს. ⁷ ჩუენსა. ⁸ წმიდისა. ⁹ წინამძღურდ. ¹⁰ მღვიმესა. ¹¹ სიკუდილისა. ¹² მღვიმესა. ¹³ ღუაწლსა. ¹⁴ საკვირველებანი.

ამასვე დღესა* . და წმიდისა მოწამისა აბო სი¹,
რომელი იწამა² ქალაქსა ტფილისსა^{3**}

ესე წმიდა მოწამე აბო იყო ბაბილოვნით⁴, ნათესავით წარჩინებული. და⁵ დაუტევა⁶ მამული სჯული და ნათელ-იღო სახელსა ზედა⁷ წმიდასა⁸ სამებისასა⁹ და განცხადებულად ქადაგებდა მამასა¹⁰ და¹¹ ძესა¹² და წმიდასა სულსა, რომლისათვისცა აგარიანთა მიერ მოიკლა. და ვუამი მისი დაიწუა¹³ და ნემტნი ძულათა მისთანი მღინარეს¹⁴ შთაითხინეს, რომელ არს მტკუარი.

[322v] ამასვე დღ[323]ისა* წმიდისა მოწამისა¹⁵ აბოსი^{16**}

